

# მოკლე კურსი

# ეკონომიური მეცნიერების



# შ ი ნ ა ა რ ს ი.


1. ავტორის წინასიტყვაობა „მოკლე კურსის“ ქართულ გამოცემის გამო.

II. ბიოგრაფიის მაგიერი.

III. წინასიტყვაობა—შ—ისა.


---

# ს ა რ ჩ ე ვ ი.

## ს ა ზ ო გ ა დ ო ც ნ ე ბ ე ბ ი.


| | გვერდი |
| --- | --- |
| 1. ეკონომიურ მეცნიერების განმარტება . | 5 |
| 2. წარმოება . . . . . . . | 11 |
| ა) თვისება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა | 12 |
| ბ) რაოდენობა საზოგადოებრივ შრომისა . | 15 |
| გ) შრომის ნაყოფიერება . . . | 19 |
| 3. საზოგადოებრივი სარგებლობა და საზოგადოებრივი ღირებულება | 32 |
| საერთო ცნებათა მიმოხილვა . . . . | 37 |
| ეკონომიურ მეცნიერების დაყოფა და მისი წეს-რიგი . | 38 |
| ეკონომიურ მეცნიერების მეთოდი . | 42 |


### I. პირველყოფილი საგვარეულო კომუნიზმი.


| | |
| --- | --- |
| 1. პირველყოფილ ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან . | 48 |
| 2. საზოგადოებრივ წარმოების ურთიერთობანი პირველყოფილ საგვარეულო ჯგუფებში . . . | 50 |
| 3. პირველყოფილი ფორმები განაწილებისა . . . . . | 53 |
| 4. პირველყოფილ საზოგადოების ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებები | 54 |
| 5. განვითარების ძალები პირველყოფილ საზოგადოებაში | 57 |

## II. საზოგადოების მამათ-მთავრული (პატრიარქალური) საგვარეულო ორგანიზაცია.

გვერდი

1. მიწათმოქმედებისა და პირუტყვთა მოშენების ჩასახვა . . . 59
2. საგვარეულო ჯგუფის საწარმოვო ურთიერთობათა განვითარება 62
3. ფორმები განაწილებისა პატრიარქალურ-საგვარეულო ეპოქაში . 67
ა) მოწესრიგებული განაწილება . . . —
ბ) მოუწყობელი განაწილების, ე. ი. ცვლის განვითარება 69
4. პატრიარქალურ-საგვარეულო ეპოქ. საზოგადოებრივი ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებები . . . . 76
5. განვითარების ძალები და ახალი ცხოვრების ფორმები პატრიარქალურ-საგვარეულო ხანაში 84

## ძველი დროის მონობა.

1. საზოგადოების დამოკიდებულება გარეშე ბუნებასთან . . 88
2. მონობის საწარმოვო და განაწილებითი ურთიერთობათა განვითარება . . . 90
ა) მონათმფლობელთა ჯგუფი . —
ბ) საწარმოვო კავშირები ჯგუფთა შორის . 94
3. ძველი ქვეყნის საზოგ. ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებები . 98
ა) პიროვნების მდგომარეობა ჯგუფში და საზოგადოებაში . —
ბ) მსოფლმხედველობის საზოგადოებრივი ფორმები . 103
4. მონათმფლობელ საზოგად. დეგრადაციის მიზეზები და მსვლელობა 111
საზოგადო დახასიათება მონათმფლობელურ ხანისა . 118

## III. ფეოდალური საზოგადოება.

1. საზოგადოების დამოკიდებულება ბუნებასთან . . . . 121
2. ფეოდალური ჯგუფის საწარმოვო და განაწილებითი ურთიერთობანი. . . . . . . 122
ჯგუფთაშორისი ურთიერთობანი ფეოდალურ საზოგადოებაში 133
3. ფეოდალურ ხანის საზოგ. ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებანი . 142
4. განვითარების ძალები და მისი მიმართულება ფეოდალურ საზოგადოებაში . . . . . . . . 148
წარსულის ნატურალურ-სამეურნეო საზოგადოებათა საერთო დახასიათება. 151

## IV. წვრილ-ბურჟუაზიული საზოგადოება.

გვერდი
1. საზოგადოების დამოკიდებულება ბუნებასთან . . . 152
2. ადამიანის საწარმოვო და განაწილებითი ურთიერთობანი წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში . 154
ა) მოუწყობელი კავშირები მეურნეობათა შორის . . —
ბ) ცალკე მეურნეობათა შინაგანი ურთიერთობანი წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში . . . . . 170
გ) მოწესრიგებული საჯგუფთაშორისო ურთიერთობანი წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში . . 177
3. წვრილ-ბურჟუაზიულ ხანის საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებანი . . 188
4. განვითარების ძალები და იმისი მიმართულება წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში 202

## V. სავაჭრო კაპიტალის ხანა.

1. წარმოების ტეხნიკური ურთიერთობანი 205
2. სავაჭრო კაპიტალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობანი 206
ა) მოუწესრიგებელი ურთიერთობანი მეურნეობათა შორის . —
ბ) საწარმოვო დაწესებულებათა შინაგანი ურთიერთობანი სავაჭრო კაპიტალის ხანაში . . . . 212
გ) მოწესრიგებული ურთიერთობანი მეურნეობათა შორის 215
3. საზოგადოებრივი ფსიხოლოგია და განვითარების ძალები სავაჭრო კაპიტალის ხანაში 225

## VI. სამრეწველო კაპიტალიზმი.
### სამანუფაქტურო ხანა.

1. საზოგადოების დამოკიდებულება გარეშე ბუნებასთან 231
2. წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება სამანუფაქტურო კაპიტალიზმის ეპოქაში . . 234
ა) მანუფაქტურების აღორძინების სოციალური პირობები . —
ბ) სამრეწველო-კაპიტალისტურ დაწესებულებათა წარმოშობა და მათი შინაგანი ურთიერთობანი 242
გ) კაპიტალისტურ დაწესებულების დედა-აზრი (სამუშაო ძალა, როგორც საქონელი) . . . 249
დ) განვითარების გზაზე დამდგარ კაპიტალისტურ დაწესებუ-

გვერდი

ლებათა გავლენა წარმოების ჩამორჩენილ ფორმებზე . 260
ე) კაპიტალი სავაჭრო და სამრეწველო 267
3. წესები საზოგადოებრივ განაწილებისა მანუფაქტურულ ეპოქაში . 268
4. საზოგადოებრივ ნაწარმოების განაწილება სხვა-და-სხვა. კაპიტალისტურ კლასებს შორის 277
ა) მოგება —
ბ) მიწის რენტა 291
გ) სამუშაო ხელფასი 307
5. მანუფაქტურულ ხანის საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებანი . . . 320
6. განვითარების ძალები და მისი მიმართულება სამრეწველო კაპიტალიზმის პირველ ხანაში 346

## VII სამრეწველო კაპიტალიზმი.
## ეპოქა მანქანურ წარმოებისა.

1. საზოგადოების დამოკიდებულება ბუნებასთან 361
ა) მანქანის წარმოშობა —
ბ) რა არის მანქანა? 364
გ) მანქანურ წარმოების გავრცელება . . 372
2. წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობანი მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში . . . . . . 379
ა) მარტივ თანამშრომლობისა და შრომის განაწილების გან. ვითარება ცალკე სამრეწველო დაწესებულებათა შიგნით . —
ბ) შრომის საზოგადოებრივ განაწილების განვითარება 384
3. განაწილების წესების განვითარება კაპიტალიზმის სამანქანო ხანაში 386
ა) ფულის ტრიალი —
ბ) კრედიტი . 388
გ) სამრეწველო დაწესებულებათა აქციონერული ფორმა 402
დ) ბირჟა 405
ე) სპეკულიაცია 408
4. საზოგადოებრივ ნაწარმოების განაწილება სხვა-და-სხვა კაპიტალისტურ კლასთა შორის 413
ა) მოგება —
ბ) რენტა 418

გვერდი

გ) სამუშაო ხელფასი . . . 422

5. საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის უმთავრესი ცვლილებანი მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში . . 450

6. საზოგადოებრივ განვითარებისა და დეგრადაციის პროცესები მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში 486

ა) კრიზისები . . 487

ბ) კაპიტალისტების სინდიკატები 503

გ) სამრეწველო დაწესებულებათა ინტეგრაცია 512

**VIII. სოციალისტური საზოგადოება.**

1. საზოგადოების დამოკიდებულება ბუნებასთან 516
2. წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობანი 518
3. განაწილება . . 521
4. საზოგადოებრივი ფსიხოლოგია . 523
5. განვითარების ძალები . 527

**უცხო სიტყვების ახსნა.**

## I. ავტორის წინასიტყვაობა „მოკლე კურსის" ქართულ გამოცემის გამო.

ახლო წარსულის დიდებულ მოძრაობამდე ჩვენ, რუსები, ქართველ ხალხს ძალიან ნაკლებათ ვიცნობდით. ჩვენამდე მხოლოდ ხან-გამოშვებით თუ აღწევდა ნაწყვეტები მისი პოეზიისა და მის ხალხურ გადმოცემათა; ჩვენმა დიდებულმა პოეტებმა, რომელთაც არა ერთხელ შთაუბერავთ თავიანთი ზეგარდმომადლი საქართველოს საუცხოვოთ შემკულ ბუნებისა და მის მკვიდრთა ცხოვრების აღწერაში, გვასწავლეს ჩვენ ცხოველის, მაგრამ ბუნდოვანის სიმპატიით მოვქცეოდით საქართველოსა და ქართველ ხალხს. როცა კი ქართველ ხალხზე რასმე გავიგონებდით, გაურკვეველათ წარმოგვიდგებოდა გონებაში რაღაც მშვენიერი რამ, ძლიერი და, ამასთან—სევდიანი. და მართლაც რომ ასეთია ეს ბუნებით უხვათ დაჯილდოვებული ხალხი, თავის აღფრთოვანებულ სამხრეთულ ენერგიითა და ისტორიაში ტრაგიკულის ხვედრით.

ქართველმა ხალხმა დღემდე ვერ მოახერხა დაეღწია თავი ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთებისათვის; ხოლო ეკონომიურათ და სულიერათ თუ რამდენათ წინ გაუსწრო მან ამ ურთიერთობათა ნაშთებს, ეს მეტის-მეტათ ნათლათ და აშკარათ დაუმტკიცა მან მთელს ქვეყნიერობას იმ ხანებში, როცა ცხოვრების ჩარხის დუღილმა ხან-მოკლე საშუალება მაინც მისცა წელში აღმართულიყო იგი მთელის თავის ისტორიულ სიმაღლით. და აი, სწორეთ მაშინ გამოირკვევა ცხადათ, თუ რა ღრმა და სერიოზულია მისი კავშირი რუსის ხალხთან, მაშინ მოეფინა ნათელი, რომ ეს არის კავშირი არა მარტო საერთო მიზანთა, არამედ—კიდევ მეტი—კავშირი, საზოგადო ამოცანათა ფართოთ გადაშლილ კლასსიურ ცხოვრე-

ბის ნიადაგზე აღმოცენებული. მე მრწამს, რომ უკვე მოახლოვებულია ის დრო, როცა ყოველივე ეს ხელ-ახლა ერთბაშათ იჩენს თავს კიდევ უფრო ნათლათ, კიდევ უფრო ძლიერათ...

ის ფაქტი, რომ საქართველოს-მიერ დეპუტატებათ არჩეულნი ბევრჯერ იმ კლასის წარმომადგენლებათ გამოდიოდენ, რომელთა საქმეც, საერთოთ აღებული, ჩვენთვის, მთლათ რუსეთის ხალხისათვის, ესოდენ ძვირფასია,—ეს ფაქტი შემთხვევითი როდია. ამ კლასს ყოველგან ერთი გული უძგერს, არა მარტო მოსკოვსა და თბილისში, არამედ მთელს დედამიწაზე; მაგრამ სხვა-და-სხვა ქვეყნებში იგი ერთნაირის ტემპით როდი სძგერს და ერთნაირივე როდია ის მახლობელი საზრუნავი საქმეები და ამოცანები, რომელთაც გავლენა აქვთ ამ გულის ძგერაზე. ხოლო ჩვენში კი—ჩრდილოეთშიაც და განაპირა სამხრეთშიაც—ყველგან ერთი და იგივე მშფოთვარე მოუსვენრობაა, ერთი მოლოდინი, ერთის აზრით გამსჭვალვა და ერთი მისწრაფება!..

ახლაც ცოცხლათ მიდგია თვალწინ მშვენიერ ცეცხლმფრქვევ თვალებიანი, შნოიანი და მეტათ მოხდენილი ფიგურა ხალხის ერთ იმ წარმომადგენელთაგანისა, რომელიც შეუდარებელი იყო აგრეთვე, როგორც ორატორი.

ჩვენ ვეკუთვნოდით რუსეთის მარქსიზმის სხვა-და-სხვა-გვარ მიმართულებას, მაგრამ ეს სრულებითაც არ გვიშლიდა ჩვენს საერთო საქმეში დავახლოვებოდით ერთმანეთს, გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის ჩვენი სათაყვანო გეგმები.

მახსოვს ის ღამე გემზე, როცა ჩვენ ერთათ ვარკვევდით მუშათა ენციკლოპედიის საკითხს, მახსოვს მისი ამ პროექტით მხურვალე გატაცება... მსურს როგორმე მის ყურამდე ვაწვდინო, რომ ის საკითხი დავიწყებას არ მისცემია და, რათაც უნდა დაგვიჯდეს, უთუოთ განვახორციელებთ მას, და ეს, შესაძლოა, სულ ადრეც მოხდეს. მშვენიერია და ტრაგიკული მისი ხვედრი, როგორც ხვედრი მის მშობელ ხალხისა; მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ჯერ კიდევ არ თქმულა!.

იმ ხანებში მე ბევრი მეგობრები შევიძინე ქართველი ერის ამხანაგთა წრიდან. იყვნენ მათ შორის აზრისა და კალმის კაცები, კაცები ცოცხალ, ცეცხლ-მფრქვეველ სიტყვისა, იყვნენ აგრეთვე სამძიმო, ნარ-ეკლიანის საქმისაც. ზოგი მათგანი აწ უკვე ველარ გაიგონებს ჩემს სიტყვებს, ზოგს კი. ალბათ, შევხვდები იქ,—ისტორიულ ჩარხის ხელახლად შემოტრიალების ხანს!.. საოცარია სწორეთ, რა რიგ ადვილათ, რა კარგათ გვესმოდა ერთმანეთის გულის-ნადები: გული გულთან იყო ჩვენს საერთო საქმეში და სული სულთან,—ასე ადვილათ ვეთანხმდებოდით ჩვენ ერთმანეთს—მე, უკიდურესი ჩრდილოელი, და ისინი —შორეულ-განაპირა სამხრეთელები...

ეს წიგნი შედგენილია იმ ლექციებიდან, რომელსაც ამ თოთხმეტის წლის წინათ ისმენდენ რუსეთის ერთ-ერთ საფაბრიკო ცენტრის მუშები. ლექციების კითხვა, ჩვეულებრივათ, ხდებოდა ქალაქის ახლო-მახლო მდებარე ტყეებში. ამ წიგნმა რომ გზა გაიკვლია ჩვენის ერთფეროვან მინდორ-ველებისა და ტყეებიდან საქართველოს საუცხოვო ხეობებისაკენ, ეს გარემოება, ჩემის ფიქრით, შემთხვევითი როდია: ერთგვარი მოთხოვნილებანი, ერთგვარი ინტერესები და მიზნები აქვთ აქაც და იქაც იმ მკითხველებს, ვისთვისაც ეს წიგნი დანიშნულია.

მე ვეცადე შეძლებისამებრ დამესურათებია ამ წიგნში ობიექტიური ლოღიკა და კაცობრიობის განვითარების ერთიანობა იმ იდეალისაკენ მსვლელობაში, რომლის განხორციელებაც ისტორიამ **ჩვენს** კლასს დააკისრა. ჩვენ კიდევ ვიხილავთ ამ განვითარების ახალ, ფრიად საგულისხმიერო ეტაპებს (საფეხურებს) და ზოგ მათგანში მხურვალე მონაწილეობის მიღებაც მოგვიხდება. ვინაიდან ჯერ ჩვენის თაობისთვისაც კი ბევრი რამ განმარტებას თხოულობს, ჯერ აუხსნელია უმთავრესი ამოცანები, ხოლო ისტორია კი აუხსნელს არაფერს არა ტოვებს.

19 სექტემბერი 1909 წ. **ა. ბოგდანოვი.**



ა. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი.

1897 წელს, «მოკლე კურსის» პირველ გამოცემის დროს.

## II. ბიოგრაფიის მაგიერი.

ა. ბოგდანოვი ამჟამათ არის 36 წლისა. პირველი მისი შრომა იყო „მოკლე კურსი ეკონ. მეცნიერებისა", რომელიც იწერებოდა 1895—1897 წლებში. პირველათ დაიჭირეს 1894 წ. სტუდენტების მოძრაობის გამო (მოსკოვის „ზემლიაჩესტვოს" კავშირის საქმეზე). რამდენისამე დღის შემდეგ გააძევეს სამის წლით ორთავე სატახტო და სხვა დიდ ქალაქებიდან. ჯერ იყო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი, მარა ბოლოს სწავლა დაასრულა ერთ-ერთ პროვინციალურ უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. პროფესიით ექიმია, მხოლოდ პრაქტიკას კი არ მისდევს. ერთხელ იყო ორდინატორათ პსიხიატრიულ სამკურნალოში ერთ წლამდე, და კიდევ 4 თვე უმსახურნია სამხედრო ექიმათ.

მეორეთ დაატუსაღეს პროპაგანდისათვის და მიუსაჯეს 6 თვე ციხე და სამის წლით გადასახლება ჩრდილოეთ გუბერნიებში. მესამეთ—მუშათა დეპუტატების საბჭოს გამო—5 თვე ციხე და სამის წლით საზღვარ-გარეთ გაძევება.

თანამშრომლობდა ყოველგვარ მარქსისტულ გამოცემებში—სწერდა განსაკუთრებით—მდაბიურ და ხალხისთვის გასაგებ ენით. სწერდა ფილოსოფიაზე, პოლიტიკურ ეკონომიაზე და სხვ.; განსაკუთრებით მეცადინეობდა სოციალისტურ წესწყობილების საკითხზე („Нов. Міръ", „Красная Звѣзда", პოპულიარული წიგნაკები ნ. ვერნერის სახელით: „საითკენ მიდის საზოგადოების განვითარება", და სხვ.). მუშაობდა აგრეთვე სხვა საკითხებზედაც.

აი, მოკლე ბიოგრაფიული ცნობა ა. ბოგდანოვისა.

## წინასიტყვაობა.

ყოველი კლასობრივათ გათვითცნობიერებული პროლეტარი დღეს მეცნიერულ-თეორიულ ცოდნას მუშების აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს. მან კარგათ იცის, რომ მეცნიერულ-თეორიული ცოდნა-განათლება აღრმავებს და აფართოვებს პროლეტარიატის კლასობრივ შემეცნებას, აძლიერებს მის კლასთა ბრძოლის ენერგიას და უფრო შეგნებულათ ამოძრავებს მას კაპიტალისა და, საზოგადოთ, ბურჟუაზიულ კლასის ბატონობის წინააღმდეგ. ჩვენის აზრით, მეტათ შემცდარია ზოგიერთა ფსევდო-მარქსისტების შეხედულება, რომლებიც უსაბუთოთ ამტკიცებენ, ვითომ თანამედროვე მუშათა კლასს არა სჭირდებოდეს მეცნიერული ცოდნა და თეორიული განათლება, რომ მისთვის საჭირო და აუცილებელია მხოლოდ ნების სიმტკიცის შემუშავება და თავ-გამოდებულ გრძნობის გაღვიძება. ამიტომ, თანამედროვე მუშათა კლასისათვის დიდმნიშვნელოვანია თეორია კი არა, როგორც ამას მართლ-მორწმუნე მარქსისტები ამტკიცებენ, არამედ ისტორიულ ღირსშესანიშნავ ფაქტების ცოდნა და გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიების კითხვაო. ყველა ეს ერთად აღებული კი ულვიძებს პროლეტარიატს ბრძოლის უნარს, ხასიათის სიმაგრესა და სხვა ამისთანებს, რაც კი საჭიროა მებრძოლ რევოლიუციონურ კლასისთვისო.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ პროლეტარიატი თავის კლასობრივ ხასიათის სიმტკიცეს თვით ეკონომიურ ცხოვრების ბრძოლაში იძენს, იქვე ანვითარებს მას, და ვინც ამ ბრძოლაში ვერას პოულობს, ის, რასაკვირველია, ორიოდე გამოჩენილ

პირის ბიოგრაფიის გადაკითხვით თავ-განწირულ მებრძოლათ და გულად გმირათ ვერ გახდება. კლასთა ბრძოლის გონივრულათ წარმოებისათვის მუშათა კლასს, უმთავრესათ, თავის მდგომარეობის **შეგნება** აკლია; მას კარგათ არა აქვს გათვალისწინებული თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, ისტორიული დანიშნულება, ე. ი. მას აკლია თანამედროვე ცხოვრების თეორიული შეგნება — ეკონომიური შემეცნება. პოლიტიკურ-ეკონომიური სწავლა, — ეს ის სამეცნიერო დარგია, რომლის მეოხებითაც მას თვალ-წინ ეშლება ბურჟუაზიულ წარმოების კანონები, კლასთა შორის დამოკიდებულება და მთელ კაპიტალისტურ წეს-წყობილების სრული უვარგისობა. მარქსი მუდამ იმ აზრისა იყო, რომ მუშათა კლასს აუცილებლათ პოლიტიკურ-ეკონომიური ცოდნა ესაჭიროება და სისწორ-სიმართლითაც შეუძლიან შეითვისოს იგი.

ამ ნახევარ საუკუნის წინათ, სახელდობრ, 1850 წელს, ლონდონის სამკერვალოს ერთმა მუშამ მარქს-ენგელსის „ახალ რეინის გაზეთში“ გრძელი წერილი მოათავსა ლონდონის მკერვალ მუშათა მდგომარეობისა და მსხვილ და წვრილ სამკერვალოებს შორის ბრძოლის შესახებ. რედაქციამ წერილს მეტათ საგულისხმო შენიშვნა გაუკეთა და ღირსეულათაც დააფასა იგი.

„თუმცა ამ წერილის დამწერი, — ამბობს რედაქცია, — უბრალო მუშაა, მაგრამ გერმანიის ურიცხვ ბურჟუაზიულ მწერალთა შორის არ გამოვა არც ერთი მეცნიერ-ეკონომისტი, რომელსაც შესძლებოდა ასეთის სინამდვილითა და სისწორით გაეთვალისწინებია მთელი ლონდონის მკერვალთა მოძრაობის ნამდვილი მიზეზები“...

„ვიდრე პროლეტარიატი ბარიკადებზე და ბრძოლის ველზე გაიმარჯვებდეს, — ამბობს ქვევით იგივე რედაქცია, — იგი მთელ რიგ **ინტელექტუალურ** გამარჯვებათა ბრწყინვალებით შეიმოსება“.

როგორც სჩანს, პროლეტარიატს უკეთესათ შეუძლიან

ეკონომიურ ურთიერთობის სინამდვილით გაგება და ელტვის კიდეც მის მეცნიერულათ შესწავლას. თვით მარქსიც, როგორც იგივე ლონდონელი მკერვალი მუშა ამბობს, მთელ თავის მეგობრებისა და მახლობელ ამხანაგ მუშების ყურადღებას, უმთავრესათ, **პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლისაკენ** მიაქცევდა.

და მართლაც, ვისაც კი უნდა, რომ პროლეტარიატის კლასთა ბრძოლას მეცნიერულათ გაეცნოს, მეცნიერულათ შეითვისოს იგი, იმისთვის პოლიტიკური ეკონომია, პოლიტიკურ-ეკონომიური ცოდნა—ალფა და ომეგა (თავი და ბოლო) უნდა იყოს, უამისოთ მას არ შეუძლიან აწმყო ცხოვრების მთელ საიდუმლოებათა გაგება.

როგორცა სჩანს, პოლიტიკურ-ეკონომიური ცოდნა-განათლება მუშათა კლასისათვის მეტათ საჭირო და სასარგებლო ყოფილა, ვინაიდან იგი მეტათ ხელს შეუწყობს პროლეტარიატის გათვითცნობიერებას, მაგრამ ერთობ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მუშათა კლასი საჭირო პოლიტიკურ-ეკონომიურ ცოდნას პირდაპირ ბურჟუაზიულ იდეოლოგების პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერებიდან გადმოიტანდა, მით ისარგებლებდა, იმით გამოიკვებებოდა.

დღეს პოლიტიკური ეკონომია, როგორც სხვა სოციალური მეცნიერება, ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ მოდგმისაა, კლასობრივ ინტერეს-სურვილების გამომხატველია, კლასობრივ თვალსაზრისით არის დაწერილი. მაშასადამე, ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიის იმ სახით შესწავლა, რა სახითაც იგი მათ იდეოლოგებს დაუწერიათ, მუშებისათვის მეტათ მავნებელი იქნებოდა. გარდა ამისა, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია საფუძვლიანათ და თანდათანობით, დალაგებით არ იკვლევს თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებას, ეკონომიურ მოვლენებს, ისინი ჩვეულებრივ პოლიტიკოსები უფრო არიან, ვიდრე ეკონომისტები, ისინი, უპირველეს ყოვლისა, სახალხო ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებენ და არა თეორიას; ეკონომიურ ცხოვრე-

ბას კლასობრივ შეხედულობით სჭვრეტენ და ზურგს აქცევენ მის ობიექტივურ მხარეებს.

აი, ასეთია ბურჟუაზიული პოლიტიკური მეცნიერება, ხოლო უფრო ცუდი და მეტათ უსარგებლოა ხსენებულ პოლიტიკურ ეკონომიის სახელმძღვანელოები: მათში არ მოიპოვება არც ერთი სწორე და ჭეშმარიტი კრიტერია, უვარგისია მისი ანალიზი, ეკონომიურ ურთიერთობათა განხილვა, გამოუსადეგარია კვლევითი მეთოდი და სხვა, და სხვა...

თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, რომელიც კი წამოუყენებია ყოველ-დღიურ ცხოვრებას, ბურჟუაზიული მეცნიერები გასაგების ფორმებით ცდილობენ თავიანთ პოლიტიკურ-ეკონომიურ სახელმძღვანელოებში გაარჩიონ, გაარკვიონ, ასე თუ ისე პასუხი გასცენ და კითხვები მოკლეთ და მარტივათ გადასჭრან, მაგრამ ამაოთ; აქაც, რაციონალურ თვალსაზრისისა და მეთოდის უქონლობისა გამო, მიზანს ვერ აღწევენ, კითხვებს სისწორით ვერა სწყვეტენ, ეკონომიურ ცხოვრების განვითარების შესახებ ნათელსა და გარკვეულ შეხედულებას ვერ იძლევიან.

მაშასადამე, დღეს, თანამედროვე პირობებში, პროლეტარიატისათვის, ასე ვთქვათ, ნამდვილი მისწრებაა მარქსისტულ თვალსაზრისით დაწერილი სახელმძღვანელო, საცა სრულის სინამდვილით იქნება განხილული ეკონომიურ ცხოვრების მოვლენები, მარქსის ძირითადი პრინციპები, და რომელიც ხელში მოგვცემს ერთგვარ მეთოდს, რომლის საშუალებითაც უბრალო მკითხველსაც კი შეეძლება ამა თუ იმ ეკონომიურ მოვლენის ახსნა-განმარტება.

რამდენათაც კი ჩვენ გავცნობილვართ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას, ა. ბოგდანოვის პოლიტიკურ ეკონომიის სახელმძღვანელო ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოთ უნდა ჩაითვალოს ყველა სხვა მარქსისტულ სახელმძღვანელოებში. მთელს თხზულებაში თავიდან ბოლომდე დალაგებით, სასტიკის თანდათანობით დაცულია მარქსისტული მეთოდი, მარ-

ქისტური თვალსაზრისი. მართალია, მკითხველი აქა-იქ შეხვდება გამრუდებულ აზრებს, მაგრამ ეს პაწია ნაკლი ვერ დაჩრდილავს წიგნის საერთო ღირსებას.

ა. ბოგდანოვის პოლიტიკურ ეკონომიაში ყოველი ნაბიჯი ეკონომიურ განვითარებისა, დაწყებული კაცობრიობის უხსოვარ დროიდან და გათავებული მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებით,—ყველაფერი გასაგებათა და დაწვრილებით არის განხილული. ამასთან, წიგნი დაწვრილებით იძლევა მარქსის სწავლა-მოძღვრების ძირითად მცნებებს, მის სწორე კრიტერიებს (ჭეშმარიტების ძიების სწორი საზომი), რომლის საშუალებითაც სულ ცოტათ მოაზროვნე მუშასაც კი შეუძლიან ყოველ ეკონომიურ მოვლენის სისწორით განხილვა, სინამდვილით წარმოდგენა და გაგება.

მართალია, წიგნი მეტის-მეტათ მშრალათ და განყენებულათ არის დაწერილი, რაიცა მკითხველს, ასე თუ ისე, უძნელებს შინაარსის გაგებას, მაგრამ თუ ჩვენი მუშები სერიოზულათ მოეკიდებიან ამ წიგნს, განსაკუთრებულ კითხვის ტექნიკას შეიმუშავებენ, ჯგუფ-ჯგუფათ იმეცადინებენ, ან-და უფრო მომზადებულ ადამიანის ხელმძღვანელობით იკითხავენ,—ჩვენა გვგონია, რომ ეს ნაკლიც ადვილათ დაძლეული იქნება და, ამგვარათ, ეს გამოცემა დიდ სარგებლობას მოუტანს ქართველ მუშათა კლასს, რომლისთვისაც იგი ხელიდან გაუშორებელი წიგნი შეიქნება.

შ.

ა. ბოგდანოვი.

# მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა

თარგმანი ი. ცდობილისა.

ა. რაჟდენიძის და შვარცის რედაქციით

„გამოცემა ამხ. „ალიონი"-სა № 1.

ტფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „ცისკარი", ველიამინოვის ქ. № 6.
1909

ვუძღვნი

ეგნატე ნინოშვილის

ხსოვნას

მთარგმნელი.

# საზოგადო ცნებები.

## 1) ეკონომიურ მეცნიერების განმარტება.

კაცობრიობის განვითარების პროცესში ადამიანთა ბრძოლა არსებობისათვის სულ უფრო და უფრო **შეგნებულ** და **საზოგადოებრივ** ხასიათს იღებს.

შეგნებული ბრძოლა არსებობისათვის, ანუ **შრომა** ეწოდება ადამიანის ენერგიის, ძალ-ღონის დახარჯვას განსაზღვრული, წინდაწინ გათვალისწინებული მიზნის მისაღწევათ. ასეთი მიზანი ყოველთვის ერთია: სახელდობრ, ადამიანის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება. და ამ მოთხოვნილების ხასიათით განისაზღვრება თვით შრომის ხასიათი. თუ საქმე ეხება **მხოლოდ** მშრომელის **პირად მოთხოვნილების** დაკმაყოფილებას, ეს იქნება შრომა „ინდივიდუალურათ სასარგებლო“. ასეთია მაგ., ადამიანის შრომა, როცა ის სჭამს ან იცვამს. ამგვარ შრომასთან ეკონომიურ მეცნიერებას არავითარი საქმე არა აქვს. მას აინტერესებს მეორე გვარი შრომა—„საზოგადოებრივ-სასარგებლო“, ე. ი. ისეთი, რომელიც ემსახურება არა მარტო მშრომელის პირად მოთხოვნილებას, არამედ საზოგადო საჭიროებას,—სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის, რომელსაც მშრომელიც ეკუთვნის. შეგნებულათ ცდილობს ადამიანი, რომ სარგებლობა მოუტანოს სხვა ადამიანებს, თუ მისი მოქმედება მისდაუნებურათ, მისი პირდაპირი მიზნის გარეშეც, სასარგებლო გამოდის,—ეს სულ ერთია. მონა, რომელიც შრომობს მხოლოდ იმისთვის, რომ პატრონის ჯოხი გადიშოროს, ან დაქირავებული მუშა,—რომლის მიზანია შიმშილით სიკვდილისაგან იხსნას თავი, ორივე საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომას ეწევა. მათ შრომას

„საზოგადოებრივ—სასარგებლო“ ქვია იმიტომ, რომ მიუხედავათ კერძო მიზნისა, ის ფაქტიურათ ხელს უწყობს სხვა ადამიანების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ეკონომიური მეცნიერება არ ეხება თვით ამ მოთხოვნილების ხასიათს და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას უწოდებს ყოველ შრომას, რომელიც სჭირია საზოგადოებას, სულ ერთია, მის არსებით მოთხოვნილებას აკმაყოფილებს იგი თუ მეორე ხარისხოვანს, ბუნებრივს თუ ხელოვნურს: მიწათ მოქმედის და მეჯავარის, მასწავლებელის და მოსამსახურის შრომა ამ მხრით არაფრით არ განირჩევა ერთმანეთისაგან; ისინი თანასწორათ ჩაითვლებიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომათ, თუ კი სხვა ადამიანების მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ.

„საზოგადოებრივ—სასარგებლო“ შრომის ნაცვლად იმავე აზრით ჩვენ ვიხმართ ტერმინს „წარმოება“.

რა არის წარმოება?

წარმოება არის ადამიანის ბრძოლა გარეშე ბუნებასთან. ამ ბრძოლაში, ე. ი. წარმოების პროცესში, მეცნიერება არჩევს ორ მხარეს: ტეხნიკურს და საზოგადოებრივს.

ბუნებასთან ბრძოლაში ადამიანი პირდაპირ მოქმედებს ბუნებაზე, და მისივე ძალების და საგნების საშვალებით (სამუშაო იარაღებით) ახდენს მასში თავის სასარგებლო ცვლილებებს. ეს არის პირდაპირი დამოკიდებულება მშრომელისა ბუნებასთან. მაგ., როცა ადამიანი ხნავს გუთან-სახნისით, ჰრის ხე-ტყეს ნაჯახ-ცულით, ადნობს რკინას ქურაში, სჭედს მას გრდემლზე და სხ.—ესაა წარმოების ტეხნიკური მხარე. და ამის შესწავლა ტეხნიკური (მექანიკა, ტეხნოლოგია) და საბუნებისმეტყველო (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიას მეცნიერების საქმეა.

წარმოების საზოგადოებრივ მხარეს კი შეადგენენ ის ურთიერთობანი, რომელიც არსებობს წარმოების დროს ადამიანთა შორის. **ძირითადი** და **საყოველთაო** თვისება საწარმოვო ურთიერთობისა ნათლათ იხატება თვით სახელწოდებაში:

„საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა". ეს სახელწოდება აღნიშნავს იმას, რომ ადამიანები შრომობენ ერთმანეთისთვის და მთელი საზოგადოებისთვის, მაშასადამე მათ შორის მოკავშირის, თანამოზიარობის ურთიერთობა ყოფილა ბუნებასთან ბრძოლაში. ეს საყოველთაო ურთიერთობა სხვა და სხვა შემთხვევაში სხვა და სხვა ფორმას იღებს; ამათში უმთავრესია შემდეგი ფორმები: **უბრალო თანამშრომლობა**, როცა მუშები ერთათ ასრულებენ ერთდაიმავე სამუშაოს (ხვნენ, მკიან და სხ.); **შრომის განაწილება**, როცა თითოეული მუშა საწარმოო პროცესის მხოლოდ ერთ რომელიმე ნაწილს ასრულებს (მაგ., ერთი ჰრის, მეორე კერავს, მესამე აუთოებს და სხ.); **დაქვემდებარება** (შრომის განაწილების კერძო შემთხვევა), როცა ერთი ადამიანი მუშაობს მეორის ჩვენებით, ასრულებს მის ბრძანებას.

ეკონომიურ მეცნიერების საგანს შეადგენს მხოლოდ ეს ურთიერთობა ადამიანებ შორის, ე. ი. წარმოების საზოგადოებრივი მხარე და არა ტეხნიკური, ანუ ადამიანის დამოკიდებულება გარეშე ბუნებასთან.

მეცნიერებაში დიდი ხნიდან ფეხი მოიკიდა საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომის გაყოფამ „მწარმოებელ" და „არამწარმოებელ" შრომათ. მწარმოებელი შრომა ეწოდება ისეთს, რომელიც ქმნის ნივთიერ სასარგებლო საგნებს, მაგ., ფაბრიკის მუშის შრომა. არამწარმოებელი კი ქვია ისეთს, რომელიც ნივთიერ ნაყოფს არ იძლევა, მაგ., ლექტორის შრომა. ასეთ მოუხეშავ გაყოფით მაგ., გადაზიდვაზე დახარჯული შრომა მიუხედავათ იმისა, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ნივთიერ ცხოვრებაში, მაინც არამწარმოებელ შრომათ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ასეთი გაყოფა მეცნიერულათ ვერ ჩაითვლება. შეიძლება მას სხვა ფორმულიროვკა მივცეთ, რომელიც მეცნიერული მხრით უფრო დამაკმაყოფილებელი იქნება: მწარმოებელ შრომათ თვლიან ისეთ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, რომელსაც რაიმე მატერიალური ცვლილება შეაქვს გარეშე ბუნებაში. მაშინ ისეთი წინააღმდეგობები აღარ გვექნება, რო-

გორც ზემოთ მოყვანილ მაგალითშია გადამხადველ მრეწველობის შესახებ. მარა მაშინ თვით გაყოფაც ისპობა. მაშინ ყოველი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა მწარმოებელ შრომათ უნდა ჩავითვალოთ, რადგან ვერავითარი შრომა საზოგადოებრივ სასარგებლოთ ვერ გახდება, თუ ის მატერიალურათ არ გამოისახა, მატერიალური ცვლილება არ შეიტანა გარეშე ბუნებაში: მწერლის შრომა მოქმედებს ადამიანის გრძნობა-გონებაზე მხოლოდ ხელთნაწერის ან წიგნის შემწეობით, რომელიც ნივთიერ საგანს წარმოადგენს; ლექტორის შრომა სასარგებლო ხდება მსმენელთათვის მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სმენამდე აღწევს ლექტორის მიერ გამოწვეული ბგერათა ტალღები, ე. ი. ნივთიერი ცვლილებები ატმოსფერაში და სხვ. და სხვ.

შრომის გაყოფა მწარმოებელ და არამწარმოებელ შრომათ დიდ როლს თამაშობდა წინეთ მეცნიერებაში. ეკონომიკის ფარგლებში ათავსებდენ მხოლოდ იმ ურთიერთობებს ადამიანთა შორის, რომელნიც „მწარმოებელ შრომის“ სფერაში წარმოიშვენ. კიდეც რომ მოხერხდეს ამნაირ განსაზღვრის საკმაოთ სწორი და ნათელი ფორმულის შედგენა, მაინც ძლიერ საეჭვოა, რომ ის მეცნიერებისთვის სასარგებლო დარჩეს მოვლენათა კანონ-წესიერების გამოკვლევისათვის. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ძველ დაყოფას მეტის-მეტი სათუო ხასიათი აქვს, არამედ იმიტომაც, რომ ამით წმინდა საზოგადოებრივ მეცნიერებაში, რომელიც იკვლევს **ადამიანების** ურთიერთობას, შემოდის სრულიად უცხო გარეშე თვალსაზრისი: მის საზღვრებს ფარგალი ქველება ნივთების ბუნებრივ თვისებებისა, ე. ი. მათი „ნივთიერობისა“ თუ „არა ნივთიერობის“ მიხედვით. მაშინ, როდესაც ადამიანების ურთიერთობას საზოგადოებრივ შრომაში შეიძლება სრულიად ერთი და იგივე ფორმა ქონდეს, როგორც ნივთიერ, ისე არა ნივთიერ საგნების წარმოების დროს. ესეც არ იყოს, რომელი მეცნიერება იღებს თავის თავზე, გარდა ეკონომიურისა, გამოიკვლიოს შრომის თანამოზიარობა, რომელიც აკავშირებს არა მწარმოებელ მუშაკებს ერთი მეორესთან და „მწარმოებელ“ მომუშავეებთან?

წარმოების საზოგადოებრივ მხარესთან განუყოფლათ შე-

კავშირებულია და თითქო მის გაგრძელებას წარმოადგენს— განაწილება.

პირადი მოხმარა ეკონომიურ მეცნიერების გარეშე სდგას, რადგან ეს უკანასკნელი საზოგადოებრივი მეცნიერებაა. ის წარმოადგენს ფიზიოლოგიის ე. ი. ორგანიზმზე სწავლის საგანს. მაგრამ წარმოების პროცესი საზოგადოებისთვის სასარგებლო ვერ გახდება, უკეთუ მისი ნივთიერი თუ არა ნივთიერი ნაყოფი ამა თუ იმ საშუალებით არ **განაწილდა** საზოგადოების წევრებ შორის მათ პირად მოსახმარათ. ამნაირათ საზოგადოებრივ წარმოებასა და პირად მოხმარის შორის სდგას განაწილება, ე. ი. ისეთი საზოგადოებრივი პროცესი, რომლის საშვალებითაც შრომის ნაყოფი მომხმარებელის ხელში გადადის.

განაწილების პროცესი ერთიანათ ადამიანთა შორის სხვა და სხვა ურთიერთობისაგან შესდგება. ამ ურთიერთობის ბუნება ყველგან ერთი და იგივეა: განსაზღვრულ მომენტიდან კერძო პიროვნება „თავისათ“ თვლის საზოგადოებრივ შრომის ნაყოფს, ე. ი. თავის სურვილისამებრ ხმარობს მას და საზოგადოების სხვა წევრები ამას არ ეწინააღმდეგებიან.

განაწილების კერძო ფორმები შეიცავენ ორ უმთავრეს ტიპს: პირველია, პირდაპირი ანუ **მოწესრიგებული** განაწილება, როცა ერთი ნება, ერთი გადაწყვეტილება კერძო პირის ან საზოგადოებისა საზღვრავს თითეული პირის წილს საზოგადოებრივ ნაწარმოებში. ასეა, მაგ. როცა მიწათმფლობელი ითვისებს მთელ ნაწარმოებს და შემდეგ უწილადებს თავის მონებს იმდენს, რამდენიც აუცილებლათ საჭიროა მათი არსებობისათვის, ან როცა საგვარეო თემის საბჭო ანაწილებს თემის წევრთა შორის მოსახმარ საგნებს.

მეორეა—განაწილება არაპირდაპირი, ანუ **მოუწესრიგებელი**, ანუ ცვლა, როცა საზოგადოებრივი ნაწარმოები ერთი კაცის ხელიდან მეორეში გადადის ცვლის შემწეობით, ასე რომ ის ხან ერთის საკუთრებას შეადგენს, ხან მეორი-

სას, სანამ ბოლოს მომხმარებლამდე მიაღწევდეს. მაგ., ყიდვა-გაყიდვის საშუალებით ნაწარმოები მეფაბრიკესაგან სოვდაგრის ხელში გადადის, სოვდაგრიდან (ნარდათ მოვაჭრიდან) წვრილ ვაჭრის ხელში და ამ უკანასკნელიდან კი ნამდვილი მომხმა-რებელი ყიდულობს.

ჩვეულებრივათ, სწავლა ცვლაზე და სწავლა განაწილებაზე გა-მოცალკევებულია ერთმანეთისაგან, როგორც დამოუკიდებელი ნაწი-ლები ეკონომიური მეცნიერების. მარა საამისოთ საკმაო საბუთი არ არსებობს. გაცვლა არის ერთი ისტორიული ფორმათაგანი განაწი-ლების. იგი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ჩნდება და გაქრება შემდეგ საფეხურზე.

ამნაირათ, თუ გვინდა სისწორით განვსაზღვროთ ეკო-ნომიურ მეცნიერების სფერა, უნდა ვთქვათ, რომ ეს არის მეცნიერება, რომელსაც საგნათ აქვს განიხილოს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოებასა და განაწილე-ბაში.

არსებითათ სრულიად საკმარისი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს საწარმოვო ურთიერთობას. რადგან განაწილებას ეკონომიური მეცნიერება მხოლოდ იმდენათ ეხე-ბა, რამდენათაც იგი განუყოფელათ დაკავშირებულია წარმოებასთან, რამდენათაც იგი წარმოადგენს მის, ასე ვთქვათ, მეორე მხარეს. თუ, მაგ., ერთ კლასს ეკუთვნის საწარმოვო იარაღები და მასალები, მე-ორეს კი მხოლოდ სამუშაო ძალა, ეს არის ურთიერთობა განაწილე-ბის სფერაში, მარა იმავე დროს ეს არის საწარმოვო ურთიერთობა, რადგან ეს მაჩვენებელია იმის, რომ პირველი ბატონობს მეორეზე შრომის პროცესში. საზოგადოთ განაწილება, რომელსაც იკვლევს ეკონომიური მეცნიერება, არის განაწილება წარმოების პირობების, ასე რომ ეს ორი ურთიერთობა ნამდვილათ ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ წარმოადგენენ რა-იმე მუდმივს, უცვლელს; პირ-იქით, ისინი განუწყვეტლივ იცვლებიან, როგორც ყოველივე ამ ქვეყნათ. მათ ცვალება-

დობაში იხატება პროგრესი ან რეგრესი, საზოგადოებრივ ძალთა ზრდა ან დაცემა, საზოგადოების გამარჯვება ბუნებაზე, ან ბუნების გამარჯვება საზოგადოებაზე. იყო დრო, როცა ადამიანები ცხოვრობდენ პატარ-პატარა, მჭიდროთ შეკავშირებულ თემებათ, რომელნიც დამოუკიდებელნი იყვენ ერთმანეთისაგან. მაშინ საწარმოო ურთიერთობაც მეტათ ვიწრო და მარტივი იყო, განაწილება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ნაშოვნს პირდაპირ იყოფდენ: ახლა ადამიანის საზოგადოებები უზომოთ დიდი არიან და ეკონომიური ურთიერთობანი მეტის-მეტათ რთულია; მაგრამ წარსულსა და აწმყოს შორის მაინც გაბმულია ჯაჭვი თანდათანობითი განვითარებისა. იყო შემთხვევა, როცა საზოგადოების ძალა ეცემოდა ბუნებასთან ბრძოლაში, ფართე საზოგადოებრივ ურთიერთობის ძაფები წყდებოდა. აქ მეცნიერების წინ სდგას განუწყვეტელი ცვლილებები სხვა მხრით, აქ მან უნდა განიხილოს არა თანდათანობა განვითარების, არამედ თანდათანობა დაშლის, დაცემის, დეგრადაციის. მეცნიერების ინტერესიც სწორეთ ამ განვითარებისა და დეგრადაციის შესწავლაა, იმიტომ რომ მეცნიერება ადამიანის ერთი იარაღთაგანია ბუნებასთან ბრძოლაში.

ახლა ჩვენ შეგვიძლია დავამთავროთ ეკონომიურ მეცნიერების დახასიათება. **ეს არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს საწარმოვო და განაწილების ურთიერთობებს მათი ცვლილების პროცესში, ე. ი. განვითარების და დეგრადაციის პროცესში.**

## წ ა რ მ ო ე ბ ა.

დავიწყოთ საზოგადოთ წარმოების ზოგიერთი ძირითადი კითხვების გამორკვევიდან და ჯერჯერობით ნუ გამოვყოფთ ერთმანეთისაგან მის ტეხნიკურ და საზოგადოებრივ მხარეებს.

ეს ძირითადი კითხვები თავისთავათ აღნიშნულია მით, რომ ჩვენ განვმარტეთ წარმოება, როგორც საზოგადოებრივ-

სასარგებლო შრომა. შრომა არის ადამიანის ენერგიის დახარჯვა განსაზღვრული მიზნით. ცხადია ყველაზე უწინ უნდა გამოირკვეს შემდეგი:

პირველათ, რა მიზნით და რა მხრით იხარჯება ენერგია (ე. ი. თვისება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის).

მეორეთ, რამდენათ დიდია ეს ხარჯი (რაოდენობა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა)?

მესამეთ, რამდენათ აღწევს იგი თავის მიზანს („ნაყოფიერება“ ანუ „სარფიანობა“ შრომისა)?

## ა) თვისება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა.

როცა ერთი ადამიანი ამუშავებს მიწას, მეორე ლითონებს, მესამე მასწავლებლობს და სხვ. თითოეული მათგანი თავის კერძო მოქმედებაში თავის განსაკუთრებულ, პირდაპირ მიზნის მიღწევას ცდილობს და თავის ენერგიას სულ სხვა მხრივ ხარჯავს, ვინემ მეორე. შრომის ეს სხვა და სხვა მიმართულება, მისი სხვა და სხვა მხრივი დახარჯვა წარმოადგენს შრომის სხვა და სხვა „თვისებას“.

შრომის თვისება, ე. ი. მისი მიმართულება, თვითეულ კერძო შემთხვევაში დამოკიდებულია სამი პირობისაგან. პირველია მშრომელის მოთხოვნილება, მისი ლტოლვილება; მეორე—შრომის ის გარეშე გარეშე საშუალებები, რომელნიც მშრომელს მოეპოვება; მესამე—მისი სამუშაო ძალა. ველურის მოთხოვნილებას ის შეადგენს, რომ დაიფაროს სხეული სიცივისაგან; ამ მიზნის მისაღწევათ ის პოულობს გარეშე ბუნებაში წვეტიან, მახვილ ქვას და თბილ ქურქიან ნადირს. ველურის ორგანიზმს შეუძლია, უნარი აქვს, რომ სწრაფათ და მარჯვეთ შეასრულოს მარტივი მოძრაობა, როგორიცაა ნიშანში მოხვედრება. როცა ეს სამი ელემენტი ვიცით, ადვილი გამოსარკვევია იმ შრომის თვისებები, რომელსაც ველუ-

რი შეასრულებს: მისი შრომაა—პირველყოფილი ნადირობა მხეცებზე თბილი ქურქის მოსაპოებლათ.

ეკონომიური მეცნიერება ეხება მხოლოდ წარმოებას, ე. ი. საზოგადოებრივ შრომას. ამიტომ აქ გამოთქმული აზრი კერძო კაცის შესახებ საზოგადოებისათვის შემდეგ ფორმულაში უნდა გამოიხატოს: საზოგადოებაში სხვა და სხვა პირთა შრომა დამოკიდებულია სამი პირობისაგან: საზოგადოებრივ მოთხოვნილების, წარმოების საზოგადოებრივ საშვალების და საზოგადოების სამუშაო ძალთა სისტემისაგან.

საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ხასიათი და რაოდენობა დამოკიდებულია საზოგადოების წინანდელ განვითარებაზე. ევროპის საზოგადოებას გაცილებით უფრო რთული და სხვა და სხვა გვარი მოთხოვნილებები აქვს, ვინემ პაპუასებს. რამდენათაც ვითარდება საზოგადოების ძალა ბუნებასთან ბრძოლაში, იმდენათ იზრდება მისი მოთხოვნილებებიც.

წარმოების საშვალებებს შეადგენენ ის მასალები და იარაღები, საერთოთ გარეშე ბუნების ის ელემენტები, რომლებზედაც მიმართულია ადამიანების შრომა. ზოგიერთ შემთხვევაში წარმოების საშვალებებს პირდაპირ მზამზარეულს ვპოულობთ ბუნებაში; ასეთია ხეები პირველ-ყოფილ ტყეებში ხის მჭრელთათვის, რკინის მადანი მადნის მომუშავეთათვის, მახვილ პირიანი ქვა ველურ მონადირეთათვის და სხ... ზოგ შემთხვევაში კი მწარმოებელი ხმარობს მასალათ წინანდელი შრომით დამუშავებულ ბუნების ელემენტებს, მაგ. მაღაროდან ამოღებულ რკინას, მანქანას და სხ... ამ უკანასკნელ შემთხვევას ადგილი აქვს, საერთოთ რომ ვსთქვათ, უფრო რთულ, განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფ საზოგადოების წარმოებაში.

„მასალასა" და იარაღს" შორის არსებულ განსხვავებას რამდენიმეთ მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ მეცნიერებისათვის. არაიშვიათათ შეხვდებით ასეთ ყალბ სიტყვიერ განსაზღვრას: „მასალაა ის, რასაც ამუშავებენ, იარაღია ის, რითაც ამუშავებენ". ეს კი ნიშნავს

იმის თქმას, რომ მასალა—მასალაა, იარაღი კი—იარაღია. პრაქტიკული განსხვავება ამ ორ საწარმოო საშუალებათა შორის მდგომარეობს შემდეგში: მასალა მხოლოდ წარმოების ერთ პროცესში მონაწილეობს და იმდენათ იცვლება, რომ მას ვეღარ იცნობთ. იგი აღარ არის ის, რაც წინეთ იყო და არც შეიძლება მისი **წინანდებურათ** მოხმარა. მაგ., ბამბა თუ ერთხელ დაირთო, მისი ხელმეორეთ დართვა ყოვლად შეუძლებელია. ნახშირი თუ ერთხელ დაწვით, მისი ხელმეორეთ დაწვა აღარ შეიძლება, რადგან ის ნახშირი აღარ არის, არამედ ნაცარია. იარაღი კი, პირიქით, ერთხელ ნახმარი მეორედაც გამოდგება იმავე მიზნისათვის. მარა ამ განმეორებით ხმარებასაც, რა თქმა უნდა, საზღვარი აქვს. მანქანა, რომელმაც დღეს დართო განსაზღვრული წონა ბამბა, ხვალაც დაართავს ამდენსავე და ზეგაც, სანამ არ გაცვეთება. გაცვეთის შემდეგ კი ისიც ისპობა. ამნაირათ, მასალა მხოლოდ **ერთხელ** იხმარება წარმოებაში, იარაღი კი **მრავალჯერ**.

მესამე ელემენტი, რომელიც საზღვრავს მუშის საზოგადოებრივი შრომის „თვისებას“,—ესაა საზოგადოების სამუშაო ძალთა სისტემა. ამით ჩვენ ავღნიშნავთ საერთოთ საზოგადოების ყველა მუშა ძალებს და მათ შორის არსებულ ურთიერთობას. პირველ ყოფილ საზოგადოებას, რომელიც რამდენიმე ათეული კაცისაგან შესდგებოდა, არ შეეძლო სხვა და სხვა გვარის და თვისების შრომა განევითარებია, როგორც ეს შესძლო შემდეგმა უფრო მრავალ რიცხოვანმა საზოგადოებამ. პირველ ყოფილ საზოგადოებაში თითქმის არც კი არსებობს რაიმე „სპეციალობა“. ერთის შრომა ძალიან მცირეთ განირჩევა მეორის შრომისაგან. თანამედროვე საზოგადოების განვითარებულ წარმოებაში კი სხვა და სხვა ,,სპეციალობათა'' რიცხვი ათასობით ითვლება.

მაშ ასე, არსებობს „თვისებით“ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი შრომა, სხვა ნაირათ რომ ვსთქვათ, საზოგადოებრივ—სამუშაო ენერგია სხვა და სხვა მიზნით და სახით იხარჯება ბუნებაში, მაგრამ ადამიანს მაინც შესაძლებლათ მიაჩნია სრულიად სხვა და სხვა სახის შრომის შედარება რაოდენობის

მხრივ. მეჩექმის შრომა სხვაგვარია, მჭედლის სხვაგვარი, მარა კაცი მაინც ამბობს: ესა და ეს მჭედელი მეტს შრომობს, ვინემ ეს მეჩექმე, ეს წიგნი მეტი შრომა დაჯდა, ვინემ ის მანქანა და სხვა. და ეს სრულიად ბუნებრივია, იმიტომ რომ ყოველივე შრომა საერთოთ არის დახარჯვა ადამიანის ტვინის, ნერვების, მუსკულების, და სისხლის ნაწილების, ელემენტების, და ამ დანახარჯის შედარება მეორე დანახარჯთან ყოველთვის შეიძლება მიუხედავათ იმისა, თუ საითაა ის მიმართული და რა საქმეზეა დახარჯული, ხისა თუ რკინის დამუშავებაზე. ამ გვარათ, ჩვენ წინ დგება ახალი კითხვა — საზოგადოებრივი **შრომის** რაოდენობის შესახებ.

## ბ) რაოდენობა საზოგადოებრივი შრომისა.

1. საშრომო ენეგიის რაოდენობა, რომელსაც ხარჯავს საზოგადოება ბუნებასთან ბრძოლაში, განისაზღვრება პირველ ყოვლისა თვით საზოგადოების სიდიდით, მის მუშა ძალების რიცხვით. პირველ-ყოფილ კომუნისტურ საზოგადოებას, რომელიც შესდგება რამდენიმე ათეული ან ასეული კაცისაგან, თავისთავათ ცხადია, ასი ათას ჯერ და მილიონჯერ ნაკლები ენერგიის გამოჩენა უნდა შესძლებოდა, ვინემ მრავალ მილიონიან კაპიტალისტურ საზოგადოებას. მაგრამ იმ შრომის რაოდენობის გამოსაანგარიშებლათ, რომელიც საზოგადოებას შეუძლია გამოიჩინოს, საჭიროა საზოგადოების წევრთა საერთო რიცხვს გარდა მხედველობაში მივიღოთ ზოგიერთი სხვა პირობებიც.

საზოგადოების ყველა წევრს შრომის ერთნაირი ნიჭი არა აქვს. ბავშვები და მოხუცები ნაკლები მუშებია, ან სრულიად გამოუსადეგარი. ფიზიოლოგიის ცნობით ნორმალურ სამუშაო ჰასაკში უნდა ჩაითვალოს კაცი 15-დან 60 წლამდე. 25-დან 45 წლამდე ადამიანი იჩენს ყველაზე მეტ სამუშაო ენერგიას. ამ სახით, საზოგადოების შედგენილობა ჰასაკის მიხედვით ხან

მეტათ და ხან ნაკლებათ სასარგებლოა ბუნებასთან ნაყოფიერ ბრძოლისთვის. თუ სიკვდილი გახშირებულია საზოგადოებაში, მაშინ ხალხის მცირე ნაწილი აღწევს საუკეთესო საშრომო ჰასაკს და საზოგადოებაში ჰარბობენ ბავშვები ე. ი. არა მუშები. ასეთსავე შედეგს იძლევა გახშირებული დაბადება ბავშვებისა, რაც ჩვეულებრივ გახშირებულ სიკვდილის თანამგზავრია.

ავათმყოფი ცოტას მუშაობს ან სულ ვერ მუშაობს. ამიტომ მშრომელი ხალხის დასნეულება ამცირებს საზოგადოებრივი შრომის რაოდენობას. საზოგადოების მუშა-წევრთა სიკვდილის, დაბადების და დასნეულების მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია საერთოთ საზოგადოებრივ პირობებზე და პირველყოვლისა მუშათა ცხოვრების ნივთიერ მდგომარეობაზე. რამდენათ ცუდათ საზრდოობს მშრომელი ხალხი, რამდენათ მეტს მუშაობს, რამდენათ ცუდ ჰგიენურ პირობებში უხდება შრომა, მაგ., სახელოსნოებში, მით უფრო ხშირია მათ შორის ავათმყოფობა, მით უფრო ხან მოკლეა, ორთა შუა ანგარიშით, მათი სიცოცხლე. რამდენათ მოუწესრიგებელია ბავშვის შრომის შეერთება უფროსი ქალისა და კაცის შრომასთან, იმდენათ უფრო ხშირია ადრე დაქორწინების მაგალითები მშრომელთა შორის, რადგან მათ ნაადრევათ, მომწიფებამდე ითრევს სქესობრივი ცხოვრება. და რამდენათაც იმ საზოგადოებაში, რომელიც შრომის დაქირავებაზეა დამყარებული, მეტი ბავშვი ებმის წარმოებაში, იმდენათ უფრო სწრაფათ მრავლდება მშრომელი კლასები, რადგან ბავშვები მალე ანთავისუფლებენ მშობლებს მათზე ზრუნვისაგან და თითონ ირჩენენ თავის თავს.

შემდეგ, განსაზღვრულ წმინდა საზოგადოებრივ პირობების გამო, საზოგადოების ყველა წევრები, რომელთაც ფიზიკურათ არაფერი უშლით საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ასრულებას, არ ეწევიან ხოლმე ამ შრომას: ზოგს წარმოებაში მონაწილეობის მიუღებლათაც შეუძლია საზოგადო-

ებრივ ნაწარმოების განაწილებაში მონაწილეობა მიიღოს და ამიტომ მხოლოდ ინდივიდუალურ სასარგებლო შრომას ეწევა, ,,შრომას მოხმარებისას“ — ესაა პარაზიტული ელემენტები, მუქთა-ხორა ნაწილი საზოგადოებისა; ზოგიერთნი კი როგორც წარმოების, ისე განაწილების გარეშე რჩებიან — ესენია უმუშევარი მუშები... ორივე ჯგუფი ამცირებს ნამდვილ საზოგადოებრივ მუშათა რიცხვს, და ამით საზოგადოებრივ შრომის რაოდენობას.

2. იმ დროის სიგრძეს, რომელსაც მუშა ახმარს წარმოებას, თავისთავად ცხადია, დიდი გავლენა აქვს საერთოთ შრომის რაოდენობაზე. რამდენათ მეტი სამუშაო დღეა წელიწადში და მეტი სამუშაო საათი დღეში, პირველ შეხედვით მით უფრო მეტი უნდა იყოს საზოგადოებრივი შრომაც.

3. მაგრამ აქ ჩვენი გამოკვლევა აწყდება მესამე მეტათ მნიშვნელოვან პირობას — შრომის სიმძლავრეს, ინტენსივობას. ერთი საათის განმავლობაში მუშას შეუძლია მეტ-ნაკლები სამუშაო ძალა დახარჯოს, მეტ-ნაკლები შრომის ენერგია გამოიჩინოს რაოდენობის მხრივ. ვთქვათ, მუშაობს ორი მადნის მუშა ერთნაირი ხელსაწყოთი, ერთნაირი ცოდნა-უნარით, და, ამის მიუხედავათ, ერთი თხრის საათში ორ კუბიკურ არშინ მიწას, მეორე კი მხოლოდ ერთ კუბიკურ არშინს; რას ნიშნავს ეს? იმას, რომ პირველი მეტ საშრომო ენერგიას ხარჯავს, უფრო ინტენსივურათ მუშაობს, ვინემ მეორე.

საზოგადოებრივ შრომის რაოდენობა იმდენათ მეტია, რამდენათ ძლიერია მისი ინტენსივობა, სიმძლავრე. ეს კი დამოკიდებულია მრავალ, სხვადასხვა გვარ პირობებისაგან, რომლებიც საზოგადოებრივ განვითარების სიმაღლით განისაზღვრებიან.

შრომის ინტენსივობის პირველი და უმთავრესი პირობები უნდა ვეძიოთ თვით მშრომელის ორგანიზმში, — ესაა მისი **ძალ-ღონე, ჯანმრთელობა**, და ენერგიულ, განუწყვეტელ შრომის **შეჩვევა.**

ძლიერ გრძელი სამუშაო დღე არაქათს ართმევს მუშას, ვნებს მის ჯანს და ამგვარათ ამცირებს შრომის ინტენსივობას, სიმძლავრეს. აღმოჩნდა, რომ სამუშაო დღის შემცირებასთან ერთათ მატულობს შრომის რაოდენობა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, არ კლებულობს მაინც: 12 საათიანი სამუშაო დღე მეტ სამუშაო ენერგიას შეიცავს, ვინემ 14—15 საათიანი; 10 საათიანი მეტს—ვინემ 12 საათიანი. თუ ზოგიერთ ცნობებს მივიღებთ მხედველობაში, 8 საათიანი სამუშაო დღე საკმაოთ კარგ ცხოვრების პირობებში შრომის მეტ რაოდენობას შეიცავს, ვინემ 10 საათიანი. რომ ინტენსიური შრომისთვის აუცილებელია მიჩვევა, ეს საყოველთაოთ ცნობილი ფაქტია. უმთავრესათ ასეთი მიჩვევის განვითარებაა იმის მიზეზი, რომ ინგლისელი მუშების შრომას დიდი ინტენსივობა ეტყობა. ის იქ თაობათა მთელ რიგში ვითარდებოდა და თვითეული ახალი თაობა მას რამოდენიმეთ წინ სწევდა, წინანდელთან შედარებით.

მუშის ძალღონის ერთ არსებით ელემენტს შეადგენს იმისი „ინტელიგენტობა“, თუმცა ამას, პირველ შეხედვით, არც კი აქვს თვალსაჩინო გავლენა შრომის ინტენსივობაზე, სიმძლავრეზე.

ყოველივე შრომა არის, პირველ ყოვლისა, დახარჯვა **ნერვიულ** ენერგიისა. უმაღლეს „ინტელიგენტობას“ კი პირდაპირი კავშირი აქვს ნერვიულ სისტემის განვითარებასთან; ეს განვითარება იმაში მდგომარეობს, რომ ნერვებს შეუძლია მეტი ენერგია გამოიჩინონ. ამიტომ შენიშნულია, რომ მუშათა კლასის დაბალ „ინტელიგენტობასთან“ ერთად მათი საშუალო შრომაც ნაკლებ ინტენსიურია. უმაღლეს „ინტენსივობას“ იჩენენ ამერიკელი მუშები, რომელნიც გონებრივი განვითარებით ძლიერ მაღლა დგანან სხვა ქვეყნის მუშებზე; შემდეგ მისდევენ ინგლისელები. რუსები შესამჩნევათ ჩამორჩენ ამ მხრივ ევროპიელებს: ჩინელები კი რუსებზედაც დაბლა დგანან.

შრომის ინტენსივობის მეორე გვარ პირობებს წარმოადგენს წესი წარმოებისა. მაგ., მანქანურ წარმოებაში მუშა ემორჩილება მანქანას და იძულებულია მუდამ მას მიჰყვეს, ამიტომ

აქ შეიძლება შრომის ინტენსივობის გადიდება მანქანათა მოძრაობის აჩქარებით, — ხშირათ კი, რა თქმა უნდა, მუშის ძალღონის უფრო სრულად და სავსებით გამოწუწვნით.

მესამე რიგის პირობებს შეადგენენ შრომის უფლებრივი და იდეიური პირობები. ამათში პირველი ადგილი უჭირავს შრომის თავისუფლებას და მისდამი საზოგადოებრივ პატივისცემას.

მუშაობა იძულებითი — ჯოხის ქვეშ — ცუდი მუშაობაა: აქ ადამიანი არასოდეს არ იშრომებს თავგამოდებით, არ ეცდება თავის ნიჭის და ენერგიის სავსებით გამოჩენას. ასეთი იყო მონების შრომა ძველ ქვეყნებში და ყმების შრომა — ნახევარ საუკუნის წინეთ ჩვენში. საშუალოთ მონა ხარჯავს იმ ენერგიის ნახევარს, რომელიც მას შეუძლია დახარჯოს ისე, რომ თავის თავს ვნება არ მოუტანოს. ეს დიდი ხნიდან იცოდენ მონების პატრონებმა, და მეტათ საჩქარო სამუშაოს ხშირათ აძლევდენ თავისუფალ დაქირავებულ მუშებს, რადგან თავის მონების საშრომო ენერგიას არ ენდობოდენ. რამდენადაც უფრო მძიმეა მონობა, რამდენათ პირველ-ყოფილია და ტლანქი მისი ფორმები, იმდენათ უფრო დაბლა დგას მონური შრომის ინტენსივობაც.

სწორეთ ამგვარივე მნიშვნელობა აქვს შრომისადმი საზოგადოებრივ პატივისცემას, რომელიც, უნდა ვთქვათ, გვერდ და გვერდ სდევს შრომის ნამდვილ თავისუფლებას.

მაშ ასე, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის რაოდენობას სრულად საზღვრავენ შემდეგი ელემენტები:

1) მწარმოებელ მუშათა რიცხვი;

2) სამუშაო დროის საშუალო სიგრძე, ხანგრძლივობა; და

3) შრომის საშუალო ინტენსივობა, სიმძლავრე.

## გ) შრომის ნაყოფიერება.

როცა ორი მუშა ერთნაირი ენერგიით მუშაობს და, მიუხედავათ ამისა, თანასწორ დროში ერთი-მეორეზე მეტ-ნაკლებს

აკეთებს, მაშინ, ცხადია, მათი შრომის შედეგები (რეზულტატი) სხვადასხვაა, ან, როგორც ამბობენ, სხვადასხვაა იმათი შრომის ნაყოფიერება.

პირობები, რომლებიც საზღვრავენ კერძო შემთხვევებში შრომის ნაყოფიერებას, უთვალავ-უანგარიშო და მრავალგვარია. ამ პირობებში შედიან როგორც საზოგადოების ცხოვრების თანამედროვე პირობები, ისე მისი წინანდელი განვითარებაც.

მაგრამ კვლევის გასაადვილებლათ შეიძლება ეს პირობები დაიყოს რამდენიმე ჯგუფათ, რომელთაგანაც თვითოეულს ჩვენ აქ მხოლოდ ზოგადათ დავახასიათებთ. ძირითად ჯგუფებს შეადგენენ შემდეგნი:

პირველათ, **არსებული პირობები გარეშე ბუნებისა;** ამაზეა დამოკიდებული შრომის ნაყოფიერება, განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში და სამთა-მადნო საქმეში; უფრო ნაკლები გავლენა აქვს მას წარმოების სხვა დარგებში.

მეორეთ, **ტეხნიკა**— შრომის წესებისა და საშუალების განვითარების დონე, ხარისხი, ტეხნიკური ცოდნის სიმაღლე და პროფესიონალური დახელოვნების მდგომარეობა.

მესამეთ, **წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაცია**— თანამშრომლობა, შრომის დაყოფა და სხვა.

1) რამდენათ მეტ მუქთა მასალებსა და ძალებს აძლევს ბუნება ადამიანს, იმდენათ იმისი შრომა საზოგადოთ უფრო ნაყოფიერია. დაწვრილებით აღნუსხვა და განხილვა იმის, თუ რა გავლენა აქვს ბუნების სხვადასხვა პირობებს შრომის ნაყოფიერებაზე, არ შეადგენს ეკონომიურ მეცნიერების საგანს,— ეს მატერიალურ კულტურაზე სწავლის საგანია; აქ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს ამ გავლენის დასახასიათებლათ.

პირველ ყოვლისა ავიღოთ ჰავა, ე. ი. სითბოსა და სინესტის მეტ-ნაკლებობა ატმოსფერაში. ყოველ მცენარეს, ყოველ ცხოველს შეუძლიან იარსებოს მხოლოდ ჰაერის განსა-

ზღვრულ ტემპერატურაში (სითბო). რუსეთის ჩრდილო ნაწილში ხორბალი სრულიად ვერ ხარობს, დიკა კიდევ იზრდება, მაგრამ ცუდათ; სამხრეთში კი სითბო საკმაოა როგორც დიკის, ისე ხორბალის სრული განვითარებისა და დამწიფებისათვის; ცხადია, იქ მიწათმოქმედებითი შრომა უფრო ნაყოფიერია, ვინემ ჩრდილოეთში.

როგორც სითბოს, ისე სინესტესაც განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედების სფერაში. სამხრეთრუსეთის ველებს სითბოც საკმაო აქვს და ნიადაგიც ნაყოფიერია, მაგრამ, სამაგიეროთ, ჰავა მშრალია, საკმაო სინოტიე არა აქვს, ამიტომ იქ არა-იშვიათია გვალვები და მასთან ერთათ მოუსავლობაც.

შემდეგ, მიწის ქერქის შედგენილობა, სახელდობრ—მისი ზემო ფენების, ნიადაგის ზედა პირის და ქვედა პირის: ამით განიზომება მიწის ნოყიერება და მინერალური სიმდიდრე,—მაშასადამე, შრომის ნაყოფიერება მიწათმოქმედებაში და სამთამადნო საქმეში, საერთოთ „მომპოვებელ" მრეწველობაში; იმ მასალებისაგან, რომლებსაც იძლევა „მომპოვებელი" მრეწველობა თავის მხრით, დამოკიდებულია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება შრომის სხვა სფერებში.

შემდეგ მნიშვნელოვანია მიწის ტოპოგრაფია, მისი ზედაკანის შენობა—მდინარეების, მთების, ზღვების და სხვ. მდებარეობა. ამათ დიადი და უმთავრესათ **არა პირდაპირი** გავლენა აქვთ შრომის ნაყოფიერებაზე. სწორეთ მიწის ტოპოგრაფიაზეა დამოკიდებული ადამიანთა შორის მიმოსვლის სიადვილე თუ სიძნელე, მიმოსვლას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს წარმოების განვითარებისათვის! 1) ადამიანები მიმოსვლის დროს სწავლობენ ერთი მეორესაგან წარმოების უფრო განვითარებულ და გაუმჯობესებულ წესებს; 2) ისინი უცვლიან ერთმანეთს თავიანთ ნაწარმოებს. ამის გამო იმათ შეძლება ეძლევათ მიატოვონ წარმოების ისეთი დარგები, რომელნიც ადგილობრივ

პირობების გამო ზედმეტ შრომას თხოულობენ, და გააფართოვონ ისეთები, რომლებშიაც შრომა უფრო ნაყოფიერია.

ევროპაში ზღვის პირის ქვეყნებმა—საბერძნეთმა და იტალიამ—სხვებზე ადრე გააძლიერეს შრომის ნაყოფიერება უმთავრესათ იმის მეოხებით, რომ ხმელთა-შუა ზღვა აახლოვებდა მათ აზიის და აფრიკის კულტურულ ხალხებთან: ზღვები და მდინარეები საერთოთ აახლოვებენ ადამიანებს და მით აადვილებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს ნაპირების მოხაზულობას, ე. ი. იმ გარემოებას, ადვილი მისადგომია გემისთვის თუ არა; იყინება ზამთარში ზღვები და მდინარეები თუ არა; საით მიიმართებიან მდინარეები, და სანავოსნო არიან თუ არა, და სხვ.; მთები, პირიქით, აშორებენ ადამიანებს ერთმანეთისაგან, აფერხებენ მათ მიმოსვლას და ამით აძნელებენ შრომის ნაყოფირების განვითარებას. ზღვებიც ამგვარსავე როლს თამაშობდენ წინეთ, სანამ ნავოსნობა განვითარდებოდა.

თუ საერთოთ განვიხილავთ გარეშე ბუნების პირობების გავლენას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებაზე, უნდა ვთქვათ, რომ რამდენათ მეტს იძლევა ბუნება, იმდენათ უფრო ადვილი და ნაყოფიერია ადამიანის შრომა. მაგრამ ბუნების **გადამეტებული სიუხვე** კულტურის ყველა საფეხურზე როდია სასარგებლო შრომის ნაყოფიერების განვითარებისათვის; ბევრ შემთხვევაში ის ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორც გადამეტებული სიღარიბე და სიმწირე ბუნებისა. როცა ადამიანი ძლიერ მცირე ძალ-ღონის დახარჯვით იძენს ცხოვრებისთვის საჭირო საშუალებას, ის ამით კმაყოფილდება და აღარ ცდილობს საზოგადოებრივ შრომის განვითარებას, და ამით ეს უკანასკნელი ფერხდება. აფრიკის ცხელ, ტროპიკულ ქვეყნებში იზრდება საშაქრე მცენარე—სორგო. ერთ ასეთ მცენარეს შეუძლია დღიური საზრდო მისცეს მთელ ოჯახს. ადგილობრივ მკვიდრისათვის საკმაოა წელიწადში რამდენიმე დღე იმუშაოს, რომ სორგოს 400 ყლორტი დარგოს,—და ამით, როგორც

მისი, ისე მთელი ოჯახის საზრდო უზრუნველყოფილია. ამნაირათ, მას არაფერი არ აძალებს, რომ შრომა გაანაყოფიეროს, და ამიტომ იქ წარმოების შესამჩნევი პროგრესი შეუძლებელია. ძლიერ მწირ ბუნებაში ცუდათ ვითარდება წარმოება, თუმცა სულ სხვა მიზეზების გამო. აქ ადამიანი მთელ დროს და მთელ ძალას აუცილებელ საცხოვრებელ საშუალებათა შეძენაზე ხარჯავს. თბილი სადგომის აშენება და თბილი საცმელის დამზადება გრენლანდიის მცხოვრებთაგან აუარებელ ზედმეტ შრომას თხოულობს. თბილი ქვეყნის მცხოვრებელნი კი ასეთ შრომისაგან თავისუფალი არიან. საჭმელიც პირველს მეტი უნდა და ამასთან უფრო მსუყე და ნოყიერიც. ის იძულებულია ბუნებაში მეტი საზრდო მოიპოვოს, ვინემ სამხრეთის მცხოვრები თხოულობს, და იმავე დროს თანასწორი შრომის დახარჯვით იქ გაცილებით ნაკლების მიღება შეიძლება ბუნებისაგან. ის მუდამ ჯაფაშია, მუდამ წვალობს, რომ მცირეოდენი საზრდო შეიძინოს, მუდამ შიში სიკვდილისა არ შორდება მას. ამიტომ არც იმის გონებას და არც სხეულს განვითარების საშუალება არა აქვს.

მეტათ უხვი და მეტათ ძუნწი ბუნება იმგვარათვე მოქმედობს მთელ საზოგადოებაზე, როგორც უშრომლათ მიღებული სიმდიდრე ან და უკიდურესი სიღატაკე—ცალკე პიროვნებაზე. ბუნება ასაჩუქრებს ძლიერ უხვათ ადამიანს თუ სხვა ადამიანების შრომა, ბუნების სისასტიკე აცლის მას ენერგიას თუ ქანცს ულევს სიღარიბე,—ორივე შემთხვევაში სამუშაო ძალთა სრული განვითარება შეუძლებელია.

დღემდე პროგრესის საუკეთესო პირობებს იძლევიან ზომიერ ჰავიანი მხარეები; ბუნება იქ არც ძლიერ უხვია და არც მეტათ ძუნწი. ადამიანს იქ არა მცირედი შრომა სჭირდება, მაგრამ არც იმდენი, რომ დააძაბუნოს და დაასუსტოს იგი.

ისტორია გვასწავლის, რომ კულტურის პირველი ჩანასახები გაჩნდენ და პირველი დიდი ნაბიჯი წარმოების განვითარებაში გადადგა ადამიანმა მდიდარ ბუნებიან ცხელ ქვეყნებ-

ში, — ინდოეთში, მესოპოტამიაში, ეგვიპტეში და სხვ. მიზეზი ცხადია: იქაურ მკვიდრთ მუდამ ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ, რადგან ცხოვრების სახსარი ადვილი მოსაპოვებელი იყო. მაგრამ ამ კულტურის ჩანასახების განვითარება შორს არ წასულა, განსაზღვრულ, შედარებით დაბალ საფეხურზე ჩერდებოდა. ზოგიერთ ქვეყნების მცხოვრებთ გადმოქონდათ კულტურა ცხელი ქვეყნების ხალხთაგან და გაცილებით უფრო მეტათ ავითარებდენ მას. დღესაც შრომის ნაყოფიერება და საერთოდ კულტურული განვითარება უფრო მაღლა დგას „ზომიერ სარტყელის“ ქვეყნებში, რომელსაც ეკუთვნიან ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა.

ბუნებრივი პირობები არსად და არასოდეს ერთი და იგივე არა რჩებიან, პირიქით, ისინი განუწყვეტლივ იცვლებიან, და მასთან, რა თქმა უნდა, იცვლება მათი გავლენაც შრომის ნაყოფიერებაზე.

გარეშე ბუნების ცვლილებები, იმის მიუხედავათ, თუ საიდან წარმოსდგა ისინი, შეიძლება გაიყოს ორ რიგათ: პირველია ცვლილებები, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელნი, წარმოშობილნი თვით გარეშე ბუნების ძალთა მოქმედებით, მეორეა — ისეთი ცვლილებები, რომელნიც ადამიანის მოქმედებით არიან გამოწვეული.

ა) **თავისთავათ** ბუნებრივი პირობები ძლიერ ნელა იცვლებიან. ქვესკნელის ძალთა მოქმედებით მიწის ქერქის ზოგიერთი ალაგები ზევით იბურცება, ზოგიც ძირს ეშვება, დაბლა იწევს; ჩნდებიან ახალი მთები, კუნძულები და სხვ. ზღვები იცვლიან თავიანთ მდებარეობას, სიღრმეს, ნაპირებს. მაგრამ ყოველივე ეს ხდება ჩვეულებრივათ ათი და ასი ათასი წლების განმავლობაში. უფრო სწრაფი ცვლილება ემჩნევა მდინარეებს. სხვადასხვა ძალთა ზეგავლენით ისინი მალე ანგრევენ ძველ ნაპირებს და ახალ კალაპოტში დგებიან. მაგალითად, ერთი შტო მდინარე სირ-დარიისა, რომელიც ახლა მხოლოდ არალის ზღვას ერთვის, ამ რამდენიმე ათასი წლის წინათ

კასპიის ზღვას ერთვოდა. ზოგჯერ მდინარეები ქვიშისა და შლამისაგან აზვავებენ ახალ, ფართე კუნძულებს; ჰოლანდიის დიდი ნაწილი წარმოსდგა ამ უკანასკნელი 2—3 ათასი წლის განმავლობაში მდ. რეინის ჩამოტანილ შლამისაგან. იცვლება, თუმცა ძლიერ ნელა, ჰავაც. გეოლოგიიდან ვიცით, მაგ., რომ ოდესღაც მრავალი ათასი წლის წინათ ევროპის ჰავა ბევრათ უფრო ცივი იყო, ვინემ ეხლაა, დაახლოვებით ისეთი, როგორიც ეხლანდელი ციმბირის ჰავაა. ძვლებისა და ქვის იარაღების ნაშთები უტყუარი მოწამე არიან იმისი, რომ ადამიანი მაშინაც ცხოვრობდა ევროპაში. მაშინდელი სუსხიანი ბუნება, უეჭველია, ძლიერ შეაფერხებდა შრომის ნაყოფიერების განვითარებას.

მარა, საზოგადოებრივი განვითარების იმ მოკლე ხანაში, რომელსაც იკვლევს ეკონომიური მეცნიერება, საერთოთ ბუნებრივი პირობები ისეთ მცირე ცვლილებას განიცდიან, რომ ამას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

როგორც გამონაკლისი, გარეშე ბუნებაში ხდება აგრეთვე სწრაფი, მეტათ ძლიერი ცვლილებებიც. მიწის ძვრა, ცეცხლის მფრქვეველ მთების („ვულკანების") ამოხეთქა, წყალდიდობა და სხვ.—ზოგჯერ სულ რამდენიმე საათში, ხან რამდენიმე წამში საშინელ ცვლილებებს ახდენენ მიწის ზედა პირზე. ამგვარ კატასტროფებს ზოგჯერ არა მცირე გავლენა აქვთ საზოგადოებრივი შრომის განვითარებაში, მაგრამ მათი მნიშვნელობა უარყოფითია, რადგან მათი მოქმედება დანგრევა-დარღვევაში გამოიხატება.

ბ) მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი შრომა თავის განვითარების გამო თანდათან უფრო ხშირ-ხშირათ იმარჯვებს ბუნებაზე, ბუნება შესამჩნევათ იცვლება ადამიანის მოქმედების ზეგავლენით, და რამდენათაც ცხოვრება წინ მიდის, იმდენათ მეტ ცვლილებას ახდენს ადამიანის ბუნებაში. ის ხან აუმჯობესებს, ხან კი აფუჭებს და ახდენს ბუნებრივ პირობებს. უთვალავი მაგალითების მოყვანა შეიძლება როგორც ერთი, ისე

მეორე გვარის მოვლენებისა. როცა ადამიანი სპობს ტყეებს, ჰავა უფრო ხმელი და ცვალებადი ხდება, ზამთარში ძლიერი ყინვები დგება და ზაფხულში ძლიერ სიცხესთან ხშირდება გვალვები და შრებიან მდინარეები. ხოლო როცა ადამიანი აშრობს ჭაობებს,—უმჯობესდება და ნაყოფიერდება ნიადაგი, უფრო სადი და მარგებელი ხდება ჰავა. მიწის უხეირო, არა რაციონალური, დამუშავება აუფუჰებს, აფიტებს ნიადაგს და სხვ.

გააღრმავა რა მდინარეები და შეაერთა რა ისინი არხებით, ადამიანმა ამით გაიუმჯობესა მიმოსასვლელათ წყალის გზები. მრავალ ათას ვერსზე რკინის გზების გაყვანით, ადამიანმა დაუახლოვა ერთმანეთს ისეთი ადგილები, რომელთა შორის მიმოსვლა წინეთ გაძნელებული იყო მეტის მეტი სიშორის გამო. არა იშვიათად, ვეება მთებზე, რომლებიც წინეთ მიმოსვლას წინ ელობებოდენ, დღეს გზებია გაჭრილი, გვირაბებია გაყვანილი. ასეა გაჭრილი ორ ალაგას (მონ-სენისში და სენ-გოტარდში) ალპიის მთები, რომელიც უდიდესი მთა-გრეხილია ევროპაში. სუეცის არხის გაჭრამ შეაერთა ორი, წინეთ ერთმანეთისაგან დაშორებული ოკეანე; ინდოეთისა და ატლანტიისა, და რამდენიმე ათასი ვერსით დაუახლოვა ევროპას აზიის სამხრეთის და აღმოსავლეთის ნაწილები. ასეთ ნიჭსა და უნარს იჩენს უკვე დღეს საზოგადოებრივი ადამიანი გარეშე ბუნების შეცვლაში; **ასეთია მისი ბატონობა ბუნების ძალებზე.** და რამდენათ წინ მიდის ადამიანის შრომის პროგრესი, იმდენათ **უფრო ძლიერია**, და იმავე დროს **უფრო სასარგებლო** კაცობრიობისათვის ადამიანის გავლენა ბუნებაზე. საზოგადოების ბუნებაზე ბატონობის ზრდის პირდაპირი გამომხატველია ბუნებასთან ბრძოლის საშუალებათა გაუმჯობესება და იმ საშუალებათა მოხმარაში გავარჯიშება,—ე. ი. ტეხნიკის განვითარება.

2) უიარაღოთ, ცარიელი ხელებით ადამიანს ძლიერ ცოტას გაკეთება შეუძლია, და რამდენათ იარაღი გაუმჯობესე-

ბულია, იმდენათ შრომა უფრო ნაყოფიერია, უფრო გაადვილებულია.

ჩვენი შორეული წინაპარი თავის ქვის ცულით ერთი პატარა ხის მოჭრას, ალბათ, საათზე არა ნაკლებ შრომას ანდომებდა. ბრინჯაოს იარაღები, რომლებიც შემოიღეს ევროპაში ქვის მაგიერ, უკვე გაცილებით უფრო გამოსადეგია: ბრინჯაოს ცულით 2—3 ჯერ უფრო ჩქარა შეიძლება მუშაობა, ვინემ ქვის ცულით. მაგრამ ბრინჯაოს იარაღიც არ არის კარგი მჭრელი და მაგარი: ის ადვილათ იჩლუნგება და ტყდება. ამიტომ, ეხლანდელი ფოლადის ცულით მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერია, უფრო ნაკლებ დროს თხოულობს ერთ და იმავე საქმის გასაკეთებლათ, ვინემ ბრინჯაოსი.

ყველაზე უსრულესი და საუკეთესო ფორმა იარაღისა არის მანქანა. მანქანების შემწეობით შრომის ნაყოფიერება ასჯერ და ათასჯერ ძლიერდება.

იარაღების სიავ-კარგეზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერებისათვის საწარმოო მასალების თვისებასაც. ბუნებისგან მოწოდებულ მასალებში უმჯობესის, უფრო ადვილ მოსახმარის, უმაგრესის და ადვილათ შესამუშავებელის არჩევით მრავალ შემთხვევებში აუარებელი შრომა იზოგება.

იარაღებსა და მასალებთან ერთად საზოგადოებრივი ტეხნიკის განუყოფელ ელემენტს შეადგენენ ზოგიერთი პირობები, რომლებიც თვითონ მუშის ორგანიზმში იმყოფებიან: პროფესიონალური სიმარჯვე, განსაზღვრულ სამუშაოზე შეჩვევა-შეგუება, და საერთოთ უნარი წარმოების საშუალებათა ხმარებისა. ერთ და იმავე წარმოების საშუალებებით ის უფრო ნაყოფიერათ იმუშავებს, ვისაც მეტი უნარი აქვს შრომისა, და შრომის ნაყოფიერება იმდენათ მეტი იქნება, რამდენათ მეტი უნარის გამოჩენა შეუძლია მუშას. შრომის უნარი იმაში გამოიხატება, რომ მუშა ცოტას აკეთებს უსარგებლო, მიზნისთვის გამოუსადეგარ მოძრაობებს, რაც, ცოტათ თუ ბევრათ, ყველა შრომას თან ახლავს; ნაკლები ფუჭდება მასალა, ნაკ-

ლები ცვდება იარაღები, რომლებიც წინანდელი შრომის ნაყოფს წარმოადგენენ. თითოეული მუშის შეხედულებით ასეთი უნარი შედეგია შესწავლის და ვარჯიშობის; საზოგადოებრივი თვალსაზრისით კი ის ნაყოფია საზოგადოების მთელი წინანდელი ისტორიული განვითარებისა.

საზოგადოებრივი ტეხნიკის განვითარება განსაკუთრებით სწრაფათ მიდის წინ უკანასკნელ საუკუნეებში, როდესაც ადამიანის გონება შეგნებულათ მიილტვის ამ მხრით და როცა მეცნიერება წარმოების პროგრესის მამოძრავებელი გამხდარა. ტეხნიკური ცოდნა, რომელიც დამოკიდებულია ბუნების ძალთა დაახლოვებით გაცნობაზე, იმდენათ აბატონებს ადამიანს ბუნებაზე, რომ ამის მსგავსი მას წინეთ სიზმარშიაც არ მოლანდებია.

ტეხნიკურ ცოდნის მნიშვნელობა უფრო ნათლათ მოსჩანს იქ, სადაც მას საწარმოო იარაღებისგან დამოუკიდებლათ შეუძლია შრომის ნაყოფიერების გადიდება. ასე, მიწათმომქმედი, რომელმაც იცის—სად, როდის და რომელი მცენარეების დათესვა ჯობია, ყოველთვის უფრო მეტ ნაყოფს მიიღებს მიწიდან, და ნაკლებათაც აფიტებს მას, ვინემ ყველა ამაების არა მცოდნე.

ტეხნიკის განვითარება შეიძლება მხოლოდ საზოგადოებაში, და მხოლოდ **ორგანიზაციაში** შეუძლია ადამიანს ისარგებლოს განვითარებული ტეხნიკით.

3) შრომის ნაყოფიერების სიდიდე დამოკიდებულია წარმოების ორგანიზაციაზე, წარმოების **საზოგადოებრივ ურთიერთობაზე**. ეს დამოკიდებულება დაწვრილებით შემდეგ იქნება განხილული, ეკონომიური განვითარების საერთო პროცესთან ერთათ, აქ კი მხოლოდ მის ზოგად თვისებებს მოვიხსენიებთ.

შრომის ნაყოფიერება მატულობს,—ერთი—შრომის შეერთებით, მეორეთ—შრომის განაწილებით.

ა) შრომის შეერთება, ან უკეთ—**უბრალო თანამშრომლობა** (კოოპერაცია) მდგომარეობს იმაში, რომ რამდენიმე კა-

ცი ერთათ, ერთ და იმავე დროს ასრულებს ერთ და იმავე სამუშაოს.

პირველათ, თანამშრომლობას, თუნდაც ის შრომის უბრალოთ, გარეგნულათ შეერთებაში გამოიხატებოდეს, გავლენა აქვს მშრომელის პსიხიურ (სულიერ) და მით მისი შრომის ნაყოფიერებაზე. სხვებთან ერთათ მუშაობის დროს თითოეული მუშა განიცდის ნერვების განსაკუთრებულ მღელვარებას, რაიც უმთავრესათ იწვევს შრომის ინტენსივობას, მარა ამასთანავე ამაღლებს შრომის ნაყოფიერებასაც. როცა 10 კაცი ერთათ ერთ სახელოსნოში ასრულებენ თავთავის სამუშაოს, ისინი მეტს გააკეთებენ ერთი დღის განმავლობაში, ვინემ ერთი კაცი 10 დღეს გააკეთებს 10 დღის მუშაობით.

მეორეთ, შეერთებული შრომის დროს მცირდება საშრომო ენერგიის ხარჯი საწარმოო საშუალებებზე: ნაკლები მიდის სახელოსნოს აშენებაზე, მის გათბობაზე და განათებაზე; უფრო ადვილათ შეიძლება მასალების მონარჩენების მოხმარა, რადგან ისინი ბლომათ გროვდებიან ერთ ალაგას და სხვ.; მაგ., ოცი მუშისთვის ერთი სახელოსნოს აშენებას გაცილებით ნაკლები მასალა და შრომა დასჭირდება, ვინემ 10 ისეთ სახელოსნოს აშენებას, რომ თითეულში ორ-ორმა მუშამ იმუშაოს.

მესამე, თანამშრომლობა ხშირათ არა თუ სასარგებლოა, პირდაპირ აუცილებელიც არის იმიტომ, რომ ის შესაძლებლათ ხდის სამუშაოს მოკლე ხანში გათავებას. საჭიროა, ვთქვათ, პურის მომკა და შენახვა. ეს სამუშაო რომ დაგვიანდეს, ბევრი მარცვლები ძირს მიწაზე ჩაცვივა და შრომის ნაწილიც უნაყოფოთ დაიკარგება; თანამშრომლობა კი შეძლებას გვაძლევს ეს ნაკლი თავიდან ავიცდინოთ.

მეოთხე, რაც მეტათ საყურადღებოა, თანამშრომლობა ქმნის მასსიურ მექანიკურ ძალას. არის მრავალი სამუშაო, რომლის შესრულებაც ცალკე მუშას არას გზით არ შეუძლია, რამდენ ხანსაც უნდა იმუშაოს. მაგ., ვთქვათ, საჭიროა დიდი

ზარის ატანა სამრეკლოზე; ერთი კაცი აქ ვერაფერს ვერ გააწყობს; ვერც ასი კაცი გააკეთებს რასმე, თუ ერთი მეორის შემდეგ იმუშავებენ; ხოლო თუ ასი კაცი ერთათ მოეჭიდა, შეუძლიათ ზარი სამრეკლოზე აიტანონ და დაკიდონ.

ბ) შრომის განაწილების საერთო სახელწოდებით აღინიშნება მთელი რიგი სხვადასხვა საზოგადოებრივი საწარმოვო ურთიერთობათა.

შრომის საზოგადოებრივი განაწილება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში წარმოება დაყოფილია ცალკე მეურნეობათა ან სამრეწველო დაწესებულებათა შორის: ერთი მეურნე მიწათმოქმედებას მისდევს, მეორე—სამოსლის დამზადებას, მესამე—ლითონების მიწიდან ამოღებას, მეოთხე—იარაღების დამზადებას და სხვ.; როდესაც შრომის ასეთი დაყოფა ჯერ კიდევ არ არსებობდა, თვითეული მეურნე იძულებული იყო ეწარმოებია თავისთვის ყველაფერი; ადვილი გასაგებია, რომ ასეთი წარმოება მსხვილი ვერ იქნებოდა და მისი განვითარებაც ძლიერ ნელა სწარმოებდა.

შრომის საზოგადოებრივი განაწილების დროს თვითეულ სამრეწველო დაწესებულებას აქვს თავისი, ცოტათ თუ ბევრათ, ვიწრო სფერა საწარმოვო შრომისა. ეს აძლევს მუშებს შეძლებას უფრო მეტათ დახელოვნდენ, მეტი უნარი და სიმარდე გამოიჩინონ თავის საქმეში და ნაწარმოები ბევრათ მეტი დაამზადონ იმაზე, რაც თვითონ ამ მეურნეობას ესაჭიროება. მეჩექმე ხელოსანს, მაგ., თვითონ დასჭირდება არა უმეტეს ორი წყვილი ჩექმებისა წელიწადში, შეჰკერავს კი ის ას წყვილს; მეკუბოვეს მთელ თავის სიცოცხლეში არ დასჭირდება არც ერთი კუბო, გააკეთებს კი რამდენიმე ათას კუბოს. მთელი ზედმეტი ნაწარმოები მზადდება სხვისთვის, საზოგადოებისთვის. დაყოფილ-დაცალკევებული სამრეწველოების მთელი ნაწარმოები გაცვლით თუ სხვა წესით ნაწილდება საზოგადოებაში, და თვითეულ მეურნეობას, საშუალო რიცხვით, გაცილებით მეტი

სახმარი საგნები ხვდება, ვინემ წინეთ ჰქონდა, როცა ის თვითონ ამზადებდა თავისთვის ყველა საჭირო საგნებს.

ტეხნიკური განაწილება ეწოდება შრომის განაწილებას ცალკე სამეურნეო, ან ცალკე სამრეწველო დაწესებულებას შიგნით.

ამის საუცხოვო მაგალითს წარმოადგენს მანუფაქტურა, სადაც შრომის მასალა, სანამ სახელოსნოდან გამოვიდოდეს დასრულებული ნაწარმოების სახით, რამდენიმე მუშის ხელში გაივლის. ავიღოთ, მაგ., დანა. ერთი ჰედავს დანის პირს,— მეორე ჩარხავს,—მესამე—ლესავს, მეოთხე—ასწორებს დანის ტარს, მეხუთე—ტარსა და პირს არგებს ერთმანეთს და სხვ.

შრომის ტეხნიკური განაწილება ნაყოფიერებას მატებს შრომას სწორეთ ისე, როგორც საზოგადოებრივი დანაწილება, და იძლევა კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითებს ასეთი მომატებისას: ქინძისთავების მანუფაქტურაში ათი მუშა ტეხნიკურათ დანაწილებული შრომის შემწეობით ადვილათ დაამზადებს დღეში 48,000 ქინძისთავს, ე. ი. 4,000 თითო კაცი. მარა თითო მუშა კი, როცა ის მარტო ასრულებს მთელ სამუშაოს, ეჭვი არაა—რამდენიმე ცალის მეტს ვერ გააკეთებს დღეში.

შრომის განაწილების გავლენა მის ნაყოფიერებაზე აიხსნება შემდეგნაირათ: პირველათ, პირდაპირ იზოგება ბევრი დრო; როცა კაცი აკეთებს ბევრ წვრილ სამუშაოს ერთი-მეორის შემდეგ, მაშინ არა მცირედი დრო ეკარგება მას ერთი საქმიდან მეორეზე გადასვლაში, სხვადასხვა ხელსაწყოებზე (ინსტრუმენტებზე) ხელის შეჩვევა-შეგუებაში.

მეორეთ, შრომის განაწილება ხელს უწყობს სიცქვიტის განვითარებას მუშებში; ვინც მუდამ სხვადასხვაგვარ და რთულ სამუშაოს ასრულებს, ის ვერ შესძლებს ისე კარგათ, სწრაფათ და დახელოვნებით შეასრულოს ის, როგორც მეორე მუშა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთს ან რამდენიმე მარტივ სამუშაოს ასრულებს.

დაბოლოს, როცა შრომა განაწილებულია, მაშინ უფრო ადვილია გაუმჯობესებულ იარაღების გამოგონება და უკვე არსებულის გაუმჯობესება. წლითი-წლობით ერთ მანქანაზე მომუშავე ადამიანი უფრო ადრე მიხვდება, თუ როგორ უნდა მოიხმაროს ის, ან და რა ცვლილებები შეიტანოს მასში, რომ უფრო გამოსადეგი გახადოს ის მუშაობაში მოსახმარათ.

### 3) საზოგადოებრივი სარგებლობა და საზოგადოებრივი ღირებულება.

წარმოების შედეგია საზოგადოებრივი ნაწარმოები. „მატერიალურია" ის თუ „არა მატერიალური", აქვს მას ესა თუ ის ფიზიკური ან ქიმიური თვისებები—ეკონომიურ მეცნიერებისთვის ეს სულ ერთია. ისაა მეცნიერება საზოგადოებრივი და ნაწარმოებიც ეინტერესება მას მხოლოდ იმ მხრით, რომ ის, პირველად, **საჭიროა საზოგადოებისათვის**, და, მეორეთ, **საზოგადოებრივი შრომით შექმნილია.** ამ სახით იმისთვის ნაწარმოებში არსებითი მნიშვნელობა აქვს ორ თვისებას: ერთი იმას, რომ ნაწარმოებს შეუძლია რომელიმე საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ესე იგი წარმოადგენს საზოგადოებრივ სასარგებლო ნივთს ან **სახმარ ღირებულებას**, და მეორეც—ის, რომ მის დამზადებაზე დახარჯულია ადამიანის ენერგია, ესე იგი მას აქვს **საზოგადოებრივი ღირებულება.**

ნაწარმოები საზოგადოებრივ სასარგებლოა, როცა საზოგადოებას ის ესაჭიროება, და სასარგებლოა მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ესაჭიროება. მაგალითად, თუ პურის მოთხოვნილება საზოგადოებაში ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელია, მაშინ პურს აქვს დიდი საზოგადოებრივი სარგებლობა. მაგრამ ის უსარგებლოა, კარგავს მოსახმარ ღირებულებას, თუ იმაზე მეტია მოსული, რაც საზოგადოებას ესაჭიროება.

ნაწარმოების საზოგადოებრივი სარგებლობა სხვადასხვა

თვისებისაა, იმისდა მიხედვით, თუ საზოგადოების რომელ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ის. პურის სარგებლობა სხვაა, ცულის სხვა, მეცნიერულ წიგნის კიდევ სხვა, და ასე ბოლომდის. სარგებლობის თვისება დამოკიდებულია იმ შრომის თვისებაზე, რომელიც დამზადებაზეა დახარჯული. მიწათმომქმედის, ქარხნის მუშის, მასწავლებლის, მწერალის და სხვ. შრომა სხვადასხვა თვისებისაა და ამიტომ ქმნის სხვადასხვა სარგებლობის მქონე ნივთს, აკმაყოფილებს სხვადასხვა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს.

აქ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში საზოგადოებრივი მოთხოვნილება და საზოგადოების 'წევრების პირად მოთხოვნილებათა საერთო ჯამი. არა იშვიათად მოხდება, რომ კერძო პირთა მოთხოვნილებები სასტიკათ ეწინააღმდეგებიან ხოლმე მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებს, ანტი-საზოგადოებრივი არიან; ასეთია, მაგ., არა-მრეწველთა მოთხოვნილება ფუფუნება-განცხრომით ცხოვრებისა. საზოგადოებრივი მოთხოვნილება არის მოთხოვნილება წარმოებისა, საჭიროება ბუნებასთან საზოგადოებრივი ბრძოლისა.

პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ შეადგენს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, როცა ის საჭიროა წარმოების განსაგრძობათ; პირადათ არავინ არ ხმარობს მანქანებს, მიწის პატივს, რკინის მადანს და სხვ. საწარმოო საშუალებებს; მიუხედავათ ამისა, ისინი აკმაყოფილებენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, იმიტომ, რომ ისინი საჭიროა საზოგადოებას წარმოებისათვის. საზოგადოთ, ეკონომიურ მეცნიერებას არ შეუძლია განიხილოს და არც აინტერესებს ადამიანის პირადი მოთხოვნილებანი. თუ ის ხანდისხან იძულებულია მასზე იმსჯელოს, — მხოლოდ იმდენათ, რამდენათ იმას კავშირი აქვს ეკონომიურ მოვლენებთან, რამდენათაც ამ უკანასკნელს გავლენა აქვს მასზე.

საზოგადოებრივი ღირებულება არის საშრომო ენერგიის ის რაოდენობა, თუ რამდენათ უჯდება, რა უღირს საზოგადოებას ნაწარმოების დამზადება. იზომება ის, მაშასადამე, იმ ადამიანთა

მუშაობის ხანგრძლივობითა და ინტენსივობით, რომელნიც მონაწილეობენ ნაწარმოების დამუშავებაში. თუ ერთი ნაწარმოების დასამზადებლათ საჭიროა 30 საათი საზოგადოებრივი შრომისა, ხოლო მეორეზე იმავე შრომის 300 საათი, ორჯერ უფრო ინტენსივური, ვინემ პირველ შემთხვევაში,—ცხადია, რომ მეორე ნაწარმოების საზოგადოებრივი ღირებულება, მასში განხორცელებული საშრომო ენერგიის რაოდენობა 20-ჯერ მეტია პირველის ღირებულებაზე.

საზოგადოებრივი ღირებულება არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენ შრომას დახარჯავს ნაწარმოების დამზადებაზე კერძოთ ესა თუ ის მუშა; თუ უცოდინარობით, საჭირო იარაღის უქონლობით ან კიდევ რაიმე სხვა შემთხვევითი გარემოების წყალობით მუშა თავის ნაწარმოების დამზადებას მოახმარს მეტ სამუშაო ენერგიას, ვინემ ჩვეულებრივ ხარჯავენ ამ საზოგადოებაში ამგვარი საგნის შექმნაზე, ამით ნაწარმოების საზოგადოებრივი ღირებულება ჩვეულებრივზე მეტი მაინც არ იქნება, და, პირიქით, ის ჩვეულებრივზე არ დაიკლებს, თუ, მაგ., განსაკუთრებული, არა-ჩვეულებრივი ხელოვნებით, ან ისეთი უჩვეულო იარაღებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესულან საერთო ხმარებაში, მუშა შესძლებს ძლიერ მცირე შრომით რაიმე ნაწარმოების დამზადებას. მაშასადამე, **საზოგადოებრივი ღირებულება წარმოადგენს საშრომო ენერგიის იმ რაოდენობას, რომელიც ნორმალურათ აუცილებელია პროდუქტის დასამზადებლათ საზოგადოებაში შრომის ჩვეულებრივ პირობებში.**

ამნაირათ, უნდა გავარჩიოთ ერთმანეთში საზოგადოებრივი ანუ ნორმალური ღირებულება—ინდივიდუალურ ან შემთხვევითი ღირებულებისაგან,—საშრომო ენერგიის რაოდენობა, რომელიც, საზოგადოთ, აუცილებელია საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე იმ ენერგიისაგან, რომელიც კერძო შემთხვევაში დაიხარჯება. ეკონომიური მეცნიერებისათვის საყურადღებოა მხოლოდ ნორმალური ღირებულება; ინ-

დივიდუალურ ღირებულებას ის ეხება მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს აუცილებელია იმისთვის, რომ შევიგნოთ ნორმალურის ცვლილებები.

თუ ცალკ-ცალკე განვიხილავთ თვისებით სხვადასხვა გვარ შრომას, დავინახავთ, რომ ზოგი მათგანი უფრო რთულია, ზოგი კი უფრო მარტივი. ასე, მაგ., მსწავლულის შრომა უფრო რთულია, ვინემ მესაათის, მესაათის შრომა კი უფრო რთულია მეწაღისაზე, და სხვ.; შრომის სირთულის მეტ-ნაკლებობა ყურადღებაში უნდა იქნეს მიღებული, როცა ვიკვლევთ ნაწარმოების საზოგადოებრივ ღირებულებას.

სხვადასხვაგვარი შრომა და მათი მეტ-ნაკლები სირთულე შედეგია იმისა, რომ მუშებს ერთნარი სწავლა არ მიუღიათ და, მაშასადამე, ორგანიზმი ერთნაირათ არა აქვთ განვითარებული. უფრო რთული შრომა ნიშნავს მეტ განვითარებას, უფრო მარტივი შრომა—ნაკლებს. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ერთსა და იმავე სამუშაო დროს განმავლობაში უფრო განვითარებული ორგანიზმი მეტ საშრომო ენერგიას ხარჯავს, ვინემ ნაკლებ განვითარებული. ამიტომ უფრო რთულ შრომას ისე უნდა ვუცქეროდეთ, როგორც მეტ ენერგიის ხარჯვას, ნაკლებ რთულ შრომასთან შედარებით. პირველი უდრის მეორეს რამდენჯერმე გამრავლებულს. ამიტომ მსწავლულის ერთი სამუშაო საათი დახარჯულ ენერგიის რაოდენობით ადვილათ შეიძლება ეთანასწორებოდეს მექანიკოსის 3 სამუშაო საათს, შავი მუშის 12 საათს და სხვ.

როცა ვხმარობთ ტერმინს: „მარტივი შრომა“, ამით ჩვენ აღვნიშნავთ ისეთ საწარმოვო შრომას, რომელიც სირთულით ყველა სხვა შრომაზე დაბლა დგას საზოგადოებაში, ე. ი. ყველაზე ნაკლებათ რთულია. ამიტომ ასეთი მარტივი შრომა წარმოადგენს ბუნებრივ საზომს, რომელიც გამოგვადგება ღირებულებათა შესადარებლათ ერთი-მეორესთან. საშრომო ენერგიის ყველაზე მცირე საზომი იქნება, თავის-თავათ ცხადია, ერთი საათის მარტივი შრომა საშუალო ინტენსივობისა. თუ

რომელიმე ნაწარმოების დამზადებას უნდება 100 საათის საზოგადოებრივი შრომა, ისეთი რთული და ინტენსივური, რომ მისი ერთი საათი უდრის ენერგიის ხარჯით საშუალო ინტენსივობის ათი საათის შრომას, ცხადია, ამ ნაწარმოების ღირებულება 1,000 საშრომო საათია და არა 100.

თავის-თავათ იგულისხმება, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ საზოგადოებისთვის საშრომო ენერგიის საზომი ერთნაირი არ იქნება.

ტერმინი—„მარტივი შრომა"—აქ რამდენიმეთ სხვა მნიშვნელობით გვაქვს ნახმარი, ვინემ ეს იხმარებოდა აქამდე მეცნიერებაში. „მარტივ შრომათ", ჩვეულებრივათ, თვლიან ისეთ შრომას, რომლის შესრულებაც სრულიათ შეუსწავლელათ შეუძლია საშუალო ძალ-ღონის, ჯანმთელობის და განვითარების მქონე საზოგადოების წევრს,—მარა ეს ფორმულა მეტათ განყენებული და რამდენიმეთ გაურკვეველია. (სრულიათ შეუსწავლელათ არაფრის გაკეთება არ შეიძლება).

ცხადია, რამდენათაც გაძლიერდება შრომის ნაყოფიერება წარმოების რომელიმე დარგში, იმდენათ ნაკლები ენერგია დაიხარჯება ამ დარგის ნაწარმოებზე და, მაშასადამე, მისი საზოგადოებრივი ღირებულება დაიკლებს. მათემატიკურათ ეს შეიძლება ასე გამოვთქვათ: ნაწარმოების საზოგადოებრივი ღირებულება პირიქით პროპორციონალურია შრომის ნაყოფიერებასთან. თუ შრომის ნაყოფიერებას ორჯერ გავადიდებთ, ღირებულება ორჯერ უფრო შემცირდება, და პირ-იქით.

ამნაირათ, ნაწარმოების საზოგადოებრივი სარგებლობა ისაა, რომ ნაწარმოები აკმაყოფილებს რომელიმე საზოგადოებრივ მოთხოვნილებას. საზოგადოებრივი ღირებულება არის ის რაოდენობა საშრომო ენერგიისა, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ეხარჯება მასზე საზოგადოებას. ნაცვლათ ტერმინებისა—„საზოგადოებრივი ღირებულება", ან „ნორმალური ღირებულება", ხშირათ ხმარობენ: „საშრომო ღირებულებას", ან მხოლოდ „ღირებულებას". ეს უკანასკნელი ტერ-

მინი ყველას სჯობია, თუ არ დავივიწყებთ, რომ საქმე გვაქვს საზოგადოებრივ მოვლენასთან.

### საერთო ცნებათა მიმოხილვა

1) ეკონომიური მეცნიერება არის ერთი საზოგადოებრივ მეცნიერებათაგანი. ის იკვლევს, პირველათ, წარმოებას, ე. ი. საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, სახელდობრ, იმის საზოგადოებრივ მხარეს—ადამიანთა ურთიერთობებს; მეორეთ, წარმოების შედეგების (ე. ი. ნაწარმოების) განაწილებას. ადამიანთა საწარმოვო და განაწილებითი ურთიერთობებს ის იკვლევს მათი ცვლილებების—განვითარებისა და დეგრადაციის პროცესში.

2) ძირითადი კითხვები, რომლებიც შეეხებიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას,—ესაა კითხვები შრომის თვისებისა, რაოდენობისა და ნაყოფიერების შესახებ.

საზოგადოებრივ შრომის თვისება, საშრომო ენერგიის ხარჯვათა მიმართულება—პირდაპირ განისაზღვრება: პირველი, საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით; მეორეთ, საზოგადოებრივ საწარმოვო საშუალებებით; მესამეთ, საზოგადოებაში არსებულ სამუშაო ძალთა სისტემით. თვითოეული ამ პირობათაგანი თავის მხრივ დამოკიდებულია საზოგადოების მთელ წინანდელ ისტორიულ განვითარებაზე.

საზოგადოებრივი შრომის რაოდენობა დამოკიდებულია წარმოებაში დაბანდებულ საზოგადოების სამუშაო ძალთა რიცხვზე, სამუშაო დროს სიგრძეზე და შრომის ინტენსივობაზე, თვითოეული ეს ელემენტი კი თავის მხრივ ისევ წინანდელ დაარსებულ საზოგადოებრივ პირობებზეა დამოკიდებული.

ნაყოფიერება ანუ სარფიანობა საზოგადოებრივი შრომისა განისაზღვრება: ბუნებრივი პირობებით, რომელშიაც ცხოვრობს საზოგადოება; მეორეთ, ტეხნიკის განვითარების სიმაღლით, ე. ი. ადამიანის მიერ ბუნების ძალთა მოხმარაში გამოჩენილ ცოდნა-უნარით; მესამეთ—წარმოების საზოგადოებრივ

ურთიერთობათა სისტემით—თანამშრომლობის, შრომის განაწილებისა და სხვ. ამგვარების განვითარებით.

3) წარმოების შედეგს—ნაწარმოებს, თავის ბუნებრივ თვისებების გარდა, აქვს ორი საზოგადოებრივი თვისება: საზოგადოებრივი სარგებლობა და ღირებულება. საზოგადოებრივი სარგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ნაწარმოები აკმაყოფილებს რაიმე საზოგადოებრივ მოთხოვნილებას. საზოგადოებრივი ღირებულება წარმოადგენს საშრომო ენერგიის იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებლათ ეხარჯება საზოგადოებას ნაწარმოების დამზადებაზე. ნაწარმოების ღირებულების ერთიმეორესთან შედარების დროს საშრომო ენერგიის საზომით ითვლება 1 საათი ყველაზე უმარტივეს და საშუალო ინტენსივობის შრომისა, რომელიც იხმარება ამ საზოგადოების წარმოებაში.

## ეკონომიური მეცნიერების დაყოფა და მისი წეს-რიგი.

საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოებისა და განაწილებისა სრული თანდათანობით, ერთი-მეორის მიყოლებით, ნელ-ნელა იცვლებიან. სწრაფი გადასვლა ერთი ურთიერთობიდან მეორეში ისტორიამ არ იცის, წინანდელსა და მერმინდელს შორის სასტიკათ, მკაფიოთ განსაზღვრული ზღუდე არ არსებობს.

მიუხედავათ ამისა, როცა რომელიმე საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას ვიკვლევთ, უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია მისი დაყოფა რამდენიმე პერიოდათ, ხანათ, რომელიც თვალსაჩინოთ განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემით, თუმცა მკაცრათ არ არის ერთმანეთისგან გამოყოფილი.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა—და იმავ დროს უფრო კარგადაც შესწავლილია მეცნიერების-მიერ—იმ საზოგადოება-

თა განვითარება, რომლებიც ჩვენი დროის „განათლებულ“ კაცობრიობას წარმოადგენენ.

ამ საზოგადოებათა განვითარების ძირითადი თვისებები ყველგან ერთმანეთის მსგავსია. აქამდე არსებობს ორი უმთავრესი ფაზა, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში წვრილმანებში სხვადასხვანაირათ მიმდინარეობდა, მაგრამ არსებითათ თითქმის ერთნაირი იყო.

## I. პირვანდელი ნატურალური მეურნეობა.

ამისი განსხვავებული ნიშნებია: ადამიანის სისუსტე ბუნებასთან ბრძოლაში; ვიწრო, განცალკევებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები; მარტივი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. არ არსებობს, ან ძლიერ მცირეთაა განვითარებული გაცვლა; მეტის მეტათ ნელა იცვლება საზოგადოებრივი ფორმები.

ამ პერიოდს შეადგენს სამი სტადია, ანუ საფეხური:

1) პირველ-ყოფილი საგვარეულო კომუნიზმი, რომელიც წარმოადგენს ადამიანზე გარეშე ბუნების ბატონობის უმაღლეს ხარისხს; ადამიანის არსებობა არაფრით არაა უზრუნველყოფილი; შრომის ორგანიზაცია დამყარებულია ვიწრო ნათესავურ კავშირზე ადამიანთა შორის; არ არსებობს არავითარი ექსპლოატაცია (გაყვლეფა).

2) პატრიარქალური საგვარეულო სისტემა. აქ უკვე არსებობენ საარსებო ბრძოლის ისეთი წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოვრებას (მიწათმოქმედება, პირუტყვთა მოშენება); შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაცია ფართოვდება, თუმცა ჯერ კიდევ ვერ გასცილებია ნათესავურ ჩარჩოებს; წარმოებაში გამოცალკევებულია საორგანიზაციო შრომა, რომელიც ბატონობას ანიჭებს ცალკე პირს საგვარეულო ჯგუფის დანარჩენ წევრებზე; ამით შესაძლებელი ხდება ექსპლოატაცია, მაგრამ ვიწრო, განსაზღვრულ ფარგლებში, რადგან ვიწროა თვით წარმოების ფარგლებიც.

3) ფეოდალური წყობილება. ადამიანის საზოგადოებრივ ძალთა განვითარება წინ წასულა და შრომის ორგანიზაცია უკვე აღარ კმაყოფილდება ნათესავურ კავშირით. იმის შესამჩნევსა გაფართოებასთან

ქრთასი მცირდება მისი სიმტკიცე. მისი შემადგენელი წვრილი საგვარეულო ჯგუფები სავსებით არ იქსოვებიან ერთმანეთში, არამედ რამდენიმეთ ინარჩუნებენ თავის დამოუკიდებლობას. საორგანიზაციო შრომის ნაწილი გადადის ამ წვრილ ჯგუფთა უფროს წევრების ხელში, ნაწილი კი შემაერთებელი ორგანიზატორის—ფეოდალის საქმეს შეადგენს; ექსპლოატაცია ხდება სისტემით და მის საზღვარს გაბატონებულ ჯგუფთა მოთხოვნილებება შეადგენენ.

II. **საცვლელი მეურნეობა.** საზოგადოებრივი წარმოება იზრდება და მისი ელემენტები სხვადასხვაგვარი ხდება. საზოგადოება წარმოადგენს ერთ რთულ მთელს და შესდგება მრავალ ორგანიზაციულ ჯგუფებისაგან, რომელნიც შრომის მოუწესრიგებელ განაწილებით არიან ერთმანეთთან შეკავშირებული. განაწილებითი ურთიერთობაში პირველი ადგილი ცვლას უჭირავს. საზოგადოებრივი განვითარების პროცესი უფრო სწრაფათ მიდის წინ.

ეს პერიოდი შესდგება ორი სტადიისაგან:

1) წვრილ-ბურჟუაზიული წყობილება, რომლის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ცალკე სამეურნეო ორგანიზაციების სიმპატარავე. საწარმოვო საშუალებები ეკუთვნის იმას, ვინც იმათ პირდაპირ სარგებლობს. ამიტომ ექსპლოატაცია სულ არ არსებობს, ან ძლიერ სუსტათაა განვითარებული.

2) კაპიტალისტური სისტემა. წარმოება რთულდება და მსხვილდება. ამასთან ერთათ საზოგადოებრივი ადამიანის მბრძანებლობა ბუნებაზე უმაგალითო სიმაღლემდე აღწევს; მაგრამ უმაგალითო სიმაღლემდე აღწევს ადამიანებზე საზოგადოებრივ ურთიერთობათა მბრძანებლობაც, და ეს ურთიერთობა კი-არა ჩვეულებრივ რთული ხდება. ამ ურთიერთობათა საფუძველს შეადგენს თავისუფალი დაქირავებული შრომა. საზოგადოებრივი განვითარების პროცესი სწრაფი ნაბიჯით წინ მიეშურება.

III. **სოციალურათ მოწესრიგებული მეურნეობა**—ჯერ კიდევ მიუღწეველი საფეხურია განვითარებისა. წარმოების სიდიდე და სირთულე განუწყვეტლივ იზრდება, მაგრამ იმისი ელემენტების სხვადასხვაგვარობა იხატება იარაღების და შრო-

მის მეთოდების სხვადასხვაობაში. თვითონ საზოგადოების წევრები კი ერთგვარათ ვითარდებიან. წარმოება და განაწილება ხდება გეგმით და მოწესრიგებულათ თვითონ საზოგადოების მიერ და წარმოადგენს ერთ მთლიან სისტემას, რომელშიაც არ არსებობს დაყოფა, წინააღმდეგობანი და ანარქია. განვითარების პროცესი სულ უფრო და უფრო სწრაფათ მიდის წინ.

თანამედროვე კულტურულ საზოგადოების საერთო განვითარების პროცესიდან რამდენიმეთ ცალკე უნდა დავაყენოთ და განვიხილოთ კლასიკური ქვეყნის ცხოვრება მისი თავისებური მიმდინარეობით, რომელმაც მიიყვანა ის მონური შრომის ექსპლოატაციის უფრო დასრულებულ ფორმამდე და შემდეგ დეგრადაციამდე.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვითოეული პერიოდის ანალიზის დროს აუცილებლათ უნდა გამოვარკვიოთ, **რატომ და რანაირათ წარმოიშვენ ისინი, რატომ და რანაირათ** იცვლებოდენ და ერთი ურთიერთობიდან მეორეზე გადადიოდენ. რადგან ეკონომიურ მოვლენებს მტკიცე კავშირი აქვთ უფლებრივ და იდეიურ მოვლენებთან, ცხადია, ეკონომიური მეცნიერება უყურადღებოთ ვერ დასტოვებს იმ ურთიერთ კავშირს, რომელიც არსებობს ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ამ სამ დარგ შორის.

ეკონომიურ მეცნიერებას უფრო ხშირათ ყოფენ ამ ნაირათ: პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიური პოლიტიკა, ეკონომიური განვითარების ისტორია და ეკონომიურ შეხედულებათა ისტორია. ეკონომიურ შეხედულებათა ისტორიას, ცხადია, ტყუილათ ათვლიან ეკონომიურ მეცნიერებას: ესაა ერთი განყოფილებათაგანი სულიერ კულტურისა და არა საწარმოვო ურთიერთობათა მოძღვრებისა. შემდეგ, პოლიტიკური ეკონომიისა და ეკონომიური პოლიტიკის გამოყოფა ეკონომიური განვითარების ისტორიიდან—შეუსაბამოა, რადგან, როგორც პირველის, ისე მეორის საგანს შეადგენენ სწორეთ ისტორიულათ ცვალებადი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამნაირათ, რჩება ეკონომიურ მეცნიერების დაყოფა ორ დარგათ: პოლიტიკურ ეკონომიათ და ეკონომიურ პოლიტიკათ. და ერთათ-ერთი მოსაზრება რომელიც ასეთ,

გაყოფის საბუთათ გამოდგება, მდგომარეობს შემდეგში: პოლიტიკური ეკონომია არის სწავლა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილებების მიზეზებზე, ეკონომიური პოლიტიკა კი უჩვენებს ამ ურთიერთობათა ცვლილების წესებს, მეთოდებს. აშკარაა, ამ დაყოფას პირობითი ხასიათი აქვს.

## ეკონომიური მეცნიერების მეთოდი.

ეკონომიური მეცნიერება არის ერთი საზოგადოებრივ მეცნიერებათაგანი. ამიტომ, მისი მეთოდის შესაგნებათ უმჯობესია ასეთი გზა ავირჩიოთ: პირველად, ავღნიშნოთ, რა მეთოდები არსებობენ საერთოთ მეცნიერებაში; მეორეთ—რით განსხვავდებიან საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდები; მესამეთ—რა განსაკუთრებული თვისებები აქვს ეკონომიურ მეცნიერების მეთოდს.

ძირითადი, საყოველთაო სამეცნიერო მეთოდი არის ორი: ინდუქტივური (მეთოდი მიმაგნებელი) და დედუქტივური (მეთოდი დასკვნისა).

ინდუქცია მდგომარეობს იმაში, რომ კერძო დაკვირვებათა და ცდათაგან გამოგვყავთ დასკვნები. ასეთ დასკვნათა მთელი რიგიდან გამოიყვანებენ უფრო ფართე, საყოველთაო ხასიათის დასკვნებს, და ასე, მეცნიერების უკანასკნელ, საყოველთაო და ზოგად დასკვნებამდე. მაგ., მკვლეველმა რამდენჯერმე შენიშნა, რომ მოძრაობის დროს ეტლის ღერძი თბებოდა. აქედან გამოყავს დასკვნა: „ხეხვისაგან ეტლის ღერძი თბება“; ესაა პირველი კერძო დასკვნა ცალკე ფაქტებიდან. ეს დებულება მივიღეთ „მსგავსების“ შემწეობით, ე. ი. ცალკე მოვლენების განხილვის დროს ჩვენმა გონებამ გამოყო მოვლენებიდან ის, რაც მათში ერთმანეთის მსგავსია, საზოგადოა. დასკვნა დამტკიცებულია და უეჭველი, თუ მას ადასტურებენ სხვა გზითაც—განსხვავების შემწეობით: მაგ., ამცირებენ ხეხვას ღერძზე რაიმე ზეთის წასმით; ან აძლიერებენ მას იმ ნახვრეტის დავიწროებით, რომელშიაც ღერძი ტრიალებს; პირველ შემთხვევაში ღერძი ნაკლებათ თბება, მეორეში—

შეტაო, მაშასადამე, ღერძის გათბობის მიზეზი ნამდვილათ ჩეხვა-ხახუნია.

ამგვარათვე გამოყავთ მთელი წყების ანალოგიურ ზოგად დასკვნებისა. მანქანების ღერძები თბება ერთის მეორეზე ხახუნით; ხერხი—ხერხვის დროს ფიცარზე ხახუნით; ხის ნაჭრების ერთმანეთზე ხახუნით ველურები აჩენენ ცეცხლს. აქედან გამოდის უფრო ვრცელი ხასიათის დასკვნა: „სხეულები თბებიან ხახუნით“.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ სითბო იბადება მაშინაც, როცა სწყდება რაიმე მოძრაობა: მაგ., ტყვია კედელში მოხვედრის გამო თბება. ხახუნის დროს მოძრაობა ან სწყდება, ან ნელდება, სუსტდება, ერთი სიტყვით, ჰქრება რამდენიმე ნაწილი მაინც მისი ენერგიისა. საერთო ყველა ამ შემთხვევებში არის ის, რომ მოძრაობა ჰქრება სრულიათ, ან მისი ნაწილი. მრავალ ასეთ ზოგად დასკვნებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: „სადაც ჰქრება მოძრაობა, იქ ღვივდება სითბო“, ანუ მოძრაობა (მექანიკური) იქცევა—სითბოთ.

გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ სინათლეს და ელექტრონს შეუძლია იქცეს სითბოთაც და მექანიკურ მოძრაობათაც და პირიქით—წარმოსდგეს მათგან. აქედან გამოყავთ კანონი: ენერგიის ყველა სახეებს (ბუნებაში არსებულ ცვლილებათა ყველა ტიპს) შეუძლია ერთი-მეორის ალაგი დაიჭიროს, ერთი-მეორეთ იქცეს, ერთი-მეორეში გადავიდეს.

ასე, ინდუქცია, ეყრდნობა რა ცდას და დაკვირვებას, თავის დასკვნებში კერძოდან გადადის საყოველთაოზე, ზოგადზე.

დედუქცია მიდის წინააღმდეგი გზით: ის იღებს ზოგად დებულებებს და გამოყავს იქიდან უფრო კერძო ხასიათის დასკვნები. ჩვენ ვიცით, მაგ., რომ ენერგიის ყველა სახეებს შეუძლიათ ერთი-მეორის ალაგი დაიჭირონ; და როცა ჯერ კიდევ ენერგიის შეუსწავლელ ფორმას ვხვდებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ენერგიასაც შეუძლია სხვა სახე მიიღოს, სხვა ფორმათ იქცეს.

მაგრამ დედუქციას საფუძვლათ მუდამ ინდუქცია უძევს, იმიტომ, რომ ის ზოგადი დებულება, რომლისგანაც კერძო დასკვნები გამოყავთ, უნდა თვითონ შემუშავებული იქნეს ინდუქტიური გზით.

საზოგადოებრივი მეცნიერებანი, სარგებლობენ რა ამ ორი მეთოდით, განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ მოვლენებს საზოგადოებრივი თვალსაზრისით არჩევენ. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებანი ეხებიან **მხოლოდ** საზოგადოებას. არა, ისინი ძლიერ ხშირათ წვდებიან საზოგადოების გარეშე მოვლენებსაც, მაგრამ იმათ მხოლოდ იმდენათ იკვლევენ, რამდენათაც ეს უკანასკნელნი დაკავშირებული არიან საზოგადოების ცხოვრებასთან, რამდენათაც გავლენას ახდენენ მასზე. რომელიმე ხალხის ცხოვრების აღწერას თითქმის ყოველთვის იწყებენ იმ გარეშე ბუნების აღწერით, რომელშიაც ის ცხოვრობს; მაგრამ ამ პირობებს ეხებიან არა საკუთრივ, ყოველ მხრივათ, არამედ მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს საჭიროა იმისთვის, რომ შეიგნონ ხალხის ამა თუ იმ განსაკუთრებული თვისებების წარმოშობა. წარმოუდგენელია ეგვიპტის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლა ისე, თუ ყურადღება არ მიექცა მდ. ნილოსის პერიოდულ წყალ-დიდობას, რასაც ნაპირების წალეკვა მოყვება ხოლმე. მაგრამ ეს არა საზოგადოებრივი ფაქტი უნდა მივიღოთ მხედველობაში მხოლოდ საზოგადოებრივი მხრით, ე. ი. განვიხილოთ მისი გავლენა ეგვიპტის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, და შეგვიძლია სრულიად უყურადღებოთ დავტოვოთ ამ ფაქტის ასტრონომიული მიზეზები.

მაგრამ საზოგადოებრივი მეცნიერება რთულია, და საზოგადოებისა და გარეშე ბუნების საზოგადოებრივი თვალსაზრისით განხილვის დროს მკვლევარს შეუძლია სხვადასხვანაირათ ისარგებლოს ამ თვალსაზრისით. საზოგადოებრივი მეცნიერების ერთი ნაწილი—სწავლა მატერიალურ კულტურაზე—იკვლევს ყველა ფაქტებს იმ მხრით, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ამ ფაქტსა და საზოგადოების ბუნებასთან პირდაპირ ბრძოლას შორის. თუ როდისმე ეს მეცნიერება ეხება, მაგ., იდეის ისტორიას, ის ეხება მხოლოდ იმ კითხვის გამოსარკვევათ, თუ რა გავლენა იქონიეს იდეებმა გარეშე ბუნებასთან საზოგადოების ბრძოლის განაყოფიერებაზე. მეორე ნაწილი—ეკონომიური მეცნიერება—სწავლობს ყველა ფაქტს იმდენათ, რამდენათაც მას კავშირი აქვს იმ ურთიერთობებთან, რომლებიც მყარდება ადა-

მიანთა შორის არსებობისათვის ბრძოლაში. თუ ეს მეცნიერება ეხება მატერიალურ კულტურის საკითხებს, ეს მხოლოდ იმის გამოსარკვევათ, თუ რა გავლენა იქონიეს ამა თუ იმ ტეხნიკურმა პირობებმა ადამიანთა შორის ურთიერთობა-დამოკიდებულების ცვლილებაზე. დაბოლოს, მეცნიერება სულიერ კულტურაზე სწავლობს ყველაფერს, რაც შეეხება აზროვნებისა და ცნობიერების საზოგადოებრივ წესებს.

და ასე, ეკონომიური მეცნიერების მეთოდის განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველა მოვლენას მხოლოდ ერთი მხრივ იკვლევს, სახელდობრ იმ მხრივ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ადამიანთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე ბუნებასთან ბრძოლაში. ჩვენ გონებით გამოვყოფთ ამ მხარეს მოვლენიდან და ასე, განყენებულათ ვაცალკევებთ მას, რაც რეალურათ განუყოფელია.

ყოველი მოვლენის ძირითადი, პირველი მიზეზები — მის გარეშე ძევს. ეს ასეა ეკონომიკაშიაც. აი, ამიტომ ეკონომიური ფაქტების შესწავლის დროს აუცილებლათ უნდა გარკვეულ იქნეს მათი წარმოშობა არა ეკონომიური ფაქტებიდან. აი, რატომ ვერ დავკმაყოფილდებით ჩვენ მხოლოდ ადამიანების საწარმოო ურთიერთობათა განხილვით და მოგვიხდება ლაპარაკი ტეხნიკაზედაც, როგორც ეკონომიურ ცვლილების მიზეზზე; მოგვიხდება ლაპარაკი სულიერ კულტურაზედაც, როგორც ძლიერ, თუმცა კი ზედნაშენ, პირობაზე, რომელიც ხელს უშლის ან აჩქარებს ეკონომიურ ცვლილებათა მსვლელობას, რომლითაც ისაზღვრება რამდენიმეთ თვით ფორმა ცვლილებათა, თუმცა იგი მისგან არ არის გამოწვეული.

უკიდურესი სირთულე საზოგადოებრივი მოვლენებისა საშინლათ აბნელებს ეკონომიურ მეცნიერებაში ეკონომიურ მეთოდის ხმარებას, რომელიც ადვილათ მოსახმარია მარტივ, არა-რთულ ფაქტების გამოსაკვლევათ. ამ შემთხვევაში ეკონომისტი იშველიებს დედუქციას ეგრეთ-წოდებული „აბსტრაქტული (განყენებული) მეთოდი“-ს ფორმით: მკვლევარი ცდილობს წარმოიდგინოს საზოგადოებრივი ფაქტების განსაზღვრული მხარე სრულიად წმინდათ, მარტივათ, გამოცალკევებულათ, და შემდეგ ლოგიკურათ ასკვნის, თუ რა ცვლილებები უნდა მოხდეს მასში ამა თუ იმ ახალ ფაქტის გავლენით. ამნაირათ,

თანამედროვე საზოგადოების განხილვა შეიძლება დავიწყოთ იმით, რომ წარმოვიდგინოთ მის საზღვრებში წარმოების სრული, თავისუფალი კონკურენცია და გამოვარკვიოთ, რა ცვლილებები უნდა მოხდეს მასში; შემდეგ კი უნდა მივიღოთ მხედველობაში კონკურენციის სხვადასხვა შემავიწროვებელი მოვლენები და გამოვარკვიოთ, როგორი გავლენა უნდა იქონიონ იმათ ამ ცვლილებათა მსვლელობაზე, და სხვ...

შემდეგ—რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რა სიმაღლემდეა ასული დღეს ეკონომიური მეცნიერების განვითარება. ის ჯერ დიდათ განვითარებული არაა,—გადადგმულია მხოლოდ პირველი, ყველაზე უძნელესი ნაბიჯები. ეკონომიური მეცნიერება ძლიერ ნორჩია—ის ჩაისახა არა უწინარეს XVII საუკუნისა.

ეკონომიურ მეცნიერების ასეთ ნაგვიანევ და შედარებით სუსტ განვითარებას ორი მთავარი მიზეზი აქვს; პირველი უფრო საზოგადო მიზეზია—უკიდურესი სირთულე საზოგადოებრივ მოვლენებისა, მაშასადამე, უკიდურესი სიძნელე მათი შესწავლისა. მეორე, უფრო კერძო მიზეზი ისაა, რომ ინტერესი ეკონომიურ მეცნიერებისადმი წარმოიშვა და გაძლიერდა მხოლოდ ამ ბოლო ხანებში. მკვლევარის მთელ გონებას, უწინარეს ყოვლისა და მეტი ძლიერებით, იზიდავს თავისკენ ცხოვრების ის მხარეები, რომელთაც ემჩნევა სწრაფი მოძრაობა, ხშირათ იცვლიან ფორმებს და რომელთა განვითარებაც გრიგალივით მიქროლავს. კაპიტალისტური საზოგადოების წინა ფორმების დამახასიათებელ თვისებას-კი, პირიქით, წარმოადგენს უკიდურესათ ნელი მოძრაობა და მეტის მეტათ თანდათანობითი განვითარება. ბურჟუაზიული ქვეყანა გაირჩევა ცხოვრების უკიდურესათ სწრაფი მსვლელობით და მრავალ შინაგან წინააღმდეგობით, ამიტომ მხოლოდ მას შეეძლო წარმოეშვა ღრმა და ცხოველი ინტერესი ეკონომიურ მოვლენათა შესწავლისადმი.

## I. პირველყოფილი საგვარეულო კომუნიზმი.

წყაროები, რომლების შემწეობითაც შეიძლება პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრების შესწავლა, არაა მაინცა და მაინც

ზევრი. არავითარი ლიტერატურა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების შესახებ არ დარჩენილა, რადგან ის მაშინ არც კი არსებობდა. ამ პერიოდის ერთად-ერთ საისტორიო მასალას წარმოადგენენ იმ დროინდელი ძვლები, იარაღები და სხვა ნაშთები, რომლებსაც მიწაში პოულობენ.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომლითაც შეიძლება სარგებლობა პირველყოფილ კაცობრიობის ცხოვრების გამოსაკვლევათ; ესაა—ცხოვრება, ურთიერთობანი და ზნე-ჩვეულებანი თანამედროვე ველურებისა, განსაკუთრებით იმათი, რომლებიც განვითარების უმდაბლეს საფეხურზე დგანან.

მაგრამ როცა მივმართავთ ამ წყაროს, აუცილებლათ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ დასკვნების გამოყვანას. ეხლა უკვე აღარ მოიპოებიან ისეთი ველურები, რომლებსაც დამოკიდებულება არ ქონოდეთ სხვა, მათზე უფრო განვითარებულ ხალხებთან; და ადვილათ შეიძლება სერიოზულ შეცდომაში ჩავვარდეთ, თუ პირველყოფილ ზნე-ჩვეულების ნაშთათ ჩავთვლით იმას, რაც ნამდვილათ სხვისგან აქვთ გადმოღებულ-ნასესხები შედარებით მახლობელ წარსულში.

შესაძლებელია აგრეთვე მეორე გვარი შეცდომებიც. ზოგიერთმა ტომმა განსაზღვრულ მაღალ საფეხურამდე განავითარა კიდეც თავისი კულტურა, მარა შემდეგ, ისტორიულ ცხოვრების მსვლელობის უკუღმართობის გამო, ისევ დაკარგა ამ შენაძენის უმეტესი ნაწილი. ასეთი გაველურებული ტომი რომ პირველყოფილ ველურ ტომათ ჩავთვალოთ, უეჭველია, შემცდარ დასკვნას მივიღებთ.

ყოველ შემთხვევაში, პირველყოფილ ადამიანის ცხოვრების შესახებ მოგროვილი მასალები და წყაროები, რომლებიც დღეს არსებობენ, სრულიად საკმარისია „ისტორიის წინა“ ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირითადი თვისებების გამოსარკვევათ.

### 1. პირველყოფილ ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან.

ბუნებასთან საბრძოლველათ პირველყოფილი ადამიანი მეტათ სუსტათაა შეიარაღებული, ბევრ მხეცზედაც უფრო სუსტათ. ბუნებრივი იარაღები—ფეხები, ხელები, კბილები—იმას გაცილებით უფრო სუსტი აქვს, ვინემ, მაგ., დიდრონ მტაცებელ ცხოველებს. ხელოვნური იარაღები, რომლებიც დღეს დიდ უპირატესობას აძლევენ და აბატონებენ ადამიანს დანარჩენ ცოცხალ და უსულო ბუნებაზე, მაშინ მეტათ ცუდი, უშნო და უხეირო იყო; ამასთანავე, მათი ძლიერ მცირე რიცხვი იყო ადამიანების განკარგულებაში; ასე რომ, მათ არ შეეძლოთ შესამჩნევათ გაეადვილებიათ ადამიანისთვის საარსებო ბრძოლა ბუნებასთან.

ამ ძნელ ბრძოლაში პირველყოფილი ადამიანი ბუნების მეფეს კი არ წარმოადგენს, არამედ, პირიქით, ეს პირველი პერიოდი კაცობრიობის ცხოვრებისა შეადგენს ადამიანის ნამდვილ მონობის და დაჩაგვრა-დაჯაბნების ხანას. ხოლო დამჩაგვრელი, ანუ ბატონი არის არა მეორე ადამიანი, არამედ ბუნება.

პირველი იარაღი იყო, უეჭველია, ქვა და ჯოხი. ეს ბუნებისაგან მზა-მზარეულათ მოცემული იარაღები მოეპოება მაღალ ჯიშის მაიმუნებსაც, მაგრამ ეხლა უკვე აღარ დარჩენილა ისეთი ველური, რომელსაც, გარდა ქვისა ან ჯოხისა, რაიმე სხვა იარაღებიც არ მოეპოვებოდეს.

პირველყოფილი ადამიანის ტვინი სუსტია და განუვითარებელი. გონებრივ შრომისათვის იმას არა რჩება დრო, რადგან ის მუდმივ დამქანცველ ბრძოლაშია გაბმული და მაინც ერთ წამსაც ვერა გრძნობს თავს უზრუნველყოფილათ სიკვდილისაგან. მიუხედავათ ამისა, ადამიანი ვითარდება.

ცხოვრების საშუალებათა ძებნაში და არსებობისათვის ბრძოლაში ეს გონება-ჩლუნგი, დაჩაგრული მონა ბუნებისა ეცნობა ბუნების საგნებს და ძალებს, თაობიდან თაობაში გა-

დააქვს და აგროვებს გამოცდილებას, აუმჯობესებს ნელ-ნელა იარაღებს.

ძლივს ნელ-ნელა, მრავალ წლების განმავლობაში ერთი-მეორეზე ხდება გამოგონებები და აღმოჩენები. იგონებენ სულ ისეთ რამეებს, რაც ჩვენი დროის ადამიანს მეტათ უბრალოთ ეჩვენება, მაგრამ პირველყოფილ ადამიანს კი ძვირათ დაუჯდა მათი გამოგონება.

ქვისა და ჯოხის შეერთებით, მათი შემუშავებით სხვადასხვა მიზნისთვის მოსახმარათ, ამ პირველყოფილ იარაღიდან წარმოსდგა მრავალი სხვა: ქვის ცულები, ჩაქუჩები, დანები, შუბები და სხვ. ამგვარი.

დაახლოვებით ამ ქვის იარაღების ეპოქაში აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ცეცხლის სასარგებლო თვისებებიც.

სათევზე ანკესი თევზის ძვლებისაგან და ტივი, რომლიდანაც შემდეგ ნავი გააკეთეს, გამოგონილ იქნა უფრო გვიან. დაბოლოს შვილდ-ისრის გამოგონებამ ადამიანი თვით უძლიერეს ცხოველებს გაუთანასწორა.

ასე მიდიოდა ნელ-ნელა მწარმოებელი შრომის პროგრესი კაცობრიობის ცხოვრების პირველ ხანაში.

მრეწველობას წარმოადგენდა ხეებიდან ნაყოფის მოკრეფა, წვრილ-ფეხა მხეცზე ნადირობა, თევზაობა, ხისა და ძვლებისაგან უშნო, ტლანქი იარაღების, და ტყავისაგან უგვანო, უხეირო ტანთსაცმელის მომზადება. წარმოების ამ ტიპს შეიძლება დაერქვას **სამონადირო**, თუ ნადირობაში ჩვენ ვიგულისხმებთ გარეშე ბუნების მიერ მზა-მზარეულათ მოწოდებულ ცხოვრების საშუალებათა შოვნა-მოპოვებას, როგორიცაა—ნადირი, თევზი და გარეულ მცენარეების ნაყოფი. უმთავრესი თვისება ასეთი მრეწველობისა იმაში მდგომარეობს, რომ ის სავსებით არასოდეს არ უზრუნველ-ჰყოფს ადამიანის ცხოვრებას. ნაყოფის მოკრეფა, ნადირობა, თევზაობა—ეს სულ ისეთი საქმეებია, რომელშიაც მეტის-მეტათ დიდ როლს თამაშობს მოულოდნელი შემთხვევა. ჯერ კიდევ არ არსებობდა წარმო-

ბის ის დარგები, რომლებიც შეძლებას აძლევენ ადამიანს უზრუნველ-ჰყოს სახვალიოთ თავის თავი — არ არსებობდა მიწათმოქმედება და პირუტყვთა მოშენება.

ადამიანის მთელი ძალ-ღონე ამ ხანაში ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებათა მოპოებაზე იხარჯება. დღიური შრომა მას ძლივს ყოფნის თავის გამოსაკვებათ. ადამიანის მთელი სამუშაო დრო უნდება ცხოვრებისათვის ბრძოლას. თავისუფალი (ზედმეტი) სამუშაო დრო მას არა რჩება, ასე რომ, შეძლება არა აქვს სხვის ან თავის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნოს. მისი შრომა არა ქმნის ზედმეტ ნაწარმოებს, არაფერს აძლევს იმის გარდა, რაც მის ცხოვრებისათვის აუცილებელი საჭიროა.

დღეს კიდეც რომ მოიპოვოს ველურმა — მონადირემ იმაზე მეტი, რაც მას დღევანდელ დღეს სჭირდება, მაგიერში ხვალ, შეიძლება, ვერაფერიც ვერ იშოვნოს, ან და თავიც წააგოს რომელიმე ძლიერ ნადირთან ბრძოლაში.

ამ პირობებში, აშკარაა, შეუძლებელია ექსპლოატაცია, ე. ი. შეუძლებელია მითვისება სხვისი ზედმეტი შრომის ნაყოფისა, ვინაიდან თვით ზედმეტი შრომა არ არსებობს. ამ ხანაში მხოლოდ უგვანო, პირველყოფილი წესით შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორით ისარგებლოს. ესაა — მისი შეჭმა.

## 2. საზოგადოებრივი წარმოების ურთიერთობანი პირველყოფილ საგვარეულო ჯგუფებში.

თანამედროვე მეცნიერებას არ ეგულება არც წარსულში და არც აწმყოში ისეთი ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში არ ცხოვრობდეს. პირველყოფილ ეპოქაში უკვე არსებობდა კავშირი ადამიანებს შორის, თუმცა, რასაკვირველია, ისეთი ფართო არა, როგორც დღეს არის. მაშინდელ ადამიანებისთვის ისე შეუძლებელი იყო არსებობისათვის ბრძოლაში სხვა ადამიანების დაუხმარებლათ იოლათ წასვლა, როგორც შეუძლებელია ეხლანდელისთვის. ბუნებასთან განმარტოვებულათ

მებრძოლი ადამიანი აუცილებლათ მალე დაიღუპებოდა, მარა საზოგადოებრივი კავშირიც იმ ხანებში მეტათ სუსტი იყო. ამის ძირითადი მიზეზი, როგორც უკვე ავხსენით, იყო ტეხნიკის სრული განუვითარებლობა; აქედან კი თავისთავათ წარმოიშვა მეორე მიზეზი—საზოგადოებრივ კავშირების მეტისმეტი ვიწრო ფარგლებში მომწყვდევა, ცალკე საზოგადოებათა სიმცირე, სიპატარავე.

რამდენათ დაბლა დგას ტეხნიკა, რამდენათ შეუმუშავებელია არსებობისათვის ბრძოლის წესები, იმდენათ მეტი სივრცის მიწა—„საექსპლოატაციო მოედანია“ საჭირო თითო კაცისთვის ცხოვრების სახსარის მოსაპოებლათ. პირველყოფილი ნადირობა იმდენათ მცირე ნაყოფს იძლევა, რომ ზომიერი „სარტყელის“ საშუალო ბუნებრივ პირობებში ერთ კვადრატ მილის (49 კვადრატი ვერსი) მიწაზე შეუძლია თავის გამოკვება სულ ბევრი—20 ადამიანს და არა მეტს. ამიტომ ყოველი მრავალ-რიცხვოვანი ჯგუფი ადამიანებისა ისეთ თვალ-გადაუწვდენელ სივრცეზე უნდა გაფანტულიყო, რომ საზოგადოებრივი კავშირის დაცვა მათ შორის ყოვლათ მოუხერხებელი იქნებოდა; და თუ მივიღებთ მხედველობაში მაშინდელი დროის ადამიანთა შორის მიმოსვლის სიძნელეს, გზის უქონლობას, მოშინაურებული პირუტყვების უქონლობას, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდა მგზავრობა, დიდ საფრთხე-განსაცდელს, რომელიც თანა სდევდა ყოველ უმნიშვნელო მგზავრობასაც კი,—მაშინ ადვილათ გავიგებთ, თუ რატომ ვერ იტევდა რამდენიმე ათეულ კაცზე მეტს მაშინდელი საზოგადოება.

ცხოვრებისათვის საბრძოლველათ შეერთება იმ დროში შესაძლებელი იყო მხოლოდ იმათთვის, ვინც თვით ბუნებამ შეაერთა ჩამომავლობით, ნათესაური კავშირით. ერთმანეთისათვის სისხლით უცხო ადამიანები არა ჰკრავდენ ერთმანეთ შორის თავისუფალ კავშირებს. პირველყოფილ ადამიანს გონება არ შესწევდა ისეთ რამის გამოსაგონებლათ, როგორიც პირობაა. უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ არსებობისათვის ბრძო-

ლის ულმობელი პირობები მტრობას უნერგავდა მას ყველა ადამიანთან, რომელიც მასთან ნათესაობით და საერთო ცხოვრებით არ იყო დაკავშირებული.

ამიტომ პირველყოფილი პერიოდის საზოგადოებრივი ორგანიზაცია წარმოადგენდა საგვარეულო კავშირს, ანუ გვაროვნობას. და გვარის საზღვრები იყო ამავე დროს საზღვრები ეკონომიური ურთიერთობისა. ძირითადი საწარმოო ურთიერთობა საგვარეულო ჯგუფისა არის **მარტივი თანამშრომლობა.** საზოგადოებრივ-საშრომო მოღვაწეობა იმდენათ განსაზღვრული და მარტივია, რომ ერთმაც ის იცის, რაც მეორემ, და თვითოეული ასრულებს დაახლოვებით მსგავს სამუშაოს. ესაა ყველაზე სუსტი ფორმა თანამშრომლობისა. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში იჩენს თავს უფრო მჭიდრო ხასიათის კავშირი, როცა, მაგ., კოლექტიურათ ასრულებენ ისეთ საქმეს, რომლის გაკეთებაც ცალკე პირის ძალღონეს აღემატება, მარა ადვილი დასაძლევია იმ მექანიკური ძალის შემწეობით, რომელსაც ქმნის მთელი ჯგუფის შეერთებული მოქმედება, — ასეთია რომელიმე ძლიერი ნადირისაგან საერთოთ თავის დაცვა, მასზე ნადირობა და სხვა.

საგვარეულო ჯგუფის შიგნით ძლიერ ადრე გაჩნდა პირვანდელი შრომის დაყოფის ჩანასახი. თავდაპირველათ ის ემყარება სქესისა და ასაკის ფიზიოლოგიურ განსხვავებაზე: ნადირობა შეადგენს ვაჟკაცე̈ის საქმეს, ნაყოფის მოკრეფა კი — ქალების და ბავშვების საქმეა.

შრომის განაწილება ცალკე პირთა შორის თვითნებობაზე ვერ იქნებოდა დამყარებული. ბუნებასთან სასტიკი ბრძოლა არ აძლევდა ამის ნებას პირველყოფილ ადამიანს. მუშების მოქმედება აუცილებლათ შეთანხმებული უნდა ყოფილიყო, რომ თავიდან აეცილებიათ ძალთა უნაყოფო ხარჯვა. შრომა საგვარეულო ჯგუფის საერთო ნებით იყო მოწესრიგებული ამ ჯგუფის საზოგადო ინტერესების მიხედვით.

პირველყოფილ საგვარეულო კავშირის განვითარების

მსვლელობა ახლა შეიძლება აღდგენილ იქმნას მხოლოდ დაახლოვებით და ზოგადი სახით.

თავდაპირველათ საგვარეულო ჯგუფი შესდგებოდა, ალბათ, შემდეგი წევრებისაგან: ქალი-დედა და იმისი შვილები, რომელთაც მცირე წლოვანებისას აუცილებლათ ესაჭიროებოდათ დედის შემწეობა. დროთა განმავლობაში თანამშრომლობის სარფიანობა კიდევ უფრო მტკიცეს და ურყეველს ხდიდა ასეთ ოჯახურ კავშირს,—შვილები აღარ შორდებოდენ დედას დავაჟკაცების შემდეგაც: ამნაირათ ეჩვევოდენ ერთათ ცხოვრებას. ადამიანები თანდათან ცდილობდენ ერთათ ყოფილიყვენ. საგვარეულო ჯგუფები იზრდებოდენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ საზღვრებამდე, სანამ მათ ამის ნებას აძლევდა ტეხნიკის განვითარება; და გადაცილდებოდა თუ არა ამ საზღვრებს, ის აუცილებლათ უნდა გაყოფილიყო.

### 3. პირველყოფილი ფორმები განაწილებისა.

პირველყოფილი საგვარეულო ჯგუფების საწარმოო ურთიერთობას სრულიად შეეფერებოდა მაშინდელი განაწილების ფორმები. თუ წარმოებაში შრომის მოწესრიგება კოლექტიურ ნებაზე იყო დამოკიდებული და პირადზე, ცხადია, ამ შრომის ნაყოფის განაწილებაც მთელი ჯგუფის საქმე უნდა ყოფილიყო. ჯგუფი აძლევდა ყველას მოთხოვნილებათა შესაფერად. რომელიმე წევრისთვის აუცილებლათ საჭიროზე ნაკლების მიცემა მისთვის ხელსაყრელი არ იყო, რადგან ასეთი მოქმედება დაღუპავდა ასეთ წევრთ და ამით დაასუსტებდა თვით ჯგუფს; ვინმესთვის აუცილებელ საჭიროზე მეტის მიცემა კი შეიძლებოდა, მაგრამ ძლიერ იშვიათ შემთხვევაში; საზოგადოთ კი ეს მოუხერხებელი იყო, რადგან ამის ნებას არ აძლევდა წარმოების მცირე განვითარება და ზედმეტი შრომის არ არსებობა (ე. ი. რადგან შრომა ცხოვრებისთვის აუცილებელ საშუალებებზე ზედმეტ საგნებს ვერ იძლეოდა).

მაშასადამე, პირველყოფილ განაწილებას მოწესრიგებუ-

ლი, კომუნისტური ხასიათი ჰქონდა. პირადი, კერძო საკუთრების კვალიც კი არსად იყო; რასაც ერთად მოიწევდენ, იმას საერთოთ ანაწილებდენ და შემდეგ დაუყონებლივ გაიხმარდენ; დაზოგვა-შენახვა, დაგროვება (накопленіе) მათთვის არ არსებობდა.

## 4. პირველყოფილ საზოგადოების პსიხოლოგიის ძირითადი თვისებები.

საგვარეულო ჯგუფში პიროვნების მდგომარეობას ხშირათ იდეალურათ ხატავდენ: არც ბატონი, არც ყმა, თანასწორობა განაწილებაში, ძმობა ყოველივე საურთიერთო განწყობილებაში, მეტი რაღა გინდა,—აი ყველა პირობები ადამიანის ძალთა სწრაფი განვითარებისა, საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მხარეთა და დარგთა პროგრესისა. ნამდვილათ კი სრულიად სხვა იყო. ვერც ერთ საზოგადოებაში, რომელსაც იცნობს მეცნიერება, ვერ შეხვდებით ცხოვრების ფორმათა ასეთ უძრაობას, ასეთ დამყაყებას და ერთ დონეზე გაყინვას, როგორც ამას ვხედავთ პირველყოფილ კომუნიზმის დროს. პირველყოფილ საზოგადოებაში არ იყო ბატონი და ყმა, მაგრამ არ იყო არც თავისუფლება. ადამიანი საშინელ მონობაში იმყოფებოდა, მას სჩაგრავდა ულმობელი ბუნება, რომლის სუსხის წინააღმდეგაც ის ყოვლად უმწეო იყო: ბუნების სტიქიური ძალები დასცინოდენ მის უძლურებას, ბურთივით ათამაშებდენ მის ცხოვრებას, მის ბედ-იღბალს. იმათი ბრმა თვითნებობა და ძალმომრეობა უფრო უმოწყალო და ულმობელი იყო, ვინემ შემდეგში შეგნებული ძალმომრეობა ადამიანისა.

განაწილებაში გამეფებული იყო თანასწორობა. მაგრამ რა უნდა განაწილებულიყო? საზოგადოებრივი შრომის ნაწარმოები იმდენათ მცირე იყო, რომ პირველყოფილ ადამიანის განუვითარებელ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც არ კმაროდა. პირველყოფილ ადამიანების მატერიალური მდგომა-

რეობა ისეთი იყო, რომ თანამედროვე სიღატაკე, მასთან შედარებით, დიდი სიმდიდრეა.

პირველყოფილი ძმობა, ურთიერთის დახმარება და დაცვამფარველობა მართლაც საკმაოთ მჭიდრო და მტკიცე კავშირს წარმოადგენდა პირველყოფილ ადამიანებს შორის. მაგრამ ასეთი ძმობა არსებობდა მხოლოდ გვარის ვიწრო ფარგლებში. თუ ადამიანი ამ საგვარეულოს არ ეკუთვნოდა, ის ვერავითარ დახმარებას ვერ პოებდა ამ პაწაწინა საზოგადოების წევრებში; წინააღმდეგ—გარეშეებს ისე უყურებდენ, როგორც მტერს, და არა იშვიათათ ნადირობდენ მასზე, როგორც მხეცებზე.

ბუნების ბატონობა საშინლათ აფერხებდა ამ საზოგადოების განვითარებას, რადგან იძულებულს ხდიდა ადამიანს მთელი თავისი ძალ-ღონე ყოველ-დღიურ საზრდოს მოპოებაზე ეხარჯნა. თანასწორი განაწილება, რომელიც შედეგი იყო ტეხნიკის განუვითარებლობისა და ზედმეტი შრომის არ არსებობისა, იმის საშუალებასაც არ იძლეოდა, რომ ცალკე პიროვნებებს მაინც გაეფართოვებინათ თავის მოთხოვნილებანი და მით თავისი პირადი ენერგიისა და ნიჭის განვითარების გამოჩენით წინ წაეწიათ საზოგადოებრივი პროგრესი. საგვარეულოს წევრთა შორის თითქმის არავითარი ფსიხიური (სულიერი) განსხვავება არ არსებობდა, და ამან მიიყვანა საქმე იქამდე, რომ პიროვნება ჯგუფში გაილესა. მას, მჭიდრო კავშირით მიბმულს ჯგუფზე, თავისი თავი ჯგუფისაგან დამოუკიდებლათ ვერც კი წარმოედგინა. ის არ არსებობდა, როგორც პიროვნება. მას არა ჰქონდა თავისი საკუთარი ნება. არსებობდა ნება მხოლოდ **საგვარეულოსი.** ეს იყო ნება არა მარტო ცოცხლებისა, არამედ კიდევ უფრო მეტათ—მკვდრებისა. მრავალ ას და ათას წლების განმავლობაში თითქმის უცვლელათ გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეში არსებობისათვის ბრძოლის ნაცადი წესები, საურთიერთო განწყობილების ფორმები და აზროვნება. წარსული ბატონობდა აწმყოზე ძველ უცვლელ ჩვეულებების სახით. ცხოვრების წვრილმანებშიაც კი, რომელნიც

ვერ თავსდებოდენ ჩვეულების ვიწრო ფარგლებში, პიროვნება ვერ ახერხებდა თავის-თავათ, დამოუკიდებლათ მოქმედებას და აქაც ჯგუფს ემორჩილებოდა.

მრავალ ათას თაობებში გამოიარა უცვლელათ ამ ჩვეულებებმა; ამით იგი თანდათან მტკიცდებოდა და თითქმის ქვავდებოდა. ყოველივე ახალი ცხოვრებაში, ცხოვრების ყოველივე ჩვეულებრივი ფორმების წინაალმდეგი ჰბადებს შიშსა და აშფოთებს ჯგუფის წევრებს. პირველყოფილ კაცობრიობის ასეთი ფსიხოლოგია უმაღლესი დაბრკოლებაა ყოველგვარ განვითარებისათვის.

მაგრამ ეს ცოტაა. განვითარებისათვის საჭიროა მასალა. რამდენათ ღარიბია ადამიანის ფსიხიკა, რამდენათ ნაკლებ შეგნებული აქვს ადამიანს თავის დამოკიდებულება გარშემორტყმულ ბუნებასთან, იმდენათ ძნელია წინმსვლელობა, პროგრესი: შეგნება მისი მთავარი იარაღია, პირველყოფილ ადამიანს კი შეგნების მხოლოდ ნასახი ეტყობოდა.

პირველყოფილ ადამიანების შეხედულება ცხოვრებაზე და მსოფლიოზე, თავის-თავათ ცხადია, ტლანქი და ბუნდოვანი უნდა ყოფილიყო. ბუნება ჩაგრავდა მის გონებას, ვიწრო საგვარეულო ურთიერთობის ფარგლებში ატრიალებდა მის აზრს, რაიცა აფერხებდა მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას.

იმ დროს ადამიანის სულიერ ავლა-დიდებას შეადგენდა მცირეოდენი პრაქტიკული ცოდნა, ყოველ სისტემას მოკლებული და უაზრო, ფანტასტიური წარმოდგენა მსოფლიოზე. ფსიხიური აპარატის უვარგისობის გამო იმას უფრო მეტი შემცდარი დასკვნები გამოჰყავს ცხოვრების დაკვირვებიდან, ვინემ სწორი, მეტს ამუშავებს ფანტაზიას, ვინემ გონებას.

ბუნებისაგან დამონებულ პირველყოფილ ადამიანს არა თუ არ შეეძლო ბუნების საიდუმლოებათა გაგება, არც კი მიისწრაფოდა მის გასაგებათ. ის ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან ცოცხალსა და მკვდარს ბუნებაში, შეგნებულსა და შეუგნებელს

თავის არსებაში. ყველა საგნები, ყველა მოვლენები იმას ერთგვარათ ეჩვენებოდა: მზე, რომელიც მას ათბობდა; ქვა, რომელსაც ფეხი შეაჭრა; ნადირი, რომელიც მას დაეტაკა; კაცი, რომელიც მას წინ შეეხეჩა—ყველა ესენი მისთვის მხოლოდ მომქმედი ძალა იყო, რომელსაც მისთვის ან სარგებლობა მოჰქონდა, ან ზარალი. ურთიერთობა ნივთებისა და ურთიერთობა ადამიანებისა, მისი აზრით, ერთგვარი ხასიათისა იყო.

ცნობიერების ასეთ უკიდურეს განუვითარებლობისაგან გამომდინარეობდა ისეთი შეხედულება ბუნებაზე, რომელიც გარეგნულათ თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებას მოგვაგონებს. ველურისათვის ყველაფერი ბუნებრივი იყო, იმიტომ, რომ მის სუსტ აზროვნებას ზესთაბუნებრივ იდეის შემუშავება არ შეეძლო.

გონებრივი სიჩლუნგე და უძლეველი ზიზღი ყოველივე ახალისადმი, შეგნების უკიდურესი სიღარიბე—ასეთია ძირითადი თვისებები პირველყოფილი ფსიხოლოგიისა, თვისებები, რომლებიც, პირველი შეხედვით, თითქო შეუძლებლათ ხდიან მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარებას. მაგრამ განვითარება მაინც ხდებოდა, თუმცა მეტის-მეტათ ნელის ნაბიჯით. დამარცხება და დამორჩილება ყოველგვარ პროგრესისადმი სტიქიურ წინაალმდეგობისა, როგორსაც წარმოადგენდა პირველყოფილი ფსიხოლოგია,—მხოლოდ სტიქიურ ძალებს შეეძლო.

### 5. განვითარების ძალები პირველყოფილ საზოგადოებაში.

საგვარეულო ჯგუფის სიდიდე, როგორც უკვე იყო ნათქვამი, შრომის ნაყოფიერების სიდიდით განისაზღვრება: წარმოების მაშინდელ წესების გამო ჯგუფი აუცილებლათ უნდა დაშლილიყო, როგორც კი მის წევრთა რიცხვი განსაზღვრულ საზღვარს გადასცილდებოდა; და ასე, ერთი ჯგუფის ალაგს იჩერს ორი; თვითოეული მათგანი ცალკე საექსპლუატაციო ას-

პარეზს შოულობს, მრავლდება წინანდელ ზომამდე და შემდეგ ისევ იყოფა ორათ, და ასე ბოლომდე. ამ სახით, შეუჩერებლათ მრავლდება არეში მკვიდრთა რიცხვი, მაგრამ ტერიტორია ამა თუ იმ ქვეყნისა განსაზღვრულია და არსებულ საწარმოვო იარაღების დახმარებით ადამიანს შეუძლია ცხოვრების საშუალება მოიწიოს მასზე მხოლოდ იმ დრომდე, სანამ განსაზღვრულ რიცხვს არ აღემატება. როდესაც მონადირე-მკვიდრნი ისე სქლად სახლდებიან, რომ ამ მხარეში თითო კვადრატ მილზე 20 კაცამდე მოდის, მაშინ შემდეგი გამრავლება აუტანელი ხდება, და ადგილობრივი მოზარდი მცხოვრებლები საცხოვრებელ საშუალებებს ვეღარ პოულობენ. ესაა ეგრეთ წოდებული „აბსოლიუტურათ სიჭარბე მცხოვრებლებისა“ (абсолютное перенаселеніе). ეს „აბსოლიუტური სიჭარბე მცხოვრებლებისა“ იწვევს სიმშილობას, სენს, გახშირებულ სიკვდილს,—აუარებელ ტანჯვა-წვალებას. ტანჯვის ძლიერება ამარცხებს ნელ-ნელა ჩვეულების სიჩლუნგეს, უმოძრაობას, და ტეხნიკური პროგრესიც შესაძლებელი ხდება. შიმშილი ათრგუნვინებს ადამიანს ყოველისავე ახალისადმი სიძულვილს, და ასე იწყებენ განვითარებას ცხოვრებისათვის ბრძოლის ახალი წესების ჩანასახები, როგორც ისინი, რომლებიც უკვე წინეთ იყვენ ცნობილი, აგრეთვე ისინიც, რომლებიც ახლა ჩნდებიან. განვითარების ერთი, ყველაზე უმთავრესი დაბრკოლება, ამგვარათ, მოშორებულია. რჩება მეორე დაბრკოლება—ფსიხოლოგიის სიღარიბე, შემეცნების განუვითარებლობა, უნიჭობა ბუნებასთან ბრძოლის ახალ წესთა გამონახვაში. ამიტომ განვითარება ხდება შეუგნებლათ, სტიქიურათ, ისეთი ნელი ნაბიჯით, რომ თანამედროვე ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს. ტეხნიკის განვითარება მხოლოდ დროებით ამსუბუქებს იმ ტანჯვას, რომელიც მცხოვრებთა „აბსოლიუტურ სიჭარბის“ მიზეზით ჩნდება. საზოგადოებრივი შრომის წესები თავის მხრივ აღარ კმარან, როცა მცხოვრებლები კიდევ უფრო მრავლდე-

ბიან: შიმშილის ძლიერება კიდევ ახალ ნაბიჯს ადგმევინებს ადამიანს განვითარებისაკენ.

ამგვარია განვითარების მიზეზები პირველყოფილ საზოგადოებაში. წარმოების ფორმათა უძრაობა—ადრე თუ გვიან —იწვევს მცხოვრებთა „აბსოლიუტურ სიჭარბეს“. ეს კი თავის მხრით ძირს უთხრის ამ უძრაობას. პირველყოფილ საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის საოცარი კონსერვატიზმის მიზეზით, ტეხნიკის პროგრესი თითქმის მუდამ ძლიერ იგვიანებდა, მცხოვრებლების გამრავლებასთან შედარებით, და საცხოვრებელ საშუალებათა ნაკლებულობა, საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, ქრონიკული იყო.

მცხოვრებთა „აბსოლიუტურ სიჭარბის“ პირველი შედეგია ის, რომ იწყება სასტიკი ბრძოლა საგვარეულო საზოგადოებებს შორის, რაიცა იწვევს მთელი ტომების გადასახლებას ახალ მხარეებში. ასეთი გადასახლება ისეთსავე ძნელ საქმეს შეადგენს პირველყოფილ ადამიანის ჩლუნგი ფსიხიკისათვის, როგორიცაა ტეხნიკაში რამე ცვლილების შეტანა.

## II. საზოგადოების მამათ-მთავრული (პატრიარქალური) საგვარეულო ორგანიზაცია.

### 1. მიწათმოქმედებისა და პირუტყვთა მოშენების ჩასახვა.

აბსოლიუტური სიჭარბე მცხოვრებთა პირველყოფილ ადამიანებს ნელ-ნელა აუმჯობესებინებდა პირველყოფილ სანადირო იარაღებსა და წესებს; მანვე აიძულა ისინი ბოლოს და ბოლოს დაეტოვებინათ წარმოების ძველი წესები და გადასულიყვენ ბრძოლის ახალ წესებზე, რომლებიც შესამჩნევათ ამცირებენ ადამიანის დამონებას გარეშე ბუნებისაგან და იფარავენ მას მისი სტიქიის ჟინიანობისაგან.

მიწათმოქმედება და პირუტყვთა მოშენება ერთმანეთის დამოუკიდებლათ, განცალკევებულათ ჩნდებოდა სხვადასხვა მხარეში ადგილობრივი ბუნებრივი პირობების მიხედვით.

მიწათმოქმედების მიჩვევა ადამიანისაგან უეჭველათ შედეგია მთელი წყება „შემთხვევითი“ ფაქტებისა, რომლებიც დროგამოშვებით აუცილებლათ უნდა განმეორებულიყვენ. იმ ალაგას, სადაც ადამიანს შემთხვევით ეფანტებოდა გარეული პურის მცენარის მარცვლები, რამდენიმე თვის შემდეგ ის იმავე მცენარის უკვე გაზრდილ-დამწიფებულ თავთავებს პოულობდა; შეიძლება ეს ათასჯერ შეუმჩნევლათ დარჩა მისთვის; მაგრამ, ადრე თუ გვიან, ამ ორ მოვლენათა შორის არსებული კავშირი ველურის გონებაშიაც უნდა ჩასახულიყო; ამას მოყვა აზრი ამ კავშირით სარგებლობისა. ეს აღმოჩენა ყველაზე უმალ უნდა მოეხდინათ ქალებს, რომელთაც, შვილების მიზეზით, ნაკლები წანწალი ხვდათ წილათ, ვინემ მონადირე-კაცებს, და რომელთაც შინ ნაყოფებისა და მარცვლების მოგროვება ევალებოდათ.

პირველყოფილი მიწათმოქმედება ძლიერ ნაკლებ გავს თანამედროვეს თავისი მოუხეშავი და უვარგისი წესებით. გუთანი, მაგ., საკმაოთ გვიან გამოგონებულია. არა თუ პირველყოფილ ადიმიანის დროს, შედარებით, ამ ახლო ხანებშიაც კი მიწას ხნავდენ ხის შემწეობით, რომელსაც აცლიდენ ყველა ტოტებს, გარდა ერთისა; ამ ერთს კი თავს წაუწვეტიანებდენ, და ამ წაწვეტიანებულ ტოტის შემწეობით გაჰყავდათ კვალი. მინდორში ყველაზე უწინარესი იარაღი მიწათმოქმედებისა— თავ-წამწვეტიანებული ჯოხი იყო, რომლითაც თხრიდენ მიწაში თესლისთვის პატარა ორმოებს. ხშირათ პირველყოფილი მიწათმოქმედება უამ-იარაღოთაც იოლათ მიდიოდა.

რაც შეეხება პირუტყვების მოშენებას, ის წარმოსდგა, ეჭვი არაა, ნადირის თავშესაქცევათ მოშინაურებისაგან. ეხლაც ბევრი ველური მონადირეები, რომლებიც განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან და რომელთაც ნამდვილ პირუტყვთა მოშენებაზე სრულიათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ, მრავალ გარეულ ცხოველებს აშინაურებენ, თუმცა მათგან არა-

ვითარ მატერიალურ სარგებლობას არ იღებენ და მათთვის მხოლოდ მეტ ბარგს უფრო წარმოადგენენ.

როგორც მიწათმოქმედებამ, ისე პირუტყვთა მოშენებამ რამდენიმეთ უზრუნველჰყო ადამიანის არსებობა, გაუადვილა მას თავის რჩენა და ამით შეძლება მისცა შემდეგი განვითარებისა. მიწათმოქმედებისა და პირუტყვთა მოშენების პირველყოფილი ფორმების წყალობით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე 3—4-ჯერ მეტი მცხოვრებთა რიცხვი ეტეოდა, ვინემ წინეთ; ახლა ზომიერ ჰავიან „სარტყლის“ შუათანა პირობებში ერთ კვადრატ მილზე 70 კაცამდე ირჩენდა თავს, ნადირობის დროს კი მხოლოდ 20 კაცი.

მიწათმოქმედება განვითარების პირველ ხანებში თითქმის არც კი სცვლის ველურ ტომთა მაწანწალურ ცხოვრებას. ის პირველათ მხოლოდ ნადირობის დამატებას შეადგენს; და საგვარეულო ჯგუფი, ემორჩილება-რა ნადირობის მოთხოვნილებებს, ჩვეულებრივ განაგრძობს ერთი ალაგიდან მეორეზე გადასვლას. თვითოეულ ალაგას ის მხოლოდ იმდენ ხანს რჩება, რამდენიც სჭირია პურის დათესვას, დამწიფებასა და მომკას, რა შეეხება პირუტყვთა მოშენებას, ის პირდაპირ თხოულობდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას: პირუტყვისთვის საჭიროა საბალახოები, და როცა ერთ მინდორზე ბალახი ისპობა, საჭიროა მეორის მოძებნა. დროთა ვითარებაში მცხოვრებთა გამრავლებამ შეაერთებინა ადამიანს მიწათმოქმედება და პირუტყვთა მოშენება, და ბინადარ ცხოვრებას შეაჩვია. მას შემდეგ შესაძლებელი ხდება სამიწათმოქმედო იარაღების გაუმჯობესება და მიწათმოქმედებაში პირუტყვის ძალღონით სარგებლობა; ამით გამოუწვეული შრომის განაყოფიერება კიდევ ერთი სამჯერ ადიდებს მცხოვრებთა მჭიდროობას (плотность). საშუალო ჰავაში 200-მდე კაცი ეტევა კვადრატ მილზე. ადამიანის არსებობა ამის შემდეგ შედარებით უზრუნველყოფილი ხდება, და „ზედმეტი შრომა“-ც მუდმივ მოვლენათ იქცევა.

## 2. საგვარეულო ჯგუფის საწარმოვო ურთიერთობათა განვითარება.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მომატებამ შესაძლებელი გახადა საგვარეულო ჯგუფის გაზრდა-გადიდება. კერძოთ პირუტყვთა მოშენებამ მიმოსვლის ახალი, უფრო გამოსადეგი საშუალებები მისცა ადამიანს (ირმებით, ცხენებით, აქლემებით მოგზაურობა), რითაც წინანდელზე უფრო გაადვილდა საზოგადოებრივი კავშირის გაბმა დიდ მანძილზე და ასე ხელი შეუწყო საგვარეულო ჯგუფების საზღვრების გაფართოებას. ამგვარათ, საზოგადოების წევრთა რიცხვი ხშირათ ასობით ითვლებოდა. მაგ., პატრიარქ აბრამს თავის ჯგუფში 417 იარაღის ტარების შემძლე კაცი ყავდა.

წარმოების გაფართოების და გართულების მუდმივი ზრდა ბადებდა ახალ ფორმებს შრომის დაყოფისას. ერთ მათგანს მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი განვითარებისათვის— ესაა წარმოების მომწყობელ-მომწესრიგებელი, ორგანიზატორული შრომის გამოყოფა.

როცა ჯგუფური წარმოება მცირე იყო, მარტივი, და მიზნათ მხოლოდ ახლო მომავლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ქონდა, მაშინ საორგანიზაციო შრომა კიდევ შეიძლებოდა საერთო საქმე ყოფილიყო, შეიძლებოდა აღმასრულებელის შრომასთან ერთათ მოთავსებულიყო, რადგან მისი შესრულება განსაკუთრებულ ნიჭსა და მიხვედრილობას არ თხოულობდა. მარა როცა საქმე ისე გართულდა, რომ ასობით სხვადასხვა გვარი სამუშაო მიზნის შესაფერათ უნდა განაწილებულიყო მუშებს შორის, როცა საჭირო შეიქნა ჯგუფის მოთხოვნილებების მთელი თვეობით წინდაწინ გათვალისწინება-გამოანგარიშება და,—რომ საზოგადოებრივ საშრომო ენერგიის ხარჯვა მასზე შეწონილ-შეზომილი ყოფილიყო,—საჭირო შეიქნა ამ ხარჯისთვის გულდასმული კანტროლის გაწევა, მაშინ საორგანიზაციო მოქმედება ეთიშება აღმასრულებელ შრომას; ორივე

შრომის ასრულება ერთ პიროვნებისთვის შეუძლებელი ხდება: ეს ბევრათ აღემატება მაშინდელ საშუალო ადამიანის გონებრივ განვითარებას; საორგანიზატორო მოქმედება ამიერიდან უფრო გამოცდილ და უფრო მცოდნე პირების „სპეციალობათ“ იქცევა. თვითოეულ ცალკე ჯგუფში ის ბოლოს და ბოლოს ერთი ადამიანის ხელში იყრის თავს; ჩვეულებრივ ესაა უფროსი პირი გვარში,—**მამათ-მთავარი**, პატრიარქი.

ორგანიზატორს ემორჩილებიან. ეს თვით მისი როლის არსებიდან გამომდინარეობს. ამგვარათ, წარმოების სფერაში ჩნდება შრომის დაყოფის განსაკუთრებული ფორმა, ესაა პირადი უფლობა, მბრძანებლობა, ერთი მხრით, და მორჩილება—მეორე მხრით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების შემდეგ განვითარებისათვის.

ცალკე ჯგუფთა თვალსაზრისით, ომი წარმოების, ესე იგი გარეშე ბუნებასთან საზოგადოებრივ ბრძოლის, დარგათ ითვლება, იმიტომ, რომ მტრები—ადამიანები წარმოადგენენ მათთვის გარეშე ბუნების ელემენტს ისე, როგორც მგლები, ან ვეფხვები. პატრიარქალურ საგვარეულო ეპოქაში წარმოების ამ დარგს დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ მცხოვრებლების უფრო სქლათ დასახლებამ, წინანდელთან შედარებით, გაახშირა ადამიანთა შორის შეტაკება; განსაკუთრებით მოხეტიალე მწყემსთა ჯგუფებ შორის თითქმის განუწყვეტელი ბრძოლაა საბალახოებისთვის. ომები ძლიერ ხელს უწყობენ ორგანიზატორის ძალა-უფლობის გაძლიერებას: ომი თხოულობს მტკიცე ორგანიზაციას, სასტიკ დისციპლინას; და ეს—უხმო, უცილობელი მორჩილება ბელადისადმი ომიანობის დროს, შემდეგშიაც, მშვიდობიანობის დროსაც,—უცვლელათ რჩება. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორეთ ომისა და ნადირობის სფერაში წარმოიშვა თავდაპირველათ საორგანიზატორო ძალაუფლობა, რომელიც შემდეგ თანდათან გავრცელდა წარმოების სხვა დარგებზე, ამ დარგების გართულებასთან ერთათ. ორგანიზატორის ძალა-უფლობათა სფერის ასეთი გაფართოებისთვის

განსაკუთრებით ხელი უნდა შეეწყო იმ ფაქტს, რომ, ვინც ომისა და ნადირობის ორგანიზატორი იყო, ნადავლ-ნანადირევის განაწილებაც მასზე იყო დამოკიდებული; და ეს კი თავის-თავათ აძლევდა მას თვალსაჩინო ეკონომიურ ძლიერებას და ავტორიტეტს ჯგუფის წევრთა შორის.

ორგანიზაციული შრომა, როგორცა სჩანს, ისტორიულათ წარმოადგენს საზოგადოთ რთული (კვალიფიკაციური) შრომის ყველაზე ადრინდელ ფორმას. პირველყოფილ კომინისტურ ჯგუფში, სადაც თვითოეულმა იცოდა ყველა იმის გაკეთება, რაც სხვებმა, თვითოეულის შრომა შეიძლება ნამდვილ მარტივ შრომათ ჩაითვალოს. ასეთივეა აღმასრულებელი შრომა პატრიარქალურ ჯგუფში: მხოლოდ ორგანიზატორობა განურჩევლათ ყველას არ შეუძლია—ის თხოულობს განსაკუთრებულ გამოცდილებას და რამდენიმეთ არა-ჩვეულებრივ ნიჭსაც. ორგანიზატორი თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს, თავდაპირველათ მაინც, ჯგუფის საერთო ინტერესებით. ის ანგარიშობს, ერთი მხრით,—რამდენი მოთხოვნილება აქვს ჯგუფს, მეორეს მხრით—რამდენი საშრომო ენერგიის განვითარება შეუძლია მას, და ამის მიხედვით აწესებს თანამშრომლობისა და შრომის დაყოფის ფორმებს. თავის-თავათ იგულისხმება, რომ ის ამ რთულ მოქმედებას ასრულებს უმეტეს ნაწილათ სრულიად სტიქიურათ, დამკვიდრებული ჩვეულების და წინაპართა მაგალითის მიხედვით; მხოლოდ წარმოების ზოგიერთ წვრილმანებში, რომლების შესახებაც ჩვეულება არ იძლევა პირდაპირ ჩვენებას, ორგანიზატორი იძულებულია დამოუკიდებლათ, თავის საკუთარი მოსაზრებით იმოქმედოს.

დროთა განმავლობაში ორგანიზატორულ მოქმედების თანდათან გართულებამ გამოიწვია ახალი ცვლილებები საგვარეულო ჯგუფის წყობილებაში. ჯგუფისა და იმის წარმოების გაფართოების გამო შეუძლებელი გახდა ერთი კაცისთვის მთელი ორგანიზატორული შრომის სავსებით შესრულება. ამ შრომის ერთი ნაწილი აუცილბელათ გადადიოდა ჯგუფის

სხვა წევრების, ჩვეულებრივ ხანში შესულ და გამოცდილ ადამიანების ხელში. თვითოეული მათგანი მეორე ხარისხოვანი, ხელქვეითი ორგანიზატორი იყო საგვარეულო ჯგუფის რომელიმე ნაწილისა. და ადვილი გასაგებია,—ეს იქნებოდა ის ნაწილი ჯგუფისა, რომელთანაც მას უფრო მკვიდრი, ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა. ამგვარათ, გვარის ფარგლებში ნელნელა განკერძოვდა, გამოიყო ოჯახი, რომელიც შემოკრბა ამ კერძო ორგანიზატორების გარშემო. ყველა ოჯახების სათავეში კი იდგა პატრიარქი, მაგრამ ეს პატრიარქალურ ეპოქაში ოჯახის განკერძოება არასოდეს ღრმა და ძლიერი არა ყოფილა; პირიქით, ჯგუფის მთლიანობა უფრო ძლიერი იყო, ვინემ მისი ნაწილების, ოჯახების განკერძოება.

ყველა ოჯახებ შორის მალე განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა პატრიარქის ოჯახმა. ამ ოჯახის წევრები ყველაზე უფრო ახლოს იდგენ ორგანიზატორის მოღვაწეობასთან და ყველაზე უფრო ადვილათ შეეძლოთ ორგანიზატორულ შრომისთვის მომზადებულიყვენ; ამიტომ ყველაზე ხშირათ ამათგან ირჩევდენ საგვარეულოს ახალ ორგანიზატორს, როცა ძველი მოკვდებოდა, ან გამოუსადეგარი შეიქნებოდა. ეჭვს გარეშეა, რომ პატრიარქიც ცდილობდა განემტკიცებია თავის ოჯახის გაბატონებული მდგომარეობა და წინდაწინვე ამზადებდა თავის მახლობელ ნათესავებს ორგანიზატორის როლისთვის, ჯგუფის სხვა წევრებში კი ისე აწყობდა საქმეს, რომ სწორეთ იგი აერჩიათ. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო გვირგვინდებოდა გამარჯვებით მისი მეცადინეობა. ნელნელა ორგანიზატორის არჩევა მხოლოდ ფორმალობათ გადაიქცა; ფაქტიურათ კი პატრიარქი თითონ ნიშნავდა თავის მოადგილეს. ამგვარათ, ორგანიზატორის როლი ერთი ოჯახის სამემკვიდრეო საკუთრებათ შეიქნა.

ასეთია პატრიარქალური გვარეულობის შინაგანი საწარმოვო ურთიერთობა. ამას გარდა, პატრიაქალურ ეპოქაში არა-

მცირე მნიშვნელობა აქვს საშრომო კავშირს სხვადასხვა გვარებ შორის,

როცა გვარი ორ ანუ რამდენიმე ახალ ჯგუფებათ იყოფოდა, მათ შორის კავშირი ჩვეულებრივ სავსებით არ წყდებოდა ხოლმე, და იმ შემთხვევაში, როცა ცალკე ჯგუფის ძალ-ღონე საკმარისი არ იყო რაიმე საქმის შესასრულებლათ, მაგ., შემოსეულ უცხო ტომთაგან თავის დასაფარავათ, დიდრონ ცხოველთა ჯოგებზე სანადიროთ და სხვ., ეს მონათესავე (ერთი ტომის) ჯგუფები ერთდებოდენ საერთო მოქმედებისათვის. ასეთ საქმეებს ხელმძღვანელობდა, ჩვეულებრივათ, უხუცეს-ორგანიზატორთა საბჭო, ანუ მათ მიერ არჩეული განსაკუთრებული ბელადი.

ასეთნაირ მოწყობილ თანაშრომლობასთან ერთათ ნელნელა ვითარდება ჯგუფებ შორის საწარმოვო კავშირის სხვაგვარი ფორმაც,—ესაა მოუწყობელ-მოუწესრიგებელი განაწილება საზოგადოებრივ შრომისა.

ზედმეტი შრომა ამ დროს საკმაოთ გავრცელებულია. ხოლო საცა მიწათმოქმედება და პირუტყვთა მოშენება შეერთებულია, იქ ეს თითქმის მუდმივ მოვლენას წარმოადგენს და, ამნაირათ, ზედმეტი ნაწარმოები გროვდება. ბუნებრივ პირობათა განსხვავებისა ან რაიმე შემთხვევით გარემოებათა მიზეზით, ეს ზედმეტი ნაწარმოები სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვაგვარი აღმოაჩნდა. შესაძლებელია, რომ თავდაპირველათ ცვლა წარმოიშოვა მონათესავე ჯგუფთა ჩვეულებისაგან, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი უთმობდენ ერთმანეთს თავიანთ ზედმეტ ნაწარმოებს. ცვლა წარმოადგენს მოუწყობელ-მოუწესრიგებელ საწარმოვო კავშირს ჯგუფებ შორის: ფაქტიურათ ჯგუფი ამზადებს ნაწარმოებს არა მარტო თავისთვის, არამედ, რამდენიმეთ, სხვა ჯგუფებისთვისაც; ეს უკანასკნელნი კი—პირველისთვის; წარმოება რამდენიმეთ მათ შორის საერთოა; მაგრამ არაა ორგანიზაცია ამ საერთო წარმოებისთვის: თვითოეული ჯგუფის შრომა ერთი-მეორისაგან სრულიად დამოუკიდებლათაა მოწყობილი.

ეს ფორმა საზოგადოებრივ შრომის განაწილებისა პატრიარქალურ ურთიერთობის დრო დიდს როლს არ თამაშობს ცალკე თემთა ცხოვრებაში: აუცილებლათ საჭირო ნაწარმოებთა უმრავლეს ნაწილს თვითოეული საგვარეულო თავისთვის თვითონვე ამზადებს.

ამგვარათ, საწარმოვო ურთიერთობათა ძირითადი თვისებები, რომლებითაც პატრიარქალური წყობილება განსხვავდება პირველყოფილ კომუნისტურ წყობილებისაგან, მდგომარეობს შემდეგში: განცალკევება, გათიშვა ორგანიზატორული შრომისა აღმასრულებელი შრომისაგან; თანამშრომლობისა და შრომის განაწილების გაფართოება, როგორც ჯგუფის შიგნით, ისე, რამდენიმეთ, ჯგუფებ შორისაც. ზედმეტ შრომის არსებობის გამო პირველათ იჭერს წარმოებაში რამდენიმეთ შესამჩნევ ადგილს შრომის განაწილების მოუწყობელი ფორმა, რომელსაც ცვლა ეწოდება.

ყველა ეს ფორმები ძლიერ ნელნელა იკიდებენ ფეხს და სრულ განვითარებულ სახეს იღებენ მხოლოდ ბინადრულ ცხოვრების ხანაში, რომელიც დამყარებულია მიწათმოქმედებისა და პირუტყვთა მოშენების შეერთებაზე. იქ, სადაც ასეთი შეერთება არ მომხდარა, ეს თვისებები ნაკლებათ იჩენენ თავს. კერძოთ, მხოლოდ მწყემსები უფრო ჩქარა ანვითარებენ ცხოვრების ახალ ფორმებს, ვინემ მხოლოდ მიწათმომქმედი ჯგუფები. ეს მოვლენა დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, პირუტყვთა მოშენების მეტ ნაყოფიერებაზე პირველყოფილ მიწათმოქმედებასთან შედარებით; მეორეთ, მწყემსთა თემების უფრო მოძრავ ცხოვრებაზე, რომელიც ბადებს უფრო ხშირ შეტაკებებსა და ხშირ მიმოსვლას სხვადასხვა ჯგუფებ შორის.

### 3. ფორმები განაწილებისა პატრიარქალურ საგვარეულო ეპოქაში.

#### ა) მოწესრიგებული განაწილება.

ორგანიზატორული შრომის ცალკე პირის პატრიარქის ხელში გადასვლასთან ერთათ, აუცილებლათ მის ხელშივე უნ-

და გადასულიყო განაწილების უფლებაც. მხოლოდ ორგანიზატორს შეეძლო შეუცდომელათ, საერთო ინტერესების თანახმათ გადაეწყვიტა: ნამუშევარის რამდენი ნაწილის გადადება შეიძლება დაუყოვნებლივ მოსახმარათ, რამდენი უნდა შეინახოს შემდეგი წარმოებისათვის, და რამდენი უნდა გადაიდოს „ზაპასათ" (სათადარიგოთ) შემდეგი დროისათვის; მხოლოდ მან იცოდა ჯგუფის ცალკე წევრების როლი საერთო წარმოებაში, და შეეძლო ამის მიხედვით თვითოეულისათვის სწორედ იმდენი მიეცა, რამდენიც აუცილებელი იყო მათთვის, რომ თავის როლის შესრულებაში ხელი არ შეშლოდათ.

საგვარეულო ჯგუფის უმრავლესობას თანდათან ავიწყდებოდა თავის, ფაქტიური მონაწილეობა ორგანიზატორულ მოქმედებაში და განაწილების კანტროლში; აქედან წარმოსდგა ჩვეულება—ზედმეტ ნაწარმოების პატრიარქის განკარგულებაში დატოვებისა. ეს აუცილებელი იყო. ზედმეტი შრომის ზრდასთან ერთათ, ორგანიზატორი სულ უფრო მეტ ნაწარმოებს იტოვებდა პირადათ მოსახმარათ, და ამნაირათ იზრდებოდა უთანასწორობა განაწილებაში მასა და ჯგუფის წევრებ შორის... ესაა უკვე ჩანასახი ექსპლოატაციისა მაგრამ მხოლოდ ჩანასახი: იმ კაცს, რომელსაც ისეთი რთული საქმის შესრულება ქონდა დავალებული, როგორიცაა ორგანიზატორული შრომა, გაცილებით მეტი ენერგიის დახარჯვა სჭირდებოდა, ვინემ სხვას. ამიტომ მას გაცილებით უფრო ფართე მოთხოვნილებები ქონდა. მარა ექსპლოატაციას ამ ხანაში საზღვარს უდებდა წარმოების სიმცირე და ის გარემოება, რომ ბევრი სხვადასხვაგვარი ნაწარმოების დამზადება არ იცოდენ. ორგანიზატორი იმ ნაწარმოებით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომლითაც სხვები კმაყოფილდებოდენ; მას შეეძლო მხოლოდ აერჩია საუკეთესო ნაწილი მთელი წარმოებიდან, მაგრამ ხომ არ შეეძლო შეეჭამა სხვებზე ათჯერ მეტი ხორცი, პური, ან სხვა რამ? მართალია, მას შეეძლო ზედმეტი ნაწარმოების ნაწილი სხვა ჯგუფისთვის გადაეცვალა რაიმე განსხვა-

ვებულ სახმარ ნივთში, მაგრამ ეს, შედარებით, ძლიერ იშვიათათ ხდებოდა, რადგან ცვლა მეტის მეტათ სუსტათ იყო განვითარებული.

შემდეგ, იქ, სადაც ცალკე საგვარეულო ჯგუფები გაერთიანებულ სატომო ორგანიზაციებს ადგენენ რაიმე განსაკუთრებულ ფართე საქმის გასაკეთებლათ, საერთო შრომის ნაყოფს (საერთო ნანადირევი, ომში ნადავლი და სხვ.) ანაწილებენ იგივე პირები, რომლებიც მეთაურობდენ ამ საქმეს— ჩვეულებრივათ უხუცესთა საბჭოები; ჯგუფთა შორის ნაშოვარის განაწილება ხდებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ როგორი მონაწილეობა მიიღო მის შოვნაში. საერთოთ, მოწესრიგებული განაწილება პატრიარქალურ ხანაში განირჩეოდა კომუნისტურ საზოგადოებაში არსებულ განაწილებისაგან არა მარტო იმით, რომ განაწილებაში უთანასწორობასა და ექსპლოატაციას ქონდა ადგილი, არამედ უმთავრესათ იმითაც, რომ განაწილების მოწესრიგება ცალკე პირთა უფლებას შეადგენდა.

## ბ) მოუწყობელი განაწილების, ე. ი. ცვლის განვითარება.

როდესაც საგვარეულო ჯგუფში ზედმეტ ნაწარმოებთა დამზადება ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა, მაშინ ორ საგვარეულო ჯგუფთა შორის ამ ზედმეტის გაცვლა-გამოცვლის დასაწყებათ საკმაო იყო მხოლოდ ორი პირობის არსებობა: განსხვავებულ პროდუქტის დამზადება და ჯგუფთა შორის მეგობრული განწყობილება (საზოგადოებრივი კავშირი). პირველი პირობა ხორციელდება, უმთავრესათ, საწარმოვო საშუალებათა განსხვავებით სხვადასხვა თემში, რაიცა შედეგია გარეშე ბუნების სხვადასხვაობისა. მიწათმოქმედი თემი, რომლის მიწაც პურის მოსავალს კარგს იძლეოდა, მაგრამ სელისას კი—ცუდს, თავის ნაწარმოებს უცვლის იმ თემს, რომლის მიწაზედაც უფრო კარგი სელი მოდის და ცუდი პური. მოხეტიალე (მეჯოგეთა)

ჯგუფი უცვლიდა მიწათმომქმედთ ხორცს პურში და სხვ.; მეორე პირობა ხორციელდება ცალკე თემთა შორის არსებულ ნათესაურ კავშირით, რომელსაც ამაგრებდა ზოგიერთ საქმეების კოლექტიურ ძალით შესრულების საჭიროება. შემდეგში, ცვლის განვითარებასთან ერთათ, წარმოების განსხვავებას იწვევდა არა მარტო ბუნებრივ პირობათა სხვადასხვაობა, არამედ ტეხნიკური ცოდნის სხვადასხვაობაც. მეგობრული განწყობილება კი ნათესაურ კავშირის გარეშეც არაიშვიათად მყარდებოდა ჯგუფებ შორის.

თავის ისტორიულ განვითარებაში ცვლამ სამი ფაზა გამოიარა, სამი სხვადასხვა სახე მიიღო.

პირველი, ანუ მარტივი ფორმა ცვლისა ეკუთვნის იმ ეპოქას, როცა ცვლა ჯერ კიდევ ძლიერ იშვიათი მოვლენა იყო; შესაძლებელია, რომ ეს ფორმა პირველყოფილ კომუნიზმის ხანას ეკუთვნოდეს. შემთხვევით ერთმანეთს ხვდება ორი კაცი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა საგვარეულო ჯგუფის წევრი; თვითოეულ მათგანს მიაქვს გასაცვლელათ თავის ნაწარმოები, რომელიც შემთხვევით ესაჭიროება მეორეს. აქ სულ ორი ნივთია, ვთქვათ, ცული და პური. ასეთი გაცვლა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახით:

1 ცული ეთანასწორება 2 საწყაო ხორბალს. ან კიდევ სხვანაირათ:

1 ცულის საცვლელ ღირებულობას წარმოადგენს 2 საწყაო ხორბალი.

(საზოგადოთ, ერთი ნაწარმოების საცვლელი ღირებულება ეწოდება მეორე ნაწარმოების იმ რაოდენობას, რომელსაც მასში იძლევიან). ასე იქცევა ნაწარმოები საქონლათ, ე. ი. საცვლელ საგნათ. მაგრამ ამ ეპოქაში ისინი მხოლოდ შემთხვევით ხდებიან საქონლათ. მწარმოებელს ჯერ კიდევ შეძლება არა აქვს სხვადასხვა ნაწარმოებთაგან აირჩიოს ის, რომელიც მას ესაჭიროება.

მეორე, **გაშლილი ფორმა** ცვლისა წარმოიშვა შემდეგ.

ეპოქაში, როცა ცვლა უფრო ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა და ჯგუფთა შორის კავშირი გაფართოვდა. ახლა უკვე ერთმანეთს ხვდება რამდენიმე საქონელი და არა მხოლოდ ორი. გამყიდველს მოაქვს ცული; ერთი მას აძლევს 2 საწყაო პურს; მეორე—1 ცხვარს; მესამე—8 ისარს და სხვა. მას შეუძლია სხვადასხვა საქონლებში ის აირჩიოს, რომელიც მოეწონება. მის წინ **ბაზარია**. ცვლის ფორმა ახლა ასეთ სახეს იღებს: ერთი კაცი ეთანასწორება ორ საწყაო ხორბალს:

ან 1 ცხვარს

ან 8 ისარს, და სხვ.

ფულის მეორე ფორმა დიდხანს ვერ ძლებს ცხოვრებაში, და მალე ახალ, მესამე ფორმაზე გადადის—ესაა ცვლის **განვითარებული**, ანუ ფულებრივი, ფორმა.

ცულის მწარმოებელი მიდის ბაზარში და ცდილობს თავისი ცული ისარზე გადასცვალოს; მარა ძლიერ იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ისრების გამყიდველს სწორეთ ცული ესაჭიროება; უფრო ხშირათ კი ისიც მოხდება ხოლმე, რომ ბაზარში გასაყიდი ისარი სრულიადაც არ მოიპოვება.

ცულის გამყიდველს ყოველ მხრიდან აწვდიან მისთვის უსარგებლოს: ვინ 2 დანას, ვინ 1 ცხვარს, ვინ 2 მოკლულ კურდღელს და სხვ... რა ქნას მან? ცოტა ფიქრის შემდეგ, ის ცვლის ცულს ცხვარში; ამ შემთხვევაში ის მსჯელობს დაახლოებით ასე: „თუმცა ხორცი მე ჯერ საკმაოთ მაქვს, მარა, უკიდურეს შემთხვევაში, ცხვარი იმ დრომდე მაინც იცოცხლებს, სანამ შემონახული ხორცი შემომელეოდეს; და თუ ისრების გამყიდველს შევხედი, ისიც უფრო ადვილათ გამიცვლის ისრებს ცხვარში, ვინემ ცულში. ცული მას, ადვილი შესაძლებელია, არც კი ესაჭიროებოდეს, ცხვარი კი—ყოველ შემთხვევაში გამოდგება. საზოგადოთ, პირუტყვს ყველა დიდი ხალისით ყიდულობს ბაზარში". მისი ანგარიში მართლდება. ისრების ვაჭარიც სწორეთ ამავე მოსაზრებით უცვლის მას ისრებს ცხვარში.

ხორცის და პურის საზოგადო მოთხოვნილებამ შეაჩვია

ადამიანი თავის ყოველგვარ ნაწარმოების მასზე გაცვლას, როცა ბაზარში პირდაპირ ვერ შოულობს იმ საქონელს, რომელიც მას ესაჭიროება. ამნაირათ, თითქმის ჩვეულებათ გადაიქცა თავის საქონელის „ხვასტაგზე“ (ხვასტაგი—შინაური პირუტყვი) გაცვლა და შემდეგ „ხვასტაგით“ საჭირო ნაწარმოების ყიდვა.

ამიერიდან საქონელი—ხვასტაგი შეადგენს სრულიად განსხვავებულ საქონელს, რომელსაც ყველა დიდი ხალისით ეტანება, რომლის შეძენასაც ყველა ცდილობს. პირდაპირი გაცვლა ქრება. თუ თვითოეული საქონელი ჯერ უნდა ხვასტაგზე გაიცვალოს, რომ შემდეგ ხვასტაგით შესაძლებელი გახდეს სხვა საჭირო საქონლის შეძენა, ცხადია, რომ ეს განსხვავებული საქონელი—ხვასტაგი—ცვლის იარაღია, საქონელთა აღებ-მიცემობის საშუალებაა. აქედან ვიღებთ ცვლის მესამე ფორმას:

| | | |
|---|---|---|
| | 1 ცული | უდრის 1 ცხვარს. |
| ანუ | 2 დანა | |
| ანუ | 8 ისარი | |
| ანუ | 2 საწყაო ხორბალი | |

ასეთ განსაკუთრებულ **საქონელს, რომელიც ცვლის იარაღს წარმოადგენს, ეწოდება—ფული. საქონლის საცვლელი ღირებულება, ფულათ გამოხატული, არის საქონლის ფასი.**

ფულის ხმარება მეტათ აადვილებს ცვლის განვითარებას. ფულის შემოღება ნიშნავს იმას, რომ საცვლელმა ურთიერთობამ ჯგუფთა შორის **მუდმივი** ხასიათი მიიღო.

ყოველ შემთხვევაში, პატრიარქალურ საგვარეულო ორგანიზაციის ხანაში ცვლა, შედარებით, სუსტათაა განვითარებული და მას უმნიშვნელო როლი ეკუთვნის მეურნეობის საერთო სისტემაში. საგვარეულო ჯგუფს თავის ნაწარმოებთა მხოლოდ მცირე ნაწილი მოაქვს ბაზარში და მხოლოდ თავის მოთხოვნილებათა უმნიშვნელო ნაწილს იკმაყოფილებს სხვა ჯგუფის ნაწარმოებით. ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება იმას,

რომ ბაზრის საერთო განვითარების გამო ამ ეპოქის პირველ საფეხურებზედვე ჩვენ ვხედავთ გაცვლის განვითარებულ ფორმას, რომელსაც ფულის ფორმა ეწოდება.

ფულის ისტორია წარმოადგენს იმ საქონელთა ისტორიას, რომელიც ერთი-მეორის შემდეგ თამაშობდა ფულის როლს.

ცხადია, თავდაპირველათ ეს როლი წილათ ხვდებოდა რაიმე მიზეზით უფრო გავრცელებულ საქონელს, ტყავი იქნებოდა იგი, მარილი, ცერცვი, კაკაო თუ სხვა რამ. სამაგიეროთ, ველურ ხალხში დღესაც ძლიერ ხშირათ ხმარობენ, ფულის ნაცვლათ, იმ საქონლებს, რომლებიც გატან-შემოტანის მთავარ საგანს შეადგენენ ამ მხარეში; ამიტომ ორ მეზობელ სოფელში ხშირათ სხვადასხვა საქონელი ასრულებს ფულის მაგიერობას. მოხეტიალე ჯგუფებში ფულათ ყველაზე უფრო ხშირათ იხმარებოდა ხვასტაგი. ასე იყო სამხრეთ ევროპაში დაახლოებით ათი საუკუნის წინეთ ქრისტეს შობამდე: ბერძენთა პოეტ ჰომეროსის ხალხურ პოემებში შეხვდებით სპილენძის „სამფეხის“ დაფასებას 12 ხარათ, ოქროს ჯავშანისას—100 ხარათ და სხვ.

მაგრამ ნელნელა ფული—ხვასტაგი ყველგან ისპობა და მის ალაგს იჭერს ლითონის ფული. თავდაპირველათ ხმარებაში შემოდის რკინისა და სპილენძის ფული. ამ ლითონებს ისეთივე სიამოვნებით ყიდულობდენ, როგორც ხვასტაგს,— იმიტომ, რომ ლითონის იარაღები აუცილებელ საჭირო საგანს შეადგენდენ ყოველ მეურნეობაში. ამავე დროს ლითონებს ბევრი უპირატესობა აქვთ, რომელთა წყალობითაც ისინი ტეხნიკურათ უფრო გამოსადეგნი არიან ფულის როლში. პირველია ის, რომ ადვილათ შეიძლება მათი დანაწილება მცირე ღირებულების მქონე ნაჭრებათ, ვინემ ხვასტაგისა, რომლის ნაწილებათ დაყოფაც არ შეიძლება ისე, თუ ხვასტაგი არ მოიკლა. მეორეა ის, რომ ლითონი მთლათ ერთი ნივთიერებისაგან შესდგება და მის ყოველ ნაჭერს ერთნაირი თვისება აქვს; სხვა საქონლები კი, და მათ რიცხვში ხვასტაგიც, ამ

ღირსებას მოკლებულნი არიან: ერთი ცხვარი შეუძლებელია ყველაფერში მეორე ცხვარს გავდეს და მას უდრიდეს; მესამეთ, ლითონები, შედარებით, ბევრათ უფრო კარგი შესანახავია, რადგან ისინი არ ფუჭდებიან. ეს არ ითქმის სპილენძზე და რკინაზედაც, რომლებსაც ნელნელა ჟანგი ედება ჰაერისა და სინოტივეს გავლენით. მეოთხეთ, სხვა საქონელთან თანასწორი საცვლელი ღირებულების მქონე ლითონი, მასზე შედარებით, ძლიერ მცირე ადგილს იჭერს და წონაც ნაკლები აქვს (საცვლელი ღირებულება, როგორც შემდეგ დავინახავთ, დამოკიდებულია იმაზე, რომ ლითონებს შედარებით მეტი შრომა სჭირდება).

შემდეგში სპილენძისა და რკინის ადგილს იჭერს ვერცხლი და ოქრო, რადგან ამ ლითონებში ყველა ზემო ჩამოთვლილი ტეხნიკური უპირატესობანი უფრო მკაფიოთ და სავსებით არიან გამოხატული. პირველი შეხედვით, ძნელი ასახსნელია ის, თუ როგორ მოხდა, რომ წარმოებაში თითქმის უსარგებლო ლითონებს ისეთივე სიამოვნებით ყიდულობენ, როგორც ხვასტაგს, რკინას და სხვას. ამას ასე ხსნიან: ვერცხლი და ოქრო იხმარება განსაკუთრებით სამკაულებისთვის; სამკაულები კი დღესაც ადვილათ საღდება. გონება გაუხსნელი ადამიანები—განსაკუთრებით ქალები—ყოველთვის მზათ არიან თვით აუცილებელ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზედაც ხელი აიღონ, ოღონდ კი ტანზე რაიმე ლამაზი ზიზილპიპილა დაიკიდონ. უკულტურო და ნახევრათ კულტურულ ადამიანებს კი განსაკუთრებით უყვართ სამკაულები და ძვირათაც აფასებენ მათ: ევროპიელი ვაჭრები ერთ ასხმა მძივებით ყიდულობდენ ველურებისაგან დიდი ღირებულების საქონელს, მაგ., აუარებელ თევზს, ნანადირევს, ხილეულობას და სხვ... ამგვარათ, სამკაულის ფართო მოთხოვნილებამ შესაძლო გახადა ვერცხლისა და ოქროს ფულის შემოღება, რკინისა და სპილენძის ფულის მაგიერ.

თავდაპირველათ, ფული წონით ფასობდა; ყიდვა-გაყი-

დვის დროს ანგარიშის გასასწორებლათ ერთმანეთს ლითონს მიუწონიდენ.

ცვლასთან მჭიდროთ შეკავშირებულია მეორე საზოგადოებრივი ფორმა განაწილებისა—**კრედიტი** (ნდობა).

როდესაც გაცვლა-გამოცვლა გაფართოებულია, მაშინ არა იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა მორიგება ბრკოლდება იმით, რომ მყიდველს ამჟამათ გასასტუმრებელი საშუალება აკლია;—საქონელი კი დაუყოვნებლივ ესაჭიროება. ფული მას ანა სულ არა აქვს ხელში, რომ დაუყოვნებლივ მისცეს საქონელში, ან არ ყოფნის, თუმცა დანამდვილებით იცის, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მას შეეძლება აღებულ საქონელში სავსებით გაუსწორდეს გამყიდველს. ასეთ გარემოებაში გამყიდველი ხშირათ თანხმდება ანდოს მყიდველს საქონელი **ნისიათ**, კრედიტათ. სიტყვა „კრედიტი“ ნიშნავს ნდობას; საკრედიტო მორიგება, ცხადია, გულისხმობს ნდობას მოვალის პატიოსნებისა და შეძლებისადმი.

დანიშნულ ვადაზე მოვალე იხდის ფულს, რომელიც ამ შემთხვევაში ახალ როლს კისრულობს—იხმარება, როგორც გადახდის საშუალება.

ჩვეულებრივათ, ნდობას უსასყიდლოთ არავის უცხადებენ: ვალი სწორდება, ე. ი. უბრუნდება მევალეს რამდენიმე „დანამატით“, ე. ი. პროცენტით, სარგებლით.

საქონლის კრედიტთან მჭიდროთ დაკავშიერბულია და დაახლოებით იმავე დროს ვითარდება კრედიტის მეორე სახე, რომელსაც ჩვეულებრივ აღნიშნავენ ტერმინით: „მევახშეობა“, ე. ი. საპროცენტოთ, სარგებლით ფულის გასესხება.

თუ განყენებულათ ვიმსჯელებთ, შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომ კრედიტი ცვლისაგან დამოუკიდებლათ და მასზე უფრო ადრე გაჩნდა, მაგ., როცა ერთი თემი აძლევს მეორე თემს დროებით რომელიმე იარაღს, რომელიც ამ უკანასკნელს არ მოეპოვება. მარა თუ ამის მსგავსი შემთხვევები მართლა ხდებოდა, ეს მაინც არ შეადგენს კრედიტს. დროებით სახმარათ წაღებული იარაღები ხმარების შემდეგ

ისევ უბრუნდება თავის პატრონს და მას მაგიერ იარაღის ფასი არ ეძლევა. კრედიტათ წაღებულ საქონელში კი ფული უნდა გადაიხადონ. ამნაირათ, კრედიტი გულისხმობს არა მარტო ცვლის არსებობას, არამედ ფულის არსებობასაც.

## 4. პატრიარქალურ საგვარეულო ეპოქის საზოგადოებრივი ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებები.

საგვარეულო ჯგუფიდან წარმოების ორგანიზატორის გამოთიშვა თანდათან ცვლის პიროვნების დამოკიდებულებას ჯგუფთან და ამით მის ფსიხოლოგიას.

თუ ერთი მხრით შემცირდა ადამიანზე ბუნების მბრძანებლობა, სამაგიეროთ, წარმოიშვა ახალი მბრძანებლობა. ესაა — ერთი ადამიანის გაბატონება მეორეზე. არსებითათ ესაა წინანდებურათ ჯგუფის ბატონობა თავის წევრზე, მხოლოდ ამ მბრძანებლობის გამომხატველია ახლა არა ჯგუფი, არამედ კერძო პიროვნება — პატრიარქი.

თანასწორობა განაწილებაში გაქრა: მთელი ზედმეტი შრომის ნაწარმოები ორგანიზატორის განკარგულებაში გადადის. მარა უთანასწორობას ჯერ კიდევ არ მიუღია მწვავე ხასიათი. ორგანიზატორი აკეთებს იმას, რასაც წინეთ ჯგუფი აკეთებდა: აწვდის თვითოეულ წევრს ცხოვრებისათვის და წარმოებაში თავის როლის შესასრულებლათ საჭირო საშუალებებს. თვითონ ორგანიზატორს თავის მოთხოვნილებათა განვითარებაში ბევრით არ გაუსწრია ჯგუფის სხვა წევრებისათვის.

ურთიერთის დახმარება და ჯგუფის მჭიდროთ შეკავშირება გარეშე ბუნებასთან საბრძოლველათ შემდეგში კიდევ უფრო ვითარდება, წინანდელ ეპოქებთან შედარებით. უპირველეს ყოვლისა, ჯგუფის შიგნით თანამშრომლობისა და შრომის განაწილების გაუმჯობესებული წესების შემოღება უფრო მეტათ აახლოვებს მის წევრებს ერთმანეთთან, ვინემ წინეთ იყვენ დაახლოვებულნი, როდესაც ყოველ-დღიურ სამუ-

შაოს თვითოეული უმეტეს ნაწილათ სხვებისგან დამოუკიდებლათ ასრულებდა, როდესაც უბრალო თანამშრომლობა იყო გაბატონებული. შემდეგ, საგვარეულოს მთლიანობა უფრო მტკიცე ხდება იმის გამოც, რომ იგი თავის კონკრეტულ, ცოცხალ გამოხატულებას, პოულობს, პარტრიარქის პიროვნებაში.

ამავე დროს, და ამავე პირობების გამო, ჩნდება საგვარეულო ჯგუფში ინდივიდუალიზმის ჩანასახი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ **თავის თავს და თავისას** ადამიანი აცალკევებს თავის შეგნებაში ჯგუფისაგან; ასე ჩნდება **პირადი** ინტერესები მაშინ, როცა აქამდე არსებობდა მხოლოდ ჯგუფის საერთო ინტერესები.

ორგანიზატორის როლი წარმოებაში **განსხვავებული** როლია და ეკუთვნის **მარტოთ-მარტო მას**; ასეთია ძირითადი მიზეზი, რომელმაც ინდივიდუალისტური გრძნობები და წარმოდგენები წარმოშვა მის სულში. ამ ძირითადი მიზეზიდან გამომდინარეობენ სხვები, რომლებიც ამგვარათვე მოქმედებენ.

ორგანიზატორის განკარგულებაში იყო საზოგადოებრივ ნაწარმოების მონარჩენი, მთელი ჯამი ზედმეტ ნაწარმოებთა, და ეს გარემოება ნებას აძლევდა მას გაეფართოვებინა თავისი მოთხოვნილება და მით კიდევ უფრო გამორჩეულიყო მთელ ჯგუფში. ცვლის დროს ის გამოდიოდა, როგორც ნამდვილი მფლობელი თავისი თემის მთელი ქონებისა და, რა კი საქმე მეორე მის მსგავს ორგანიზატორთან ქონდა, მალე ამ უკანასკნელს და შემდეგ თავის თავსაც ისე დაუწყო ცქერა, როგორც ამ საცვლელ საქონლის ნამდვილ მესაკუთრეს. ამრიგათ, თანდათან ვითარდებოდა კერძო საკუთრება: თავდაპირველათ ჯგუფებ შორის არსებული გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც ჯგუფები მონაწილეობენ, როგორც მფლობელნი თავიანთ ნაწარმოებისა, ბადებს საგვარეულო კერძო საკუთრების შეგნებას, შემდეგ კი ორგანიზატორთა განსაკუთრებული როლი სცვლის რა ადამიანის ფსიხიკას, ამით ავითარებს **პირად, კერძო საკუთრების იდეას.**

მაგრამ ორგანიზატორის თავში პირადი, კერძო საკუთრების იდეამ მხოლოდ მაშინ მოიკალათა მაგრათ, როცა იმისი თანამდებობა სამემკვიდრეო თანამდებობათ შეიქნა, როცა ჯგუფმა პატრიარქის არჩევის უფლება დაკარგა, როცა, მაშასადამე, გაქრა უკანასკნელი ნიშანი იმისა, რომ პატრიარქის მბრძანებლობა საერთო—საგვარეულო ნების გამომხატველი იყო და არა მისი კერძო საკუთრებისა. ამ დროიდან ინდივიდუალიზმმა მტკიცე ნიადაგი მოიპოვა თავის განვითარებისათვის. ორგანიზატორის გონებაში თანდათან განმტკიცდა ის აზრი, რომ საგვარეულო ქონება მის პირად საკუთრებას შეადგენს, და გაქრა ძველი წარმოდგენა, რომელიც ეუბნებოდა, რომ ის მხოლოდ ამ ქონების გამგეა, და თემის კანტროლს ექვემდებარება. რამდენათაც ფაქტიურათ უკანტროლოთ რჩებოდა მეთაურის ორგანიზატორული მოღვაწეობა, იმდენათ უფრო მეტ მორჩილებას თხოულობდა ეს უკანასკნელი თავის ხელქვეითებისაგან და იჟღინთებოდა იმ იდეით, რომ მას უცილობელი, **პირადი** მბრძანებლობა ეკუთვნის თავის ნათესავებზე. ამ შეხედულების განვითარებას, შეუძლებელია, წინააღმდეგობა არ გამოეწვია ჯგუფის სხვა წევრებში; არა ერთხელ მოხდებოდა კიდეც საგვარეულო თემებში სასტიკი შინაური ბრძოლა ამ ნიადაგზე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ორგანიზატორის მისწრაფებანი იმარჯვებდენ, რადგან სწორეთ ეს მისწრაფებანი უფრო შეეფერებოდა ფაქტიურ ძალთა განწყობილებას. ორგანიზატორის ხელში იყო **ნამდვილი** ძალა-უფლობა ნაწარმოებზედაც და ადამიანებზედაც, და მისი ასეთი ძალა-უფლობა აუცილებელი საჭირო იყო ჯგუფისათვის. ამნაირათ, პატრიარქი შეიქნა ერთათ-ერთი მესაკუთრე და სრული ბატონი თავის ჯგუფისა.

არსებითათ ორგანიზატორსა და ჯგუფის სხვა წევრებ შორის ჯერ კიდევ არ იყო წარმომდგარი თვალსაჩინო ფსიხოლოგიური განსხვავება, იმიტომ, რომ სულიერი განვითარების საფუძველი ყველასათვის ერთნაირი იყო: ძველ ჩვეულე-

ზების სრული და უცილობელი მორჩილება და წარმოდგენა ჯგუფზე, როგორც ერთ განუყოფელ მთელზე, რომლის გარეშეც პიროვნების არსებობა შეუძლებელია. თვითონ პატრიარქიც კი, მიუხედავათ მისი შედარებით მდიდარი ფსიხიკისა, თავის შეგნებით გვარის-მიერ საუკუნოებით შეთვისებულ ზნეჩვეულებებზე მაღლა ვერ დამდგარიყო, მათ წინააღმდეგ წასვლა ვერ გაებედა და ამის სურვილიც არ ებადებოდა. ორგანიზატორი იყო არა გენიოსი, ან განსაკუთრებული ნიჭის პატრონი, არამედ უხუცესი გვარში, კაცი მრავალ წლის გამოცდილებით აღჭურვილი. მისი ორგანიზატორული მუშაობა გამოიხატებოდა უმთავრესათ იმის მოგონებაში, თუ როგორ მოქმედებდენ მისი წინა-მოადგილენი ამა თუ იმ შემთხვევაში,— და მხოლოდ ძლიერ მცირე წილი ედვა მასში პირად შემოქმედებას, საკუთარ მოსაზრებას. ადათი ისე უსაზღვროთ და უცილობელათ მეფოდა მის გულში, როგორც მისი შორეული წინაპარის—პირველყოფილ კომუნისტის—გულში. სწორეთ ასევე ფლობდა ორგანიზატორის სულს იმის წარმოდგენა, რომ ჯგუფი განუყოფელი მთელია, და ეს იმიტომ, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო თავის გვარის გარეშე ცხოვრება, ვინაიდან სხვა საზოგადოებრივი კავშირი, გარდა ნათესავურისა, მან არ იცოდა. საზოგადოების გარეშე ცხოვრება კი სიკვდილს ნიშნავდა. ასეთივე მოსაზრებები და გრძნობები კიდევ უფრო მეტათ მიეწერება ჯგუფის დანარჩენ წევრებს. საზოგადოთ, ადათის კონსერვატიზმი ჯერ კიდევ არ იყო შერყეული ახალი ურთიერთობისაგან; პირადმა შეგნებამ კი მხოლოდ ახლა იწყო გამოყოფა ჯგუფური შეგნებისაგან—გაქრა მხოლოდ წარმოდგენა ჯგუფის **ერთგვარობაზე**.

ამნაირათ, პატრიარქალური ჯგუფის ფსიხოლოგია თავის შინაარსით თითქმის არაფრით განირჩევა პირველყოფილ ნათესავურ ჯგუფის ფსიხიოლოგიისაგან. მაშასადამე, **ის დაბრკოლებანი, რომლებიც წინეთ უშლიდენ ხელს ყოველივე განვითარებას, ამ ეპოქაშიც თითქმის სრულ თავის ძალა-**

**ში რჩებიან.** ჩვენ ვამბობთ — „**თითქმის**", იმიტომ, რომ ამ ხანებში ისეთი ძალებიც წარმოიშვენ, რომლებიც, რამდენიმეთ მაინც, ასუსტებენ ამ დაბრკოლებებს. ამ ხანაში დროგამოშვებითი მიმოსვლა და ის სუსტი კავშირი ჯგუფებ შორის, რომელიც მაშინ არსებობდა, თავის საგვარეულოს საზღვრებს გარეშე მაინც ახედებდა ადამიანს და აფართოებდა მის გონებრივ ჰორიზონტს. სხვადასხვა ადათების ერთმანეთთან შეჯახება კი ასუსტებდა მათ კონსერვატიზმს.

ახლა ვიკითხოთ: რამდენათ მდიდარს და განვითარებისათვის შესაფერ მასალას იძლეოდა იმ ეპოქაში ადამიანის შემეცნება?

ეჭვი არაა, მრავალი ათასი წლების ცხოვრებას საგვარეულო საზოგადოებისათვის უქმათ არ ჩაუვლია. ადამიანის გონებრივი საუნჯე უფრო გაფართოვდა, გამრავალფეროვანდა. პრაქტიკულმა ცოდნამ, შედარებით, მეტი ალაგი დაიჭირა ადამიანის ფსიხიკაში, ფანტანსტიურმა წარმოდგენებმა — შედარებით ნაკლები. წარმოების ფარგლების გაფართოებას მოყვა შემეცნების ფარგლების გაფართოება; რამდენათაც სუსტდებოდა სტიქიურ ძალების შიში, იმდენათ იზრდებოდა ცნობის მოყვარეობა. შეცდომა არ იქნება ვთქვათ, რომ სწორეთ ამ ხანაში ადამიანი პირველათ შეუდგა ბუნების ახსნას, მის მოვლენათა შორის კავშირის ძიებას. და პირველათ წარმოსდგა ის, რასაც „მსოფლმხედველობას" ეძახიან. ამ მსოფლმხედველობის დედააზრს შეადგენდა **ნატურალური ფეტიშიზმი**.

ადამიანის აზროვნება ყოველთვის ცდილობდა შორეული მოვლენის ახსნას — უფრო ახლობელის შემწეობით, შეუჩვეველის — შეჩვეულით, გაუგებარის — ადვილათ გასაგებით, ახალი მოვლენა ახსნილათ ჩაითვლება, როცა მას ძველ დაკვირვებათა ფარგლებში ვათავსებთ. ყველაზე უმახლობელესი, ყველაზე უფრო ჩვეულებრივი ადამიანისთვის არის მისი დამოკიდებულება მეორე ადამიანთან. ამის გამო ყველა ეპოქაში ადამიანის მსოფლმხედველობას მუდამ საზოგადოებრივ ურთიერთო-

ბათა ბეჭედი ასვია, მისი გავლენა ემჩნევა. ეს გავლენა ერთ
შემთხვევაში მეტათ თვალსაჩინო და აშკარაა, მეორეში—ნაკ-
ლებათ ჩანს. იგივე ითქმის პატრიარქალურ-საგვარეულო ეპო-
ქაზედაც: ნატურალური ფეტიშიზმი სწორეთ ისეთი შეხედუ-
ლებაა ბუნებაზე, რომელსაც ნივთებ შორისაც ისეთივე ურ-
თიერთობა გონია, როგორიც არსებობს ადამიანებს შორის.

ორგანიზატორულ და აღმასრულებელ შრომის განცალ-
კევებამ დაბადა ერთგვარი „გაორება“ საგვარეულო საზოგა-
დოების შინაგან ურთიერთობაში: გონებრივი ძალა თითქო
გამოეთიშა ტლანქ, ფიზიკურ ძალას, შეგნებული დასაბამი—
სტიქიურს. პირველი გახდა მბრძანებელი, მეორე—დამორჩი-
ლებული: პირველი განხორციელდა პატრიარქში, მეორე—
ჯგუფის დანარჩენ წევრებში. ამავე დროს ორივე ელემენტი
განუყოფელია და უერთმანეთოთ მათი წარმოდგენაც კი შეუ-
ძლებელია. აღმასრულებელი შრომა კარგავს ყოველივე აზრს,
თუ არ არსებობს ორგანიზატორული ძალა, ორგანიზატორის
ნება. ეს უკანასკნელი კი უსარგებლოა იქ, სადაც არ არსე-
ბობს პირველი, ე. ი. არ არსებობს აღმასრულებელი ძალა.
ამ ეპოქის ადამიანი თავის მოძმეთა მოქმედებაში ხედავდა მხო-
ლოდ უბრალო აღმასრულებელ შრომას, რომელიც ორგანი-
ზატორის ნებისაგან იყო დამოკიდებული. ამის დაგვარათ ხსნი-
და ის ყველა იმ მოქმედებასაც, რომელსაც გარეშე ბუნებაში
ხედავდა. ყოველივე მოვლენა, იმისი აზრით, წარმოადგენდა
ორი ელემენტის შეერთებას; ეს ორი ელემენტებია: ნება—
რომელიც ბრძანებასა სცემს, და მატერიალური ძალა—რომე-
ლიც მას ემორჩილება. თუნდაც რომ მხოლოდ მეორე შეამჩ-
ნიოს ველურმა რომელიმე მოვლენაში, სულ ერთია, მისი გა-
გება მას უპირველოთ მაინც არ შეუძლია, და **ასკვნის**, რომ
ორგანიზატორული ძალა აქაც არსებობს, მარა მას ვერ და-
უნახავს. ასე წარმოსდგენ „სულნი ნივთისანი“, რომელნიც
მოვლენათა მიზეზის მაგიერობას ასრულებდენ. მათი შემწეო-
ბით, შემეცნებას შეეძლო დროებით მაინც დამშვიდებულიყო.

ადამიანი იმას ხედავდა ყველგან და ყველაფერში — ქვაში და მცენარეში, ნადირში და ადამიანში, ალში და წყალში. ბუნება ყველა თავის მოვლენებით მისთვის ერთნაირათ გაორებული იყო.

ნატურალურ ფეტიშიზმის ანუ **ანიმიზმის** წარმოშობას ჩვეულებრივ ხსნიან კიდევ შემდეგნაირათ: რომელიმე ნივთის მოსპობის შემდეგ, მაგ., ცხოველის ან ადამიანის სიკვდილის შემდეგ, ადამიანს კიდევ რამდენიმე ხანს რჩება მეხსიერებაში საზოგადოთ უკვე გამქრალი საგნის სახე და თვისებები. პირველყოფილ კაცის წარმოდგენა საგანზე კი ძლიერ ცხოველი და სათქლია, ასე, რომ ძლიერ უახლოვდება საგნისგან მიღებულ პირდაპირ შთაბეჭდილებას; სიზმარში კი ისე ეჩვენება საგნები, თითქო სინამდვილეში ხედავდეს მათ. აქედან წარმოსდგება რწმენა, რომ ნივთი, რომელიც მოისპო, ორგანიზმი, რომელიც დაიღუპა, რამდენიმე ხანს კიდევ განაგრძობს არსებობას, რომ იმათგან **რაღაც** კიდევ რჩება. მძინარის, გულწასულის, მიცვალებულის გვამის დაკვირვება კიდევ უფრო აძლიერებს ამ რწმენას. ხანდისხან ორგანიზმი თითქო ინარჩუნებს თავის წინანდელ რეალობას, მაგრამ მას მაინც **რაღაც** აკლია და ამიტომ სასიცოცხლო მოქმედება აღარ ემჩნევა. ეს უხილავ-უჩინარი **რაღაც,** რომელიც ზოგ შემთხვევაში რჩება, ზოგ შემთხვევაში — ქრება სამუდამოთ, ხანდისხან კი მოგზაურობს კიდეც (მაგ., სიზმარში), ფეტიშისტს „ნივთის სულათ“ აქვს წარმოდგენილი.

ანიმიზმის წარმოშობის ასეთი ახსნის უარყოფა შეუძლებელია: ის მართლა სისწორით აღნიშნავს იმ ფსიხოლოგიურ მიზეზებს, რომლისგანაც ანიმიზმი უნდა წარმომდგარიყო. მაგრამ ასეთი ახსნა არაა სრული: ის არ გვეუბნება ჩვენ, მაგ., რატომ მაინცა და მაინც ეს ფაქტები დაუდვა საფუძვლათ ადამიანთა მსოფლმხედველობას, მაშინ, როცა არსებობისთვის ბრძოლაში ის მეტათ მცირე როლს თამაშობდა; ან რატომ იღებს ეს მსოფლმხედველობა საყოველთაო ხასიათს განვითარების ამ საფეხურზე, რატომ ის არ გვხვდება უფრო დაბლა მდგომ ტომებში, რომელთაც იგივე მოვლენები უძევთ თვალწინ? ამ კითხვაზე პასუხის მიცემა შეიძლება, მე მგონია, მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ, რომ მსოფლმხედველობის ძირითადი ტიპი დამოკიდებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციის ძირითად ტიპზე და ამით ისაზღვრება. მაშინ აშკარა იქნება, რომ მხოლოდ საზოგადოებრივ წყობილების სრულ გაორებას შეუძლია ასეთი გაორებული აზროვნების სისტემა წარმოშვას, რომელიც ცდილობს მსოფლიოს ცხოვრების ყოველ მოვლენაში გაორება აღმოაჩინოს.

მაშ, ასე. ნატურალური ფეტიშიზმი ბატონობდა ამ ეპოქის ადამიანის თავში. შეიძლება ის ცნობიერების პროგრესისთვის და ბუნებასთან შეგნებულ ბრძოლისთვის ხელის შემწყობ პირობათ ჩაითვალოს? ამაზე უარყოფითი პასუხის მიცემა უფრო სწორი იქნება. ყოველივე მოვლენის მიზეზთა გამოცნობა ფეტიშისტისთვის აუცილებლათ ამ მოვლენის „სულის“ აღიარებით თავდება. ის ამას იქით აღარ მიდის. აქ ქრება მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი. ამნაირათ კი, ცხადია, ღრმა შემეცნების შემუშავება შეუძლებელი იყო. მოვლენათა ზეზეურ და მხოლოდ პრაქტიკულათ გაცნობას ერთვოდა იმათი ფეტიშისტური ახსნა-განმარტება, და ამით კმაყოფილდებოდა მაშინ ადამიანთა აზროვნების მოთხოვნილებები.

შემეცნების ასეთ სისუსტისა და უშინაარსობის გამო ადამიანის ფსიხიკა ძლიერ ცოტა მასალას იძლეოდა განვითარებისთვის. ტეხნიკის, ეკონომიკის, იდეოლოგიის განვითარება, შემეცნების ასეთი სისუსტის მიზეზით, მხოლოდ სტიქიური ძალის შემწეობით უნდა მომხდარიყო. ამ მხრით პატრიარქალურსაგვარეულო ეპოქა არსებითად თითქმის არაფრით განირჩევა პირველყოფილ კომუნისტურისაგან.

კაცობრიობის ნამდვილი გამარჯვება ბუნებაზე გამოიხატება მიზეზობრივობის შეგნების განუწყვეტელ განვითარებაში. ფეტიშისტური ახსნა ბუნებისა კი, პირიქით, ნიშნავს იმას, **რომ ბუნების მბრძანებლობის უღელი ადამიანს ვერ მოუშორებია.** მართალია, ფეტიში ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა მბრძანებლობა სუსტდება, ნაკლებ სამძიმო ხდება, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ უწინდელი, პირველყოფილი სრული მბრძა-

ნებლობა ბუნებისა ადგილს არ აძლევდა არავითარ ცდას ბუნების მოვლანათა ასახსნელათ.

## 5. განვითარების ძალები და ცხოვრების ახალი ფორმები პატრიარქალურ-საგვარეულო ხანაში.

რადგან ამ ხანაში საზოგადოებრივი ფსიხოლოგია არსებითათ ისეთსავე დაბრკოლებას წარმოადგენდა ყოველგვარ განვითარებისათვის, როგორც კაცობრიობის ცხოვრების წინანდელ საფეხურზე, ცხადია, საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალათ იგივე სტიქიური ძალა, „მცხოვრებთა აბსოლიუტური სიჭარბე" უნდა ყოფილიყო. და მართლაც, რამდენათაც მრავლდებოდა მცხოვრებთა რიცხვი, იმდენათ უფრო საგრძნობელი ხდებოდა საცხოვრებელ სახსრის ნაკლებობა, იმდენათ ადათ-ჩვეულებების კონსერვატიზმი უკან იხევდა, ირღვეოდა,—ტეხნიკა ცოტ-ცოტათ უმჯობესდებოდა და ამასთან ერთათ საზოგადოებრივი ურთიერთობანიც იცვლებოდენ; გაცვლა-გამოცვლის დაწყება და მისი თანდათანი გაფართოება დაუფასებელი განძი იყო განვითარებისთვის ამ ეპოქაში. ცვლის, ე. ი. უფრო სწორეთ—შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროგრესი, რომელიც ტეხნიკის განვითარების ნიადაგზე აღმოცენდა, თავის მხრით განვითარების ძლიერ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ყველა შემდეგი ისტორიული ფორმაციებისათვის თანამედროვე კაპიტალისტურ ფორმაციამდე.

ამ ეპოქის მეორე, ნაკლებ მნიშვნელოვან შენაძენათ უნდა ჩაითვალოს მონების გაჩენა.

ზედმეტი შრომის წარმოშობის გამო საგვარეულო ჯგუფის ორგანიზატორისთვის ბევრ შემთხვევებში ხელსაყრელი შეიქნა ჯგუფის წევრთა რიცხვის გადიდება: ამით იზრდებოდა ზედმეტი ნაწარმოების ჯამი, რომელიც ორგანიზატორის განკარგულებაში გადადიოდა. ამიტომ, მამათმთავრულ საზოგადოებაში იშვიათი არაა ისეთი შემთხვევები, როცა ომში დამარ—

ცხებულ მტერს კი არა კლავენ, არამედ თავის საზოგადოებას უერთებენ და წარმოებაში აბამენ. აი, ეს შემოერთებული წევრები გადაიქცენ პირველ მონებათ. მამათმთავრულ დროის მონები არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ნივთის მდგომარეობამდე ჩამოყვანილი ადამიანები; ისინი იყვენ **თითქმის** თანასწორ უფლებიანი წევრები იმ საგვარეულო თემისა, რომელმაც ისინი შეიერთა. ერთ სამუშაოზე მუშაობა მჭიდროთ აკავშირებდა მათ დანარჩენ წევრებთან და თანდათან სპობდა წინანდელ ბრძოლის და დამორჩილების მოგონებას. ორგანიზატორი „ყვლეფდა" იმათ არა უმეტეს, ვინემ თავის ნათესავებს. ისინიც ისე მუშაობდენ, როგორც სხვები, იმათ არ ყიდდენ, როგორც ამერიკელი ინდოელები ნაშვილებ ტყვეებს.

მამათმთავრული მონობა თავის განვითარებისა და ფორმების შეცვლის შემდეგ საფუძვლათ დაედვა იმ თავისებურ ისტორიულ ცხოვრებას, რომელმაც თავის განვითარების უმაღლეს საფეხურამდე მიაღწია კლასიკურ ქვეყნებში და მათი სრული დაშლით, დეგრადაციით, დასრულდა.

ცვლის წარმოშობა და მონობის გაჩენა, ეს ორი — ერთი შეხედვით, სრულიად სხვადასხვა გვარი — ფაქტი, ნამდვილათ ერთ ძლიერ საყურადღებო საერთო თვისებას შეიცავენ. ერთიც და მეორეც წარმოადგენს დარღვევას თანამშრომლობის ძველი სისტემისას, რომელიც დამყარებული იყო მხოლოდ ნათესავურ კავშირზე და აქედან წარმომდგარ ფსიხიურ მსგავსებაზე. მკვიდრი ნათესავური კავშირი პირდაპირ შეუბრალებლათ და გაუტანელათ ეპყრობა ყველას, ვინც მის გარეშე იმყოფება. ცხოვრების ეს ახალი ფორმები კი რამდენიმეთ ეწინააღმდეგებოდენ ამ გაუტანლობას და ასუსტებდენ მას. აქედან წარმოიშვა განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მოვლენების მთელი რიგი.

წმინდა საგვარეულო კავშირის ბატონობა იყო სრული, უცილობელი ბატონობა ადათ-ჩვეულებისა. ცხოვრების არსებულ ფორმებისადმი შეჩვევა იმდენათ ძლიერია და პირადი

შეგნება იმდენათ სუსტი, რომ ცალკე კაცს არ შეეძლო ადათის წინააღმდეგ წასულიყო, დაერღვია იგი. მას ასეთი საშინელება ვერც კი წარმოედგინა. ბრალი—დანაშაულობა—არ არსებობდა. თუ რაიმე ადათ-ჩვეულების წინააღმდეგი მოხდებოდა, მას ისე კი არ უყურებდენ, როგორც თანამედროვე ადამიანი, ე. ი. როგორც დანაშაულს ან შეცოდებას, არამედ როგორც სიმახინჯეს. როცა ორთავიანი ბავშვი იბადებოდა, მას კლავდენ, როგორც უჩვეულოს, როგორც საშინელებას. როცა ვინმე არღვევდა ადათს, მასაც ასე ეპყრობოდენ: კლავდენ, ან აძევებდენ თავის წრიდან, რაც ჩაშინდელ დროში სიკვდილს უდრიდა. ეს იყო არა სასჯელი, არამედ წმინდა სტიქიური თავის დაცვა გაუგებარ და საშიშ მოვლენისაგან. იდეია უფლებისა და მისი დარღვევისა, წარმოდგენა ზნეობასა და უზნეობაზე—სრულიად არ არსებობდა; ადამიანები ასრულებდენ ადათს ისეთივე ბუნებრივი აუცილებლობით, როგორც სხვა ჩვეულებრივ საქმეს: ჭამას, სმას, ძილს და სხვ.

საქმე სრულიად შეიცვალა, როცა ახალი ნათესაობის გარეშე დამყარებული საზოგადოებრივი კავშირი აღორძინდა და განვითარდა. ადათის დარღვევა გამონაკლისიდან ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. პირველათ გახშირდა სხვადასხვა ადათ-ჩვეულებების შეჯახება; ერთი ჯგუფის ადათი არა იშვიათათ ეწინააღმდეგება მეორე ჯგუფის ადათს, პირველის ასრულება ხშირათ მეორის დარღვევაა. ასე, შემოერთებული მონა რომ ძველი ზნე-ჩვეულების გზას გაყვეს, ადვილი შესაძლებელია, ამით ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ წარმოების ნორმალურ მსვლელობას და მით ბევრი საწყენი შეახვედროს თავის ახალ ამხანაგებს. აგრეთვე საცვლელ ურთიერთობის კანონიერ მსვლელობას ხშირათ აბრკოლებდა ძველი, ფესვ-გადგმული ადათ-ჩვეულებები, რომელნიც ყველა გარეშე, უცხო პირთა მტრულათ მოპყრობას თხოულობდენ. ადათის დარღვევა ხშირი მოვლენა შეიქნა, და საზოგადოებაც ამას, ცხადია, ძველებურათ მტრულათ ველარ შეხვდებოდა.

ჩნდება ცხოვრების ახალი საზოგადოებრივი ფორმა— **ჩვეულებითი უფლება**, რომლის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულება, ადათი დაიცვას დარღვევისაგან. დამნაშავეს ებრძვიან უკვე არა სტიქიურათ, არამედ, ცოტათ თუ ბევრათ, შეგნებულათ. იმას ადათის მიხედვით ასამართლებენ. სდგება სასჯელთა მთელი სისტემა სხვადასხვა შეცდომათა განსასჯელათ. საზოგადოთ, ჩნდება მთელი წყობილება, რომელსაც სპეციალურათ ადათის დარღვევასთან ბრძოლა აქვს მიზნათ დასახული. ამ წყობილების შინაარსს შეადგენენ ის ღონისძიებანი, რომელნიც მიმართული არიან იქეთკენ, რომ დანაშაულის ჩადენით წარმოშობილი ვნება გაასწოროს და მისი განმეორება თავიდან აცილოს საზოგადოებას. იბადება წარმოდგენა კანონიერსა და სამართლიანზე, ერთი მხრით, უკანონოსა და უსამართლოზე—მეორე მხრით. პირველი ნიშნავს ადათ-ჩვეულებასთან შეთანხმებულ მოქმედებას, მეორე —მასთან შეუთანხმებელს. ამნაირათ ჩაისახა ის ელემენტები, რომელთაგანაც შემდეგში განვითარდენ ზნეობა და საკუთრივ—უფლება.

უფლებრივი ცხოვრების სფეროს ჩვეულებრივ სსტიკათ აცალკევებენ ეკონომიური სფეროსაგან, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებისათვის ასეთ განცალკევებას მხოლოდ პირობითი ხასიათი აქვს. საზოგადოების ბრძოლა წესის დამრღვევ პიროვნებასთან, არსებითათ, არაფრით არ განსხვავდება გარეშე ბუნებასთან ბრძოლისაგან. დანაშაულობა არის ძალა გარეშე საზოგადოებრივი, საზოგადოების ცხოვრების წინააღმდეგი, როგორც ძალა სიცივის ან მტაცებელი ნადირისა. ამნაირათ, უფლებრივი ცხოვრება არის მხოლოდ ერთი მხარე ბუნებასთან საზოგადოებრივი ბრძოლისა; და ეს ბრძოლის ცალკე ფორმა შესწავლილ უნდა იქნას, როგორც ტეხნიკური მხრით (დამნაშავეზე, როგორც გარეშე ბუნების ელემენტზე, გავლენის მოხდენის ღონისძიებანი), ისე ეკონომიური მხრით (საზოგადოების წევრთა ურთიერთა შორის დამოკიდებულება ამ ზედ-მოქმედების პროცესში), და იდეოლოგიური მხრითაც (ადამიანთა შეხედულებანი უფლებაზე, კანონ-

ზე და მის დარღვევაზე). ამგვარათ, ფიზიკის სფერა წარმოების სფერაში ძევს და არა მის გარეშე.

საწარმოვო ურთიერთობაზე ლაპარაკის დროს ჩვენ აღვნიშნეთ მონათესავე ჯგუფებ შორის აღორძინებული, ორგანიზაციულათ მოწყობილი საწარმოვო ურთიერთობანი: შეერთებული, დიდი ნადირობა და მთელი ტომებისგან საერთო ომების ორგანიზაცია. დროთა განმავლობაში ასეთ კოლექტიურ საქმეების საწარმოებლათ ერთდებიან ერთმანეთის უნათესაო ჯგუფებიც, რომელნიც საქონლის გაცვლა-გამოცვლითა და მშვიდობიანი მიმოსვლით უახლოვდებიან ერთმანეთს. ასეთ კავშირებს, ჩვეულებრივ, სათავეში უდგას უხუცეს ორგანიზატორთა საბჭო, ან მათ მიერ არჩეული წინამძღოლი. ამ კავშირებში უკვე სჩანს პირველი ჩანასახი სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ ორგანიზაციებისა, ისინი ხდებიან კიდეც ასეთ ორგანიზაციებათ, საცა კავშირი მუდმივი ხდება, თვითონ საზოგადოება კი კლასებათ იყოფა,—ჩნდება კლასი გაბატონებულთა და დამორჩილებულთა.

საზოგადოთ, ყოველი პოლიტიკური ორგანიზაცია არსებითათ ეკონომიური ორგანიზაციაა, ორგანიზაცია ცხოვრებისათვის საერთო ბრძოლისა; კერძოთ **სახელმწიფო კი** არის —ორგანიზაცია კლასობრივი ბატონობისა, ე. ი. ორგანიზაცია ერთი კლასის ბატონობისა მეორეზე.

## ძველი დროის მონობა.

ზოგიერთი მხრით თავისებურ მოვლენას წარმოადგენს საზოგადოებრივ განვითარების ის ტიპი, რომელმაც შექმნა ძველი ქვეყნის კულტურა და რომელიც მწარმოებელ მუშის საწარმოო იარაღათ გადაქცევაზე იყო დამყარებული.

## 1. საზოგადოების დამოკიდებულება გარეშე ბუნებასთან.

მონობის სისტემა განვითარდა პატრიარქალურ-საგვარეულო ურთიერთობათაგან, როგორც შედეგი ორი ძირითადი მიზეზის შე-

ერთეობის: ეს მიზეზებია ზედმეტი შრომის განუწყვეტლივ ზრდა და კულტურის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ საზოგადოებათა შორის განუწყვეტელი ომები.

მიწათმოქმედების და პირუტყვთა მოშენების შეერთებამ ბინადარ მცხოვრებლებში ზედმეტი შრომა მუდმივ მოვლენათ აქცია. თანდათანობით თემთა შორის განვითარებულმა შრომის დანაწილებამ კიდევ უფრო გააძლიერა მისი ნაყოფიერება. საცხოვრებლის გაფართოებამ შესძლება მისცეს ცალკე ჯგუფებს — შეეწყვიტათ წარმოება იმ დარგებში, სადაც შრომა ნაკლებ ნაყოფიერი იყო, და გაუფართოვებინათ ის იქ, სადაც მეტს ნაყოფს იძლეოდა. ფართოვდებოდა და უმჯობესდებოდა დამუშავება ლითონებისა, ხელსაწყოებისა და იარაღების. ჩნდებოდენ საშრეწველო შრომის ახალ-ახალი დარგები. მწარმოებელი თემი ახლა ჩვეულებრივ რამდენიმე ას კაცს შეიცავდა: ზოგ შემთხვევაში ერთ პატრიარქ—ორგანიზატორის მბრძანებლობის ქვეშ ათასობით კაცი იყრიდა თავს. ამიტომ თემის-მიერ შექმნილი ზედმეტი ნაწარმოების რიცხვი ძლიერ დიდი იყო.

ასე მიაღწიეს ცალკე საზოგადოებებმა შედარებით მაღალ განვითარებას და ახალ-ახალი გამარჯვებები მოიპოვეს გარეშე ბუნებაზე. **თვითოეულ მწარმოებელ ორგანიზაციისათვის მისი მოწინაალმდეგე ორგანიზაციები, რომლებთანაც მას უხდებოდა ბრძოლა, გარეშე ბუნების ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენდენ.** ზოგ შემთხვევაში ასეთი ბრძოლა ადამიანის საწარმოვო შრომის არსებით ნაწილს შეადგენდა. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ტომებს, რომლებმაც დანარჩენ ტომებს წინ გაუსწრეს. პირველნი გამოვიდენ განვითარების გზაზე, და ასე, მდიდარი შეიქნენ ღარიბთა შორის. გაჩნდა მუდმივი შეტაკებები, დაუცხრომელი მტრობა. „მცხოვრებთა აბსოლუტურმა სიჭარბემ" აიძულა ჩამორჩენილი ტომები ტერიტორიის მოპოვებაზე ეზრუნათ, და, რა თქმა უნდა, ისინიც განსაკუთრებული ხალისით იღაშქრებდენ კულტურულ მეზობლებზე, რომელთაგანაც მეტი ნადავლის და უკეთესი ტერიტორიის შეძენას მოელოდენ. არა ერთხელ ველურ „ქოჩებს" *) დაუ-

*) „ქოჩები"—КОЧЕВНИКИ. ამ აზრით ვხმარობთ აგრეთვე სიტყვას: „მოხეტიალე ხალხი". მთარგ.—К-КИ—მომთაბარენი, ელის ხალხი. კორექ.

მარცხენიასა ბინადარი, გაცილებით მათზე მაღლა მდგომი საზოგადოებისა; და შემდეგ რამდენიმეჯერ დაუნგრევიათ, რამდენიმეთ შეუთვისებიათ მათი კულტურა. მაგრამ ზოგიერთი, შედარებით ადრე განვითარებული საზოგადოებანი მრავალ საუკუნოების განმავლობაში ძლევამოსილი იგერიებდნენ უფრო დაბალ ტომების—ამ გარეშე ბუნების უსაშინელეს ელემენტების—თავდასხმას. ასეთი ბრძოლა კულტურულ საზოგადოებისა აუცილებლად საზოგადოებრივ სასარგებლო საწარმოებო შრომად უნდა ჩაითვალოს არა მარტო იმიტომ, რომ ის აუცილებელი იყო მათი წარმოების დასაცველად, არამედ იმიტომაც, რომ მას შემდეგ, რაც ზედმეტი შრომის გაჩენამ შესაძლებელი გახადა ექსპლოატაცია, ომში გამარჯვებას ჩვეულებრივ თანა სდევდა გამარჯვებული საზოგადოების საწარმოო ძალთა გადიდება ტყვეების შემომატებით, რომლებიც შემდეგ მონებად ხდებოდნენ.

ომის განსხვავებული როლი ამ კულტურულ საზოგადოებათა საწარმოო ცხოვრებაში ქმნის ამ საზოგადოებათა განსაკუთრებულ ბედ-იღბალს, მათს თავისებურ ისტორიას.

## 2. მონობის საწარმოვო და განაწილებითი ურთიერთობათა განვითარება.

### ა) მიწათმფლობელთა ჯგუფი.

რამდენად უფრო დიდი ხდებოდა პატრიარქალური თემი და ფართოვდებოდა მისი წარმოება, იმდენად იცვლებოდა დამოკიდებულება პატრიარქსა და მის ხელქვეითთა შორის. ორგანიზატორული შრომა თანდათან მკაფიოდ გამოცალკევდა წარმოების სფეროში. ორგანიზატორი, ასე ვთქვათ, სპეციალისტდა თავის საქმეში. საზოგადოებრივ ფსიხოლოგიაში სულ უფრო აშკარად აღიბეჭდა განსხვავება მასა და დანარჩენ წევრებ შორის. როცა პატრიარქის თანამდებობა სამემკვიდრეო შეიქნა, საგვარეულო ჯგუფიდან პატრიარქთან ერთად მალე გამოცალკევდა მისი ოჯახი და მახლობელი ნათესავები. უთანასწორობა განაწილებაში ძლიერდებოდა. პატრიარქის ოჯახმა ისარგებლა თავის ძალა-უფლებით და ზედმეტი ნაწარმოები მიისაკუთრა. აქედან იწყება

ნამდვილი ექსპლოატაცია, რადგან საერთო შრომის ნაყოფის ის ნაწილი, რომელსაც პატრიარქის ოჯახის თვითოეული წევრი იღებს, წარმოადგენს არა მარტო მის წილს, რომელიც მას ერგება წარმოებაში ფაქტიურ მონაწილეობის გამო, არამედ ზედმეტსაც, რომელსაც ის ისაკუთრებს თავის განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო, როგორც ბატონის ოჯახის წევრი. თავის-თავად ცხადია, რომ ასეთი ექსპლოატაცია შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმეტი ნაწარმოების ზედმეტი ჯამი შესამჩნევად გაიზარდა.

რამდენადაც უფრო იზრდება ჯგუფის გაყვლეფა ორგანიზატორის ოჯახის მიერ, და მაშასადამე, ამ ოჯახის ეკონომიური ძლიერება, — იმდენად უფრო განუსაზღვრელი ხდება ორგანიზატორის ძალა-უფლო- ასე რომ, ბოლოს მის განკარგულებაში იყო სიკვდილ-სიცოცხლე ჯგუფის თვითოეულ წევრისა. მაგრამ სანამ ჯგუფი თითქმის მარტო ნათესავებისაგან შესდგებოდა, სანამ იგი ერთ გვარს შეადგენდა, შეუძლებელი იყო მუშის გადაქცევა წარმოების უბრალო იარაღად. მუშას ფასი ქონდა და მის მოთხოვნილებას აუცილებლათ მზრუნველობით უნდა მოპყრობოდენ, რადგან ერთი მუშის მაგიერ მეორის შოვნა ძლიერ ძნელი იყო: უნდა ეცადნათ, სანამ ჯგუფს ახალი წევრები მიემატებოდა ბუნებრივი გამრავლების საშუალებით.

მაგრამ როდესაც ჯგუფის შედგენილობაში მონათა რიცხვი, შედარებით, გაიზარდა, როდესაც ნაკლებ კულტურიან ტომებთან ომები სამუშაო ძალთა მუდმივ წყაროთ გადაიქცა, მაშინ უკვე მზა იყო ყველა პირობები ხელქვეითი მწარმოებლის დასამცირებლათ, მის დასაჩაგრავათ. თვითოეულის აღმასრულებელ მუშის მაგიერ, როცა ის იღუპება, ახალი ადვილი საშოვნელია და მის ნაცვლათ მას ჩააყენებენ, ისე, როგორც გატეხილ, გაცვეთილ იარაღის მაგიერ ახალს დგამენ. მართალია, თავდაპირველათ ამისათვის საჭირო იყო მტერზე თავდასხმა და ტყვეების წამოყვანა, რაიცა არც ასე ადვილია, მაგრამ დროთა ვითარებაში, როდესაც ცვლა და მასთან ერთად ცვლის ფსიხოლოგია ვითარდებიან, ეს სიძნელეც ქრება. თუ, მაგ., დატყვევებულთა რიცხვი იმდენად დიდი იქნებოდა, რომ გამარჯვებულებს თვითონ არ შეეძლოთ ყველანი თავის მონებათ ექცათ, მაშინ მათ,

დახოცვის მაგიერ, თავიანთ ნათესავ ან მეგობარ ჯგუფებს უთმობდენ, და სამაგიეროდ, რასაკვირველია, რაიმე სხვა საქონელს იღებდენ მათგან. ამნაირად, **ადამიანიც საქონელი ხდება**; საშუალო მუშის პიროვნება საგვარეულო ჯგუფში კარგავს ფასს და უბრალო იარაღამდე ქვეითდება, რომლის ნაცვლადაც, თუ ის გატყდა, დაუყოვნებლივ მაგიერის, ახლის ყიდვა შეიძლება.

ამავე დროს, ცვლის განვითარებასთან ერთად ფართოვდება, იზრდება ორგანიზატორის და მისი ოჯახის გაუმაძღრობაც. სანამ ზედმეტი პროდუქტი მხოლოდ პირდაპირ ნატურალური სახით იხმარება, ექსპლოატაცია შეზღუდულია, იმიტომ, რომ შეზღუდულია პატრონის ოჯახის მოთხოვნილებანი. რათ უნდა პატრონებს აუარებელი პური, თუ მისი შეჭმა არ შეუძლიათ? მაგრამ – ცვლის პროგრესი შესაძლებლად ხდის პატრონის ოჯახის მოთხოვნილებათა თითქმის უსაზღვრო განვითარებას: ყოველივე ზედმეტი იცვლება რაიმე ახალ სახმარ ნივთზე, რომელსაც თვითონ ჯგუფი არ ამზადებს. ამიტომ, რაც უფრო ბევრია ზედმეტი ნაწარმოები, მით უმჯობესია პატრონებისთვის.

ორგანიზატორისთვის ახლა მისი ხელქვეითი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოო იარაღს, არამედ, უმთავრესად, ზედმეტი პროდუქტის საწარმოო იარაღს, ექსპლოატაციის საგანს. მშრომელის მოთხოვნილებათა საკმაოდ დაკმაყოფილება მეორე ხარისხოვან კითხვად იქცევა: პირველი ადგილი უჭირავს მინიმუმამდე შემცირებას, — მისი შრომის რაოდენობის უმაღლეს ხარისხამდე აყვანას. ორგანიზატორმა, ცხადია, ამის მისაღწევად ტლანქი, მოუხეშავი ძალადობა, ძალმომრეობა უნდა იხმაროს, რასაც წინეთ მხოლოდ ჯგუფში ახლად მიღებულ მონების წინაარმდეგ ხმარობდენ. ამასთან, ახლა წინანდელ ნათესავურ ურთიერთობის ნიშან-წყალიც აღარა სჩანს. ის სწრაფად ქრება, რადგან ჯგუფის უმრავლესობა ფაქტიურად უკვე მონებისაგან შესდგება. საგვარეულო ჯგუფი მიწათმფლობელ ჯგუფად იქცევა; თანდათან მონებად ხდებიან არა მარტო ტყვეები, არამედ ორგანიზატორის უწინდელი ნათესავებიც, რომელთა ნათესაობაც მორღვეულია, და ამიტომ დავიწყებულია. ასე ითხრება გაუვალი უფსკრული პატრონების თავისუფალ ოჯახსა და მონების უუფლებო ბრბოს შორის. პირველი ეკუთვნით

ყველაფერი, ხოლო უკანასკნელთ არა აქვთ არაფერი, თითქმის საცოცხლის უფლებაც კი. მათ ამ გარდაქმნაში შეიძინეს მხოლოდ ერთი რამ — ესაა საქონლის თვისება, საცვლელი ღირებულება.

არსებითად კაცის საქონლად გადაქცევას მოყვა არა მარტო მისი პიროვნების დამცირება, არამედ ამას დაღუპვითი მნიშვნელობაც ჰქონდა წარმოებისთვის იმით, რომ რამდენიმეთ გააადვილა შრომის ნაყოფიერების პროგრესი. გაწრთვნილი მონების ბაზარში გაყვანა და მათი ყიდვა-გაყიდვა ნიშნავდა ყოველგან მრავალგვარ ტექნიკურ ცოდნის და ხელობების გავრცელებას; და ამით წარმოების ახალი წესები ვრცელდებოდა, ერთი მეურნეობიდან მეორეში გადადიოდა, ერთი მხარიდან — მეორე მხარეში.

ტიპიურ მიწათმფლობელ ჯგუფების გვერდით, დიდხანს არსებობდენ შედარებით პატარა პატრიარქალური ჯგუფები, რომლებსაც არ ჰყავდათ მონები, ან, თუ ჰყავდათ, ძლიერ ცოტა. ამ ორი სახის საზოგადოებათა შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ იყო; როცა მონათმფლობელის ოჯახი ინგრეოდა, ის ყიდდა თავის მონებს და წმინდა ოჯახურ მეურნეობას იწყებდა, როცა მდიდრდებოდა ოჯახი, რომელსაც მონები არ ჰყავდა, ის იძენდა იმათ და ასე, მონათმფლობელად ხდებოდა. ცხოვრებას საერთო ხასიათს აძლევს მონათმფლობელ ჯგუფების ურთიერთობა, რადგან ისინი ეკონომიურად ყველაზე ძლიერი არიან.

თანამშრომლობის და შრომის დაყოფას მსხვილ მონურ მეურნეობაში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი. საბერძნეთში თითქმის 5 საუკუნის წინათ ქრ. შობამდე უკვე არსებობდენ ვრცელი მანუფაქტურები — ე. წ. „ერგასტერიები“, სადაც მონები მუშაობდენ. იტალიაში და სიცილიაში ცოტა უფრო გვიან განვითარდენ განსაკუთრებული ვეება სამიწათმოქმედო მეურნეობანი, სადაც არა იშვიათად ერთ მინდორს ასობით მონები ამუშავებდენ. აღსანიშნავია, რომ შრომის განაწილება ამ დროში უმთავრესათ იმაში გამოიხატებოდა, რომ თვითოეული მუშა განსაკუთრებულ ნივთს ამზადებდა. ერთი ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილების დამზადება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაგ., ტყავეულობის ერგასტერიები) ჰქონდა მინდობილი

სხვადასხვა მუშებს. ამის მიზეზათ იმას ასახელებდენ, რომ ბაზარი ჯერ კიდევ საკმაოთ ფართე არ იყო და მოთხოვნა იმდენათ დიდი, რომ პროდუქტის მასსიური დამზადების საჭიროება შეექმნა. შრომის გაძლიერებული განაწილება კი მხოლოთ მასსიური წარმოების დროსას სასარგებლო.

დროთა ვითარებაში, როცა მონათმფლობელ მეურნეობათა რიცხვი გაიზარდა, მაშინ ორგანიზატორული შრომაც თანდათან ნაწილებათ დაიყო. ბატონები ამ შრომასაც სხვა პირებს აკისრებდენ, ჩვეულებრივ უფრო გამოცდილ და ნიჭიერ მონებს. თავდაპირველათ ასეთ ცვლილებას იწვევს ის, რომ ერთ პირს ფაქტიურათ არ შეეძლოს თვალყური ადევნოს უშველებელ მეურნეობას; შემდეგში კი მეთვალყურის როლს ისეთ შემთხვევაშიაც სხვას აკისრებდენ, როცა ამას აუცილებლობა არ მოითხოვდა. ბატონები ამით დროს იძენდენ და მოსვენებით ფლანგავდენ ზედმეტ ნაწარმოებს.

## ბ) საწარმოვო კავშირები ჯგუფთა შორის.

რაც შეეხება ჯგუფთა შორის საწარმოვო კავშირებს, ისინი, საზოგადოთ, მეტის-მეტათ გაფართოვდენ ამ ეპოქაში. ჯგუფთა შორის მოუწყობელი შრომის დანაწილება, რომელიც ცვლაში გამოიხატება, საკვირველათ განვითარდა, წინანდელ ეპოქასთან შედარებით,—მაგრამ ის მაინც საზოგადოებრივი წარმოების უმცირეს ნაწილს შეადგენდა, და არა უმეტესს.

თავდაპირველათ მონათმფლობელის მეურნეობა თითქმის მხოლოდ ნატურალური იყო, ხოლო შემდეგ განვითარებაში კი ორგვარი, ნატურალურ-საცვლელი ხასიათი მიიღო. მონათა მოთხოვნილებები თითქმის სავსებით, და ბატონის ოჯახის მოთხოვნილებათა უმცირესი ნაწილი—ჯგუფის საკუთარ ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა, ბატონის მოთხოვნილებათა უმეტესი ნაწილი კი—ცვლის შემწეობით, ესე იგი ნაყიდი საქონელით. ამნაირათ, ცვლით სარგებლობდენ, უმთავრესათ, საზოგადოების ზედა წრეები. საცვლელ საგანთა უმეტესობას ამიტომ საფუფუნო და სანებივრო ნივთები შეადგენდენ. ცვლის ასეთი ხასია-

თი იყო, სხვათა შორის. მიზეზი იმისა, რომ მონობის ხანაში ფულის როლი კეთილშობილ ლითონებზე გადავიდა. იმავე დროს ფულმა პირველად მიიღო დღევანდელი „წვლილის" („ფარა") სახე: ახლათ წარმოშობილ საზოგადოებრივ-ეკონომიურმა ორგანიზაციამ— სახელმწიფომ—თავს იდვა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ხელში ჩაიგდო უფლება ლითონისაგან განსაზღვრულ ფორმის, წონისა და ღირებულების ფულის მოჭრისა, და ეს ფული **საქონელთა ტრიალის საყოველთაო კანონიერ იარაღათ გამოაცხადა.**

ცვლა ნელ-ნელა გამოიყო, როგორც დამოუკიდებელი, განსაკუთრებული ხელობა განსაკუთრებულ და საზოგადოებრივ კლასად— ვაჭრებისა, რომლებიც ყიდულობენ საქონელს მწარმოებლებისაგან, მიაქვთ და ყიდიან მას მხმარებლებზე, და ამ ყიდვა-გაყიდვაში ამოგებულ ფულით ცხოვრობენ.

საზოგადოთ, მაშინდელი ვაჭრობა, თანამედროვე ვაჭრობასთან შედარებით, ძლიერ მცირე იყო. ამას ამტკიცებს ფულის სიმცირე, რომელსაც მაშინდელი საქონლის მიმოქცევა-ტრიალი თხოულობდა. ოქრო და ვერცხლი ევროპაში და აზიაში კლასიკური ქვეყნების საუკუნეების ხანაშიაც კი ასჯერ და ათასჯერ ნაკლები იყო, ვინემ ახლა არის. ამასობაში საცვლელი ტეხნიკის განვითარება დიდ სიმაღლეზე არ ასულა. ცვლისათვის საჭირო ფულის რაოდენობას არ ამცირებდენ ისეთი განვითარებული მოწყობილებები, როგორიც ჩვენ დროში არსებობენ (ასიგნაციები, ქაღალდის ფული, ბანკის ბილეთები, ჩეკები სისტემა და სხვ. ამგვარი).

კრედიტი, ან უკეთ მისი ჩანასახი—მევახშეობა—კი თანდათან განვითარდა მონობის ეპოქაში და ფართო ხასიათი მიიღო; იმან დიდი და თვალსაჩინო როლი ითამაშა საბერძნეთისა და რომის ისტორიის აუარებელ სიმდიდრის შექმნაში. მოუწყობელ ეკონომიურ ურთიერთობასთან ერთათ, ძველ ქვეყნებში შესამჩნევათ ვითარდებოდა ორგანიზატორული კავშირებიც.

სახელმწიფოს ჩანასახები, რომლებიც პატრიარქალურ ეპოქაში წარმოიშვა მთელ ტომების კოლექტიურ მოქმედების—ნადირობის და ომების—მოსაწყობათ, ამ ეპოქაში სწრაფათ განვითარდენ და ფართოე პო-

ლიტიკურ კავშირებათ იქცენ, რომლებიც ხშირათ მრავალ მილიონ სულს შეიცავდა. შრომის საზოგადოებრივი განაწილების განვითარება, რომელიც ცვლის ზრდაში გამოიხატა, აუცილებლათ თხოულობდა ეკონომიურ ნიადაგზე შეერთებას. ცვლის გასაადვილებლათ, აუცილებელი შეიქნა აგრეთვე საერთო ფულის და საქონლის, საერთო ზომის და წონის შემოღება, სამხედრო და სავაჭრო გზების გაყვანა და მათი დაცვა თავდასხმისაგან; ვალის გადახდაში კონტროლის დაწესება, უცხოეთში მცხოვრებ ვაჭრების პიროვნების და ქონების უზრუნველყოფა და სხვა. მუდმივი ომები, რომელიც ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენდა მონებისა და ახალი ტერიტორიის შესაძენათ—თხოულობდა მტკიცე და ფართე სამხედრო ორგანიზაციას. ძველი საზოგადოების ორ კლასათ გაყოფა—მჩაგვრელებათ და დაჩაგრულებათ,—რომელთა შორის მეორე, ე. ი. დაჩაგრულთა, კლასი გაცილებით უმრავლესი იყო პირველზე, და გაბატონებულ კლასის ერთმანეთის მოწინაამდეგე ჯგუფებათ დანაწილება აუცილებლათ თხოულობდა სამხედრო ძალის ცენტრალისტურ ორგანიზაციას,—ყველა ამ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა ძველი სახელმწიფო.

ძველი სახელმწიფოს განვითარება ორი სხვადასხვა გზით სწარმოებდა და ამით მან ორი, სრულიად განსხვავებული ტიპის ორგანიზაცია წარმოშვა.

ერთ შემთხვევაში ვრცელი პოლიტიკური ორგანიზაცია სდგებოდა განსაკუთრებით იმის შემწეობით. ეს იყო იქ, სადაც არსებობდა ორი პირობა: პირველი, სადაც თვით გარეშე ბუნების პირობები თხოულობდენ ფართე საზოგადოებრივ ორგანიზაციის შექმნას; მაგ., როცა წარმოების მთელი სვე-ბედი დამოკიდებული იყო დიდ მდინარეებიდან წყლის გამოყვანაზე (ამიტომ იყო, რომ მდინარე ნილოსის, ტიგროსის, ევფრატის, ხო-ან-ხეს და სხვ. ნოყიერ ველებში პირველათ განვითარდენ დესპოტიური მონარქიები), ან როცა აუცილებელი იყო მჭიდრო კავშირის შეკვრა ძლიერ მოწინაამდეგე ტომების მუდმივ თავდასხმისაგან თავის დასაცველათ, და მეორე, სადაც საცვლელი კავშირები ჯერ კიდევ არ იყვნენ საკმაოთ განვითარებული, საკმაოთ ფართე და მტკიცე, რომ ძლიერი პოლიტიკური კავშირი შეექმნათ. პა-

ტრიარქალური ხანის უთვალავ ომების დროს ზოგიერთი საგვარეულო ჯგუფი ბევრ მეზობელ ჯგუფებს იმორჩილებდა. თავდაპირველად დამარცხებულები პირდაპირ შედიოდენ გამარჯვებულთა თემებში და მონებად ხდებოდენ. მაგრამ მათსა გადაქცევასაც თავისი საზღვარი აქვს. მრავალი მონების წყალობით ჩნდება ისეთი ვრცელი მეურნეობა, რომლის გაძღოლაც ერთ ბატონს არ შეუძლია. მაშინ გამარჯვებული ჯგუფი კმაყოფილდება იმით, რომ დამარცხებულს პოლიტიკურად იმორჩილებს, ე. ი. ხარკს ადებს და თავის მართველობის ქვეშ აყენებს. თავის შინაგან საქმეებში კი დამორჩილებული ჯგუფი რამდენადმე დამოუკიდებელი რჩება.

ამ საშუალებით ზოგიერთი ჯგუფი იზრდებოდა, ფართოვდებოდა, და ბოლოს უშველებელ დესპოტიურ სახელმწიფოს ქმნიდა. ასეთები იყვნენ სამეფოები ეგვიპტის, ასსურეთის, ბაბილონის, სპარსელების და სხვ. ამათში დესპოტის ძალა-უფლება ისეთივე განუსაზღვრელი იყო, როგორც პატრიარქის, როგორც მონათმფლობელის; დესპოტსა და მონათმფლობელ ოჯახის უბრალო მეთაურს შორის მრავალი საშუალო საფეხურები არსებობდა: სატრაპები, ოლქის უფროსები და სხვ., და თვითოეული უფროსი თავის ხელქვეითთა შესახებ, რომელთა მოქმედებაც მას უნდა მოეწესრიგებია, პატრიარქალური უფლებით სარგებლობდა. ასეთ სახელმწიფოებში ორგანიზაციის ტიპი ყველგან ერთი იგივე იყო.

სხვაგვარი ხასიათის იყვნენ ძველი სახელმწიფოები, რომლებიც მტკიცე და ფართო საცვლელ ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენდენ. ეს იყო თავისუფალი კავშირი ერთი ტომის თანასწორ უფლებიან თემების, რომელთა თავდაპირველ მიზანს შეადგენდა სამხედრო საქმის საერთო წარმოება და ცვლისა და კერძო საკუთრების დაცვა გარეშე მტრისაგან.

მუდმივი მიმოსვლის და შრომის საზოგადოებრივი განაწილების განვითარების გამო დროთა განმავლობაში, კავშირის საერთო საქმეთა რიცხვი თანდათან მატულობდა და ამით იგი უფრო და უფრო მტკიცე და ძლიერი ხდებოდა.

საერთო საქმეებს არჩევდა ბატონთა საბჭო, შემდეგში კი მათი

არჩეული პირები, რომლებიც ამ საბჭოს კანტროლის ქვეშ იმყოფებოდენ. ჯგუფის საშინაო საქმეებში კი ძველებურად ოჯახის უფროსი იყო სრული ბატონი. რაც შეეხება მონებს, მათ არავითარი მონაწილეობა არ ქონდათ საზოგადო საქმეთა მართვა-გამგეობაში. ასეთი წყობილება ქონდათ მრავალ რესპუბლიკებს ძველ საბერძნეთში და რამდენიმეს იტალიაშიაც.

ძველი ქვეყნების უთვალავი ომების გამო, ამ ტიპის ორგანიზაციები სიმაგრეს ვერ იჩენდენ და ხშირათ პირველი ტიპის ორგანიზაციის ხასიათს იღებდეს. ომი ითხოულობს ძალა-უფლების ერთი პირის ხელში გადაცემას, რაც შეუძლებელი იყო არისტოკრატიულ რესპუბლიკაში; ამიტომ იყო, რომ ხანგრძლივი ომების გამო, რესპუბლიკანური რომი კეისრების რომათ გადაიქცა. გარდა ამისა, ეკონომიურ ინტერესით გამოწვეული სამოქალაქო ომიც ასეთსავე შედეგებს იწვევდა. საბერძნეთის რესპუბლიკები არა ერთხელ გადაქცეულან, შინაურ ომების წყალობით, სასტიკ და ტირანიულ სახელმწიფოებათ; როცა წვრილი მონათმფლობელები—გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები ილაშქრებდენ მჭიდროთ შეკავშირებულ მსხვილ მონათმფლობელ არისტოკრატიის წინააღმდეგ, ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, მეფის ან ტირანის ბაირაღ ქვეშ დგებოდენ, რადგან მხოლოთ ძალიან სასტიკ ცენტრალიზაციას შეეძლო მათთვის გამარჯვება მიენიჭებია.

საზოგადოთ ძველი სახელმწიფო იყო ორგანიზაცია არსებულ ეკონომიურ ურთიერთობისა და მონათმფლობელთა ინტერესებს იცავდა, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებისაგან.

## 3. ძველი ქვეყნის საზოგადოებრივი ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებები.

### ა) პიროვნების მდგომარეობა ჯგუფში და საზოგადოებაში.

პატრიარქის მონათმფლობელათ გახდომამ, და მონათმფლობელობიდან, რომელიც პირველათ წარმოების ორგანიზატორი იყო, პარაზიტათ, მუქთახორათ გადაქცევამ, შესაფერათ შესცვალა მათი შეხედულება მწარმოებელზე და საწარმოო შრომაზე. პატივისცემა და

ინტერესი საწარმოვო შრომისადმი ქრება და მისი ალაგი სულ წინააღმდეგმა გრძნობებმა დაიჭირეს. აქ უალაგო არ იქნება დავახასიათოთ საზოგადოებრივი აზროვნების ეს მხარე, მისი სრული განვითარება მონურ სისტემის აყვავების ხანაში.

იმ ხანებში იარაღთა ასეთი კლასიფიკაცია იყო მიღებული:

1) instrumenta muta—მუნჯი, უსულო იარაღები: მაგ., ცული, დაზგა, დანა და სხვ.

2) instrumenta semivocalia—ცოცხალი იარაღი, რომელსაც მხოლოთ ნახევრად, ე. ი. მხოლოდ რამდენიმეთ, შეუძლია გამოხატოს თავისი გრძნობები—ესაა შინაური ცხოველები; და

3) instrumenta vocalia—იარაღები, რომელნიც ლაპარაკის ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი—ესენია ადამიანები—მონები.

ასეთ შეხედულებას ბადებდა ძველი ადამიანის გონებაში მაშინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება: წარმოების სისტემა დამყარებული იყო იმაზე, რომ ადამიანი ადამიანს ისე ექცეოდა, როგორც უბრალო იარაღს, და სხვის პიროვნებას **ისაკუთრებდა** იმ მიზნით, რომ ესარგებლა მისი სამუშაო ძალით.

რადგან სხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებას არ იცნობდნენ, ძველნი მონობას ბუნების **ნამდვილ და უცვლელ** კანონად თვლიდენ. ასეთი აზრებიდან ვერ განთავისუფლებულიყვნენ იმ დროის უგანათლებულესნი და „გენიოსური ადამიანებიც“ კი. „ბუნება აჩენს ზოგ ადამიანს მონობისათვის, ზოგს თავისუფლებისათვის“. („პოლიტიკა“ არისტოტელისა). პლატონს, ძველი დროის ერთ უკეთილშობილეს მოაზროვნეთაგანს, როცა თავის იდეალურ, უსაკლებლო სახელმწიფოს გეგმას ადგენდა—მასში უმონებოთ ცხოვრება ვერ წარმოედგინა (ეს მით უფრო ადვილი ასახსნელია, რომ პლატონის „რესპუბლიკა“ არსებითად სპარტანელთა საზოგადოების იდეალიზაციას წარმოადგენს).

თუმცა მონებს ყოველთვის არ ეპყრობოდენ სასტიკათ, მაგრამ მათში საზოგადოთ მაინც არ ხედავდენ, და არც შეეძლოთ დაენახათ, ადამიანები. შემდეგში კი სისასტიკე მატულობს, რადგან გაცვლისა და მისგან წარმომდგარი შეძენა-მოგების წყურვილი აცალებს ადამიანს კიდევ უფრო მეტად ყვლიფოს მონები.

მონათა საურთიერთო განწყობილებაში გაბატონებული იყო თანასწორობა, რასაკვირველია თანასწორობა უუფლებობისა. მაგრამ რამდენადაც ბატონები მეტს ცდილობდნენ თავიანთი საორგანიზატორო მოქმედების ნაწილი მონებისათვის გადაეცათ, იმდენათ იზრდებოდა ერთი მონის უფლება და მბრძანებლობა მეორეზე.

მონების ოჯახური კავშირის არსებობა და დარღვევა ბატონის სურვილზე იყო დამოკიდებული. ბატონები საზღვრავდნენ აგრეთვე ცხოვრების სახსართა იმ რაოდენობას, რომელიც მონას უნდა მისცემოდა. მონებით სისტემატიური ვაჭრობის განვითარებასთან ერთათ, უფრო გამოსადეგი იყო არა მონის ძირითად მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა, არამედ, უმთავრესათ, იმის მუშაობის ინტენსივობა: ამნაირათ, მონა მალე „ცვდებოდა“ და მის ალაგას ახალს აყენებდნენ, რაც, შედარებით, ძვირათ არ ჯდებოდა. მაშასადამე, ბატონის ეკონომიურ მოსაზრებაზე იყო დამყარებული მონების სიცოცხლის ხანგრძლივობაც, ისე, როგორც მათი გამრავლება, მათი ოჯახი.

დამცირებული, გაქელილი, უაზრო მორჩილებას შეჩვეული, დაბეჩავებული,—აი როგორი იყვნენ მონები, აი მათი თვისებები. მათ შეძლება არ ქონდათ განვითარებისა, მათში არ არსებობდა იდეა ბრძოლისა; მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში ხანდახან ადგენდენ მონები აჯანყებას. ეს ხდებოდა იქ, სადაც თვითონ სამუშაოს ხასიათი აკავშირებდა მონების მასსას ერთმანეთთან (მიწათმოქმედი მონები სიცილიაში, რომლებიც ასობით და ათასობით ერთათ შებორკილ-შეჯაჭვულნი მუშაობდნენ ერთ მინდორში); ანდა არა-ჩვეულებრივ ენერგიას და ახოვანებას თხოულობდა მათგან (რომის გლადიატორები). თუმცა აქ მნიშვნელობა ქონდა იმ ფაქტსაც, რომ გლადიატორები უმეტეს ნაწილათ ახლათ დამონებულნი იყვნენ და არა მონების ჩამომავალნი, რომლებმაც სრულიათ არ იცოდნენ თავისუფლება. ასეთ აჯანყებას სასტიკი ულმობელობით აცხრობდნენ, აჯანყებულებს შეუბრალებლათ ხოცავდნენ. მაგრამ მონების გამარჯვებაც კი ვერ შესცვლიდა არსებულ ეკონომიურ სისტემას, არსებულ ურთიერთობას; მონებს არ შეეძლოთ სხვა წყობილება დაემყარებინათ. მათი გამარჯვებით ამიტომ

მხოლოდ ბატონთა კლასი შეიცვლებოდა,— მათ ადგილს გამარჯვე-ბულნი დაიჭერდენ.

მონების უფლებით მასსაზე წამოჭიმული იყო ბატონის ოჯახი. მაგრამ მის ორგანიზაციასაც მონობამ თავისი ბეჭედი დაასვა. ოჯახის უფროსს არა მარტო პატრიარქის უფლება ქონდა თავის ოჯახის წევ-რებზე, მათი სიკვდილ-სიცოცხლის გადაწყვეტა შეეძლო, არამედ კიდევ მეტი — მას თავისი შვილების მონებათ გაყიდვის ნებაც ქონდა. კლასიკური ქვეყნების აყვავების ხანაშიაც კი ასეთი მაგალითი იშვია-თი არ იყო. მარა, მიუხედავათ იმისა, რომ მამის უფლება ოჯახის წევრებზე ისეთივე უსაზღვრო იყო, როგორც ბატონის უფლება მო-ნებზე, სინამდვილეში ფაქტიური მოპყრობა ოჯახთან, რა თქმა უნ-და, გაცილებით უფრო ლმობიერი იყო მონებთან მოპყრობაზე.

ოჯახებზე მაღლა იდგა სახელმწიფო. თავისუფალი კაცის და-მოკიდებულება სახელმწიფოსთან სხვადასხვაგვარი იყო, იმის მიხედ-ვით, თუ რანაირი ტიპის იყო თვითონ სახელმწიფოს წყობილება.

აზიის დესპოტიებში თვითოეული ქვეშევრდომი სახელმწიფოს მონა იყო. ეკონომიურათ ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ სახელმწი-ფო სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა კერძო მეურნეობას — აყარებდა ხარკებსა და ბეგარას ადებდა. იურიდიულათ — პიროვნება სრული უუფ-ლებო იყო ადმინისტრატიული მანქანის თვითოეული ვინტის წინა-შე, რომელსაც ამ ხარკების და ბეგრის მოკრება ქონდა მინდობილი. ხალხის მასსისათვის მოქალაქობრივი ცხოვრება არ არსებობდა. მას მძიმე უღელი აწვა, და ეს უღელი, დროთა ვითარებაში, ერთი-ორათ მძიმდე-ბოდა, მოხელეთა ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან ერთად. უმაღლეს მთავრობის ბრძანებების ასრულებათა მაგიერ, ეს მოხელეები უფრო და უფრო მეტათ თავის საკუთარ ინტერესებს ემსახურებოდენ და ხალხს თავის სასარგებლოთ ყვლეფდენ. ასეთი ცვლილება მოხდა მას შემ-დეგ, რაც აზიის ბიუროკრატიის უმაღლესმა წრეებმა მთელი თავისი საზოგადოებრივ-ორგანიზატორული მოქმედება დაბალ წრეების მოა-ხვიეს თავზე,— და ამნაირათ სწორეთ საზოგადოების მწარმოებელი წევრები მის პარაზიტებათ გადაიქცენ, როგორც საბერძნეთის და რო-მის მონათმფლობელები. ამასთან ისინი ზრუნავდენ თავიანთ ოჯახის

წყვრებზე და აარსებდენ მათთვის მრავალ, საზოგადოებრივათ სრულიათ უსარგებლო, მარა შემოსავლიან, თანამდებობებს. აღმოსავლეთის ისეთ დესპოტიებში, როგორიც ჩინეთი და სპარსეთია, ადმინისტრატიული აპარატის საოცარი ძალა უსაშინელესი იარაღი შეიქნა ეკონომიურ და პოლიტიკურ მჩაგვრელობაში.

ასეთ პირობებში პიროვნების განვითარება შეუძლებელი იყო როგორც მონების, ისე ბატონებისთვისაც; ბატონებიც თითქმის სრულიათ ისეთივე დაბეჩავებული და უშინაარსო იყვენ, როგორ მონები.

სულ სხვა დამოკიდებულება ქონდა პიროვნებას პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ევროპიული ტიპის სახელმწიფოებში. იქ პიროვნება არ იყო დაჩაგრული,—ამას არსებითათ ეწინააღმდეგებოდა თვითონ ფორმა სახელმწიფოებრივი კავშირისა. თუმცა თავდაპირველათ მდიდარი, წარჩინებული მიწათმფლობელები ახერხებდენ „დემოსის“,—ნაკლებ მდიდარ მოქალაქეთა მასსის, მონათმომქმედთა და ხელოსნების ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დამორჩილებას, მაგრამ უკანასკნელების ეკონომიური დამოკიდებულობა გამოიხატებოდა უმთავრესათ დავალიანებაში, პოლიტიკური—სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ძალიან მცირე მონაწილეობით. მაგრამ როდესაც ცვლის გაძლიერებამ დემოსის (უბრალო ხალხია) ელემენტთა შორის კავშირი გააძლიერა და სცენაზე გამოვიდა დემოსის ახალ წარმოშობილი ჯგუფი—ვაჭრები, მაშინ დემოსი შეკავშირდა მსხვილ მიწათმფლობელ არისტოკრატიის წინააღმდეგ და მედგარი ბრძოლა გაუმართა მას პოლიტიკური უფლებებისა და მასთან შეკავშირებულ ეკონომიურ ინტერესების დაცვისა. ბრძოლა დასრულდა დემოსის გამარჯვებით, რომელმაც სრული პოლიტიკური თანასწორობა მოიპოვა.

ისტორია არსად არ გვაძლევს მოქალაქობრივი ცხოვრების ისეთ ბრწყინვალე ხუვავებს, როგორიც იყო ათინაში VI—IX საუკ. ქრისტეს შობის წინეთ. იურიდიული თანასწორობა სრული იყო. თვითოეულს შეეძლო მსჯელობაში მონაწილეობა მიეღო და ხმა მიეცა სახელმწიფო საქმეების გარჩევა-გადაწყვეტის დროს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთ თანამდებობაზე ესა თუ ის პირი კი არ ინიშნებოდა, არამედ კენჭის ყრით ირჩეოდა. ასეთი იყო რესპუბლიკის

დემოკრატიაში. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ზედა-პირი საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

რამდენიმე ათი-ათას მოქალაქეთა უკან, რომელნიც მოქალაქობრივი ცხოვრების ატმოსფერაში თავისუფლად ჰყვაოდნენ, რამდენიმე ასი-ათასი უუფლებო, დაჩაგრული, დაჯაბნებული „ცოცხალი იარაღები" იდგნენ. თავისუფალი ადამიანების პოლიტიკური მოქმედების მიზანი იყო მონათა შრომით შექმნილი სიმდიდრის განაწილება ერთმანეთს შორის.

ასე იყო ძველ რომშიაც. რამდენიმე საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა იქ დემოკრატია—პლებეები—უმაღლეს კლასს—პატრიციებს იმავე ეკონომიურ მიზნის მისაღწევათ, როგორც ათინის დემოსი. განსაცვიფრებელი თავგამოდებით და ენერგიით ებრძოდნენ ისინი ყოველ ნაბიჯზე ორგანიზაციულათ მოწყობილ მოწინააღმდეგეს და აიძულებდნენ მას გათანასწორებისკენ გადადგმა ახალ-ახალი ნაბიჯები. მაგრამ მთელ ამ საშინელ ბრძოლის დროს ერთი ხმა, კრიტიკაც არ დაძრულა მონათა ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ იყო „მთანგარე" დემაგოგთა და უპატიოსნეს უტოპისტებს შორის, როგორიც იყვნენ, მაგ., ძმ. გრაკხები, რომელთა სიცოცხლეც „ხალხის" ინტერესებისთვის თავგამოდებულ ბრძოლას შეეწირა.

ამნაირათ, ძველ საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობაზე შეიძლება ითქვას შემდეგი: მონისთვის განვითარება შეუძლებელი იყო, სამაგიეროთ, ყველა პირობები ხელს უწყობდნენ მის დეგრადაციას (გადაშენებას). ბატონისათვის აღმოსავლეთის საზოგადოებებში, სადაც გაცვლის სისტემა სუსტი იყო, განვითარების პირობები სულ მცირეთ სჯობდა მონისას; დასავლეთის საზოგადოებებში კი, სადაც ცვლა საკმაოთ განვითარებული იყო, თავისუფალ პიროვნებას ფართო ასპარეზი ქონდა თავის ძალღონის და ნიჭის გასაშლელათ და განსავითარებლათ.

### ბ) მსოფლმხედველობის საზოგადოებრივი ფორმები.

ახლა ვნახოთ, თუ რამდენათ მდიდარ და შესაფერ მასალას წარმოადგენდა ტეხნიკური და მასთან ერთათ ეკონომიური განვითარებისათვის საზოგადოებრივი ფსიხოლოგია მონობის ხანაში.

რაც შეეხება მონების ფსიხიკას, მასზე ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება. მისი უკიდურესი სიღარიბე და უშინაარსობა, სივიწროვე და სიბეჩავე—ყოველ აზრს გარეშეა, რადგან ეს ადამიანები ფაქტიურათ უბრალო საწარმოვო იარაღათ იყვნენ გადაქცეულნი. აქ ვერ იპოვით განვითარებულ ელემენტებს. ამ კლასის წევრთა გონებრივი ცხოვრება უკეთეს შემთხვევაშიაც კი (სწავლული მონები) მხოლოდ ბატონების გონებრივი ცხოვრების სუსტ გამონაშუქს წარმოადგენდა.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო ბატონთა კლასი: აქ ფსიხოლოგიის სიღატაკე აუცილებლობას არ შეადგენდა: საორგანიზატორო მოქმედება თავის შინაარსით თხოულობს რამდენიმეთ გონებრივ განვითარებას, მონების ექსპლოატაცია კი ბევრ თავისუფალ დროს უტოვებდა ბატონებს, რომელიც შეეძლოთ მათ ან განცხრომა-სიამოვნებაში გაეტარებიათ, ან გონების გასავარჯიშებლათ მოეხმარათ.

მონობის ფრიად გრძელი ეპოქა შეიცავს მთელ რიგს ერთიმეორისაგან დიდათ განსხვავებულ საზოგადოებრივ ფორმაციებისას. თუ ამ ეპოქის სხვადასხვა საფეხურებს და სხვადასხვა ხალხის სულიერ ცხოვრებას დავაკვირდებით, ჩვენ წინ გადაიშლება ადამიანის სრული ისტორია, ბარბაროსობიდან დაწყებული—ცივილიზაციამდე, რომელიც განავითარა საბერძნეთმა და რომმა თავის აყვავების ხანაში.

საჭირო არაა ბატონთა ფსიხიური ცხოვრების შინაარსზე შეჩერება იმ საზოგადოებებში, რომლებშიაც გაცვლას მცირე ადგილი ეჭირა და აღმოსავლეთის დესპოტიებათ გადაიქცნენ: იქ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თითქმის სრულიად ქრება ფსიხოლოგიური განსხვავება ბატონსა და მონას შორის. ამგვარი წესი ჩაგვრისა, რომელიც ბატონსაც და ყმასაც ერთნაირათ ხუთავდა, ბადებდა მათში აზროვნების ერთნაირ უშინაარსობას და უმოძრაობას. განსხვავება მათში იმდენათ მცირეა, რომ თითქმის ყურადღების ღირსიც კი არაა.

სხვა სურათს წარმოადგენენ მონათმფლობელი საზოგადოებანი, რომელთაც შესამჩნევათ განვითარებული გაცვლა-გამოცვლა აქვთ. თავისუფალი, სავაჭრო მიმოსვლა შორეულ მხარეებში აფართოვებენ მათ გონებრივ ჰორიზონტს, ანვითარებენ შემეცნებას, ანთავისუფლებენ წინანდელ ნატურალურ მეურნეობის დროს ერთ წერტილზე გაყინულ

აზროვნებას და ამოძრავებენ მას. ფიზიკური მასალა მეტია და მრავალფეროვანი. გარეგანი დაჩაგვრას მოსპობს, ერთი მხრით. და შედრეკებით ბუნების მბრძანებლობას ადამიანზე—მეორე მხრით, ნიადაგს ამზადებდნენ აზროვნების მაღალ საფეხურზე ასვლისა და ინტენსიურ მოქმედებისათვის.

ნატურალური ფეტიშიზმი თანდათან ქრება. ის მხოლოდ ზოგიერთ დარგებს ინარჩუნებს თავისი წინანდელი ასპარეზისას: იმასი ნაშთები არიან წარმართთა რელიგიები; მეტაფიზიკური ახსნა ცხოვრების მოვლენებისა და საერთოდ ბუნების უფრო რთული მოვლენების. ძველ ქვეყნის რელიგიებში გადმერთებულ, ფეტიშისებურ სახით გამოდიან ბუნების სტიქიური მოვლენანი, რომელნიც ადამიანს ვერ დაუძლევია და, მაშასადამე, ვერ შეეგუა.—და შემდეგში კი—საზოგადოებრივი ცხოვრების სტიქიური მოვლენებიც. მეტაფიზიკა, რომელიც ხსნის მოვლენებს უსხეო „ძალების შემწეობით, რომლებიც მათ უკან იმალებიან", იგივე ანიმიზმია, მხოლოდ უფრო განვითარებული ფორმით. თავისთავად გასაგებია, რომ საზოგადოების ეკონომიურად სუსტ ელემენტების ფსიქიკაში (დემოსის, პლებეების, შემდეგ ხანებში პროლეტარების ფსიქიკაში) ანიმიზმს და მეტაფიზიკას, შედარებით, ყოველთვის უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვინემ უმაღლესი წრეების წევრთა ფსიქიკაში.

ყოველ შემთხვევაში, კლასიკურმა ქვეყანამ თავის არსებობის ხანაში ძლიერ მაღლა აიყვანა საცნობიერო მოქმედების განვითარება, მაგრამ მიდიოდა კი მისი პროგრესი იმ გზით, რომელიც ხელს უწყობს ტეხნიკის და ეკონომიკის განვითარებას? იყო კი ეს მოქმედება სასარგებლო ბუნებასთან ბრძოლის გასატარებლად ბუნებაზე ადამიანის მბრძანებლობის მოსაპოვებლად?

აქ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთში ორი ხანა კლასიკური ქვეყნის ცხოვრებაში. სანამ მსხვილი მონათმფლობელი წარმოების ფაქტიურ ორგანიზატორად გამოდიოდა თავის ჯგუფში და მის გვერდით კიდევ არსებობდა თავისუფალი გლეხი და ხელოსანი, საზოგადოებრივი აზროვნება, უმთავრესად, პრაქტიკულ ცოდნის შეძენისკენ იყო მიმართული. მართალია, ეს იყო სამონათმფლობელო კულტურის ადრინ-

დულ ხანაში, როცა შემეცნების ძალა ახლაღა იწყებდა განვითარებას და ჯერ ისევ სუსტი იყო, პატრიარქალური ყოფა-ცხოვრების კონსერვატიზმი კი ჯერ კიდევ საგრძნობელი სიმძიმით თავს აწვა და უხშობდა გონებას. ამიტომ, პრაქტიკულ ცოდნათა პროგრესი მეტისმეტად ნელა ხდებოდა. მაგრამ, წინანდელ ეპოქებთან შედარებით, ის მაინც სწრაფად უნდა ჩაითვალოს. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოხდა მრავალი ტეხნიკური გამოგონებანი და გაუმჯობესებანი; „ანტიკურ“ ქვეყნის ისტორიის ბოლო საუკუნოებში უკვე შესდგა აუარებელი „ზაპასი“ მეცნიერულ-პრაქტიკულ ცოდნათა, ზოგიერთ წარმოების დარგებში კი საქმე სწორედ მიზნის შესაფერად იყო დაყენებული, რაც გამომდინარეობდა მოვლენათა კანონიერების გაცნობიდან (მაგ., საინჟინერო და საამშენებლო საქმე, ლითონების დამუშავება და სხვა).

მაგრამ შემდეგ სტადიაში მსხვილ მონათმფლობელის ფაქტიური როლი წარმოებაში სწრაფად კლებულობს, საორგანიზატორო შრომა დაეკისრა მონების ერთ ნაწილს (და მონების მსგავსს მოსამსახურეებს). იმავე დროს ცხოვრების მსვლელობა ანადგურებს გლეხებს და ხელოსნებს და მით ქმნის პარაზიტულ პროლეტარიატს (რა გზით—ეს შემდეგ იქნება ახსნილი), ამით კი იცვლება გაბატონებული კლასის გონებრივი ცხოვრების მიმართულება: ის შორდება ბუნებასთან პირდაპირ ბრძოლის ინტერესებს, ტოვებს წარმოების სამფლობელოს და გადადის „უმაღლეს სფეროებში“. ბატონების საზოგადოებრივი როლი უფრო და უფრო ხმარების ფარგლებში იმწყვდევდა. იმათი გონებრივი მოქმედების საგანი „წმინდა“ სიამოვნებით დატკბობა ხდება.

ქრება ყოველივე ინტერესი ტეხნიკურ მეცნიერებათადმი, რომლებიც პირდაპირ მწარმოებელ შრომას, ე. ი. მონურ საქმეს, ემსახურებიან და არა ბატონის გასართობებს. საბუნებისმეტყველო ცოდნა პირველ-ჩანასახს იქით არ მიდის, რადგან ყოველ-დღიურ მოვლენათა დაკვირვება, იმათი შესწავლა ბატონების შეუფერებელ და დამამცირებელ საქმეთ მიაჩნიათ. სოციალურ მეცნიერებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. იმათ ჩანასახს წარმოადგენს მხოლოდ ზერელე ისტორია-ობებზე და გმირებზე, ეკონომიური და მატერიალური კულტურის

შესწავლა კი თითქმის არ არსებობს, ვინაიდან იმის საგანს შეადგენს უმნიშვნელოდ მიჩნეული და ათვალწუნებული საქმე—წარმოება. ასეთი შეხედულება ძველ ადამიანთა შედეგია მონებზე უსაზღვრო მბრძანებლობისა და ბატონობისა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან ძველები განსაკუთრებული ხალისით ეტანებოდნენ უფრო განყენებულ მეცნიერებათ—მათემატიკას და ლოღიკას. უფრო „კონკრეტულ" მეცნიერებათაგან პატივცემაში იყო ასტრონომია, რომლის საგანიც მაღალია. ცხოვრებასთან დაახლოვება და პრაქტიკული მიზნისთვის გამოყენება ასეთი მეცნიერების დიდ დამცირებად ითვლებოდა. პლატონის აზრით, მექანიკური აზრების ახსნა-გამოყვანაში გეომეტრიით სარგებლობა გეომეტრიის ღირსების შებღალვას ნიშნავდა.

ფილოსოფიას ძველ ქვეყანაში, განსაკუთრებით საბერძნეთში, ისე გულმოდგინეთ სწავლობდნენ, როგორც შემდეგში, მგონი, არასოდეს არ უსწავლიათ. ბერძნების ფილოსოფია ბრწყინვალე ნაყოფი იყო ძველ. ცივილიზაციისა. მაგრამ აქაც ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ფილოსოფიის სრული დაშორება ყოველ-დღიურ ცხოვრებაზე, თითქმის სრული უარყოფა იმ აზრისა, რომ მის საფუძველს სინამდვილის შესწავლა უნდა დაედვას, მეტის მეტი თეორეტიული ხასიათი.

საზოგადოთ, ანტიკური ქვეყნის უკანასკნელ ხანებში შემეცნების მთელი სიმდიდრე თითქმის სრულიად უსარგებლო იყო ტეხნიკური პროგრესისათვის და, მაშასადამე, ეკონომიური განვითარებისთვისაც.

ძველი ქვეყნის ფსიხიური ცხოვრების მეორე დამახასიათებელი ნაყოფი იყო საუცხოვო ხელოვნებათა განვითარება; მარა ეს ნაყოფი თითქმის უსარგებლო იყო ეკონომიური პროგრესისათვის და მნიშვნელობა ქონდა მხოლოდ მაღალ კლასებისათვის,—მათი ცხოვრების დამატკბობელი იყო.

კლასიკური ცივილიზაციის აყვავების ხანაში ეკონომიურ შეხედულებებიდან განსაკუთრებით ნათლად სჩანს, რომ საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულება ეკონომიური განვითარებისთვის უსარგებლო იყო.

ეს შეხედულებები ნაწყვეტ-ნაწყვეტადაა გაფანტული ძველ ლი-

ტერატურულ ნაწარმოებებში. ისინი შედეგი არაა მოვლენათა კრიტიკული გამოკვლევისა, არამედ ნაკარნახევია საზოგადოებრივი პირობებისაგან. ისინი მეცნიერული არ არიან და არც შეადგენენ მეცნიერულ სისტემას. ეკონომიური მეცნიერება—როგორც სწავლა ადამიანთა საწარმოო ურთიერთობაზე,—საზოგადოთ შეუძლებელი იყო იმ ეპოქაში, როცა მწარმოებლის შრომას ყველანი ზიზღით უყურებდენ. „მიული მეცნიერება ხაზეინისა—ამბობს არისტოტელი—იმაში უნდა გამოიხატოს, რომ თავისი მონით სარგებლობა შეიძლოს“. ამასთან ძველების იდეალი იყო—ყოველივე საჭირო ნივთი პირდაპირ თავის მონების შრომით გაკეთებია, ცვლის დაუხმარებლად. ასეთ შეხედულებას ემხრობოდენ ათინელებიც, რომლებიც, შედარებით, უფრო ვაჭარ ხალხათ ითვლებოდენ. ამ შეხედულებას ქონდა, ერთი მხრით, საერთო ხასიათი მაშინდელი მეურნეობისა, რომელიც უფრო ნატურალური იყო, ვინემ საცვლელი, რადგან ცვლაში საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ჩაბმული, და მეორე მხრით——მწვავე ანტაგონიზმი, რომელიც არსებობდა მოვაჭრე კლასთა და საზოგადოების დანარჩენ ჯგუფთა შორის.

როცა გაცვლა შედარებით სუსტათაა განვითარებული და საერთოდ ნაწარმოები ვარდება ვაჭრის ხელში, ვაჭართა კლასს ვერ აკმაყოფილებს ისეთი მცირე პროცენტი, როგორიც, მაგ., ჩვენ დროშაა. ვაჭრები ქსერქსიულათ ყვლეფდენ მწარმოებელსაც და მომხმარებელსაც, რაც იმათთვის ადვილი საქმე იყო კონკურენციის სისუსტის გამო. ამნაირათ, ნათლათ გამოაშკარავდა ვაჭართა კლასისა და საზოგადოების სხვა წევრთა ინტერესების სრული წინააღმდეგობა. აქედან წარმოსდგა ძველ მწერალთა უმრავლესობის მტრული განწყობილება ვაჭრობისადმი და ვაჭართადმი. „ვაჭრები, რომლებიც მოტყუილებასა და სიცრუეს არიან დაჩვეულნი, შეიძლება მხოლოდ „ვითმინით“ სახელმწიფოში, როგორც უცილობელი ბოროტება. მოქალაქისათვის ვაჭრობა დასაშაულობაა. სახელმწიფო თვალყურს უნდა ადევნებდეს საქონლის გაყიდვას და მხოლოდ მცირე სარგებლის აღების ნებას აძლევდეს ვაჭრობაში“ (პლატონი). „მეწვრილმანეობა—საძაგელი საქმეა, მსხვილი ვაჭრობა—მხოლოდ შესაწყნარებელი. შეუძლებელია მო-

გების მოუწესრიგებლობით“ (ციცერონი). საქონლის საცვლელ ღირებულებას არისტოტელი ნახევრათ შეურაცხმყოფელი სახელით ნათლავს: ესაა, მისი აზრით, ხელოვნური სარგებლობა საგნით, წინააღმდეგ მისი ბუნებრივი გამოსადეგობისა, ე. ნაწარმოების პირდაპირ მოხმარისა.

შრომის დანაწილებას ძველები აფასებდენ არა წარმოების ინტერესების მიხედვით, არამედ მოხმარების მიხედვით. ისინი ყურადღებასაც არ აქცევდენ შრომის დანაწილების სარგებლობას, რომელიც გამოიხატება ნაწარმოების, პროდუქტის რაოდენობის ზრდისა და მის ღირებულების შემცირებაში; ისინი მხოლოდ იმას აძლევდენ მნიშვნელობას, რომ შრომის დაყოფა აუმჯობესებს ნაწარმოებთა თვისებას და სასიამოვნო ხასიათს აძლევს მას. ასეთი თვალსაზრისი ყველაზე მეტად შეეფერება მონათმფლობელთა რიგზე განვითარებულ „ანტიკურ“ საზოგადოებაში, რომელიც მოხმარებაში გამოიხატებოდა.

შრომის საზოგადოებრივი განაწილება, გაცვლა, რომელშიაც ის გამოიხატება, დიდ პროგრესიულ ძალებს წარმოადგენს ძველ ქვეყანაში. იგი შეადგენს მთავარ საფუძველს, რომელიც აერთებდა მაშინდელ წარმოებას. და აი, ამ მოვლენებს საზოგადოებრივი ფსიხოლოგია რამდენიმეთ უარყოფით უცქეროდა, რამდენიმეთ კი სრულიად უყურადღებოდ სტოვებდა მათ არსებით მნიშვნელობას, მათს როლს საზოგადოების მიერ ბუნების ძალებზე ბატონობის მოსაპოვებლათ.

საკვირველია, რომ მევახშეობა გაცილებით უფრო საპატიო საქმე იყო, ვინემ ვაჭრობა; ლიტერატურაში, მართალია, იმის ძაგება და გმობაც ხშირია; მაგ., არისტოტელი კიცხავს მას იმ მიზეზით, რომ „უმაღლეს ხარისხამდე ბუნების წინააღმდეგია ფულის მიერ ფულის შობა“,— მაგრამ მისი გმობა, შედარებით, ნაკლებია. იმავე დროს მევახშისა და მისი მოვალის ინტერესთა წინააღმდეგობა არა ნაკლებ თვალსაჩინო იყო და არა ნაკლებ საგრძნობელი, ვინემ მოვაჭრის და მწარმოებელ-მხმარებლის ინტერესთა წინააღმდეგობა. მევახშეობა უფრო პატივდებაში იყო, ვინემ ვაჭრობა, იმიტომ, რომ ის კლასი, რომელიც მევახშეობდა, გაცილებუთ უფრო ძლიერი და გავლენიანი იყო, ვინემ ვაჭართა კლასი.

იმ ხანაში ვაჭრობა ითხოულობდა დიდ თავგამოდებას, გამჭრიახობას, ჯაფას, შრომას, გამბედაობას და „რისკს“. უსაქმობაში აღზრდილ, წარჩინებულ მონათმფლობელთ კი საამისო ენერგია არ მოეპოვებოდათ. მევახშეობა გაცილებით უფრო ადვილი და არა ნაკლებ მომგებიანი საქმე იყო. არისტოკრატებს მისი საწინააღმდეგო არაფერი ქონდათ და დიდი ხალისით კიდებდენ მას ხელს. აყვავების ხანაში ათინაში ნასესხებ ფულზე 18 პროც. ძლევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რომში ისეთი კაცები, როგორც პომპეუსი, სულლა, ანტონი, პატრიოტი-იდეალისტებიც კი, როგორიც იყვნენ ბრუტი და კასიო, არ თაკილობდენ ფულის საშინელი დიდი პროცენტებით—(48—70 პროც. წელიწადში) გასესხებას. ბუნებრივია ისიც, რომ სახელმწიფო ენერგიულ მფარველობას უწევდა მევახშეობას და შესანიშნავი გულმოდგინებით იფარავდა კრედიტორთა ინტერესებს. სახელმწიფო მაშინ ყურადღებასაც არ აქცევდა ვალის გადახდევინების დროს—შეუძლებელი იყო მოვალე, თუ განგებ არ სურდა ვალის გადახდა. კრედიტორს უფლება ჰქონდა—ყველა მოვალე, რომელიც არ გადაიხდიდა, მონათ გაეყიდა. რომაული 12 ტაბლიციანი კანონებით (შედგენილია არისტოკრატების მიერ 451 წელს ქრისტეს შობამდე), კრედიტორებს იმის უფლებაც კი ქონდათ, რომ ლუკმა-ლუკმა აეკუწათ მოვალის სხეული, თუ მას ვალის გასასწორებელი საშუალება არ ექნებოდა.

ასე ეფერებოდა საზოგადოება და სახელმწიფო მევახშეობას. ამავე დროს, ძველი ქვეყნის დაღუპვის ისტორიაში მევახშეობის განვითარებამ, როგორც შემდეგ დავინახავთ, მეტად საყურადღებო და თან სამწუხარო როლი ითამაშა.

ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე პოლიტიკის გაბატონება აშკარათ ჩანს ბერძნებ-რომაელების ქვეყანაში. პოლიტიკური საზოგადოებრივი საქმეები იმდენათ თვალსაჩინო როლს თამაშობდა მოქალაქის ცხოვრებაში, რომ არისტოტელს პოლიტიკურ მოქმედებისადმი მისწრაფება ადამიანის ნიშნობლივ თვისებათ მიაჩნდა. „ადამიანი—ამბობდა ის—არის თავის ბუნებით თვით პოლიტიკური ცხოველი“ (ე. ი. მოქალაქე). ფიზიკური შრომისათვის სიძულვილის საბუთათ

ხშირათ მოჰყავთ ის გარემოება, რომ ის მოსახლეობას არ აძლევს ადამიანს საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობისათვის (ქსენოფონტე). იმავე დროს, რომ გამოვიკვლიოთ ის ინტერესები, რომელნიც დამყარებული იყვნენ ამ ფართე მოქალაქეობრივი ცხოვრების საფუძველზე და ბადებდნენ პარტიათა ბრძოლას, აღმოჩნდება, რომ ბოლოს და ბოლოს ესენია ინტერესი ექსპლოატაციის, დაპყრობის, ძარცვისა და ნადავლის განაწილებისა. და რაც დრო გადიოდა, ფაქტიურათ მით უფრო უნაყოფო, ე. ი. საზოგადოებისთვის უსარგებლო ხდებოდა მთელი ის პოლიტიკური შრომა, რომელიც თავისუფალ მოქალაქეებს დიდათ სასარგებლო და ნაყოფიერ შრომათ მიაჩნდათ.

## 4. მონათმფლობელ საზოგადოებათა დეგრადაციის მიზეზები და მსვლელობა.

ტექნიკური პროგრესი, რომელიც საფუძველია ყოველი საზოგადოების განვითარებისა, თანდათან შეფერხდა და შესუსტდა მას შემდეგ, რაც ბატონთა წოდებამ ფაქტიურათ თავიდან მოიშორა ორგანიზატორული როლი წარმოებაში. ეს იყო საზოგადოების ერთადერთი კლასი, რომელსაც თავის ცხოვრების პირობების გამო შეძლება ქონდა განვითარებისა; რამდენათაც ის საზოგადოებრივ-პარაზიტულ ჯგუფათ იქცა, იმდენათ იმისმა განვითარებამაც გამოიცვალა თავისი ხასიათი და პარაზიტული მიმართულება მიიღო. მონებს კი, იმათი ცხოვრების უკიდურესი პირობების გამო, არ შეეძლოთ განვითარებულიყვნენ და წინ წაეწიათ საზოგადოების ძალების ბრძოლა გარეშე ბუნებასთან.

მაგრამ ეს ცოტაა. მონებს ფაქტიურათ ამცირებდნენ, ათახსირებდნენ, რყვნიდნენ გონებრივათ და ფიზიკურათ. წარმოების იარაღათ გადაქცეული, ადამიანი სწრაფათ კარგავს თავის სასიცოცხლო ენერგიას, ულმობელი ექსპლოატაცია უმოკლებს მას არსებობას და მიყავს იმისი ჩამომავლობა გადაგვარებისა და დაღუპვისაკენ. იმ დროს, როცა მუდმივი, სისტემატიური მონებით ვაჭრობა იყო გაჩაღებული, ბატონებისთვის სასარგებლო იყო—თავის მონებისგან მოეთხოვათ, რაც შეიძლება, მეტი გარჯა, ჯაფა, მუშაობა—და იმავე დროს არ

ეზრუნათ იმის დასუსტებულ ორგანიზმის, მისგან დახარჯულ ძალის სავსებით აღდგენაზე დასვენებით, საკმაო საშუალების მიცემით და, საზოგადოთ, მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით. მართალია, ცოცხალი იარაღი მალე ცვდებოდა, მაგრამ მისგან მიღებული სარგებლობა სავსებით ფარავდა ახალის, ასეთი იარაღის საყიდელ ხარჯებს.

ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ მონები მრავლათ იხოცებოდენ, მათი რიცხვი კლებულობდა, სიკვდილი ჭარბობდა გამრავლებას. მაგრამ მრავალ საუკუნოების განმავლობაში ეს გარდაშენება ადვილათ ივსებოდა ახალ ტყვეების შემწეობით, რომელთაც იძენდენ მეზობელ ბარბაროსებთან ომებში; სანამ ეს წყარო მონებისა არ ჩაშრა, სამონათმფლობელო საზოგადოება მაინცა და მაინც გადაშენების გზას არ ადგა, დეგრადაციას არ განიცდიდა, არამედ ერთ დონეზე იყო გაჩერებული. წარმოება არ კლებულობდა, რადგან სამუშაო ძალა საკმაო იყო.

მაგრამ საქმის ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. დადგა დრო, როდესაც ბარბაროსებთან ძლევა-მოსილ ომების რიცხვმა საგრძნობლათ იკლო. მონათა საკმაო რიცხვის მოპოება ძნელი შეიქმნა, შემდეგში კი—პირდაპირ შეუძლებელიც. ბარბაროსებზე გამარჯვება დამარცხებებით შეიცვალა, თავდასხმითი ომები თავდასაცველ ომებათ გადაიქცა, საწარმოვო ძალის წყარო დაიშრიტა. რამ გამოიწვია ომის სვე-ბედის ასე შეტრიალება?

ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ სამონათმფლობელო საზოგადოების სამხედრო ძალთა დაცემაში. ომი, ე. ი. მონების წარმოება, შეადგენდა წარმოების ერთად-ერთ სფეროს, რომლის მონებზე გადაცემაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა და რომელიც ამას გამო თავისუფალ ადამიანებს უნდა აესრულებია. მხედრობის, ლაშქრის შედგენა შეიძლებოდა მხოლოდ თავისუფალი წოდების ადამიანებისაგან, და ამიტომ ამ წოდების დაცემა ნიშნავდა მხედრობის დაქვეითებას, მონების წარმოების დაცემას, სამონათმფლობელო მეურნეობის დეგრადაციას. ამასობაში ძველი ქვეყნის შინაგანი ეკონომიური პირობები ძირს უთხრიდენ და ანადგურებდენ თავისუფალ წოდების ძალებს.

თავისუფალ წოდების ძალებს შეადგენდენ მსხვილი ტიპიური

მონათმფლობელები, რომელთა რიცხვიც მცირე იყო, და წვრილი მე-საკუთრეები, რომელთა მეურნეობასაც, უმთავრესად, წმინდა ოჯახური ხასიათი ქონდა, ე. ი. უმონოთ არსებობდა, და რომელთა უმრავლე-სობაც პატრონისა და მისი ოჯახის პირად შრომაზე იყო დამყარებუ-ლი. ამათში უმეტეს ნაწილს მიწათმოქმედები შეადგენდენ, უმცი-რესს— ხელოსნები.

ამნაირად, ძველი ქვეყნის სამხედრო ძალის მთავარ საფუძველს შეადგენდენ წვრილი მესაკუთრე-მიწათმოქმედნი, ანუ გლეხობა. რო-მი, რომელმაც თავის მბრძანებლობის ქვეშ შეაერთა ყველა „ან-ტიკური" საზოგადოებანი, დაპყრობის პოლიტიკის აყვავების ხანაში, უმთავრესად, გლეხთა სახელმწიფო იყო. სანამ არსებობდა ძლიერი, მრავალრიცხოვანი თავისუფალი გლეხობა, იმ დრომდე „კლასიკურ" ქვეყანას შეეძლო, თავისი მაღალი სამხედრო ტექნიკის მეშვეობით, ადვილად გაემარჯვებია ბარბაროსულ ტომებთან ბრძოლაში, რომელნიც ძლიერ მამაცნი და მჭიდროთ შეკავშირებულნი იყვნენ, მაგრამ საომარ ხელოვნებას ნაკლებათ იცნობდენ.

ომების მთელი სიმძიმე გლეხობას აწვა კისერზე; ის ღვრიდა სისხლს ომში, იგი იხდიდა სახელმწიფოს ხარჯებსა და გადასახადებ-საც, რომლებიც საჭირო იყო ომისთვის. უმაღლესი კლასები—მსხვი-ლი მონათმფლობელები—ადვილათ ახერხებდენ ამ ტვირთის თავიდან აცილებას, იმიტომ, რომ, სიმდიდრესთან ერთათ, მათ ხელში იყო პო-ლიტიკური ძალაც. პირიქით, ომების სასარგებლო შედეგებით გლე-ხობა ძალიან ცოტას სარგებლობდა: ნადავლის უმეტესი ნაწილი ხელ-ში უვარდებოდათ მდიდარ მონათმფლობელებს; იმავე მიზეზის გამო, იმათ ეჭირათ ყველა მნიშვნელოვანი და გავლენიანი თანამდებობანი ჯარში; ისინივე განაგებდენ ნადავლის (უმთავრესათ მიწების და მო-ნების) განაწილების საქმეს; ისინივე ინიშნებოდენ დაპყრობილი პრო-ვინციების გამგე-მმართველებათაც და სხვა.

რადგან ომებს აუარებელი დრო და საღსარი უნდებოდა, წვრი-ლი თავისუფალი მიწათმოქმედნი იძულებული ხდებოდენ ხელი აე-ღოთ თავიანთ მეურნეობაზე, და უკანასკნელიც თანდათან ირღვეოდა. მევახშეობა, რომელსაც ასეთ გარემოებაში დასახმარებლათ ხელს უწყ-

დიდა მიწათმოქმედი; უფრო ადვილად და არა იშვიათათ ხელს უთავებდა იმის მეურნეობის დანგრევა-განადგურებას: საშინლათ დიდი პროცენტის შემწეობით, მევახშე, ჩვეულებრივ მდიდარი მონათმფლობელი — არისტოკრატი, მალე სრულიად ანადგურებდა გლეხის მეურნეობას.

გლეხობის განადგურებას აჩქარებდა აგრეთვე მსხვილი მეურნეობის განადგურებაც. სიცილიისა და იტალიის მსხვილი მემამულენი ასობითა და ათასობით აბანდებდენ მონებს მიწათმოქმედებაში, და ამიტომ აუარებელ იაფ პურს გზავნიდენ ბაზარზე. არა იშვიათათ დამარცხებული ხალხები აუარებელ პურს უგზავნიდენ რომს სრულიად უსასყიდლოთ, მუქთათ, ამიტომ წვრილი მიწათმოქმედისათვის გასაყიდი პურის წარმოება პირდაპირ საზარალო იყო.

ამნაირათ, ყოველივე წვრილი მიწათმოქმედის წინააღმდეგ შეერთდა: აუარებელი გადასახადებისა და მუდმივი ომების სიმძიმე, სავახშო კაპიტალის ძლიერება და მსხვილი მონათმფლობელის ტეხნიკურათ მაღალ-განვითარებული მიწათმოქმედების კონკურენცია. გლეხობის დაცემა და განადგურება სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. წვრილი მიწათმოქმედი კარგავდა თავის მიწას ვალებში, და არა იშვიათათ თვითონაც თავს ანებებდა მეურნეობას, მისი სრული უსარგებლობის გამო. მისი ნაკვეთი მიწა მსხვილი მიწათმოქმედის ხელში გადადიოდა. გროვდებოდა მიწის საკუთრება მდიდართა ხელში: უკვე ქრისტეს შობის ხანებში მთელი იტალია რამდენიმე ვეებერთელა მამულს — ლატიფუნდიებს წარმოადგენდა.

დროთა განმავლობაში წვრილი მესაკუთრენი თანდათან „პროლეტარდებოდენ“, ე. ი., საწარმოვო საშუალებებს მოკლებულნი, თავისუფალ ადამიანებათ ხდებოდენ. სოფელში, სადაც მდიდრები ბატონობდენ და მეურნეობა მონური შრომით სწარმოებდა, პროლეტარს ალაგი არა ჰქონდა; ის გარბოდა ქალაქში ცხოვრების სახსარის საძებნელათ. ქალაქებში ასი-ათასობით გროვდებოდა ასეთი უბინადრო, ეული ხალხი, რომელიც სამუშაოს ვერ შოულობდა, და სახელმწიფო იძულებული იყო მათთვის დახმარება აღმოეჩინა; პოლიტიკური პარტიები ცდილობდენ მათ მიმხრობას და იარაღათ გამოყენებას ერთი-

მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პროლეტარებისათვის არსებობის ძირითად საშუალებას შეადგენდა მოწყალება მდიდრების მხრივ, სახელმწიფოებრივი დახმარება და პოლიტიკური პარტიებისთვის ხმის მიყიდვა. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ პროლეტარებს, რომლებიც რომში ცხოვრობდნენ: ისინი მუდამ იმათ ემსახურებოდნენ, ვინც მათ მეტს მისცემდა. ეს იყო ნამდვილი „პარაზიტი პროლეტარიატი“, რომელიც გაბატონებული პოლიტიკური ძალების, ან ეკონომიურად ძლიერი კერძო პირების მონა-მორჩილი იყო და მუდამ მათ ელაქუცებოდა. იმათ რიცხვს ემატებოდა აგრეთვე განთავისუფლებული მონები, რომლებიც განსაკუთრებული სამსახურისათვის, ან ფულით თავდახსნის გამო, თავისუფლდებოდნენ ბატონებისაგან. ეს პროლეტარიატის ნაძირალები გაპროლეტარებულ თავისუფალ ადამიანთა გახრწნილებას ზედ ურთავდნენ თავის მონური ფსიხოლოგიის მთელ სიმდაბლეს, და ასე აჩქარებდნენ იმის ზნეობრივ გათახსირებას.

ამგვარად, გლეხობა ილუპებოდა, კარგავდა წინანდელ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, იხრწნებოდა და ამნაირად „პარაზიტ-პროლეტარიატის“ რიცხვს ემატებოდა. ამასთან ერთად, ქრებოდა მონათმფლობელი საზოგადოების სამხედრო ძლიერებაც: პარაზიტულ პროლეტარს არ შეუძლია ენერგიული, მამაცი გლეხის მაგივრობა გასწიოს; პარაზიტი ვერ იტანს ომიანობის მძიმე ჯაფას, მის მკაცრ დისციპლინას; მას ეზარება მოშორება ქალაქისა, სადაც უმუშევარი პოულობს ცხოვრების სახსარს. ამ მხრივ ძველი ქვეყნის პროლეტარი სავსებით გავს თავის მოპირდაპირეს — განებივრებულ მსუქან მონათმფლობელს.

საგვარეულო კავშირის სიმტკიცით ძლიერი, თავისუფალი და ამპარტავანი ბარბაროსები კი დაუღალავათ განაგრძობდნენ ბრძოლას მონათმფლობელი ქვეყნისა და მის სამხედრო ორგანიზაციის — რომის ჯარის — წინააღმდეგ. და ეს, ოდესღაც შეუვალი, შეუდრეკელი სიმაგრე ანტიკური კულტურისა, ნელ-ნელა ქედს იხრის ბარბაროსთა დაუღალავ რაზმების წინაშე. თავდასხმითი ომები რომის იმპერიისათვის მოგერებითი ომებათ იცვლება, გამარჯვებანი — დამარცხებანით.

მონურ სამუშაო ძალის მოჭოება მეტის-მეტად მცირდება და მასთან ერთად ძირი ეთხრება ძველი კულტურის საფუძველსაც.

იწყება წარმოების საერთო დაცემა, რასაც მუშა ხელის სიმცირის შედეგს წარმოადგენს. პირველ ყოვლისა, ამით ზიანი მოუვიდა მიწათმოქმედებას: ამას პირველი ნიშანია ლატიფუნდიებში მიწათმოქმედების მაგიერ ჯარუყვით მოშენების შემოღება, რომელიც ნაკლებ მუშა ხელს თხოულობს; მაგრამ საქმე ამით არ თავდება: სოფელი სრულიად დაცარიელდა და საბალახოები, რომლებმაც ძველი ყანების ადგილი დაიჭირეს, თითქმის უდაბნოთ გადაიქცენ. მეურნეობის დასუსტება უკვე თავისთავათ ძირს უთხრის მრეწველობის სხვა სფეროებსაც, რომელთათვისაც სოფელი, ერთი მხრით, ნედლი მასალების და საცხოვრებელ საშუალებათა წყაროს და მეორე მხრით—ბაზარს წარმოადგენს. ამას გარდა, დამმუშავებელი მრეწველობის დაცემას იწვევს იგივე მონათა რიცხვის შემცირება, რომელმაც დასცა მეურნეობა. ძველი ქვეყანა თანდათან მიექანებოდა სრული დანგრევისაკენ. მაგრამ ის კიდევ იბრძოდა თავის არსებობისა და კულტურის შესანარჩუნებლათ, ცდილობდა შეცვლილ პირობებთან შეგუებას. რომის იმპერია ცდილობდა თავისუფალი ბარბაროსებით შეევსო წარმოების ძირითად დარგებში სამუშაო ძალთა ნაკლებობა—სამხედრო საქმეში და სასოფლო მეურნეობაში. რომის ლეგიონების შედგენილობა იცვლება: იქ უფრო მეტსა და მეტს ღებულობენ ჰალლებსა და გერმანელებს; საზღვრების დასაცველათ ხშირათ ქირაობენ ბარბაროსების მთელ „დრუჟინებს". ამათ მეოხებით რომს შეეძლო კიდევ რამდენსამე ხანს გამკლავებოდა ბარბაროსებს, რომელთაც წინააღმდეგაც იგი ბარბაროსებსავე გზავნიდა; მაგრამ რომის არმია თავის შედგენილობით აღარ იყო რომაელთა არმია, და თითქმის რომაელ მხედართ-მთავრების ადგილიც გერმანელთა დრუჟინების ბელადებმა დაიჭირეს. და როცა 476 წ. ბარბაროსმა ოდოაკრმა ჩამოაგდო ტახტიდან რომის იმპერატორი რომაელი ავგუსტოული, ეს იყო გარეგანი გამოხატულება რომის არმიის გერმანულ არმიათ გარდაქმნისა.

ანალოგიურ მოვლენას ქონდა ადგილი მეურნეობაშიაც. იმპერიის მთავრობა ცდილობდა დაცარიელებულ მიწებზე მიეწვია „გადმოსახ-

ლებულება“. ამისთვის შეღავათიანი პირობებით აძლევდა იმათ ნაჭერ მიწებს და ადგენდა გადაჭრილ ღალა-გადასახადებს. ასევე იქცეოდენ კერძო მემამულენიც: ისინიც აძლევდენ მიწებს იჯარით მსურველებს და განსაზღვრულ იჯარას ახდევინებდენ. ასე წარმოსდგა „კოლონატი“ — წვრილ მიწათმფლობელთა წოდება, რომლებიც მართავდენ თავის დამოუკიდებელ მეურნეობას სახელმწიფოს ან მემამულის მიწაზე, რისთვისაც განსაზღვრულ იჯარას იხდიდენ. თავისუფალ „კოლონატების“ უდიდეს ნაწილს შეადგენდენ რომის იმპერიაში გადასახლებული ბარბაროსები, რომელთაგანაც შესდგა, ამნაირათ, ახალი გლეხობა.

თავისუფალი „კოლონატის“ გვერდით მსხვილი მიწათმოქმედების დაცემამ წარმოშვა „კოლონატი“ არა თავისუფალი: მოიჯარადრე მიწათმომქმედათ ხშირად მონებიც ხდებოდენ. როცა პურის ბაზრის პირობები შესამჩნევათ გაუარესდა, წინანდელი მასსიური წარმოება ლატიფუნდიებში სასარგებლო აღარ იყო თითქმის იქაც კი, სადაც მონათა ნაკლებობა ჯერ არც-კი ემჩნეოდა; ამიტომ უფრო სასარგებლო იყო მიწის ნაჭრებათ დაყოფა და მოიჯარადრეებისათვის გადაცემა, რომლებიც თავის თავზე იღებდენ ყოველგვარ ზრუნვა-ჯაფას და ბეგარასაც იხდიდენ. ამგვარათ, ბატონებისთვის უფრო სასარგებლო შეიქნა შეძლება მიეცათ მონებისათვის დამოუკიდებელი მეურნეობის გამართვისა და ეხდევინებიათ ხარკი, ვინემ ექსპლუატაცია გაეწიათ მათთვის თავის მეურნეობაში; ამასთან, შრომის თავისუფლების გაფართოვება აძლიერებდა მის ინტენსივობასა და ნაყოფიერებას, ჩვეულებრივ მონურ შრომასთან შედარებით, ასე რომ, შესაძლებელი ხდებოდა ექსპლუატაციის გაძლიერება.

არსებითად, კოლონატი იყო იმდენათ არა რომაული, რამდენათაც გერმანული დაწესებულება: ის იყო რომაულ-გერმანულ-ფეოდალური ცხოვრების ჩანერგვა მონათმფლობელურ საზოგადოებაში. ასახლებდა რა თავის მიწებზე ბარბაროს მოსახლეებს, იმპერიას უნდა მიეღო მათთან ერთათ იმათი წესწყობილებაც, რადგან სხვა წესწყობილებას ისინი არ იცნობდენ და არც შეეძლოთ შეგუებოდენ, ან დამორჩილებოდენ. კლასიკური ქვეყანა თითქო გაათქვიფა ბარბაროსულ

წრეში. მისი ჯარი, მისი გლეხობა, მისი შინაგანი ურთიერთობანი თანდათან გერმანული ხდებოდა. იმპერიის გერმანელების მიერ დაპყრობამ მხოლოდ დაასრულა ეს პროცესი ანტიკური საზოგადოების საშუალო საუკუნის ფეოდალურ საზოგადოებათ გარდაქმნისა.

ამნაირად, ძველი კულტურის დეგრადაციის მიზეზები იმაში მდგომარეობენ, რომ ამ კულტურის საფუძველს შეადგენდა სამხედრო ექსპლოატაცია ბარბაროსულ ტომებისა, რომლებიც თითქო ნედლ მასალას შეადგენდენ ცოცხალ იარაღების—მონების—შესაქმნელათ. პროცესის თანდათანი მსვლელობა შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს: მონათა დეგრადაცია—უსაზღვრო ექსპლოატაციის გამო, თავისუფალ ადამიანთა დეგრადაცია—იმათი საზოგადოების პარაზიტულ ელემენტებათ გარდაქმნის გამო, სამხედრო ძლიერებისა და სამხედრო წარმოების დაცემა, საზოგადოთ მეურნეობის დაცემა—მუშა ძალთა ნაკლებობის გამო, ბარბაროსულ ელემენტების ჩანერგვა ძველ გახრწნილ საზოგადოებაში და მის ნაშთებზე ამ ელემენტების საბოლოვო გამარჯვება.

## საზოგადო დახასიათება მონათმფლობელური ხანისა.

1) ტეხნიკური მხრით ამ ხანის დამახასიათებელია: პირველად, შედარებით შრომის დიდი ნაყოფიერება, რის გამოც ზედმეტი შრომა მუდმივ მოვლენას წარმოადგენს, და საზოგადოებრივ დანაწილებულ წარმოების შედარებითი მეტი სხვადასხვაობა; მეორეთ, მისი დამახასიათებელია შესამჩნევი როლი და განვითარება წარმოების იმ დარგისა, რომელსაც ომი ეწოდება და რომლის შინაარსს წარმოადგენს ამ საზოგადოების გარშემორტყმულ მტრულ საზოგადოებებთან ბრძოლა. 2) მონათმფლობელური ჯგუფი ვითარდებოდა მამათმთავრული გვარებისაგან შემდეგი წესით: ორგანიზატორის საწარმოვო როლი, წარმოების გაფართოვებისა და გართულებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მკაფიოთ ეთიშებოდა აღმასრულებელ მოქმედებისგან; ორგანიზატორული როლის მემკვიდრეობითი ხასიათი ხელს უწყობდა ორგანიზატორის ოჯახის გამოყოფას მთელი ჯგუფიდან. ეს ოჯახი ცხოვრობს

ზედმეტი ნაწარმოების მითვისებით, რაც ახლა უკვე შესაძლებელია, რადგან ზედმეტი ნაწარმოების საერთო ჯამი შესამჩნევად მატულობს. ორგანიზატორის ოჯახსა და დანარჩენ ჯგუფის შორის ნათესავური ურთიერთობის ხასიათი ჰქრება ორი მიზეზით: ერთის მხრით იმით, რომ იცვლება ჯგუფის ფაქტიური შედგენილობა—შედარებით იზრდება ტყვე-მონების რიცხვი; მეორეს მხრით—იმით, რომ ვითარდება ორგანიზატორის გაუმაძღრობა. მეორე პირობა დამოკიდებულია ცვლის განვითარებაზე, რომელიც ხელს უწყობს ბატონის მოთხოვნილებათა განუსაზღვრელ ზრდას. ნათესავურ ურთიერთობათა გაქრობის შემდეგ, ჯგუფის წევრები ორგანიზატორისთვის უბრალო საექსპლუატაციო იარაღებად ხდებიან, და როცა მონებით სისტემატიური ვაჭრობა ვითარდება, ეს იარაღიც თანდათან კარგავს ფასს მის თვალში. მწარმოებელი წარმოების იარაღად და საქონლად ხდება.

დროთა ვითარებაში საორგანიზატორო მოქმედება თანდათან ეძლევა იმ მონებს, რომლებიც უფრო მეტ ნიჭს იჩენენ და თან ბატონის ნდობაც დამსახურებული აქვთ. პროცესი იწყება იმ მიზეზით, რომ ერთი პირისათვის შეუძლებელი ხდება მთელი ჯგუფის ვეებერთელა წარმოების მოწესრიგება; ბოლოს კი ბატონები თვითონ ცდილობენ საორგანიზატორო შრომის მთლად მონებისთვის დაკისრებას, რომ ამნაირად სავსებით განთავისუფლდენ ყოველგვარ შრომისაგან.

საჯგუფთაშორისო საწარმოო კავშირი მონობის ეპოქაში დიდ ნაბიჯს დგამს წინ, ერთის მხრით, უორგანიზაციო ფორმას შრომის განაწილების შემწეობით, რომლის გამოხატულებასაც გაცვლა შეადგენს; მეორეს მხრით—ორგანიზაციულ ფორმით სახელმწიფოებრივ კავშირის შემწეობით.

სახელმწიფოებრივმა კავშირებმა, რომლებიც შესდგენ, რამდენიმეთ მაინც, განვითარებულ გაცვლის ზეგავლენით, უმეტესად არისტოკრატიულ რესპუბლიკის ფორმა მიიღეს. იქ კი, სადაც სამიმოცვლო დამოკიდებულება ნაკლებ როლს თამაშობდა საზოგადოების ცხოვრებაში, გარეშე ბუნების პირობები კი ითხოულობდენ ფართო საზოგადოებრივ გაერთიანებას, სახელმწიფოების შემადგენელი ძალა იყო,

უმთავრესათ, დაპყრობა, და ამიტომ ეს საზოგადოებანი აღმოსავლეთის დესპოტიურ მონარქიების ფორმას იღებდენ.

3) საზოგადოების ურთიერთობათა სისტემა-განვითარება ყოველ საშუალებას უსპობდა მონათა კლასს. ბატონთა კლასისთვის სხვა-დასხვა ნაირი პირობები იყო აღმოსავლეთის დესპოტიურსა და დასავლეთის სამიმოცვლო საზოგადოებებში: პირველში ბიუროკრატიული მექანიზმის უღელმა გზა მოუჭრა ყოველგვარ განვითარებას და თვით მონათმფლობელებშიაც სრული აპატია და დაჯაბნებული, ფატალისტური ფსიხოლოგია დაბადა. მეორე ჯგუფის საზოგადოებებში კი არსებობდა ყველა პირობები ადამიანების თავისუფალი კლასის განვითარებისათვის.

მაგრამ მაღალ კლასების გონებრივი განვითარება კლასიკური ქვეყნის საზოგადოებებში მხოლოდ იმ დრომდე მიილტვოდა ტეხნიკურ და ეკონომიურ პროგრესისაკენ, სანამ ბატონები თავის საწარმოვო როლს ფაქტიურათ თავიდან ჩამოიშორებდენ; როცა ეს მოხდა, მას შემდეგ მათმა ფსიხოლოგიამაც სულ სხვა მხრივ იწყო განვითარება,—პარაზიტული მიმართულება მიიღო. მას შემდეგ თითქმის შეწყდა ტეხნიკური პროგრესი, ვითარდებოდა მხოლოდ ხელოვნება, ყველაზე უფრო განყენებული მეცნიერებანი და ფილოსოფია.

4) ძველი ქვეყნის ცხოვრების საწარმოვო საფუძველს შეადგენდა ომი, ე. ი. მონათწარმოება. მონათმფლობელ საზოგადოების სამხედრო ძლიერების მატარებელი იყვნენ არა მსხვილი მონათმფლობელები, არამედ წვრილი მესაკუთრეები, გლეხები. როდესაც ომებმა, მევახშეობამ და დიდ მემამულეთა მსხვილ წარმოების კონკურენციამ ძირი გაუთხარა გლეხობას და იმისი უმეტესი ნაწილი პარაზიტულ პროლეტარიატათ აქცია, მაშინ მონათმფლობელ საზოგადოების სამხედრო ძლიერებაც დაეცა, და მასთან ერთად დაეცა მთელი მისი წარმოებაც: კლასიკური ქვეყანა, დაუძლურებული და დასუსტებული, გაითქვიფა გარშემორტყმულ ბარბაროსულ ხალხებში, რომლებიც, თუმცა კულტურით მასზე დაბლა იდგენ,. მაგრამ, სრულიად ჯანსაღი და ძალ-ღონით სავსენი, შემდეგ განვითარებას ეწაფებოდენ.

5) საშუალო საუკუნოების რომანულ-გერმანულ ქვეყანას კლასი-

კურმა საზოგადოებამ მრავალი სრული იდეოლოგიური მასალა უან-დერძა: რომის კანონმდებლობა, ბერძნული ხელოვნება, სიტყვა-კაზ-მული ლიტერატურა, მეცნიერება და ფილოსოფია. გერმანულ-რომა-ნულმა ქვეყანამ მხოლოდ მაშინ ისარგებლა ამ მზა მასალით, როცა განვითარების შესაფერ საფეხურზე ავიდა, როდესაც ძველი იდეო-ლოგიური ფორმები გამოსადეგი შეიქნა ახალ საზოგადოებრივ ურთი-ერთობის გამოსახატავათ.

## III. ფეოდალური საზოგადოება.

### 1. საზოგადოების დამოკიდებულობა ბუნებასთან.

თუ მამათმთავრული საგვარეულო საზოგადოება წარმო-შვა წარმოების ახალი წესების აღორძინებამ, რომლებიც უზ-რუნველჰყოფდენ ადამიანის ცხოვრებას, ფეოდალურ საზო-გადოებას საფუძვლათ დაედვა ამ წესების **შემდეგი განვითა-რება.**

წარმოებაში მიწათმოქმედების უპირატესობა, მეორე ხა-რისხოვანი როლი პირუტყვთა მოშენებისა და სრული ბინადა-რი ცხოვრება მიწის შეზღუდულ სივრცესთან ერთად,—აი, ასეთია ფეოდალურ ეპოქის ტეხნიკური პირობები.

როდესაც მეჯოგე, ეული ტომები მიწის შემუშავებას ჰკიდებენ ხელს, პირველ ხანებში ის მათთვის მეორე ხარისხო-ვან, დამხმარე როლს თამაშობს ცხოვრებაში. ის ეგუება პირ-უტყვთა მოშენების პირობებს, ასე რომ, ნათესი მინდვრების სი-ფართოვე ძალიან ხშირათ იცვლება. მაგრამ რამდენათაც მცხოვ-რებთა რიცხვი იზრდება, თავისუფალი მიწის რაოდენობა კლე-ბულობს, ეულ ცხოვრების არე ვიწროვდება, რამდენათაც პირ-უტყვთა მოშენების განვითარებას აბრკოლებს საბალახოების ნა-კლებობა,—იმდენათ მეტ და მეტ საპატიო ადგილს იჭერს მი-წათმოქმედება არსებობისთვის ბრძოლაში. სრულ ბინადრობის დროს ის უკვე უმთავრეს დარგს წარმოადგენს ცხოვრებისა-თვის ბრძოლაში, პირუტყვთა მოშენება კი ჰკარგავს თავის კავ-შირს ეულ ხალხთა ცხოვრებასთან და ეგუება მიწათმოქმედე-

ბის პირობებს, თითქო მის დამატებათ იქცევა. რაც შეეხება იმ თემებს, რომელნიც თავიდანვე მიწათმოქმედებას მისდევდენ და ბინადარ ცხოვრებას ატარებდენ, მათი განვითარება გამოიხატება მიწათმოქმედების თანდათან გაუმჯობესებაში, რომელსაც შემდეგ ნელ-ნელა ემატება შინაური პირუტყვთა მოშენებაც.

მომპოვებელ მრეწველობის სხვა შტოები (ნადირობა, სამთამადნო საქმე და მრავ. სხვ.) და „დამმუშავებელი" მრეწველობა ფეოდალურ ეპოქაში მეტათ განუვითარებელ, ჩანასახის მდგომარეობაში არიან. ომს არა მცირე მნიშვნელობა აქვს ასეთ საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც წარმოების დაცვის აუცილებელ საშუალებას და როგორც ერთად-ერთ სახსარს საზოგადოების ტერიტორიის გასაფართოვებლათ.

საზოგადოთ, მრავალი სხვადასხვა გვარი ნაწარმოები ამ საზოგადოებამ არ იცის (რაიცა ხელს უშლის გაცვლის განვითარებას). მაგრამ ზედმეტი შრომა, შედარებით, წარმოების არა მცირე ნაწილს წარმოადგენს, რაიცა ხელს უწყობს ექსპლუატაციის ზრდას.

## 2. ფეოდალური ჯგუფის საწარმოვო და განაწილებითი ურთიერთობა.

შრომის ნაყოფიერების ზრდამ გამოიწვია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ისეთი გაფართოება, რომ საშუალო საუკუნეში თემი არა იშვიათად ათასობით შეიცავდა ადამიანებს; იმავე დროს სამიწათმოქმედო ტეხნიკის პირობებმა გამოიწვია წარმოების რამდენიმეთ დანაწილება ჯგუფის შიგნით.

უკვე მსხვილ მამათმთავრულ-საგვარეულო ჯგუფში ქონდა ადგილი ოჯახების გამოყოფა-გამოთიშვას ჯგუფიდან. ამას ჰბადებდა, როგორც ნათქვამი იყო, ის გარემოება, რომ პატრიარქი ვეღარ ახერხებდა მთელი საორგანიზატორო შრომის მარტო შესრულებას, და ამიტომ აუცილებელი ხდებოდა იმისი ნაწილი სხვის ხელში გადასულიყო, უფრო წვრილი ორ-

განიზატორები გაჩენილიყვენ; მაგრამ ამ წვრილ ორგანიზატორებს ძალიან მცირე დამოუკიდებლობა ქონდათ, და ასე მთელი თემის წარმოებას კი ერთი მთლიანი წარმოება წარმოადგენდა. ბინადარ სამიწათმოქმედო წარმოების ბატონობის დროს წვრილი ეკონომიური ერთეულები—ოჯახები—მეტ დამოუკიდებლობას იძენენ თავიანთ მეურნეობის წაყვანაში. სამიწათმოქმედო სამუშაოს შესასრულებლათ, ჩვეულებრივ, სრულიათ საკმარისია ოჯახის ძალ-ღონე,—საჭიროება არ მოითხოვს მთელი ჯგუფის საერთო კოოპერაციას; ეს კიდევ ცოტაა—წვრილი ოჯახური წარმოება ამ შემთხვევაში მასზე უფრო ნაყოფიერია, ვინაიდან, მიწის შემუშავების ტლანქი წესების გამო, მცირე ჯგუფს უკეთესათ შეუძლია მთელი თავისი ყურადღება მიაპყროს მცირე ნაჭერ მიწას და მთელი თავისი ძალ-ღონე მას მოახმაროს,—უკეთესათ გამოიყენოს მისი ბუნებრივი თვისებები, ვინემ მრავალრიცხვოვანი ჯგუფი, რომელიც უფრო ფართე სივრცეზე შლის, ჰფანტავს თავის კოლექტიურ მოქმედებას. ტლანქი ტეხნიკა ამ ფართე ასპარეზით სარგებლობას ვერ ახერხებს.

ამნაირათ, მიწათმომქმედი თემი ფეოდალურ ეპოქის დასაწყისში შესდგებოდა მრავალი ნათესავური კავშირით შეერთებულ საოჯახო ჯგუფებისაგან, რომლებსაც საკმაოთ განვითარებული ჰქონდათ თავიანთი ცალკე სამიწათმოქმედო „მეურნეობა“. თავისი სიდიდით ეს ჯგუფები წარმოადგენდენ რაღაც საშუალოს ძველი დროის მამათმთავრულ გვარეულობასა და თანამედროვე ოჯახს შორის; ისინი დაახლოვებით ემსგავსებოდენ ჩვენებურ „დიდ ოჯახებს“, რომლებიც ათი კაცისაგან შესდგებოდენ და რომლებიც აქა-იქ ჩვენ დრომდინაც დარჩენილან ზოგიერთ კუთხეებში.

მაგრამ საოჯახო ჯგუფებს შორის ამ ხანაში საწარმოვო კავშირი არ გაწყვეტილა. მრავალ შემთხვევებში, როდესაც ცალკე ოჯახის ძალ-ღონე არა კმაროდა რაიმე სამუშაოს ასასრულებლათ, მას ენერგიულათ ეხმარებოდენ მეზობელი ოჯა-

ხები, ხან მთელი თემიც. ასე ხდებოდა სადგომის აშენების, მიწის ახალი ნაჭერის გაკაფვისა და სხვა ამგვარების დროს. პირუტყვთა მოშენებაში თანაზიარათ მოქმედებას იმდენათ საგრძნობელი სარგებლობა მოჰქონდა, რომ თემის პირუტყვებს გაზაფხულიდან შემოდგომამდე თითქმის მუდამ ერთათ აძოვებდენ თემის საერთო საბალახოებზე და მწყემსებიც სათემო ყავდათ; საერთო საბალახოების რიცხვში შედიოდა, სხვათა შორის, დასასვენებლათ გაშვებული მინდვრები და ის მინდვრებიც, რომლებისგანაც პირნახული უკვე შეკრებილია; ასე რომ, მინდვრის თვითოეული ნაკვეთი მხოლოდ წმინდა სამიწათმოქმედო მუშაობის დროს ემსახურებოდა საოჯახო ჯგუფის ცალკე წარმოებას. სათემო ველებს, უმეტეს ნაწილათ, კოლექტიურათ თიბავდენ, შემდეგ კი თივას პროპორციონალურათ, მინდვრის ნაჭრების მიხედვით, იყოფდენ ერთმანეთში.

ამას გარდა, სახნავი მიწებით სარგებლობის წესიც რამდენიმეთ თემის ნებაზე იყო დამოკიდებული: საოჯახო წარმოება განსაზღვრულ მიწის ნაჭერზე არ იყო მიკრული; დროგამოშვებით საყანე მიწებს ხელახლა ანაწილებდენ ოჯახთა შორის. ამასთან, თვითოეული მოსახლობა ღებულობდა ან პირველის ოდენა ნაჭერ მიწას მეორე ალაგას, ან მეტ-ნაკლებს, ოჯახის სიდიდის, სამუშაო ძალისა და სხვა ამგვარების მიხედვით. ასეთი ხელახალი განაწილება და გაყოფა თავდაპირველათ, შესაძლებელია, ყოველ-წლობით ხდებოდა, შემდეგ—რამდენიმე წლის გამოშვებით. ამის შემწეობით თანასწორდებოდა სხვადასხვა ნაჭერი მიწების განსხვავებულ ნაყოფიერობისაგან წარმომდგარი სარგებლობა და ზარალი. ძველი დროიდანვე გაყოფისაგან თავისუფალი იყო ის მიწები, რომლებიც ცალკე ოჯახმა გაკაფა ტყისა და ჯაგებისაგან საკუთარი ძალ-ღონით. მაშასადამე, სათემო გადაყოფაში გამოიხატება ის ფაქტი, რომ თავდაპირველათ სათემო მიწის დაპატრონება მოხდარა მთელი თემის შეერთებული შრომით, ე. ი. თემის-მიერ საერთოთ

ახალ, ყამირ მიწების გაწმენდით, ან სხვისგან გაწმენდილის დაპყრობით.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ცალკე ოჯახთა სამუშაოთ შეერთებას სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახე ქონდა ამ ადგილის ბუნებრივი თუ ისტორიული პირობების მიხედვით.

ზოგ ალაგას ჩვენს დრომდეც შენახულა სამიწათმოქმედო კომუნიზმის ნიშნები „სათემო მიწათმფლობელობის“ სახით შვეიცარიაში, სამხრეთ გერმანიაში, პირინეის ნახევარ კუნძულზე, სამხრეთ სლავიანებში, ქიზიყში და სხვ.

მეტ ნაწილათ სამიწათმოქმედო კომუნიზმი დაცულია იქ, სადაც არსებობდენ ისეთი განსაკუთრებული პირობები, რომლის გამოც მიწათმოქმედება დამყარებულია ხელოვნურ მორწყვაზე, რიყულ არხების გაყვანაზე, რაიცა შეუძლია ივართე ჯგუფს და არა ცალკე ოჯახს. ამიტომ იქ უკანასკნელ დრომდე არსებობდა წმინდა სამიწათმოქმედო კომუნიზმი. ამ თემებში მიწას ამუშავებენ შეერთებულა შრომით, შემდეგ კი საერთო ნაწარმოებს იყოფენ ოჯახთა შორის. მაგრამ რთვა, ქსოვა და სხვა ასეთი სამუშაო სრულდება უკვე ცალკე თვითეული ოჯახის მიერ, როგორც საშინაო დამატებითი სამუშაო. თემს ყავს თავისი ხელოსნები (მჭედელი, ხურო, მექოთნე, დალაქი, მრეცხავი და სხვ.) და მოხელე პირები (მამასახლისი, მოანგარიშე, მირაბი, ქურუმები და სხვ). ერთნიცა და მეორენიც თემისაგან არიან **დანიშნულნი** და, რადგან მიწათმოქმედებას არ ეწევიან, მათ საზოგადოება აძლევს სარჩოს. საორგანიზაციო შრომა (მოხელე პირები) გამოყოფილია აღმასრულებელ შრომისაგან, და განაწილებულია რამოდენიმე პირთა შორის და თემის საერთო კონტროლს ქვეშ იმყოფება, რაც შედეგია განსაკუთრებული სამიწათმოქმედო ტეხნიკის მიერ წარმოშობილ თემის არაჩვეულებრივ სიმტკიცისა და მთლიანობისა. ამ სიმტკიცის წყალობით, ჯგუფს ჯერ კიდევ შერჩენია აშკარა **საგვარეულო** ხასიათი. ნათესაური კავშირი საზღვრავს ეკონომიურ კავშირის ჩარჩოებს.

საშუალო საუკუნოების დასაწყისში სამიწათმოქმედო თემში შედიან ხელოსნებიც, მაგრამ ისინი, უმეტეს ნაწილათ, არ

არიან თავის ხელობის სპეციალისტები, არამედ მასთან ერთათ ეწევიან მიწათმოქმედებასაც, და თვითოეული საოჯახო მეურნეობაც ასრულებს თავის საკუთარი შრომით ზოგიერთ სამუშაოს, რომელსაც ხელობის ხასიათი აქვს, მაგ., რთვას, ქსოვას, სამოსლის დამზადებას და სხვ.; იქ, სადაც ოჯახი თავის საკუთარი ძალ-ღონით ვერ ერევა ყველა თავის საქმეებს, იგი „სახელოსნო" საქმეს უკვეთს ხელოსანს და თვითონვე აძლევს მას საჭირო მასალასაც; ხშირათ ხელოსანი შემკვეთელის ოჯახში მუშაობს. შრომის საზოგადოებრივი განაწილება, საერთოდ, სუსტათაა განვითარებული და გამოიხატება მხოლოდ **მეზობლურ გაცვლაში და ხელოსნისთვის შეკვეთილ სამუშაოში.** ამის შესაფერისად არის დაყენებული კრედიტის (ნდობის) საქმეც. იგი სრულიად განუვითარებელია; ფულის კრედიტი თითქმის გამონაკლისს შეადგენს.

დროთა ვითარებაში შრომის საზოგადოებრივი განაწილება უფრო მკაფიო ხასიათს იღებს, ხელობა შორდება მიწათმოქმედებას. ხელოსნებიდან ყველაზე უწინ გამოეყვენ მჭედლები, ზოგან მეწისქვილეებიც. ფეოდალიზმის პირველ დროებში მჭედელი და მეწისქვილე ხშირათ რამოდენიმე მეზობელ თემებისთვის საერთო იყო, რაიცა სუსტს საწარმოვო კავშირს წარმოადგენს თემთა შორის.

თემის გაზრდისა და საოჯახო ჯგუფთა გამოყოფის გამო, ნელ-ნელა გაჰქრა და დავიწყებულ იქმნა ცალკე მეურნეობათა შორის თავდაპირველი კავშირის ნათესავური ხასიათი: წმინდა საწარმოვო კავშირი და მისგან გამომდინარე პოლიტიკური კავშირი წარმოადგენს იმ ცემენტს, რომელიც ქმნის თემის სიმტკიცესა და მთლიანობას.

იქ, სადაც ფეოდალური ჯგუფი სრული თანდათანობითა და ტიპიურათ განვითარდა სამიწათმოქმედო თემისაგან, — იქ ამ განვითარების თანდათანობა ამ სახით გამოიხატება:

თავდაპიველათ თემი, შედარებით, ერთგვარია; ერთი მეურნეობა, მეორესთან შედარებით, ისე დიდია, რომ უუდიდეს მათ-

განს ეკონომიური უპირატესობა მოაპოვებინა სხვებზე. მთელი თემის შესახებ საქმეებს არჩევდა უხუცეს მეურნეთაგან შემდგარი საბჭო; ისეთ კოლექტივურ საქმისათვის, რომელიც ერთ ორგანიზატორს თხოულობს (უმთავრესათ ომიანობის დროს), უხუცესთა საბჭო ირჩევდა თავიანთ შორის ბელადს, რომელიც ასრულებდა ამ როლს მხოლოდ დროებით, სანამ საჭიროება მოითხოვდა, როდესაც ომებს მართავდა არა ცალკე თემი, არამედ სატომო კავშირი, რაიცა ხშირათ ხდებოდა. მაშინ „დრუჟინების“ წვრილი წინამძღოლები ირჩევდენ თავიანთ შორის საერთო წინამძღოლს.

მაგრამ ეკონომიური უთანასწორობის ნასახები უკვე არსებობენ; ერთ ასეთ ჩანასახს წარმოადგენს—საერთო საქმეთა დროებით ორგანიზატორის გამოყოფა; მეორე ჩანასახს წარმოადგენს ის, რომ მიწაზე, სათემო საკუთრების გარდა, არსებობს კერძო საკუთრებაც. მიწები, რომლებიც ცალკე ოჯახის საკუთარი შრომით არიან გაწმენდილ-დამუშავებულნი, მისს სრულ საკუთრებას შეადგენენ; აგრეთვე მიწები, რომლებიც ომის შემწეობით არიან შეძენილი, ერთხელ და სამუდამოთ არიან განაწილებული ომის მონაწილეთა შორის და ხელახალი მათი განაწილება აღარ არსებობს.

ადვილი გასაგებია, რომ იმ მეურნეობებს, რომელნიც, თავის ეკონომიური ძლიერებით, რამდენიმეთ უკვე განირჩევიან სხვებისაგან, ასეთ პირობებში სხვებზე უფრო უმალ უნდა განევითარებინა თავიანთი ძალა. პირველათ, ასეთ მეურნეებს ადვილათ შეეძლოთ გაეფართოვებიათ თავისი სამფლობელოების საზღვრები ახალ, თავისუფალ მიწების გაწმენდით; მეორეთ, იმ პირთ, რომლებიც ეკუთვნოდენ ამ უფრო მსხვილ მეურნეობას, საზოგადოთ გაცილებით უფრო თვალსაჩინო ალაგი ეჭირათ ომის დროს, და, მაშასადამე, მეტ ნაწილს იღებდენ ომში ნადავლ მოძრავ-უძრავ ქონებიდან. მეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ მოძრავ ნადავლის ანგარიშში შედიოდენ მონებიც, რადგან სამიწათმოქმედო თემმა პატრიარქალურ ჯგუ-

ფიდან მემკვიდრეობით მიიღო, სხვათა შორის, მონობის სისტემაც, თუმცა ის ახლა უფრო შემსუბუქებული სახისა იყო.

ამნაირათ, სამეურნეო ერთეულებს შორის უთანასწორობა თანდათან იზრდებოდა და ეს გარემოება ძირს უთხრიდა თემის უწინდელ ერთგვარობას. უფრო მდიდარი ოჯახების გავლენა სათემო ცხოვრების მსვლელობაზე კიდევ უფრო ძლიერდებოდა იმის გამო, რომ ეკონომიური უპირატესობა შეძლებას აძლევდა დანარჩენი მეურნეობანი რამდენიმეთ თავისგან ნივთიერათ დამოკიდებული გაეხადათ: მსხვილი მეურნეები თავის თავზე იღებდენ ისეთი საქმეების მოწყობას, რომლის გაკეთებაც დანარჩენებს არ შეეძლოთ; მაგ., დიდი წისქვილების მოწყობა, ფურნეების აშენება და სხვა. ამასთანავე, მსხვილი მეურნეობანი, როგორც ყველაზე ძლიერ მტკიცე მეურნეობანი, გაცილებით ნაკლებ ზარალს ნახულობდენ ყოველგვარ ეკონომიურ რყევისა, სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათაგან, რაც მაშინდელ განუვითარებელ ტეხნიკის დროს იშვიათ მოვლენას არ შეადგენდა; ამიტომ ხშირათ მსხვილი მეურნეები შემწეობას აძლევდენ წვრილებს თავიანთ „ზაპასებიდან“, ამის სამაგიეროს წვრილი გლეხები მათ ჩვეულებრივ მუშაობით უხდიდენ, რაც შეძლებას აძლევდა მდიდრებს შესამჩნევათ გაეფართოვებინათ თავისი ხნულები და საერთოთ. მთელი თავისი წარმოება გაედიდებიათ.

დროთა განმავლობაში მდიდარ ოჯახების ფაქტიური ძლიერება იქამდე მივიდა, რომ მხოლოდ იმათ ირჩევდენ ხოლმე სამხედრო „დრუჟინების“ ორგანიზატორებათ; ეს ოჯახები მთელი თავის ძალ-ღონით სცდილობდენ, რომ კიდევ უფრო განემტკიცებიათ თავისი გაბატონებული მდგომარეობა თემში. ისინი ენერგიულათ ებრძოდენ ყოველივე განცალკევებულ ცდა-მეცადინეობას, რომელსაც ამ სისტემის შეცვლა ჰქონდა მიზნათ, და თანდათან მიაღწიეს იმას, რომ ჩვეულებით განმტკიცებული ფაქტიური მორჩილება უფლებათ აქციეს, —წინა-

მძღოლის „მბრძანებლობა“ სამემკვიდრეო შეიქნა მის ოჯახში, ომის დროებითი ორგანიზატორი მუდმივი სარდალი გახდა.

ამნაირათ დაედვა საფუძველი ფეოდალურ ეპოქის დასაწყისს. მსხვილმა მემამულემ, რომელიც გამოიყო თემიდან, მიითვისა სამხედრო ორგანიზატორული როლი, და სხვადასხვა ოინებით ეკონომიურათ დაიმორჩილა, თავისგან დამოკიდებული გახადა მთელი თემი, უკვე ტიპიურათ ფეოდალი.

ზოგ შემთხვევაში ფეოდალი ადრევე გამოეყო ჯგუფს, სახელდობრ — მოხეტიალე პატრიარქალური თემის ბინადარ მიწათმოქმედ თემათ გადაქცევის დროს. ეს იყო იქ, სადაც საბინადრო მიწის შეძენა განსაკუთრებულ ხანგრძლივ და მედგარ ომებს თხოულობდა, და სადაც ამის გამო ომმა ძლიერ ადრე დაასვა თავისი დაღი მთელ თემის ცხოვრებასა და წყობილებას.

ფეოდალური ურთიერთობანი სწრაფათ ვითარდებოდა და მაგრდებოდა: იზრდებოდა და უფრო მუდმივი ხდებოდა, ერთის მხრით, ფეოდალის დადებითი, საზოგადოებრივ-სასარგებლო როლი საგლეხო თემის ცხოვრებაში; მეორე მხრით — გლეხების ეკონომიური და იურიდიული დამორჩილება-დაქვემდებარება მასზე.

ფეოდალი აშენებს მაგარ ციხე-სიმაგრეებს, სადაც მისს მფარველობის ქვეშ მყოფი გლეხები აფარებენ თავს მტრების თავდასხმის დროს. ფეოდალი ცდილობს გზების გაყვანას, ხიდების გაკეთებას და სხვ. ამგვარებს თავის თემში. ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც გლეხების მეურნეობა თავისივე ძალღონით ველარ ხეირობს და სუსტდება, ფეოდალი მას დახმარებას უწევს; ის სისტემატიურ დახმარებას აძლევს გლეხებს მოუსავლობის, ომისგან განადგურებისა და სხვ. ამგვარ შემთხვევებში. ყველა ამათთვის აუცილებელი იყო სახსარი, და რა თქმა უნდა, ფეოდალი თავის გლეხებს მუქთათ არ დაუთმობდა საკუთარ მეურნეობის შემოსავალს. ფეოდალის ასეთ მზრუნველო-

ბის სამაგიეროთ, გლეხები მას თავისი შრომით, შედარებით, მეტსაც უნდა ეხმარებოდენ.

ფეოდალურ ეხსპლუატაციას ორი უმთავრესი ფორმა აქვს: პირველი ძირითადი და უფრო ძველი ფორმაა—ფეოდალის სამუშაოს შესრულება. მეორე,—აქედან წარმომდგარი ხარკი. როდესაც ფეოდალი მხოლოდ მდიდარ გლეხს წარმოადგენდა, მის სამუშაოს შესრულება გლეხების მხრივ ვალის ჩვეულებრივ გადახდას შეადგენდა; ხოლო როცა ფეოდალის მბრძანებლობა განმტკიცდა, ასეთ სამუშაოს შესრულება გლეხების მუდმივ ვალდებულებათ გადაიქცა, ეგრეთ წოდებული „**ბეგარა**“ შეიქნა: წელიწადში დღეების განსაზღვრული რიცხვი გლეხებს ფეოდალურ ბატონის მეურნეობაში უნდა ემუშავნა; ზოგიერთ შემთხვევებში ფეოდალისთვის უფრო ხელსაყრელი იყო შრომის მაგიერ დამზადებული ნაწარმოები გამოერთმია გლეხისთვის, ე. ი. ეგრეთ წოდებული ხარკი აელო. ხარკი ქონდა დადებული, უმთავრესათ, სახელოსნოებს, და რაც მეტი დრო გადიოდა, იმდენათ ეს ხარკი იზრდებოდა. ერთხელ დაწესებულ ხარკის, ისე, როგორც ბეგრის, რაოდენობა ადათჩვეულებათ გადაიქცა და კანონის მფარველობის ქვეშ იყო. რა თქმა უნდა—„სინიორი“ (ბატონი) საჭიროების დროს ადვილათ ახერხებდა ამ ვალდებულებათა გადიდებას.

ბეგარა და ხარკი აშკარა, უბრალო ფაქტია ექსპლუატაციისა. ბეგარა—ეს პირდაპირი და აშკარა მითვისებაა ზედმეტი შრომისა, ხარკი კი—ზედმეტი ნაწარმოებისა. ხარკზე და ბეგარაზე დამყარებული მეურნეობა მებატონესი ნატურალური იყო, ისე, როგორც წვრილი საგლეხო მეურნეობა.

რა თქმა უნდა, ფეოდალს უფრო ადვილათ შეეძლო გაცვლა-გამოცვლით სარგებლობა თავის ფაქიზ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, ვინემ გლეხს, მაგრამ ფეოდალისთვისაც გაცვლა პირველ ხანებში მაინც გამონაკლს შეადგენდა—ისე სუსტი და განუვითარებელი იყო გაცვლის სისტემა. აუცილებელ საგნების უმეტეს ნაწილს სინიორი თავის გლეხებისაგან იღებდა.

რადგან ფეოდალური მეურნეობა ნატურალური, მომხმარებელი იყო,—ხარკისა და ბეგრის რაოდენობა ფეოდალის მოთხოვნილებათა რაოდენობით ისაზღვრებოდა. ამიტომ თავდაპირველათ დამოკიდებულ მცხოვრებლებზე დადებული უღელი, შედარებით, მსუბუქი იყო. ის მძიმე გახდებოდა ცვლის განვითარებასთან ერთათ, ვინაიდან ამით ვითარდებოდა ფეოდალთა მოთხოვნილებანიც.

ფეოდალსა და მის მფლობელობის ქვეშ მყოფ მცხოვრებთა შორის დამოკიდებულებანი ყოველგან ერთგვარი არ იყო: გლეხების ერთი ნაწილი უფრო მეტ ეკონომიურ დამოკიდებულებაში იყო მისგან, მეტ მძიმე უღელს ეწეოდა და ამის შესაფერათ იურიდიულათაც მეტ მორჩილებაში იმყოფებოდა; მეორე ნაწილი, შედარებით, უფრო უმჯობეს პირობებში იყო. ჩვეულება იცავდა ამ განსხვავებას და თაობიდან თაობაში გადაქონდა.

ამგვარი განსხვავება რამდენიმეთ თვით ვალდებულებათა სხვადასხვაობაზე იყო დამოკიდებული: რომელიმე მჭედელი, რომელიც ბატონს მხოლოდ გასაზღვრულ ხარკს აძლევდა და რომელსაც მასთან თითქმის სხვა არავითარი საქმე არა ქონდა, რასაკვირველია, უფრო ნაკლებ შევიწროვებული იყო თავის ეკონომიურ და უფლებრივ ცხოვრებაში, ვინემ მიწათმომქმედი, რომელიც ბეგარას იხდიდა და, მაშასადამე, განსაზღვრულ დროს განმავლობაში მონის მდგომარეობაში ვარდებოდა. ამ ვალდებულებათა განსხვავებას თავისი ისტორიული საფუძველი ქონდა. ბოლოს ჩამოსახლებულები, რომლებიც შეღავათიან პირობებში იყვენ მოწვეულნი თვითონ ფეოდალებისაგან, უმეტეს ნაწილათ, ნაკლებ მონობას განიცდიდენ, ვინემ ძველი თემის წევრები.

ფეოდალის ზოგი ქვეშევრდომთაგანი მებატონის სასახლეში ცხოვრობდა და მას პირადათ ემსახურებოდა, რის გამოც, უმეტეს ნაწილათ, არავითარ მწარმოებელ შრომას არ ეწეოდა. ისინი ყველაზე უფრო იყვენ დამოკიდებული თავის ბატონე-

ბზე, რადგან მხოლოდ ბატონის წყალობით ცხოვრობდენ. ესენი იყვენ შინა-ყმანი—მოახლეები.

ფეოდალის ქვეშევრდომთაგან მხოლოდ ყველაზე უფრო დამოკიდებულები იყვენ მოკლებულნი წასვლა-წამოსვლის თავისუფლებას; იმათ არ ქონდათ უფლება ფეოდალს ჩამოშორებოდენ. ზოგიერთებს კი შეეძლოთ წასვლა, თუ მოისურვებდენ: მაგრამ ამით ისინი კარგავდენ თავის მიწას და ყოველივე უძრავ ქონებას. რომ ასეთ ურთიერთობათა ლოღიკა გასაგები შეიქნეს, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: ფეოდალისგან მცხოვრებთა ეკონომიური დამოკიდებულების უმთავრესი ზოგადი დებულება ამბობს, **რომ ფეოდალი მთელი იმ მიწების მფლობელია**, რომლებზედაც მისი ქვეშევრდომები არიან დასახლებულნი. მიწათმოქმედება მაშინ დიდ როლს თამაშობდა საზოგადოების წარმოებაში, და გასაკვირველი არაა, რომ ფეოდალი ცდილობდა მთელი მიწა უზენაეს მფლობელობის ქვეშ გამოეცხადებია, რაც უმთავრესი საფუძველი იყო აგრეთვე ადამიანებზე გაბატონებისა; ფეოდალის ეკონომიური სიძლიერის გამო მისი ასეთი მისწრაფებანი სრული გამარჯვებით უნდა დაგვირგვინებულიყვენ. იმ მოუსვენარ დროს ხშირათ ხდებოდა, რომ თავისუფალი გლეხი—მესაკუთრე თვითონ აძლევდა მეზობელ ფეოდალს თავის მიწას იმ მიზნით, რომ ომიანობის დროს მისი მფარველობით ესარგებლა, მის შემდეგ კი იმავე მიწას უკანვე იღებდენ „ლენი“-ს ანუ „ნაწყალობევი“ მამულის სახით, და ამნაირათ ფეოდალისგან დამოკიდებული ხდებოდა. საზოგადოთ, მიწის უზენაესი მესაკუთრის სახელის ტარება კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ეს მიწები ფეოდალის სრულ უსაზღვრო განკარგულებაში იყო,— არა, ფეოდალი თავის მოქმედებაში ფაქტიურათ ჩვეულება-ადათს ემორჩილებოდა.

ამნაირათ, ფეოდალური ჯგუფი შეადგენდა ერთ დიდ მამულს, სადაც ნატურალური ტიპის მეურნეობა იყო გამართული. მიწის მესაკუთრე იყო ორგანიზატორი ადგილობრივ მცხოვ-

რებთა ყველა კოლექტიურ საქმისა. მამულში გამართულ ცალკე მეურნეობაში ამ როლს ასრულებდა ოჯახის თავი, იმ საქმეებში კი, რომლებიც **მხოლოდ საგლეხო** მეურნეობას ეხებოდენ საერთოთ, ორგანიზატორის როლს ასრულებდა სათემო საბჭო ან საზოგადო „ყრილობა“ და მის-მიერ არჩეული პირები. ამის დაგვარათ შემუშავდა განაწილებითი და უფლებრივი ურთიერთობანი: სინიორი ჩვეულების-მიერ დადასტურებულ ბეგარასა და ხარკს იღებდა თავის ქვეშევრდომთაგან და მამულის უზენაესი მსაჯული და კანონმდებელი იყო. ისეთი კითხვების გადაწყვეტა, რომლებიც ფეოდალს არ ეხებოდენ, მაგ., გლეხებს შორის მიწების განაწილება, თემის წევრთა შორის კერძო შეტაკების გარჩევა და სხვა, დამოკიდებული იყო მთელი თემისაგან; მათ სისრულეში მოსაყვანათ თემი ნიშნავდა რწმუნებულებს.

ფეოდალური წყობილების წარმოშობას ძლიერ ბევრნი ხსნიდენ ერთი ტომის-მიერ მეორის დაპყრობით. ზოგ შემთხვევაში მართლაც დამპყრობელნი ფეოდალის როლში გამოდიოდენ, დამარცხებულთ ქვეშევრდომათ ხდიდენ; და ადვილი მისახვედრია, რომ ამ პირობებში ადვილი იყო ორ წოდების განცალკევება; მაგრამ დაპყრობილ მხარეში რომ ფეოდალური წესწყობილება დაემყარებიათ, ამისთვის საჭირო იყო,—ეს წყობილება დამპყრობელთ წინდაწინვე სცოდნოდათ; და ეს ასეც იყო ყველა ამგვარ შემთხვევებში.

### ბ) ჯგუფთაშორისი ურთიერთობანი ფეოდალურ საზოგადოებაში.

ფეოდალური მამულის ეკონომიური დამოუკიდებლობა ძლიერ დიდი იყო, მაგრამ მასაც საზღვარი ქონდა. პირველ ყოვლისა, ომის დროს, უმეტეს ნაწილათ, ცალკე ჯგუფის ძალღონე არ კმაროდა გარშემორტყმულ მტერთაგან თავის დასაცავათ: მაგ., მოხეტიალე ტომთაგან, რომლებიც არა იშვიათად ესხმოდენ თავს ფეოდალურ ევროპას, ან უფრო ძლიერ

მეზობელ ფეოდალთაგან, რომელნიც ყოველთვის მზათ იყვენ სუსტი მეზობლის ქონება ხელთ ეგდოთ.

ამ ნიადაგზე ფეოდალთა შორის ისეთივე განწყობილება მყარდებოდა, როგორიც არსებობდა თვითოეულ საბატონო მამულში ფეოდალსა და მის გლეხებს შორის. თუ თავდაცვის საჭიროება გლეხებს ფეოდალის მბრძანებლობა-განკარგულების ქვეშ აყენებდა, იგივე მიზეზი აიძულებდა უფრო სუსტ ფეოდალებს—უფრო ძლიერს დამორჩილებოდენ. თავისი ნებით, ანუ წაგებული ბრძოლის შემდეგ, სინიორი იძულებული ხდებოდა მეორე, უფრო ძლიერი სინიორი აღეარებია თავის ბატონათ და მფარველათ—სიუზერენათ. ის თავისი „დრუჟინით“ იბრძოდა ომში ამ სიუზერენის უფროსობის ქვეშ (ერთგვარი „ბეგარა“), და ხან კი განსაზღვრულ გადასახადს—ხარკს იხდიდა მის სასარგებლოთ. ზოგიერთ შემთხვევებში ის ემორჩილებოდა აგრეთვე სიუზერენის სასამართლოს. სიუზერენი, საზოგადოთ, არ ერევოდა თავის ვასსალის შინაურ საქმეებში. სიუზერენი თავის მხრივ მეორის, კიდევ უფრო ძლიერი სინიორის ვასსალი იყო, და ასე ადიოდა მეფემდე, კოროლამდე. უკანასკნელი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, თავის მხრივ ვასსალურ დამოკიდებულებაში იყო მაშინდელ დროის ყოვლად ძლიერი ფეოდალის—კათოლიკე ეკლესიისაგან. კოროლი იყო მხოლოდ სიუზერენთა ჯაჭვის მეორე რგოლი ბოლოდან. ვასსალურ სახელმწიფოთა შინაურ საქმეებს ის არ ეხებოდა, საგარეო საქმეებშიაც მისი გავლენა დიდი არ იყო. სრულიად მისგან დამოუკიდებლათ მართავდენ ფეოდალები ერთმანეთ შორის ომებს და სდებდენ ზავის ხელშეკრულებებს. არა იშვიათათ კოროლების, და საზოგადოთ—სიუზერენების, მბრძანებლობა მხოლოდ სახელით არსებობდა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ასეთი დანაწილება და ამ ნაწილთა შორის ასეთი სუსტი კავშირი, და უმთავრესათ კი განუვითარებელი ტეხნიკა—მუდამ ქმნიდა „მცხოვრებლების აბსოლიუტურ სიჭარბეს“, რის გამოც ფეოდალური ქვეყანა მუ-

დამ ერთი-მეორესთან ომებში იყო გართული. მიწათმოქმედების შემდეგ ომი უეჭველათ შეადგენდა ადამიანის მოქმედების ერთ უდიდეს დარგს.

როდესაც ფეოდალურ პერიოდის „აბსოლუტურ სიღარიბეზე“ ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცნების შინაარსი აქ რამდენიმეთ უკვე შეცვლილია. მცხოვრებთა სიღარიბე ფეოდალურ პერიოდში გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ საზოგადოების რამდენიმე ნაწილს არ ყოფნის ძირითადი ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებანი, და ეხება არა მხოლოდ საზოგადოების დაბალ წრეებს; ეს არის აგრეთვე ფეოდალის რაინდის სიღარიბეც. ფეოდალის ოჯახიც რომ არ გამრავლდეს დაბალი ტექნიკისა და გლეხთა გამრავლების გამო, მას მაინც თანდათან გაუძნელდება თავის გლეხთაგან თავის ფართე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საშუალებების მიღება. ფეოდალთა გამრავლება კი ყოველნაირად ამრავლებს ამ დაბრკოლებებს. არსებითად აქ საქმე წინანდებურად იმაშია, რომ სახმარ საშუალებათა რაოდენობა, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია იმ მამულზე არსებულ ტექნიკის შეწევნით, საკმარისი არაა გამრავლებულ მცხოვრებთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აქ მხოლოდ სახეში უნდა ვიქონიოთ არა მარტო მცხოვრებთა მასსის ძირითადი მოთხოვნილებანი, არამედ, აგრეთვე, ფეოდალთა კლასსის განვითარებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც, რადგან ფეოდალთა „მაღალი“ მოთხოვნილებანი დამოკიდებულია არსებულ სოციალურ ურთიერთობაზე. მცხოვრებთა სიღარიბის მიზეზი უნდა ჩაითვალოს არა მარტო ადამიანის ტექნიკური ჩამორჩენა ბუნებასთან ბრძოლაში, არამედ, რამდენიმეთ, ადამიანთა შორის დამყარებულ ურთიერთობათა ხასიათიც (პირველი ჩანასახის შემდეგი პერიოდების მცხოვრებთა „შედარებითი“ სიღარიბის, რომელიც, თითქმის უკლებლად, მეორე მიზეზისაგანაა გამოწვეული).

ამნაირათ, სამხედრო ფეოდალურ ორგანიზაციამ არა თუ ვერ შესძლო ევროპის მკვიდრთათვის მუდმივი ომებისაგან წარმომდგარი უბედურობათა შემსუბუქება, რომლებიც საშინელ ტვირთათ აწვა გლეხობას კისერზე, არამედ, რამდენიმეთ,

თვითონ წარმოადგენდა ამ უბედურებათა წყაროს. გამოუსადეგარი იყო ის სამხედრო ორგანიზაცია ფეოდალური ქვეყნის სხვა საზოგადო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაშიაც. მცხოვრებთა აბსოლიუტური სიჭარბე ცალკე ალაგებში და უთვალავი ომები ამრავლებდენ ცხოვრებისთვის ყოველ სახსარ-მოკლებულ მასსის რიცხვს, რადგან მას არავითარ სამუშაოს შოვნა აღარ შეეძლო; ამ საწყლებზე ზრუნვა, უმეტეს შემთხვევაში, ფეოდალებს ხელს არ აძლევდა, რადგან იმათგან არავითარ პირდაპირ სარგებლობას არ ელოდენ. ზრუნვა საპყრებზე, ავათმყოფებზე და სხვ. ასეთებზე მით უმეტეს არ შედიოდა სამხედრო ფეოდალთა პროგრამაში. მათ არ შეეძლოთ აგრეთვე, რამდენიმეთ მაინც, უზრუნველეყოთ გაცვლის განვითარება და ან სხვა რაიმე ურთიერთობის დამყარება სხვადასხვა ოლქებსა და მხარეებს შორის. ასეთი ურთიერთობა კი, თუმცა სუსტათ იყო განვითარებული, მაგრამ მაინც არსებობდა და ეკონომიურათ მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა იმიტომ, რომ ფეოდალურ ჯგუფს, უკვე თავის სიმცირისა გამო, არ შეეძლო დაემზადებია თავისთვის ყველაფერი, რასაც ის საჭიროებდა, და ასე, სხვა ჯგუფებთან ყოველ ეკონომიურ კავშირის გარეშე ეცხოვრა. ლითონები და იარაღები, მარილი, ღვინო, ზოგიერთი ქსოვილები და სხვა, ამგვარი ნივთები — არ შეიძლებოდა ყველა მამულში მოეპოებიათ. ერთი სიტყვით, ფეოდალურ საზოგადოების ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ შეეძლო სამხედრო ფეოდალურ ორგანიზაციას; საერთო ხასიათის მოთხოვნილებათა მთელი რიგი საჭიროთ ხდიდა სხვაგვარ, უფრო მჭიდროთ შეკავშირებულისა და მთელი ფეოდალური ქვეყნის გამაერთიანებელ ორგანიზაციის შექმნას.

ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა კათოლიკეთა ეკლესია.

ის წარმოიშვა გარდამავალ ეპოქაში, როცა ძველი კლასიური ქვეყანა ირღვეოდა და მის ალაგას ცხოვრების ახალი, საშუალო საუკუნოების ფორმები მყარდებოდა. რომის იმპერიის დაცემის ხანებში საზოგადოებრივი წარმოების დეგრადა-

ციამ ხალხის აუარებელი მასსა გაატიალა, გაალატაკა; ქრისტიანული ეკლესიაც იმ თავითვე გამოდიოდა, როგორც საზოგადოების უმწეოთ დარჩენილი ელემენტების ყოველმხრივი დამხმარე და შემწე ორგანიზაცია. შემწეობისა და დახმარების ასეთი როლი სრულიათ ბუნებრივი იყო ქრისტიანობისათვის, იმიტომ, რომ ის იყო „იდეოლოგია დევნილთა და უწწეოთა" ძველ ქვეყანაში—იდეოლოგია მაშინდელ პროლეტართა და რამდენიმეთ მონებისა (ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ თავდაპირველათ ქრისტიანობა კომუნისტურ, კერძო საკუთრების უარის მყოფელ სექტას წარმოადგენდა). დრო-მოქმულ წარმართ ქვეყნის ენერგიულმა ბრძოლამ ქრისტიანობის წინაალმდეგ მხოლოდ მეტი სიმტკიც-სიმაგრე მისცა ქრისტიანულ ეკლესიას. რამდენათაც უფრო დაბლა ეცემოდა ძველი მონათმფლობელი საზოგადოება, იმდენათ უფრო ფართოვდებოდა და მჭიდროთ კავშირს კრავდა კათოლიკე ეკლესია. ტიპი, რომელშიაც ჩამოყალიბდა მისი წყობილება, სასტიკათ ცენტრალისტური იყო და საომარ ჯარის მოწყობილობას ემსგავსებოდა. მთელი ორგანიზაცია უფროსის სრულ მორჩილებაზე იყო აშენებული. უზენაესი მბრძანებლობა კი ხელში ეპყრა ერთ პირს—რომის პაპს. ორგანიზაციის ასეთი ფორმა მეტათ მოხერხებული და გამოსადეგია ბრძოლაში; ტყუილათ კი არ წარმოუშვია ის განუწყვეტელ ბრძოლას—თავდაპირველათ გარეშე მტრებთან, შემდეგ კი—უმთავრესათ შინაურებთან (მწვალებლების წინაალმდეგ). საშუალო საუკუნოებში ეკლესიის საზოგადოებრივი როლი დიდი სისწრაფით იზრდებოდა. დროთა ვითარების გამო, კათოლიკე ეკლესია იძულებული შეიქნა ორგანიზატორობა ეკისრა ფეოდალური ქვეყნის იმ საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რომლების შესახებაც მზრუნველი არავინ იყო. ამით საშუალო საუკუნოებშიაც ეკლესია რამდენიმეთ თავის წინანდელ საზოგადოებრივ-ეკონომიურ როლს ასრულებდა,—იმ როლს, რომელიც იკისრა მან რომის

იმპერიის ხანაში; რამდენიმეთ კი ცხოვრების ახალ პირობების მიერ წარმოშობილ საკითხებს აქცევდა ყურადღებას.

ყოველივე ეს შესაძლო და აუცილებელი იყო სწორეთ იმიტომ, რომ ეკლესია წარმოადგენდა მაშინდელი დროის ყველაზე დიდ და ყველაზე მტკიცეთ შეკავშირებულ ეკონომიურ ძალას.

როგორ წარმოსდგა სამღვდელოების ასეთი ვეება ეკონომიური ძალა? ამისი ძირითადი მიზეზი იყო ეკლესიის ქველმოქმედება, მისი ზრუნვა ღარიბ-ღატაკებზე, ეკონომიურათ დაჯაბნებულ-შევიწროებულებზე და ეკონომიურათ გადაგვარებულ ელემენტებზე. ამ ზრუნვამ მოუპოვა ეკლესიას არაჩვეულებრივი გავლენა ხალხის ფართო მასსაში, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწია რომის სახელმწიფოს გაბატონებულ ძალას—იმპერატორის ბიუროკრატიას. ბევრი უნაყოფო ცდის შემდეგ, რომ ეკლესიის ძლიერება სისხლის მორევში ჩაეღრჩო, იმპერია დაშოშმინდა, ეკლესიის დამონების იმედი დაკარგა, და ბოლოს ამ ძლიერ ორგანიზაციასთან კავშირის შეკვრა ამჯობინა. ამნაირათ, დევნილი ეკლესია მმართველი შეიქნა და თავისუფლათ გაშალა ფრთები. მისი სალაროებიც აივსო მდიდარ ძღვენ-შემოწირულებით, რომლებიც საზოგადოების ყველა წრეებს მიქონდათ. იმპერატორები,—მათ შემდეგ კი გერმანიის კოროლები და ჰერცოგები—რომელთათვისაც ძლიერ სასარგებლო იყო ეკლესიასთან კავშირი, მდიდრულათ ასაჩუქრებდენ სამღვდელოებას ვეება მამულებით, მათი კარგი სამსახურისათვის. ეს კარგი სამსახური მდგომარეობდა არა მარტო იმაში, რომ ეკლესიამ მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილებზე ზრუნვით და თავის მოძღვრებათა ხასიათით ხელი შეუწყო საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარებას, არა, ამას სხვა მიზეზები ჰქონდა. უკვე იმპერიის დარღვევის ხანებშიაც ეკლესია თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ „შინაურ“ ბრძოლაში, და ვის მხარეზედაც ის დადგებოდა, გამარჯვებაც იმისი იყო. საერთო სახელმწიფოებრივ საქმეებში

კანონმდებლობითი მუშაობის არა მცირე ნაწილს ასრულებდა ის თავისი საკუთარი ძალ-ღონით. ხოლო როდესაც იმპერიის ალაგი ბარბაროსებმა დაიპყრეს, სამღვდელოება იძულებული შეიქნა წესრიგი და წყობილება ყველგან თვითონ დაემყარებინა. ბარბაროსებს სრულიად არ შესწევდათ ძალა ამ პრობლემის გადასაჭრელათ: ასეთი როლისთვის არ მოუმზადებია ისინი ისტორიას, რომლის დამახასიათებელ თვისებასაც შეადგენდა ეკონომიური დაქუცმაცება, ურიცხვი ო ები და შინაური ბრძოლა. სამღვდელოება კი გამოცდილი ორგანიზატორი იყო, იმას შესისხლხორცებული ქონდა საზოგადოებრივ ორგანიზატორის როლი. ამნაირათ, ცხადია, საკანონმდებლო მოღვაწეობაში თუ ადმინისტრაციის მოწყობაში, შრომის უდიდესი ნაწილი სამღვდელოებას უნდა შეესრულებია.

ეკლესიის მიერ განხორციელებულმა საორგანიზატორო შრომამ, რა თქმა უნდა, მეტათ დიდი წილი მისცა მას საზოგადოებრივ განაწილებაში. უკვე საშუალო საუკუნოების დასაწყისში ეკლესია ჰფლობდა აუარებელ სიმდიდრეს, რომელიც, უმთავრესათ, მამულებისაგან შესდგებოდა. ეკლესია იყო მაშინდელ დროის უმდიდრესი და უძლიერესი ფეოდალი, რომლის სამფლობელო მამულებიც ტერიტორიალურათ დიდ სივრცეზე იყო გაფანტული, მაგრამ, სამაგიეროთ, ცენტრალისტური „გამგეობა“ აერთიანებდა. ამნაირათ, წარმოიშვა პირობები სამღვდელოების საყოველთაო საორგანიზატორო მოღვაწეობის განვითარება-გაფართოვებისათვის.

საეკლესიო მამულებიდან მას გაცილებით იმაზე მეტი ნაწარმოები შემოსდიოდა, რაც საჭირო იყო თვითონ სამღვდელოებისათვის. ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს შეუძლებელი იყო აუარებელი ზედმეტი შემოსავალი ღარიბღატაკების, სნეულთა, მოხუცებულთა და დავრდომილთა დასახმარებლათ გადაედოთ, ე. ი. განეგრძოთ ქველმოქმედება, რომელსაც ეკლესია წინათაც ეწეოდა, და კიდეც გაეფართოებიათ იგი.

შემდეგ; ეკლესიას მოუხდა ბრძოლა ეკონომიურ ცხოვრების ღრმა დაქვეითებასთან, რომელიც გამოიწვია გარდამავალი ხანის არეულობამ და მღელვარებამ. ბარბაროსები ამაშიაც თავდაპირველათ ისეთივე უძლურები გამოდგენ, როგორც სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარებაში: საწარმოვო შრომის განვითარებაში ისინი რომაელებზე გაცილებით დაბლა იდგენ. მონასტრები იმათ ხელობისა და მიწათმოქმედების სწავლებას უწყებენ, სატეხნიკო ცოდნათა და მატერიალური კულტურის გამავრცელებლები ხდებიან.

ფეოდალურ ხანის დაუსრულებელი ომები, ეკლესიის თვალსაზრისით, დიდათ მაზარალებელი მოვლენა იყო. გარდა იმისა, რომ სამხედრო ძარცვისა და ავაზაკობის გამო ეკლესიის მამულები და საუნჯეები პირდაპირ ნადგურდებოდენ, ფეოდალთა ომები კიდევ უფრო მეტათ, თუმცა არა-პირდაპირ, ვნებდენ ეკლესიის ინტერესებს, ძირს უთხრიდენ რა ხალხის კეთილმდგომარეობას და ასუსტებდენ რა მისი შემოსავლის წყაროებს; როგორც ფეოდალური ქვეყნის საზოგადო ორგანიზაციას, ეკლესიას ადვილათ შეეძლო ცალკე ფეოდალთა თვალსაზრისის ვიწრო ფარგალს გასცილებოდა და საზოგადოებრივი წესრიგი დაეცვა იქაც კი, სადაც იმისი პირდაპირი ინტერესები არ იჩაგრებოდა. ამიტომ ეკლესია მთელ თავის გავლენას ხმარობდა, რომ ფეოდალების აღვირ-წახსნილ ომიანობისთვის საზღვარი დაედვა. ის არა იშვიათათ კისრულობდა მოსაშვალის როლს ფეოდალთა შინაურ ბრძოლის დროს, მით უფრო, რომ ასეთი როლი, უმეტეს ნაწილათ, პირდაპირ მატერიალურ სარგებლობას აძლევდა მას, რადგან შეჯახებათა მოსპობა-დაშოშმინებაში დადებული ღვაწლი დაუსაჩუქრებლათ არ რჩებოდა და ეკლესია სამსახურისათვის თავისას იღებდა. შემდეგ, ეკლესიამ დაადგინა „**საღვთო ქვეყნის**“ დღეები, რომლებსაც, საზოგადოთ, ცუდათ ინახავდენ, მაგრამ რამდენიმეთ მაინც იცავდენ და მით გამწარებულ-შევიწროვებულ მცხოვრებლებს, შედარებით, მოსვენებას მაინც აძლევდენ; ამით სამღვდელოებამ,

როგორც ფორმალურათ, ისე ფაქტიურათ, მიაღწია თვით ეკლესია-მონასტრებისა და სამონასტრო მამულების ხელშეუხებლობას; ყველა ეს ამცირებდა ფეადალთა შორის შინაურ ბრძოლის საშინელებას და ამით ქმნიდა ფეოდალურ ქვეყანაში გაცვლის განვითარებისათვის საჭირო მშვიდობიანობას. მონასტრები სამლოცველო ცენტრებათ შეიქნენ და „საღვთო ქვეყნის“ დღეები კი—სავაჭრო დღეებათ.

ასეთმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა როლმა ისეთი ძლიერი გავლენა მოუპოვა ეკლესიას ფართე მასსის გონებაზე, რომლის მსგავსიც აქამდე არ ყოფილა. ეს გავლენა კი თავის მხრივ საფუძვლათ დაედვა ეკლესიის ძლიერებას და სიმდიდრის გაზრდა-გაფართოვებას. სამღვდელოებამ თავის სასარგებლოთ საერთო გადასახადი დაადვა მიწათმოქმედებას,—ესაა ეგრეთ-წოდებული „საეკლესიო ათისთავი“; მან მოაწყო მთელი სისტემა ათასგვარი შემოწირულების მოსაკრეფათ საქველმოქმედო მიზნით, და ეს შემოწირულებანი დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდენ. აუარებელი შემოწირულება გროვდებოდა სამღვდელოების ხელში; იმათში ყველაზე საყურადღებო იყო შემოწირული მამულები. საშუალო საუკუნოების დასასრულში სამღვდელოების ხელში, ასეთ შემოწირულებათა წყალობით, მოგროვილიყო მთელი მიწის მესამედზე არა ნაკლები,—ისიც სულ საუკეთესო ადგილები.

მხოლოდ მრავალ საუკუნოების განმავლობაში განუწყვეტელი მოღვაწეობით ავტორიტეტ-გამაგრებულ ეკლესიას შეეძლო მთელი ფეოდალური ქვეყანა გაეერთიანებია საერთო მტრების—აღმოსავლეთის ხალხთა წინააღმდეგ საბრძოლველათ, და ჯვაროსნული ომები დაეწყო. საზოგადოთ, ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელი ხდებოდა კოოპერაციის დაარსება ისეთ დარგში, სადაც საერო ფეოდალებს არ შეეძლოთ იმისი მოწყობა, ან საჭირო იყო უფრო ფართე კოოპერაციის დაარსება, ვინემ ფეოდალებს ქონდათ ჩვეულებათ,—

იქ მოქმედებდა კათოლიკე ეკლესია, როგორც საერთო პოლიტიკური ორგანიზაცია საშუალო საუკუნისა ევროპაში.

საზოგადოთ, ფეოდალური ევროპის ეკონომიური შენობა შემდეგ სურათს წარმოადგენდა: წვრილ და ტეხნიკურათ სუსტ სამიწათმოქმედო წარმოების ნიადაგზე, რომლისგანაც დამუშავებული მრეწველობა ჯერ კიდევ არ გამოყოფილიყო, წარმოსდგენ პატარა, მაგრამ საკმაოთ მჭიდროთ შეკავშირებული ნატურალური სამეურნეო ორგანიზაციები—მიწათმომქმედი თემები. თემური წარმოების იმ დარგებში, სადაც საჭიროება მოითხოვდა ერთი ორგანიზატორის ყოლას, თავი იჩინა ფეოდალის უფლებამ, რომელმაც, საორგანიზატორო მოქმედებასთან ერთათ, გამნაწილებელის როლიც მიითვისა. ფართე სამხედრო კოოპერაციის საჭიროებამ წარმოშვა რთული, უძლური ორგანიზაცია—სიუზერენიტეტი, რომელიც გამოიხატებოდა ერთი ფეოდალის მეორე ფეოდალზე დამორჩილებაში. სხვა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილებაც არ შეეძლო სამხედრო-ფეოდალურ ორგანიზაციას თავისი სპეციალურ-მხედრული ხასიათისა და სუსტი კავშირის გამო, აკმაყოფილებდა ეკლესიის საყოველთაო საორგანიზატორო მოღვაწეობა როგორც წარმოების, ისე განაწილების სფერაში. ამავე დროს, ამ მოწესრიგებულ ეკონომიურ კავშირების ყოველივე ნაკლის შევსებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუმჩნეველს, მაგრამ მიუცილებელ როლს, თამაშობდა მომწესრიგებელი კავშირი—გაცვლის სისტემა. გაცვლა არსებობდა როგორც მეზობლებს შორის, ისე სხვადასხვა ჯგუფებსა და მხარეებს შორისაც, თუმცი იგი ძლიერ სუსტი იყო.

### 3. ფეოდალურ ხანის საზოგადოებრივი ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებანი.

ფეოდალურ ჯგუფში პიროვნების მდგომარეობა ბევრით არაფრით განსხვავდებოდა პიროვნების მდგომარეობისაგან მამათმთავრულ საგვარეულო ორგანიზაციაში. გლეხის ოჯახში

მამათმთავრული ურთიერთობა თითქმის სრულად იყო დაცული. გლეხის (ოჯახის თავის) პიროვნებაზე მბრძანებლობდა, იმისი თემის შემდეგ, ფეოდალის, და ბოლოს კათოლიკე ეკლესიის, ავტორიტეტი. ამ ავტორიტეტების ძალა დიდი იყო და იმათ გავლენას ღრმა კონსერვატიული ხასიათი ქონდა.

თემი წმინდათ იცავდა წინაპართა მიერ ნაანდერძევ ჩვეულებებსა და ყოველგვარ ტეხნიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ ფორმებს. ყოველივე ახალის შემოღება ულმობელ ბრძოლას იწვევდა მასში, რადგან ის დანგრევას უქადდა სათემო ცხოვრების ძლევამოსილ საფუძველს, სპობდა თემის ერთობას, რომლის დაცვასაც ის ინსტიქტიურათ თავის ძალღონით ცდილობდა. სამიწათმოქმედო წარმოების ტეხნიკაში გამეფებული იყო კონსერვატიზმი, რაც, პირველ ყოვლისა, შედეგი იყო გლეხის შრომის მცირე ნაყოფიერებისა: გლეხს, თავის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და ფეოდალის ბეგრის შესრულების შემდეგ, თავისუფალი საშრომო ენერგია აღარ რჩებოდა წარმოების წესების გასაუმჯობესებლათ. ამასთანავე, სათემო მიწით სარგებლობის მთელი სისტემის გამო, უმეტეს ნაწილათ, ტეხნიკურ გაუმჯობესებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. საყანე მიწები ერთმანეთთან ახლო ქონდათ და მომკის შემდეგ ყანები ერთდროულათ საქონლის საბალახოთ უნდა გადაქცეულიყო. და ეს აიძულებდა ყველას—თავის მოქმედება დანარჩენებისთვის შეეთანხმებია, გადაყოფვა და გაზომვა, სადაც ეს წესი იყო დაცული, შეუძლებლათ ხდიდა მიწის განაყოფიერებაზე ზრუნვას კერძო პირისაგან, რადგან მიწა მხოლოდ დროებით იყო თვითოეული მფლობელის ხელში; ტეხნიკაში კონსერვატიზმი კი ნიშნავდა კონსერვატიზმს ცხოვრების ყველა სფერებში, ვინაიდან ტეხნიკურ პირობებზეა დამოკიდებული და მისგან იწყება ცხოვრების დანარჩენ მხარეების გაუმჯობესება.

საერო თუ სასულიერო ფეოდალური ორგანიზაციები სრული უარყოფით უყურებდენ ცხოვრების არსებულ ფორმა-

თა ყოველივე შეცვლას, რადგან ასეთი ცვლილებები იწვევდა სხვა კლასების ეკონომიური ძალის ზრდას და ძირს უთხრიდა ფეოდალურ ბატონობას. ამ ორ ორგანიზაციას შეეძლო რამდენიმეთ პროგრესიული როლი ეთამაშა მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მათი ბატონობა საბოლოოთ დამყარდებოდა. მათი ფსიხოლოგიაც სწორეთ ამ დრომდე, შედარებით, ნაკლებ კონსერვატიული იყო. მაგრამ, როცა ფეოდალური ურთიერთობანი საბოლოოთ და სრულიათ განმტკიცდენ ცხოვრებაში და მისცენ საზოგადოებას ის, რის მიცემაც შეეძლოთ—ინტერესთა ძლიერებამ ფეოდალურ ხანის ორივე ორგანიზაცია, როგორც საერო, ისე სასულიერო, შემდეგი განვითარების მტრებათ აქცია და ფსიხოლოგიითაც კონსერვატიული, უძრავი გახადა.

ცხოვრების მძიმე პირობებით დაჩაგრული და ათასგვარი ავტორიტეტებით დაჯაბნეჹული გლეხი თავისი სულიერი არსების უმოძრაობითა და ყოველივე ჩვეულების უაზრო სიყვარულით იყო სავსე. იმისი ფსიხოლოგია უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა ყოველგვარ განვითერებისათვის.

რამდენიმეთ უკეთეს მდგომარეობაში იყო ხელოსანი. თავის საწარმოვო შრომაში ის არ იყო შებორკილი თემური წყობილებით. ხელობაში არ არსებობდა ტეხნიკური პროგრესის ისეთი დაბრკოლებანი, როგორიც იყო მიწათმოქმედებაში. თავის შრომის განსაკუთრებულ ხასიათის გამო, ხელოსანს თემისაგან სრულიათ განცალკევებული ალაგი ეჭირა და შეეძლო თავისი წარმოების წესები თავის სურვილისამებრ შეეცვალა: საზოგადოების მხრივაც მას ნაკლები დაბრკოლებანი შეხვდებოდა, ფეოდალური ავტორიტეტებიც ამ შემთხვევაში ნაკლებათ ზღუდავდენ მის ნებას, იმიტომ, რომ ხელოსანს, როგორც ხარკის გადამხდელს, საზოგადოთ, ნაკლები საქმე ქონდა ფეოდალთან, ვინემ გლეხს, რომელიც ბეგარაში იყო გაბმული. გარდა ამისა, ხელოსნების დახელოვნებას მაღალი კლასები ხშირათ ხელსაც უწყობდენ და აქეზებდენ, რადგან ამით ისი-

ნი უფრო კარგ და ხელოვნურ სახმარ საგნებს იღებდენ. ყველა ამის გამო ხელოსნის სულიერი მდგომარეობა გაცილებით ნაკლებ დაბრკოლებას შეადგენდა განვითარებისათვის, ვინემ მიწათმოქმედთ გლეხის სულიერი მდგომარეობა.

რაც შეეხება იმ მასალის რაოდენობასა და თვისებას, რომელზედაც საზოგადოებრივი განვითარება იყო დაყრდნობილი, აქაც ფეოდალური ხანა დიდათ წააგავს მამათმთავრულ საგვარეულო ხანას. მსოფლმხედველობის საერთო ტიპი წარმოადგენდა ნატურალური ფეტიშიზმის რამდენიმეთ შეცვლილ ფორმას. მოვლენათა მიზეზია ახლა ისე ფარული, იდუმალი „**ძალის**“ მოქმედებაა, იმ „ძალისა“, რომელიც რეალური ფაქტის უკან იმალება და არსებითათ „მოვლენის სულს“ წარმოადგენს. ეს აზროვნების ფორმები საზოგადოების ყველა კლასებში იყო გამეფებული და მათ გვერდით ხშირათ უფრო პირველყოფილ ფორმების ნაშთებიც არსებობდენ. კათოლიკების „მრავალღვთაებობა“, ფეოდალურ ტიპზე აგებული, აგვირგვინებდა იმ ხანის მთელ მსოფლმხედველობას. „**მწვალებლობა**“ მხოლოდ იქ და იმდენათ იჩენდა თავს, სადაც და რამდენათაც იჩეკებოდა ახალი წყობილების ელემენტები. სხვადასხვა ჯგუფთა შორის ფსიხიურ განვითარების მხრით მხოლოდ რაოდენობითი განსხვავება არსებობდა და არა თვისებითი.

ნატურალურ მეურნეობის ხანაში, გლეხის წარმოდგენით მთელი ქვეყანა მისი თემით განისაზღვრება. იქ იბადება ის, იქ ატარებს მთელ თავის უფერულ სიცოცხლეს და იქვე კვდება; სხვა პირობები, სხვა ცხოვრება მან თითქმის არ იცის, ვერც წარმოუდგენია. აქედან—ფსიხიკურ მასალის უკიდურესი სილატაკე და ღრმა უშინაარსობა სულიერი ცხოვრებისა. ამ მხრივ საშუალო საუკუნის გლეხი თითქმის თავის წინაპარ, მამათმთავრული დროის წინაპარზე უფრო დაბლა დგას.

ხელოსანი ამ მხრითაც მაღლა დგას საშუალო გლეხზე თავისი ფსიხიკის სიმდიდრით; იმისი ხელობა აიძულებს მას თემის საზღვრებს გასცილდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში,

როდესაც ის არა ერთის, არამედ რამდენიმე სოფლისთვის მუშაობს, ან როდესაც ესაჭიროება ისეთი მასალა ანუ იარაღი, რომლებსაც მისი თემი არ ამზადებს. საზოგადოთ, ის ნაკლებაა მიჯაჭული თავის ნაჭერ მიწაზე, უფრო ადვილათ იცვლის ალაგს და მიეშურება იქითკენ, სადაც მეტ სამუშაოს შოულობს. ის თავისუფლათ გადადის პატარა თემიდან დიდში, ღარიბიდან—მდიდარში, სოფლიდან—ქალაქში. ყველა ამაების მიზეზით მისი ფსიხიკა ისე შეზღუდული და ჩლუნგი არ არის, როგორც წმინდა მიწათმომქმედის.

საერო თუ სასულიერო ფეოდალები უფრო უკეთეს პირობებში იყვენ; მათი ცხოვრება უფრო ფართე, მრავალფეროვანი იყო, დასაკვირვებელი მასალა—გაცილებით უფრო მეტი და მრავალგვარი ქონდათ. ამასთან, საერო ფეოდალები—თავის საარსებო ინტერესთა სამოღვაწეო სფერის სივიწროვის გამო—თავის **„ინტელიგენტობით“** სასულიერო ფეოდალებზე გაცილებით უფრო დაბლა იდგენ. შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, როდესაც ფეოდალური სისტემა ვითარდებოდა, თითქმის მთელი გონებრივი ცხოვრება სასულიერო წოდებაში იყო შემოკრებილი, მხოლოდ მისგან გამოდიოდა ყოველგვარი განათლება. ცოდნა, გონებრივი განვითარება სჭიროდა სამღვდელოებას თავისი რთული და ძნელი—საზოგადო-საორგანიზატორო—როლის შესასრულებლათ. აი, რატომ შეიქნა ის ძველი ქვეყნის სულიერ კულტურის ნაშთების დამცველ-შემნახველათ. ამავე დროს, თვით სამღვდელოების ორგანიზაციისთვის უმთავრესი მნიშვნელობა ქონდა არა შეგნებას, არა მეცნიერებას, არამედ იმ მოძღვრებას, რომელმაც მოუპოვა ეკლესიას მასსის თანაგრძნობა, რომელმაც იდეიურათ გააერთიანა ის. მეცნიერება რელიგიის ბუნებრივ მოსამსახურეთ ითვლებოდა, იმის-მიერ დასახული მიზნის უბრალო იარაღი იყო. ასე უყურებდა საქმეს არა მარტო სამღვდელოება, არამედ მთელი საზოგადოება, რომლისთვის ეკლესიის სარგებლობა საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის საუკეთესო დამამ-

ტკიცებელი საბუთი იყო იმ მოძღვრების ჭეშმარიტებისა, რომელსაც ეკლესია ქადაგებდა.

თუ აბსოლიუტური ჭეშმარიტება ხელთა გვაქვს, რაღა საჭიროა ახალი ჭეშმარიტების ძებნა? საჭიროა მხოლოდ ვეცადოთ, რაც შეიძლება სრულათ ავხსნათ, გავიგოთ ის, რაცა გვაქვს. ამიტომ ფეოდალური ქვეყნის აზროვნება სრულიადაც არ ცდილობს ახალი სამეცნიერო ცოდნა შეიძინოს, ბუნებრივი კანონები შეისწავლოს და განმარტოს, ყველა ეს მას ამაოებათა ამაოებათ მიაჩნია. სამაგიეროთ, ყვავის ფორმალური ლოღიკა, როგორც საუკეთესო მეთოდი, გზა იმ ჭეშმარიტების სრულათ და სავსებით გამოსარკვევათ, რომელიც უკვე ხელთა გვაქვს თავის ზოგადი ფორმით. ასე რომ, საჭიროა მხოლოდ მის კერძო დებულებათა განვითარება, წვრილმანების გამორკვევა. აქედან წარმოსდგა დაუსრულებელი სხოლასტიკური ვარჯიშობანი სწავლულ ბერებისა და საზოგადოთ **სწავლულების** ყველა წარმომადგენლებისა ფეოდალურ ქვეყანაში; აქედან წარმოსდგა სამღვდელოების სამოსწავლო დაწესებულებებში სწავლების თავისებური პროგრამა, რომელიც მხოლოდ ღვთისმეტყველებას, ფორმალურ ლოღიკასა და საეკლესიო ლათინურს შეიცავს. აქედან დაბოლოს არაჩვეულებრივი მნიშვნელობა მიეცა ფორმალური ლოღიკის შემქნელის—არისტოტელის—თხზულებებს, რომლებსაც მაშინ ეკლესიის „მამათა" ნაწარმოების გვერდით აყენებდენ.

შემეცნება, აზრი სულ მთლათ და თავის ნებით ემორჩილებოდა უმაღლეს ავტორიტეტს. თუ სადმე განსაკუთრებული პირობები შექმნიდენ ნიადაგს კრიტიკული აზროვნებისთვის და კათოლიკური დოქტრინის ჩარჩოებიდან თავის დაღწევისადმი ლტოლვილება წარმოიშობოდა, მაშინვე მთელი საზოგადოება განსაცვიფრებელის ერთსულოვნობით ამხედრდებოდა ამ „მწვალებლობის" წინააღმდეგ და სთრგუნავდა მას.

თუ გავითვალისწინებთ ყველა ნათქვამს, უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივი განვითარებისათვის ფეოდალური

ხანის ფსიხოლოგია წარმოადგენდა—პირველათ, ძლიერ ღარიბსა და თვისებით გამოუსადეგარ მასალას, მეორეთ, ქმნიდა წმინდა სტიქიურ დაბრკოლებებს ცხოვრებაზე **ჩვეულების** გაბატონების გამო, და მესამეთ—განვითარებას წინააღმდეგობას უწევდა გაბატონებულ კლასთა კონსერვატიული ინტერესების გამო. ასეთ პირობებში განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ სტიქიურ ძალთა ზეგავლენით და, მაშასადამე, ძლიერ ნელი ნაბიჯით უნდა წასულიყო.

რაც შეეხება კერძო საზოგადოებრივ ჯგუფებს, განვითარებისთვის, შედარებით, უფრო ხელის შემწყობ პირობებში იმყოფებოდა ხელოსანთა კლასი.

## 4. განვითარების ძალები და მისი მიმართულება ფეოდალურ საზოგადოებაში.

დაძლევა ფეოდალურ ფსიხოლოგიის სტიქიური კონსერვატიზმისა, რომელიც სავსებით გავდა საგვარეულო ჯგუფის კონსერვატიზმსა და მხოლოდ რამდენიმეთ უფრო ნაკლებათ მტკიცე და შეურყეველი იყო,—ამ კონსერვატიზმის დაძლევა შეიძლებოდა მხოლოდ სტიქიურ ძალთა გავლენით. ასეთი ძალაა მცხოვრებლების აბსოლიუტურ სიჭარბის გაჩენა, ე. ი. საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ საჭირო საშუალებების ნაკლებობა ტეხნიკის განუვითარებლობის გამო.

მცხოვრებთა აბსოლიუტურ სიჭარბის პირველი გავლენა ფეოდალურ წყობილებაზე გამოიხატა უანგარიშო ომებში, რომლებსაც ფეოდალები აწარმოებდენ. როგორც ვთქვით, უმთავრესათ ამ ომებმა გადააქციეს თავისუფალი სამიწათმოქმედო თემები ფეოდალურ ჯგუფებათ და ასე შექმნეს ტიპი ფეოდალურ საზოგადოებრივ ორგანიზაციისა.

ყოველ შემთხვევაში, ფეოდალური ქვეყნისთვის ეს შინაური ომები ყველაზე ნაკლებ სასარგებლო საშუალება იყო ზედმეტ მცხოვრებთა თავიდან მოსაშორებლათ, ვინაიდან თემებში ანადგურებდენ ფეოდალურ საზოგადოების მწარმოებელ

ძალებს და ამით დარჩენილი მცხოვრებლებიც ზედმეტი ხდებოდა თუ გამარჯვებულთა შორის არა, დამარცხებულებში მაინც. ამიტომ, როცა ფეოდალური საზოგადოება გაერთიანდა კათოლიკური ეკლესიის ორგანიზაციის შემწეობით, მან გარეშე ომებს მიყო ხელი. ამ ომებში ფეოდალები კათოლიკეთა დროშის ქვეშ იბრძოდენ არა-კათოლიკე მეზობელთა წინააღმდეგ. ჯვაროსნულ ომების მიზანი იყო ფეოდალური ქვეყნის ტერიტორიის გაფართოვება და, ამნაირათ, თავიდან აშორება მიწის სივიწროვისა და ზედმეტი მცხოვრებლებისა. დაპყრობილ ქვეყნებზე ისინი ახალ ფეოდალურ სახელმწიფოებს აარსებდენ.

ამასთან ერთათ ნელნელა ვითარდებოდა საშუალო საუკუნის ტეხნიკაც. საშუალო საუკუნოების ბოლომდე ის, საზოგადოთ, ძლიერ შეუმჩნეველი იყო მიწათმოქმედებაში,—აქ საზოგადოებრივი ფსიხოლოგია ამ სფერაში განვითარების უდიდეს დამაბრკოლებელ ძალას წარმოადგენდა. სხვანაირათ იყო საქმე დამმუშავებელ მრეწველობაში, სადაც პირობები უფრო სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. შემუშავებულ იქმნა წარმოების ტეხნიკური საუმჯობესო წესები, როგორც შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო წვრილ სახელოსნოს ფარგლებში. ხელობა თანდათან გამოეთიშა მიწათმოქმედებას და ცალკე ხელობათ გადაიქცა. ამგვარათ, ძლიერდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება; მაშასადამე, ვითარდებოდა გაცვლაც. ხელოსანი ცდილობდა თავის ნაწარმოებთა გასასაღებელ ადგილების ახლო დამდგარიყო, და ამისთვის მიდიოდა სოფლიდან ახლათ წარმოშობილ სამიმოცვლო ცენტრში—ქალაქში და იქ ესახლებოდა. აქედან წარმოიშვა მეტათ ღირსშესანიშნავი ეკონომიური ცვლილებანი, რომლებზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

თუ გვინდა ფეოდალურ ცხოვრებაში წარმოშობილ ცვლილებათა საერთო მიმართულება მოკლეთ განვსაზღვროთ, უნდა ვთქვათ, რომ აბსოლიუტურათ მცხოვრებთა სიჭარბის გაჩენა, მოქმედებდა რა სხვადასხვა საშუალებებით, საშუალო სა-

უკუნოების მცხოვრებლებზე, იწვევდა შრომის მოუწესრიგებელ განაწილების განვითარებას, რაც გაცვლა-გამოცვლაში გამოიხატებოდა.

ფეოდალური საზოგადოების შინაურ ომებს თან მოყვა, როგორც მიუცილებელი შედეგი მიმოსვლათა ზრდისა და, მაშასადამე, საწარმოვო კავშირისა, გაცვლა-გამოცვლის ზრდა ფეოდალურ ქვეყნებს შორის. იმავე გზით მოქმედებდენ გარეშე ომებიც. არაბებთან, და შემდეგ სარაცინებთან, თურქებთან, ამ აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან—გაცნობამ, აგრეთვე ბიზანტიის იმპერატორის გავლენამ, რომელიც ჯვაროსნებს გზათ უნდა გაევლოთ, ძლიერ წინ წასწია შრომის საზოგადოებრივი განაწილება პირველათ იმით, რომ გააფართოვა პირდაპირი გაცვლა შორეულ ქვეყნებ შორის; მეორეთ, იმით, რომ გააცნო ევროპიელებს ზოგიერთი ახალი ტეხნიკური საწარმოვო წესები და გაუმჯობესებანი, რაც იმ დროებში აუცილებლათ იწვევდა გაცვლის განვითარებას, ვინაიდან უფრო სრული ტეხნიკა შრომის უფრო მეტ დაყოფას, მეტ სპეციალიზაციას საჭიროებს.

ასე, არაბთაგან მრავალი ტეხნიკური გაუმჯობესებანი შემოიღეს მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგებში: ბაღოსნობაში და ბოსტნეულობაში, მინდვრების ხელოვნურ მორწყვაში და სხვ.; შემდეგ,—ბევრი რამ საინჟენერო ხელოვნებაშიაც; ზოგიერთა საყურადღებო ცოდნა სატეხნიკო ქიმიაში (წარმოებაში სასარგებლო სიმჟავეთა დამზადება); შემდეგ, საზღვარზე მიმოსვლის ტეხნიკაში და სხვ.

სახელოსნო ტეხნიკის განვითარება, რომელიც დაკავშირებულია ხელოსნობის მიწათმოქმედებისგან გამოცალკევებასა და ხელოსნობის სპეციალიზაციასთან, ნიშნავს გაცვლის განვითარებას უკვე იმიტომ, რომ ხელოსანს არ შეუძლია თავის ნაწარმოების პირდაპირ მოხმარით იცხოვროს, ამიტომ ის ამზადებს ბევრჯერ იმაზე მეტს, რამდენიც მას თვითონ სჭირია, და ზედმეტი უნდა გაიყიდოს სხვაზე, რომ აღებული ფულით-

თავისთვის აუცილებელი საჭირო მოსახმარი ნივთები შეიძინოს.

ფეოდალური ქვეყნის ნატურალური მეურნეობა თანდათან საცვლელ მეურნეობათ იქცევა.

ფეოდალურ ურთიერთობათა დამკვიდრება დასავლეთ ევროპაში გაგრძელდა, დაახლოებით, მე-V საუკუნიდან მე-IX საუკუნემდე, ე. ი. რომის იმპერიის ბოლო ხანებიდან კარლოს დიდის იმპერიის დაშლამდე. ფეოდალური სისტემის აყვავების დროთ უნდა ჩაითვალოს მე-X და XI საუკუნეები. შემდეგ იწყება იმისი დაშლა-დარღვევის პროცესი, რაიცა საცვლელ მეურნეობის განვითარებას უნდა მიეწეროს.

## წარსულის ნატურალურ სამეურნეო საზოგადოებათა საერთო დახასიათება.

1. საწარმოვო ტეხნიკის მხრივ, წარსულის ნატურალურ საზოგადოებათა დამახასიათებელია ის, რომ გარეშე ბუნება ადამიანებზე დიდ მბრძანებლობას იჩენს და, პირიქით, ადამიანებს ნაკლებათ შესწევთ ძალა გარეშე ბუნებასთან საბრძოლველათ. ამათში ყველაზე მეტათ ეს ეხება პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებას, ყველაზე ნაკლებ—ფეოდალურს.

2. საწარმოვო ურთიერთობათა სფერაში ამ საზოგადოებებს ახასიათებს საწარმოვო კავშირების სივიწროვე და მათი ორგანიზაციული მოწყობა. მაგრამ, ამის მიუხედავათ, უხსოვარ დროიდან არსებობდენ მოუწესრიგებელი საწარმოვო ურთიერთობანიც, რომელნიც ქმნიდენ მცირეოდენ კავშირს განცალკევებულ ორგანიზაციათა შორის, და ამ მხრით უკიდურესობებს წარმოადგენდენ: ერთის მხრით დგას პირველყოფილი საზოგადოება, რომელიც,—სრულიათ განცალკევებული, უმაღლეს ხარისხამდე მტკიცეთ შეკავშირებული,—რამდენიმე კაცისაგან შესდგებოდა და რომელშიაც თითქმის არ არსებობს მოუწყობელი კავშირი, ე. ი. გაცვლა, და, მეორე მხრით—ფეოდალური საზოგადოება, რომელსაც თუმცა ძლიერ ნაკლები სიმ-

ტკიცე ქონდა, მაგრამ რამდენიმე ასი ათასს და თითქმის მილიონ ხალხს შეაცავდა, და ეს ხანა შეერთებული იყო არა მარტო მოწესრიგებულ, არამედ აგრეთვე რამდენიმეთ მოუწესრიგებელი ურთიერთობით, ე. ი. გაცვლის სისტემით.

3. განაწილების სფერაში დამახასიათებელია, პირველათ, განაწილების მოწესრიგებული ფორმების ბატონობა; მეორეთ, უკიდურესი სიმდიდრისა და სიღარიბის განუვითარებლობა. ამ მხრით ნამდვილი ტიპიურია მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოება, ფეოდალური კი უკვე ცხოვრების ახალი ფორმების საზღვრებზე დგას და სიმდიდრე-სიღარიბე მასში უკვე წათლათაა გამოჩენილი.

4. ნატურალურ საზოგადოებათა საზოგადოებრივი ფსიხოლოგია განსხვავდება სტიქიური კონსერვატიზმით (ჩვეულების ბატონობა) და ფსიხიკის მასალის სიღარიბით. შეიძლება ვთქვათ, რომ პირველყოფილ ხანაში თითქმის არავითარი მსოფლმხედველობა არ არსებობდა. ორ შემდეგ ხანაში კი არ არსებობს, უმთავრესათ, ნატურალური ფეტიშიზმი, რომელიც გამოხატავს ბუნების მბრძანებლობას საზოგადოებაზე, მარა მბრძანებლობას უკვე შერყეულს და არა ყველაფერში ადამიანის დამმონებელს.

5. საზოგადოებრივი ფსიხოლოგიის ასეთი ხასიათის თანახმათ, ამ საზოგადოებებში განვითარება ხდება სტიქიური ძალების გავლენით. მცხოვრებლების აბსოლიუტურ სიჭარბის გაჩენა წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას.

## IV. წვრილ-ბურჟუაზიული საზოგადოება.

### 1. საზოგადოების დამოკიდებულება ბუნებასთან.

ფეოდალური საზოგადოება უფრო სწრაფათ ანვითარებდა თავის საწარმოვო ძალებს, ვინემ საგვარეულო. ამიტომაც, პირველის არსებობა უფრო ხანმოკლე იყო. ფეოდალურ ურთიერთობათა წვრილ ბურჟუაზიულათ გარდაქმნა თითქმის ფეო-

დალიზმის გაჩენის დღიდანვე დაიწყო. ამ გარდაქმნის ძირითადი მიზეზი იყო ბუნებასთან საზოგადოებრივი ბრძოლის სფერაში წარმომდგარი შემდეგი ცვლილებანი.

წარმოების საერთო რაოდენობა მეტათ გაიზარდა; პირველ ყოვლისა, შრომა უფრო ნაყოფიერი შეიქნა; მეორეთ, მეტათ გაიზარდა საზოგადოებრივი შრომის რაოდენობა, ვინაიდან თვით საზოგადოება გაფართოვდა. საზოგადოებრივ ნაწარმოებთა სხვადასხვაობის გამო, განსაკუთრებით სწრაფათ იზრდებოდა წარმოების ის დარგი, რომელსაც ნაწარმოები გადააქვს ერთი ალაგიდან მეორეზე, ე. ი. გადამტანი მრეწველობა. ნაწარმოებთა სულ მეტი და მეტი ნაწილი იხმარებოდა არა იქ, სადაც მზადდებოდა. შესდგა მთელი საზოგადოებრივი კლასი, რომელიც მხოლოდ ნაწარმოების გადატან-გადმოტანისა და, ამრიგათ, მეურნეობათა შორის მათი განაწილების საქმეს აწარმოებდა—ესაა მოვაჭრეთა კლასი. ნაწარმოებთა გადატანა და, საზოგადოთ, ადამიანთა შორის სამიმოცვლო ტეხნიკა თანდათან ვითარდებოდა; გაყავდათ გზები, კეთდებოდა ხიდები მდინარეებზე, აშენებდენ დიდსა და მაგარ გემებს შორეულ ზღვებზე სამგზავროთ, მგზავრთა და გადამტან მრეწველობის საწყობ ადგილების დასაცავათ იყენებდენ სამხედრო ძალას.

საზოგადოებრივი წარმოების გართულება და სხვადასხვაობის ზრდა, გადამზიდველი მრეწველობის განვითარება, ადამიანთა შორის სამიმოსვლო ტეხნიკის გაუმჯობესება სულ უფრო და უფრო მეტათ ასუსტებდა ბუნების მბრძანებლობას საზოგადოებრივ ადამიანზე. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ნივთიერი პირობები თანდათან თავისუფლდებოდა ბუნებრივ პირობებზე სრულ დამოკიდებულებისაგან; თუ რომელიმე მხარის ბუნება საკმაო საშუალებას არ აძლევდა ადამიანს, ამ საშუალებათა მიცემა შეეძლო სხვა ადამიანების დახმარებით მეორე მხარის ბუნებას, და პირიქით. ყოველი შედეგი ადამიანის ბუნებაზე გამარჯვებისა გაცილებით უფრო ფართოთ ვრცელდებოდა საზოგადოებაში, ვინემ წინეთ, და ძირს უთხ-

რიდა გარეშე ქვეყნის სტიქიური ძალების ბატონობას ყოველგან, სადაც კი აღწევდა ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიური კავშირი. გაფართოვებულ, თუმცა სუსტის, ჯერ კიდევ გაუმაგრებელ საზოგადოებრივ კავშირის წინაშე ქედს იხრიდა და გზას ულიდა უბირი, ტლანქი მბრძანებლობა ბუნების ძალებისა.

## 2. ადამიანის საწარმოვო და განათლებითი ურთიერთობანი წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

### ა) მოუწესრიგებელი კავშირი მეურნეობათა შორის.

რადგან წვრილ ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის უფრო დიდმნიშვნელოვანი და დამახასიათებელია მოუწესრიგებელი (გაცვლა) კავშირი ცალკე წარმოებათა შორის, ამიტომ იმისი წყობილების შესწავლის დროს უმჯობესია სწორეთ ამ კავშირიდან დავიწყოთ კვლევა და არა შინაურ ურთიერთობათაგან.

მეცნიერებათა შორის საცვლელი ურთიერთობანი, როგორც ნათქვამი იყო, არსებობდენ უკვე ნატურალურ საზოგადოების პირველ ხანებში. მაგრამ გაცვლას მაშინ უმთავრესი როლი არ ქონდა; ის შეიცავდა წარმოების მხოლოდ მცირე ნაწილს— უმთავრესათ ზედმეტ ნაწარმოებთა; ცხოვრების ძირითად, აუცილებელ საშუალებათა წარმოება, ე. ი. უფრო არსებითი, საყურადღებო ნაწილი წარმოებისა, თითქმის მთელათ იყო მოთავსებული თვითოეულ ჯგუფის საზღვრებში. ჯგუფს შეეძლო თავისი არსებობა განეგრძო იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მას სხვა ჯგუფებთან გაცვლა-გამოცვლა სავსებით შეუწყდებოდა. ის ნამდვილი დამოუკიდებელი იყო თავის საწარმოვო ცხოვრებაში. ამიტომ თვითოეული ასეთი ჯგუფი თავის-თავათ ნამდვილ, სრულ „საზოგადოებას“ წარმოადგენდა.

შრომის საზოგადოებრივი განაწილების განვითარებასთან ერთათ ქრება ჯგუფის მატერიალური დამოუკიდებლობაც. გაცვლის სფერაში შედის, წარმოების ზედმეტ ნაწილთან ერთათ, იმისი ძირითადი ნაწილიც. ჯგუფი ნელნელა ხელს იღებს

ყველა თავისთვის აუცილებელ ნაწარმოებთა დამზადებაზე და მრავალ, თითქმის თავის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც გაცვლის შემწეობით ასრულებს. თვითოეული მეურნეობა თანდათან ანებებს თავს თავისთვის წარმოებას. ხელოსანი, სტოვებს რა მიწათმოქმედებას, თავის ნაშრომის ძლიერ მცირე ნაწილს ხმარობს თავის ოჯახში; მაგ., მეწადე ერთ მესამედს, ფარჩების ფეიქარი კი—სრულიად არაფერსაც. სწორეთ აგრეთვე გაცვლაში ჩაბმული ფეოდალური მეურნეობაც სულ უფრო და უფრო ნაკლებ წილს ხმარობს თავისთვის იმ პურიდან, ხორციდან და სხვ., რომელიც მას დაუმზადებია.

ამნაირათ, თვითოეული მეურნეობის მატერიალური დამოკიდებულება დანარჩენებთან განუწყვეტლივ იზრდება; იმავე დროს იგი ფორმალურათ დამოუკიდებელია, ე. ი. მას ცალკე პირი განაგებს; თვითოეულ დაწესებულებას თავისი პატრონი ყავს: იმის შინაგანი ურთიერთობანი კი მოუწყობელია, არავის ნებაზე არაა დამოკიდებული. ასეთია ყველა საცვლელ საზოგადოებისა და, პირველ ყოვლისა, წვრილ ბურჟუაზიული საზოგადოების წყობილება.

ისტორიამ არ იცის წმინდა, წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოების დასრულებული ტიპი, როგორც, საზოგადოთ, არ იცის არც ერთი სრულიათ ერთგვარი ურთიერთობის სისტემა. ყოველ საზოგადოებაში, გარდა თავის ძირითადი, ნიშნობლივი ელემენტებისა, გადახლართულ-გადაჯაჭვულია წარსულის საზოგადოებრივი ფორმაციის დრო-მოჭმული ნაშთები და მომავლის ნასახები. ყოველივე ეს განსაკუთრებით ითქმის წვრილბურჟუაზიულ საზოგადოებაზე: ის ძლიერ ხან-მოკლე იყო და ფეოდალურ საზოგადოებიდან კაპიტალისტურ წყობილებაში გადასასვლელ საფეხურს წარმოადგენდა. ამიტომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზოგიერთა თვისებებმა, რომლების განვითარებასაც ის ცდილობს, საკმაოთ ნათლათ იჩინა თავი მხოლოდ შემდეგ ეპოქებში; მაგრამ რადგან მაშინ ეს თვისე-

ზები სხვადასხვა ახალი ზეგავლენის ქვეშ რთულდებიან და სახეს იცვლიან, ამიტომ, ანალიზის სიმარტივისთვის, ისინი უნდა დავუკავშიროთ წვრილ-ბურჟუაზიულ ეკონომიკას და მასთან ერთად შევისწავლოთ. ამ სახით, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ დაგვჭირდება წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძლიერ განყენებული, ასე ვთქვათ, იდეალური სახით წარმოდგენა, შემდეგ კი თანდათან გადავიდეთ ისტორიულ სინამდვილეზე, როგორიც ის იყო.

მაშასადამე, საცვლელ საზოგადოებაში წარმოება დაყოფილია აუარებელ მეურნეობათა შორის, — არ არსებობს ერთი მოწესრიგებული ძალა, რომელსაც შეეძლოს მიზნის შესაფერათ გაანაწილოს საზოგადოებრივი შრომა წარმოების სხვადასხვა დარგებში. მეურნეობათა შორის კავშირი იმაში გამოიხატება, რომ ნაწარმოებნი და საწარმოვო საშუალებანი ერთი მეურნეობიდან მეორეში გადადიან: ეს მოგზაურობა სწარმოებს გაცვლის, ე. ი. საზოგადოებრივ-სასარგებლო ნივთების მოუწესრიგებელი განაწილების საშუალებით.

მხოლოდ მოწესრიგებულ წარმოებაში შეიძლება შრომის მიზნის შესაფერათ განაწილება; მხოლოდ მოწესრიგებულ წარმოებაში შეუძლია შრომას სავსებით დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებანი: როცა კარგათ გამოანგარიშებულია საზოგადოების მოთხოვნილებათა რაოდენობა და რაოდენობა იმ შრომისა, რომელიც საზოგადოებას მოეპოვება მათ დასაკმაყოფილებლათ, მომწესრიგებელ ძალას შეუძლია საშრომო ენერგია მოთხოვნილებათა შესაფერათ გაანაწილოს. საცვლელ ურთიერთობათა ხანაში კი თვითოეული მეურნეობის მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან შრომით, რომელიც მას არ მოუწესრიგებია, მისი მოწესრიგებული შრომა კი იხარჯება სხვა მეურნეობათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რომლებსაც არავითარი პირდაპირი გავლენა არა აქვთ ამ სამრეწველო დაწესებულებაში შრომის ორგანიზაციაზე.

მხოლოდ საცვლელ მეურნეობის პირველ ხანებში, რო-

დესაც დაკვეთით წარმოება გაბატონებული, მწარმოებელს დაახლოებითი წარმოდგენა მაინც აქვს იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა რაოდენობაზე, რომელიც მან უნდა დააკმაყოფილოს. მის შემდეგ კი, რაც უფრო ვითარდება შრომის საზოგადოებრივი დაყოფა და ფართოვდება გაცვლა-გამოცვლის საზღვრები, დაკვეთით მუშაობა საბაზროთ მუშაობით იცვლება; სხვანაირათ, ვიწრო, გარკვეულ,—მწარმოებელისთვის წინდაწინ ნაცნობ მუშტართა—წრის მაგიერ ჩნდება უფრო ფართე, მაგრამ უფრო გაურკვეველი, ცვალებადი, უპიროვნო, საბაზრო მოთხოვნა. მწარმოებლისათვის შეუძლებელია წარმოიდგინოს, თუ რამდენი სჭირდება მისი ნაწარმოები საზოგადოებას; აქედან იბადება მეტათ საყურადღებო შედეგები. რომ უფრო ადვილათ წარმოვიდგინოთ იგი, ჩვენ ვისარგებლოთ შემდეგი უბრალო მაგალითებით: ვთქვათ, საზოგადოებაში ათასმა მეწაღემ შეკერა 200,000 წყვილი წაღა, ბაზარში კი მოთხოვნა, რომელიც საზოგადოებრივ მოთხოვნილებას ხატავს, უდრის მხოლოდ 150,000 წყვილს; 250 მეწაღის შრომა ამ შემთხვევაში არავითარ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, ის საზოგადოებისთვის უსარგებლო შეიქნა. პირიქით: ვთქვათ, 50,000 მიწათმომქმედს მოუვიდა 10 მილიონი ფუთი პური, მაშინ, როცა პურზე საზოგადოებრივი მოთხოვნა $10^1/_2$ მილიონს უდრის, და რომ ის სრულათ დაკმაყოფილდეს, საჭიროა კიდევ 2,500 მიწათმომქმედის შრომა. საზოგადოებრივსაშრომო ენერგიის ერთი ნაწილი უსარგებლოთ გაიფლანგა იმიტომ, რომ იმის ნაწარმოები საზოგადოებისთვის ზედმეტი აღმოჩნდა; მეორე ნაწილი—იმიტომ, რომ არ იყო სრულათ დაკმაყოფილებული მშრომელთა მოთხოვნილებანი. ძირითადი მიზეზი კი ყველა ამაებისა არის ის, რომ თვითოეული სხვებისაგან დამოუკიდებლათ მუშაობდა, არ იყო ერთი მომწესრიგებელი ძალა, პიროვნული გინდ ჯგუფური, რომელსაც შეეძლებოდა მომუშავეების მიზნის შესაფერათ განაწილება, მეწაღეების რიცხვის შემცირება და, ამნაირათ, განთავისუფლებუ-

ლი ენერგიის მიწათმოქმედებაში გადატანა,—ერთი სიტყვით, რომელსაც შეეძლებოდა მოეწესრიგებია მეურნეობათა განწყობილებების დამოკიდებულება ერთი-მეორესთან.

ხელოსნების შრომის ნაწილი საზოგადოებისთვის უსარგებლო დარჩა. ამაში ისინი არაფერს არ იღებენ საზოგადოებიდან, ე. ი. ბაზრიდან. ამის მიზეზით იმათი მოთხოვნილებანი სრულებით ვერ დაკმაყოფილდებიან, აქედან კი მრავალი ტანჯვა-წვალება დაიბადება. მიწათმოქმედებაშიაც საკმაო შრომა არაა დახარჯული, პური ყველასათვის საყოფი არაა—ესეც მრავალ მწუხარება-ტანჯვას გამოიწვევს. ადამიანები თავის საკუთარ საურთიერთო დამოკიდებულებით დამორჩილებულნი აღმოჩნდენ, ისე, როგორც პირველყოფილი ადამიანი იყო დაჩაგრული გარეშე ბუნების პირობათაგან.

ნამდვილათ ასეთი შეუგუებლობა, როგორც მოყვანილ მაგალითშია, არა მგონია, ოდესმე ყოფილიყოს წვრილ ბურჟუაზიულ საზოგადოებათა ცხოვრებაში. საზოგადოთაც მას აქვს თავისი საზღვარი, რომელიც იმავე საზოგადოებრივ ურთიერთობაზეა დამოკიდებული. რომ ავხსნათ, თუ სადა ძევს ეს საზღვარი, უნდა შევეხოთ ბაზრისა და მეტოქეობის (კონკურენცია) საკითხს.

მწარმოებელი თავის ნაწარმოებს—**თავის საქონელს**—ცვლის სხვის საქონელზე: ჯერ ფულზე, შემდეგ ამ ფულს ცვლის ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც მას ესაჭიროება. ფულიც ხომ საქონელია, და ამიტომ ჯერ იმაზე ლაპარაკი საჭირო არაა. რამდენ სხვის საქონელს მიიღებს მწარმოებელი თავის საქონელში? სხვანაირათ: რამდენი აღმოჩნდება მისი საქონლის **საცვლელი ღირებულება**?

ვთქვათ, საზოგადოება სრულიათ ერთგვარია და სხვადასხვა სამრეწველოები თავის სიდიდით და საშრომო ენერგიის იმ რაოდენობით, რომელსაც თვითოეული მათგანი ხარჯავს წარმოებაში, ერთმანეთსა გვანან. თუ ასეთი დაწესებულება ერთ მილიონს უდრის, მაშინ თვითოეული მათგანის მოთხოვ-

ნილებანი შეადგენენ ერთ მემილიონედ ნაწილს საზოგადოების მოთხოვნილებისას, თვითოეული მათგანის შრომაც შეადგენს საზოგადოებრივი საშრომო ენერგიის ერთ მემილიონედს. ამასთან, თუ მთელი საზოგადოებრივი წარმოება სრულათ აკმაყოფილებს საზოგადოების ყველა მოთხოვნილებებს, მაშინ თვითოეულ სამრეწველოს თავის მოთხოვნილებათა სრულიათ დაკმაყოფილებისათვის აუცილებლათ დასჭირდება თავის საქონელში მთელი საზოგადოებრივი ნაწარმოების ერთი მემილიონედი ნაწილი. თუ რომელიმე სამრეწველო ამაზე ნაკლებს მიიღებს, ის ნელნელა იწყებს უკან-უკან სვლას, ველარ შესძლებს წინანდელის საზოგადოებრივ როლის შესრულებას, ველარ მოახერხებს საზოგადოების საშრომო ენერგიის მემილიონედი ნაწილის გამოჩენას. და თუ ზოგიერთი სამრეწველო საზოგადოებრივი შრომის საერთო ნაწარმოების ერთ მემილიონედზე მეტს მიიღებს, მაშინ დაბრკოლდებიან და ნგრევას დაიწყებენ სხვა მოსახლობანი, რომელთაც ნაკლები წილი ერგოთ.

საშრომო ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც საზოგადოებას აუცილებლათ სჭირდება რომელიმე ნაწარმოების დასამზადებლათ, შეადგენს ამ ნაწარმოების **საზოგადოებრივ ღირებულებას.** ანუ. უფრო მარტივათ, ღირებულებას. თუ ამ ტერმინით ვისარგებლებთ, მაშინ ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

ერთგვარ შრომა-განაწილებულ საზოგადოებაში საწარმოვო ცხოვრების წინანდელი სახის სავსებით შესანარჩუნებლათ აუცილებელია, რომ თვითოეული მეურნეობა, თავის საქონლის გაცვლის დროს, იღებდეს თავის მოსახმარ ღირებულებით მის თანასწორ სხვა ნაწარმოებს. ჩვენს მაგალითში აღებულ მეურნეობის საქონელთა ღირებულება საზოგადოებრივი ნაწარმოების მთელი ღირებულების ერთ მემილიონედს შეადგენს, და ამ მეურნეობისთვის აუცილებელ სახმარ საგანთა ღირებულებაც აგრეთვე მთელი საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიის ერთ მემილიონედს უდრის.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიის საზომათ მიღებულ უნდა იქმნას ერთი საათის მარტივი, საშუალო ინტენსივობის შრომა. თუ საქონელი 12 ასეთი საათი ღირს, ის მაშინ ისეთ საქონელზე უნდა გაიცვალოს, რომელიც აგრეთვე 12 საათის შრომა ღირს; მაგ., საფულე ლითონის შესაფერ რაოდენობაზე უნდა გადაიცვალოს. და თუ გაცვლა სხვანაირათ ხდება, მაშინ ზოგი მეურნეობანი კარგავენ არსებობის შეძლებას და ისპობიან. ბაზარში აუცილებლათ ისეთი ფასი უნდა დაედვას საქონელს, რომელიც საერთოდ და საშუალოთ შეეფერება იმის ღირებულებას; წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი საზოგადოების ცხოვრება მეტათ დაუდგრომელი ხდება და არსებობა არაფრით უზრუნველყოფილი არაა ხიფათისაგან.

თუმცა ნამდვილი მცვლელი საზოგადოება რამდენიმეთ მაინც არაა მოკლებული ერთგვარ სიმტკიცეს, საქონლების ფასები, მართალია, ცოტათ თუ ბევრათ, შორდება იმათ ღირებულებას, იმიტომ, რომ არავითარი მომწესრიგებელი ნება არ ხელმძღვანელობს გაცვლას, მაგრამ თვითონ საზოგადოების წყობილებაში მოიპოვება ისეთი თავისებური მექანიზმი, რომლის მოქმედებაც ისეთნაირათ განაგებს ფასების აწევ-დაწევას, რომ იმათი ერთ მხარეზე გადახრას თანა ჰყვება მეორე მხარისაკენ გადახრა, და საშუალოთ ერთმანეთს უთანასწორდებიან. მექანიზმი საშინელი, ტლანქი, სტიქიური ძალის მქონეა; იმას ჰქვია—**საბაზრო მეტოქეობა** ანუ **კონკურენცია**.

მწარმოებელი რომ თავის საქონლის ღირებულების ნაკლებ ფასზე დათანხმდება, იმისი მეურნეობა მოსპობის გზაზეა დამდგარი; ან სხვა მწარმოებლებმა რომ იმისი საქონელი ღირებულებაზე მეტ ფასში იყიდონ, მაშინ ამათი მატერიალური მდგომარეობა გაუარესდება. აქ ჩნდება გამყიდველისა და მყიდველის ინტერესთა ბრძოლა; და ამ ბრძოლას შედეგათ ის მოსდევს, რომ თვითოეული ეჩვევა თავის საქონელში მისი ღირებულების ნაკლებს არ დასჯერდეს, სხვას საქონელში მის

ღირებულებაზე მეტი არ მისცეს. ამნაირათ მყარდება საზოგადოებაში წარმოდგენა საქონლის „ფასებზე“, რომელიც ნამდვილათ შეეფერება (დაახლოვებით) იმის ღირებულებას.

მაგრამ მწარმოებელი მუდამ ვერ ახერხებს თავის საქონლის მისი ღირებულების კვალობაზე გაყიდვას: ხანდისხან ის იძულებული ხდება—საქონელი ღირებულებაზე ნაკლებ ფასში გაყიდოს. წინა მაგალითში 1000-მა მეჩექმემ გამოიტანა ბაზარზე 200,000 წყვილი ჩექმა, საზოგადოებას კი მხოლოდ 150,000 წყვილის ყიდვა შეუძლია; მეჩექმეები მეტათ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან: მათი საქონლის მიწოდება აღემატება მოთხოვნას. შეუძლებელია საქონელი მთლათ გაიყიდოს და თვითოეულ გამყიდველთაგანს სრულიათ უმუშტროთ დარჩენა მოელის. აქ იწყება ულმობელი ბრძოლა გამყიდველთა შორის: თვითოეული მათგანი მზათაა მსხვერპლათ შეწიროს თავის საქონლის ღირებულების ერთი ნაწილი, ოღონდ კი მუშტარი ხელიდან არ გაუშვას და გაუყიდველი საქონლით სახლში არ დაბრუნდეს; საქონლის ფასი ძირს იწევს, ეცემა; ჩექმები, რომლებიც 50 საათი მარტივი შრომა ღირს, იმდენ ფულათ იყიდება, რამდენიც საშრომო ენერგიის 40 და 35 საათის შრომას შეიცავს. ამ მეჩექმეების მეურნეობანი ამის გამო სუსტდებიან, ზოგიერთი კიდეც ინგრევა; მეჩექმეთა ნაწილი იძულებული ხდება თავისი წარმოება შეამციროს, იმიტომ, რომ საყოფათ ვერ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, ე. ი. ცუდათ იკვებება, წინანდელის ოდენა მასალას ვერ ყიდულობს და სხვ.; მეორე ნაწილი სრულიათ თავს ანებებს წინანდელ საქმეს და სულ სხვა როლს ირჩევს წარმოებაში, ან და სრულიათ მის გარეთ რჩება. ამის შედეგი კი ის არის, რომ მეორეჯერ არა თუ ბაზარი გაივსება ჩექმებით, არამედ სულ წინაალმდეგ: როცა მოთხოვნა 160,000 წყვილს უდრის, მიწოდება 120,000 უდრის. ახლა ასტყდება ბრძოლა უკვე მყიდველთა შორის: რომ სრულიათ უწაღოთ არ დარჩეს, ბევრი მუშტარი თანახმაა გამოიღოს წყვილ წაღაში იმის ღირებულე-

ბაზე მეტი ფასი, საშრომო ენერგიის 50 საათის ნაცვლათ— 60—65 საათის შრომა ფულის სახით. ასეთი სახეირო ფასები შეძლებას აძლევენ გამყიდველებს ფეხზე წამოდგენ, გააფართოვონ წარმოება; საჩექმე სახელოსნოები შეიძლება ხელახლა გამრავლდენ; ამის გამო ისევ ხელახლა იცვლება დამოკიდებულება მოთხოვნა-მიწოდებას შორის, იწყება საქონლების ფასების ახალი აწევ-დაწევა, აქეთ-იქით გადახრ-გადმოხრა, და ასე ბოლომდის.

ამგვარათ, საბაზრო კონკურენცია ბრძოლის სახით ერთის მხრით—მუშტარ-გამყიდველთა შორის, მეორეს მხრით—ერთგვარი საქონლის გამყიდველთა და აგრეთვე მყიდველთა შორის— ცდილობს, თავის მუდმივ რყევა-ცვალებადობის შემწეობით, საქონლის ფასები იმათ ნამდვილ ღირებულებას გაუთანასწოროს და ამისთვის ძირს სწევს მეტათ გადიდებულ ფასებს და მაღლა—დაცემულ ფასებს. როდესაც რომელიმე დარგში წარმოება აღემატება საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, მაშინ მისი ნაწარმოები ღირებულებაზე ნაკლებ ფასებში იყიდება, და ამით წარმოებაც მცირდება; როდესაც ის სავსებით ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, მაშინ მისი ნაწარმოებიც ღირებულებაზე მეტ ფასებში იყიდება და ამით წარმოება ამ დარგში ფართოვდება. ასე განაგებს ბაზრის შემწეობით ღირებულების კანონი საზოგადოებრივ წარმოებას და უფარდებს მას საზოგადოებრივ მოთხოვნილებას.

მაგრამ ასეთი შეგუება ხდება მხოლოდ შეუწყვეტელ რყევა-ცვალებადობის საშუალებით; ყოველ კერძო მომენტში ასეთი შეგუება სრული არაა და ეს კი იწვევს მწარმოებლების ტანჯვა-წვალებას, საზოგადოებრივი ენერგიის უნაყოფო ფლანგვას. ყოველ მომენტში მწარმოებელი შეიძლება საზოგადოებრივ მოთხოვნილებასთან შეუწყობელი დარჩეს. იმ ხელოსნისთვის, რომელმაც საქონლის გაუსაღებლობის გამო ყოველივე დაკარგა და წარმოებაც შეწყვიტა, ვერაფერი ნუგეშია იმის ცოდნა, რომ ახლო მომავალში მოთხოვნა-მიწოდებას შორის

თანასწორზომიერება ბაზარში თავისთავათ დამყარდება. ასე მბრძანებლობენ ადამიანებზე საზოგადოებრივი ურთიერთობანი საცვლელ მეურნეობის დროს. თუმცა ეს მბრძანებლობა ნაკლებ სასტიკი და ულმობელია, ვინემ გარეშე ბუნების მბრძანებლობა იყო ნატურალურ წარმოების დროს.

ზემო აღნიშნულ შეხედულებებს ფასზე და ღირებულებაზე გამცვლელ საზოგადოებაში, თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებით, ეწოდება „საშრომო ღირებულების თეორია". საზოგადოების მაღალ წრეების კლასობრივ ინტერესების გამო, როგორც ნაშთი განუვითარებელ შემეცნებისა, დღემდის დარჩენილან, თუ მეცნიერებაში არა, მეცნიერულ ტრაქტატებში მაინც, სხვაგვარი შეხედულებები, ცოტათ თუ ბევრათ რთული, არეულ-დარეული თეორიები, რომლებიც სულ სხვანაირათ ხსნიან საცვლელ საზოგადოების ცხოვრებას. ამიტომ განვიხილოთ ისინიც და ვნახოთ, შესაძლებელია თუ არა საზოგადოთ რომელიმე ამ თეორიათაგანი მართალი გამოდგეს.

გაცვლის დროს ერთმანეთს უპირდაპირდება სრულიათ სხვადასხვაგვარი საქონელი: ცული, პური, წიგნი, სამკაული და სხვ. სხვადასხვა საგნების შედარებისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ მათში იყოს რაიმე საერთო, რომლის შედარებაც შესაძლებელი იქნება. ადამიანსა და ქვას აქვს წონა, რომლის გაზომვა და შედარებაც შეიძლება; ამიტომ შესაძლებელია ადამიანის და ქვის შედარებაც წონის მიხედვით

რა აქვთ საერთო სხვადასხვა საქონლებს, რომლებიც ერთი-მეორეს უპირდაპირდებიან გაცვლის პროცესში? უბრალო ზეზეურათ დაკვირვება საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ ეს არაა არც მისი სისხო, არც წონა, არც სიმაგრე და საზოგადოთ არც ერთი მათი „ბუნებრივი" თვისება. მაშასადამე, ეს მათი საზოგადოებრივი თვისებაა. მაგრამ რომელი? ასეთი თვისება, როგორც წინეთ იყო ნაჩვენები, მხოლოდ ორია: საზოგადოებრივი სარგებლობა და საზოგადოებრივი ღირებულება. მაგრამ არის კი ეს საზოგადოებრივი სარგებლობა? არა: ცული სასარგებლოა, როგორც წარმოების იარაღი; პური—როგორც მწარმოებლის სამუშაო ძალის გამძლიერებელი საშუალება და სხვ.;— რაოდენობით მათი შედარება ყოვლათ შეუძლებელია, ცვლაში კი სწო-

რეთ რაოდენობით შედარება იჩენს თავს. ცხადია, რომ ეს არის საზოგადოებრივი ღირებულება, ე. ი. საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიის ის რაოდენობა, რამდენიც ღირს თვითოეული საქონელი; ამ თვალსაზრისით, სრულიათ სხვადასხვა გვარ ნაწარმოებთა შორის მატერიალურ და არა მატერიალურ საგნების შედარებაც შეიძლება მათზე დახარჯულ შრომის რაოდენობით.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ეს აზრი შემცდარია და საცვლელ პროცესს საფუძვლათ უდევს არა ღირებულება, არამედ სხვა რაიმე, რაც ჩვენ ჯერ, შეიძლება, არც კი ვიცოდეთ; ცულში და წყვილ ჩექმაში, ვთქვათ, ეს უცნობი „რაღაც" სწორი რაოდენობისაა, ასე, რომ ორივე საქონელი ერთნაირ ფასში უნდა გაიყიდოს. იმავე დროს საშრომო ღირებულება ამ საქონლებისა ერთნაირი არაა. ცული 8 საათის მარტივი შრომა ღირს, ჩექმები კი—12 საათის. ასეთ შემთხვევაში ვინ მოკიდებს ხელს მეჩექმეობას, როცა ის აშკარათ საზარალოა? ყველა ცულის კეთებას მისცემდა უპირატესობას და შრომის საზოგადოებრივი განაწილებაც შეუძლებელი იქნებოდა; შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების არსებობაც. ამნაირათ, გაცვლისთვის ღირებულების გარდა სხვა რაიმე საფუძვლის დადება სრულ უაზრობას, ნამდვილ აბსურდს წარმოადგენს.

თუმცა ფასი საერთოთ ღირებულებით განისაზღვრება, მაგრამ თვითოეულ კერძო შემთხვევაში ის შეიძლება არ ეთანასწორებოდეს მას. მხოლოდ იქ, სადაც კონკურენცია თავისუფლათ მოქმედობს, სადაც საქონლის წარმოება ფართოვდება საბაზრო მოთხოვნის გავლენით, მხოლოდ იქ მიისწრაფიან ფასები ღირებულებასთან გათანასწორებასაც. ყველაზე უფრო ეს შეეხება დამმუშავებელ მრეწველობას. სადაც კი წარმოება ასეთი კლასიური არაა, იქ საშრომო ღირებულების კანონი თავის წმინდა სახით ძლიერ ნაკლებათ იჩენს თავს.

ასეთია უმთავრესათ მიწათმოქმედება და უფრო ნაკლებ მომპოვებელი მრეწველობის სხვა დარგები. ამა თუ იმ ნაკვეთ მიწაზე ძნელია პურის წარმოება რამდენიმეთ შესამჩნევათ გადიდდეს, თუ მთელი ნაკვეთი დაბანდებულია მიწათმოქმედე-

ბაში. ამიტომ საცვლელი საზოგადოების გაფართოებასთან და პურზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად შეიძლება პურის ფასი ღირებულებას ასცილდეს და იქ ურყევლად გაჩერდეს, იმიტომ, რომ მიწოდება ვერ ეწევა მოთხოვნას.

შემდეგ, კონკურენციის თავისუფალ მოქმედებას ხელს უშლის სხვადასხვა ორგანიზაციული ურთიერთობა ადამიანებს შორის; ასე იყო ისტორიულად ცნობილ წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიაც (საამქრო, საფეოდალო კავშირები; გაცვლაზე და მათი კონკურენციაზე გავლენის შესახებ დაწვრილებით მოთხრობილია ქვემოთ).

დაბოლოს, ზოგ შემთხვევებში—ხშირად ზემო ჩამოთვლილ პირობებთან ერთად, განსაკუთრებით უკანასკნელთან, სცენაზე გამოდის **მონოპოლია**. მონოპოლია ქვია არა კონკურენციის სისუსტეს, არამედ მის სრულ **არ არსებობას**, თუმცა, ჩვეულებრივ, ამ სახელწოდებით აღნიშნავენ კონკურენციის ყოველ შესამჩნევ სისუსტეს. როდესაც საზოგადოებრივ აუცილებელ ნაწარმოების წარმოებას ეწევა მხოლოდ ერთი სამრეწველო დაწესებულება, ან შეკავშირებულად მომქმედ სამრეწველოთა მცირე რიცხვი, მაშინ მყიდველები იძულებული ხდებიან ნაწარმოებებში უზომოდ მაღალი ფასები იხადონ. ამნაირად, აშკარა ხდება, რომ ცალკე ჯგუფი, სარგებლობს რა თავისი განსაკუთრებული მდგომარეობით, ყვლეფს დანარჩენ საზოგადოებას.

მონოპოლიით აიხსნება ის ფაქტი, რომ საცვლელ საზოგადოებაში სხვათა შორის ფასი ედება ისეთ საქონელსაც, რომელიც შრომით არ არის შექმნილი, რომელსაც საშრომო ღირებულება არა აქვს, მაგ., დაუმუშავებელი მიწა, წყალის ძალა (როდესაც მდინარეს იჯარით იღებენ წისქვილის ასამუშავებლად), საპატიო სახელწოდება, შრომის უფლება, ცოდვათა მიტევება (კათოლიკე ბერების სავაჭრო საგანი) და სხვა.

ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო საკუთრებას შეადგენენ ისეთი საგნები, რომლებიც შრომით არ არიან შექ-

მნილი, მაგრამ საზოგადოებრივ სასარგებლო არიან და ბუნებაში მათი მცირე რიცხვი მოიპოვება. მაშინ მფლობელნი არ თანხმდებიან, რომ ამ საგნებით სხვა ადამიანები ასარგებლონ, თუ არ სასყიდლით, მაგ., ფულს ახდევინებენ. ასეთი საგნების ფასი მათი ღირებულებით არ განისაზღვრება, რადგან ღირებულება იმათ სრულიათ არა აქვთ. როგორც ყოველივე ექსპლუატაცია, ეს ფასიც პირდაპირ საზოგადოებრივ კლასების—ამ შემთხვევაში ასეთი საქონლის გამყიდველთა და მყიდველთა კლასების—ძალთა განწყობილებით ისაზღვრება. თავისთავათ იგულისხმება, რომ ეს ძალთა განწყობილებაც ბოლოს და ბოლოს ძირითადი ისტორიული პირობებით,—ადამიანის ბუნებასთან განწყობილების განვითარებით—უნდა იქნეს ახსნილი.

წვრილ ბურჟუაზიული საცვლელი საზოგადოება უკვე გულისხმობს გაცვლის განვითარების ფორმას, ფულის ფორმას. უფულოთ შეუძლებელია საქონლის ფართეთ გაცვლა-გამოცვლა, რის საშუალებასაც ფული შეადგენს. ფული დიად და მრავალგვარ როლს თამაშობს საცვლელ საზოგადოების ცხოვრებაში. რადგან მცვლელმა საზოგადოებამ იცის მხოლოდ ფულებრივი გაცვლა, რადგან ფული შეადგენს თვითოეული საქონლის ფასს, ამიტომ ის წარმოადგენს საქონელთა **ღირებულების მუდმივ საზომსაც**. საბაზრო კონკურენცია სურვილს უღვიძებს მწარმოებელს თავის საქონლებში მათ ღირებულებაზე არა ნაკლები ფასი აიღოს, მაგრამ ეს მისი საქონლების ღირებულება იმას წარმოდგენილი აქვს, რასაკვირველია, არა როგორც საზოგადოებრივ-საშრომო ენერგია, არამედ როგორც ფულის განსაზღვრული ჯამი.

შემდეგ, ყოველ საკრედიტო (სანისიო, ნდობის) მორიგებაში, რომელიც მცვლელ საზოგადოებაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, ფული ვალის გადახდის კანონიერ საშუალებას შეადგენს. საქონლის ბაზართან მჭიდროთ დაკავშირებულია საკრედიტო ბაზარი: ისინი ერთათ შეერთებული შეადგენენ ბაზარს. საზოგადოთ, მცვლელი საზოგადოების ცხოვ-

რების ნორმალური მსვლელობისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ბაზარში გაცვლისა და გადახდის საშუალების საკმაო რიცხვი მოიპოვებოდეს. განვიხილოთ, რამდენი იქნება ეს საკმაო რიცხვი.

ნაღდზე ერთდროულათ გაყიდვის დროს, ცხადია, ფული იმდენი იქნება საჭირო, რამდენიც ღირს ბაზარზე გასასყიდათ გამოტანილი საქონელი. მაგრამ განსაზღვრულ დროის ფარგლებში ნაღდზე მორიგებათა მთელი რიგისათვის ფულის ჯამი, შესაძლებელია, საქონელთა ფასების საერთო ჯამზე ნაკლები იყოს.

ვთქვათ, ხელოსანმა გლეხისგან იყიდა 10 მანათის პური. ამ 10 მან. გლეხმა იყიდა მჭედლისაგან სახნის-საკვეთი; მჭედელმა კი აღებული ფულით იყიდა დურგლისაგან სტოლი; სამივე მორიგება მოხდა ერთი კვირის განმავლობაში; მათთვის საკმაო დარჩა მხოლოდ 10 მანათი, თუმცა ამ საქონელთა ფასების საერთო ჯამი 30 მანეთს შეადგენს. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ერთ კვირაში აღებული ფულის ჯამი ვაჭრობაში სამჯერ შემოტრიალდა, სამი „ობოროტი“ ქნა. საზოგადოთ, ნაღდზე ვაჭრობის დროს საქონლის ბაზრისთვის ფულის აუცილებელი ჯამი ისაზღვრება ასე: გასაყიდი საქონლების ფასთა ჯამს ჰყოფენ იმ რიცხვზე, რამდენჯერაც ამ საქონელთა გაყიდვის დროს განმავლობაში საშუალოთ შემოტრიალდება ფული.

საქონლები, რომლებიც ნისიათ იყიდებიან, პირდაპირ გადადიან ხელიდან ხელში ფულის დაუხმარებლათ. მაგრამ შემდეგში ამ საქონლებშიაც საჭირო ხდება ფულის გამოღება. რომ გავარკვიოთ საკრედიტო ბაზრისთვის აუცილებელ საჭირო ფულის რაოდენობა, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ის, თუ რამდენჯერ შემოტრიალდება ფული, როგორც წინა მაგალითში, არამედ მეორე პირობაც.

დურგალმა იყიდა გლეხისგან ნისიათ 10 მანათის პური; გლეხმა თავის მხრივ იყიდა, აგრეთვე ნისიათ 9 მან. სტოლი დურგლისაგან; ანგარიშის გასწორების დროს დურგალი აძ-

ლევს გლეხს მხოლოდ ერთ მანათს, თუმცა ვალების საერთო ჯამი უდრის 19 მანათს.—ა-ს მართებს **ბ**-სი 100 მან., **ბ**-ს მართებს **გ**-სი აგრეთვე 100 მანათი. **გ**-მ იყიდა **ა**-სგან 100 მანათის საქონელი ნისიათ. ანგარიშის გასწორების დროს არც ერთი მათგანი ფულს არ იღებს. ამნაირათ, ვალების გასწორების დროს გადასახდელ საშუალებათა აუცილებელ საჭირო რაოდენობას აკლდება ვალების მთელი ჯამი, რომლებიც ერთმანეთს აბათილებენ, სპობენ, დანარჩენს კი ასწორებენ ფულის იმ რაოდენობით, რომელიც საჭირო იქნება ფულის ტრიალის სისწრაფის მიხედვით.

საზოგადოთ, ბაზრისთვის განსაზღვრულ დროის განმავლობაში აუცილებლათ საჭირო ფულის ჯამი—ბაზარში **ფულის მოთხოვნა**—ისაზღვრება ასე: საქონელთა ფასების ჯამს აკლდება იმ საქონელთა ფასები, რომლებიც ნისიათ იყიდებიან, და ემატება ვადა-მოსული ნისიების ჯამი, იმათ გარდა, რომლებიც ერთმანეთს სპობენ, და ამ შეერთების შედეგი გაყოფილ იქნეს ამ დროს განმავლობაში ფულის დატრიალების საშუალო რიცხვზე.

მცვლელ საზოგადოებაში ფულის ნამდვილი რაოდენობა, საზოგადოთ, არასოდეს არაა იმაზე ნაკლები, რამდენიც ბაზარზე ფულის მოთხოვნა არსებობს: პირიქით, გარდა იმ ფულისა, რომელიც ბაზარში ტრიალებს, არსებობს კიდევ ზედმეტი, რომელიც საუნჯის, „ზაპასის“ სახით განისვენებს მფლობელთა ჯიბეებსა და ზანდუკ-სარდაფებში და ამოდიან იქიდან მაშინ, როდესაც ფულის მოთხოვნა გაძლიერდება და ბაზარში საქონლის სასყიდლათ ან ვალის გასასწორებლათ მეტი ფული შეიქნება საჭირო.

რადგან ფულს, როგორც საქონლის დატრიალების საშუალებას, დიდი საზოგადოებრივი როლი აქვს, ამიტომ ჩნდება ახალი ცალკე კლასი ადამიანებისა, რომელთათვისაც საქონლის ტრიალი სპეციალურ ხელობას შეადგენს,—იბადება და ღონიერდება **ვაჭართა კლასი**. თუმცა მათი მოქმედება არ

განისაზღვრება მარტო საქონლის ყიდვა-გაყიდვით,—ისინი აწყობენ აგრეთვე საქონელთა გადატან-გადმოტანის საქმეს, მიეზიდებიან რა იმათ საწარმოვო ადგილიდან ბაზარზე, ხანდისხან კი აგრეთვე ბაზრიდან მხმარებლამდინაც. ეს საქონელთა გადატან-გადმოტანა, სამართლით, საქონლის წარმოების უკანასკნელ ოპერაციათ უნდა ჩაითვალოს: თუ ნაწარმოები რომელიმე ალაგას ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, მაშინ ის ჯერ კიდევ დასრულებულ ნაწარმოებათ არ ჩაითვლება, ის ჯერ კიდევ არაა ნამდვილი სახმარი საგანი; იმის დამზადებას საბოლოოთ აგვირგვინებს მისი იქ მიტანა, სადაც ის სახმარათ გამოდგება, სადაც ის მიიღებს საზოგადოებრივი სარგებლობის სახეს.

ფულის კრედიტიც აგრეთვე იწვევს საზოგადოებაში ახალი კლასის წარმოშობას, ისეთი კლასისა, რომელიც კრედიტს თავის სპეციალობათ იხდის—ეს არის კლასი **მევახშეებისა**.

საქონლის მწარმოებელთა დანარჩენი მასსაც სრულ ერთგვარობას არ წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში: ის იყოფა კლასებათ იმის შესაფერათ, თუ საზოგადოების რომელი ჯგუფი რა როლს თამაშობს მის წარმოებაში. ესენია მიწათმოქმედნი, სხვადასხვა ხელოსნები—მეჩექმეები, მჭედლები და სხვ.

საჭიროა აღვნიშნოთ აქ ორი ცნების—„წოდებისა“ და „კლასის“ განსხვავება ერთმანეთისაგან. კლასი ჰქვია ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც აერთებს ერთგვარი მდგომარეობა წარმოებაში და ამის გამო ერთგვარი ეკონომიური ინტერესები. ესენია მოვაჭრეები, ხელოსნები, მიწათმოქმედნი; ორგანიზატორები ერთის მხრით, და შეკავშირებულნი--მეორეს მხრივ, და სხვ. წოდება კი ქვია ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც ერთგვარ უფლებრივ მდგომარეობაში არიან: ესენია ფეოდალები—ერთის მხრით, და დამოკიდებული გლეხები—მეორეს მხრით; ეს ორი წოდება განსხვავდება ერთმანეთისგან უფლებრივ მდგომარეობით. რადგან უფლებრივი განსხვავებანი წმინდა ეკონომიურიდან გამომდინარეობენ, ამიტომ წოდებები იმავე დროს ჩვეულებრივ კლა-

სების წარმოადგენენ; მაგრამ კლასები შეიძლება წოდებას სრულიად არ წარმოადგენდენ, ე. ი. თავისი უფლებრივი მდგომარეობით ერთმანეთისაგან არ განირჩეოდენ.

## ბ) ცალკე მეურნეობათა შინაგანი ურთიერთობა წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

უფრო ტიპიურ წვრილ-ბურჟუაზიულ ჯგუფათ უნდა ჩაითვალოს საშუალო საუკუნოების მეორე ნახევარის ქალაქთა ხელოსნური მეურნეობა. შემდეგისთვის ვტოვებთ იმას, თუ როგორ მოხდა ქალაქების წარმოშობა და ხელოსან-მოვაჭრე კლასების განთავისუფლება, მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ იმას, რომ ასეთი ხელოსანი წარმოადგენს საქონლის თავისუფალ მწარმოებელს.

ხელოსნის მეურნეობა თავისი წმინდა სახით წარმოადგენს პატარა ოჯახს, რომელიც შედეგია ადრინდელი ფეოდალური პერიოდის დიდ ოჯახების დანგრევისა და რომელიც მამათმთავრულ-გვარტომულ ორგანიზაციათა ნაშთს წარმოადგენს. ხელოსნის ოჯახის მცირერიცხოვანობა აიხსნება ხელოსნური წარმოების ხასიათით; მისი იარაღები არ თხოულობენ ბევრი მუშის შრომის შეერთებას, ასე რომ, ერთი-ორი კაციც თავისუფლათ შესძლებს მათ ამუშავებას.

შეადგენს რა მამათმთავრულ-გვარტომულ ურთიერთობის სუსტ ნაშთს, წვრილ-ბურჟუაზიული ოჯახი თავის შინაგანი წყობილებით, ამ ურთიერთობათა ნამდვილ „მინიატურულ“ (დაპატარავებულ) სურათს წარმოადგენს. ოჯახის, მამა არა თუ მარტო უმთავრეს სამუშაო ძალას შეადგენს ოჯახში, არამედ ის არის აგრეთვე მისი საწარმოო და განაწილებითი ურთიერთობათა სრულ-უფლებოვანი ორგანიზატორი. დანარჩენი ოჯახი სრულ მის მორჩილებაში იმყოფება უკვე იმიტომ, რომ შრომის უდიდესი და უმთავრესი ნაწილი ცხოვრებისთვის საშუალებების მოპოვებაში ოჯახის მამას აწევს კისერზე. მოზარდი შვილების და არა-იშვიათათ სასწავლელათ მიღებულ

გარეშე პირთა დახმარებით „სახლის-უფალი“ უძღვება ხელოსნურ წარმოებას და ყიდის მის ნაწარმოებს. ის განაგებს აგრეთვე აღებული ფულით აუცილებლათ საჭირო სახმარ საგნების ყიდვა-შეძენის საქმეს.

ჩვეულებრივ სხვადასხვა საცხოვრებელი საშუალებანი მოიპოვებიან არა იმ დასრულებული სახით, რა სახითაც შეიძლება მათი დაუყოვნებლივ მოხმარა. წარმოების ეს უკანასკნელი პროცესი სრულდება უკვე თვითონ მომხმარებელის მეურნეობაში (ნაყიდ მასალისაგან საჭმელის დამზადება, ნაყიდ ქსოვილებისაგან ტანსაცმელის შეკერვა და სხვ.). ყოველივე ეს სრულდება, უმთავრესათ, ოჯახის წევრ ქალების-მიერ.

ამნაირათ, დედაკაცები წარმოადგენენ ოჯახის ნატურალურ-სამეურნეო ნაწილს: ისინი უძღვებიან პირდაპირ მოსახმარ საგნების შინაურ წარმოებას; ამ წარმოებისთვის საშუალებას მათ აწვდის ოჯახის თავი. მაშასადამე, აქ დედაკაცისთვის უკიდურესათ ვიწრო, კარდახშული სამოქმედო წრეა შემოფარგლული, რომელსაც ზედ ერთვის უმწვერვალესი დამოკიდებულება მამაკაცისაგან, რომელიც ქმნის ამ დამორჩილების მატერიალურ პირობებს. აქედან ძნელი მისახვედრი არაა, თუ რამდენათ დაბალ, დაჯაბნებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული დედაკაცი ოჯახში.

დედაკაცის ისტორიული სვე-ბედი უკანასკნელ საუკუნოებში სწორეთ იმ ფაქტით აიხსნება, რომ მცვლელ საზოგადოებაში დედაკაცს წილათ ხვდა თითქმის უცვლელი ნატურალურ-სამეურნეო როლის შესრულება, ურთიერთობათა უმაღლესი სისტემის განვითარების დროს დაბალ საწარმოო ფორმაციის დანაშთების წარმომადგენლობა. კარდახშული, შინაური, ოჯახური მოღვაწეობა დედაკაცისა სამზარეულოში და საბავშვო ოთახში ნიშნავს მის დაჯაბნება-დამორჩილებას.

ხელოსნისაგან სასწავლელათ აყვანილ გარეშე ადამიანის მდგომარეობა, რომელიც ჯერ შეგირდათ ითვლება და შემდეგ

კი ქარგალი ხდება,—თავდაპირველათ დიდათ არ განირჩევა ოჯახის წევრების მდგომარეობისაგან. ის ცხოვრობს ხელოსნის ოჯახში, სვამს და ჭამს მასთან ერთათ; საზოგადოთ, სარგებლობს როგორც ოჯახის წევრი, მზამზარეულ საცხოვრებელ საშუალებებით: გარდა ამისა, რადგან ის ოდესმე დამოუკიდებელი ხელოსანი უნდა გახდეს, ამიტომ ხელოსანი მას უნიშნავს ჯამაგირს, თუმცა მცირეს, რისგანაც მან უნდა შეაგროვოს თავის საკუთარ სახელოსნოს მოსაწყობი თანხა. ის მუშაობს ოსტატთან ერთათ, მასთან ერთათ იწყებს და ათავებს მუშაობას; ხაზეინი ისე უცქერის მას, როგორც თავის თანაშემწეს წარმოებაში და არა როგორც ექსპლუატაციის საგანს. საზოგადოთ, საცვლელ საზოგადოების პირველ ხანაში შეგირდებისა და ქარგლების მდგომარეობა თუ რამეში განსხვავდებოდა ხაზეინის შინაურების მდგომარეობისაგან, ეს განსხვავება მათთვის უფრო სასარგებლო იყო, უფრო მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებდა მათ.

რაც შეეხება გლეხის ოჯახს, რამდენათაც ის საცვლელ მეურნეობის გავლენის ქვეშ ვარდებოდა, იმდენათ ნელნელა მამათმთავრულ „დიდ ოჯახიდან“ ჩვეულებრივ წვრილ-ბურჟუაზიული ტიპის ოჯახათ იქცეოდა. მაგრამ საშუალო საუკუნოების განმავლობაში ეს გადასვლა არ დამთავრებულა. ამიტომ იმ დროინდელი გლეხის ოჯახი არ შეიძლება დამოუკიდებელ ჯგუფათ ჩაითვალოს: ის კიდევ ფეოდალურ წყობილების ფარგლებში იმყოფება.

ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობას, პირველ შეხედვით, ცოტათი შეეცვალა თავისი სახე, როცა ფეოდალურ გამცვლელ მეურნეობათ გადაიქცა—მით უმეტეს, რომ ეს პროცესი სრული თანდათანობით წარმოებდა წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, და რა სახითაც მას ჩვენ ვიცნობთ ისტორიიდან, სრულიათ არც კი დამთავრებულა. ფეოდალი ისევ ისე ძველებურათ საზოგადოებრივ საწარმოო დაწყებულებათა ორგანიზატორათ გამოდის ყველა შემთხვევებში, როდესაც ამ რო-

ლის შესრულებას ვერ კისრულობს ვერც ერთი ცალკე წევრი გლეხური ფეოდალური ჯგუფისა; ძველებურათ ისაა განაწილების ორგანიზატორი, რადგან ბეგრისა და ხარკების სახით თვითონ ითვისებს გლეხების ზედმეტ შრომას; ძველებურათ ის ინარჩუნებს ორგანიზატორის მოვალეობას თავის ჯგუფის უფლებრივ ცხოვრებაში. მაგრამ მისი მოღვაწეობის ზომა და ხასიათი სამივე დარგში ძლიერ ნელნელა და თანდათან, მაგრამ არსებით ცვლილებას განიცდიან.

ფეოდალის ორგანიზატორული მოღვაწეობა წარმოების სფერაში ჩქარა მცირდება. ფართე გასაცვლელი კავშირები იწვევენ დიდ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების წარმოშობას, რომლებიც საზოგადოებრივი წეს-რიგის და უშიშროების დაცვას კისრულობენ. ამნაირათ, ფეოდალი ჰკარგავს თავის საზოგადოებრივ-სასარგებლო როლს მის უფლების ქვეშ მყოფ გლეხთა სამხედრო დაცვის საქმეში. პირიქით, თავისი უხამსი, მეომრული მიდრეკილებების წყალობით, ის ეხლა ხშირათ გამოდის არა მფარველათ საწარმოო ცხოვრების ნორმალური მსვლელობისა, არამედ მის ხელის შემშლელათ და დამრღვეველათ.

თუ წინათ ფეოდალი სასარგებლო იყო იმ მხრით, რომ მართავდა, უძღოდა საერთო-სასარგებლო დაწყებულებებს, რომლების გამართვაც არ ძალუძდა ცალკე საგლეხო მეურნეობას— როგორიცაა სინიორული წისქვილების, ფურნეების, ყურძნის საწნეხლებისა, ხიდეების და სხვ. ამგვარების მოწყობა,—ეხლა ყველა ამაების საჭიროება ქრება. შრომის საერთო დანაწილების გამო უფრო მსხვილ საგლეხო და სახელოსნო მეურნეობებს ცალკეც შეეძლოთ ამგვარი საქმეების გაძღოლა, მაგრამ ფეოდალი მათ ამას არ ანებებს, ის სინიორულ დაწყებულებებს თავის მონოპოლიათ ხდის და მათით სარგებლობისათვის დიდ ქირას თხოულობს, რომ ამნაირათ შექმნას თავისთვის შემოსავლის დაუშრეტელი და უზრუნველყოფილი წყარო; მცხოვრებთა საჭიროებაზე კი ამავე დროს სრულიადაც არ ზრუნავს. ხშირათ ისე ხდებოდა, რომ ფეოდალს არც კი ჰქონდა საკუ-

თარი წისქვილი, და გლეხებს კი, სხვის წისქვილზე პურის წაღების უფლების მიცემაში, თავის სასარგებლოთ ახდევინებდა ფასს, ახდევინებდა იმ საბუთით, რომ სხვის წისქვილზე პურის დაფქვევით ირღვეოდა ფეოდალის სინიორული პრივილეგიები. შემდეგ, ის, როგორც საგლეხო მეურნეობათა დახმარება-შემწეობის ორგანიზატორი, სტიქიურ უბედურებების დროს თანდათან, ნელნელა ამოკლებს ამ მხრივაც თავის მოღვაწეობასაც, რადგან მას თავისთვის საზარალოთ და მეტ ხარჯათ სთვლის.

აქ საქმე იმაშია, რომ მცვლელი მეურნეობა ანვითარებს ფულის მოპოვების, დაგროვების წყურვილს. ნატურალურ მეურნეობის ხანაში შეძენის წყურვილი ფეოდალის დაუდგრომელი, პირდაპირი მოთხოვნებით ისაზღვრებოდა. სანამ გაცვლა და აღებ-მიცემობა განუვითარებელია, ყოვლათ ძლიერ ფეოდალსაც არ შეუძლია თავის მოთხოვნათა გაფართოვებაში გაცილდეს იმ საზღვრებს, რომელიც მას მისმა საკუთარ მამულების წარმოებამ დაუდვა; თავის გლეხებს რომ 100,000 ფუთი პური მეტი გადაახდევინოს ხარკათ, ეს ხელსაყრელი არაა ფეოდალებისთვის. ამდენ პურს ის და მისი კარის-კაცები ვერ შესჭამენ, ზედმეტი პური კი უსარგებლოთ უნდა ბეღელში ეყაროს და ლპებოდეს. სულ სხვაა შრომის საზოგადოებრივ ფართე განაწილების, ფულის მეურნეობის დროს: მოთხოვნილებებს ამ დროს დაუსრულებელი განვითარება შეუძლიათ, მხოლოდ კი იყოს ფული მათ დასაკმაყოფილებლათ. ფულს საზოგადოთ ყველაფერი შეუძლია; მაგრამ განსაზღვრულ თანხით ადამიანს შეუძლია მხოლოდ განსაზღვრული სიამოვნება ნახოს. ცხოვრებაში ფულის ასეთი როლი ანვითარებს ადამიანებში ფულის უსაზღვრო შეძენის ლტოლვილებას, და რამდენათაც ფეოდალის მეურნეობა საცვლელ ხასიათს იღებს, იმდენათ ეს ლტოლვილება იპყრობს ფეოდალს (ამ ლტოლვილების განვითარებას ხელს უწყობს ისიც, რომ შეიძლება ფუ-

ლის უსაზღვროთ მოგროვება და შენახვა, და ის უსარგებლო იქნება ისე, როგორც სხვა ნაწარმოებნი).

ამ გარემოების გამო შესამჩნევი ცვლილება ხდება ფეოდალის განაწილებითი მოღვაწეობაში. ბეგარა და ხარკები უმაღლეს ხარისხამდე იზრდებიან: ფეოდალი ცდილობს გამოსწოვოს გლეხს ყველაფერი, რის გამოწოვაც შეიძლება.

ფეოდალის საორგანიზატორო მბრძანებლობა ცხოვრების უფლებრივ სფერაში ხდება გამდიდრების საშუალებათ. სინიორული მოსამართლეობა და ადმინისტრატიული მოვალეობანი ფეოდალისთვის შემოსავლის თვალსაჩინო წყაროთ იქცევა.

ცდილობს რა გაადიდოს საკუთარი მეურნეობა, ფეოდალი ართმევს გლეხებს და ითვისებს იმ მიწებს, რომლებითაც ის გლეხებთან ერთათ სარგებლობდა; საზოგადოთ, ყოველივე საშუალებებით ასუსტებს და ამცირებს საგლეხო მიწათმფლობელობას, რაც საშინელ მიწის სივიწროვეს იწვევს გლეხთა მეურნეობაში.

ცხოვრების აუტანელი სიმძიმით შევიწროვებული გლეხები სტოვებენ თავიანთ მიწებს და გარბიან სხვაგან. ფეოდალი იძულებული ხდება მიაკრას ისინი თავის მიწას, რასაც კიდეც ასრულებს, სარგებლობს რა თავისი პოლიტიკური ძალით, თავის კანომდებლობაზე გავლენით. ნახევრათ თავისუფალი ადამიანი, როგორიც იყო მანამდე უმეტეს შემთხვევებში, ამის შემდეგ მიწაზე მიკრულ ყმათ, თითქმის მონათ გახდა. ასე, საცვლელ ურთიერთობათა ძალამ ფეოდალური წესრიგი ბატონყმობაზე შესცვალა.

გლეხის საერთო მიწათმფლობელობა, უმეტეს ნაწილათ, ყველა ამ ცვლილებებს გადარჩა და უვნებლათ დაცულ იქმნა. მართალია, ფეოდალი თანდათან ავიწროებს და ძირს უთხრის მის დამოუკიდებლობას: არჩეული მამასახლისისა და მსაჯულების ალაგს ფეოდალის მიერ დაყენებული კაცები იჭერენ; სათემო ყრილობის მიერ დადგენილი რაიმე, ცოტათ თუ ბევრათ ღირსშესანიშნავი, გადაწყვეტილება ფეოდალის ან მისგან

დაყენებული კაცების დამტკიცება-დადასტურებას თხოულობს; მაგრამ საერთოთ ფეოდალები სიფრთხილით ეპყრობოდენ სათემო წყობილებას, იმდენათ მაინც, რამდენათაც ის არ ეწინააღმდეგებოდა იმათ ინტერესებს. განსაკუთრებით სათემო წყობილება ფეოდალებისთვის სასარგებლო შეიქნა მაშინ, როცა ბატონ-ყმურმა განწყობილებამ გლეხობას უკიდურესი შევიწროვება მიაყენა, ასე რომ, ის არა თუ თავგამოდებით იცავდა იმას, არამედ ზოგ შემთხვევებში, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელოვნურათაც ქმნიდა იმას იქ, სადაც ის უკვე გამქრალი იყო. ამისთვის საკმაო იყო მხოლოდ გლეხების დაკავშირება „საურთიერთო" პასუხისმგებლობაში; თვითოეული გლეხის მიერ ვალდებულებათა წესიერათ შესრულებაში მთელი სოფელი პასუხისმგებელი გახდა. ამით თემი იძულებული ხდება იზრუნოს ერთის მხრით იმაზე, რომ შეამაგროს, დანგრევისაგან იხსნას ყოველი დასუსტებული მეურნეობა, რადგან მისი დანგრევა სხვებს უდიდებს ტვირთს, და იმაზედაც, რომ ხელი შეუშალოს გლეხებისაგან თავის მიწების მიტოვებას, გაქცევას. ერთი სიტყვით, ახალი ადმინისტრატიული თემი თუმცა ფორმით გვაგონებს ძველს, ფეოდალურ თემს, მაგრამ იმისი როლი არსებითათ სრულიად სხვაა. ძველი თემი ცდილობდა გაეთანასწორებია გლეხთა კეთილმდგომარეობა, ახალი კი ცდილობს გაათანასწოროს მათი გასაჭირი, შევიწროვება.

ამ სახით, წინააღმდეგ პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ ხელოსნების და ვაჭრების კლასისა, მიწათმოქმედი მცხოვრებლები გამცვლელ საზოგადოების განვითარების პირველ ხანებში უფრო აუტანელ და მძიმე დამოკიდებულებაში ჩავარდენ, ვინემ წინეთ იყვენ. ასეთი განსხვავების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ სამიწათმოქმედო წარმოების წესები მეტათ ჩამორჩენილი და უმოძრაო არიან, საზოგადოებრივი შრომის სხვა დარგებში კი ტეხნიკის პროგრესი, შედარებით, უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ.

### გ) მოწესრიგებული საჯგუფთაშორისო ურთიერთობანი წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ქალაქების—სოფლიდან, ხელობისა და საცვლელ ცენტრების—სასოფლო მეურნეობის დარგიდან გამოყოფა-გამოთიშვით იწყება ახალი საჯგუფთაშორისო კავშირების განვითარება. ეს გამოცალკევება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ქალაქებს, რომელნიც რომაელების მსოფლიო მფლობელობის დროიდან შერჩა საშუალო საუკუნოებს, ძლიერ ნელა ხდებოდა. უმეტეს ნაწილათ ქალაქის ნასახს სავაჭრო სოფელი წარმოადგენდა. სოფლები, რომლებსაც უფრო მოხერხებული მდებარეობა ჰქონდათ შარა-გზებზე, სანაოსნო მდინარეების შესართავთან, მთებში გასასვლელი გზების ბოლოში, გზა-ჯვარედინზე და სხვ.,—ნელნელა საცვლელ ცენტრებათ, დროგამოშვებითი (პერიოდული) იარმუკობის, ბაზრობის ალაგათ გადაიქცენ. ის სიმდიდრე, რომელიც გროვდებოდა მათში ამის გამო, შურსა და სიხარბეს აღვიძებდა მეზობლებში; და თავდასხმისაგან უზრუნველსაყოფათ ისინი იძულებული იყვენ ირგვლივ გალავანი შემოევლოთ (ესაა ქალაქის ნიშნობლივი თვისება საშუალო საუკუნოებში). რადგან საქონელი აქ უფრო ადვილი გასასაღებელია, ამიტომ ქალაქებში ვითარდებიან სხვადასხვა ხელობანი. ფეოდალისაგან დამოკიდებული ხელოსანი ქალაქისკენ მიილტვის, რომ უფრო ახლოს იყოს თავის ბაზართან; ფეოდალური ურთიერთობანი ამ შემთხვევაში ხელოსანს ნაკლებ დაბრკოლებებს უდებენ წინ, რადგან ის ფეოდალს უმეტესათ ხარკზე ყავდა გადაყვანილი და, თუ ქალაქში იცხოვრებდა, თავის ვალდებულებებს უფრო ადვილათ და მეტის სისწორით შეასრულებდა. თავდაპირველათ ხელოსნების უმეტესი ნაწილი რამდენიმეთ კიდევ არ ანებებს თავს სამიწათმოქმედო მეურნეობას. საშუალო საუკუნის ახლათ აღორძინებული ქალაქი გარშემორტყმულია ყანებითა და საბალახოებით და თავის ცხოვრებით ძლიერა ჰგავს სოფელს. მაგრამ საალებმიცემო მიმოსვლის

განვითარების გამო, ხელობა უფრო და უფრო სარგებლიანი ხდება მოქალაქისთვის, მიწათმოქმედება კი კარგავს თავის უპირველეს მნიშვნელობას და მეორე ხარისხოვან საქმეთ ხდება. ქალაქის ხელოსნების სპეციალიზაციის გამო, მათი ხელოვნება იმ სიმაღლეზე ადის, რომ იმ გლეხებს, რომლებიც ხელოსნობასაც ჩემობენ, ფიქრშიაც არ შეუძლიანთ გაიტარონ იმათთან გათანასწორება. ამის შემდეგ ფეოდალებიც არჩევენ დამმუშავებელი მრეწველობის ნაწარმოები ქალაქში იყიდონ; გლეხებმა ამას იქით ასეთი ნაწარმოებნი კი არ უნდა უმზადონ თავიანთ ფეოდალებს, არამედ იმათი შესაძენი საშუალებანი უნდა მიაწოდონ. ასე წარმოსდგა ქალაქის სოფლიდან განცალკევება-გათიშვა. თუ რამდენათ ნელი ნაბიჯით მიდიოდა ეს პროცესი, შეიძლება დავინახოთ, მაგ., იქიდან, ჯერ რომ კიდევ 1589 წ. მიუნხენის მცხოვრებლებს, ბავარიის ჰერცოგის სიტყვით, არ შეეძლოთ ისე ცხოვრება, თუ საყანე და საბალახო ადგილები არ ექნებოდათ.

ადამიანთა შორის მოუწესრიგებელ საცვლელ ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოშობილი ქალაქი თავის-თავათ უკვე რამდენიმეთ მოწყობილ კავშირს წარმოადგენს. ის უკვე გულისხმობს თავის მკვიდრთათვის სამხედრო დაცვისა და უფლებრივი ცხოვრების საერთო ორგანიზაციას: მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია მას ხელობისა და გაცვლის ცენტრათ შეიქნეს.

რადგან ეკონომიური წინააღმდეგობანი და ქონებრივი უთანასწორობა ჯერ ისევ სუსტათაა განვითარებული, ამიტომ მოქალაქეებში საზოგადოებრივ საქმეთა გასაძღოლათ სდგება რესპუბლიკანური ტიპის ორგანიზაცია, რომელიც ახალი დროის რესპუბლიკის წყობილებას წააგავს. თუმცა კი არისტოკრატიული ელფერი—ე. ი. მცირერიცხვოვან, მაგრამ უფრო წარჩინებულ და მდიდარ გვართა,—ბატონობა უკვე იმ თავიდანვე ეტყობა ყველა ქალაქის რესპუბლიკებს. ეს ელფერი მით უფრო ძლიერია, რამდენათაც უფრო განვითარებულია ფაქტიური უთანასწორობა—სიმდიდრე და სიღარიბე; ეს კი, როგორც

შემდეგ დავინახავთ, ეკონომიურ განვითარებასთან ერთათ ძლიერდებოდა, ასე რომ, უფრო დაწინაურებული იტალიის რესპუბლიკები იმავე დროს უფრო არისტოკრატიულიც იყვნენ.

ქალაქის მცხოვრებთა მატერიალური ძლიერება გამუდმებით იზრდება და ამასთან ერთათ სუსტდება ქალაქის ფაქტიური დამოკიდებულება იმ სენიორისაგან, რომლის მიწაზედაც ის იყო გაშენებული. ზოგან ფულით გამოსყიდვის შემწეობით, ზოგან პირდაპირის ბრძოლით, მოქალაქეები უფრო და უფრო მეტ დამოუკიდებლობას იძენდენ თავის შინაურ საქმეებში. მუდმივი ბრძოლა ფეოდალთა შორის, ასუსტებდა რა იმათ ძლიერებას, ხშირათ მოხერხებულ შემთხვევას აძლევდა მოქალაქეებს თავისი საკუთარი საქმეების მოსაწყობათ; თავის სამხედრო ძალაზე დაყრდნობილი და ირგვლივ მაგარი კედლებით შემოფარგლული ქალაქი ხშირათ გადამწყვეტ როლს თამაშობდა და, რა თქმა უნდა, თავის დახმარებას მუქთათ არ აღმოუჩენდა ფეოდალს; ის ყოველთვის რაიმე ახალ უფლებებსა და შეღავათებს იღებდა მისგან. ჯვაროსანთა ომების დროს, როდესაც ფეოდალებს დიდძალი ფული ქონდათ საძებარი, ბევრმა ქალაქმა მოახერხა თავის მიწების და თავის დამოუკიდებლობის გამოსყიდვა სენიორისაგან,—ყოველივე ხარკისა, ვალდებულებათა და სენიორის მხრივ ქალაქის შინაურ საქმეებში ჩარევისაგან საბოლოვოთ თავდახსნა და განთავისუფლება.

ქალაქების ბრძოლა ფეოდალურ სენიორთა წინაალმდეგ, რომელთაც სურდათ ქალაქებზე თავისი უფლებანი დაეცვათ, გრძელდება საშუალო საუკუნოების მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში. მოქალაქეების მოწინავე მებრძოლ ჯგუფათ ამ ბრძოლაში, თავდაპირველ ხანებში, გამოდის ვაჭართა კლასი, რომლის ხელობაც ისეთია, რომ იმ დროებაში იგი ძლიერ ზრდიდა და ანვითარებდა მათში ენერგიას, თავგამოდებას, გულადობას, სიმამაცეს, მებრძოლ სულსა და საორგანიზატორო ნიჭს. თვით შეძლებული მოქალაქეები იკრიბებოდენ უხუცესის, მდიდარის და ძლიერი ვაჭრის ოჯახის გარშემო, და ირაზმებოდენ

ეგრეთ წოდებულ გილდიებათ—ამხანაგობებათ, რომელთაც ჩვეულებრივი რელიგიური ხასიათი ჰქონდათ, არსებითათ კი საერთო ეკონომიური ინტერესების შეერთებულის ძალ-ღონით დაცვას ცდილობდენ. ამ გილდიების დროშის ქვეშ დიდხანს სწარმოებდა ქალაქების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამ გილდიების სათავეში მდგომ მდიდარ გვართა და ორგანიზაციის დანარჩენ წევრთა ურთიერთი დამოკიდებულება გილდიებში ჯერ კიდევ საკმაოთ ძლიერ მოგვაგონებს სენიორების დამოკიდებულებას ვასსალებთან.

დროთა განმავლობაში ხელობების შემდეგი განვითარება და ხელოსანთა კლასის ძალთა ზრდა იწვევს მოქალაქეთა სხვანაირ ჯგუფებათ დაყოფას—ესაა ამქართა ორგანიზაციების წარმოშობა.

არსებითათ ამქრული ორგანიზაცია წარმოადგენს მამათმთავრულ ურთიერთობათა და თემების პიროვნებასა და ცალკე მეურნეობაზე ბატონობა-ოპეკუნობის ნაშთს, რომელიც არსებობდა, მაგ., ფეოდალიზმის დროს სამიწათმოქმედო თემში. მაშ რათ მოხდა, რომ წინანდელმა, დამოკიდებულმა ურთიერთობის ნაშთმა თავი იჩინა და განვითარდა ახალ საზოგადოებრივ ფორმაციის ფარგლებში?

წვრილ სახელოსნო წარმოებაში ურთიერთის დახმარება და ხელის შეწყობა მწარმოებლებისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, თუ უნდათ, რომ მათი მდგომარეობა მტკიცე, ურყეველი და უზრუნველყოფილი იქნეს. უამისოთ წვრილი მწარმოებელი, მისი ეკონომიური სისუსტის გამო, მუდამ განსაცდელში და საფრთხეში იქნება; პირველი უბედური შემთხვევა, მაგ., საქონელზე დროებით ფასების დაცემა, ხელსაწყოების და იარაღის გატეხა-გაფუჭება, ცეცხლის გაჩენა, ქურდობა და სხვ. საკმარისია, რომ მან დაკარგოს ყველაფერი, რაც გააჩნია. განსაკუთრებით სახიფათოა და საალალბედოა ხელოსნების მდგომარეობა, მაშინ, როცა მათ შორის თავისუფალი კონკურენცია ტრიალებს. ეს ბრძოლა დამღუპველია უფრო

სუსტი მწარმოებლებისთვის, ე. ი. უმრავლესობისთვის. ამ კონკურენციის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ერთი ხელობის, ერთი სპეციალობის მწარმოებელთა მაგარი და მჭიდრო შეერთება-შეკავშირება.

ადვილათ შესაძლებელია, რომ საამქრო ორგანიზაციები ფეოდალიზმის დროის მიწათმომქმედ თემურ წყობილებისაგან წარმოსდგენ. ისტორიული ცნობები ამქრობის წარმოშობის შესახებ იწყება მხოლოდ IX—XIII საუკუნეებიდან. ხანდისხან ცეხები (ამქრები) ერთ ქალაქში მცხოვრებ ერთ ხელობის ან ერთმანეთთან დაახლოებულ რამოდენიმე ხელობის ოსტატთა (მასტერთა) დროებით კავშირებს წარმოადგენდენ; ასეთ დროებით კავშირებს ხშირად აახლებდენ და აძლიერებდენ იმ სარგებლობის გამო, რომელიც მათ მოქონდათ თავიანთ წევრებისათვის, დაბოლოს კი მუდმივ კავშირებათ აქციეს.

ცეხების მაგარი ორგანიზაცია ბრძოლაში წყვება და იკვრება. ცეხებმა იკისრეს დიდი საორგანიზატორო როლის შესრულება—იკისრეს ფეოდალური ჩაგვრისგან ქალაქების განთავისუფლებისათვის ბრძოლა; აგრეთვე, რადგან ქალაქის ძველმა წოდებამ—არისტოკრატიამ—არ უარჰყო თავისი წინანდელი გაბატონებული მდგომარეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცეხებს მათთანაც არა ერთხელ დასჭირდათ ცხარე შეტაკება, რომ გაეტეხათ იმათი თავგასულობა და წინააღმდეგობა.

როგორც დაახლოებით ერთნაირ საზოგადოებრივ პირობებში შემდგარნი და გაფურჩქვნილნი, ცეხები, თავისი წყობილების ძირითადი თვისებებით, ყველგან ერთისა და იმავე ტიპისანი იყვენ, და მხოლოდ წვრილმანებში განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან. თვითოეულ ცეხს ჰყავდა თავისი გამგეობა და თავისი წესდება ჰქონდა. ცეხთა წესდებანი საკმაოთ სხვადასხვანაირი იყვენ, საერთოთ—საკმაოთ დემოკრატიული ხასიათი ქონდათ, მხოლოდ კი, რამდენიმეთ, არისტოკრატიული ელფერი ედვათ. ეს ელფერი პირველ ხანებში, როცა ცეხები ძველი ქალაქების არისტოკრატიასა და ფეოდალებს ებრძოდენ, ძლიერ

მცირე, თითქმის შეუმჩნეველი იყო. თავისუფლებას მოკლებულ ფეოდალურ ადამიანსაც კი შეეძლო, მაგ., სრულ-უფლებიან მოქალაქეთ გამხდარიყო, თუ იგი მოახერხებდა ერთ წელიწადსა და ერთ დღეს ქალაქში ცხოვრებას. დროთა განმავლობაში, როცა ცეხები გაბატონდენ საზოგადოებრივ საქმეებში და მით შეძლება მიეცათ, თავის მხრივ, ქალაქის არისტოკრატიათ გამხდარიყვენ, მათი დემოკრატიზმი თანდათან კლებულობს. ცეხები აარსებენ არა სრულ-უფლებიან ხელოსნების ჯგუფებს; მას შეადგენენ ისინი, რომელთაც ან საკუთარი მეურნეობა არა აქვთ, ან და თავისი პროფესიონალური სწავლა არ დაუსრულებიათ, პირველებს ეკუთვნიან ქარგლები (ჩნდებიან გერმანიაში XIII საუკუნეში), მეორეებს—შეგირდები (გერმანიაშივე XIV საუკუნიდან).

ამის შემდეგ ცეხების სრულ-უფლებიან წევრებს შეადგენენ მხოლოდ „ოსტატები"—ხელოსნები, რომელნიც დამოუკიდებლათ აწარმოებენ თავიანთ წარმოებას. ესაა—თავისებური არისტოკრატია ხელობაში; მაგრამ ის თავდაპირველათ დამყარებული იყო არა ჩამომავლობაზე, არამედ ხელოსნურ დახელოვნებაზე, ხელობის ცოდნაზე. ყველა ხელოსანს შეუძლია ოსტატის სახელწოდება შეიძინოს, თუ ენერგიასა და ნიჭს გამოიჩენს. ამისთვის მან პირველათ რამდენსამე წელს რომელიმე ოსტატთან შეგირდათ უნდა იმსახუროს; შემდეგ დაიჭერს ქარგლობის „ეგზამენს"; მაგრამ ეს კიდევ არ აძლევს მას უფლებას საკუთარი სახელოსნო გააღოს: ის ვალდებულია რამდენიმე წელი ქირაზე იმუშაოს; ამის შემდეგ უნდა დაიჭიროს საოსტატო ეგზამენი და მხოლოდ მაშინ მიიღებს დამოუკიდებლათ საქმის წარმოების უფლებას. საზოგადოებრივ საქმეებში მისი უფლებანი, მის ეკონომიურ მდგომარეობის ამაღლებასთან ერთათ, იზრდება.

ცხადია, ამ სისტემის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ის ასუსტებს და სპობს სახელოსნოთა რიცხვის სწრაფი

გამრავლების გამო წარომდგარ გამწვავებულ კონკურენციას, ჯიბრსა და მოცილეობას ხელოსანთა შორის.

ოსტატთა შორის კონკურენციის შესუსტებისაკენაა აგრეთვე მიმართული ბევრი სხვა ცეხურ დაწესებულებათა მოქმედება. ასე, დაქირავებულ მუშების—ქარგლებისა და შეგირდების—რიცხვი ჩვეულებრივ პატარა რიცხვით ისაზღვრება—2, 3, 5, იშვიათად მეტი კაცით. ხელოსანს არ შეუძლია, მაშასადამე, თავისი დაწესებულება თავის ნებისამებრ გააფართოვოს, არ შეუძლია, გაძლიერებული თანამშრომლობისა და შრომის დაყოფის შემწეობით, მასში შრომის ნაყოფიერება გაადიდოს; არ შეუძლია ამ საშუალებით ბაზრიდან განდევნოს და ულუკმაპუროთ დასტოვოს სხვა ხელოსნები. იმისი დაწესებულება სამუდამოთ წვრილი უნდა დარჩეს, ესაა იმისი ხვედრი. ბაზარი ამ მიზეზთა წყალობით ყველასა ჰყოფნის.

რადგან დაქირავებული მუშა ნაკლებია, ამიტომ მათი შრომისაგან აღებული მოგება არა კმარა იმისთვის, რომ ოსტატმა გაუქირვებლათ ცხოვრება შესძლოს და მხოლოდ საორგანიზატორო როლით განსაზღვროს თავისი შრომა: ის იძულებული ხდება ქარგლების ოდენაც იმუშაოს; ამის გამო ცეხების ცხოვრების პირველ ხანებში, სანამ ახალი ძალები გაჩნდებოდენ, რომლებიც ძველ ფორმებს ანგრევენ, ოსტატსა და მის მუშებს შორის განწყობილება საკმაოთ მეგობრული და ოჯახური ხასიათისა იყო.

შემდეგ, კონკურენციაში უთანასწორობის მოსასპობათ, წესდებით სასტიკათ განსაზღვრული იყო სამუშაო დღის სიგრძე და სამუშაო დღეების რიცხვი წელიწადში. ამასთან არავითარი განსხვავება არაა სამუშაო დღის სიგრძეში ოსტატისა და მისს ხელქვეითთავის, რადგან ორივენი მუდამ ერთათ მუშაობენ. ეს სამუშაო დროს სიგრძე სხვადასხვა ცეხთა წესდებაში სხვადასხვაა, ჩვეულებრივ 50—60 საათი კვირაში (მეთხუთმეტე საუკუნეში ინგლისში—დღეში 8 საათი). ამასთან

კათოლიკეთა მრავალ უქმეებს ხშირათ ზედ ერთვის ყოველ კვირაში კიდევ ორშაბათიც.

წესდებებში სწორათაა გარკვეული მუშების ჩვეულებრივი სამუშაო ხელფასიც, საქონლის ფასიცა და ის თვისებანიც, რომლებიც საქონელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რომ ოსტატს შეეძლოს მისი გაყიდვა.

წარმოება რეგლამენტებითაა განსაზღვრული, ყოველ წვრილმანების შესახებაც წესებია შემოღებული. ამ რეგლამენტაციის აზრი ერთია, სახელდობრ ის, რომ ყველამ და თვითოეულმა ერთნაირათ და ერთგვარ პირობებში აწარმოოს თავისი წარმოება; არავის არა აქვს იმის უფლება, რომ მეტი ან უმჯობესი საქონელი დაამზადოს, ვინემ სხვები ამზადებენ. თავის-თავათ ცხადია, რომ ეს წესები თანდათან შემოდიოდენ ცხოვრებაში და ვითარდებოდენ იმის მიხედვით, თუ რა ძალას იჩენდა კონკურენცია, რამდენათ უფრო საგრძნობელი ხდებოდა მისი სიმწვავე.

რომ თავის განსაზღვრულ ბაზარში მაინც საბოლოოთ მოესპოთ კონკურენცია საამქრო ოსტატთა შორის, საქალაქო კანონები წარმოებისა და ვაჭრობის მონოპოლიას ქალაქებში ცეხებს აძლევდენ. ვინც კი მოისურვებდა ქალაქში რაიმე ხელობის დაწყებას, პირველათ ადგილობრივ ცეხში უნდა ჩაწერილიყო—რა თქმა უნდა, თვითონ ცეხის თანხმობით. ასეთ ახალ წევრთა მიღებისათვის საცეხო წესდებაში მოყვანილი იყო პირობები და ფორმები, რომელნიც ზოგან მეტათ და ზოგან ნაკლებათ ხელის შემშლელი და შემავიწროებელი იყვენ ჩაწერის მოსურნეთათვის.

გარდა იმ დადგენილებებისა, რომლებიც წარმოების რეგლამენტაციას აკანონებდენ, საამქრო წესდებებში არიან შეტანილი წესები მძიმე და ძლიერი გაჭირვების დროს საამქრო წევრების საურთიერთო დახმარების შესახებ. წვრილი მწარმოებლებისათვის საამქრო ორგანიზაციის მოქმედების ამ მხარესაც არა მცირედი მნიშვნელობა ჰქონდა.

თითქმის თავდაპირველიდანვე საამქრო ორგანიზაციებში იმალება ერთი ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც შემდეგ ხანებში შესამჩნევათ ვითარდება: ესაა—-ერთის მხრით ოსტატებისა და მეორეს მხრით—ქარგლებისა და შეგირდების ინტერესთა წინააღმდეგობა. საამქრო წესდებებს გათვალისწინებული აქვთ საზოგადოთ ოსტატთა, ამ წესდებისშემდგენთა ინტერესები; აქედან წარმოსდგება, მაგ., სხვადასხვაგვარი შევიწროებანი, რომელსაც განიცდის ოსტატათ გახდომის მსურველი ქარგალი. მაგრამ სანამ სახელოსნოს ყოველ მუშას ჰქონდა იმის იმედი, რომ, ადრე თუ გვიან, ის ოსტატი შეიქნებოდა, მანამდე საამქრო ორგანიზაციის შინაგანი წინააღმდეგობა მკაცრათ არ ჩანდა.

როცა შრომის საზოგადოებრივი განაწილების განვითარება და ცვლის გაფართოება საქალაქო მცირე ოლქების საზღვრებს გასცილდა, მაშინ საცვლელ კავშირების დასაცავათ უწინდელი სასულიერო-ფეოდალური, სამხედრო-ფეოდალური და საქალაქო პოლიტიკური ორგანიზაციები აღარ კმაროდენ. ტერიტორიის ათას წვრილ-წვრილ დესპოტიურ სახელმწიფოებათ დაქუცმაცება აძნელებს მიმოსვლას, ვაჭრების მგზავრობა საშიშრო და ხშირათ საზარალო ხდება: იმის გარდა, რომ განადგურებულ სოფლების საძაგელ გზებზე მგზავრობის დროს, სადაც დამშეული გლეხობაც მუდამ მზათაა საყაჩაღოთ, ვაჭარი ყოველ ფეხის გადადგმაზე აწყდება საყარაულოებს, სადაც მას ბაჟს ახდევინებენ ადგილობრივი სენიორის სასარგებლოთ,—ის მუდამ საფრთხეშია, მუდამ იმის შიშშია, რომ შეიძლება ის რომელიმე ამ ვითომდა მეფეთაგანმა სულ წმინდათ გაძარცვოს, „ჩემი მტრის სამფლობელოდან მოდიხარო,“ ან და სრულიათ უმიზეზოთაც. ამას უნდა დაემატოს კიდევ კანონების სხვადასხვაობა, რომლებითაც ვაჭარს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვანაირათ ასამართლებენ; ფულის სხვადასხვაობა, რომლის მოჭრის უფლებაც ყველა ფეოდალს ჰქონდა. ამ საშიშროებათა და არევ-დარევის გამო საზოგადოებისთვის აუცილებელი აღებ-მიცემობა არა იშვიათად თითქმის სრულიათ შეუძლებელი ხდებოდა.

ამნაირათ იბადება აუცილებელი მოთხოვნილება ფართო, მტკიცე და შეურყეველ, ცენტრალისტურ-პოლიტიკურ ორგანიზაციების შექმნისა, რომელთაც შეეძლებოდათ თავისი სამხედრო ძალით ფეოდალების უკულმართობისა და ალვირ-წახსნილობის ალაგმვა, საზოგადოებრივი წეს-რიგისა და მშვიდობიანობის დამყარება, შეტანა რაიმე „ერთობრივობისა" ცვლის შესახებ კანონებში, მთლიანობისა და ერთგვარობის დაწესება, ერთი ფულისა, საზომისა და საწყაოს შემოღება, შარა-გზების გაყვანა და სხვადასხვა ქვეყნებში ვაჭრების დაცვის რიგიანათ მოწყობა.

კათოლიკეთა ეკლესია უძლური აღმოჩნდა ყველა ამაების შესრულებაში. იმისი ძლიერება, იმისი ავტორიტეტი ცვლის განვითარებასთან ერთად სუსტდება. ცვლისა და ფულის ძალამ ღრმა ცვლილებანი შეიტანა სამღვდელოების საზოგადოებრივ როლში; როდესაც ეკლესიის ნატურალური მეურნეობა საცვლელ მეურნეობით შეიცვალა, სამღვდელოებაშიაც ისეთივე ცვლილება მოხდა, როგორც სხვა ფეოდალებში. სიმდიდრის დაგროვების წყურვილმა შესამჩნევათ შეამცირა კათოლიკეთა სამღვდელოების საზოგადოებრივ-სასარგებლო მოქმედება და, პირიქით, შესამჩნევათ გააძლიერა მისი ექსპლოატატორული მისწრაფებანი. ეკლესიის საზოგადოებრივმა გავლენამ, მისმა ბატონობამ ადამიანის აზროვნებაზე იკლო, მით უმეტეს, რომ ადამიანიც სხვანაირი შეიქნა, ვინემ წინეთ იყო. მიმოსვლამ გააფართოვა მისი გონების ჰორიზონტი, გაფანტა სიბნელე, ძირი გამოუთხარა კონსერვატიზმს, გააღვიძა გონება, კრიტიკული ნიჭი; მატერიალურ ინტერესთა ძალამ ახალგაზრდა აზროვნება კათოლიციზმის,—ამ მყვლეფელთა იდეიური საფუძვლის—წინააღმდეგ მიმართა და მით ეკლესიის გავლენისა და ავტორიტეტის მოსპობა-გაუქმებას შეუდგა.

საშუალო საუკუნოების მეორე ნახევარში განუწყვეტლივ ჩნდება ახალ-ახალი მწვალებელთა მოძღვრებანი. პაპები მათ გაათრებულნი ებრძვიან და ამ ბრძოლაში ჰკარგავენ თავის უმთავრეს ძალას—მასსის თანაგრძნობას.

ქალაქების რესპუბლიკებმა ვერ გამოიჩინეს იმდენი ნიჭი და უნარი, რომ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციები შეედგინათ და ცხოვრებას სათავეში მოქცეოდენ. მართალია, ზოგიერთი ქალაქები ცდილობდენ ასეთი ორგანიზაციების შექმნას გაცვლა-გამოცვლის გასაძლიერებლათ და ურთიერთის დახმარებით საკუთრების შესანარჩუნებლათ (სავაჭრო ქალაქების კავშირები, მაგ. განზისა), მაგრამ დროთა ვითარებაში ძალის ნაკლებულობა და შინაური მთლიანობის სისუსტე მალე იჩენდა თავს. ცალკე ქალაქებმა ვერ შესძლეს თავის ადგილობრივ ინტერესებს გასცილებოდენ, და მხოლოდ თავიანთ მოკავშირეების გაყვლეფას ცდილობდენ,- -ამათაც, ცხადია, თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაცვაზე უნდა ეზრუნათ. ამასთან, ქალაქების ორგანიზაციების სისტემა ხელს არ უწყობდა ისეთ საქმის შესრულებას, როგორიცაა „ქვეყნების შემოკრება“: მათი მმართველობა იმდენათ ცენტრალისტურათ მოწყობილი და, მაშასადამე, იმდენათ ძლიერი არ იყო, რომ ამ მიზნის მიღწევა შესძლებოდა.

ამნაირათ, სამხედრო-ფეოდალურ სისტემას დროთა ვითარებამ დაავალა „ისტორიული“ მისსიის შესრულება—თავის წიაღში ახალი ძალის წარმოშობა, ისეთი ძალისა, რომელსაც შესძლებოდა „დიდსა და ბარაქიანს ქვეყანაში“ წეს-რიგის დამყარება. მასში მართლაც აღმოჩნდენ ამის შესაფერი ელემენტები.

წვრილი ფეოდალების განხეთქილება, შინაური ბრძოლა, შური და მტრობა ერთი-მეორესთან და ქალაქებთან—ძლიერ სასარგებლო და ხელსაყრელი შეიქნა მსხვილ ფეოდალ თავადებისათვის და განსაკუთრებით კოროლებისთვის (მეფეებისთვის). მათ იწყეს ნელნელა „ქვეყნების შემოკრება“ თავის მფლობელობის ქვეშ: ისინი ამარცხებდენ წვრილ ფეოდალებს და იმათ მამულ-დედულს თავის საბრძანებელს უერთებდენ.

ფეოდალები თავგამოდებით, ენერგიულათ ებრძოდენ თავიანთ ძლიერ სიუზერენის მხრივ ასეთ წართმევა-მითვისებას, მაგრამ

ამ უკანასკნელებს მალე ძლიერი, სანდო და ენერგიული მოკავშირე გამოუჩნდათ,—ეს იყო ფეოდალებზე გადამტერებული მოქალაქეები. ქალაქებთან კავშირმა დიდი მატერიალური საშუალებანი მისცა კოროლებს, რომლის მსგავსიც მათ მოწინააღმდეგეებს არ მოეპოვებოდათ. კოროლებმა შემოიღეს მუდმივი ჯარები, რომელთა მეოხებითაც შეძლება ქონდათ ყოველთვის დაეწყოთ ბრძოლა, როცა კი მოისურვებდენ, ფეოდალებისთვის კი ეს ყოვლად შეუძლებელი იყო.

ამასთან კოროლებს დიდი დახმარება აღმოუჩინა სამხედრო ორგანიზაციის პროგრესმა და დააჩქარა იმათი გამარჯვება ურჩებზე: თოფის-წამლის გამოგონებით სრულიათ გამოუსადეგარი და უმნიშვნელო შეიქნა ფეოდალების აქამდე მიუვალი ციხესიმაგრეები და მათი ფოლადის საჭურველიც. ფეოდალმა დაჰკარგა „დაუმარცხებელი“ მეომრის სახელი მაშინ, როდესაც დაჰკარგა საზოგადოებრივ-სასარგებლო როლი წარმოებაში. დამარცხებული ფეოდალები ან კოროლის სამსახურში შედიან, ან უბრალო მემამულეებათ რჩებიან.

კათოლიკური ეკლესიაც, სხვა ფეოდალების მსგავსათ, ცხადია, თავის ნებით, უბრძოლველათ არ დაუთმობდა ახალ ძალას თავის პირველობას, თავის ორგანიზატორულ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხანდისხან სამღვდელოება კიდეც ახერხებდა სერიოზულ გამარჯვების მოპოვებას მონარქებთან ბრძოლაში.

საშუალო საუკუნოების მიწურულში ეს ბრძოლა დასრულდა კოროლების გამარჯვებით. ასე თანდათან წარმოიშვენ ძლიერი აბსოლიუტურ-მონარქიული ორგანიზაციები, რომლებსაც შეეძლოთ, დროებით მაინც, უზრუნველეყოთ ვაჭრობის, აღებ-მიცემობის მშვიდობიანი განვითარება.

### 3. წვრილ-ბურჟუაზიულ ხანის საზოგადოებრივი ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებანი.

პიროვნების განვითარებას წვრილ-ბურჟუაზიული საზოგადოება გაცილებით უფრო მეტ თავისუფლებას აძლევდა, ვი-

ნემ სხვა რომელიმე ნატურალურ საზოგადოებათაგანი. მაგრამ განვითარების პირობები ერთნაირი არაა ამ საზოგადოების სხვადასხვა კლასებისთვის: ზოგი კარგ პირობებშია ჩაყენებული, ზოგი კი ცუდში.

სამიწათმოქმედო ქვეყნებში, სადაც საცვლელი მეურნეობა ფეოდალურ ქერქში გახვეული გამოდიოდა, პიროვნების განვითარება უკიდურესათ ვიწრო ფარგლებში იყო ჩაყენებული. ფეოდალიზმის ბატონ-ყმური ურთიერთობა, რომელიც ბევრში წმინდათ მონობას გავდა, ცვლის განვითარების ხანაში ძლიერ ჩაგრავდა მწარმოებელს, წუწნიდა მას უკანასკნელ სასიცოცხლო ენერგიას და ამით განვითარების ძალას უსპობდა. რაც შეეხება თვითონ ფეოდალებს, რომლებიც ასეთ დაჩაგვრა-შევიწროებისაგან თავისუფალი იყვენ, იმათთვის განვითარების შესაძლებლობა შემოფარგლული იყო სულ სხვა მიზეზების გამო. რამდენათაც ისინი კარგავდენ თავის უწინდელ საზოგადოებრივ-საწარმოო როლს და თავის მოქმედებას მარტო „განაწილებასა“ და ხმარებას ანდომებდენ, იმდენათ მათი განვითარებაც უნაყოფო, პარაზიტულ მიმართულებას იღებდა.

ამნაირათ, მიწათმომქმედ კლასებს არ შეეძლოთ ისეთი ძალა წარმოეშვათ, რომელიც გარდაჰქმნიდა, გადაახალისებდა წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოების შინაგან ურთიერთობას.

ქალაქების თავისუფალი მრეწველი კლასები გაცილებით უფრო უკეთეს პირობებში იმყოფებოდენ. მათთვის არ არსებობდა დაჩაგვრა-შევიწროება გარეშე მტრისაგან, ხოლო საზოგადოებრივ წარმოებაში მათი ძლიერ სასარგებლო როლის გამო, იმათი განვითარების გზა გახსნილი იყო. მაგრამ აქაც უნდა გავარჩიოთ ორი ჯგუფი, რომელიც ერთნაირ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა,—ესენია საკუთრათ ხელოსნები და მოვაჭრეები.

წვრილი ხელოსნისათვის, რომელიც ცეხის წევრათ ითვლება, თავის-თავათაც ვიწრო სამოქმედო ასპარეზი კიდევ უფრო ვიწროვდებოდა საცეხო წესების მეოხებით. მისი სამოქმედო სფერა ვიწროა იმიტომ, რომ ისაზღვრება ერთი რომელიმე

ხელობითა და მცირე შინაური მეურნეობით; მას საზღვრავენ აგრეთვე საცეხო ურთიერთობანი და ერთი ქალაქის ფარგლებში ამწყვდევენ, სადაც ცეხს მონოპოლია აქვს ხელში ჩაგდებული, და ამით ხელს უშლიან საწარმოო ტეხნიკის განვითარებას მრავალი დადგენილებებით, რომელნიც მიმართულნი არიან თავისუფალი კონკურენციის წინააღმდეგ, და ასე აბრკოლებენ პიროვნების მიერ თავის საწარმოო დაწესებულების გაფართოებას.

ცეხის ხელოსანი ყველგან საცეხო რეგლამენტებითაა შებოჭვილი; მან ისე უნდა მოაწყოს წარმოება, როგორც სხვებია, და, მაშასადამე, ისე იცხოვროს, როგორც სხვები ცხოვრობენ; ის ვერ გაბედავს თავის თავზე მაღლა დადგეს, ვერ გაბედავს რაიმე საყურადღებო გაუმჯობესების შემოღებას თავის წარმოებაში, ვერ გაბედავს გააფართოვოს თავისი წარმოება და სხვ.

სხვა პირობებში ცხოვრობს და მოქმედებს ვაჭარი. მისი საქმე, მისი სპეციალობა—ეს სხვადასხვა საქონლის ნაწარმოებთა უკანასკნელი ოპერაციაა, ე. ი. იმათი გადატან-გადაზიდვა და იმ ალაგას მიტანა, სადაც ისინი მოსახმარათ არიან საჭირო. ეს სპეციალობა თავის-თავათ, შედარებით, ფართო სამოქმედო ასპარეზს იძლევა, ცხოვრების მრავალ სხვადასხვაგვარ ფორმებს აცნობს ვაჭარს, აიძულებს მას შეეგუოს, შეეთვისოს სხვადასხვა დროს, არეს და სხვ. ამავე დროს ვაჭრის მოქმედება, არსებითათ, ნაკლებ ემორჩილება გარეშე შევიწროებას; არ შეიძლება მისი ტეხნიკის ისე დამორჩილება რეგლამენტაციისთვის, როგორც სხვა რომელიმე ხელობის ტეხნიკისა. შემდეგ, ვაჭარს უფრო ხშირი და მეტი საქმე აქვს ფულთან, ვინემ სხვას; ფული კი, როგორც ზევით იყო ახსნილი, იწვევს და ანვითარებს უსაზღვრო ლტოლვილებას დაგროვებისადმი; ეს კი ნიშნავს ვაჭრისთვის მისი მოქმედების უსაზღვრო გაფართოვებას. ხელოსანი კი, ამის წინააღმდეგ, თავის მთავარ ძალას ცხოვრების ერთ დონეზე გაჩერებას ანდომებს, თავის მო-

ქმედების მიზნათ ეს დაუსახავს. ყველა ამის გამო ვაჭარი წვრილ-ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საერთო პროგრესში აუცილებლათ წინ უსწრებს ხელოსანს, და ამიტომ, როგორც ქვევით დავინახავთ, იგი წვრილ-ბურჟუაზიული სისტემის ნამდვილ განმაახლებელის როლს ასრულებს.

მსოფლმხედველობის საზოგადოებრივ ფორმებს წვრილ-ბურჟუაზიულ ხანაში გარდამავალი ხასიათი აქვს. ერთი მხრით, ჯერ კიდევ შენახულა ძველი ნატურალური ფეტიშიზმი, მეორე მხრით—იფურჩქნება და ვითარდება ახალი, განსხვავებული ფეტიშიზმი—ფეტიშიზმი საქონლისა.

ნატურალური ფეტიშიზმი აქ დაცულია რელიგიური მეტაფიზიკის სახით. იმას არ შეუძლია ჯერ გაჰქრეს, იმიტომ, რომ წვრილ-ბურჟუაზიული საზოგადოება არაა ის საზოგადობა, რომელიც საბოლოოთ იმარჯვებს ბუნებაზე, საბოლოოთ ანთავისუფლებს ადამიანს იმისი მბრძანებლობისაგან,—წვრილი წარმოება არ კმარა ამისთვის.

მთელი საზოგადოებრივი კლასი, ენერგიული და ძლიერი, დიდის სიფრთხილითა დაგულ მოდგინეთ იცავდა ნატურალური ფეტიშიზმის ნაშთებს. როდესაც კათოლიკეთა სამღვდელოების ექსპლოატატორულმა როლმა გადააჭარბა იმის საზოგადოებრივ-ორგანიზატორულ როლს, მაშინ კათოლიციზმმა შესცვალა თავისი დამოკიდებულება მეცნიერებასთან. მაშინდელ საზოგადოებრივ გონებაზე ფრიად სასარგებლო მბრძანებლობის შესანარჩუნებლათ, სასულიერო ფეოდალებმა მტრულის თვალით დაუწყეს ცქერა ყოველგვარ მტკიცე და ჭეშმარიტ შეგნებას, სინამდვილის მეცნიერულათ შესწავლას. სამღვდელოებაში სუსტდება ინტერესი ძველ კლასიკური მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნაშთებისადმი, რომლის შემნახველათ და მატარებლათ ამდენ ხანს ის ითვლებოდა. ახლა ის აცხადებს, რომ მეცნიერება და ფილოსოფია საჭირო არ არის რელიგიის შემდეგ, „როგორც ბრწყინვალე მზის სინათლეზე საჭირო არაა მკრთალი ფანარის ანთება“. კათოლიციზმი მოუხეშავ ცრუმორ-

წმუნოებათა სისტემათ გადაიქცა. ის აფრთხობს საშინელებებით ბნელ და სუსტ გონებას, და ამრიგათ მას თავის მბრძანებლობის ქვეშ აყენებს. უაზრო, სასტიკი დევნა ყველა გრძნეულების, კუდიანებისა და ჯადოსნებისა სწორი და საუკეთესო დამახასიათებელია ამ ხანაში კათოლიკეთა ეკლესიის ცხოვრებისა.

რა თქმა უნდა, ამ პირობებში ნატურალური ფეტიშიზმი დიდხანს არ უთმობდა ალაგს მოვლენათა მიზეზების შეგნებას. თუ რა ზომამდე მაგრათ ჰქონიათ ფესვი გადგმული ძველი ფეტიშიზმის ნაშთებს, ეს იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ მაშინ, მაგ., არსებობდენ და ჰყვავოდენ ისეთი ფეტიშისტური მეცნიერებანი, როგორიცაა ასტროლოგია და ალქიმია.

რაც შეეხება საცვლელ მეურნეობის ფეტიშიზმს, ის იყო გამოხატულება ახალი ძალა-უფლობისა—საზოგადოებრივ ურთიერთობათა მბრძანებლობისა, რომელიც ემორჩილება ადამიანს საცვლელ მეურნეობის დროს.

ალებ-მიცემობაში, ცვლაში იხატება შრომის განაწილება ადამიანთა შორის. მაგრამ ესაა შრომის მოუწესრიგებელი განაწილება და სწორეთ იმის ამ მოუწესრიგებლობიდან გამომდინარეობს ის, რომ მწარმოებლები ვერ ეგუებიან ახალ ურთიერთობას, მის მონათ ხდებიან. ამას რჩება საზოგადოებრივი ურთიერთობის მბრძანებლობა.

საქონლის ფასები, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ემორჩილება ღირებულების კანონს, ე. ი. თავის მუდმივ რყევასა და აწევ-დაწევაში ღირებულებასთან გათანასწორებას ცდილობენ. მაგრამ თვითოეულ მომენტში ისინი, ცოტათ თუ ბევრათ, დაშორებულნი არიან ამ ნორმას, იმიტომ, რომ ღირებულების კანონი გაჰყავს ცხოვრებაში არა შეგნებულ, მომწესრიგებელ ნებას, არამედ სტიქიურ კონკურენციას. თვითოეულ კერძო მომენტში საქონლის მწარმოებელი შეიძლება ბაზრის პირობებთან შეუგუებელი დარჩეს, იმისი საშრომო ენერგია რამდენიმეთ ან სრულიად—უსარგებლო, ამაოდ დასარ-

ჯული აღმოჩნდეს. ამით მისი მონაწილეობა საზოგადოებრივ განაწილებაში შემცირდება, მისი მოხმარება დაიკლებს.

ყველა ამის გამო მწარმოებლისთვის ბაზარი წარმოადგენს გარეშე ძალას, რომელსაც ის უნდა შეეგუოს, მაგრამ მოახერხებს ამას თუ ვერა,—ეს მასზე არაა დამოკიდებული; ასეთივე იყო გარეშე ბუნებაც მისი ათასგვარის საშინელებით ველური მონებისათვის. აქედან წარმოსდგა ორივე სახის ფეტიშიზმი.

ბაზარი თავისივე კონკურენციით, თავისი ხშირად სასტიკი, ულმობელი ბრძოლით სრულიად ფარავს მწარმოებლის თვალიდან იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი კავშირი—საზოგადოების საერთო ბრძოლაა ბუნებასთან. მყიდველი და გამყიდველი, რომლებიც ნამდვილად საზოგადოებისთვის შრომობდენ, ერთმანეთს ხვდებიან ბაზარში არა როგორც წევრები ერთი საზოგადოებისა, არამედ როგორც მოწინააღმდეგე პირები. მწარმოებელმა არ იცის და არც შეუძლია გაიგოს, იმისი შრომა საზოგადოებრივ-სასარგებლო იქნება თუ არა. საქონლის მწარმოებელმა არ იცის და არც შეუძლია გაიგოს თავის ნაწარმოების საზოგადოებრივი ღირებულება, იმიტომ, რომ ეს ჩვეული არაა საქონელი საზოგადოებრივ ნაწარმოებად ჩასთვალოს. უკვირდება რა გაცვლა-გამოცვლას, ის ადგენს თავისებურ წარმოდგენას ღირებულებაზე, ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, საქონლის ჩვეულებრივ ფასზე; მაგრამ ის იმისთვის გაუგებარი მოვლენაა. მას არ შეუძლია ახსნას ის საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიის დახარჯვით, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მას წარმოდგენაც არა აქვს იმ შრომის საზოგადოებრივ ხასიათზე, რომელმაც ეს ნაწარმოები დაამზადა, მეორედ იმიტომ, რომ ეს ღირებულება მას ფულის განსაზღვრული რაოდენობა გონია, და არა შრომის განსაზღვრული რაოდენობა. საქონლის მწარმოებლის გონება ვერ ახერხებს, ღირებულება ადამიანის საზოგადოებრივი შრომის ურთიერთობას დაუკავშიროს, მარა, სამაგიეროდ, იგი მას თვითონ საქონელში ხედავს, და ზეზეურად თუ შეხედავთ, ეს სრულიად ბუნებრივად გე-

ჩვენებათ. ვის ხელშიაც უნდა იყოს საქონელი, მისი მწარმოებლისა თუსხვის ხელში, სულ ერთია,—საქონლის ღირებულება ამით არ იცვლება. აქედან ადვილათ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ღირებულება—ეს საქონლის თვისებაა, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი ხდება მისი გაცვლა ფულის განსაზღვრულ რაოდენობაზე, რომ ეს თვისება საქონელს აქვს თავის-თავათ, კაცისაგან და საზოგადოებისაგან დამოუკიდებლათ, რომ, საზოგადოთ, ესაა **ბუნებრივი თვისება საქონლისა.** საიდან ჩნდება ეს თვისება, რით ისაზღვრება იგი —საქონლის პატრონი ამას არ იძიებს; იმისთვის ცულის საცვლელი ღირებულება არის ორი მანათი და მეტი არაფერი; ის არაფრისაგან არაა დამოკიდებული, ის არსებობს ცულში თავის-თავათ, როგორც ნატურალური ფეტიშისტისათვის არსებობს ცულის სული, რომელიც სულია და მეტი არაფერი. ამაში მდგომარეობს დედა-აზრი საქონლის ფეტიშიზმისა. ეს ფეტიშიზმი ვერ ხვდება იმას, რომ ცვლაში იხატება საზოგადოებრივი ურთიერთობაა ადამიანთა შორის,—და საქონლის ღირებულებას თვითონ საქონლის შინაგან ბუნებრივ თვისებათ თვლის. ამგვარათ, ის, რაც ნამდვილათ წარმოადგენს ადამიანების ურთიერთობას, ფეტიშიზმს ნივთთა ურთიერთობათ ეჩვენება. საცვლელი მეურნეობის ფეტიშიზმი არის, მაშასადამე, სრული წინაალმდეგობა ნატურალური ფეტიშიზმისა, რომელსაც ნივთთა ურთიერთობაც ისეთი ეგონა, როგორიც ადამიანთა ურთიერთობა იყო.

საცვლელ მეურნეობის ფეტიშიზმის გავლენა ადამიანის აზროვნებაზე ბევრათ, ძლიან ბევრათ შორდება ცვლის პროცესის ფარგლებს. ამ ეპოქის მთელი მსოფლმხედველობა ამ ფეტიშიზმის გავლენის ქვეშ იმყოფება და მისგან იღებს თავისებურ ელფერს. ნატურალური ფეტიშიზმი ცდილობდა თვითოეულ მოვლენისათვის ჩაედგა ცოცხალი სული, სწორეთ ისეთი, როგორც პატრიარქალურ ჯგუფს, და ამ ჯგუფს კი ჰყავდა ცოცხალი სული—ორგანიზატორი. საცვლელი მეურნეობის ფეტიშიზმი ათავსებს საქონელში „ღირებულე-

ბას“ —ცარიელ, უბრალო აბსტრაქციას, **მკვდარ** სულს — და მათ კმაყოფილდება ამ კითხვის გადაჭრაში, რომელსაც მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, — როგორიცაა საქონლის მოძრაობის საკითხი. ის აზროვნებას, რომელსაც ადამიანი შეეჩვია მუდმივ და ჩვეულებრივ ურთიერთობათა სფეროში, სრულიად შეუგნებლად და თავის უნებურად გადააქვს მას ყველა სფეროში, სადაც ადამიანს დაკვირვება უხდება. ყველგან, სადაც აზროვნებას სჭირდება მრავალსახოვნობაში ერთიანობა, მთლიანობა აღმოაჩინოს (რაც მის მთავარ დანიშნულებას შეადგენს), ის სარგებლობს ამისათვის ისეთივე უშინაარსო, ცარიელ უსიცოცხლო „ფორმალურ“ ცნებებით. ასე, მაგ., უფლებრივი და ზნეობრივი ნორმები კარგავენ თავის საცოცხლო მნიშვნელობას და „აბსოლუტურს“, ე. ი. განყენებულ-უსიცოცხლო, ხასიათს იღებენ: ისინი თხოულობენ მორჩილებას და ასრულებას მარტო არა იმიტომ, ვითომც ისინი ღმერთების — ქვეყნის ორგანიზატორის ნებას გვიხატავენ, და არც იმიტომ, რომ ვითომ ადამიანების რეალურ ინტერესებს შეეფერებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ისინი **ნორმებია** — მორჩა და გათავდა; მისი შიშველი, განყენებული „იმპერატივი“ მორალურ ცხოვრების ნამდვილ მკვდარ სულს წარმოადგენს. შეგნების ნორმები — ჭეშმარიტებანი — ჰკარგავენ-რა ღვთაებრივ ხასიათს, შორდებიან აგრეთვე ცოცხალ ცდას და ცხოვრებისათვის ბრძოლას, და ნამდვილ, წმინდა ნორმებათ იქცევიან, რომლებისკენაც შეგნება უნდა ილტვოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი — მისი ნორმები არიან და, მაშასადამე, ფრიად სავალდებულონიც, მორჩა და გათავდა. ამ უსულო, უსიცოცხლო აბსტრაქციების მეფობა მეტაფიზიკურსა და კრიტიკულ-ფილოსოფიურ სისტემებში ჰპოულობს თავის სრულ, დამთავრებულ სახეს; ეს სისტემები წარმოადგენენ ამ ახალი ფეტიშიზმის უმაღლეს იდეოლოგიურ ნაწარმოებს.

საცვლელ მეურნეობის ფეტიშიზმში იხატება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბატონობა ადამიანებზე, როგორც ნატურალურ ფეტიშიზმში იხატება — გარეშე ბუნების ბატონობა. სადაც საზოგადოებრივი ადამიანი ისეთ სტიქიურ ძალას ეჯახება, რომლის დამორჩილებაც მას არ შეუძლია და რომელთა-

ნაც შეწყობა-შეგუებას იგი ვერ ახერხებს, იქ იგი თავისთვის აუცილებლათ ფეტიშებსა ქმნის.

რა დასკვნა გამოდის აქედან? ის, რომ ფეტიშიზმი გამოხატულებაა არა მარტო „შეგნების ნიჟის“ სისუსტისა, და უძლურებისა, არამედ სამერმისო ბრძოლაზე ხელის აღებისა, ამით ბრძოლის სრული უარყოფისაც. ფეტიშის მიზეზით შეგნება ჩერდება, იყინება. ამიტომ იქ ადამიანის შეგნებულ ურთიერთობათა განვითარება შეუძლებელია, — ეს ურთიერთობანი ფეტიშისტურათ ესმით; იგი სტიქიურათ უნდა განვითარდეს ისე, როგორც სტიქიურათ ვითარდება ტეხნიკა ნატურალურ ფეტიშიზმის ბატონობის დროს. სტიქიური განვითარება კი აუცილებლათ იწვევს აუარებელ ტანჯვა-წვალებას და ძლიერ ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ასეთია გამცვლელ საზოგადოების ურთიერთობათა განვითარება.

მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის ცოდნა, გამოცდილება და უნარი, ის მასალა, რომელიც წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებას მოეპოვება თავის განვითარებისათვის, გაცილებით უფრო მდიდარი, ფართე და მრავალფეროვანია, ვინემ ის, რომელიც ნატურალურ საზოგადოებათა განკარგულებაში იყო. ამიტომ ტეხნიკის პროგრესი და, მასთან ერთათ, საზოგადოებრივი ურთიერთობათა სტიქიური განვითარებაც წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაცილებით უფრო სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოების ეკონომიური შეხედულებანი პირდაპირი გამომხატველია საცვლელ მეურნეობის ფეტიშიზმის თანდათან განვითარებისა. ამავე დროს ისინი გვისურათებენ წვრილ-ბურჟუაზიის ინტერესებს და ზნე-ჩვეულებებს, რომელთაც ჯერ კიდევ ფეოდალური ხანის იდეიური „ნაშთებიც“ ურევია.

ამ ეპოქის ეკონომიური ლიტერატურა მეტათ ღარიბია. მე-XVI საუკუნემდე ის თითქმის არც კი არსებობდა. მოიპოვება მხოლოდ განცალკევებული, შემთხვევითი ცნობები სხვადასხვა მწერლების შეხედულების შესახებ ამა თუ იმ ეკონომიურ ფაქტებზე. ამ ცნობების შედარები-

თი სიღარიბე აიხსნება იმით, რომ საზოგადოების უფრო ინტელიგენტურ ნაწილს, ნაკლებათ აინტერესებდა ეკონომიური ცხოვრების მოვლენები, — მაშინ მწერლების მეტ ნაწილს სასულიერო პირები შეადგენდენ, — და რამდენიმეთ, აგრეთვე, იმით, რომ საზოგადოების ცხოვრებაში ცვლილებები ძლიერ ნელა და გვიან-გვიან ხდებოდა. ყოვლის უწინარეს — მკვლევართა ყურადღებას სწრაფათ მიმდინარე პროცესები, მკაფიოთ გამომხატველი ცვლილებანი იპყრობენ ხოლმე; აი რატომაა, რომ ნატურალური საზოგადოებამ, რომლის საზოგადოებრივი ფორმებიც მეტად ნელი მსვლელობით ვითარდებოდა, სრულიად ვერ შესძლო ეკონომიური მეცნიერების შექმნა; წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იბადებიან და იფურჩქნებიან ნასახები ამ მეცნიერებისა, ხოლო სწრაფ და მოძრავ კაპიტალისტურ საზოგადოებაში კი ის დიდ მნიშვნელობას იძენს ცხოვრებაში და, შედარებით, დიდათ მაღალ განვითარებას მიაღწევს.

ცნობები მცვლელი საზოგადოების განვითარების დასაწყისში გამეფებულ ეკონომიურ შეხედულებათა შესახებ გვხვდება ღვთისმეტყველ მწერლების ნაწერებში: ახალი საზოგადოება ხომ ძველი, ფეოდალური საზოგადოებისაგან წარმოიშვა და დაიბადა, სადაც სასულიერო წოდების ორგანიზაციათა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ბატონობამ მთელ ლიტერატურას საღვთისმეტყველო ელფერი დაადვა. ამნაირათ, ერთ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენენ თომა აკვინელის თხზულებანი (XIII საუკ.).

თუმცა თომა აკვინელი უკვე ნახევრათ მცვლელ საზოგადოებაში ცხოვრობს, მაგრამ მთელი მისი სიმპატია ფეოდალ-ნატურალურ საზოგადოებას ეკუთვნის. მისი იდეალია — ნატურალური მეურნეობა, რომელსაც საქონლის ცვლა არ ესაჭიროება. მაგრამ ძალაუნებურათ იგი მაინც დიდ მნიშვნელობას აძლევს საცვლელ ურთიერთობის, საქონლის ფასების, ვაჭრის მოსაგების, მევახშის შემოსავლის და სხვ. საკითხებს. ამ კითხვებში იგი მცვლელი ფეოდალებისა და წვრილი ხელოსნების შეხედულებათა გამომხატველია.

სიმდიდრის და შემოსავლის ერთად-ერთ კანონიერ წყაროთ თომას შრომა მიაჩნია. იმის აზრით მარტოოდენ შრომას აქვს თავის-

თავისი ღირებულება და შრომა აძლევს მას სხვა საგნებსაც. აქ მას ძლიერ ნაკლებათ, ძლიერ ცოტა ემჩნევა საქონლის ფეტიშიზმი, რომელიც ამბობს, რომ ღირებულება—არის ღირებულება საქონლისა, დაუცილებელ შინაგან თვისებას წარმოადგენსო.

საქონლის ფასების შესახებ თომა ამბობს შემდეგს: გაყიდვის დროს არ შეიძლება იმ მისწრაფებით ვიხელმძღვანელოთ, რომ მყიდველს, რაც შეიძლება, მეტი გამოვართვათ, იმიტომ, რომ თვითოეულ საქონელს აქვს თავისი „სამართლიანი ფასი“. ეს ფასი უნდა იყოს ისეთი, რომ იმან შესძლოს შრომის სავსებით დაჯილდოვება, და შეძლება მისცეს საქონლის გამყიდველს თავის საზოგადოებრივ მდგომარეობის შესაფერათ იცხოვროს. ამ თვალსაზრისით უცქერის ის გლეხებსაც, ხელოსნებსაც და ფეოდალებსაც. სწორეთ ასევე უცქერის იგი ვაჭრის მოგებას და სამართლიანათ მიაჩნია ის იმდენათ, რამდენათაც იგი აინაზღაურებს გადატან-გადმოტანაზე დახარჯულ შრომას და ვაჭარს ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებას აძლევს; მაშასადამე, მისთვის ვაჭარი არაფრით არ განსხვავდება ხელოსნისაგან. მის მსჯელობას სამართლიანი ფასების შესახებ, რომელიც საზოგადოებრივ მდგომარეობის მოთხოვნილებებით უნდა იზომებოდეს, აშკარათ ემჩნევა წოდებრივობის ბეჭედი, რაიცა საშუალო საუკუნოების დამახასიათებელი თვისებაა.

მევახშეობას თომა საშინელ მტრულათ და ზიზღით იხსენიებს: მევახშისა და მისი მოვალის ინტერესთა წინააღმდეგობა მუდამ ძლიერ ადვილი საგრძნობელია. გლეხებიც, ხელოსნებიცა და თვით ფეოდალებიც ძლიერ იტანჯებოდენ მევახშეებისაგან. ჩვეულებრივ ამ ხანაში მევახშისაგან სესხს იღებდენ არა წარმოებისათვის, არამედ პირადათ დასახარჯავათ, მოსახმარათ: ამნაირათ, მევახშე საზოგადოების თვალში სხვისი უბედურების მიზნათ და ექსპლუატატორათ გამოდიოდა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ კიდევ, რომ თვითონ მევახშეთა კლასი ახლა გაცილებით ნაკლებ გავლენიანი იყო, ვინემ ძველ ქვეყნებში, სადაც მათ რიგში მრავალი მდიდარი გავლენიანი და წარჩინებული პირი იდგა; საშუალო საუკუნოებში მხოლოდ მოქალაქეების ნაწილი (უმთავრესათ ებრაელები) და ზოგიერთი კათოლიკეთა მღვდლები ეწეოდენ ასეთ-

„მოღვაწეობას“. და აი, ამიტომ საზოგადოებრივი აზრიც ზიზღით უცქეროდა მევახშეებს და სამოქალაქო კანონებიც დიდხანს სდევნიდნენ მათ.

პოლიტიკური ძალა-უფლების ეკონომიურ ცხოვრებასთან დამოკიდებულების შესახებ თომას შეხედულობა მისი დროის საქმის ნამდვილ მდგომარეობის გამომხატველია. საბატონო მამულის ცხოვრებაშიაც და ქალაქურ ცხოვრებაშიაც, ადამიანთა ურთიერთობა ყველგან სასტიკი რეგლამენტის შემწეობით იყო განსაზღვრული. თავის-თავათ ცხადია, რომ თომა აკვინელი სახელმწიფო მმართველობას მეტად ფართე უფლებებს აძლევს საზოგადოების ეკონომიურ მოქმედებაში ჩასარევათ.

საზოგადოთ, თომას შეხედულებანი წვრილ-ბურჟუაზიული ქვეყნის დასწყისს ეკუთვნიან. ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ის კიდევ არ აძლევს ისეთ დიდ მნიშვნელობას ფულს, როგორიც მან მოიპოვა შემდეგ, უფრო განვითარებულ წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოების წარმომადგენელთა თვალში.

სავაჭრო ურთიერთობათა სისტემაში ფული უპირატესობით აღჭურვილი საქონელია, რომელსაც არ ეშინია მოთხოვნის აწევ-დაწევის, როგორც სხვა საქონელს. ფული საქონლის მწარმოებლისათვის ღირებულების საზომია, მისი სრული განხორციელებაა. სიმდიდრისადმი ლტოლვილება ასეთ მწარმოებლისათვის ნიშნავს ფულის მოგროვებას. განუვითარებელ გონებას თავისი წარმოდგენა ფულზე, როგორც ერთად-ერთ ჭეშმარიტ სიმდიდრეზე, სავსებით გადააქვს მთელ საზოგადოებაზე.

რადგან, საყოველთაო რეგლამენტაციის გამო, იმ დროის წვრილ ბურჟუას არ შეეძლო თავისუფლათ გაეფართოვებია თავისი წარმოება, იგი იძულებული შეიქნა ფულის დაგროვების წყურვილი სხვა გზით დაეკმაყოფილებია. ამ მიზნით ის ამცირებს თავის პირად მოთხოვნილებებს, რომ ამით შეამოკლოს ფულის ხარჯი მეურნეობაში. ასეთივე მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ საზოგადოებრივ მეურნეობაშიაც.

როდესაც მეფე რიჩარდ მე-II (1400 წ.) შეეკითხა ლონდონის სახელოსნო-სავაჭრო კორპორაციებს, — რა საშუალებით შეიძლება

ხალხის კეთილმდგომარეობის ხსნა დალუპვისაგანო. მათგან ამგვარი პასუხი მიიღო: „უნდა ვეცადოთ უცხო ერებიდან იმაზე ნაკლები ვიყიდოთ, რამდენსაც ჩვენ მათზე ვყიდით". ამგვარი შეხედულებიდან გამომდინარეობდა პოლიტიკა წვრილმან და შემავიწროვებელის კონტროლის დაარსებისა, რომელსაც მიზნათ ის ჰქონდა, რომ შემთხვევით საზღვარ-გარეთ მეტი ფული არ გაეშვა. ასეთია „სისტემა ფულის ბალანსისა", რომელიც შედეგია წვრილ-ბურჟუაზიული მომჭირნეობა-ყაირათისა სახელმწიფო ეკონომიურ ცხოვრებაში.

ამ სისტემის ცხოვრებაში გატარების ერთ ნიმუშათ გამოდგება „ხარჯვის სტატუტი" (ადგილობრივი დებულება ინგლისში), რომელიც თხოულობდა, რომ უცხოელ ვაჭარს მთელ თან-მოყოლილ და მოტანილ საქონელში აღებული ფული ინგლისური საქონლის ყიდვაში უნდა დაეხარჯა. უცხოელ ვაჭრებზე სასტიკი თვალ-ყური ეჭირათ, რომ მათ ამ კანონისთვის გვერდი არ აეხვიათ.

მეორე მაგალითია — სასტიკი კანონები „ფუფუნების" წინააღმდეგ, რაიცა „უბრალოთ ფულის ხარჯვაა და მეტი არაფერი".

საზოგადოთ, სისტემა ფულის ბალანსისა პრაქტიკაში და ლიტერატურაშიაც სულ ერთიანათ გაჟღენთილი იყო რეგლამენტაციისა და მონოპოლიის სულით, რაც საშუალო საუკუნოების მეორე ნახევრის წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოების ნიშნობლივ თვისებას შეადგენდა. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიურ ცხოვრების წვრილმანებში სავსებით ჰგავს ფეოდალის მიერ კონტროლს თავის საბატონოს ეკონომიურ ცხოვრებაზე და აგრეთვე ცეხურ ორგანიზაციების მიერ მრეწველობის შეზღუდვასა და შევიწროვებას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩარევის მიზანია არა მემამულის მეურნეობის ინტერესები, ან ქალაქის მცხოვრებთა ინტერესები, არამედ მეფის ხაზინის ბიუროკრატიულ სახელმწიფოს ინტერესები.

სხვათა შორის, მონოპოლიების გაცემა მაშინდელ სახელმწიფოში ხაზინის შევსების ერთ საუკეთესო საშუალებას შეადგენდა. ჰყიდდა რა ცალკე პირზე, და უფრო ხშირათ კი ამხანაგობაზე, ვაჭრობისა თუ წარმოების რომელიმე დარგის მონოპოლიას, სახელმწიფო ამით ამდიდრებდა თავის ხაზინას და ამავე დროს მისთვის უფ-

რო ადგილი იყო ერთ მონოპოლისტზე თვალ-ყურის დაჭერა, ვინემ მრავალ დამოუკიდებელ მრეწველებისა და ვაჭრებისათვის კონტროლი.

შემდეგ, საქონლის შემოტანის შესამცირებლათ სახელმწიფო მაღალ ბაჟებს აწესებდა შემოსატან საქონელზე, ხანდისხან კი პირდაპირ კრძალავდა ამა თუ იმ საქონლის შემოტანას, რომ მით საბოლოოთ ეხსნა მოქალაქენი უცხოელებისათვის ამ საქონელში ფულის ძლევისაგან.

ფულის ბალანსის სისტემის მომხრე იყო პირველი ეკონომისტი ლიტერატურაში—ვილიამ სტაფფორდი, რომელიც ცხოვრობდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში (მაშასადამე, მაშინ, როცა სავაჭრო კაპიტალი უკვე თვალსაჩინოთ იყო განვითარებული). ჩვეულებრივ ღონისძიებათა გარდა, ის სახელმწიფოს უთითებდა სხვა, უფრო დადებითი ხასიათის ზომებზე, როგორიცაა, მაგ., საქონლის უცხო ქვეყნებში გატანის გაადვილება, საზღვარ-გარეთიდან დახელოვნებული მუშების და ხელოსნების მოწვევა, რომ საჭირო აღარ ყოფილიყო მათი ნაწარმოების საყიდლათ საზღვარ-გარეთ წასვლა. ის ენერგიულათ ებრძოდა ზოგიერთა მეფეების პოლიტიკას, რომელნიც, სახელმწიფოს შემოსავლის გამრავლებისათვის, დაბალი ღირსების ფულსა სჭრიდენ, ასე ვთქვათ, ყალბ ფულს ამზადებდენ. სტაფფორდის აზრით, ფულში ფასობს „არა სახელი, არამედ მათი არსება და რაოდენობა“. რაკი მის დროს ვაჭრობა საკმაოდ განვითარებული იყო, სტაფფორდს შეეძლო, რამოდენიმეთ მაინც, აეხსნა და გაეგო ის ფაქტი, რომ ფული იგივე საქონელია, მხოლოდ განსაკუთრებული როლის ამსრულებელი.

რამდენადაც წინ მიდიოდა ვაჭრობის განვითარება, იმდენათ უფრო შემავიწროვებელი ხდებოდა მისთვის სავაჭრო ბალანსის სისტემა, რომლის მიზანიც მხოლოდ ის იყო, რომ გაეძნელებინა ფულის გატანა სახელმწიფოდან. ამით ეს სისტემა მეტათ უშლიდა ხელს იმ ვაჭრებს, რომლებიც მსოფლიო ვაჭრობას მისდევდენ; მათ ხშირათ და ერთბაშათ ბევრი ფულის გატანა უხდებათ საზღვარ-გარეთ, რომ შემდეგ კიდევ უფრო მეტი შემოიტანონ, მაგ., როდესაც ერთ მხარეში იაფათ ბევრ საქონელს ყიდულობენ იმ მიზნით, რომ ძვირათ გაჰყიდონ მეორეში და სხვ.

ამასთანავე, აუარებელმა მონოპოლიებმაც მალე გამოაჩინეს თავისი ცუდი თვისებანი: მწარმოებლებისათვის ისინი საზარალო შეიქნენ იმით, რომ საქონლის ფასები ასწიეს, მოვაჭრე კლასისათვის კი იმით, რომ მის ინიციატივას აფერხებდენ, რადგან, მონოპოლიის წყალობით, ესა თუ ის წარმოება რამდენიმე პირის ხელში იყო და მათი ჩარევის უფლება არა ქონდათ. ამან დასცა „ფულის ბალანსის სისტემა", რაც სავაჭრო და სამანუფაქტურო კაპიტალიზმის ხანაში მოხდა.

### 4. განვითარების ძალები და იმისი მიმართულება წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ნატურალურ-სამეურნეო საზოგადოების განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას შეადგენდა „მცხოვრებთა აბსოლიუტური სიჭარბე". ეს სიჭარბე იმაში მდგომარეობს, რომ, ხალხის გამრავლების გამო, საზოგადოების წევრებს აღარ ყოფნით საცხოვრებელ საშუალებათა ის რაოდენობა, რომელიც მათ შეუძლიანთ მოიპოვონ არსებული ტეხნიკის შემწეობით. როდესაც ფეოდალური საზოგადოების ფარგლებში ახალი ურთიერთობა ისახება და ნატურალურ-ფეოდალური წყობილება ნელნელა წვრილ-ბურჟუაზიულ წყობილებათ იქცევა, მაშინ სცენაზე გამოდის საზოგადოებრივი პროგრესის ახალი მამოძრავებელი ძალა—კონკურენცია.

მცვლელი საზოგადოების ორგანიზაცია ისეთია, რომ მის შემადგენელ მრავალ წვრილ, მშრომელ მეურნე თემებს სათითაოთ ყველას თავისი წარმოების ორგანიზატორი ჰყავს, მაგრამ ამ მეურნეობათა ურთიერთშორისი დამოკიდებულებანი, მათ შორის შრომის განაწილება არაა შეგნებულათ მოწესრიგებული. ამიტომ საზოგადოებრივი ნაწარმოების განაწილება მათ შორის ცვლის მოუწესრიგებელი სახით სწარმოებს. ამ მოუწყობლობის გამო საცვლელ ურთიერთობებს ბრძოლის ხასიათი აქვს. ბრძოლა სწარმოებს, ერთი მხრით, მყიდველსა და გამყიდველს შორის, და მეორე მხრით—გამყიდველებში და მყიდველებში. ერთმანეთთან ეს ბრძოლა ერთი მეურნეობისა ყველა დანარ-

ჩენის წინააღმდეგ არის კონკურენცია: იმას, როგორც არსებობისათვის ბრძოლის ერთ უძნელეს ფორმას, თანა სდევს აუარებელი ტანჯვა-წვალება; მაგრამ ამ ტანჯვა-წვალების ფასათ ჩვენ ვიძენთ განვითარებას.

საცვლელ ურთიერთობებზე მეფობს კანონი ღირებულებისა. თუ მეურნეობა ნაწარმოების დამზადებაზე მეტ საშრომო ენერგიას ხარჯავს, ვინემ ამ საზოგადოებაში აუცილებლათ საჭიროა, ე. ი. ხარჯავს ამ ნაწარმოების საზოგადოებრივ ღირებულებაზე მეტ ენერგიას, სჩანს, ის ვერ შეგუებია საზოგადოებრივ ბრძოლას, იმას არ ძალუძს სხვას კონკურენცია გაუწიოს, და ამის გამო დაინგრევა, მოისპობა. თუ, პირიქით, მეურნეობა წარმოების რაიმე განსაკუთრებით გაუმჯობესებულ საშუალებებით სარგებლობს, შედარებით ნაკლებ საშრომო ენერგიას ხარჯავს წარმოებაზე, ვინემ სხვა მეურნეობათაგანი, მაშინ ის ბრძოლასთან შეგუებული გამოდის და, ცხადია, იზრდება და ფართოვდება. ამნაირათ, ზოგი მეურნეობანი ბედნიერათ ცხოვრობენ, მაშინ, როცა სხვებს ცხოვრების სახსარი აკლიათ. ეს საშუალებათა ნაკლებობა ჩნდება არა მცხოვრებთა წრეს-გადასული გამრავლებისაგან, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობათაგან, კონკურენციისაგან; მასში იხატება არა აბსოლიუტური, არამედ ეგრეთ-წოდებული „მცხოვრებთა შედარებითი სიჭარბე". საზოგადოების საწარმოო ცხოვრებაში ცალკე მეურნეობა ზედმეტი ხდება და ინგრევა არა იმიტომ, რომ საზოგადოთ არ მოიპოვება მისი ცხოვრების განგრძობისათვის საჭირო საშუალებანი, არამედ იმიტომ, რომ ის ვერ შეეგუა არსებულ საზოგადოებრივ პირობებს—ჩვეულებრივ ტეხნიკას და ნაწარმოების საშუალო ღირებულებას.

მცხოვრებთა „შედარებითი სიჭარბისაგან" წარმოშობილ ტანჯვა-წვალების გამო, ყოველ მეურნეობაში იღვიძებს ლტოლვილება—წარმოებაში, რაც შეიძლება, მეტი გაუმჯობესებული წესების შემოღებისა, რომ ამით გაუძლოს კონკურენციას. ამნაირათ, კონკურენცია იწვევს ტეხნიკის განვითარებას; ტეხ-

ნიკის განვითარებას კი, თავის მხრივ, ცვლილება შეაქვს საზოგადოების ეკონომიკაში და იდეოლოგიაში, ადამიანების ურთიერთობაში და იმათ შეხედულებებში.

მცვლელ საზოგადოებაში ადამიანის მოთხოვნილებანი, უმთავრესათ, ცვლის საშუალებით კმაყოფილდებიან. ცვლის აქტი კი წარმოადგენს ბრძოლას მყიდველსა და გამყიდველს შორის. ამ ბრძოლაში დამარცხებას თან მოსდევს ტანჯვა და მოსპობა, სიკვდილი. ერთათ-ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ეს ბრძოლა მყიდველის სასარგებლოთ დააგვირგვინოს, არის ფული. აქედან წარმოსდგება დაუშრეტელი წყურვილი ფულის მოგროვებისა,—ეს საქონლის ქვეყნის ფსიხოლოგიური თვისება, მაშასადამე, გამომდინარეობს იმავე კონკურენციიდან, რომელიც არსებობს მყიდველსა და გამყიდველს შორის. მოგროვების წყურვილი თავის მხრივ შეადგენს განვითარების მამოძრავებელ ძალას, რომელიც აქეზებს ადამიანებს სულ უფრო და უფრო გააფართოვონ თავისი შემძენი მოღვაწეობის ასპარეზი.

ამგვარათ, კონკურენცია სხვადასხვა გზითა და საშუალებებით უთხრის ძირს და არღვევს ჩვეულების კონსერვატიულ ძალას—ამ საშინელ სტიქიურ-ფსიხოლოგიურ დაბრკოლებას ყოველივე პროგრესისას, და განვითარებაც უფრო მეტი სისწრაფით მიდის წინ, ვინემ ნატურალურ საზოგადოებაში.

წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოების ცხოვრების პირველ საფეხურებზე წვრილი მწარმოებლები მძნეთ ეწინაალმდეგებოდენ კონკურენციის გავლენას, „მცხოვრებთა შედარებითი სიჭარბეს". ამ მიზნით ირაზმებოდენ ცალკე კავშირებათ და გულმოდგინეთ ცდილობდენ წარმოების „კანონიერ" საზღვრებში ჩაყენებას, მის რეგლამენტაციას. ამით დროებით რამოდენიმეთ გვიანდებოდა განვითარება, თუმცა მხოლოდ რამდენიმეთ, რადგან კონკურენცია მხოლოდ სუსტდებოდა და არა ისპობოდა. და რამდენათაც კონკურენცია ჰკარგავს თავის ძალას, იმდენათ განვითარების ძველი კანონი, რომელიც „მცხოვრებთა აბსო-

ლიუტურ სიჭარბისაგან“ გამომდინარეობს, ისევ თავის ძალაში რჩება.

შედარებით, ძლიერ ნაკლებია ვაჭრობის რეგლამენტაცია, რადგან იმისი ტეხნიკა ვერ ურიგდება სხვა მრავალგვარ რეგლამენტაციას. ამიტომ კონკურენცია იქ ყველაზე ნაკლებათ სუსტდება, იმისი განმავითარებელი გავლენა მეტის-მეტის სიძლიერით მოქმედებს; აქედან წარმოსდგება მოვაჭრე კლასისა და ვაჭრობის მეტის-მეტათ სწრაფი განვითარება.

—

დასავლეთ ევროპის ისტორიაში უმთავრესათ წვრილ-ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებისა და გაბატონების ხანათ უნდა ჩაითვალოს XII და XIII საუკუნეები. ამ გარდამავალ ეპოქაში ფეოდალიზმის დაცემა ახლათ იწყება და სავაჭრო კაპიტალიც ახლათ იდგამს ფეხს და იფურჩქნება.

## V. სავაჭრო კაპიტალის ხანა.

### 1. წარმოების ტეხნიკური ურთიერთობანი.

ორი ძირითადი ფაქტი დაედვა საფუძვლათ წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოების—სავაჭრო-კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადასვლას: პირველი, საერთოთ წარმოების ზრდა-გაფართოვება და, მეორე, მეტის-მეტათ სწრაფი განვითარება წარმოების იმ დარგისა, რომელიც ნაწარმოების აღებ-მიცემობაში მდგომარეობს.

წარმოების საერთო ზრდა აუცილებელი შედეგია განვითარების ძალებისა, რომლებიც მოქმედებენ წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

„ვაჭრობაში გადაზიდვის წარმოების“ განსაკუთრებული განვითარება იმით აიხსნება, რომ წარმოების ზრდასა და შრომის განაწილებასთან ერთათ, აუცილებლათ საჭირო ხდებოდა აუარებელ ნაწარმოების გაზიდვა, და ხშირათ ისინი წინანდელზე ბევრათ უფრო მეტათ შორეულ ქვეყნებში იგზავნებოდენ.

გაფართოებული წარმოება ვერ კმაყოფილდება მახლობელი ბაზრით და ნელ-ნელა იკაფავს გზას შორეულ ბაზრებისაკენ, და ამ შორეულ ბაზრებზე ნაწარმოები სულ უფრო მეტი და მეტი ნაწილი იგზავნება. ასეთი ბაზრების მოძებნა, და მათთან განუწყვეტელი მიმოსვლის გამართვა და შენარჩუნება, ტეხნიკურათ თანდათან უფრო და უფრო ძნელდება; ამასთან ერთათ, ნაწარმოების ბაზარზე გატანა სულ უფრო მეტ მნიშვნლობას იძენს წარმოების საერთო სისტემაში.

ამის შესაფერათ იცვლება სხვადასხვა ჯგუფთა საზოგადოებრივი როლებიც.

## 2. სავაჭრო კაპიტალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

### ა) მოუწესრიგებელი ურთიერთობანი მეურნეობათა შორის.

რამდენათაც მეტს სივრცეს იჭერს ბაზარი და მასთან პირდაპირი მიმოსვლა სულ უფრო ძნელი ხდება, წვრილი მწარმოებლისათვის კი — თითქმის შეუძლებელიც, იმდენათ მეტათ ეკონომიური ძალა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლევა იმ კლასს, რომლის „სპეციალობასაც“ ეს საქმე შეადგენს.

როცა საქონელი შორეული, ფართე და განუსაზღვრელი ბაზრისთვის მზადდება, წვრილ მწარმოებელს საბოლოოთ ეკარგება ყოველივე შეძლება თავის ნაწარმოების ბაზარში პირადათ გატანისა, რასაც ის ადვილათ ახერხებდა, როცა მახლობელ და განსაზღვრულ ბაზრისთვის მუშაობდა. ამნაირათ, წარმოების უკანასკნელი ოპერაცია — ნაწარმოების გაზიდვა — სრულიათ შორდება წინანდელებს, მოსაშუალე-ვაჭრის დახმარება მწარმოებლისათვის მიუცილებელი ხდება, და აქედან მწარმოებელი ვაჭრისაგან ნივთიერათ დამოკიდებულებაში ვარდება. მწარმოებელმა თავისი საქონელი ვაჭარს უნდა მიყიდოს, რომ თავის საქმის განგრძობის საშუალება მოიპოვოს, — მაგრამ ამ გაყიდვის პირობები ორივე მხარისათვის თანასწორი სრულიადაც არაა: პირველი, მწარმოებელმა **არ იცის** იმ ბაზრის ნამდვი-

ლი პირობები, სადაც ვაჭარი მის საქონელს ასაღებს: მეორე, მწარმოებელს **არ შეუძლია ცდა** თავის საწარმოო „სერმიის“ (თანხის) სიმცირის გამო, და ამიტომ იძულებულია დაუყოვნებლივ გაასაღოს თავისი საქონელი, რომ ამით საშუალება მოიპოვოს თავისი მეურნეობის გასაძლოლათ შემდეგში. ვაჭარს კი ბაზრის შესახებ ყოველივე ცნობები ხელთა აქვს, და შედარებით მეტი საშუალებაც მოეპოვება, ამიტომ შეუძლია იცადოს, შეუძლია შეაჩეროს ვაჭრობა, არ იყიდოს საქონელი, თუ ყიდვის პირობები არ მოსწონს. ამნაირათ მწარმოებელი იძულებულია დათმობის გზას დაადგეს და იმ ფასზე დათანხმდეს, რომელსაც ვაჭარი შეაძლევს. მაგრამ ეს კიდევ, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ვაჭარს შეეძლოს საქონლის ფასი თავის ნებისამებრ სრულ არარაობამდე დაიყვანოს: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თვით ვაჭართა შორისაც არსებობს კონკურენცია და, უკიდურეს შემთხვევაში, საქონლის მწარმოებელს შეუძლია, თუმცა კი დიდი შრომითა და ვაი-ვაგლახით, სხვა ვაჭარს მიაგნოს და მასთან დაიჭიროს საქმე; მეორე, თვითონ ვაჭარს არ აძლევს ხელს, რომ უზომოთ მძიმე პირობებით წვრილ წარმოებას ძირი გამოუთხაროს და საბოლოოთ დასცეს, რადგან, თუ წვრილი მეურნეობა დაინგრევა, ვაჭარს შეძლება აღარ ექნება მისგან რაიმე ახალი სარგებლობა გამოიტანოს, და ამით კი ძირს გამოუთხრის თავის საკუთარ მოგებასა და კეთილდღეობას. მაშასადამე, აქ ლაპარაკია ისეთ ექსპლოატაციაზე, რომელიც სავსებით არა სპობს წვრილ წარმოებას და მხოლოდ აუცილებელ საშუალებას უტოვებს მეურნეობის გასაგრძობათ; ყველაფერი, რაც ამ საზომს სცილდება, ვაჭარს მიაქვს და მით იგი საქონლის ფასებს ნამდვილ ღირებულებაზე დაბლა სწევს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირათ მოსაშუალე მყიდველათ გამოდის არა ნამდვილი ვაჭარი, არამედ მწარმოებელი, რომელიც, ვაჭრობასთან ერთათ, საბოლოოთ ამზადებს საქონელს ბაზარში გასატანათ. მაგ., საათის წარმოებაში, რომელიც იმ თავიდანვე განაწილებული იყო ბევრ წვრილ მწარმოებელთა შორის,

რომელთაგანაც თვითოეული ნაწარმოების ცალკე ნაწილებს ამზადებდა,—ჩვეულებრივათ ვაჭრებათ გამოდიოდენ ის ოსტატები, რომლებიც ამ ნაწილებს აერთებდენ და არგებდენ ერთმანეთზე; სართავ-საფეიქრო მრეწველობაში ასეთ როლს კისრულობდენ „აპრეტურშჩიკები" (ქსოვილების საბოლოოთ დამმზადებელნი). ეს შემთხვევა არაფრით არ განირჩევა წინაშე თხვევისაგან: ბატონობა იმ მწარმოებელს უვარდება ხელში, რომელიც წარმოების ერთს ან ორ უკანასკნელ ოპერაციას ასრულებს.

ვაჭართა ეკონომიურათ გაბატონებას აადვილებს კიდევ ის გარემოება, რომ წვრილი სახელოსნოები, საზოგადოთ, სუსტნი არიან: ყოველივე შემთხვევითი შერყევა, ყოველივე სტიქიური თუ ეკონომიური უბედურება წვრილ მწარმოებელს სრულ განადგურებას უქადის და აიძულებს მას ეკონომიურათ უფრო ძლიერს მიმართოს დახმარებისათვის. ჩვეულებრივ ესაა —იგივე ხაჰარი. აქ ვაჰარი ჩარჩ-მოვახშის როლს კისრულობს: აძლევს მწარმოებელს სესხს მისი მეურნეობის გასამაგრებლათ და ამით წინდაწინვე ყიდულობს იმ ნაწარმოებთ, რომლებიც მომავალში უნდა დაამზადოს მისმა მოვალემ; და ამ „გულკეთილობისათვის" ის კიდევ უფრო ძირსა სწევს ამ ნაწარმოების ფასს, და ამით დავალებულ მწარმოებელს კიდევ უფრო იმონებს. მწარმოებელი ხშირათ ფორმალურ პირობასაც აძლევს თავის მევახშეს,—შენს გარდა ნაწარმოები არავის მივყიდოო.

მევახშე და ჩარჩი ვაჰარი ყოველთვის ერთი და იგივე პირი არაა. ხშირათ ეს ორი საქმე სხვადასხვა პირის სპეციალობას შეადგენს, მაგრამ ფაქტების დედა-აზრს ეს სრულებითაც არა სცვლის: წვრილი მწარმოებლის მდგომარეობა ამით არ უმჯობესდება. არა-იშვიათად მევახშე ჩარჩ-მყიდველათ ხდება და ამნაირათ აფართოებს თავის საზოგადოებრივ საწარმოო მოქმედებას. ჩარჩი-ვაჰარი კი ყოველთვის იძულებული ხდება მევახშის როლი იკისროს, რადგან დახმარება უნდა აღმოუჩინოს დაცემულ-დასუსტებულ მეურნეობას.

ამ მოვლენის ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს რუსე-თის სოფლებში ეგრეთ-წოდებული „ჩარჩ-ბაცაცა“ (СКУПЩИКЪ). გლე-ხის მეურნეობა, მრავალ მიზეზთა გამო, მტკიცე არაა, იმიტომ, რომ პირველყოფილი ტლანქი ტეხნიკა აქვს, რის გამოც წარმოების ატმოს-ფერის და საერთოთ გარეშე ბუნების ცვალებადობის სრულ დამოკიდებუ-ლებაშია ჩავარდნილი. გადასახადები და ბაჟები არა პროპორციონალურათ არის განაწილებული; პურის ფასი რყევაშია, აწევ-დაწევას განიცდის და სხვ., და სხვ. ნატურალური მეურნეობის ხანაში ზოგი ამ მიზეზთაგანი სრულიად არ არსებობდა (მაგ., ფასების რყევა, აწევ-დაწევა); სხვე-ბი იწვევდენ მხოლოდ საზრდოს მოხმარების შემცირებას, გლეხის ოჯახში ხარჯების შემცირებასთან. ფულის მეურნეობის ხანაში კი ყველა ეს მიზეზები ბადებენ ფულის მწვავე მოთხოვნილებას იარა-ღების და თესლის საყიდლათ, ვალების გასასტუმრებლათ და სხვ.; და რადგან გლეხის ქონების (პურის და, როგორც შემდეგ დავინახავთ, სამუშაო ძალის) გაყიდვა ვერ აძლევს მას საჭირო თანხას, ის იძულე-ბულია დახმარებისათვის მიმართოს ხოლმე ჩარჩს, — ჩვეულებრივ უფ-რო შეძლებულ მეზობელს. ჩარჩი აძლევს მას ფულს, მაგრამ უშვე-ლებელი სარგებლით (უმეტეს ნაწილათ 20—30 და მეტ პროცენ-ტებით წელიწადში); ამასთანავე, მოვალე ასწორებს ვალს არა მარტო ფულის დაბრუნებით, არამედ სამუშაოზე მიხმარებითაც (ჩარჩიც ხომ ჩვეულებრივი მიწათმომქმედია) და ნაწარმოებითაც (ჩარჩი, იმავე დროს, ნაწარმოებთა შემყიდველიც არის. მაგრამ რადგან სარგებელი მეტათ დიდია, გლეხის მეურნეობა კი სუსტი, და ამასთანავე, თავის უვი-ცობისა და კანონების უცოდინარობის გამო, გლეხი ხშირათ ტყუვდე-ბა, ამიტომ, ყოველგვარ ღონისძიებათა და ცდა-მეცადინეობის მიუხე-დავათ, ვალი კი არ კლებულობს, არამედ იზრდება, და ბოლოს, როცა ვალი ფაქტიურათ უკვე რამდენჯერმე გადახდილია, იურიდიულათ მას კიდევ იმდენი აწევება გადასახდელი, რომ გლეხის მეურნეობა ველარ უძლებს და ინგრევა, მისი ქონება კი მევალის, კრედიტორის ხელში გადადის.

ამრიგათ, თუმცა ფორმალურათ წვრილი მწარმოებელი თავისუფალი რჩება, მაგრამ მისი ნამდვილი დამოუკიდებლობა

ქრება. თავის მატერიალურ ძალაზე დაყრდნობილი ვაჭარი-მყიდველი ერევა წვრილი მწარმოებლის საწარმოო მოქმედებაში, უწევს მას კონტროლს და ასე წარმოების უმაღლეს ორგანიზატორად მოაქვს თავის-თავი. თავის ანგარიშის მიხედვით, ვაჭარი ნიშნავს, თუ რა დროისთვის რამდენი და რა თვისების ნაწარმოები უნდა იქმნეს დამზადებული, და თან უნიშნავს მას ფასს. მწარმოებელი იძულებულია ყველაფერზე დაეთანხმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწარმოები გაუყიდველი დარჩება. თავის ანგარიშის მიხედვით, შემყიდველი ხან ამცირებინებს მწარმოებელს თავის წარმოებას, ხან კი ეხმარება კიდეც მის გაფართოებაში. ამასთან, შემყიდველი არა-პირდაპირ გავლენასაც ახდენს წარმოების ტეხნიკაზედაც, როცა თხოულობს, რომ ნაწარმოები ამა და ამ ღირსებისა იყოს და არა სხვაგვარიო. საზოგადოთ, შემყიდველი—**თუ ფორმალურათ არა, ფაქტიურათ ორგანიზატორი ხდება წვრილი მეურნეობისა**. ასე ჩნდება წვრილი მეურნეობის გაერთიანება ერთი ორგანიზატორის მბრძანებლობის ქვეშ. ასეთი გაერთიანება ხდება მხოლოდ რამდენიმეთ; იგი სრული არაა, ე. ი. კიდევ უტოვებს წვრილ მწარმოებელს თავის დაწესებულების შინაგან ურთიერთობაში საკმაო თვალსაჩინო დამოუკიდებლობას. ასეთია **წარმოების სავაჭრო-კაპიტალისტური ორგანიზაცია**.

სავაჭრო-კაპიტალისტური წარმოება უკვე აღარ ჩაითვლება ტიპიურ წვრილ წარმოებათ. ეს არის—მსხვილი წარმოება ბაზრისთვის, თუმცა კი საწარმოო პროცესის მეტი ნაწილი წვრილ, ფორმალურათ განცალკევებულ დაწესებულებებში სრულდება.

ვითარდება-რა სავაჭრო კაპიტალი, სულ უფრო და უფრო მეტს ძალა-უფლობას იძენს წარმოებაზე და ასე თანდათან უფრო ფართეთ ერევა მეურნეობის შინაგან ორგანიზაციაში. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ფეოდალურ ურთიერთობათა ნაშთები სავაჭრო კაპიტალს სრულიადაც ვერ უშლის, ხელს მეურნეობის ორგანიზატორათ და, მასთან ერთად, ექსპლუატა-

ტორათ გახდეს. უთხრის-რა ძირს საბატონო გლეხობის კეთილ-დღეობას, ფეოდალი ამით მხოლოდ ასუსტებს გლეხის ძალას სავაჭრო კაპიტალთან ბრძოლაში; ახდევინებს-რა გლეხებს ბეგარას ფულათ, ფეოდალი ამით აიძულებს მათ გაყიდონ თავისი ნაწარმოები და, ამნაირათ, პირდაპირ სავაჭრო კაპიტალის ბრჭყალებში ერეკება გლეხობას; დაბოლოს, ხშირათ მცვლელი ფეოდალი თვითონ ხდება მოვაჭრე კაპიტალისტი-შემყიდველი ან მევახშე.

ძლიერ ხშირათ შემყიდველს თვითონვე მოაქვს საწარმოო მასალა და აძლევს მას წვრილ მწარმოებლებს. რადგან მწარმოებლები უფრო ხშირათ ამ მასალას ნისიათ ღებულობენ, ამიტომ დროთა ვითარებაში მათი დამოკიდებულება მარტივი ხდება: შემყიდველი აძლევს წვრილ მწარმოებელს მასალას, რომლისგანაც ამ უკანასკნელმა წინდაწინ განსაზღვრულ ფასებში უნდა დაუმზადოს მას ნაწარმოები. აქ წვრილი მწარმოებელი კიდევ უფრო მეტათ კარგავს თავის დამოუკიდებლობას; აქ აღარც კი ითქმის, რომ ის ყიდის ვაჭარზე თავის ნაწარმოებს: ის მხოლოდ იღებს მოვაჭრე კაპიტალისტისაგან მისი (კაპიტალისტის) მასალების დამუშავებასა და ამ მუშაობაზე იარაღების გაცვეთის ხელფასს, სასყიდელს. სასყიდელს რომ ეს მეორე ნაწილი მოვაშოროთ, გამოვა ის, რასაც, ჩვეულებრივ, სამუშაო ქირას ან სამუშაო ხელფასს ეძახიან. ესაა— **მსხვილი კაპიტალისტური წარმოების შინაური, ოჯახური** სისტემა, მეორე საფეხური სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებისა.

ოჯახურ-კაპიტალისტურ წარმოებას რომ—მსხვილი წარმოების ხასიათი აქვს, ეს ნათლათ სჩანს არა მარტო იქიდან, რომ მზა ნაწარმოებთა ბაზარზე გატანა მასსიურია, არამედ, აგრეთვე, იქიდანაც, რომ მასსიურია ბაზრიდან მასალის მოტანაც, რომელიც მხოლოდ შემდეგ ურიგდებათ ცალკე წვრილ მწარმოებლებს.

ადვილი მისახვედრია, რომ, რამდენათაც უფრო ძლიერია

წვრილი მწარმოებლის ფაქტიური დამოკიდებულება ვაჭარ-შემყიდველისგან, იმდენათ უფრო ადვილათ ჰკარგავს ის თავის დამოუკიდებლობის ნაშთებს, იმდენათ ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია მას სავაჭრო კაპიტალის ბრჭყალებისათვის.

ხანდისხან, მწარმოებლის სრული განადგურების შემდეგ, მოვაჭრე კაპიტალისტი თავისთვის სასარგებლოთ თვლის მიაწოდოს ასეთ მწარმოებელს, მასალასთან ერთათ, საჭირო იარაღებიც, და ასე დააწყებიოს ხელახლა წარმოება. ამ შემთხვევაში თითქმის უკანასკნელი ლანდიც კი ჰქრება წვრილი მეურნეობის დამოუკიდებლობისა. ესაა—საკუთარ **სავაჭრო კაპიტალის** განვითარების უკანასკნელი მომენტი, ის საზღვარი, რომლის იქითაც იგი **სამრეწველო** კაპიტალათ ხდება.

## ბ) საწარმოო დაწესებულების შინაგანი ურთიერთობანი სავაჭრო კაპიტალის ხანაში.

გარეგნულათ სავაჭრო კაპიტალი ძლიერ მცირე ცვლილებას ახდენს თვითოეულ წვრილ-ბურჟუაზიულ მეურნეობის შინაურ ორგანიზაციაში. სამაგიეროთ, მეტათ ძლიერი და არსებითი ცვლილებანი ხდება ასეთი ჯგუფის წევრთა ურთიერთ განწყობილებაში.

თავდაპირველათ სავაჭრო კაპიტალის შეჭრა წვრილი მეურნეობის ცხოვრებაში სასარგებლოა თვით მწარმოებლისათვის: შემყიდველი იძულებულია მეტოქეობა გაუწიოს ადგილობრივ მყიდველებს და ამიტომ საკმაოთ კარგ ფასებს აძლევს მას; უფრო საყურადღებო კი ის არის, რომ ერთბაშათ ბევრ საქონელს უკვეთს მას შორეული ბაზრისათვის. მაგრამ შემდეგში, როცა მწარმოებელი შემყიდველისაგან ნივთიერათ დამოკიდებული ხდება, საქმის გარემობაც ძირიანათ იცვლება: სავაჭრო კაპიტალის უღელი მწარმოებლისათვის უკვე საგრძნობლათ მძიმე ხდება; იგი იჯაბნებს და სჩაგრავს მას თავის გა-

დამეტებულის, ხშირათ წრეს-გადასულ შევიწროებით. მეურნეობის კეთილდღეობა თანდათან ძირს იწევს და იმ ზომამდე ეცემა, რომლის იქით სავაჭრო კაპიტალის საკბილო აღარაფერი რჩება. წვრილი მწარმოებელი ყოველ ღონეს ხმარობს, წელებზე ფეხს იდგამს და ცდილობს როგორმე თავის უწინდელი მგომარეობა დაიბრუნოს ან ერთ დონეზე მაინც შეჩერდეს და გამაგრდეს. ამ ბრძოლაში, ამ ვაი-ვაგლახში ის არ ზოგავს თავის ენერგიას, და არა მარტო თავისას, არამედ აგრეთვე თავის ოჯახის ყველა დანარჩენ წევრებისასაც: იგი ზომაზე მეტს ამუშავებს ცოლსა და შვილებს; მძიმე შრომაში აბამს ბავშვებს იმ ჰასაკში, რომელიც აქამდე იმათთვის დაუბრკოლებელი განვითარების ჰასაკათ ითვლებოდა. ოჯახის მდედრობითი სქესის ელემენტები უკვე ვეღარ კმაყოფილდებიან წმინდა საშინაო მეოჯახეობით, როგორც ეს აქამომდე იყო, და მხურვალე მონაწილეობას იღებენ ბაზრისთვის ნაწარმოების დამზადებაში, რამდენათაც კი წარმოების ტეხნიკა მათ ნებას აძლევს. წვრილი მეურნეობის უფროსი თავის ოჯახის ექსპლუატატორათ ხდება იმდენათ, რამდენათაც თვითონ მას ყვლეფს სავაჭრო კაპიტალი.

განსაკუთრებით აშკარათ ჩანან ეს მოვლენები ეგრეთ-წოდებულ „შინამრეწველთა“ (кустари) მეურნეობასა და სოფლის ხელოსნებში, რომლებიც, ხელობასთან ერთათ, მიწათმოქმედებასაც ეწევიან. ამათ არ მოეპოვებათ თავის დასაცავათ ისეთი მტკიცე და მაგარი ორგანიზაციები, როგორიც ქალაქელ ხელოსანთა ცეხებია, და ამიტომ უფრო ადვილათ ვარდებიან სავაჭრო კაპიტალის ბრჭყალებში. შინამრეწველობის ნაწარმოებზე (изделия) ფასის განსაზღვრის დროს, შემყიდველი მხედველობაში იღებს იმ „დახმარებასაც“, რომელსაც შინამრეწველი პოულობს მიწათმოქმედებაში, და უკლებს ფასებს იქამდე, რომ შინამრეწველს მთელი ეს ორმაგი მეურნეობაც ძლივს-ძლივობით აძლევს ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებებს. ამასთანავე, შინამრეწველის მიერ თავის ოჯა-

ხის სამუშაო ძალთა ექსპლუატაცია ხშირათ იმ ხარისხამდე ადის, რომ ნამდვილ გადაშენების გზაზე აყენებს მათ. ასეთსავე ბედშია სამიწათმოქმედო მეურნეობაც, რომელიც, ამ მთავარ საქმესთან ერთათ, დამატებით სხვა წვრილ შინაურ ხელსაქმესაც (ПРОМЫСЛЫ), ეწევა, და საზოგადოთ—ყველა გლეხურ მეურნეობას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ განვითარების პირველ საფეხურზედვე კაპიტალი, როცა მას ჯერ ისევ სავაჭრო კაპიტალის სახე აქვს, ცდილობს დაარღვიოს მამათმთავრული წყობილება ოჯახისა, სადაც გაბატონებულია მამის უცილობელი ძალა-უფლება. იღებს-რა მონაწილეობას ბაზრის წარმოებაში და გამოდის-რა წმინდა საშინაო მეოჯახეობის ჩარჩოებიდან, დამონებული დედაკაცი დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას იძენს ოჯახის ცხოვრებაში; ამით კი ძირი ეთხრება დედაკაცის დამორჩილების მატერიალურ საფუძველს. მაგრამ დრო-მოჭმულ ჩვეულებათა სიმტკიცე იმდენათ დიდია, რომ ბევრი დროა საჭირო, სანამ სავაჭრო კაპიტალის ეს გავლენა ცხოვრებას ნათლათ დაეტყობოდეს.

ქალაქელ ხელოსნების მეურნეობა, თავის მაგარ საცეხო ორგანიზაციების შემწეობით, უფრო მედგრათ და დიდხანს ეწინააღმდეგებოდა სავაჭრო კაპიტალის ძლიერებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ნელნელა ემორჩილებოდა მისს გავლენას. ამასთანავე, შეიცვალა, რასაკვირველია, ოჯახის შინაგანი ურთიერთობანი იმ გვარათვე, როგორც უფრო სუსტ სასოფლო მეურნეობაში, თუმცა არა იმდენათ; სამაგიეროთ ძლიერი ცვლილება დაეტყო „ხაზეინის“ დამოკიდებულებას დაქირავებულ მუშებთან—ქარგალ-შეგირდებთან.

ხაზეინისა და მუშების ინტერესთა წინააღმდეგობამ რომელიც წინათ დაფარული და მიფუჩეჩებული იყო თანაზიარ მუშაობის გამო და ხაზეინ-ქარგალს შორის მამაშვილურ-მეგობრული დამოკიდებულებით, ახლა ნათლათ და მკაფიოთ იჩინა თავი. ოსტატი, კაპიტალის-მიერ სასტიკათ დაჩაგრულ-დაჯაბნებული, იძულებულია, თავისი შერყეული მეურნეობის

შესამაგრებლათ და გასაღონიერებლათ, ქარგალისა და შეგირდის დაჩაგვრას ეცადოს, იძულებულია მათ უფრო ხანგრძლივი და უფრო ინტენსივური მუშაობა მოთხოვოს, ნაკლები ხელფასი აძლიოს და უფრო ცუდათ შეინახოს. თავის მხრივ ქარგლები და შეგირდები ყოველის ღონისძიებით ეწინააღმდეგებიან ასეთ ცვლილებებს. ხელოსნური მეურნეობის შინაგანი მთლიანობა ქრება, მის ალაგას სასტიკი ბრძოლა ჩაღდება.

დასასრულ, უნდა ვთქვათ, რომ სავაჭრო კაპიტალის ძალა ასხვაფერებს წვრილ-ბურჟუაზიულ მეურნეობათა შინაგან განწყობილებას, აბატონებს-რა შიგ ექსპლუატატორულ მისწრაფებებს. ოჯახის თავი, მისდა უნებურათ, ოჯახის დანარჩენი წევრების ექსპლუატატორათ ხდება და ოსტატი—თავის დაქირავებულ მუშებისა.

### გ) მოწესრიგებული ურთიერთობანი მეურნეობათა შორის.

რამდენათაც იცვლებოდა საამქრო ოსტატის თავის ხელქვეითებთან დამოკიდებულება, იმდენათვე იცვლებოდა აგრეთვე საცეხო ორგანიზაციების ხასიათიც: ისინი თანდათან ოსტატების საბრძოლველ ორგანიზაციებათ ხდებოდენ, ერთის მხრით—სავაჭრო კაპიტალისა და, მეორეს მხრით—ქარგალ-შეგირდების წინააღმდეგ.

სავაჭრო კაპიტალთან ბრძოლაში შეივსო და გაფართოვდა საამქრო წესდების ის ნაწილები, რომელიც კონკურენციისა და ფასების დაკლების წინააღმდეგ იყო მიმართული. გარდა ამისა, ცეხები იძულებული ხდებიან მედგრათ დაიცვან მთავრობის წინაშე თავისი მონოპოლიური უფლებანი წარმოებასა და ვაჭრობაზე,—უფლებანი, რომელთა გვერდის აქცევასა და დარღვევასაც სავაჭრო კაპიტალი ყოველნაირათ ცდილობდა.

მაგრამ სავაჭრო კაპიტალი ცეხურ ორგანიზაციებს შიგ შუაგულში უძვრება და იქ იკალათებს. უფრო შეძლებული ოსტატები თვითონ კიდებენ ხელს შეყიდვისა და მევახშეობის

საქმეს, და ასრულებდენ ამ ხელობას, რასაკვირველია, იმდენათ, რამდენათაც ამის ნებას აძლევდა ცეხური წესდებანი. დაგროვების წყურვილი აიძულებდა ასეთ ოსტატებს უფრო შორს წასულიყვენ; იმათ არა-სასიამოვნოთ და საზარალოთ მიაჩნდათ ცეხური შევიწროებანი, რომელნიც მათი საკუთარი წარმოების გაფართოებას აფერხებდენ, და არ ანებებდენ უფრო ღარიბ ოსტატების მეურნეობათა საბოლოოთ დამორჩილებას. იბადება სურვილი წესდების შემავიწროებელი მუხლების შემოვლისა და დარღვევისა. ასე, იმ ოსტატებისათვის, რომელთაც პირდაპირი კავშირი ქონდათ შორეულ ბაზართან და მისთვის ამზადებდენ ნაწარმოებს, საზარალო იყო ცეხების ყველა ის დადგენილებანი, რომელნიც განსაზღვრულ ფასებს აწესებდენ ნაწარმოებზე და ამით ხელს უშლიდენ იმათს იაფ შეძენას.

ხშირათ პრაქტიკულათ არ ასრულებენ ცხოვრებაში წესდების იმ მუხლებს, რომლებიც უსაზღვრავენ ცალკე ოსტატს დაქირავებულ მუშათა რიცხვსა და, მაშასადამე, არ ანებებენ თავისი დაწესებულების გაფართოვებას.

საზოგადოთ, სავაჭრო კაპიტალთან ბრძოლაში ამქრული ორგანიზაციები ძირიანათ ირყევიან და ააშკარავებენ შინაგანი მთლიანობისა და შეკავშირების სისუსტეს. სამაგიეროთ, ქარგლების წინააღმდეგ ბრძოლაში ცეხური სოლიდარობა შეურყეველია. ყოველნაირ ენერგიულ ზომებს ხმარობენ, რომ ქარგლებს ოსტატათ გახდომა გაუძნელონ, იმიტომ, რომ ოსტატთა რიცხვის ზრდა კონკურენციის გაძლიერებას ნიშნავს. აკანონებენ შეგირდებისა და ქარგლათა სამსახურის გრძელ ვადას, აწესებენ განსაკუთრებულ სასტიკ ეგზამენებს (თხოულობენ ძნელ „სანიმუშო ნაწარმოების“ გაკეთებას, რომელშიაც ქარგალმა უნდა გამოიჩინოს თავისი დახელოვნება), ნიშნავენ მაღალ გირაოებს, რომელიც ქარგალმა ცეხში შესვლის დროს უნდა წარადგინოს, აგრძელებენ ქარგლისთვის სამუშაო დროს და სხვ.; სხვათა შორის, ქარგლებისაგან მოითხოვენ რამდენიმე წლის განმავლობაში უცხო ქალაქებსა და მხარეებში სავალ-

დებული მოგზაურობას ხელობის გასაუმჯობესებლათ, რაც მაშინდელ დროში განსაკუთრებით ძნელათ შესასრულებელი იყო და რამაც, როგორც ქვევით დავინახავთ, ცუდი სამსახური გაუწია თვითონ ცეხებს. ასეთი ცვლილებანი საცეხო წყობილებაში განსაკუთრებული სისწრაფით ხდება მე-XIV საუკუნიდან დაწყებული და შემდეგ.

ცეხის ახალი წესები, ჩვეულებრივ, უკიდურესი მიკერძებით ტარდება ცხოვრებაში: ოსტატთა შვილებისათვის არსებობს ყოველგვარი შეღავათი, რომლის წყალობითაც ყოველივე გამოცდა და სიძნელე ხშირათ უბრალო ფორმალისტობათ იქცევა, მაშინ, როდესაც გარეშე პირთა ცეხში შესვლა თითქმის შეუძლებელია. საამქრო (საცეხო) პრივილეგიები ვიწრო წოდებრივ ხასიათს .იღებენ, — მათი შეძენა დამოკიდებულია არა ცოდნასა და დახელოვნებაზე, არამედ შთამამავლობაზე.

ყველა ეს ახლათ შემოღებული წესები ენერგიულ წინააღმდეგობას იწვევს ქარგლების მხრივ. რამდენათაც ნაკლები იმედი აქვს ქარგალს მისი ნდგომარეთბიდან თავის დაღწევისა და რამდენათაც უფრო აუტანელია თვით ეს მდგომარეობა, იმდენათ უფრო მომეტებულ ნაწილათ ქარგალსა და ხაზეინს შორის არსებულ წინანდელ ალაგს იჭერს ქარგალთა შორის ამხანაგური კავშირი, რომელიც ოსტატ-ხაზეინისადმი მტრობის სულით არის გაჟღენთილი. არსდებიან ქარგალთა ორგანიზაციები, — ცოტათ თუ ბევრათ რელიგიურ ძმობათა სახით, — პირველათ უბრალო საურთიერთო ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენათ, შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, ნელნელა ეს კავშირები საერთო ინტერესებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლ ასოციაციებათ გადაიქცენ.

თვითოეული კავშირი აერთებს, თავდაპირველათ, მხოლოდ ერთს ქალაქში მცხოვრებ ერთი ხელობის ქარგლებს, მაგრამ უკვე ძლიერ ადრე საერთო ინტერესები, განსაკუთრებით საურთიერთო დახმარების საჭიროება სავალდებულო მოგზაურობის დროს, თვითოეულ ქალაქის საზღვრებს გარეშე

აფართოვებენ ამ კავშირს. არსდებიან „საქალაქთაშორისო“ და ზოგან კიდევ—საერთაშორისო კავშირები ერთი ხელობის ქარგლებისა. ამას იქით გაერთიანება არასოდეს არ წასულა; სხვადასხვა ხელობის ქარგლები არა თუ უკავშირდებოდენ, პირიქით, ძლიერ ხშირათ კიდეც მტრობდენ ერთმანეთს ისე, როგორც სხვადასხვა ცეხთა ოსტატები.

თავის ორგანიზაციების ძლიერების წყალობით, ქარგლები ხშირათ აიძულებდენ ოსტატებს დაეთმოთ მათთვის და იპოვებდენ თავიანთთვის სასურველ პირობებს. ოსტატები ყოველი ღონისძიებით ცდილობდენ ამ კავშირების მოსპობას და ხშირათაც ახერხებდენ კიდეც შესაფერი კანონების გამოცემას; მაგრამ მაშინ ქარგალთა კავშირები მხოლოდ ფარული ხდებოდენ და ისევ განაგრძობდა არსებობას. ამა თუ იმ ორგანიზაციების ბრძოლა ცვალებადი ბედით გრძელდება დასავლეთ ევროპაში სავაჭრო კაპიტალის მთელი ეპოქის განმავლობაში. ორივე მხარისათვის მთავარ იარაღს ამ ბრძოლაში შეადგენდა გაფიცვა და „ბოიკოტი“ (ბოიკოტი არის ცნობილ პირთან თუ ჯგუფთან დამოკიდებულებაზე კოლექტიურათ უარის თქმა, როდესაც, მაგ., არ ყიდულობენ არავითარ საქონელს ცნობილ ვაჭრისაგან, ან არ ექირავებინ არასფრის გულისათვის რომელიმე მრეწველთა და სხვ.).

ასეთი მეტამორფოზა (ცვლილება) განიცადეს ხელოსნურმა ორგანიზაციებმა სავაჭრო კაპიტალის გავლენის ქვეშ.

რაც შეეხება წმინდა პოლიტიკურ ორგანიზაციებს, სავაჭრო კაპიტალის ხანა აბსოლიუტურ მონარქიის აყვავების ხანა იყო. სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილთა შორის ურთიერთობათა განვითარებისაგან წარმოშობილმა მტკიცე ეკონომიურმა კავშირმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის გაერთიანებას. იმავე დროს აბსოლიუტურ მონარქიას წილათ ხვდა მეტათ საყურადღებო და ფართე ისტორიული პრობლემების (ამიცანების) გადაწყვეტა, რომელიც ძლიერ დიდ ბრძოლას თხოულობდა, და ამ ბრძოლამ გაუმაგრა ძალა აბსოლიუტურ

მონარქიას და მოუპოვა მას თანაგრძნობა და ნდობა საზოგადოების ახლათ აღორძინებულ სავაჭრო-სამრეწველო კლასებში.

ამ პრობლემებში პირველი იყო მოსპობა ძველი ფეოდალიზმის იმ ნაშთებისა, რომლებიც არ შეეფერებოდენ შეცვლილ ისტორიულ პირობებს, და თავ-განწირულათ იბრძოდენ თავის არსებობისათვის ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ. მხოლოდ ფეოდალთა ერთმა ნაწილმა,—ეკონომიურათ უფრო ძლიერმა და პროგრესიულმა ელემენტებმა,—შესძლო ამ საცვლელ ურთიერთობათა აბობოქრებულ ზღვაში, სავაჭრო კაპიტალის მეურნეობის ზრდა-განვითარების ხანაშიაც, თავის წინანდელ საზოგადოებრივ მდგომარეობის შერჩენა. უფრო სუსტი ელემენტები კი სრულიათ უმწეო გამოდგენ წმინდა ეკონომიურ სფერაში ბაზრის ინტერესთა ბრძოლაში და იძულებული იყვენ ქედი მოეხარათ სავაჭრო და სავახშო კაპიტალის წინაშე. მალე ისინი დანგრევა-განადგურების გზას დაადგენ. ასეთ ფეოდალებს შეეძლოთ, რამდენიმე ხნით მაინც,, განეგრძოთ თავისი არსებობა ნატურალური მეურნეობის ნაშთების შესწეობით; მაგრამ ფულის მეურნეობაში გაცვლა-გამოცვლის განვითარება ფეხ-და-ფეხ სდევნის ამ ნაშთებს, აძევებს მათ ყოველივე კუნჭულიდან და, ამრიგათ არსებობას უსპობს ძველ ფეოდალებს; ესენი კი ვერ შეურიგდებოდენ ასეთ მწარე ბედს. ამიტომ ისინი სარგებლობდენ ძველი უფლებით, რომლის ძალითაც მათ შეეძლოთ გამვლელ ვაჭრებისაგან ბაჟი აეკრიფათ, და თავის დრუჟინებით გამოდიოდენ დიდ შარაგზაზე, სადაც ძარცვავდენ სავაჭრო ქარავნებს,—ეს იყო მათი ცხოვრებისთვის უკანასკნელი სახსარი. ამით ისინი დიდ ზიანს აძლევდენ საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას, მარა მალე სახელმწიფომ თავისი სამხედრო ძალით დააცხრო ეს ფეოდალები, დაანგრია იმათი მიუვალი ციხეები და შექმნა უშიშარი მიმოსვლა; რომელიც ასე ესაჭიროებოდა ვაჭრებსა და მრეწველებს.

აბსოლიუტურ სახელმწიფოს მეორე პრობლემას შეადგენ-

და გლეხთა აჯანყებების დამარცხება, დაცხრომა. ფეოდალურ ურთიერთობის ბატონ-ყმურ ურთიერთობათ გადაქცევამ ისეთი აუტანელი ცხოვრების პირობები შექმნა გლეხებისთვის, რომ მცვლელი ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთათ, გლეხების ღელვა-შფოთი და აჯანყებანი ძლიერ ხშირი მოვლენა იყო: თავდაპირველათ, სანამ საცვლელი კავშირები, შედარებით, ვიწრო საზღვრებში იყო მომწყვდეული და თვითოეული ოლქი თავისთვის, განცალკევებულათ ცხოვრობდა, გლეხების აჯანყებებსაც ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა და მათი დაწარცხხებაც, შედარებით, ადვილი იყო. სავაჭრო კაპიტალმა, შექმნარა ფართე და მტკიცე კავშირი სხვადასხვა ოლქთა შორის, ამით ხელი შეუწყო და ნიადაგი მოუმზადა გლეხების ფართე ნაციონალურ აჯანყებებს, რომლებიც შემდეგ მთელ მხარეებსაც ედებოდენ; ყმა-გლეხების მდგომარეობის წინანდელზე უფრო „გაუარესებითა" და გამძიმებით, სავაჭრო კაპიტალი აჯანყებებს განსაკუთრებულ სასტიკ და მედგარ ხასიათს აძლევდა. იტალიაში მე-XIII საუკუნეში, ინგლისში და საფრანგეთში—მე-XIV-ის მიწურულში, ბოჰემიაში—მე-XV-ში, გერმანიაში მე-XVI-ის დასაწყისში გლეხების ისეთი ომები იყო გაჩაღებული, ისე მედგრათ იბრძოდენ, რომ საჭირო შეიქნა სახელმწიფოს მთელი ძალების მოკრება იმათ დასაცხრობათ და დასამშვიდებლათ.

ამ ომებს შორის ყველაზე შესანიშნავი და საყურადღებოა—გერმანიის ომები. ამ ომების შესახებ, სხვათა შორის, დარჩენილა საყურადღებო ისტორიული დოკუმენტი, რომელშიაც ლიტერატურულათ, ნათლათ და გარკვევით ჩამოთვლილია მაშინდელი გლეხობის ძირითადი მოთხოვნები და მისწრაფებანი. ესაა—12 მუხლიანი მანიფესტი 1525 წლისა. იქ გლეხები მოითხოვენ: ბატონ-ყმობის მოსპობას, უკანონო (საერო და სასულიერო) გადასახადების გაუქმებას, მიუდგომლობას სასამართლოებში, ქადაგების თავისუფლებას, თევზაობის, ნადირობისა და ხე-ტყით დაუბრკოლებლათ სარგებლობას, ანგარიშს ხალხისაგან მობოჭილ გადასახადების შესახებ, ბატო-

ნების უსამართლო მოქმედებით მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას და სხვ... გლეხისა და საერთოთ მაშინდელი დროის ფსიხოლოგიის დამახასიათებელია ის, რომ ყველა ამ წმინდა კლასობრივ, პრაქტიკულ მოთხოვნებს ადასტურებდენ და ამართლებდენ რელიგიური საბუთებით—სალმრთო წერილის ამონაწერებით.

როგორც ისტორიამ დაგვანახვა, გლეხთა პროგრამის მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენდა რეაქციონურ მოთხოვნას (მაგ., ხე-ტყით, თევზაობით და ნადირობით სარგებლობის თავისუფლების მოთხოვნა); სხვა ნაწილებით კი ის სავსებით შეეფერებოდა განვითარების საერთო მიმართულებას. მაგრამ გლეხების ომები უეჭველათ იმათი დამარცხებით უნდა გათავებულიყო; მხოლოდ დროებით, მოკლე ხნობით შეეძლო ბრძოლას გლეხთა მასსის შეერთება-შეკავშირება; ბრძოლაში გლეხობა თანდათან, სულ უფრო და უფრო მეტ შეუკავშირებლობას იჩენდა.

აქ გამოჩნდა გლეხის ფსიხოლოგიის ნამდვილი ხასიათი მცვლელ საზოგადოებაში—მისი ვიწრო ინდივიდუალისტობა.

მართლაც-და, გლეხის მეურნეობა—წვრილი მეურნეობაა; მასში არ არსებობს ფართე თანამშრომლობა; მას არა აქვს მჭიდრო და მუდმივი საშრომო კავშირი სხვა მის მსგავს მეურნეობასთან; არაა, მაშასადამე, ძირითადი პირობები სოლიდარობის განვითარებისა საზოგადოებრივ ბრძოლაში.

მესამე პრობლემას აბსოლიუტურ სახელმწიფოსთვის ამ ხანაში შეადგენდა გლეხთა განთავისუფლება ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან.

არა მარტო გლეხთა აჯანყებებმა შეარყიეს ბატონ-ყმობის საფუძველი და ფარდა ახადეს წინანდელი ურთიერთობის იმ საშიშარ მხარეებს, რომლებიც საფრთხეს უმზადებდენ ფეოდალებსაც და მთელ საზოგადოებასაც. მოვაჭრე-კაპიტალისტთა კლასის განვითარებისთვისაც ბატონ-ყმობა დიად დაბრკოლებას წარმოადგენდა, რადგან ხელს უშლიდა სავაჭრო კაპიტალს

გლეხთა მეურნეობაშიაც ორგანიზატორული როლის ხელში ჩაგდებას. შემდეგ, გლეხთა მასსა, რომელიც იძულებული იყო თავისი ნაშრომ-ნაღვაწის უმეტესი ნაწილი ფეოდალებისთვის ეძლია, რომელიც, ამასთანავე, მიწაზე მიჯაჭვით შევიწროვებული და დაჩაგრული იყო თავის მოქმედებაში, უკვე გამოუსადეგარი იყო სახელმწიფოსთვის, რომელსაც იგი ფულის წყაროთ უნდოდა. დაბოლოს, თვითონ ფეოდალების ერთმა ნაწილმაც დაინახა, რომ მათი მამულები თავისუფალ მოიჯარადრეებზე გაცემის დროს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა მათ, ვინემ თავისუფლებას მოკლებულ,—და ამიტომაც მცირე ნაყოფიერ,—ყმის საშუალებით დამუშავების დროს მოჰქონდათ. ამიტომ ამ ფეოდალებმა საუმჯობესოთ დაინახეს გლეხების განთავისუფლება და მათი თავიანთ მამულებიდან განდევნა.

ზოგ შემთხვევებში გლეხთა განთავისუფლება მოხდა თანდათანობით, თითქმის თავის-თავათ (ინგლისში); სხვაგან კი—ცალკე საკანონმდებლო აქტის შემწეობით. ევროპის სახელმწიფოთა მეტ ნაწილში გლეხთა განთავისუფლება დასრულდა სამრეწველო კაპიტალიზმის დასაწყისში; მაგრამ ის ძალები, რომელმაც ეს გამოიწვია, უმთავრესათ, სავაჭრო კაპიტალის ნიადაგზე ჩაისახა და აღორძინდა.

საზოგადოებრივ ძალთა ფაქტიური განწყობილება გლეხთა განთავისუფლების დროს გამოიხატა იმ გარემოებაში, რომ გლეხებს ზოგან მთლათართმევდენ წინათ მათ სარგებლობაში ნამყოფ მიწებს; უფრო ხშირათ ართმევდენ—რამოდენიმე ნაწილს, დანარჩენში კი ფულს ახდევინებდენ. ასევე მოხდა რუსეთშიაც 1861 წელს.

აბსოლიუტურ სახელმწიფოს აღორძინებისთანავე დაეცა და საბოლოოდ განადგურება იწყო ფეოდალურ ბატონობის ორგანიზაციამ—კათოლიკეთა ეკლესიამ. დაჰკარგა-რა, როგორც ზემოთ იყო ახსნილი, თავისი უმთავრესი მნიშვნელობა საზოგადოებრივ წარმოებაში, კათოლიკეთა ეკლესიამ ამის შემდეგ კიდევ დიდხანს შეინარჩუნა თავისი წილი საზოგადოებრივ გა-

ნაწილებაში და მის გადიდებასაც კი შეეცადა ხალხის ექსპლუატაციის გაძლიერებით. ამან ძლიერი მტერი შესძინა სამღვდელოებას სხვა საზოგადოებრივ კლასებში. მის წინააღმდეგ ამხედრდა გლეხობა, რომელიც სხვაზე მეტათ იტანჯებოდა „ათისთავისა“ და სხვა გადასახადებისგან, და ხელოსან ვაჭართა ჯგუფებიც, რომლებიც დაუძინებელი მტრები იყვენ, საზოგადოთ, ყველა ფეოდალებისა და, მათ რიცხვში—სამღვდელოებისაც; დაბოლოს, საერო ფეოდალებსა და მმართველებსაც ძლიერ სასარგებლოთ მიაჩნდათ აუარებელ საეკლესიო მამულების ხელში ჩაგდება.

სამღვდელოების ძალა-უფლობის ყოველივე წინააღმდეგი იდეა სულ უფრო და უფრო მეტ ნიადაგს პოულობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეებში. მწვალებლობა ვითარდებოდა ისეთი სიძლიერითა და სისწრაფით, როგორიც წინათ არასოდეს არა ყოფილა. სამღვდელოება უმოწყალოთ, შეუბრალებლად და გაბოროტებით ებრძოდა მწვალებლობას, ყოველის ძალ-ღონით ცდილობდა დაეღრჩო და დაეთრგუნა კრიტიკული აზროვნება, მაგრამ მით უფრო მეტათ იზრდებოდა ზიზღი და მტრობა კათოლიციზმისადმი. ერეტიკოსების, მწვალებლების გამარჯვება აუცილებელი შეიქნა,—და დადგა დრო სარწმუნოებრივი რეფორმაციისა.

აღორძინდა და განვითარდა მწვალებლობის მრავალი სექტები, რომლებიც აუარებელ სხვადასხვა სარწმუნოებრივ მოძღვრებას ქადაგებდენ და თავიანთ სწავლას საღმრთო წერილის სხვადასხვა ადგილებითა და ტექსტებით ამართლებდენ. მაგრამ საქმის დედა-აზრი ყველგან ერთი იყო: „ძირს სასულიერო ფეოდალი!“ შესაძლებელია, საღმრთო წერილის ტექსტების ახსნა წალმა-უკუღმა, მრუდეთ ხდებოდა, მაგრამ მისი დედააზრი კი, აშკარათ სჩანდა, საეჭვო არ იყო.

ექსპლუატაციის უფლების შესარჩენათ, კათოლიკე სამღვდელოებამ წარმოუდგენელი და სასტიკი ბრძოლა გასწია. ამ ბრძოლაში სამღვდელოებამ გამოიყო და შეადგინა შესანიშნავი

ძალისა და სიმტკიცის მქონი ორგანიზაცია, რომლის უკეთე-სისა და ბრძოლისათვის უფრო გამოსადეგის, წარმოდგენაც კი ძნელია, ეს იყო—იესოელების ანუ იეზუიტების ორდენი (ძმობა). ტერორი უკიდურეს ხარისხამდე განვითარდა ინკვიზი-ციის „მოღვაწეობაში“.

მარა ამ გასაშტერებელ ღონისძიებათ მხოლოდ დროებით შეეძლო ძლევა-მოსილ რეფორმაციის მსვლელობის შეჩერება. პირველი რეფორმატორები დაიღუპენ უსწორო ბრძოლაში, ლიუტერი და კალვინი კი უკვე გამარჯვებულნი შეიქნენ.

კათოლიციზმმა შეინარჩუნა წინანდელი ძალა იტალიაში და პი-რინეის ნახევარ კუნძულზე: იტალიისათვის იგი გამოსადეგი იყო იმი-ტომ, რომ მის სასარგებლოთ ყვლეფდა რომის პაპა მთელ ქვეყანას; ესპანიასა და პორტუგალიაში ის დარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ მე-ჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში ამ ქვეყნების ეკონომიური განვითარება, განსაკუთრებულ მიზეზთა გამო, ძლიერ შეფერხდა, ანუ, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, საკმაო ღრმა დეგრადაციას შეი-ცვალა.

სახელმწიფომ ჩამოართვა მიწები სამღვდელოებას, რასაც გლეხობის დიდი ნაწილის უმიწაწყლოთ დარჩენა მოჰყვა. ამ კონფისკაციას იმით ამართლებდენ, რომ ეს აუცილებელი სა-შუალებააო ცრუმორწმუნეობასთან საბრძოლველათ, რომელ-საც კათოლიკეთა ეკლესია ზურგს უმაგრებს და ესარჩლებაო (აი, იმის მაგალითი, თუ რამდენათ დამოკიდებულია ადამია-ნის იდეები მის ინტერესებზე, თუმცა ეს დამოკიდებულება ჩვეულებრივ შეუგნებელი რჩება).

სავაჭრო კაპიტალიზმის გავლენით საცეხო კორპორაციე-ბის დანგრევა და განადგურება ბევრს შემთხვევაში იწვევს სა-ხელმწიფოს-მიერ ამ კორპორაციების ქონების კონფისკაციას.

გლეხთა განთავისუფლება, რასაც მათი სრულიათ ან ნახევრათ მაინც უმიწოთ დარჩენა მოჰყვა, მთავრებისა და მეფეების-მიერ სა-მღვდელოებისა და ხელოსანთა ორგანიზაციების ქონების კონფისკა-ცია და ამრიგათ მრავალი ღარიბ-ღატაკის, რომლებიც ამ დაწესებუ-

ლებებიდან იღებდენ ლუკმა-პურს, სრულიათ უმწეოთ დატოვება, — ყველა ეს ამრავლებდა უსახლკარო მასსას, რომელსაც არავითარი ადგილი არა ჰქონდა საზოგადოებრივ წარმოებაში და ქმნიდა ეგრეთწოდებულ „პარაზიტულ პროლეტარიატს", მეტად საშიშ ელემენტებს საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის. ამ პროლეტარიატის ისტორიული სვე-ბედი სამრეწველო კაპიტალის ისტორიაში იქნება ახსნილი.

## 3. საზოგადოებრივი ფსიხოლოგია და განვითარების ძალები სავაჭრო კაპიტალის ხანაში.

სავაჭრო კაპიტალიზმი წარმოადგენს ძველელი საზოგადოების განვითარების მეორე საფეხურს, რომელიც მჭიდროთ გადახლართულ-გადაკვანძულია პირველთან და მხოლოდ შესწავლის გასაადვილებლათ არის აქ გამოცალკევებული. საზოგადოების ფსიხოლოგია ყველა თავის ნიშნობლივი თვისებებით უცვლელათ განაგრძობს იმგვარათვე განვითარებას, როგორსაც ადგილი ქონდა ნატურალურ საზოგადოების წვრილბურჟუაზიულ საზოგადოებაში გადასვლის დროს; უმთავრესი ფსიხოლოგიური ტიპი ჯერ ისევ წვრილ-ბურჟუაზიული ტიპია.

მტკიცე სამრეწველო კორპორაციებში და ბატონ-ყმურ ურთიერთობებში წვრილ-ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ შეირჩინა და დაიცვა ზოგიერთი პატრიარქალური წესები პიროვნების დამორჩილებისა, რაიცა ძლიერ აბრკოლებდა პიროვნების განვითარებას. სავაჭრო კაპიტალი ძირს უთხრის ამ პირობებს და მით ხელს უწყობს პიროვნების განთავისუფლებას. პატრიარქალური ურთიერთობანი თავის ძალაში რჩებიან საზოგადოებრივ ცხოვრების ორ მოპირდაპირე პოლიუსზე: აბსოლიუტურ მონარქიის პოლიტიკურ წყობილებასა და კერძო ოჯახურ მეურნეობაში, თუმცა აქაც ეტყობა მას ზოგიერთი ცვლილებანი. აბსოლიუტურ მონარქიისთვის სრულიათ უცხოა ის დაახლოვებული პირდაპირი დამოკიდებულება გაბატონებულსა და დამორჩილებულთა შორის, რომელსაც ვხედავთ პატრიარქალურ ხანაში და თვით ფეოდალურ განვითარების

პირველ დროებში (წმინდა, ძველ-ფეოდალურ ურთიერთობაში). აქ მოქმედებს მშრალი და ცივი ბიუროკრატიული ფორმალიზმი. ოჯახში, პირიქით, ურთიერთობა რბილდება: ოჯახის უფროსის ბატონობა ოჯახის დანარჩენ წევრებზე და ამ უკანასკნელთა მონობა წინანდელივით სასტიკი აღარ არის.

ადამიანის გონებრივი განვითარება ფართოვდება იმდენათ, რამდენათაც, სავაჭრო მიმოსვლის გაჩაღების გამო, მჭიდროთ და მტკიცეთ უკავშირდებიან ერთი-მეორეს სხვადასხვა, ერთმანეთზე დაშორებული ოლქები და მთელი მხარეები. ცოდნათა განვითარების საჭიროება უფრო საგრძნობელი ხდება; და ამაში დანარჩენ საზოგადოებაზე უფრო წინ მიდის სავაჭრო კლასი თავისი დაქირავებულ მუშებით (ნოქრები, ბუჰლალტერები, სავაჭრო აგენტები და სხვ.) სავაჭრო დავთრების წარმოება, უფრო უმჯობესი ბაზრების მოპოვება ალებ-მიცემობის გასაფართოებლათ, თავის ქვეყნის ეკონომიური და იურიდიული პირობების შესწავლა, შესწავლა აგრეთვე უცხო ქვეყნების ზნეჩვეულებისა და დაწესებულებებისა, უცხო ენებზე ლაპარაკი და სხვ.—აი, რაა საჭირო ვაჭართა კლასისათვის. სამღვდელოების უწინდელი სკოლები არც საკმარისია და არც გამოსადეგი. ჩნდება საერო სკოლები, პირველათ მხოლოდ ქალაქებში; ამ სკოლების მოწყობასა და შენახვაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ საერო ფეოდალები, რომლებიც, როგორც მოქალაქეები, მეცნიერებაში ეძებენ საშუალებას სასულიერო ფეოდალიზმის წინაალმდეგ საბრძოლველათ. განათლებისადმი მისწრაფება ვრცელდება ხალხის დაბალ წრეებშიაც; უკვე ის ფაქტი,—რომ სავაჭრო-სავახშო კაპიტალი ულმობლათ ყვლეფს ხალხს და თავის სასარგებლოთ იყენებს მის უვიცობას,—ძლიერ უწყობს ხელს მასსაში ამ მისწრაფების გავრცელებას და თავის-თავათაც სავაჭრო-სავახშო ექსპლუატაცია უკვე გულისხმობს წერა-კითხვის ცოდნას თვითონ შემყიდველისა და მევახშის მხრივ მაინც. საყურადღებო აქ მხოლოდ ის არის, რომ წერა-კითხვის ცოდნაში, საზოგადოთ—განათ-

ლებაში გლეხი თან-და-თან ხედავს მძიმე ულლიდან განთავისუფლების და საზოგადოებრივი კიბის ზემო საფეხურზე აწევის ერთათ-ერთ საშუალებას.

ამავე დროს ისპობა ზოგიერთი სერიოზული დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიდენ სახალხო განათლების გავრცელებას; ამ მხრით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბატონ-ყმობის მოსპობა. ბატონ-ყმურ ურთიერთობის დროს, ისე, როგორც წინეთ წმინდა ფეოდალურ ხანაში, გლეხობისათვის არა თუ განათლება, უბრალო წერა-კითხვაც კი ხელმიუწვდომელი იყო; ბატონების აზრით, ყველა ეს უსარგებლოა გლეხებისათვის და მავნებელია კიდეც იმათი „ზნეობისათვის".

ნატურალური ფეტიშიზმის ნაშთები, ცოდნათა განვითარებასთან ერთათ, ქრებიან და დეგრადაციის გზას ადგებიან. ეს პროცესი განსაკუთრებით აშკარათ იჩენს თავს, როცა კათოლიციზმს შევადარებთ იმ რეფორმატორულ მოძღვრებებთან, რომლებმაც შემდეგ იმისი ალაგი დაიჭირეს. სამაგიეროთ, საზოგადოებრივ ფსიხოლოგიაში თან-და-თან ვითარდება და ფესვებს იდგამს საქონლის ფეტიშიზმი. ამასთან მჭიდროთ დაკავშირებულია ფულის შეძენის დაუშრეტელი წყურვილი და დაუცხრომლათ, დღე-ნიადაგ იმისი ძებნა, რაც დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს საშუალო საუკუნეების მეორე ნახევრისა და ახალი დროის დასაწყისში. ამ მიზნის მისაღწევათ (ფულის მოსაპოებლათ) ალქიმიკოსები ხელს კიდებდენ ძნელ გამოკვლევებსა და ავანტიურისტები მიდიოდენ შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროთ; ფილოსოფიური ქვა და ინდოეთი ერთნაირ როლს თამაშობდენ მაშინდელ დროის ფსიხოლოგიაში.

საქონლის ფეტიშიზმის განვითარება ცხადათ ახსნის ამ ეპოქის ეკონომიურ შეხედულებებს. მაგრამ ამ შეხედულებათა განხილვა უფრო უმჯობესია სამანუფაქტურო ხანის შეხედულებებთან ერთათ, რომლებთანაც ისინი მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი. მანამ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სავაჭრო კაპიტალმა გაანადგურა ყველა ის შეხედულებანი, რომლებიც „ფულის ბალანსის" პოლიტიკას ითხოულობდნენ.

სავაჭრო კაპიტალისთვის რამოდენიმეთ ცვლისა და საქონლების გატან-შემოტანის თავისუფლება უმწვერვალესად საჭიროა, თითქმის პირდაპირ აუცილებელიც. ფულის გატანის ყოველივე შეზღუდვა ავიწროებს და ხელს უშლის სავაჭრო კაპიტალის დატრიალებას.

მონოპოლიური სისტემა ვაჭარ-კაპიტალისტისათვის სიმპატიურია მხოლოდ იქ, სადაც ეს მონოპოლია მის ხელში ვარდება. აქედან წნდება „მერკანტილური" მოძღვრება,—სკოლა, ანუ „სავაჭრო ბალანსის" სკოლა. ეს მოძღვრება წინანდებურათ ფიქრავს, რომ საზოგადოების სიმდიდრეს მისი ფული შეადგენს, მაგრამ საჭიროთ მიაჩნა მეტი ზრუნვა დაიხარჯოს ფულის შემოზიდვის გადიდებაზე, და არა იმათი გაზიდვის წინააღმდეგ. ბრძოლაში. ამისთვის ეს სკოლა სავაჭრო ბალანსისა მოითხოვს, რომ სახელმწიფომ მრავალგვარი მფარველობა აღმოუჩინოს თავის ქვეყნის საკუთარ მრეწველობას და მაღალი ბაჟების შემოღებით შეამციროს ისეთი საქონლის შემოტანა, რომლების დამზადებაც თავის ქვეყნის საზღვრებში შეიძლება. გარდა ამისა, მერკანტილური სკოლა ურჩევს სახელმწიფოს, საზოგადოთ, სიფრთხილით მოექცეს ვაჭრობისა და წარმოების რეგლამენტაციისა და მონოპოლიათა სისტემას. (დაწვრილებით ამ სკოლაზე ქვემოთ).

სავაჭრო-კაპიტალისტურ საზოგადოებაში, როგორც ყველა საცვლელ საზოგადოებაში, განვითარების ძირითად ძალას კონკურენცია შეადგენს. იმისი მოქმედება იმდენათ უფრო აშკარა ხდება და საზოგადოების განვითარება იმდენათ მეტი სისწრაფით მიდის წინ, რამდენათაც სუსტდება და ქრება ძველი დაბრკოლებანი—ფეოდალური და ცეხური წყობილებანი, და მით მრეწველობისა და ვაჭრობის წრეს-გადასული რეგლამენტაცია სახელმწიფოს მხრივ, და სხვ.

მოვაჭრე კლასი განვითარების სათავეში დგება და წინ მიაქანებს სხვა საზოგადოებრივ ძალებს და, პირველ ყოვლისა,—მთავრობას. ბაზრების დაუსრულებელი ძებნა და ცვლის საფეხურის გაფართოებისადმი მისწრაფება იწვევს ზღვაოსნობის გაუმჯობესებას: სწავლობენ უფრო დიდ და მაგარ გემების აგებას, რომლებიც ოკეანეში საცურავათ გამოდგებიან; ასტრო-

ნომიის პროგრესი და კომპასის შემოღება შეძლებას აძლევს მათ მეტი სისწორით წაიყვანონ გემი იქითკენ, საითკენაც სურთ.

მიმოსვლის საერთო განვითარებასთან მჭიდროთ დაკავშირებულია წარმოშობა-განვითარება მრეწველობის მრავალი ახალი დარგებისა, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს შემდგომ ეკონომიურ ცხოვრებაში: ასეთია საწერი ქაღალდის წარმოება და წიგნების ბეჭდვა. როგორც უძლიერესი იარაღები ყოველივე ცოდნის გავრცელების საქმეში, წარმოების ეს დარგები საშინლათ აჩქარებენ შრომის ნაყოფიერების განვითარებას.

ცხოვრების საერთო პროგრესი თავის კვალს ამჩნევს მრეწველობის ყველა დანარჩენ დარგებსაც. წარმოების რაოდენობა იზრდება, ტეხნიკა მუდმივ ცვალებადობაშია. საზოგადოთ, სწორეთ სავაჭრო კაპიტალის ხანაა ის ხანა, რომელსაც ხშირათ ისტორიკოსები „დიად გამოგონებათა და აღმოჩენათა ხანას“ უწოდებენ.

ეს ხანა წარმოადგენს აგრეთვე „მეცნიერებათა და ხელოვნებათა აღორძინების ხანას“, რომლის განვითარებასაც ძლიერ დაეხმარა კლასიკური ქვეყნის დარჩენილ იურიდიულ-ლიტერატურულ და ხელოვნურ ქმნილებათა დარჩენილი ნიმუშები. ეს მემკვიდრეობა სრულიათ უძრავათ იდვა იმ დრომდე, სანამ საზოგადოებამ ხელახლა არ მიაღწია საცვლელ ურთიერთობათა იმ საფეხურამდე, რომელზედაც იდგა ძველი ქვეყანა თავის აყვავების ხანაში. როდესაც კი საზოგადოება იმ საფეხურზეავიდა, მაშინვე ძველი ქვეყნის ამ მემკვიდრეობამ გაადვილა და დააჩქარა აზროვნებისა და მოქმედების ახალ ფორმათა წარმოშობა-განვითარება.

სავაჭრო კაპიტალის ხანის ისტორიული დასაბამი დასავლეთ ევროპის სამხრეთისათვის იწყება მე-XIII საუკუნიდან, ჩრდილოეთისთვის კი, დაახლოვებით, —მე-XV საუკ. მიწურულიდან. არსებითათ სავაჭრო კაპიტალის განვითარება განუყოფლათ დაკავშირებულია საცვლელ ურთიერთობათა განვითარებასთან. სავაჭრო კაპიტალის ეპოქის დასასრულათ შეიძლება ვივარაუდოთ მე-XVI საუკუნის დასაწყისი, როდესაც გა-

ჩნდა და აღორძინდა მანუფაქტურული წარმოება, მაგრამ სავაჭრო კაპიტალის განვითარება, იმისი საზოგადოებრივი როლის ზრდა შემდეგაც გრძელდება, სავაჭრო კაპიტალის პროგრესთან ერთათ.

სავაჭრო კაპიტალის თავდაპირველი განვითარება იტალიის რესპუბლიკებში (ვენეციაში, გენუიაში და სხვაგან) შედეგი იყო მათი შუამავლობისა დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის გაჩაღებულ ვაჭრობაში. ეს შუამავლობა, რომელიც იტალიის რესპუბლიკებს არგუნა წილათ მათმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, საშუალებას აძლევდა მათ სიმდიდრე მოეხვეჭათ ორსავე სამრეწველო მხარეში ვაჭრული ექსპლოატაციის შემწეობით, რომელთა შორისაც ისინი ეწეოდენ შუამავლობას.

სავაჭრო კაპიტალის შემდეგი განვითარება და აქედან წარმომდგარი ძებნა ახალი ბაზრებისა იწვევს ახალი ქვეყნების აღმოჩენას; აღმოაჩინეს ამერიკა, აფრიკის ნაწილები; აღმოჩენილ იქმნა ოკეანეს გზა ევროპიდან ოსტ-ინდოეთსა და ჩინეთში. სავაჭრო კაპიტალი სწრაფათ განვითარდა იმ ქვეყნებში, რომელთაც, ოკეანეს ნაპირებზე მდებარეობის გამო, შეძლება ქონდათ სხვაზე უფრო უკეთ ესარგებლათ ახალი ბაზრებით. ასეთებია, პირველ ყოვლისა, ესპანია და პორტუგალია. ძველებურათ ხმელეთით მიმოსვლა და აღებ-მიცემობა აღმოსავლეთ აზიასთან თითქმის შეწყდა და ამ ვაჭრობის მოშუამავლე იტალიის რესპუბლიკებიც სწრაფათ დაეცენ.

ესპანია, რომელმაც შემდეგ ახალ აღმოჩენილ ქვეყნების ექსპლოატაცია თავის მონოპოლიათ გაიხადა, მალე სიმდიდრისა და ძლიერების უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამერიკის აუარებელი ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლები ძლიერ დიდ როლს თამაშობდენ ამ გამდიდრებაში; ამასთან, მთელი ევროპის ვაჭრობამაც აჩქარებული განვითარება იწყო ამ ლითონების მოზღვავების გამო.

მაგრამ ესპანიის სავაჭრო კაპიტალის განვითარებაც ხან—

მოკლე და უსუსური გამოდგა, იმიტომ, რომ ის არ იყო დაყრდნობილი თვითონ ესპანიის წარმოების განვითარებაზე. ძარცვასა და მონოპოლიაზე დამყარებული ეკონომიური აყვავება არასოდეს ძლიერი და ხანგრძლივი არ იქნება. ის აძლიერებს საზოგადოებაში პარაზიტულ ელემენტებს, რის გამოც ყოველივე პროგრესი შეუძლებელი ხდება. ვაჭრობა და ეკონომიური ბატონობა გადაიბარგა ჰოლანდიაში, რომელიც, მრეწველობის მხრივ, გაცილებით უფრო სწრაფათ ვითარდებოდა (ჰოლანდიას კი შემდეგ, როგორც ვიცით, პირველობა ინგლისმა ჩამოართვა).

ვაჭრობის ამ ერთი ქვეყნიდან მეორეში და მეორიდან მესამეში გადმოსვლის დროს ხდება სავაჭრო კაპიტალის ორგანიზატორულ როლის თანდათანი გაფართოება წარმოებაში: სავაჭრო კაპიტალი, ადიდებს და აფართოებს-რა თავის გავლენას წარმოების მსვლელობაზე, სულ უფრო და უფრო იღებს **სამრეწველო კაპიტალის** სახეს.

## VI. სამრეწველო კაპიტალიზმი.

## სამანუფაქტურო ხანა.

### 1. საზოგადოების დამოკიდებულება გარეშე ბუნებასთან.

წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოების განვითარების პირველ დღიდანვე მრეწველობის სხვა დარგებზე უფრო სწრაფათ ვითარდებოდა ვაჭრობა (ბაზრების მოპოება, საქონლების გატანა, საწყობების გამართვა, ყიდვა-გაყიდვის მოწყობა და სხვ.). როგორც ზემოთ ვთქვით, ამით აიხსნება „სავაჭრო კაპიტალის“ აღორძინება, ე. ი. საზოგადოებრივ წარმოებაში ორგანიზატორულ როლის ვაჭართა კლასის ხელში ნაწილ-ნაწილათ გადასვლა. ეგევე ხდებოდა სავაჭრო კაპიტალიზმის ხანაშიაც, რასაც შედეგათ ის მოჰყვა, რომ წარმოების ყველა დარგები, სავაჭრო კაპიტალის საშუალებებთან და საჭიროებებთან შედარებით, მეტათ **ჩამორჩენილი** აღმოჩნდენ.

ყველაზე მეტი ჩამორჩენილობა, რასაკვირველია, მიწათ-

მოქმედებამ გამოიჩინა. სამიწათმოქმედო ტეხნიკისა და მთელი სამეურნეო ეკონომიკის ისტორიული პირობები თავის-თავათ ხელს არ უწყობდენ სწრაფ პროგრესს: ფეოდალური ურთიერთობანი, როგორც დავინახეთ, საზოგადოთ ძლიერის კონსერვატიზმით იყო გაჟღენთილი, ბატონ-ყმური ურთიერთობანი კი, ამას გარდა, მშრომელთა საშინელი ჩაგვრა-შეწუხებით, ყოველივე განვითარების დამამხობელი თვისებებით იყო განთქმული. ამიტომ მიწათმოქმედებაზე ცალკე მოგვიხდება ლაპარაკი: ცოტათ თუ ბევრათ თვალსაჩინო სატეხნიკო რეფორმები შესასწავლათ აღებულ ეპოქაში სულ სხვა დარგებში მოხდა, და არა სამიწათმოქმედოში.

ქალაქის მრეწველობისთვის ბაზრის ძებნისადმი მისწრაფებამ გამოიწვია, როგორც ვიცით, მრავალი შორეული მოგზაურობანი, ამას კი მოჰყვა აღმოჩენა ევროპიელებისათვის აქამდე სრულიათ უცნობის ქვეყნებისა, რომლებიც უანგარიშო სიმდიდრით იყვნენ სავსენი: აღმოაჩინეს, მაგალითად, მთელი ამერიკა, დიდი ნაწილი აფრიკისა, სამხრეთ აღმოსავლეთი აზია, ასობით დიდი და პატარა კუნძულები და სხვ... ახლათ აღმოჩენილ ქვეყნების ძარცვასთან ერთათ, ან მის შემდეგ, ხდებოდა მათი დასახლება (კოლონიზაცია) ევროპის მოჭარბებულ მცხოვრებლების-მიერ და მათი ბუნებრივი სიმდიდრის საწარმოო ექსპლოატაცია, რამდენიმეთ თავისუფალ ხალხისა და რამოდენიმეთ კი—ყმისა და მონის შრომის შემწეობით.

ახლათ აღმოჩენილ ქვეყნების წარმოება სავაჭრო კაპიტალის სამოქმედო სფერაში შევიდა. ამ ახალმა ბაზრებმა ისეთი ძლიერი მოთხოვნა წამოაყენა დამმუშავებელი მრეწველების ნაწარმოებზე და ეს მოთხოვნა ისეთი სისწრაფით ხდებოდა, რომ მათი დაკმაყოფილება არ შეეძლო შინაურ კაპიტალისტურ მრეწველობასა და ხელოსნურ წარმოებას, რომელიც ტეხნიკურათ წვრილ დაწესებულებებათ იყო დანაწილებული, და, ამის გამო, ჩქარი გაფართოვების უნარი არა ჰქონდა; ამა-

ვე დროს, ვაჭრობის სფერაში თავმოყრილი იყო აუარებელი საშუალებანი, იქ უზომოთ დიდი კაპიტალი ტრიალებდა, რომელსაც შეეძლო ნაწარმოების გაზიდვა ბაზრების მოთხოვნილებათა შესაფერათ გაეფართოვებინა.

სავაჭრო მრეწველობისთვის წარმოების დანარჩენ დარგების ნაწარმოები მხოლოდ „მასალას" წარმოადგენს, ისე, როგორც საფეიქროსთვის—სართავი მრეწველობის ნაწარმოები, მეწაღისათვის—ტყავის წარმოება და სხვ.

სართავი წარმოება რომ თავის განვითარებაში საფეიქრო წარმოებას ჩამორჩეს, მაშინ ფეიქრები ველარ მიიღებენ მათთვის საკმაო ძაფს, და ძალაუნებურათ უნაყოფოთ უნდა დაკარგონ თავის სამუშაო ენერგიის ნაწილი, ან არა-და—თვითონ იზრუნონ სართავი წარმოების გადიდება-გაფართოებაზე. სწორეთ ასეთივე დილემმა დაუდგა წინ სავაჭრო კაპიტალსაც: ის ან უნდა შეჩერებულიყო თავის განვითარებაში, ან-და დამმუშავებელი მრეწველობის შესაფერ გაფართოვება-განვითარებას ცდილიყო. სავაჭრო კაპიტალს იმდენი ძალ-ღონე კიდევ მოეპოვებოდა, რომ განეხორციელებია მეორე. რა ღონისძიება უნდა მიელო სავაჭრო კაპიტალს, რომ გაეზარდა შრომის ნაყოფიერება დამმუშავებელ მრეწველობაში.

სამრეწველო ტეხნიკის მდგომარეობა ასეთი იყო: წვრილი წარმოების განვითარება, ასე ვთქვათ, დასრულდა. თითქმის ყველა რთული ხელობა, რომელიც რამდენიმე სხვადასხვაგვარ ნაწარმოებს ამზადებდა, რამდენსამე წვრილ ხელობათ დანაწილდა, და თვითოეული მათგანი ცალკ-ცალკე მხოლოდ ერთ რომელისამე ნაწარმოების დამზადებას შეუდგა. ასეთი ნაწარმოებისთვის გამოგონებულ იქმნა ტეხნიკურათ უფრო სრული ხელსაწყოები. ამას იქით წასვლა წარმოებას არც შეეძლო, თუ ისევ **წვრილ** დაწესებულებებში დანაწილებული დარჩებოდა. აუცილებელი შეიქმნა მსხვილ დაწესებულებათა მოწყობა, რომლებშიაც შრომის დანაწილებას, შედარებით, უფრო ფართე სარბიელი ექნებოდა: საზოგადოებრივ და-

ნაწილების მაგიერ შრომა ტეხნიკურად უნდა დაყოფილიყო, რადგან შრომის საზოგადოებრივი დანაწილების უფრო განვითარება არსებულ პირობებში მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

## 2. წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება სამანუფაქტურო კაპიტალიზმის ეპოქაში.

### ა) მანუფაქტურების აღორძინების სოციალური პირობები.

აღვნიშნეთ რა საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებათა ძირითადი ტეხნიკური პირობები, ეხლა უნდა გადავიდეთ წარმოების ახალ ფორმათა აღორძინების უფრო არსებით ეკონომიურ პირობების განხილვაზე.

პირველ ყოვლისა, რადგან მანუფაქტურული წარმოება თან-და-თან **მსხვილი** საწარმოვო დაწესებულების სახეს იღებს, ამიტომ იგი ცდილობს ცალკე ორგანიზატორების ხელში წარმოების დიდძალ საშუალებათა შეგროვებას (ან-და ფულის შემოკრებას, რომლითაც მცვლელ საზოგადოებაში ყოველთვის შეიძლება საწარმოვო საშუალებათა შეძენა). მოვაჭრე-კაპიტალისტებს კი ეს საშუალებანი ხელში ჰქონდათ. გავიხსენოთ საზოგადოთ ის პროცესი, რომლის დახმარებითაც იკრიბებოდა სიმდიდრე ვაჭარ-კაპიტალისტების ხელში, — **კაპიტალების პირველდაწყებითი დაგროვების პროცესი**.

ფეოდალიზმისა და ბატონ-ყმობის ხანაში აუარებელი სიმდიდრე გროვდებოდა ფეოდალების ხელში უნებური შრომის ექსპლუატაციით. ახალ ქვეყნების დაპყრობისა და კოლონიზაციის (დასახლების) დროს სავაჭრო კაპიტალის ხანაში ევროპიელები, ჩვეულებრივ, ყველგან ამყარებდენ ბატონ-ყმურ და მონათმფლობელურ ურთიერთობებს, და ასეთივე ექსპლუატაციის საშუალებით აგროვებდენ უანგარიშო სიმდიდრეს. ომები და ძარცვა-გლეჯაც ხშირათ ასეთის გზით შეძენილ სიმდიდრის გამაერთიანებელ საშუალებას წარმოადგენდა.

ქალაქებში ხელოსნური მრეწველობა ისე იყო მოწყობილი, რომ დიდხანს ეწინააღმდეგებოდა თვალსაჩინო სიმდიდრის

შექუჩებას. საზოგადოთ, საფეოდალო-სასოფლო და სავაჭრო-სახელოსნო ქალაქს შორის კულტურის განსხვავებისა და, განსაკუთრებით, ქალაქის მტკიცე და მაგარ სამრეწველო კავშირის გამო, ქალაქი დრო-გამოშვებით, სისტემატიურათ ძარცვავდა და ყვლეფდა სოფელს––ყიდულობდა მის ნაწარმოებს ნამდვილ ღირებულებაზე ნაკლებ ფასებში. ვაჭართა კლასი, როგორც შუამავალი საცვლელ ურთიერთობაში, ყველაზე მეტს იგებდა, ამით, რადგან ადვილათ სარგებლობდა, ერთის მხრივ—გლეხის უვიცობა-უგნურობითა და დაბეჩავებით, და, მეორე მხრივ—ფეოდალის მფლანგველობით. ამნაირათ, გლეხის შრომა გადაიქცა ქალაქის კაპიტალათ. გლეხებისა და ფეოდალების დამორჩილების შემდეგ, სავაჭრო-სავახშო კაპიტალმა დაიმორჩილა აგრეთვე ხელოსნებიც: წარმოების შინაური კაპიტალისტური ფორმა მხოლოდ აუცილებელ საშუალებას უტოვებს თვითოეულ წვრილ მწარმოებელთ თავისი სამეურნეო დაწესებულების განსაგრძობათ, ზედმეტი შრომა კი სავაჭრო კაპიტალის სასარგებლოთ მიდის.

ამგვარათ, დაგროვების ნაკადული სხვადასხვა გზით მიეშურება ერთი მიზნისკენ, ეს მიზანია—სავაჭრო კაპიტალის შეუწყვეტელი ზრდა-გამრავლება.

ამ სიმდიდრის ზრდა-განვითარებაში, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა სამრეწველო კაპიტალიზმს, ყველაზე მცირე მნიშვნელობა ჰქონდა წვრილი მწარმოებლების **პირდაპირ დამზოგველობას**, რომელსაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია მთავარ მნიშვნელობას აწერდა კაპიტალების პირველ დაწყებითი დაგროვების საქმეში. ის ამტკიცებდა, რომ, ყველა თუ არა, უდიდესი ნაწილი კაპიტალებისა მაინც აღორძინდა და განვითარდა თვითონ კაპიტალისტებისა ან მათი წინაპრების პირადის შრომა-მეცადინეობით, უკიდურესის მომჭირნეობითა და ყაირათობითაო. ისინი სრულათ როდი ხარჯავდენ, რასაც შოულობდენ, და რასაც აგროვებდენ ამნაირი დაზოგვით—თავის შთამამავლობას უტოვებდენ; ესენიც, თავის

მხრივ, უმატებდენ ამას თავიანთ დანაზოგავსაც და სხვ.; ასეთი წარმოდგენის სრული არარაობა და უსაფუძვლობა ერთბაშათ გვეცემა თვალში, თუ სამრეწველო დაწესებულებათა უზარმაზარ კაპიტალებს იმ მცირეოდენ გროშებთან შევადარებთ, რომლის დაზოგვაც ფაქტიურათ შესაძლებელია წვრილი მწარმოებლისათვის, თუნდაც საუკეთესო ხელის შემწყობ პირობებში.

შემდეგ, მსხვილი მანუფაქტურული წარმოება თხოულობდა გამოცდილ ორგანიზიტორებს და ამ როლისათვის თვით ცხოვრების-მიერ მომზადებულებს. მოვაჭრე კაპიტალისტების კლასი სავსებით აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას. გარდა იმისა, რომ მოვაჭრე-კაპიტალისტი იყო ორგანიზატორი თავის საკუთარი სავაჭრო მეურნეობისა, რომელიც, საზოგადოთ, უფრო მსხვილ დაწესებულებას წარმოადგენდა, ვინემ წვრილს, მომავალი მრეწველი-კაპიტალისტი კიდევ სულ სხვა გზით ემზადებოდა თავის ახალი მთღვაწეობისათვის: მან ხელში ჩაიგდო წვრილ სამრეწველო დაწესებულებათა ორგანიზატორული როლის დიდი ნაწილი. როგორც ზევით იყო გარკვეული, მოვაჭრე-კაპიტალისტს ფაქტიურათ ეკუთვნოდა წარმოების უზენაესი ზედამხედველობა და კონტროლი მრავალ წვრილ დაწესებულებებში, რომელნიც კაპიტალისტური წარმოების შინაური სისტემის შემწეობით იყვენ გაერთიანებული მისი კაპიტალის-მიერ.

შემდეგ,—აღმასრულებელ შრომას წმინდა კაპიტალისტურ დაწესებულებებში **დაქირავებული მუშები** ეწევიან. დაქირავებული მუშა კი ვერ იქნება ვერც ყმა და ვერც მონა: ამათ არა აქვთ უფლება თავისი სამუშაო ძალა თავის სურვილისამებრ მოიხმარონ, რადგან ეს ძალა ეკუთვნის არა მათ, არამედ მათ ბატონს; მხოლოდ **პიროვნულათ თავისუფალ** მუშას შეუძლია დამოუკიდებლათ განაგოს თავისი სამუშაო ძალა, შეუძლიან სხვისგან დამოუკიდებლათ გაყიდოს იგი.

მაგრამ თავისუფალი მუშა არ გაყიდის თავის სამუშაო

ძალას, თუ მას ცხოვრებისათვის სხვა რაიმე საშუალება მოეპოვება. თუ მას აქვს წარმოებისათვის ყველა აუცილებლათ საჭირო საშუალება—იარაღები, მასალა, სახელოსნო და სხვ., ის არ წავა სხვაგან სამუშაოს საძებნელათ, არამედ თავის საკუთარ სახელოსნოს გამართავს. მაშასადამე, სამრეწველო კაპიტალს სჭირია ისეთი მუშა, რომელიც მოკლებულია საკუთარ საწარმოო საშუალებებს, ანუ, როგორც საზოგადოთ ამბობენ, „თავისუფალია“ ამ საწარმოო საშუალებათაგან.

პიროვნულათ დამოუკიდებელი და წარმოების საშუალებებს მოკლებული **ადამიანი არის პროლეტარი**.

გლეხთა განთავისუფლება მიწისაგან და ბატონ-ყმობის უღლისაგან, რომელიც ფართეთ ხდებოდა საშუალო საუკუნეების დასასრულში და ახალი დროის დასაწყისში (სავაჭრო კაპიტალის უკანასკნელ ხანებში), უმთავრესი წყარო იყო პროლეტარიატის წარმოშობისა.

სანამ ასეთი განთავისუფლება ფორმალურათ, საკანონმდებლო გზით მოხდებოდა, ცხოვრება უკვე ფაქტიურათ ახორციელებდა მას: გლეხები მასსიურათ სტოვებდენ მიწას და გარბოდენ ქალაქებში. ფეოდალების-მიერ ყმების ენერგიულათ ყვლეფა ძლიერ ხშირათ იწვევდა გლეხთა მეურნეობის სრულ განადგურებას, რითაც „მიწაზე მიკრულ“ გლეხთა მდგომარეობა ყოვლად აუტანელი ხდებოდა. მაშინ სოფელში რჩებიან მხოლოდ უფრო პასსიური ბუნების (უუნარიო) ელემენტები, რომლებიც ადვილათ ურიგდებიან და ეჩვევიან გარედმიდან ჩაგვრა-რბევას, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, და ოჯახის შიგნით--დახავსებულ ტრადიციების მიერ სულის შეხუთვას. აქტიური, ენერგიული პირები კი,—ასეთები, რასაკვირველია, უმცირესობა იყო,—სტოვებენ სოფელს. მათი დიდი ნაწილი უსახლკარო, უბინაო მაწანწალებათ ხდება, სხვები კი, ვისაც პატიოსანის შრომით ცხოვრება ურჩევნია, ქალაქებში მიდიან.

გლეხის ფორმალურმა განთავისუფლებამ მხოლოდ გაა-

ადვილა და დააჩქარა პროლეტარიატის აღორძინების პროცესი. ინგლისში, სადაც საერთო სახელმწიფოებრივი აქტი არც კი გამოცემულა გლეხთა განთავისუფლების შესახებ, ბატონ-ყმობა თავის-თავათ და ადრე გაქრა: ზოგან გლეხების ენერგიული ბრძოლის წყალობით, ხოლო ზოგან კი იმის გამო, რომ, ყმის შრომასთან შედარებით, დაქირავებული შრომა უფრო სასარგებლო აღმოჩნდა. იქ დამოკიდებული გლეხის ალაგი დაიჭირა მიწის მოიჯარადრემ—ფერმერმა და უსახლკარო მოჯამაგირემ, ან ნახევრათ მოჯამაგირემ. თუ ფერმერი საჭირო ანგარიშს რიგიანათ ვერ ასწორებდა, მიწათმფლობელი (ლენდლორდი) სდევნიდა მას და იჯარას სხვას აძლევდა. ამნაირათ, იჯარა გადადიოდა უფრო შემძლებელ ფერმერების ხელში, რომლებიც უფრო მეტსაც აძლევდენ და უფრო პირიანათაც უსწორდებოდენ მემამულეს. ამის გამო, იმ დროს მიწას მრავალი გლეხი ჩამოაშორეს.

გლეხების უმიწოთ დარჩენაში დიდი როლი ითამაშა სათემო მიწების „შემოღობვამ",—მოვლენამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც ინგლისში, ისე კონტინენტზედაც (ხმელეთზე). თავისი შემოსავალი რომ გაედიდებიათ, მემამულეები ბოროტათ სარგებლობდენ თავიანთის ფორმალურ უფლებით, არსებითათ კი—ტლანქი, მოუხეშავი ძალით, და იმის დახმარებითართმევდენ გლეხთა თემებს იმ მიწებს, რომელიც დიდის ხნიდან სათემო სარგებლობაში იყო. ძნელი წარმოსადგენი არაა ის, თუ რანაირათ უთხრიდა ძირს მიწის ასეთი ექსპროპრიაცია (ძალათ ჩამორთმევა) გლეხის მეურნეობას და ხელს უწყობდა გლეხთა გაპროლეტარებას.

თუ მემამულე დაინახავდა, რომ გლეხის მიწათმოქმედებაზე უფრო მეტი სარგებლობა პირუტყვთა მოშენებას მოაქვს, ის პირდაპირ დევნიდა თავის მიწიდან ყველა მიწათმომქმედ გლეხებს და მათ მაგიერ აშენებდა ჯოგებს, რომლებსაც რამდენიმე დაქირავებული მუშები უვლიდენ. ასე მოხდა განსაკუთრებით ინგლისში მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტ საუკუნეებში,

როდესაც ჯერ ჰოლანდიისა და შემდეგ კი ინგლისის შალეულობის მრეწველობის განვითარებამ დიდათ გააძლიერა მატყლის მოთხოვნილება, რის გამოც მატყლის ფასმა ძლიერ აიწია. ცხვრის მოშენება მეტათ სასარგებლო საქმე შეიქნა, და თავად-აზნაურობამაც ენერგიულათ მოკიდა ხელი გლეხების ხნულების საბალახოებათ გადაქცევას, და ამრიგათ, ასი ათასობით გლეხების ალაგას მილიონობით ცხოვრები მოაშენეს.

სწორეთ ინგლისში, სადაც სამრეწველო კაპიტალიზმი ყველაზე უფრო ძლიერათ და სწრაფათ განვითარდა, მოხდა გლეხების სავსებით უმიწა-წყლოთ დაგდება. იქ **ეს პროცესი** 300 წელიწადზე მეტს გაგრძელდა (უმთავრესათ მე-XVI—XVIII საუკ. განმავლობაში), და საქმე იქამდე მივიდა, რომ გლეხი-მესაკუთრე თითქმის სრულიათ გაქრა,—მთელი მიწა ლენდლორდების ხელში გადავიდა.

შემდეგ, პროლეტარიატის გამრავლების წყაროთ შეიქნა, როგორც ზემოთ ვთქვით, მეფეებისა და მთავრების-მიერ სამღვდელოებისა და ხელოსანთა კორპორაციების ქონებათა კონფისკაცია, რამაც უმწეოთ დასტოვა მრავალი საწყალი ხალხი, რომელიც აქამდე ამ დაწესებულებებით სულს იბრუნებდა. ასეთივე მნიშვნელობა ქონდა ფეოდალების-მიერ ურიცხვ შინაურ მოახლე-მოსამსახურეების დათხოვნასაც. ეს იყო აუცილებელი შედეგი ფეოდალთა ფსიხოლოგიაში მომხდარ ცვლილებისა, რომელიც გამოიწვია, საზოგადოთ, ფულის მეურნეობის განვითარებამ, განსაკუთრებით კი—სავაჭრო კაპიტალის სწრაფმა ზრდამ. წინათ ფეოდალის უმთავრეს ძალას მის მორჩილებაში მყოფ ადამიანთა სიმრავლე წარმოადგენდა, და ამიტომ მისი ბუნებრივი მისწრაფება ის იყო,—რაც შეიძლება, მეტი ხალხი ხლებოდა ამალათ, მით უმეტეს, რომ, ნატურალური მეურნეობის დროს, სხვაზე რაზე უნდა მოეხმარა ფეოდალური წარმოების გადამეტებული ნაწარმოები, თუ მოახლეები, კარის-კაცები და სხვა პარაზიტები (მუქთახორები არ ეყოლებოდათ გარშემო! (მაგ., გრაფი ვარვიკი, „კოროლების

(მეფეების) მკვებელი", რომელიც ინგლისში ცხოვრობდა მე-XV-ტე საუკუნეში, ყოველ დღე თავის ხარჯით კვებავდა 30,000 კაცს). ხოლო როდესაც ფეოდალისათვის მთავარ ძალათ ფული შეიქმნა, მანაც ხელი მიჰყო შინაყმების დათხოვნას.

პროლეტარიატის ერთ კრთ წყაროს შეადგენენ აგრეთვე გაღატაკებული და გარიყული წვრილი ხელოსნები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ არა თავის რიცხვით, არამედ ღირსებით: ყოფილი ხელოსნები სამრეწველო კაპიტალისთვის უკვე ნასწავლ, სისტემატიურ შრომისათვის უკვე გაწვრთნილ სამუშაო ძალას წარმოადგენენ,—ისეთ მუშას, რომელიც ადვილათ ეგუება კაპიტალის მიზნებს, მაშინ, როდესაც სოფლიდან გამოქცეულ პროლეტარებს—მაწანწალებს, პროლეტარებს—მათხოვრებს, პარაზიტობას შეჩვეულ შინაყმებიდან გამოსულ პროლეტარებს მუშაობაში გაწვრთნა-სწავლება და შეჩვევა, კაპიტალთან შეგუება ეჭირვებოდათ, რაც ადვილი საქმე არ იყო. გარიყულ-განადგურებულ წვრილ ხელოსანთა რიცხვი, რომელიც პირველათ, შედარებით, ძლიერ მცირე იყო, შემდეგში, როცა ხელობას მსხვილი კაპიტალისტური წარმოება გაუჩნდა კონკურენტათ, სწრაფათ გაიზარდა.

სწორეთ ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე, როგორც სამანუფაქტურო მუშა-პროლეტარიატის ერთ-ერთ წყაროს, ხელოსან ქარგლებსა და შეგირდებსაც, წვრილ სახელოსნო დაწესებულებათა დაქირავებულ მუშებს.

ასე ხდებოდა სხვადასხვა გზითა და საშუალებით სამრეწველო კაპიტალიზმის აღორძინებისა და განვითარებისათვის საჭირო „საქირაო მუშა ხელთა პირველდაწყებითი დაგროვება".

საცვლელ ურთიერთობის დროს საზოგადოებრივ განვითარებას სტიქიური ხასიათი გამოაჩნდა იმ ფაქტში, რომ „საქირაო მუშა ხელთა პირველდაწყებითი დაგროვება" იმდენათ დიდი იყო, რომ მაშინდელ სამრეწველო კაპიტალის მოთხოვნილებას ბევრით აღემატებოდა. მაგალითად, ინგლისში მე-XVI—XVII საუკუნეებში, ასი-

ათასობით კაცი არსებობდა, რომლებსაც მრეწველობა ვერ იტევდა და საქმეს ვერ უჩენდა; ამიტომ ისინი ძალა-უნებურათ მაწანწალურ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ და საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ. ამათ წინააღმდეგ მიღებულ იქმნა მეტად ენერგიული ღონისძიებანი: მათ დაღს ასვამდენ, ამათრახებდნენ, ყურებს აჭრიდნენ, და ბოლოს, „ნამეტანი ჯიუტობის გამო", ახრჩობდნენ კიდეც, მაგრამ ყოველივე ეს საქმეს ძლიერ ცოტას შველოდა. არსებითათ, ამ ზომებს ის მიზანშეწონილობა ქონდა, რომ უპატრონო პროლეტარიატი შეჩვეოდა დისციპლინასა და კაპიტალისტის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, — საზოგადოების უსახლკარო ელემენტებისათვის იმგვარი გაწრთვნა მიეცა, როგორიც ესაჭიროებოდა ახალ ორგანიზატორულ კლასებს. მაგრამ მუდამ ასეთი ზომებით როდი ცდილობდნენ ამ მიზნის მიღწევას. მე-XVI საუკუნის დასასრულს ინგლისის მთავრობამ ღარიბების სასარგებლოდ მდიდრებზე გადასახადი დააწესა. და ეს კი იმიტომ მოიქმედა, რომ კანონიერი პაუპერიზმისათვის შემწეობის აღმოჩენით, რამდენიმეთ მაინც დაეცვა მიწათმფლობელობა და კაპიტალი უკანონო პაუპერიზმის ტლანქ და მოუსვენარ ფორმებისაგან, როგორიცაა, მაგ., ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა და სხვ., და მით საზოგადოებისათვის საფრთხე აეცილებინა, აგრეთვე იმიტომაც, რომ ეხსნა ამოწყვეტისაგან მუშები, რომლებიც კაპიტალს უეჭველად გამოადგებოდა.

იმ [illegible] მხარეებში კი, სადაც ბატონ-ყმობა კიდევ დიდხანს შერჩა, სამრეწველო კაპიტალს თავის აღორძინების პირველ ხანებში, პირიქით, თავისუფალ სამუშაო ძალის შოვნა უჭირდა. ამნაირ პირობებზე შესაგუებლათ სამრეწველო კაპიტალი მართავდა ასეთ ქვეყნებში მანუფაქტურებს, რომლებსაც ყმების შრომაზე ამყარებდა; მაგრამ ყმების შრომის ნაკლულევანება ამ შემთხვევაში ისეთი დიდი აღმოჩნდა, მისი ნაყოფიერება იმდენათ მცირე, რომ თვითონ კაპიტალისტები იძულებული გახდენ სახელმწიფოსათვის პეტიციებით მიემართათ და გლეხების განთავისუფლება მოეთხოვათ.

ასეც მოხდა რუსეთში.

მომზადებული ორგანიზატორების არსებობა, კაპიტალის

და საქირაო სამუშაო ძალის პირველ დაწყებითი დაგროვება. — აი საერთოთ ის პირობები, რომლებიც შესაძლებლათ ხდიან სამრეწველო კაპიტალიზმის არსებობას.

### ბ) სამრეწველო-კაპიტალისტურ დაწესებულებათა წარმოშობა და მათი შინაგანი ურთიერთობანი.

კაპიტალისტური შინამრეწველობა წარმოადგენდა დამოუკიდებელ წვრილ წარმოებიდან სამრეწველო კაპიტალიზმზე გარდამავალ ხანას. ხელოსანი ანუ გლეხი, რომელმაც უკვე დაჰკარგა დამოუკიდებლობის მეტი ნაწილი, რომელიც უკვე ფაქტიურათ დაემორჩილა სავაჭრო კაპიტალის საორგანიზატორო კონტროლს და ამ უკანასკნელის საყვლეფ საგნათ გადაიქცა, — მით უფრო ადვილათ კარგავს თავის დამოუკიდებლობის უკანასკნელ ნაშთებს და უბრალო მუშა-აღმასრულებლათ შედის კაპიტალისტურ სამრეწველო დაწესებულებაში.

სავაჭრო კაპიტალისტის ხელშია სვე-ბედი მრავალ წვრილ მეურნეობათა, რომელთაც ის აწვდის ნედლ მასალებს (ხანდისხან იარაღებსაც) და რომელთაგან დამზადებულ ნაწარმოებსაც იგი ყიდულობს. მას შეუძლია საბოლოოთ მოსპოს ამ მეურნეობის გარეგნული დამოუკიდებლობა, თუ კი ამას მისი პირადი სარგებლობა მოითხოვს. როდესაც ნაწარმოების მოთხოვნა ფართოვდება, მოვაჭრე კაპიტალისტი ცდილობს თავისი წარმოება შესაფერათ გააფართოვოს, მაგრამ ამას არ ანებებს მის ხელქვეეით სახელოსნოების სიპატარავე, სივიწროვე და, განსაკუთრებით, მათი გარეგნული დამოუკიდებლობა, რის გამოც კაპიტალისტს ამ წარმოების მსვლელობაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, უმთავრესათ, არა-პირდაპირ, — მასალებზე და ნაწარმოებზე ფასების აწევით. მაშინ კაპიტალისტი წინანდელი სისტემით როდი კმაყოფილდება.

იგი თავს უყრის ამ მწარმოებლებს თავის საკუთარ სახელოსნოში; აქ ამუშავებს მათ თავის საწარმოო საშუალებებით, ამუშავებს, როგორც უბრალო მუშებს, რომელნიც მის ორგა-

ნიზატორობის ქვეშ მოქმედებენ, — ასეთია ძირითადი თვისებანი სამრეწველო-კაპიტალისტურ დაწესებულებათა, რომელნიც სულ პირველათ მანუფაქტურების სახით გაჩნდენ. თუ ამ ურთიერთობას დავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ პირველი ჩანასახები გაჩნდენ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეების საამქრო (საცეხო) სახელოსნოებში, სადაც ქარგლებსა და შეგირდებს ისეთივე ურთიერთობა ქონდათ ოსტატთან, როგორც შემდეგ დაქირავებულ მუშებს კაპიტალისტებთან. უმთავრესი განსხვავება აქ დაწესებულებათა სიდიდეშია და აგრეთვე იმაში, რომ ხელოსან-ოსტატს არ ყოფნიდა მარტო ორგანიზატორული მუშაობა და იძულებული იყო აღმასრულებელი შრომაც გაეწია, მაშინ, როდესაც კაპიტალისტი მხოლოდ ორგანიზატორის როლს ასრულებს.

ახალი სისტემის შემოღება სასარგებლოა კაპიტალისტისათვის არა მარტო იმიტომ, რომ იგი წარმოების პირდაპირ, სრულ-უფლებიან ორგანიზატორათ ხდება, არამედ იმიტომაც, რომ შესამჩნევათ ამცირებს წარმოების ხარჯებს, — სახელოსნოს მოწყობა, მისი განათება-გათბობა, იარაღების შეძენა ახლა შედარებით ნაკლებ ხარჯს მოითხოვს. ერთი დიდი სახელოსნო, აგებული 20 მუშისათვის, გაცილებით ნაკლები ჯდება, ვინემ 20 პატარ-პატარა სახელოსნო, თითო მუშისთვის სამუშაოთ ცალკ-ცალკე მოწყობილი; პირველში რომ ჯერ შრომის ტეხნიკური დანაწილებაც არ იყოს შემოღებული, მაინც არ დასჭირდება თვითოეულ მუშისთვის იარაღების სრული კომპლექტის შეძენა, როგორც ეს განცალკევებულ სახელოსნოში მუშაობისთვისაა აუცილებლათ საჭირო, — სამუშაო დრო ისეთნაირათ წესრიგდება, რომ, როდესაც ერთი მუშა ერთ იარაღს ხმარობს, მეორე მაშინ მეორეთი მუშაობს, შემდეგ კიდევ ერთი-მეორეს უცვლიან იარაღებს, და ამნაირათ იარაღებიც მუდამ ხმარებაშია და უქმათ არა ყრიან. მეტი გამოსარჩენია მასალებშიაც: ჯერ ერთი — გაცილებით ნაკლები ჯდება მათი ერთბაშათ ყიდვა და ერთად სახელოსნოში დაგროვება, მეო-

რე—უფრო ადვილია და სასარგებლოც მოხმარა იმ აუარებელ ნარჩენ ნაჭრებისა, რომელიც ასე ბლომათ ყრია მსხვილ სახელოსნოებში და სხვ.

მანუფაქტურების აღორძინებას ძლიერ უშლიდენ ხელს ცეხების პრივილეგიები. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ცეხებს ეკუთვნოდა ქალაქებში წარმოების მონოპოლია, საცეხო წესდებანი კი ჩვეულებრივ სასტიკათ საზღვრავდენ დაქირავებული მუშების—ქარგლებისა და შეგირდების—რიცხვს თვითოეულ დაწესებულებაში და აკანონებდენ მათს ძლიერ მცირე რიცხვს, მაგრამ სამრეწველო კაპიტალმა მოახერხა ამ დაბრკოლებათა რამოდენიმეთ დამორჩილება, ხოლო რამოდენიმეთ კი—გვერდის აქცევა.

პირველათ მანუფაქტურებს უფრო ხშირათ აარსებდენ ისეთ ადგილებში, სადაც საამქრო პრივილეგიები არ არსებობდა, სახელდობრ—სოფლებში და ახლათ გაშენებულ ქალაქებში, სადაც ცეხური წყობილება ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული, და ძველი ქალაქების იმ მიდამოებში, რომელიც საამქრო „სტატუტების“ მოქმედებას არ ექვემდებარებოდა.

შემდეგ, საცეხო პრივილეგიები ნელნელა თვით ქალაქებშიაც კარგავდენ ძალას და ქრებოდენ. სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის მტრობა ცეხებისადმი სახელმწიფოს პოლიტიკაშიაც იხატებოდა: მეფეები (კოროლები) მფარველობას უწევდენ მანუფაქტურებს, რადგან იგინი მიაჩნდათ სახელმწიფოს შემოსავლის მდიდარ წყაროთ. ამიტომ ისინი ხშირათ ნებას აძლევდენ მანუფაქტურები გაემართათ საცეხო ქალაქებშიაც, და ამნაირათ ცეხებს ნელნელა უსპობდენ წარმოების მონოპოლიას.

დაბოლოს, მანუფაქტურის საკმაოთ განვითარებასთან ერთათ, ცეხის ოსტატებსაც სურვილი ებადებათ თავისი სახელოსნო მანუფაქტურათ გადაიკეთონ. სამრეწველო კაპიტალთან მეტათ მძიმე კონკურენციის დროს, ცეხის ოსტატები ყველაზე უფრო ხელ-ფეხ შებორკილი დარჩენ თავიანთ წესდების იმ

მუხლებით, რომელიც ქარგლებისა და შეგირდების რიცხვს ძალზე ზღუდავენ. უფრო შეძლებული ხელოსნები, რამდენათაც მეტი დრო მიდიოდა, იმდენათ მეტ ძალ-ღონეს ხარჯავდენ, რომ როგორმე გვერდი აექციათ ან სრულიად მოესპოთ ეს დადგენილებანი. როდესაც მათმა ცდამ გაიმარჯვა და ცალკა სახელოსნოებში დაქირავებულ მუშათა რიცხვმა ძლიერ იმატა, მაშინ ხელობისა და ხელოსნობის მანუფაქტურათ გადაქცევა მეტათ ადვილი და ბუნებრივი საქმე შეიქნა.

ამავე დროს, არსებითათ წარმოების ფორმის ასეთი განახლება ხდება სასოფლო მეურნეობაშიაც, როგორც დამმუშავებელ მრეწველობაში: სოფლის კაპიტალისტი, იმის ნაცვლათ, რომ ყვლიფოს გლეხობა, როგორც ჩარჩმა ან მევახშემ, თვითონ აარსებს მსხვილ სამიწათმოქმედო წარმოებას თავის ან იჯარით აღებულ მიწაზე და იმუშავებს მას დაქირავებული მუშის საშუალებით. მარა ეს ცვლილება მიწათმოქმედებაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, უფრო ნელა და გვიან ხდება, მანუფაქტურის დამახასიათებელი თვისება — შრომის ტეხნიკური დანაწილება — ძლიერ სუსტათ იკიდებს ფეხს. ამიტომ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაზე ცალკე დაგვჭირდება ლაპარაკი.

მანუფაქტურის პირველ საფეხურზე კაპიტალისტის მუშები ყველანი ნამდვილი ძველებური ხელოსნები არიან: თვითოეული მათგანი იმავე სამუშაოს ასრულებს, რასაც წინეთ დამოუკიდებელი წვრილი მწარმოებელი ასრულებდა. მაგრამ შემდეგ, თავის განვითარებასთან ერთათ, მანუფაქტურა ანვითარებს ხელით შრომის ტეხნიკას — ქმნის შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას. სხვადასხვა შემთხვევებში ეს პროცესი ორის სხვადასხვა გზით წარმოებს.

კაპიტალისტის-მიერ დაქირავებულ მუშებში, რომელნიც ყველანი ერთნაირ სამუშაოს ასრულებენ, ერთს ყველაზე უფრო ამ სამუშაოს ერთი ნაწილის გაკეთება ემარჯვება, მეორეს — მეორესი და სხვ. ადრე თუ გვიან, კაპიტალისტი იმ აზრს ადგება, რომ უფრო უმჯობესია თვითოეულ მუშას სამუშაოს

ის ნაწილი მიანდოს, რომელიც მას უფრო ემარჯვება და რომელშიაც იგი უფრო დახელოვნებულია. თუმცა თავდაპირველად თვითოეული მუშა მაინც საკმაოდ რთულ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ შემდეგ, მუშათა რიცხვის გამრავლების გამო, შესაძლებელი ხდება თვითოეულ მუშისთვის სულ უფრო და უფრო სადა, მარტივი და წვრილი სამუშაოს დავალება. ამგვარათ, შრომის დანაწილება იმ სიმაღლემდე აღწევს, რომლის ნიმუშსაც ვხედავთ ნემსის მანუფაქტურაში, სადაც თვითოეულმა ნემსმა 72 მუშის ხელში უნდა გაიაროს, სანამ სრულიად დამზადდებოდეს.

აქ მანუფაქტურული შრომის დანაწილება გამოდის, როგორც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაგრძელება, როგორც იმ სამუშაოების შემდეგი დანაწილაკება, რომლებიც წინათ საზოგადოებაში განაწილებული იყო ცალკე ხელოსნებს შორის.

სხვა შემთხვევებში კი შრომის მანუფაქტურული დანაწილება სხვა გზით მიდიოდა.

არიან ისეთი წარმოებანი, რომლებიც იმ თავიდანვე თხოულობენ რამოდენისამე სხვადასხვა ხელოსნების მონაწილეობას, მაგ., ეტლების კეთება. ერთ და იმავე ეტლის გაკეთებაში მონაწილეობას იღებენ: ხურო, დურგალი, მჭედელი, ზეინკალი, მეთასმე, ქაღალდის გამკვრელი, მეშუშე და სხვ. ეტლის ოსტატს ყოველთვის უხდებოდა თვითოეულ ამ ხელოსნისათვის შეეკვეთა თავის ეტლისათვის სხვადასხვა ნაწილები, თვითონ კი ამ ნაწილების ერთმანეთთან მორგება და ასე ეტლის საბოლოოთ გამზადება ეკისრა. ასეთი საქმის წარმოებას, შედარებით, დიდი თანხა სჭირდებოდა. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ ასეთი ოსტატი-შემყიდველები შემდეგ თანდათან იმორჩილებენ დანარჩენ ოსტატებს და, ამნაირათ, ვაჭარ-კაპიტალისტების როლში გამოდიან; შემდეგ კი, როდესაც ესენი უკვე მრეწველ-კაპიტალისტებათ ხდებიან, თავს უყრიან ყველა

ამ ხელოსნებს თავიანთ მანუფაქტურებში და უბრალო დაქირავებულ მუშების როლს ასრულებინებენ.

მაშასადამე, აქ კაპიტალისტს შეაქვს თავის მანუფაქტურაში უკვე არსებული საზოგადოებრივი დანაწილება შრომისა, რისთვისაც თავის ერთ დიდ სახელოსნოში უყრის თავს მრავალ სახელოსნოებში დაქსაქსულ სხვადასხვა ხელოსნებს. ამით თვითოეული მუშის სამოქმედო ასპარეზი ვიწროვდება. ზეინკალი, მჭედელი, დურგალი—იძულებული ხდებიან მხოლოდ ის საგნები აკეთონ, რომელიც საჭიროა ეტლისთვის, და ხელი აიღონ ყველა დანარჩენ სამუშაოებზე, რომელსაც აქამდე აკეთებდენ.

ასე ჩნდება აღმასრულებელ შრომის განაწილება. რაც შეეხება შრომის განაწილებას ორგანიზატორთა და აღმასრულებელთა შორის, და „გონებრივ" და „ფიზიკურ" შრომის ერთმანეთისაგან განცალკევებას, —მანუფაქტურაში ამასაც თავისი განსაკუთრებული თვისება აქვს და თავისი ისტორია.

მრეწველი **ქირაობს** მუშებს, ე. ი. განსაზღვრულ პირობებში ყიდულობს მათს სამუშაო ძალას განსაზღვრულ დროს განმავლობაში. მრეწველი აძლევს მათ საწარმოო საშუალებებს და ისინიც მუშაობენ მისი განკარგულებისა და ჩვენების თანახმათ. ამრიგათ, მუშა-აღმასრულებლების დამორჩილება აქ განისაზღვრება იმ პირობით, ანუ ხელშეკრულობით, რომელიც დადებული იყო მათ შორის დაქირავების დროს.

მრეწველი აწესრიგებს, აწყობს შრომის განაწილებას და თანამშრომლობას იმგვარათ და იმდენათ, რამდენათაც ეს მისთვის სასარგებლოთ მიაჩნია. ამასთანავე, იგი სავსებით კმაყოფილდება ორგანიზატორის როლით და სახელოსნოში არა მუშაობს, როგორც ხელოსანი. მაგრამ ეს ცოტაა,—შემდეგში, კაპიტალისტურ დაწესებულებათა განვითარებასთან ერთათ, საორგანიზატორო მოქმედებაც თანდათანობით გადადის საგანგებოთ ამისთვის დაქირავებულ მუშებზე. თავდაპირველათ კაპიტალისტს საამისოთ აიძულებს თვით მისი საწარმოო დაწე-

სეპულების ზრდა და იმ ზომამდე განვითარება, როცა ერთი კაცისათვის ჯერ მეტად ძნელი და შემდეგში კი—სრულიად შეუძლებელია ორგანიზატორის ყველა მოვალეობის შესრულება. მაშინ კაპიტალისტი ქირაობს საჭიროების დაგვარად სამუშაოთა მეთვალყურეებს, მეკანტორეებს (КОНТОРЩИКЪ), ბუჰალტერებს, დირექტორებსა და სხვ.; ბოლოს და ბოლოს კაპიტალისტს ხელში რჩება მხოლოდ მის-მიერ დაქირავებულ ორგანიზატორთა მოქმედებისათვის თვალ-ყურის დევნება და საჭირო კონტროლი; ხოლო შემდეგში თანდათან კი, როგორც ქვევით დავინახავთ, საქმე ამაზედაც არა ჩერდება.

მაშასადამე, რაც მეტი დრო გადის, იმდენად ორგანიზატორული შრომაც, მსგავსად აღმასრულებელ შრომისა, ტეხნიკურად უფრო დანაწილებული ხდება მანუფაქტურაში.

შრომის ტეხნიკური განაწილება, მუშათა უბრალო თანამშრომლობასთან ერთად, განვითარებულ სამანუფაქტურო ნაწარმოებში განსაკუთრებულ ფორმაში ყალიბდება, რომელსაც შეგვიძლია „მანუფაქტურული ჯგუფი" ვუწოდოთ.

დანების სამანუფაქტურო წარმოებაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვაგვარი მუშები: ჩამომსხმელები, მჭედლები, მჩარხველები, მლესავები, მფერავები და სხვ. ცხადია, კაპიტალისტისათვის ერთი და იგივე არაა, თუ რამდენი დაიქირავოს პირველები, რამდენი—მეორეები, მესამეები და სხვ. მან რომ ერთი ჯურის მუშები ძლიერ ბევრი დაიქირავოს და სხვები კი ცოტა, მაშინ ის ბევრი მუშა ნახევარჯერ უსაქმოდ დარჩება, რადგან დანარჩენი მუშები ვერ მოასწრებენ მათ-მიერ მიწოდებულ მასალების დამუშავებას და ვერც თვითონ დაუმზადებენ საკმაო მასალას.

კაპიტალისტმა გამოცდილებით იცის, თუ რამდენი უნდა იყოს სხვადასხვა ხელობის მუშები; იცის, მაგალითად, რომ ორ ჩამომსხმელთან საკმაოა ერთი მჭედელი, სამი მჩარხველი, ერთი მლესავი, ერთი ზედამხედველი და სხვ.; როცა კაპიტალისტსა სურს თავის სახელოსნოს რამოდენიმეთ გაფართოება,

მისთვის ხელსაყრელი არაა 2—3 ზედმეტი მუშის დაქირავება, რადგან მათ ვერაფერ საქმეს ვერ გააკეთებინებს; კაპიტალისტმა ერთბაშათ უნდა დაიქირაოს მუშათა მთელი ჯგუფი, ე. ი. ჩვენს მაგალითში—2 ჩამომსხმელი, 1 მჭედელი, სამი მჩარხავი და სხვ. აი, ეს ჯგუფი წარმოადგენს ეგრეთწოდებულ „სამანუფაქტურო ჯგუფს".

ერთი დაწესებულების თვითოეულ სამანუფაქტურო ჯგუფს შორის მხოლოდ მარტივი თანამშრომლობა არსებობს.

### გ) კაპიტალისტური დაწესებულების დედა-აზრი (სამუშაო ძალა, როგორც საქონელი).

კაპიტალისტურ მეურნეობის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იგი აგებულია დაქირავებულ შრომაზე, რომ მუშა ყიდის თავის სამუშაო ძალას, რომ **სამუშაო ძალა საქონლათ ხდება.**

ეს წარმოსდგება, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ორი პირობისაგან. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ მუშა თავისუფალია—იგი არც მონაა, არც ყმა, და **შეუძლიან** გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, ვისზედაც სურს და როგორცა სურს; მეორე კი—იმაში, რომ იგი „თავისუფალია" წარმოების საშუალებათაგანაც, მაშასადამე, ცხოვრებისთვის სხვა სახსარი არ აქვს და **იძულებულია** გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა.

სამუშაო ძალის მყიდველი კი კაპიტალისტია, ე. ი. კაპიტალის მქონე პირი. კაპიტალი კი ეწოდება ყოველსავე ქონებას, რომლის დახმარებითაც სხვის შრომას მოგებას ატოვებინებენ: საწარმოო იარაღები, მასალები, ფული (ეს განმარტება ერთნაირათ შეეხება ყოველგვარ კაპიტალს, როგორც სავაჭროს, ისე სავახშოს და სამრეწველოს; განსხვავება მხოლოთ ფორმაშია; ვაჭარიც კაპიტალისტია იმდენათ, რამდენათაც მისი ქონება წვრილ მწარმოებელთა შრომის ექსპლოა-

ტაცრის საშუალებას შეადგენს, როგორც ეს ნათლათ სჩანს კაპიტალისტური შინა-მრეწველობის სისტემაში).

საქონლათ ქცეული სამუშაო ძალა განსაზღვრულ ფასში იყიდება, საქონლის ფასი კი ისაზღვრება მისი ღირებულებით. მაშასადამე, კაპიტალისტი, საზოგადოთ, სამუშაო ძალას მისი ღირებულების დაგვარათ უნდა ყიდულობდეს. რას წარმოადგენს ეს ღირებულება? საზოგადო განმარტების თანახმათ, რომელიც პირველ თავებში იყო მოყვანილი, **ესაა — საზოგადოებრივ საშრომო ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებლათ საჭიროა სამუშაო ძალის დასამზადებლათ.** ახლა ვიკითხოთ, რამდენი საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიაა იხარჯება „სამუშაო ძალის საწარმოებლათ"?.

სამუშაო ძალა არის **შრომის შესაძლებლობა,** შრომის უნარი. ადამიანი შრომის უნარს მხოლოდ მაშინ იჩენს, როცა იმისი არსებითი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია: თუ ადამიანი ჭამა-სმასა და ჩაცმა-დახურვას მოკლებულია, მაშინ იმას არც შრომა შეუძლიან, ე. ი. მას მაშინ სამუშაო ძალა არა აქვს. თუ ადამიანის მოთხოვნილებანი მთლათ არაა დაკმაყოფილებული, მაშინ სამუშაო ძალაც ნაკლებია.

მაშასადამე, სამუშაო ძალას ჰქმნის და ამზადებს მუშის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. სამუშაო ძალის ღირებულება ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ღირებულებაა, ე. ი. ღირებულება იმ აუცილებელ საცხოვრებელ საშუალებათა, რომელიც საჭიროა მის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

მუშას უნდება დღეში ამდენი და ამდენი პური, ამდენი და ამდენი ხორცი, უცვდება ამდენი და ამდენი სამოსელი, და სხვ. სწორეთ საშრომო ენერგიის ის რაოდენობა, რომელსაც საზოგადოება ხარჯავს, რომ მუშას ყოველივე ეს მისცეს, შეადგენს მისი სამუშაო ძალის საზოგადოებრივ ღირებულებას. საშრომო ენერგიის ერთეულ საზომათ, როგორც ზევით იყო ნათქვამი, მიღებულია „ერთი საათი საშუალო ინტენსივობის

მარტივი შრომისა“. თუ მუშისთვის დღე და ღამეში აუცილებლათ საჭირო საცხოვრებელ საშუალებათა ღირებულება 5 ასეთ „საათს“ უდრის, მაშინ სამუშაო ძალის ღირებულებაც 5 „საათის“. ამ ღირებულებას უნდა შეეფერებოდეს, საერთოთ და საშუალოთაც, სამუშაო ძალის ფასი, ე, ი. მუშა უნდა იღებდეს ხელფასათ იმდენ ფულს, რამდენის დამზადებასაც 5 საათის „საშუალო ინტენსივობის მარტივი შრომა“ სჭირდება. ვთქვათ, ფულის ეს ჯამი უდრის ათ შაურს; მაშინ სამუშაო ძალის ფასი თავის ცვალებადობასა და აწევ-დაწევაში ამ ნორმის—ათი შაურის გარშემო უნდა ტრიალებდეს.

„საარსებო მოთხოვნილებათ“, რომლითაც ისაზღვრება სამუშაო ძალის ღირებულება, უნდა ჩაითვალოს არა მარტო „ბუნებრივი“, ძირითადი მოთხოვნილებანი, არამედ ისეთი ხელოვნური მოთხოვნილებანიც, რომელიც მუშას უკვე ჩვეულებათ გადაჰქცევია და რომლის დაუკმაყოფილებლობასაც იგი დავილათ ვერ აიტანს. თუ მუშები დაჩვეული არიან თამბაქოს წევას, გაზეთების კითხვას, თეატრში სიარულს, საზოგადოთ—კულტურულ გასართობებს, მაშინ თამბაქოს ღირებულება, გაზეთების და თეატრის სარგებლობის ღირებულება—კულტურულ გასართობების ხარჯი—სამუშაო ძალის საერთო ღირებულებაში შედის,—ვინაიდან, თუ ეს მოთხოვნილებანი არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ სამუშაო ძალაც თავის ნორმალურ ზომას ვერ მიაღწევს.

თავის შთამამავლობის განგრძობის მოთხოვნილება მუშების ძირითად, საარსებო მოთხოვნილებათა რიცხვს ეკუთვნის, ამიტომ სამუშაო ძალის ღირებულებაში შედის მუშის ოჯახობის სარჩენ საშუალებათა ღირებულებაც.

სამუშაო ძალის ფაქტიური ფასი ბაზარზე, ჩვეულებრივათ, არ უდრის მის ღირებულებას, ხან მეტია, ხან ნაკლები. მაგრამ აქაც, როგორც ყველა სხვა საქონელზე, კონკურენცია მუდამ ცდილობს ფასი საზოგადოებრივ ღირებულებას შეუფარდოს. როცა ფასი ნორმაზე დაბლა ეცემა, მაშინ მუშები, რო-

შელთა მოთხოვნილებებიც სავსებით ვერ კმაყოფილდება, უფრო ცუდათ მუშაობენ, ნორმალურ ენერგიაზე ნაკლებს ხარჯავენ, ხანდისხან კი სრულიათაც ანებებენ თავს მუშაობას,— ასე რომ, ამა თუ იმ მიზეზის გამო, სამუშაო ძალის მიწოდება, მის მოთხოვნასთან შედარებით, მცირდება, და ამით მისი ფასიც მატულობს, ზევით იწევს. საზოგადოთ, ჩვეულებრივ პირობებში კაპიტალისტისათვის უფრო სასარგებლოა, თუ კარგი მუშაობა და საქმის მშვიდობიანათ მსვლელობა კი უნდა, სამუშაოს მის ნამდვილ ღირებულებაზე ნაკლები ფასი არ მისცეს. ღირებულებაზე მეტის ძლევა კაპიტალისტს ხელს არ მისცემს, მაგრამ ჩვეულებრივ მას სრული შეძლება აქვს მეტი არ მისცეს, ვინაიდან იგი ბაზარზე, საზოგადოთ, ყოველთვის უფრო უკეთესს პირობებში იმყოფება, ვინემ სამუშაო ძალის გამყიდველი. ეს უკანასკნელი თავის სამუშაო ძალის გასაყიდათ მხოლოდ მაშინ მიდის ბაზარზე, როცა სხვა საცხოვრებელი საშუალება აღარ მოეპოვება. კაპიტალისტს კი, უმეტეს ნაწილათ, არაფერი არ აიძულებს უეჭველათ ეს პირი დაიქირაოს, როცა მეორეც ადვილათ საშოვნელია. რამდენიმეთ განვითარებულ კაპიტალისტურ წყობილებაში კი—სამუშაო ძალა ბაზარზე ყოველთვის მეტი მოიპოვება, ვინემ ეს საჭიროა წარმოებისათვის. (აქ ცოტათი უნდა გავუსწროთ წინ და შევნიშნოთ, რომ თვით კაპიტალისტური წყობილების გავლენით ჩნდება „ზედმეტი" სამუშაო ძალა, ეგრეთ წოდებული „მრეწველობის სათადარიგო (სარეზერვო) არმია". უნდა ითქვას, რომ ძალის „პირველდაწყებითი დაგროვების" წყალობით, უკვე სამანუფაქტურო ეპოქის დამდეგს ევროპაში ბევრი ზედმეტი ძალა მოიპოვებოდა).

თუმცა სამუშაო ხელფასი ერთად-ერთი წყაროა მუშის საცხოვრებლათ, მაგრამ კაპიტალისტი ამაზე სრულიათაც არა ზრუნავს: მას უფრო და მხოლოდ ის აინტერესებს, რომ რაიმე სარგებლობა, მოგება ნახოს დაქირავებულ მუშის შრომაში. თუ გვინდა გავიგოთ, საიდან წარმოსდგება ეს მოგება,

აუცილებლათ უნდა ავხსნათ: რა ღირებულებისაა მუშის-მიერ დამზადებული საქონელი, რა ნაწილებისაგან შესდგება იგი; და რადგან საქონლის ღირებულებას საზღვრავს მისი საშრომო ღირებულება, ამიტომ ამ კითხვების გარკვევაც მისი ღირებულების გარკვევით უნდა დავიწყოთ.

**ნაწარმოების საზოგადო ღირებულება არის საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიის მთელი ის ჯამი,** რომელიც მის დამზადებაზე იხარჯება. აშკარაა, დამზადებულ ნაწარმოების ღირებულებაში შედის ყველა ის შრომა, რომელიც მასზე დაიხარჯა, გარეშე ბუნებიდან პირველყოფილ ნედლ მასალების მოპოვება-შეძენით დაწყებული, მის სრულ დამზადებასა და მოხმარების ალაგზე მიტანამდე. უმჯობესია ეს კონკრეტულ მაგალითზე განვიხილოთ. და რომ სიტყვა მოკლეთ მოვჭრათ, სიტყვით „საათი“ აღვნიშნავთ საშრომო ენერგიის „ერთეულს“, რომელიც შეიცავს ერთი საათის „საშუალო ინტენსივობის მარტივ შრომას“.

მუშა აკეთებს თოფს. ცხადია, თოფის ღირებულებაში, პირველ ყოვლისა, შედის იმ მასალების ღირებულებაც, რომლებიც მასზე დაიხარჯა: რკინა, სპილენძი, ხე, ლაქი და სხვ. ვთქვათ, ყველა აქედან საერთოთ შესდგა 100 საათი. შემდეგ: თოფისთვის საჭიროა გასაკეთებელი იარაღები—დაზგა თავის მოწყობილობით, ჩაქუჩები, ხერხები, ქლიბები და სხვ.; მაგრამ ამათ ღირებულებას მთელათ ვერ შევიტანთ თოფის ღირებულებაში: საქმე იმაშია, რომ თვითოეული იარაღით ჩვეულებრივ აკეთებენ არა ერთ თოფს, არამედ რამდენიმეს, და, მაშასადამე, თვითოეული თოფის ღირებულებაშიაც იარაღის ღირებულების მხოლოთ ნაწილი უნდა შევიდეს; თუ, მაგ., იარაღი ასი თოფის გაკეთებაზე კმარა, მაშინ თოფის ღირებულებაშიაც შევა მხოლოდ ერთი მეასედი იარაღის ღირებულებისა; თუ ათი თოფის გაკეთებაზე—მაშინ მეათედი, და სხვა,—საზოგადოთ, ის ნაწილი, რომელიც უდრის თვითოეულ თოფის გაკეთებაზე იარაღის განაცვეთის ღირებულებას. თუ დაზ-

გა 50,000 საათი ღირს და ამზადებს კი მხოლოდ 5,000 თოფს, მაშინ დაზგის ღირებულებიდან უნდა გადავიდეს 10 საათი. თუ სახელოსნო 1.000,000 საათათ ჯდება და მხოლოდ 200,000 თოფის გაკეთებამდე ივარგებს, მაშინ მისი ღირებულებიდან ერთ თოფს შეხვდება 5 საათი, და სხვ... ვთქვათ, რომ ყველა იარაღების გაცვეთილ ნაწილთა ღირებულება ერთათ შეადგენს 400 საათს. ზემოაღნიშნულით ეს შეადგენს სულ 500 საათს, ესაა — იარაღებისა და მასალის ღირებულება.

შემდეგ, თოფის გაკეთებაზე შრომობს თვითონ ოსტატი, და ეს „ცოცხალი" შრომა (ასე უწოდებენ მას იმიტომ, რომ გაარჩიონ იგი „მკვდარი" შრომისაგან, რომელიც უკვე წინდაწინაა განხორციელებული იარაღებსა და მასალებში), რა თქმა უნდა, ნაწარმოების საზოგადო ღირებულებაში შედის. როგორც ვიცით, თოფს ამზადებს არა ერთი ოსტატი, არამედ რამოდენიმე, რომელთაც ერთმანეთში განაწილებული აქვთ შრომა, მაგრამ ეს არ შეშლის ჩვენს ანგარიშს: საჭიროა მხოლოდ გამოვიანგარიშოთ „ცოცხალი" შრომის მთელი ჯამი. ვთქვათ, ეს ჯამი საშრომო ენერგიის 250 ერთეულს, ანუ 250 „საათს", უდრის. მაშინ თოფის ღირებულების სრული ჯამი შეადგენს 750 „საათს" (100 საათი მასალა + 400 საათი იარაღი + 250 ცოცხალი შრომა ოსტატისა 750 საათი).

ასეთი თოფის ნორმალურ ფასს, ცვლის კანონის თანახმათ, შეადგენს ფულის ის რაოდენობა, რომლის დამუშავებაც თვითონაც ამდენივე „ჯდება", ე. ი. 750 საათი, — ვთქვათ, ეს უდრის 75 მანათს. ხშირათ კაპიტალისტი ნაწარმოებს, ამ შემთხვევაში — თოფს, ან უფრო ძვირათ გაყიდის, ან უფრო იაფათ, მაგრამ საბაზრო ფასი მაინც ღირებულების დონეზე გაჩერებას ცდილობს **და საშუალოთ უახლოვდება** კიდეც მას. საზოგადოთ, ანგარიშის გასაადვილებლათ, შემდეგში ყველგან მიღებული გვექნება, რომ მუშების შრომა მარტივია,

საშუალო ინტენსივობისა, და რომ ამ შრომის ერთი საათი უდრის ორ შაურს—ეს რიცხვი აღებულია ვარაუდათ.

კაპიტალისტი აძლევს სამუშაო ძალის ფასათ დღეში ათ შაურს, თანახმათ მისი ღირებულებისა, რომელიც 5 „საათს" უდრის; საათი კი ჩვენ ორ შაურათ ვიანგარიშეთ. მუშის საშრომო ენერგიის ყოველ-დღიური ხარჯიც რომ მხოლოდ 5 საათს უდრიდეს, რა შედეგი მოჰყვება ამას კაპიტალისტისათვის?

იმან თოფზე დახარჯა: მასალებში და იარაღებში ხუთი თუმანი (500 საათის ფასი 10 კ.$\times$500 50 მან.), სამუშაო ძალაში, რომელიც მან 50 დღით უნდა იყიდოს, რადგან სულ „ცოცხალ" შრომას 250 საათი სჭირდება, თითო დღეში—5 საათი---25 მანათი. სულ 75 მანათი, მაგრამ თოფიც ხომ 75 მანათათ უნდა გაიყიდოს, იმიტომ, რომ იმისი ღირებულება 750 საათია (10 კ.$\times$750 75მან.). აქ კაპიტალისტს არც სარგებლობა აქვს და არც ზარალი, მაგრამ წარმოების ასე წაყვანა შეუძლებელია.

ამის მიზეზი ისაა, რომ მუშა ხარჯავს დღეში სწორეთ იმდენ საშრომო ენერგიას, რამდენიც თვითონ სამუშაო ძალას სჭირდება, ე. ი. — 5 საათს. ამგვარათ, მუშა იღებს კაპიტალისტისაგან ათ შაურს, და ნაწარმოების ღირებულებაშიაც სწორეთ ათი შაური შეაქვს. მუშის „ცოცხალი" შრომა ამ პირობებში მოგებას არ იძლევა, „მკვდარი" შრომისაგან კი მოგების მოლოდინიც შეუძლებელია. ის 500 საათი, რომელიც იარაღებზე და მასალებზეა დახარჯული, ისევ ისე 500 საათათ დარჩა; იმათ დამზადებაზე დახარჯული უწინდელი საშრომო ენერგია სრულიათ უცვლელათ შედის ნაწარმოების ღირებულებაში, რომელშიაც მას იგივე ხუთი თუმანი შეაქვს, ე. ი. იმდენი, რამდენიც კაპიტალისტმა დახარჯა ამ საშუალებათა ყიდვაში.

მაგრამ კაპიტალისტი ასე არ იქცევა. მან **იყიდა** სამუშაო ძალა და უფლება აქვს მოიხმაროს იგი, როგორც მისთვის სამჯობინოა. კაპიტალისტი ცდილობს სამუშაო ძალას მთელი ის

სარგებლობა გამოაღებინოს, რის გამოღებაც კი შეუძლიან. უკანასკნელს შეუძლიან დღეში იშრომოს არა თუ 5 საათის განმავლობაში, არამედ 10-ს, 12 და ხანდისხან—15 საათსაც, და კაპიტალისტიც ახარჯვინებს მუშას დღეში არა 5 საათისა, არამედ, ვთქვათ, 10 საათის შრომას, ხოლო მუშა კი ხმის ამოუღებლათ ემორჩილება, იმიტომ, რომ მიყიდული აქვს მასზე თავისი სამუშაო ძალა, და 5 საათის მაგიერ, 10 საათს მუშაობს; ამიტომ ახლა თოფის გასაკეთებლათ საჭიროა უკვე არა 50, არამედ 25 სამუშაო დღე (250:10 25).

კაპიტალისტის ხარჯი ამით შემცირდება: ხუთი თუმანი ღირს საწარმოვო საშუალებანი, იარაღი და მასალა, ათი შაური$\times$25, ე. ი. $12^1/_2$ მანათად დაჯდება სამუშაო ძალა; სულ $62^1/_2$ მანათი; თოფის ღირებულება კი—750 საათია, მაშასადამე—10 კაპ.$\times$750 75 მანათი; აქედან $12^1/_2$ მანათი მოგება დარჩება კაპიტალისტს.

ამ მოგების წყარო შემდეგია: სამუშაო ძალის დამზადება დღეში ჯდება 5 საათი, ამიტომ იმისი ღირებულებაც—5 საათია; დაქირავებული მუშის დღიური მუშაობა კი გრძელდება—10 საათს და იღებს დღეში ათ შაურს, ხოლო ნაწარმოების ღირებულებაში კი იმის შრომას შეაქვს ერთი მანათი. ის $12^1/_2$ მანათი, რომლითაც კაპიტალისტმა იყიდა 25 დღით სამუშაო ძალა, 125 საათს შეადგენს, მუშის „ცოცხალი“ შრომა კი 25 დღის განმავლობაში უდრის 250 საათს. ამნაირათ, მუშამ არა თუ აინაზღაურა თავისი რჩენის ხარჯი, არამედ შექმნა კიდევ ახალი ღირებულების 125 საათი, ე. ი. დღეში 5 საათი. ეს ახალი ღირებულება არის „**ზედმეტი ღირებულება**“, და, აი, ეს ზედმეტი ღირებულება შეადგენს კაპიტალისტის მოგებას.

მუშის ყოველდღიურ შრომიდან პირველი 5 საათი წარმოადგენს, ეგრეთ-წოდებულ, „**აუცილებელ** სამუშაო დროს“, ე. ი. ეს ის ნაწილია სამუშაო დღისა, რომლის განმავლობაბაშიაც მუშა ინაზღაურებს თავის სამუშაო ძალის ღირებულე-

ბას; დანარჩენი საათები კი—**ზედმეტ** სამუშაო დროს შეად-გენს, ე. ი. დროს ზედმეტი შრომისას.

ამნაირათ, თუმცა სამუშაო ძალა საქონელია, მარა ეს საქონელი განსაკუთრებული თვისებითაა დაჯილდოვებული: სხვა საქონლის მოხმარის დროს მისი ღირებულება ან სულ ქრება,— მაგალითათ, ტანისამოსის დაცვეთის დროს, ან სხვა საქონელზე გადადის,—მაგ., მანქანის (მაშინის) ღირებულება გადადის მის დამმზადებელ ნაწარმოებზე. სამუშაო ძალის მოხმარა კი **ქმნის ღირებულებას, და ქმნის უფრო მეტს, ვინემ თვითონ მასა აქვს.**

ამიტომ, წარმოების აზრი და მიზანი კაპიტალისტისათვის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი იღებს თავის ძველ ღირებულებას, რომელიც საწარმოვო საშუალებებში განხორციელებული, ამოძრავებს მათ დაქირავებული მუშების „ცოცხალი“ სამუშაო ძალის შემწეობით და ამით ქმნის თავისთვის ზედმეტ ღირებულებას. ნაწარმოების გაყიდვის დროს ამ ზედმეტ ღირებულებას ფულის სახით იღებს, ე. ი. მოგებას ნახულობს. ამნაირათ, კაპიტალისტისათვის მისი კაპიტალი „თავისით მოზარდი ღირებულებაა“, ე. ი. ისეთი ღირებულება, რომელიც თავისით იზრდება.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში კაპიტალისტის-მიერ თავის წარმოებაში—თოფების კეთებაში—დაბანდებულ კაპიტალს ფულზე თუ ვიანგარიშებთ, შეადგენს $62^1/_2$ მანათს, რომელიც „მკვდარ“ შრომის 625 საათს უდრის. აქედან ის 500 საათი, რომელიც წარმოების იარაღებსა და მასალებში განხორციელებული, მხოლოდ უცვლელათ შევიდა ნაწარმოების საერთო ღირებულებაში, მხოლოდ „დაცულ იქმნა“ წარმოების პროცესში,— არ დაიკარგა, ხოლო ზედმეტი ღირებულების შექმნაში კი იმ 500 საათს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ესაა—ეგრეთწოდებული „კაპიტალის მუდმივი უცვლელი ნაწილი“, ანუ მოკლეთ—**მუდმივი კაპიტალი.** დანარჩენი 125 საათი, რომელიც კაპიტილისტის-მიერ შეძენილ სამუშაო ძალის ღირე-

ბულებას შეადგენს, განსაკუთრებულის თვისებით არის დაჯილდოვებული: იგი არა თუ „დაცულ იქმნა“ შრომის პროცესში, არ გაქრა სამუშაო ძალის ხმარებით, არამედ, პირიქით, ნაწარმოების საერთო ღირებულებაში მან „ცოცხალი“ შრომის მთელი 250 საათი შეიტანა და, მაშასადამე, რაოდენობით შეიცვალა, მოიმატა,—გაიზარდა ზედმეტი ღირებულების მთელი 125 საათით. ამიტომ ამას ქვია „ცვალებადი ნაწილი კაპიტალისა“, ანუ **ცვალებადი კაპიტალი.**

ამნაირათ, მხოლოდ ცვალებადი კაპიტალი, რომელიც დახარჯულია სამუშაო ძალის შეძენაზე, ქმნის ზედმეტ ღირებულებას; მუდმივი კაპიტალი, რომელიც წარმოების საშუალებათა ღირებულებას წარმოადგენს, ამ თვისებას მოკლებულია.

ზედმეტი ღირებულების დამოკიდებულება ცვალებად კაპიტალთან, ანუ ზედმეტ სამუშაო დროის დამოკიდებულება აუცილებელ სამუშაო დროსთან, შეადგენს „**ზედმეტი ღირებულების ნორმას**“. ჩვენ-მიერ მოყვანილ მაგალითშიაც ცვალებადი კაპიტალის ყოველდღიურათ დანახარჯ ათ შაურზე მოდის 5 საათი ზედმეტი შრომა, რაიცა უდრის აგრეთვე ათ შაურს, და ზედმეტი ღირებულების ნორმაც: ათ შაურს+ათი შაური 100⁰/₀-ია. ცხადია, ზედმეტი ღირებულების ნორმას შეუძლია იმ მოგების საზომათაც გამოდგეს, რომელსაც კაპიტალისტები ატოვებინებენ სამუშაო ძალას, ე. ი.—ექსპლოატაციის საზომათ. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნებოდა იმასაც დავარქვათ აგრეთვე „ექსპლოატაციის ნორმა“.

ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებისათვის წარმოების სხვადასხვა დარგებში და სხვადასხვა სამრეწველოებში ზედმეტი ღირებულების ნორმები ერთ საშუალო დონეზე გაჩერებას ელტვიან. ამის მიზეზი კონკურენციის გამათანასწორებელ მოქმედებაში უნდა ვეძიოთ. თუ სამრეწველოთა რომელსამე ჯგუფში ზედმეტი ღირებულების ნორმა უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვინემ სხვაგან, მაშინ ამ ჯგუფიდან მუშები სხვა სამრეწველოებში იწყებენ გადასვლას, სადაც ექსპლოატაცია ნაკლებია. მაგ-

რამ პირველი ჯგუფის სამრეწველოებში მაშინ სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდება მუშების სასარგებლოთ იცვლება, და მრეწველებიც იძულებული ხდებიან ხელფასს მოუმატონ, ან სამუშაო დრო შეამოკლონ,—ერთი სიტყვით, შეამცირონ ზედმეტი ღირებულების ნორმა. დანარჩენ სამრეწველოებში კი, პირიქით, მუშა ხელის მოზღვავების გამო, ძალთა განწყობილება კაპიტალისტების სასარგებლოთ იცვლება და ზედმეტი ღირებულების ნორმაც რამდენიმეთ მაღლა აიწევს. შედეგი ისაა, რომ ექსპლუატაციის, ანუ ზედმეტი ღირებულების, ნორმების სიდიდით განსხვავება ისპობა—ნორმები ერთი-მეორეს უთანასწორდება.

ამნაირათ, კაპიტალისტურ წარმოების დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ, რაკი სამუშაო ძალა საქონლათ იქცევა და კაპიტალისტი მას ქირაობს თავის ცვალებადი კაპიტალის ფასათ, იგი (სამუშაო ძალა) იხმარება წარმოებაში, სადაც თავის ღირებულებასაც ინაზღაურებს და ქმნის კიდევ ზედმეტ ღირებულებასაც, რომელიც კაპიტალისტთა კლასის „მოგების“ წყაროს შეადგენს.

ეკონომისტებში ის აზრი არსებობდა, რომ თითქო, კაპიტალისტთა კლასის მოგებას ქმნის არა წარმოება, არამედ ცვლა,—ვითომდაც მოგება იმისგან წარმოსდგება, რომ კაპიტალისტი ჰყიდის თავის საქონელს ღირებულებაზე უფრო მეტ ფასში. მაგ., საქონელს, რომლის ღირებულებაც 100 საათს შეადგენს და ამ ღირებულების შესაფერი ფასიც ერთი თუმანი აქვს, კაპიტალისტი ცვლის ისეთ საქონელზე, რომლის ღირებულებასაც 110 საათი შეადგენს და ფასს კი—11 მანათი; აქედან მოგება რჩება ერთი მანათი. მაგრამ ნამდვილათ ასე გამდიდრება შეიძლება მხოლოდ კერძო პირებისა: კაპიტალისტთა კლასის მოგების ასე ახსნა შეუძლებელია. თუ პირველმა კაპიტალისტმა 10 მან. ღირებულ საქონელში მიიღო 11 მანათიანი საქონელი, მეორემ, სამაგიეროთ, 11 მანათის ნაცვლათ—10 მანათი მიიღო, ე. ი. ერთი მანათი იზარალა. ორივე ერ-

თათ ისინი არც ზარალს იღებენ და არც სარგებლობას; გაცვლამდე მათ ჰქონდათ ორივეს 21 მანათის საქონელი, გაცვლის შემდეგაც იმდენივე დარჩათ, მხოლოდ ვისაც მეტი ჰქონდა, იმას ნაკლები დაურჩა, და ვისაც ნაკლები ჰქონდა, იმას—მეტი. ვთქვათ, თვითოეული გამყიდველი უეჭველათ ატყუებს მყიდველს თავის სასარგებლოთ, მარა გამყიდველიც ხომ, თავის მხრივ, ხშირათ მყიდველიც არის, მაშასადამე—მასაც ისევე მოატყუებენ, როგორც იგი ატყუებდა სხვას, და ასე მისი მოგება გაბათილდებოდა. ერთის სიტყვით. მოგებას რომ ცვლის გარდა სხვა წყარო არა ჰქონოდა, კაპიტალისტთა კლასი ვერ იარსებებდა.

### დ) განვითარების გზაზე დამდგარ კაპიტალისტურ დაწესებულებათა გავლენა წარმოების ჩამორჩენილ ფორმებზე.

მანუფაქტურა წარმოიშვა და ვითარდებოდა იმ დროს, როდესაც მრავალგვარი ეკონომიური ფორმები გადახლართულგადაკვანძული იყო ერთმანეთში. ქალაქის დამმუშავებელ მრეწველობაში გაბატონებული იყო კაპიტალისტური საშინაო მრეწველობა, მაგრამ დარჩენილი და დაცული იყო აგრეთვე მრავალი ნაშთები წვრილ-ბურჟუაზიულ სახელოსნო წყობილებისა თავის ნიშნობლივ კორპორატიულ ორგანიზაციებით (ცეხებით). სოფელში მრავლათ იყო გაბნეული ნატურალური წარმოების ნამსხვრევები—წვრილი სამიწათმოქმედო მეურნეობანი სხვადასხვა შემწე-დამხმარე ხელობებით; სავაჭრო კაპიტალი ცდილობდა მასსაზე თავისი ორგანიზატორულ-ექსპლუატატორული მოქმედება გაევრცელებია; ეს რამდენიმეთ კიდეც მოახერხა ხსენებულმა კაპიტალმა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეთ, რადგან მას მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ ფეოდალურ წყობილების ხავს-მოდებულ ნაშთების სახით. ამ ჩამორჩენილ, დრო-მოჭმულ ფორმების გახრწნისა და ჩამოშორების პროცესი, სავაჭრო კაპიტალის-მიერ დაწყებული, სამრეწველო კაპიტალის ზეგავლენამ კიდევ უფრო მეტათ დააჩქარა.

წვრილ ხელოსნურ წარმოებასთან კონკურენციაში მსხვილი მანუფაქტურული მრეწველობა, როგორც უფრო ძლიერი, ყოველთვის გამარჯვებული გამოდის, მაშასადამე, ამარცხებს და სპობს პირველს. ტეხნიკურათ განაწილებულ შრომის დიდი ნაყოფიერება იწვევს მანუფაქტურაში ღირებულებისა და, მაშასადამე, ნაწარმოების ფასების ისე ძლიერ დაცემას, რომ მისი ატანა ხელოსანს არ შეუძლია. ამიტომ ხელოსნობა ძლიერ ეცემა დამმუშავებელი მრეწველობის იმ დარგებში, რომლებსაც მანუფაქტურა ჰკიდებდა ხელს; ასეთი დარგების რიცხვი კი დღითი-დღე იზრდებოდა.

რომ დროებით მაინც რამდენსამე ხანს გაეძლოთ უთანასწორო კონკურენციისათვის, საამქრო ოსტატები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ რაიმე ნაირათ გაეძლიერებიათ შრომის ნაყოფიერება, ანუ, უკიდურეს შემთხვევაში, გაეძლიერებიათ შრომის ექსპლოატაცია. ამის გამო, მანუფაქტურულ ეპოქაში განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი ძველ ხელოსნურ ორგანიზაციათა გახრწნისა და დანგრევის ყველა იმ სიმპტომებმა, რომელიც, შედარებით, ნაკლებათ ჩანდა წინა ეპოქაში; მაგ., ოსტატებს შორის განვითარდა განკერძოვების სურვილი: ისინი ყოველნაირათ ხელს უშლიდენ ქარგლებს, რომ უკანასკნელნი დამოუკიდებელ ხელოსნობაში არ გადასულიყვენ, ე. ი. თვითონ არ გამხდარიყვენ ხელოსნები. წინანდელი პირდაპირი დამოკიდებულობა ოსტატთა და ქარგლებს შორის ინგრევა. მათ ორგანიზაციებს შორის სასტიკი კლასობრივი ბრძოლა იწყება; დაბოლოს თვითონ ცეხის წინანდელი მტკიცე და ურყეველი შინაგანი კავშირიც სუსტდება და თვითოეული ოსტატი მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს, რის გამოც ხშირათ მოწადინებულია გვერდი აუქციოს ყველა იმ ცეხურ დაწესებულებებს, რომლებიც მას პირადათ შემავიწროებლათ მიაჩნია თავისთვის და ცდილობს დაუსჯელათ ყვლიფოს თავისივე ამხანაგები — სხვა ოსტატ-ხელოსნები, — ისევე, როგორც ამას სა-

ვაჭრო კაპიტალი სჩადის. ამნაირათ, ცეხების სასიცოცხლო ძალა დადნა—მათი სიცოცხლის უნარი დაიშრიტა.

ემორჩილებოდენ-რა ძველ კანონს, რომელიც საერთო იყო ყველა ხანგადასულ ფორმებისათვის, ცეხური ორგანიზაციები ამით არა თუ უსარგებლო ხდებოდენ საზოგადოებისათვის, არამედ პირდაპირ მავნებელიც, რადგან აბრკოლებდენ ცხოვრების წინ-მსვლელობას. ქალაქების უმეტეს ნაწილში ცეხების ხელში იყო როგორც წარმოებისა, აგრეთვე, რამდენიმეთ, ბაზრის მონოპოლიაც, რის გამოც ცეხები ძლიერ ავიწროვებდენ და აფერხებდენ მანუფაქტურის განვითარებას, მაშინ, როდესაც ზედმეტ, ჭარბ მცხოვრებთა მასსამ არ იცოდა ვისთვის მიეყიდა თავისი სამუშაო ძალა, რადგან არსებული მრეწველობა ვერ ახერხებდა ყველა მათგანისათვის სამუშაოს შოვნას და ასე წარმოებაში დაბანდებას. საზოგადოების უმრავლესობის ინტერესები მოითხოვდა მანუფაქტურების განვითარებას; ამისთვის კი აუცილებელი იყო, ერთის მხრივ—კაპიტალის თავისუფლება, ხოლო მეორეს მხრივ—ცეხური პრივილეგიებისა და შევიწროვების მოსპობა.

თავიანთ ვიწრო ინტერესების დაცვამ ცეხები შეურიგებელ მტრებათ აქცია ტეხნიკურ პროგრესისა, რომელიც დაღუპვას უქადიდა წვრილ მწარმოებლებს. ისინი სარგებლობდენ თავიანთ საზოგადოებრივი მნიშვნელობითა და სახელმწიფოზე გავლენით, და მთელი თავისი ძალ-ღონით აფერხებდენ ახალ ტეხნიკურ გამოგონებათა შემოღებას. ხშირათ აღწევდენ კიდეც მიზანს და ახალ გამოგონებათ მათ გამომგონებლებთან ერთათ სპობდენ. ასეთ ფაქტებში განსაკუთრებულის სიცხადითა სჩანს ორგანიზაციების რეაქციონური მნიშვნელობა.

ამნაირათ, ახალგაზდა სამრეწველო კლასების—ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის—შეგნებაში თანდათან ფეხს იკიდებდა და ვრცელდებოდა ის აზრი, რომ მათთვის აუცილებლათ საჭიროა ცეხური წყობილების მოსპობა. სახელმწიფოც

თანდათან უფრო ულმობლათ მოქმედებდა ამ დრო-მოჭმულ ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ჰკარგავდენ რა თავის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ცეხები ნელ-ნელა ინგრეოდენ და ქრებოდენ ფორმალურათაც. პირველ ყოვლისა, ისინი ჰკარგავდენ თავის წინანდელ დამოუკიდებლობას. მეფეებმა (კოროლებმა) თვით მიითვისეს ოსტატის წოდების ბოძების უფლება და ენერგიულათაც სარგებლობდენ ამ უფლებით თავიანთ ხაზინის გასამდიდრებლათ. საოსტატო წოდების პატენტის გაცემის უფლებამ ფართე ასპარეზი შექმნა თვითნებობისათვის. ერთი ხელმწიფის-მიერ გაცემულ პატენტებს მეორე უარყოფდა და ყალბათ აცხადებდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მასაც ფულის აღება უნდოდა. ხშირათ ასეთი პატენტების ნაცვლათ, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, იყიდებოდა ცეხის წესდების შემავიწროებელ მუხლების დარღვევის პრივილეგია; უფრო ხშირათ კი ერთსა და იმავე დროს ხდებოდა ერთიცა და მეორეც.

სახელმწიფოს-მიერ ცეხების წინააღმდეგ ასეთ ღონისძიებათა მიღებამ დააჩქარა მათი დანგრევა ინგლისში, სადაც ცეხები უფრო ადრე გაქრა, ვინემ სხვა ქვეყნებში. გერმანიაში ცეხებმა მე-XIX საუკუნის დამდეგამდე გასტანა, საფრანგეთში კი ცეხური სისტემის დანგრევა ერთბაშათ, რევოლიუციურის გზით მოხდა 1789 წელს. მაგრამ ამ დროს ისინი აქაც ძლივს-ღა ბოგინობდენ მანუფაქტურებისა და კაპიტალისტურ შინაურ მრეწველობის კონკურენციისაგან.

ბატონ-ყმობის დროსა და კაპიტალიზმის ხანის დასაწყისში გლეხებს შორის ჯერ კიდევ ძლიერ გავრცელებული იყო **დამხმარე** ხელსაქმობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მათ შორის ტანსაცმელის წარმოება—რთვა, ქსოვა, ჭრა-კერვა, და შემდეგ—მეურნეობაში აუცილებელ იარაღების დამზადება.

დამხმარე ხელის შრომის ნაწარმოების ნაწილი ისევ მწარმოებლების საკუთარ მეურნეობაში იხმარებოდა, ნაწილი კი—

გასაყიდათ გაჰქონდათ. ფულის მეურნეობის განვითარების შემდეგ, როდესაც გლეხის ვალდებულებანი—გადასახადები, ხარკი, ბეგარა და სხვ.—ნატურის ნაცვლათ, ფულით უნდა გასტუმრებულიყვენ (და განსაკუთრებით კი სავაჭრო კაპიტალის გაძლიერების შემდეგ),—დამხმარე ხელობის ნაწარმოებიც, უმთავრესათ, ბაზრისთვის მზადდება. ამასთანავე, დამხმარე ხელობის ორგანიზაციაც, რაკი ბაზრისაგან დამოკიდებული ხდება, კაპიტალისტურ მრეწველობის საშინაო ფორმას, ანუ სახეს, იღებს.

მანუფაქტურაზე გადასვლა ამ დარგში ნელ-ნელა ხდება. თვითონ მანუფაქტურა, უმეტეს ნაწილათ, სოფელში დიდხანს კიდევ არა ჰკარგავს იმ დახმარებითი ხელობის ხასიათს, რომლისგანაც იგი წარმოიშვა: მანუფაქტურაში მომუშავეები ჯერ კიდევ არ არიან ნამდვილი მისი მუშები,—გაზაფხულზე ისინი ისევ თავის სამეურნეო სამუშაოს უბრუნდებიან. მანუფაქტურა კი ამ დროს სრულიათ, ან მისი ნაწილი მაინც, შეჩერებულია და არ მოქმედობს. ხშირათ სოფლის საერთო ეკონომიური ჩამორჩენა ანგრევს კიდეც მანუფაქტურას: მისი პატრონისათვის უფრო მეტათ სასარგებლოა, რომ გლეხებმა სამანუფაქტურო სამუშაო სახლში დაამზადონ ისე, როგორც წინათ დამხმარე ხელობას ასრულებდენ. საქმე იმაშია, რომ, რადგან გლეხის მოთხოვნილებანი ძლიერ ნაკლებ განვითარებულია და რადგან, ამასთანავე, მისთვის, როგორც მიწათმომქმედისათვის, **დამხმარე საშოვარს** მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ შინაურ მრეწველობის ნაწარმოებს ძლიერ იაფათ ჰყიდის, მიუხედავათ იმისა, რომ მისი წარმოების ტეხნიკა ძლიერ ჩამორჩენილია.

მაგრამ მანუფაქტურის ასეთი დარღვევა, იმის გაფანტვა, სამრეწველო კაპიტალის ისევ უკან დაბრუნება და სავაჭრო კაპიტალათ გადაქცევა, ყოველ შემთხვევაში — გარდამავალი მოვლენაა, რომელიც ტეხნიკის შემდეგის განვითარებით სრულიათ ისპობა. მსხვილ სამრეწველო დაწესებულებათა განვითარება და მათში შრომის გაძლიერებული ნაყოფიერება იქამდე ძირსა

სცემს საქონლის ფასებს, რომ ასეთ პირობებში გლეხების წარმოებას არსებობა და მისს ოჯახს თავის გამოკვება — არ შეუძლიანთ. ამის შემდეგ კლებულობს პირდაპირ მოსახმარ ნივთების წარმოებაც. მანუფაქტურა იწვევს ნედლი მასალების გაძლიერებულ მოთხოვნას, და გლეხისთვისაც უფრო ხელსაყრელი ხდება პირდაპირ ნედლი მასალა გაყიდოს, ვინემ დაიმუშაოს იგი. ამასთანავე, მსხვილ კაპიტალისტურ დაწესებულებათა ნაწარმოების მეტი სიმშვენიერე და სიმაგრე, მათს შესანიშნავ სიიაფესთან ერთად, ხშირად აიძულებს გლეხს ეს ნაწარმოები ამჯობინოს თავის ოჯახში დამზადებულს.

ტეხნიკის პროგრესთან ერთად, მსხვილ წარმოებაში ხდება შრომის საზოგადოებრივი განაწილების განვითარებაც: მიწათმოქმედება ეთიშება დამმუშავებელ მრეწველობას; გლეხი ან მანუფაქტურულ წარმოებაში დგება მუშად, ან-და სამიწათმოქმედო შრომით კმაყოფილდება.

ამასთან, წვრილი სამიწათმოქმედო წარმოება რამდენიმედ კარგავს თავის შეურყევლობას, ვინაიდან ხელიდან ეცლება და ეთიშება ის ბჯე, დასაყრდნობი, რომელსაც მისთვის დამხმარე ხელსაქმე წარმოადგენდა; ამით სუსტდება მისი წინააღმდეგობა ახალ ეკონომიურ ფორმებთან ბრძოლაში.

ასეთია ძირითადი ტენდენცია, მიდრეკილება სამრეწველო კაპიტალის განვითარებისა. მანუფაქტურულ ეპოქაში, სამრეწველო კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე, ეს ტენდენცია, შედარებით, სუსტად, მკრთალად მოჩანს, და რამდენიმედ კიდეც იჩრდილება ზოგიერთ ახალ და ზოგიერთ ძველ, მანუფაქტურასთან დაკავშირებულ, დამხმარე ხელსაქმის გაჩენითა და განვითარებით. მანუფაქტურისათვის მასალების მიწოდება სასარგებლო საქმედ ხდება, და გლეხებიც, — ხან დამოუკიდებლად, ხან კი იმავე კაპიტალისტების დახმარებით, — კისრულობენ ამ მასალების წარმოებას, თუ კი ამ საქმისთვის თავიანთი ტეხნიკა საკმაო იქნება.

მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმი, საზოგადოდ, ისე სწრა-

ფათ არ ვითარდება, როგორც დამმუშავებელ მრეწველობაში. სამეურნეო ტეხნიკაში შეუძლებელია შრომის ისე ფართეთ განაწილება, როგორც ეს მანუფაქტურაში ხდება. შეიძლება, მაგ., დაიყოს და დანაწილდეს ისეთი ოპერაცია, როგორიც ხვნაა? ამასთანავე, სხვადასხვა სამიწათმოქმედო სამუშაო სხვადასხვა დროს სრულდება, რაც ერთი-ორათ ამცირებს შრომის ტეხნიკურათ დანაწილების მნიშვნელობას ამ დარგში. ამიტომ თითქმის მანუფაქტურის ეპოქაშიაც კი, მსხვილი და წვრილი სამიწათმოქმედო წარმოება თავისი შრომის ნაყოფიერებით არაფრათ განსხვავდება ერთი-მეორისაგან, ასე რომ, უკანასკნელი საკმაოთ საგრძნობელ კონკურენციას უწევს პირველს.

მარა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მსხვილ სამიწათმოქმედო მეურნეობას თავიდანვე აქვს ერთგვარი ტეხნიკური უპირატესობანი, განსაკუთრებით—ბაზრიდან საწარმოვო საშუალებათა ყიდვა-მოტანისა და დამზადებულ ნაწარმოების ბაზარზე გატანაში. რაღა თქმა უნდა, მსხვილ მეურნეობაში ტეხნიკაც უფრო ადრე ვითარდებოდა, მაგრამ წვრილი მეურნეობა მაინც კიდევ დიდხანს უძლებს მსხვილის კონკურენციას. ტეხნიკის ნაკლებულობას წვრილი მაწათმომქმედი ავსებს შრომის უმაღლეს ხარისხამდე გაძლიერებით, ზედმეტი მუშაობით. ამაში მდგომარეობს არსებითი ნაკლი წვრილი მეურნეობისა. მხოლოდ საშრომო ენერგიის უსაზღვრო ხარჯვით შეუძლია წვრილ მიწათმომქმედს კონკურენცია გაუწიოს მსხვილს და გამაგრდეს, რის გამოც შრომა აქ, საზოგადოთ, ძლიერ ნაკლებ ჯილდოვდება.

წვრილი გლეხური მეურნეობის „სიცოცხლის“ საზღვარი მანუფაქტურულ ეპოქის ფარგლებს გარეთ იმყოფება, მაგრამ მისი „სასიცოცხლო უნარი“ მაშინ უკვე განუწყვეტლივ კლებულობს და თანდათან ქრება. (მიწის რენტის შესახებ ლაპარაკის დროს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ კაპიტალისტურ მიწათმოქმედების ისტორიას).

## ე) კაპიტალი სავაჭრო და სამრეწველო.

რამდენათაც სამრეწველო კაპიტალი ეთიშება სავაჭრო კაპიტალს, იმდენათ მცირდება ამ უკანასკნელის საზოგადოებრივი როლი. ის თანდათან ჰკარგავს თავის საორგანიზატორო მნიშვნელობას წარმოებაში, ვინაიდან ეს ფუნქცია სამრეწველო კაპიტალზე გადადის.

მართალია, სავაჭრო კაპიტალი სამრეწველო კაპიტალისთვისაც მოსაშუალის როლს ასრულებს წარმოების სახსართა შეძენისა და საქონლების გასაღების საქმეში, მაგრამ ამით სამრეწველო დაწესებულებანი არ ემორჩილებიან ვაჭრულს, როგორც ეს იყო კაპიტალისტურ საშინაო მრეწველობის სისტემაში. თუ ვაჭარი კაპიტალისტი ცდილობს შუამავლის მოსამსახურულ როლს თავი დააღწიოს და პრივილეგიური მდგომარეობა მოიპოვოს, ე. ი. საქონლის ფასების უზომოთ დაწევით სამრეწველო კაპიტალისტი ყვლიფოს, — ეს უკანასკნელიც არა რჩება გულ-ხელ დაკრებილი: ისიც ცდილობს შუამავალს გვერდი აუაროს და ბირდაპირ ბაზართან იჟერს დამოკიდებულებას.

მაგრამ სავაჭრო კაპიტალის ფუნქციების ასეთი შემცირება მხოლოდ იმდენათ მოსახერხებელია, რამდენათაც უფრო განვითარებულია მანუფაქტურა; მანუფაქტურული წარმოება კი დიდხანს ძლიერ ნელა ვრცელდება და მეტათ მცირე ალაგი უჭირავს კაპიტალისტურ საშინაო მრეწველობის გვერდით, — ასე იყო ინგლისში მე-XVIII საუკუნის დამდეგამდე და გერმანიაში კი უფრო გვიანაც.

ეს კიდევ ცოტაა, — მანუფაქტურის განვითარება ბევრ შემთხვევაში გზას უწალდავს კაპიტალისტურ შინაურ მრეწველობის სისტემას: მანუფაქტურის კონკურენცია, აუძლურებსრა დამოუკიდებელ წვრილ მწარმოებელს, პირდაპირ გზავნის მას სავაჭრო და სავახშო კაპიტალის ბრჭყალებში.

შემდეგ, მანუფაქტურის პატრონი ხშირათ თვითონ ასრულებს წვრილ მწარმოებელთა ნაწარმოების შემყიდველის როლს;

წვრილი მწარმოებლებივე აწვდიან მას საწარმოვო მასალებს. ხანდისხან ყველა საწარმოვო ოპერაცია არა სრულდება თვითონ მანუფაქტურაში, არამედ ზოგი მათგანის შესრულება ევალება მწარმოებლებს, რომელნიც თავიანთ სახლში მუშაობენ, რაიცა, ცხადია, კაპიტალისტური წარმოების საშინაო სისტემას შეიცავს.

საზოგადოთ, კაპიტალიზმის უმაღლესი ფორმების განვითარებასთან ერთათ, მათი გავლენის ქვეშ ვითარდებიან დაბალი ფორმებიც, რომლებიც შემდეგ განვითარებაში უმაღლეს ფორმებზე გადადიან.

რაც შეეხება სხვადასხვა ფორმის კაპიტალის სპეციალიზაციას—სამრეწველო კაპიტალის გამოცალკევებას სავაჭრო კაპიტალისაგან, და აგრეთვე საკრედიტო კაპიტალის გამოყოფასაც, —ეს არის კაპიტალისტურ საზოგადოებაში განვითარებული შრომის განაწილების მომასწავებელი.

## 8. წესები საზოგადოებრივი განაწილებისა მანუფაქტურულ ეპოქაში.

განაწილების ძირითადი, თითქმის საყოველთაო წესი კაპიტალისტური საზოგადოებისათვის არის **ცვლა**, მოუწესრიგებელი საბაზრო განაწილება. ცვლის პროცესში თვითოეული საზოგადოებრივი კლასი, თვითოეული წევრი ამ კლასისა, იღებს თავის წილს საზოგადოებრივი ნაწარმოებიდან. პირდაპირი განაწილება არსებობს მხოლოდ ოჯახურ მეურნეობაში.

ცვლის თვალსაჩინო განვითარებას თანა სდევს ფულის ტრიალის შესაფერი გაძლიერება. კაპიტალისტურ წარმოებაში ფული—აუცილებელი მამოძრავებელი ძალაა, უიმისოთ წარმოება წარმოუდგენელია. ფულით კაპიტალისტი იძენს წარმოების საშუალებებსა და სამუშაო ძალას. როდესაც წარმოების ამ ელემენტების შემწეობით მზადდება ნაწარმოები, იგი ისევ ფულათ უნდა გაიყიდოს. აღებული ფული, ან მისი ნაწილი, ხელახლათ სამუშაო ძალის, იარაღებისა და მასალების შეძე-

ნაზე იხარჯება, აქედან დამზადებული საქონელიც ხელახლათ იყიდება, და სხვ... შემდეგ საქონელი ხელიდან ხელში გადადის და ასე მხმარებლამდის აღწევს იმავე ფულის საშუალებით.

ამნაირათ, კაპიტალისტური ცხოვრების ნორმალურ მსვლელობისათვის აუცილებელია, რომ ფულის ტრიალი, იმის მიმოქცევა—წესიერათ და დაუბრკოლებლათ ხდებოდეს, რომ ფულის მიწოდება სავსებით შეეფერებოდეს მის მოთხოვნას. რანაირათ ხორციელდება ეს?

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ფული ღირებულების ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება განუსაზღვრელ დრომდე შევაქუჩოთ და განუსაზღვრელი რიცხვი **დავაგროვოთ**. როგორც ნათქვამი იყო, ფულივე ჰბადებს ლტოლვილებას უსაზღვრო დაგროვებისა და შენახვისადმი. ამის შედეგი ისაა, რომ საცვლელ მეურნეობიან ქვეყნებში ფულის საერთო ჯამი თითქმის ყოველთვის ბევრით აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც მიუცილებლათ საჰიროა წარმოებაში დასატრიალებლათ. მთელი ზედმეტი ფული ტრიალის, „ობოროტის“ გარეშე რჩება,—იმათ პატრონთა ჯიბეებსა, ზანდუკებსა და სარდაფებში,—და **ფულის საუნჯის** როლს თამაშობს.

სწორეთ ამ საუნჯის არსებობის საშუალებით ხდება ის, რომ ბაზარში ფულის მიწოდება, ჩვეულებრივ პირობებში, ასე ადვილათ და სწრაფათ ეგუება მის მოთხოვნას.

ფულის მოთხოვნა დამოკიდებულია ცვლისა და კრედიტის საერთო პირობებზე. მოთხოვნის სიდიდე, როგორც უკვე გვქონდა ახსნილი, ამა თუ იმ დროისთვის უნდა გამოვიანგარიშოთ შემდეგ-ნაირათ: **ნაღდზე სავაჭრო საქონელთა ფასების საერთო ჯამს ემატება იმ ნისიების ჯამი**, რომელსაც იმ ხანებში უთავდება ვადა, ხოლო აქედან ირიცხება ყველა ის ანგარიშები, რომელიც აქვითებს ერთმანეთს, და აქედან მიღებული შედეგი იყოფა ფულის ტრიალის საშუალო რიცხვზე, ე. ი. იყოფა იმ რიცხვზე, რამდენჯერაც ფულს შეუძლია დატრიალება ამ ხნის განმავლობაში. მაშასადამე, ფუ-

ლის მოთხოვნის რყევა (აწევ-დაწევა) დამოკიდებულია: ან საქონელთა რაოდენობისა და ფასების ცვლილებათაგან, ან საკრედიტო საქმის სიდიდესა და ტეხნიკაში მომხდარ ცვლილებათაგან, და ან კიდევ—ფულის ტრიალის სიჩქარეში მომხდარ ცვლილებათაგან.

ვთქვათ, რომ ერთის კვირის განმავლობაში ბაზარში ნაღდზე სავაჭრო საქონელთა ფასების საერთო ჯამი შეადგენს 1 მილიონ მანათს; ვადიანი ანგარიშების საერთო ჯამი, იმ ანგარიშების გამოკლებით, რომელიც ერთმანეთს აბათილებს, უდრის $^1/_2$ მილიონს; ფულის ტრიალის საშუალო რიცხვი არის— 1. მაშინ საჭირო იქნება 1.500,000 მანათი, ე. ი. ამდენი ფულის მოთხოვნა იქნება ბაზარში. შემდეგ კვირაში, ვთქვათ,— საქონელთა რაოდენობის გაზდისა ან ფასების მომატების გამო,—მისი ფასების საერთო ჯამი—$1^1/_2$ მილიონი გახდა, სხვა დანარჩენი პირობები კი უცვლელათ დარჩა. საქონლის მყიდველები იძულებული ხდებიან თავიანთ ზანდუკებიდან ამოიღონ ზედმეტი $^1/_2$ მილიონი მანათი და გამყიდველებს მისცენ,— სხვა გზით საქონლის შეძენა შეუძლებელია. ფულის მიწოდება, ე. ი. მისი რაოდენობა ბაზარზე, $^1/_2$ მილიონ მანათით მეტია, საუნჯე კი—ამდენივეთი შემცირებულია. პირიქით, საქონელთა ფასების ჯამს რომ არ მოემატა, არამედ დაეკლო, მაშინ ფულის ნაწილი, საქონლების ყიდვაზე დახარჯვის მაგიერ, მფლობელთა ჯიბეში დარჩებოდა და მით ფულის საუნჯეს გაადიდებდა.

სწორეთ ასევე ხდება ვადით აღებულ ანგარიშების (срочный платежъ) ჯამის აწევ-დაწევისა და ზრდა-დაცემის დროსაც. აქ საკრედიტო ტეხნიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ისეთი საკრედიტო დაწესებულებანი არ არსებობენ, სადაც სხვადასხვა სამრეწველოებს შეუძლიათ ვალები ერთმანეთს შეუფარდონ და გაასწორონ, მაშინ აქ საკრედიტო ბაზარს გაცილებით მეტი ფული სჭირია. აუცილებელი ხდება ნაღდი ფულით გასწორება იმ ვალებშიაც კი, რომელიც ურთიერთს გა-

აბათილებდა და მოსპობდა, რომ ერთსა და იმავე დროს მოწესრიგებიათ მისი მდგომარეობა და ცნობაში მოყვანილი ყოფილიყო ერთმანეთთან შეფარდებით; ასეთი ვალების ჯამი ადიდებს დატრიალებულ ფულის რაოდენობას, იმის მაგიერ, რომ ისინი საუნჯეს შემატოს.

ახლა ვთქვათ, რომ საქონელთა ფასების ჯამი უცვლელათ რჩება, ე. ი.—მილიონი მანათია, და ვადიანი ანგარიშების ჯამიც—$^1/_2$ მილიონი, მაშინ ფულის მოტრიალების საშუალო რიცხვი, ერთის მაგივრათ—ორია, ე. ი. საქონელიც და ფულიც უფრო ჩქარა ტრიალებენ. მაშინ ბაზარში ფულის ერთი და იგივე ჯამი, ერთის მაგივრათ, ორჯერ შემოტრიალებას ასწრებს; მაგ., კაპიტალისტი თავის 1,000 მანათით ასწრებს საწარმოვო საშუალებათა ყიდვას, შემდეგ, აქედან დამზადებულ საქონლის გაყიდვით, ამ ფულის ისევ უკან დაბრუნებას და მით ხელახლა საწარმოვო საშუალებათა ყიდვას, ე. ი. 2,000 მანათის ალაგას 1,000 მანათს ამუშავებს. მაშასადამე, ფულის ბაზარი სავსებით დაკმაყოფილდება მხოლოდ 750,000 მანათით, წინანდელი 1.500,000 მან. მაგივრათ. ზედმეტი 750,000 მანათი მფლობელთა ჯიბიდან ამოუღებელი რჩება და მათს საუნჯეს ადიდებს. ფულისა და საქონელთა ტრიალის სიჩქარის შემცირების გამო კი—სულ წინააღმდეგ მოვლენებს ვამჩნევთ: საუნჯეთ ქცეულ ფულის ნაწილი ზანდუკებიდან ამოდის და ტრიალის სფერაში გადადის.

ამნაირათ, საქმეთა ნორმალურ მიმდინარეობის დროს ერთგვარი თანასწორობა მყარდება ფულის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. საუნჯე აქ რეზერვის როლს თამაშობს, საიდანაც საჭიროების დროს მოედინება ფული ტრიალის სფერაში და უკანვე მიდის, თუ მისი რიცხვი საჭიროებაზე მეტი შეიქნა.

კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებასთან ერთათ, ბაზარში დატრიალებული ფულის ჯამი გაცილებით უფრო სწრაფათ იზრდება, ვინემ საუნჯე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მალე უძლური შეიქნებოდა ამ აუარებელ ფუ-

ლის ბაზრის მუდმივ რყევაში რაიმე წეს-რიგი შეეტანა. ფულის წარმოებაც აუცილებლათ უნდა გაზრდილიყო. მართლაც, კაპიტალიზმის აღორძინების პირველსავე დღეებში ევროპაში ჩვენ ვხედავთ ახალ ამოჩენილ ქვეყნებიდან,—განსაკუთრებით კი ამერიკიდან,—კეთილშობილ ლითონების საარაკო სიმრავლით შემოზიდვას. ამ ფულის მოზღვავების მნიშვნელობა რამდენათმე მცირდებოდა იმ გარემოებით, რომ ფულის ღირებულება, და, მაშასადამე, მისი მყიდველი ძალაც— დაეცა საშუალო საუკუნეებთან შედარებით; ეს კი დამოკიდებული იყო იმაზე, რომ ახლა უფრო ადვილი შეიქნა საფულე ლითონების შეძენა, ვინემ წინათ იყო, რის გამოც ფულის ამა თუ იმ ჯამში განხორციელებული საზოგადოებრივ, საშრომო ენერგიის რაოდენობა შემცირდა.

საქმე იმით არ გათავებულა, რომ ტრიალში აუარებელი კეთილშობილი ლითონები ჩაება. ფულის მოთხოვნა საშინელი სისწრაფით იზრდებოდა და ამან გამოიწვია, გარდა ლითონის ფულისა, **ქაღალდის** ფულის შემოღებაც.

ქაღალდის ფულის ისტორია, საერთოთ, ასეთია. ყიდვა-გაყიდვის დროს ყოველთვის ფულის აწონა საჭირო აღარ შეიქნა მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ თავის თავზე მიიღო ფულის ტრიალის კონტროლი. სახელმწიფო ამზადებდა საფულე ლითონისაგან გარკვეული წონის ფორმისა და ღირებულების ზოდებს, ე. ი. ფულს; ამ ფულს ყველგან აუწონლათ ღებულობდენ, იმიტომ, რომ სახელმწიფო თავდებობდა ფულის წონის სისწორეს და მუდამ მზათ იყო ზედ წარწერილ ფასებში მიეღო იგი.

ფული ტრიალისაგან ცვდება, ილესება, კარგავს თავის წონას, რადგან ტრიალის დროს აუარებელ ხელში გაივლის, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაინც ინარჩუნებს იმავე მყიდველ ძალას, რაც ზედ არის აღნიშნული, იმიტომ, რომ სახელმწიფო ყოველთვის თანახმაა გაცვეთილი ფული სრულ წონიანზე გამოსცვალოს. როდესაც კაცი დარწმუნებულია, რომ მთავ-

რობა ყოველთვის გამოუცვლის იმ გადაცვეთილ ფულს, რომელსაც მას აწვდიან, და სამაგიეროთ, სრულ წონიანს მისცემს, იგი თამამათ იღებს მას, თუ გინდაც წონა თითქმის სრულიადაც არა ჰქონდეს. აქედან კი ერთი ნაბიჯია ქაღალდის ფულის შემოღებამდე.

სახელმწიფო უშვებს სახმარებლათ ქაღალდის ნიშნებს, რომლებსაც ის თავდებობს და რომლებსაც, ამ სახელმწიფოსადმი ნდობის გამო, ყველგან ლითონის ფულის ადგილას იღებენ. ქაღალდის ნიშანი,—ეს, ასე ვთქვათ, იქამდე გადალესილ-გადალეული ლითონის ფულია, რომ მისგან მხოლოდ სახელწოდება-ღა დარჩენილა.

თავდაპირველათ, სახელმწიფო უშვებს მხოლოდ სახურდაო ქაღალდის ფულს, ე. ი. ისეთს, რომელსაც პირველ მოთხოვნისათანავე იგი კეთილშობილ ლითონზე გამოსცვლის ზედ აღნიშნულ ფასებში. ეს სახურდაო ფული მუდამ ლითონის ფულის თანაბრათ მუშაობს. თავის-თავათ ამ სახურდაო ფულს თითქმის არავითარი ღირებულება არა აქვს, მარა იგი „ფასობს“ ცვლაში, როგორც მოწმობა იმისი, რომ მისს მფლობელს მითი შეუძენია საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც განხორციელებულია საფულე ლითონებში.

მაგრამ ქაღალდის ფულის გამოშვების დროს, სახელმწიფო, ჩვეულებრივ, მხედველობაში იღებს არა საქონლის ტრიალის მოთხოვნილებებს, არამედ თავის საკუთარ მოთხოვნილებებს. ქაღალდის ფული სახელმწიფოსთვის წარმოადგენს უპროცენტო სესხს, რაიცა მისთვის ფრიად სასარგებლოა: ბეჭდვენ ქაღალდის ფულს და ასწორებენ ხაზინის ანგარიშებს, ისტუმრებენ სახელმწიფოს მოსამსახურეთა ჯამაგირებს და სხვ., და რადგან სახელმწიფოს მოთხოვნილებანი, ეკონომიური განვითარების მსვლელობასთან ერთათ, თანდათან მრავლდებიან და მატულობენ, ამიტომ სრულიათ გასაკვირველი არაა, რომ ხშირათ უშვებენ იმდენ ქაღალდის ფულს, რომ იგი ბევრით აღემა-

ტება ბაზარზე ფულის მოთხოვნილებას. მაშინ ამ ზედმეტ ქაღალდებს ხაზინას უბრუნებენ და ცდილობენ ოქროზე გამოაცვლევინონ. **საუნჯის როლში** ოქროს ფული უფრო საიმედო სიმდიდრეს წარმოადგენს, ვინემ ქაღალდის ფული, რომელიც სრულიათ დაჰკარგავს ფასს, თუ სახელმწიფო გაკოტრდა. პირველათ სახელმწიფოს კასები ახურდავებენ და ცვლიან ქაღალდებს ოქროზე, მაგრამ შემდეგ, როდესაც მთავრობა რწმუნდება, რომ ამ გზით უპროცენტო სესხი არა ხერხდება, იგი სწყვეტს მის თავისუფალ გამოცვლას,—და მით დასახურდავებლათ გამოცემული ქაღალდის ფული **დაუხურდავებელი** რჩება.

კანონის ძალით, სახელმწიფო აღებინებს მოქალაქეებს დაუხურდავებელ ქაღალდის ფულსა და თვითონაც იღებს მას ზედ აღნიშნულ ფასში გადასახადებისა, ხარკებისა და სხვ. გასტუმრების დროს.

ქაღალდის ფულის დახურდავების შეჩერებასთან ერთათ, ბაზარზე ოქროს ტრიალიც ჩერდება: ის ან საუნჯეთ ხდება, ან-და საზღვარ-გარეთ მიდის, იქიდან მოტანილ საქონლების ფასათ. შინაგანი ტრიალის სფეროში კი მარტო ქაღალდის ფული-ღა რჩება; მაგრამ ჩვეულებრივ მეტათ ბევრი გროვდება ეს ქაღალდები—გაცილებით მეტი, ვინემ საჭიროა. ტრიალიდან გასვლა ქაღალდის ფულისათვის მეტათ ძნელია: საზღვარ-გარეთ იმას არ ღებულობენ, საუნჯეთ იგი არ ვარგა,—მეტათ საეჭვო და არა საიმედოა. მაშ მეტი რაღა დარჩა? აი, რა:

ვთქვათ, რომელსამე სახელმწიფოში ფულის მოთხოვნა ბაზარზე 800 მილიონ მანათს უდრის, „კრედიტკები" კი (ქაღალდის ფული)—1,200 მილიონისაა გამოსული. მაშინ, ცხადია, რომ 1,200 მილიონის კრედიტკები 800 მილიონის ოქროს მაგივრობასა სწევს, ე. ი. იმდენათვე ფასობს საქონლის ტრიალში, რამდენათაც 800 მილიონ მანათის ოქრო. მაშასადამე, ერთი მანათიანი კრედიტკის ფასი შეედრება $\frac{800 \text{ მილ.}}{1200 \text{ მილ.}}$,

ანუ $^2/_3$ ოქროს მანათიანისას, ანუ $66^2/_3$ კაპ. ოქროსას. ამას ასე გამოსთქვამენ: „საკრედიტო ბილეთების კურსი მანათზე $66^2/_3$ კაპეიკია ოქროთი“.

ქაღალდის ფულის კურსი რუსეთში მანათი 23 კაპეიკამდე დასულა. საზოგადოთ კი, იმის დაწევას ბოლო არა აქვს. საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის ხანებში „ასსიგნაციების“ გადაჭარბებულმა გამოშვებამ იმდენათ დასცა ქაღალდის ფული (ასსიგნაციები), რომ ზედ წარწერილი (ნომინალური) ფასის $2^1/_2$%-მდე დაიყვანა, ე. ი. 40 ფრანკიანი ასსიგნაციები ოქროს ერთ ფრანკს უდრიდა.

დაუხურდავებელ ქაღალდის ფულის ფასების აწევ-დაწევა და რყევა წარმოსდგება როგორც წმინდა ეკონომიურის, ისე, ეგრეთ წოდებულ, პოლიტიკურ მიზეზებისგანაც. მაგ., სახელმწიფოს პოლიტიკურათ არა-საიმედო მდგომარეობა (ომებისა, რევოლიუციისა და სხვ. დროს) ერთბაშათ ძირსა სცემს კურსს: იკარგება ნდობა სახელმწიფოსადმი და უცბათ მცირდება ქაღალდის ფულის მოთხოვნა ბაზარზე.

კურსის დაცემა, რაღა თქმა უნდა, იწვევს სახელმწიფოს შიგნით ყველა ფასების აწევას. კურსის აწევა კი, პირიქით, ფასების დაცემას. მაგრამ კურსის აწევ-დაწევასა და ცვლილებებს მაშინვე როდი მოჰყვებოდა ხოლმე თან ფასების აწევ-დაწევაც. ყველაზე უმალ კურსს შეუთანხმდება იმ საქონლების ფასები, რომლებიც, უმთავრესათ, გასატანათ მზადდება, და აგრეთვე იმ საქონლებისაც, რომლებიც საზღვარ-გარეთიდან შემოაქვთ,—ეს სწორეთ იმიტომ, რომ ქაღალდების კურსის შეცვლა, პირველ ყოვლისა, საზღვარ-გარეთის ბაზარზე იწყება. შინაგან ბაზარზე არ შეიძლება კურსის სისწორით გამორკვევა, რადგან აქ თითქმის სრულიათ არაა ხმარებაში ლითონის ფული, რომლის მიხედვითაც ისაზღვრება ქაღალდის ფულის კურსი. უფრო ნელა იცვლება ფასები იმ საქონლებისა, რომლისაც მხოლოდ მცირე ნაწილი შემოაქვთ ან გააქვთ, და რომელსაც, უმთავრესათ, სახელმწიფოს შიგნით ამზა-

დებენ და ხმარობენ. ყველაზე გვიან კი კურსის სიმაღლეს შეეფარდება ფასები იმ საქონლებისა, რომლებიც სავსებით სახელმწიფოში მზადდებიან და სავსებითვე იმავე სახელმწიფოში იხმარებიან. ასეთ საქონელს შეადგენს სამუშაო ძალაც. ამიტომ კურსის დაწევა, საზოგადოთ, საზარალოა მუშათა კლასისათვის: ცხოვრებისთვის აუცილებელ საშუალებათა ფასები უფრო სწრაფათ მატულობს, ვინემ სამუშაო ხელფასი; კაპიტალისტები არასოდეს არ ჩქარობენ სამუშაო ხელფასის გადიდებას ცხოვრების საშუალებათა ფასების აწევის შესაფერათ.

ცვლის გაძლიერება-გაფართოებასთან ერთათ, ხშირდება და სულ უფრო ჩვეულებრივ მოვლენათ ხდება ნისიათ ყიდვა-გაყიდვა. ამგვარათვე უსაზღვროთ ფართოვდება ამავე ხანაში მევახშეობაც.

სახელმწიფო მცვლელი მეურნეობის პირველ ხანებშივე კისრულობს საკრედიტო „მორიგებათა“ კონტროლს; საქიროების დროს სახელმწიფო ეხმარება კრედიტორს ვალის აღებაში, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ მევალეს შეუძლიან წერილობითი საბუთით ვალის დამტკიცება, ე. ი. თუ აქვს ეგრეთ-წოდებული საკრედიტო საბუთები, ანუ დოკუმენტები.

საკრედიტო დოკუმენტის უმარტივესი ფორმა — ეს ვალის სავაჭრო წიგნებში ჩაწერაა. კომერციის კაცები აწარმოებენ შესაფერის წესით ისეთ წიგნებს, სადაც იწერება, თუ ვისი და რამდენი მართებთ მათ, და ვის და რამდენი მართებთ თვით იმათი. როდესაც დგება გადასახადის ვადა, ისინი ადარებენ ერთმანეთს სავაჭრო დავთრებს, უფარდებენ ერთმანეთს მათში ჩანაწერს და ნაღდი ფულით იხდიან მხოლოდ საურთიერთო ვალების განსხვავებას.

საკრედიტო დოკუმენტის უფრო საყურადღებო ფორმაა — თამასუქი, ანუ სავალო ხელწერილი, კანონიერ წეს-რიგით შედგენილი. ეს ერთათ-ერთი საკრედიტო დოკუმენტია საერთაშორისო ვაჭრობაში. ის რამდენიმეთ ფულის მაგივრობასაც სწევს, და აი, რანაირათ:

ვთქვათ, რუსი ვაჭარი **ა.** უგზავნის ინგლისელ ვაჭარს **ს.**-ს ერთ პარტია ხორბალს; ინგლისელმა ფაბრიკანტმა **დ.**-მ მიჰყიდა რუს **ვ.**-ს იმავე ღირებულების მანქანები. მაშინ **ვ.** ყიდულობს **ა.**-სგან ინგლისელის **ს.**-ს თამასუქს (ვექსილს) და უგზავნის მას ინგლისელ **დ.**-ს, რომელიც ამ თამასუქით (ვექსილით) ახდევინებს თავის თანამემამულეს **ს.**ს სრულათ ვალს და ამნაირათ ინაღდებს თავის მანქანების ღირებულებას. ფულის გაგზავნ-გამოგზავნა სრულებით არ დასჭირვებიათ და ყველამ კი თავ-თავისი მიიღო; ამნაირათ, ორმაგი გაგზავნ-გამოგზავნის ხარჯები და მოსალოდნელი ფათერაკიც თავიდან იქმნა აცილებული.

კრედიტის განვითარებამ წარმოშვა ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც მხოლოდ კრედიტის საქმეს აწესრიგებენ: ერთის მხრით, იღებენ კრედიტს იმათგან, ვისაც აქვს თავისუფალი კაპიტალი, და, მეორეს მხრით, აძლევენ კრედიტს იმათ, ვისაც იგი ესაჭიროება, ე. ი. ატრიალებენ თავის საკუთარსა და სხვისგან ნასესხებ ფულს. ასეთ დაწესებულებას ეწოდება **ბანკი.**

კრედიტის ფორმებისა და სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში მისი მნიშვნელობის უფრო დაწვრილებით შესწავლა უმჯობესია მაშინ, როდესაც ლაპარაკი გვექნება არა ახლათ ჩასახულ მანუფაქტურულ კაპიტალზე, არამედ განვითარებულ სამრეწველო კაპიტალზე. ყოველ შემთხვევაში, ამ ეპოქაშიაც კრედიტს უკვე დიდი გავლენა აქვს ცვლაზე და, მისი შემწეობით — წარმოებაზედაც. საზოგადოთ, ეს გავლენა ისეთია, რომ კრედიტი ხელს უწყობს მსხვილი წარმოების განვითარებას, ვინაიდან ის დროებით ერთ ხელში აგროვებს მრავალ პირთა ქონებას.

## 4. საზოგადოებრივი ნაწარმოების განაწილება სხვადასხვა კაპიტალისტურ კლასებს შორის.

### ა) მ ო გ ე ბ ა:

მას შემდეგ, რაც ვაჭართა კლასი აღორძინდა, ხმარებაში შემოვიდა განსაკუთრებული სიტყვა „მოგება“, რითაც აღნიშ-

ნავენ ამ კლასის ხვედრს, „წილს“ საზოგადოებრივ ნაწარმოებში, მაშინ, როდესაც ხელოსნის ხვედრს უწოდებენ „საშოვარს“, ანუ „ნამუშავარს“. ამ სახელწოდებათა განსხვავება ერთმანეთისაგან ნათლათ ამტკიცებს იმას, რომ, საზოგადოებაში გამეფებულ შეხედულებით, ხელოსნის შემოსავალი პირდაპირი შედეგია მისი შრომისა, მაშინ, როცა ვაჭრის შემოსავალი მისი შრომისაგან ასეთ დამოკიდებულებაში არ იმყოფება. ფიქრობენ, რომ ვაჭარი **არაფერს არ ამზადებს**, ვინაიდან ნაწარმოები იმის ხელიდან იმ სახითვე გამოდის, რა სახითაც მან იგი შეიძინა; ხელოსნის შრომა კი, პირიქით, თვალსაჩინო ცვლილებას ახდენს მასალაში, — ქმნის ახალ ნაწარმოებს.

ეს შეხედულება ზეზეურია, გარეგნულია, ასეთი აზრი და მსჯელობა მეტათ შემცდარია. არ შეიძლება ნაწარმოები დასრულებულათ ჩაითვალოს, თუ მისი მოხმარა შეუძლებელია იქ, სადაც ის დაუმზადებიათ; მისი ერთი კუთხიდან მეორეში, ან ერთი მეურნეობიდან მეორეში გადატანა წარმოების მიუცილებელ და უკანასკნელ ოპერაციას შეადგენს. ამ მხრით ვაჭრის შრომა არაფრით არ განსხვავდება ხელოსნის შრომისაგან, და რამდენათაც ვაჭრის მოგება განისაზღვრება ამ საშრომო ენერგიის საზოგადოებრივ-სასარგებლო დახარჯვით, იმდენათ იგი მის ნამდვილ „ნამუშავარს“ შეადგენს.

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ვაჭრის შემოსავალი, საერთოთ რომ ვთქვათ, სრულიადაც არ განისაზღვრება მარტო მისი სავაჭრო მუშაობით. ვაჭარი იმ თავიდანვე **მოვაჭრე კაპიტალისტის** როლში გამოდის. ის იმორჩილებს წვრილ წარმოებას, და ის მოგება, რომელსაც იგი იღებს ამ წვრილ წარმოებისაგან, განისაზღვრება არა მის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის რაოდენობით, არამედ მისი კაპიტალის სიდიდითა და მწარმოებელზე გაბატონებით. ამნაირათ, მოგების უდიდესი ნაწილი შრომით შეძენილი როდია; და რაც უფრო დრო გადის, იმდენათ მეტათ ილესება ნამდვილი სავაჭრო ნა-

მუშავარი სავაჭრო „მოგებაში“,—სრულ არარაობათ იქცევა მასთან შედარებით.

იგივე ითქმის სამრეწველო კაპიტალზედაც: ის მოგება, რომელსაც სამრეწველო კაპიტალი იღებს, სრულიად არ შეეფერება საშრომო ენერგიის ხარჯს, რომელიც მას საორგანიზატორო მოქმედებაში სჭირდება. პირიქით, წარმოების გაფართოებასთან ერთად, კაპიტალისტს თავის სამუშაოს უდიდესი ნაწილი, ჩვეულებრივ, დაქირავებულ მუშებზე გადააქვს და მით თავის საორგანიზატორო შრომას ამცირებს, მოგება კი, იმავე დროს, მატულობს და იზრდება.

ამიტომ კაპიტალისტის მოგებისა და ნამუშავარის საზოგადოთ მიღებული დაპირდაპირება ერთმანეთთან სავსებით შეეფერება სინამდვილეს.

სამრეწველო მოგების წარმოშობა ზევით იყო ასხნილი: იგი წარმოსდგება ზედმეტი ღირებულებისაგან, ე. ი. დაქირავებული მუშების ზედმეტი შრომისაგან. შინაურ-კაპიტალისტურ მრეწველობის სისტემაში სავაჭრო კაპიტალის მოგებაც აგრეთვე შედეგია მხოლოდ ფორმალურად დამოუკიდებელ წვრილ მწარმოებელთა ზედმეტი შრომისა. განსხვავება მათ შორის უმნიშვნელოა, და ისიც თანდათან ნელ-ნელა ჰქრება, რაკი სავაჭრო კაპიტალიზმი სამრეწველო კაპიტალიზმში გადადის.

კაპიტალისტის მოგების საკითხის გამოკვლევის დროს, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა საკმარისი საზომი არაა კაპიტალისტის მოგებისა; ეს ნორმა გვიჩვენებს მხოლოდ ერთ მხრეს საქმისას, სახელდობრ—იმას, თუ რამდენათ არაა ხელსაყრელი მუშისთვის სხვის წარმოებაში ქირით მუშაობა, მაგრამ ს არ ეხება საქმის მეორე მხარეს,—იმას, თუ რამდენათ სასარგებლოა კაპიტალისტისათვის თავის წარმოებას გაუძღვეს.

წინთავში გავარჩიეთ ერთი მაგალითი კაპიტალისტური

დაწესებულებისა—თოფების წარმოება. იქ ზედმეტი ღირებულების ნორმა 100% იყო, იმიტომ, რომ იმ $12^1/_2$ მანათმა, რომელიც კაპიტალისტმა სამუშაო ძალის ყიდვაზე დახარჯა, მისცა მას ზედმეტი შრომის 125 საათი, რაც სრულათ $12^1/_2$ მანათს უდრის. მაგრამ კაპიტალისტს ამ საქმეში მარტო ცვალებადი კაპიტალი როდი დაუბანდებია,—მას კიდევ მუდმივი კაპიტალიდან 50 მანათი მასალებზე და იარაღებზედაც დაეხარჯა. კაპიტალისტის ანგარიშით, მან მიიღო $12^1/_2$ მანათი მოგება მთელ $62^1/_2$ მანათზე, რომელიც მან დახარჯა, ე. ი. მთელს კაპიტალზე 20%. **მთელ კაპიტალზე** მოგების პროცენტის რიცხვს ეწოდება—მოგების ნორმა. ცხადია, რომ მოგების ნორმა ზედმეტი ღირებულების ნორმაზე ნაკლებია, იმიტომ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა იანგარიშება მარტო ცვალებადი კაპიტალიდან, მოგების ნორმა კი—მთელი კაპიტალიდან, მუდმივისა და ცვალებადისაგან ერთად. მოყვანილ მაგალითში მთელი კაპიტალი 5-ჯერ მეტია ცვალებადზე და მოგების ნორმაც 5-ჯერ ნაკლებია ზედმეტ ღირებულების ნორმაზე.

ვთქვათ, მეორე დაწესებულების პატრონმა კიდევ უფრო მეტი მუდმივი კაპიტალი დააბანდა საქმეში, მაგ., $112^1/_2$ მანათი, ცვლალებადი კაპიტალი კი იგივე $12^1/_2$ მანათი დარჩა. სულ შესდგა 125 მანათი; თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა იგივე დარჩა, ე. ი. 100% ანუ $12^1/_2$ მან., მოგების ნორმა შეადგენს მხოლოდ $\frac{12,5}{125}$, ე. ი 10%-ს. მაშასადამე, მეორე დაწესებულება პირველზე უფრო ნაკლები მომგებიანია, და ეს კი იმიტომაა, რომ მეორე დაწესებულებაში გაცილებით მეტი მუდმივი კაპიტალია ჩაყრილი.

საზოგადოთ, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელია, მოგების ნორმაც იმდენათ ნაკლები იქნება, რამდენათაც ნაკლებია ცვალებადი კაპიტალი მუდმივთან შედარებით.

სხვა სიტყვებით ეს ასე გამოიხატება: ზედმეტი ღირებულების

ამა თუ იმ ნორმის დროს, მოგების ნორმა იმდენათ უფრო დაბლა სდგას, რამდენათაც უფრო მაღლა სდგას კაპიტალის ორგანიული შედგენილობა. კაპიტალის „ორგანიულ შედგენილობას“ კი ეძახან ღირებულების შესაფერათ მუდმივს და ცვალებად კაპიტალის ნაწილთა შორის არსებულ დამოკიდებულებას. ეს ორგანიული შედგენილობა უმაღლესია მაშინ, როდესაც მუდმივი ნაწილი, შედარებით, მეტია ცვალებადზე,—ეს იმიტომ, რომ განვითარების პროცესი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, იწვევს მუდმივ კაპიტალის უფრო ზრდას, ცვალებადთან შედარებით.

მთელ ზემოთ მოყვანილ ანგარიშის დროს საქმე მეტათ მარტივათ იყო წარმოდგენილი: იქ ლაპარაკია მოგების ნორმაზე კაპიტალის მხოლოდ **ერთი შემოტრიალების დროს.** კაპიტალისტმა ერთხელ იყიდა მასალები და იარაღები, დაიქირავა მუშები, დაამზადებინა ნაწარმოები, შემდეგ გაყიდა ეს საქონელი და დახარჯული კაპიტალი მოგებით დაუბრუნდა. ეს თეორიული ანგარიშია. ნამდვილათ კი ყველაფერი ასე მარტივათ როდი ხდება! წარმოების პატრონი თავის კაპიტალის ერთი შემოტრიალებით კი არ კმაყოფილდება, არამედ აწარმოებს საქმეს რამდენისამე ხნის განმავლობაში; თავის დაწესებულების სარგებლიანობას იგი ზომავს მოგების **წლიური** პროცენტით. სამუშაო ძალას, იარაღებსა და მასალებს იგი ყიდულობს საჭიროების დაგვარათ და ნაწარმოებ საქონელსაც ყიდის აგრეთვე— შეძლების დაგვარათ.

იმისი კაპიტალი რამდენჯერმე დატრიალდება; ამასთან, შეუძლებელია ეს შემოტრიალებანი სრულის სისწორით დააშოროო ერთი-მეორეს, გათიშო ერთმანეთისაგან. წარმოების პატრონი ერთსა და იმავე დროს კიდეც ყიდის დამზადებულ საქონელს და კიდეც ამზადებს ახალს ნაყიდი სამუშაო ძალის შემწეობით და ყოველივე საჭირო მასალასაც ყიდულობს შემდეგი წარმოებისათვის. ფულის კაპიტალი ნაწილ-ნაწილათ იხარჯება და ნაწილ-ნაწილათვე ბრუნდება, ხოლო ეს ნაწილები კი ერთი-მეორის თანასწორი სრულიათაც არაა.

სამუშაო ძალის ყიდვაზე დანახარჯი თანხა კაპიტალისტს მთლათ უბრუნდება იმ დროს, როდესაც იგი ყიდის ამ სამუშაო ძალით დამზადებულ საქონელს. მთლათ უბრუნდება აგრეთვე ღირებულება იმ მასალებისა, რომლებიც საქონლის დამზადებას მოუნდა; როდესაც, მაგ., კაპიტალისტი 1,000 არშინ ჩითს ყიდის, მან შიგ უნდა ამოიგოს მთლათ ის, რაც დაუჯდა მას მასალები და სამუშაო ძალა, რომლებიც დაიხარჯა ამ 1,000 არშინ ჩითის დამზადებაზე. (კაპიტალისტმა, ამას გარდა, რასაკვირველია, მოგებაც უნდა ნახოს, მაგრამ ეს შეიძლება, ჯერ-ჯერობით, განზე დავტოვოთ).

ასევე როდი ემართება იმ კაპიტალს, რომელსაც ხარჯავენ იარაღებზე: სახელოსნოზე, დაზგებზე, ხელსაწყოებზე (ინსტრუმენტებზე). ეს ნაწილი კაპიტალისა როდი ბრუნდება ერთბაშათ საქონლის გაყიდვის დროს. 1,000 არშინ ჩითის გაყიდვის დროს კაპიტალისტი ვერ იღებს იმ ჯამს, რომელიც მან სახელოსნოს შეძენას მოახმარა,—მაგ., 100,000 მანათს. და ეს ასეც უნდა მოხდეს. სახელოსნო კი არ მოსპობილა, ის თავის ალაგს დგას და, შესაძლებელია, ჯერ კიდევ მრავალ წელს გამოდგეს წარმოებისათვის. ეს სახელოსნო ვარგა, ვთქვათ, ერთ მილიონ არშინ ჩითის დასამზადებლათ: მაშინ თვითოეულ არშინ ჩითის ღირებულებაში შედის სახელოსნოს ღირებულების ერთი მემილიონედი, და 1,000 არშინის გაყიდვიდან უნდა დაბრუნდეს სახელოსნოზე დახარჯული კაპიტალის ერთი მეათასედი $\left(\frac{1,000}{1.000,000}=\frac{1}{1000}\right)$.

ასევე ითქმის იარაღებზედაც· თვითოეული ჩითის გაყიდვა კაპიტალისტს უბრუნებს დაზგებზე, ჯარაზე და სხვა იარაღებზე დახარჯულ მხოლოდ რამდენსამე ნაწილს. თუ დაზგა 100,000 არშინის დასამზადებლათ კმარა, მაშინ 1,000 არშინის გაყიდვით კაპიტალისტი უკან იბრუნებს ფულის სახით დაზგის ღირებულების მეასედს, და სხვ. ზოგი იარაღი მეტსა სძლებს, ზოგი ნაკლებს: მაგ., თვითონ სახელოსნო 50 წელიწადს, დაზ-

გა—5 წელიწადს, და სხვ.; კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სახელოსნოზეა დახარჯული, წვრილ-წვრილათ ბრუნდება უკან და მთლათ დაბრუნდება მხოლოდ 50 წლის შემდეგ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი შემოტრიალების ხანი 50 წელიწადია; დაზგაში გაღებულ კაპიტალის სრული შემოტრიალება ხდება 5 წელიწადში, ხოლო მასალებზე და სამუშაო ძალაში დახარჯული კაპიტალი კიდევ უფრო ჩქარა ტრიალდება, მაგ., თვეში ერთხელ:

კაპიტალისტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ განსხვავებას კაპიტალის ნაწილთა შორის: ერთი ნაწილი,—მასალებზე და სამუშაო ძალაში გამოღებული ფული,—ერთბაშათ უბრუნდება წარმოების პატრონს თვითეულ საქონლის გაყიდვის დროს; ესაა ეგრეთ წოდებული—„**საბრუნავი კაპიტალი**“; მეორე—იარაღებზე დანახარჯი—ნაწილ-ნაწილათ უბრუნდება კაპიტალისტს; ესაა—„**ძირითადი კაპიტალი**“ ძირითადი კაპიტალი წარმოების გამოწყების დროს იხარჯება ერთბაშათ და შედარებით დიდ თანხას წარმოადგენს. საბრუნავი კაპიტალი კი მხოლოდ იმდენია საჭირო საქმის გასაძღოლათ, რომ ერთი საქონლის გაყიდვიდან მეორემდე იკმარის. წარმოების პატრონისათვის ასეთ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ძირითად და საბრუნავ კაპიტალებს შორის კიდევ სხვა განსხვავებაც არსებობს. ძირითადი კაპიტალი მთელი თავისი მუშაობის დროს ფორმას არ იცვლის, სანამ სრულიად უვარგისი არ გახდება: სახელოსნო—სახელოსნოთვე რჩება, ცული—ცულათ. საბრუნავი კაპიტალი კი წარმოებაში ფორმას სავსებით იცვლის: ძაფი ქსოვილათ იქცევა, ნახშირი—ნაცრათ; ერთიცა და მეორეც სპობს არსებობას წინანდელი სახით; სამუშაო ძალაც უკვე დახარჯულია და ახლა კაპიტალს აღარ წარმოადგენს, დახარჯვის დღიდან იგი კაპიტალისტს უკვე აღარ ეკუთვნის და უკანასკნელიც იძულებულია ხელახლა იყიდოს ახალი სამუშაო ძალა შემდეგის წარმოებისთვის.

საჭიროა ერთმანეთში არ ავურიოთ ცვალებადი კაპიტალი და საბრუნავი კაპიტალი, მუდმივი და ძირითადი კაპიტალი. ერთი დანაწილება ხდება მუშის თვალსაზრისით, მეორე—კაპიტალისტის თვალ-

საზრისით. ცვალებადი კაპიტალი — სამუშაო ძალის ღირებულებაა. და საბრუნავი კაპიტალის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, იმიტომ, რომ საბრუნავ კაპიტალში შედის, სამუშაო ძალასთან ერთად, მასალების ღირებულებაც; მუდმივი კი — ძირითადზე მეტია, ვინაიდან მასში შედის, იარაღებთან ერთად, მასალების ღირებულებაც.

წარმოებაში:

| | მუდმივი კაპიტალი. | | ცვალებადი კაპიტალი. |
|---|---|---|---|
| | იარაღები. | საწარმოვო მასალები. | სამუშაო ძალა. |
| კაპიტალის ბრუნვაში: | ძირითადი კაპიტალი. | საბრუნავი კაპიტალი, | |

კაპიტალის ცალკე ნაწილთა შემოტრიალების დრო თუ ვიცით, მაშინ შეიძლება მთელი კაპიტალის შემოტრიალების საშუალო ხანგრძლივობაც გავიგოთ, ე. ი. გამოვიანგარიშოთ, რამდენ ხანში გამოუვლის ისევ კაპიტალისტს ხელში ფულის სახით ამ დაწესებულებაში დაბანდებულ კაპიტალის **მთელი ჯამი** ნაწარმოების ნაწილ-ნაწილად გაყიდვის შემწეობით.

ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა როლს თამაშობს კაპიტალისტის ანგარიშებში შემოტრიალების ეს საშუალო დრო: თუ თვითეული შემოტრიალება მას 2% მოგებას უტოვებს, მაშინ სამჯერ შემოტრიალება ხომ მოგებას 6%-ზე აიყვანს, ხუთი შემოტრიალება კი სამჯერ მთელს 10%-ს მისცემს.

მოგების წლიურ პროცენტის საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენ ხანში შემოტრიალდება ცვალებადი კაპიტალი. ვთქვათ, ეს დრო უდრის 1 თვეს, ასე რომ, ცვალებადი კაპიტალი წელიწადში 12-ჯერ უბრუნდება წარმოების პატრონს. თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%-ია, ე. ი. ცვალებადი კაპიტალის თითო მანათს ყოველთვის თითო მანათიც ზედმეტი ღირებულება მოაქვს, მაშინ მთელს წელიწადში ცვალებადი კაპიტალის ერთი და იგივე მანათი 12 გზის 12 მანათის, ე. ი. 1,200%-ის ზედმეტ ღირებულებას შექმნის. ამრიგათ, **ზედმეტი ღირებულების**

**წლიური ნორმა** ამ შემთხვევაში იქნება არა 100°/₀, არამედ 1,200°/₀-ი. რამდენათაც უფრო სწრაფათ ტრიალებს ცვალებადი კაპიტალი, იმდენათ უფრო დიდია ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმაც.

მუშათა კლასისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ზედმეტი ღირებულების უბრალო ნორმას, ე. ი. თვითოეული ცალკე შემოტრიალების ნორმას, იმიტომ, რომ ის აჩვენებს ზედმეტი შრომის დამოკიდებულებას აუცილებელთან, აჩვენებს, თუ რამდენათ არა ხელსაყრელია მუშისათვის თავის სამუშაო ძალის გაყიდვა—**ექსპლუატაციის** ნორმა. კაპიტალისტისათვის კი უფრო საყურადღებოა ზედმეტი ღირებულების **წლიური** ნორმა, იმიტომ, რომ მისი მიზანია—თავის კაპიტალზე, რაც შეიძლება, მეტი წლიური პროცენტი აიღოს, ხოლო ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა კი აჩვენებს, თუ რამდენათ ხელსაყრელია მისთვის სამუშაო ძალის ყიდვა.

როგორც გამორკვეული გვქონდა, თითო შემოტრიალების ნორმა გათანასწორებას სცდილობს საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგებში. ამასთანავე, კაპიტალის საშუალო დატრიალების დრო სხვადასხვა წარმოებაში—სულ სხვადასხვაა, ამიტომ ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმაც ერთნაირი არაა. თუ სართავ საქმეში ცვალებადი კაპიტალის შემოტრიალების საშუალო ხანგრძლივობა 1 თვეა, ტყავეულებაში კი—2 თვე, მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა—100°/₀-ია, და ეს კი შეადგენს წლიურ ნორმას სართავი საქმისთვის 1,200°/₀-ს, ტყავეულობისთვის—600°/₀-ს.

ზევით ნათქვამი იყო, რომ ზედმეტი ღირებულების ერთნაირ ნორმის დროსაც კი მოგების ნორმა ერთნაირი არაა, თუ კი კაპიტალის შედგენილობა სხვადასხვაა, თუ სხვადასხვაა მის მუდმივსა და ცვალებად ნაწილთა შორის დამოკიდებულება. ახლა ამას უნდა დავუმატოთ, რომ ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმაც კი არა ერთნაირი, თუ რომ სხვადასხვაა ცვალებადი კაპიტალის შემოტრიალების დრო, თუ იგი თანას-

წორი არაა. აქედან ასეთი დასკვნა გამოდის: მოგების წლიური ნორმა სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვა უნდა იყოს.

კერძო მაგალითებით ეს შეიძლება შემდეგნაირათ გამოიხატოს. ავიღოთ ორი კაპიტალისტური დაწესებულება: საშაქრე და ბამბეულობის წარმოებანი.

| №№ საწარმოო დაწესებულებათა. | მუდმივი კაპიტალი. | ცვალებადი კაპიტალი. | ზედმეტი ღირებულების ნორმა. | ცვალებადი კაპ. წლიური ბრუნვის რიცხვი. | ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა. | ზედმეტი ღირებულების წლიური რაოდენობა. | მოგების წლიური ნორმა. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 900 მ. | 100 მ. | 100% | 3-ჯერ შემოტრ. | 300% | 300 მ. | 30% |
| 2 | 950 მ. | 50 მ. | 100% | 2-ჯერ შემოტრ. | 200% | 100 მ. | 10% |

შესაძლებელია ნამდვილათ საქმეთა ასეთი მდგომარეობა არსებობდეს? არა, იმიტომ, რომ ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კონკურენციის კანონს, რომელიც ბატონობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. როდესაც სინამდვილეში წარმოების ერთი დარგის დაწესებულებანი უფრო სასარგებლო აღმოჩნდებიან, ვინემ სხვა დარგის დაწესებულებანი, კაპიტალი მაშინვე მეორე დარგიდან პირველში იწყებს დენას: პირველში წარმოება გაფართოვდება და ბაზარზე მისი ნაწარმოების მიწოდება მოიმატებს; მეორეში კი წარმოება შემცირდება და მისი ნაწარმოების მიწოდებაც დაიკლებს; მაშინ წარმოების პირველ დარგში ფასები დაეცემა, მეორეში კი—აიწევს, და ამასთან ერთათ, შეიცვლება ორივე დარგის სამრეწველოების სარგებლიანობაც, შეიცვლება იმათი მოგების ნორმაც. მაშასადამე, კონკურენციის მეოხებით, ფასები იმგვარათ იცვლება, რომ უფრო მომგებიან წარმოების შემოსავლიანობამ იკლოს და, პირიქით, ნაკლებისამ კი იმატოს; მოგების წლიური პროცენტი, ამგვარათ, ცდილობს **გათანასწორებას**. ასეთია კაპიტალების კონკურენციის გავლენა მოგებაზე. საზოგადოთ, ბა-

ზარი ვერ ითმენს უთანასწორობას; კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბაზარი საყოველთაო, სტიქიურ გამათანასწორებელის როლს თამაშობს.

ამრიგათ, კონკურენციის კანონების თანახმათ, კაპიტალზე მოგების წლიური პროცენტი ამა თუ იმ საზოგადოებაში თანასწორობას ელტვის და ერთი საშუალო სიდიდის მოგების გარშემო ტრიალებს.

ადვილათ შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ, ამ კანონის ძალით, ზოგი საქონელი რამდენიმეთ მუდამ თავის ღირებულებაზე მეტ ფასში იყიდება, ზოგიც—რამდენიმეთ ნაკლებში. ეს უფრო ადვილი გასარკვევია წინანდელი მაგალითის შემწეობით, თუ, — სიმარტივის გულისათვის, — წარმოვიდგენთ, რომ მთელს საზოგადოებაში მხოლოდ ორი კაპიტალისტია (თუმცა, რამდენი კაპიტალისტიც უნდა ავიღოთ, ამით საქმე ოდნავათაც არ შეიცვლება).

| №№ საწარმოო დარგ. საზოგადოებათა. | მუდმივი კაპიტალი. | ცვალებადი კაპიტალი. | ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა. | ზედმეტი ღირებულების წლიური ჯამი. | ღირებ. შესაფ. ფასები მთელ წლიურ. დამზ. საქონლებისა. | მთელი საქონლის საბაზ. ფასი (მანეთობით). | მოგების წლიური %%-ბი. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 900 მ. | 100 მ. | 300% | 300 მ. | 1,300 მ. | 1,[illegible]00 მ. | 20% | საქონ. ფასი ღირებულებ 100 მ. ნაკლ. |
| 2. | 950 მ. | 50 მ. | 200% | 100 მ. | 1,100 მ. | 1,200 მ. | 20% | საქონ. ფასი ღირებულებ. 100 მან. მეტია |

ამგვარათ, თვითოეული საქონელი საშუალოთ იყიდება არა საშრომო ღირებულების თანახმათ, არამედ ან უფრო მეტათ, ან ნაკლებათ. იმას, რასაც ერთ საქონელზე იგებენ კაპიტალისტები, მეორე საქონელზე ისევ აგებენ. მხოლოდ საერ-

თოთ და საშუალოთ,—თითო საქონლისათვის კი არა, არამედ მთლათ საზოგადოებრივი ნაწარმოებისათვის,— საბაზრო ფასები, ე. ი. მაზანდა, სავსებით შეეფერება ღირებულებას.

ცალკე საქონლების გაყიდვა არა მის ნამდვილ ღირებულების კვალობაზე, არამედ მეტათ ან ნაკლებათ,—ეს განსაკუთრებული თვისებაა კაპიტალისტურ წარმოებისა. წვრილბურჟუაზიულ (რომელიც თავის **ნამდვილ და წმინდა** სახით არასოდეს არ არსებობდა) მცვლელ მეურნეობაში გამყიდველათ გამოდიოდა პირდაპირ მწარმოებელი; იგი იძულებული იყო, ცვლის დროს ნაწარმოების ღირებულებას შეთანხმებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითოეული ცალკე მეურნეობანი, როგორც ნათქვამი იყო, ძირს ეცემიან და ამცირებენ თავის წარმოებას; და აქედან წარმომდგარი ცვლილებანი მოთხოვნა-მიწოდებაში ისევ აახლებენ ფასებსა და ღირებულების შუა დარღვეულ თანხმობას. ამიტომ მაშინ საქონლის საშუალო საბაზრო ფასს შეეძლო მის ღირებულებას დაახლოვებოდა.

ასე არაა კაპიტალისტურ საზოგადოებაში: საქონელს ყიდის არა ის, ვინც მას ამზადებს, არამედ სხვა კაპიტალისტი. კაპიტალისტებისათვის კი აუცილებელი როდია უთუოთ საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიის თანახმათ გაცვალონ თავიანთი საქონელი,—მათ უფრო აინტერესებს **მოგება.** მოგების პროცენტი ერთნაირი, თანასწორი უნდა დარჩეს ყველასთვის, და თუ საბაზრო ფასი დაშორდება ღირებულებას, ამას როდი დაგიდევენ.

ყოველივე, რაც ითქვა მოგების წლიურ პროცენტის შესახებ, შეეხება არა მარტო წმინდა სამრეწველო დაწესებულებას, არამედ ეგრეთვე სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებებსაც. რაც უნდა მცირე იყოს ცვალებადი კაპიტალი ასეთ დაწესებულებებში, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს მათში დამზადებულ ზედმეტ ღირებულების ჯამი, ეს დაწესებულებანი მაინც უნდა იძლეოდენ მოგების ჩვეულებრივ წლიურ პროცენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში—მიტოვებული იქნებიან, რო-

გორც უსარგებლონი, და კაპიტალი საზოგადოებრივ წარმოების სხვა დარგებში გადავა.

მარა წარმოების სხვადასხვა დარგებში, შესაძლებელია, მოგების წლიური პროცენტი რამდენიმეთ განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, რომ კაპიტალისტის საორგანიზატორო მოქმედება ზოგ დაწესებულებებში უფრო რთული და ძნელია, ზოგში კი—უფრო მარტივი და ადვილი. როცა კაპიტალისტი თავის საორგანიზატორო მოქმედებას დაქირავებულ მუშებს აკისრებს, რა თქმა უნდა, მოგების უფრო მცირე პროცენტით უნდა დაკმაყოფილდეს. სწორეთ ამნაირისავე მიზეზის გამო, საკრედიტო კაპიტალის პროცენტიც ყოველთვის ნაკლებია ჩვეულებრივ სამრეწველო მოგებაზე: თუ სამრეწველო დაწესებულებაში, მაგალითათ, მე ჩემს ას მანათზე შვიდ მანათს სარგებელს მივიღებდი, ეს ასი მანათი რომ მრეწველ-კაპიტალისტს ვასესხო, იმას 5 მანათსაც დავჯერდები წელიწადში, რადგან ამით თავიდან ვიცილებ აურებელ ხარჯებსა და ზრუნვას, რომელიც თანა სდევს ყოველ სამრეწველო საქმეს.

მეორე პირობა, რომლის გამოც განსხვავება არსებობს მოგების სიდიდეში, არის—გაბედვის, „რისკის" სიდიდე, რომელიც ყოველ საქმეს თან ახლავს. კაპიტალისტმა რომ გაბედოს და მეტათ საალალბედო საქმეს მოკიდოს ხელი, ეჭვი არაა, დიდ, ჩვეულებრივზე მეტ მოგებას უნდა მოელოდეს. განსაკუთრებით ამას ადვილათ დავინახავთ საკრედიტო დაწესებულებაში. ჩვეულებრივ 7%-ის სამრეწველო მოგების ნაცვლათ, საკრედიტო კაპიტალისტი თანახმაა, მაგ., 100-ზე 5% აიღოს, მხოლოდ იმ პირობით, თუ მოვალე საკმარის გირაოს წარმოადგენს; ხოლო თუ მოვალეს ასეთი გირაო არა აქვს, მაშინ 5% კრედიტორისთვის საკმარისი სარგებელი არაა, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია, რომ მან თავისი ფული უკან სრულიათაც ველარ დაიბრუნოს. ამიტომ კრედიტორს ასეთ

შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს 6, 8, 10 და მეტი პროცენტიც.

მთელი საზოგადოებისთვის წლიური მოგების ჩვეულებრივი ნორმა უნდა ვიანგარიშოთ მისი კაპიტალებისა და დამზადებულ ზედმეტი ღირებულების მთელი ჯამის მიხედვით. თუ საზოგადოების კაპიტალის ჯამი 1,000 მილიონს უდრის, ზედმეტი ღირებულება კი 100 მილიონს, ცხადია, მოგების საშუალო ნორმა—10⁰/₀ იქნება. მარა აქ ცოტათი შესწორება უნდა შევიტანოთ, და აი, რატომ: ზედმეტი ღირებულების ნაწილი სახელმწიფოს მიაქვს გადასახადებისა, ხარკებისა და ბაჟების სახით; მეორე ნაწილი, როგორც ქვევით დავინახავთ, მიაქვს მიწათმფლობელს „რენტის“ სახით. ვთქვათ, ეს ორივე ნაწილი შეადგენს 30 მილიონს. მაშინ მთელი მოგება კაპიტალისტებისა 70 მილიონი იქნება, საშუალო წლიური ნორმა კი—7⁰/₀.

დავუბრუნდეთ ისევ კერძოთ აღებულ კაპიტალიზმის ხანას—მანუფაქტურულ ეპოქას. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგების ნორმა მაშინ ძლიერ მაღალი იყო, საზოგადოთ ათეული პროცენტებით იზომებოდა (განსაკუთრებით ხელის შემწყობ პირობებში 300—400⁰/₀-მდე ადიოდა). ამის ახსნა ჩვენ შემდეგ-ნაირათ შეგვიძლია: სანამ შრომა ხელით სწარმოებს, სამუშაო ძალის შესაძენათ მეტი ხარჯია საჭირო, ცვალებადი. კაპიტალი კი—მთელი კაპიტალის ფრიად დიდ ნაწილს შეაგენს; და რადგან მოგებას ცვალებადი კაპიტალი ქმნის, ამიტომ, რამდენათაც ის დიდია, იმდენათ მოგების პროცენტიც მეტია, მაშასადამე, მიუხედავათ იმისა, რომ სამანუფაქტურო დაწესებულებებში ზედმეტი ღირებულების ნორმა დიდათ მაღალი არაა, მოგების პროცენტი მაინც ძლიერ დიდია.

მაგრამ მოგების საერთო მასსა ვერ აღწევს იმ ზომამდე, როგორც განვითარებულ სამანქანო კაპიტალიზმის ეპოქაში: თვითონ კაპიტალისტებიც ჯერ, შედარებით, მცირენი არიან

და მცირე კაპიტალზე კი დიდი პროცენტიც ვერ შეადგენს დიდ თანხას.

### ბ) მიწის რენტა.

ფეოდალურ ხანაში, როდესაც **მიწათმოქმედებას** მთავარი ალაგი ეჭირა ცხოვრებაში და წარმოების ძირითად ფორმას შეადგენდა, **მიწათმფლობელობა** მჭიდროთ იყო შეკავშირებული ბუნებასთან საზოგადოებრივი ბრძოლის ორგანიზატორულ როლთან. მემამულე-ფეოდალის შემოსავალი (საბატონო ბეგარა, ღალა, ბაჟი) წარმოადგენდა ამ საორგანიზატორო მოქმედების აუცილებელ შედეგს, და იმავე დროს— აუცილებელ პირობას, რომ მიწათმფლობელს შესძლებოდა თავისი საზოგადოებრივ-სასარგებლო როლის შესრულება.

საცვლელ მეურნეობის განვითარებასთან ერთათ, ხასიათი და მნიშვნელობა ეცვლება სამიწათმფლობელო შემოსავალსაც. თავის ფორმით, გარეგნულათ, ეს ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ შემოსავალი შემოდის არა თავის ნატურალური სახით, ე. ი. ფეოდალს პირდაპირ ნაწარმოები კი არ მოსდის, არამედ იგი (შემოსავალი) წინდაწინვე ფულათ იქცევა და ამ სახით იღებს მას მემამულე. არსებითათ კი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ ეს შემოსავალი თან-და-თან ნაკლებ დამოკიდებული ხდება მიწათმფლობელის საორგანიზატორო საწარმოვო მოქმედებისაგან, ვინაიდან ფეოდალი ჩაბმულია საცვლელ ურთიერთობათა სისტემაში და სულ უფრო და უფრო მეტათ გაურბის ასეთ მოქმედებას.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მიწათმფლობელის შემოსავალს ეკლოს. პირიქით, ფეოდალური ექსპლუატაცია, სწორეთ ცვლის განვითარების გავლენით, შესამჩნევათ ძლიერდება და იწვევს ჯერ გლეხების „მიწაზე მიკვრას“, ხოლო შემდეგ კი—მთლათ გლეხობის ან მისი ნაწილის მაინც, გაბოგანოებას, უმიწა-წყლოთ დარჩენას.

როდესაც საბატონო ბეგარა ისპობა და დამოკიდებული

გლეხის ალაგს იჭერს თავისუფალი წვრილი მესაკუთრე—მიწათმომქმედი ან იჯარადარი, მაშინ ფეოდალის საორგანიზატორო როლიდან თითქმის არაფერი რჩება, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მემამულე მუდამ როდი აძლევს თავის მიწებს იჯარით,—ხანდახან თვითონაც მართავს საკუთარ მეურნეობას დაქირავებულ მუშების შემწეობით. მაგრამ მეურნეობის ტიპი მაშინაც კაპიტალისტურია და არაფრით არა ჰგავს წარმოების ფეოდალურ ორგანიზაციას. მიწათმფლობელის შემოსავალი კაპიტალისტის „მოგებას“ ემსგავსება: მიწა კაპიტალათ იქცევა და მისმა პატრონმა, როგორც ყველა სხვა კაპიტალისტმა, თავის წილი უნდა მიიღოს იმ ზედმეტ ღირებულების საერთო ჯამიდან, რომელიც ამ საზოგადოებას მოეპოვება. მხოლოდ ამ წილის ზომა კი რამდენიმეთ სულ სხვა პირობებით ისაზღვრება, ვინემ სხვა კაპიტალისტების წილი.

მიწათმფლობელობის კაპიტალისტურ ფორმების განვითარება სრულის თანდათანობით ხდებოდა. ფეოდალურ ურთიერთობათა ნაშთები მხოლოდ ინგლისში გაქრა მე-XVIII საუკუნის ნახევარში, ევროპის დანარჩენ ქვეყნებში კი უფრო დიდხანს არსებობდა: მე-XVIII საუკუნის მიწირულამდე საფრანგეთში, უკანასკნელ დრომდე—გერმანიასა და ავსტრიაში და სხვ.; რუსეთში კი ბატონ-ყმობის ნაშთები დღესაც აუარებელი მოიპოვება მრავალგან, ხოლო კავკასიაში დღესაც ხომ თითქმის ნამდვილი ბატონ-ყმური განწყობილება არსებობს.

ფეოდალიზმის ნაშთები სხვადასხვა გვარია სხვადასხვა მხარეებსა და ეპოქებში. ხანდისხან ეს ნაშთები ნატურალურ სამეურნეო იჯარის სახეს იღებენ; ამას ეკუთვნის, პირველ ყოვლისა, ბეგარისაგან წარმომდგარი „იჯარა სამუშაოს შესრულებაში“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მოიჯარადრე იღებს მემამულისაგან ნაჭერ მიწას და მამულის პატრონს, საიჯარო ფულის ნაცვლათ, პირდაპირ შრომით უსწორდება; მეორეთ—მონახევრეობა, რომელიც ფეოდალურ საიჯარო ხარკს წააგავს (მოიჯარადრე-მონახევრე მიწის პატრონს აძლევს

თავის ნაწარმოების ნაწილს, უფრო ხშირათ — ნახევარს და ზოგჯერ მეტსაც). ხანდისხან, როგორც, მაგ., რუსეთში, განსაკუთრებულ ისტორიულ ვითარების გამო, ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილი თემური ფორმები განვითარების გზაზე დამდგარ კაპიტალისტურ ურთიერთობის დროსაც დიდხანს იქმნა დაცულ-შენახული. (ჩვეულებრივ, სახელმწიფოც ესარჩლება და ზურგს უმაგრებს თემს სწორეთ იმავე მოსაზრებით, რომლითაც წინათ ფეოდალი ხელმძღვანელობდა, როდესაც თემის მხარე ეჭირა და მას ექომაგებოდა: მრავალ სხვადასხვა ვალდებულებათა გადასახდევინებლათ უმჯობესია საქმე იქონიოთ მთელ თემთან, რომლის წევრებიც ერთი-მეორის პასუხისმგებლები არიან, ვინემ თვითოეულ ცალკე კომლებთან).

ამ ძველ ურთიერთობის ნაშთებს ეკონომიური განვითარება სხვადასხვა საშუალებებით იშორებს. როგორც ზევით იყო ნათქვამი, საკუთარ სარგებლობის გულისათვის მემამულე, ფულის მეურნეობის განვითარებასთან ერთათ, საგლეხო ნატურალურ ვალდებულებებს მიწათმომქმედ გლეხობას ფულათ ახდევინებს, საკუთარივე სარგებლობისათვის ხშირათ და ბევრჯერ შთამომავლობით დამოკიდებულ და მუდმივ მოიჯარადრეებს ერეკება მიწიდან და მათ მაგიერ თავისუფალ მოიჯარადრეებს აძლევს მამულს და სხვ.; იქ კი, სადაც წარსულის ნაშთები ძლიერ დიდხანსა სძლებს და ამით საგრძნობლათ აბრკოლებს განვითარებას, ამ ნაშთებს ჩვეულებრივ სპობენ საკანონმდებლო აქტების შემწეობით. აქ ჩვენ დრო არა გვაქვს, რომ ამ ცვლილებათა ისტორია დაწვრილებით განვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ეს ცვლილება ხდებოდა ყველგან, სადაც კი მცვლელი საზოგადოების განვითარებამ ფეხი მოიკიდა.

რენტის შინაარსი და მის ცვლილებათა კანონები უფრო აშკარა და თვალსაჩინო შეიქნებიან, თუ დავაკვირდებით კაპიტალისტურ საზოგადოების სამიწაწყლო ურთიერთობებს, სადაც მათ განვითარებული ფორმა აქვთ მიღებული. ხოლო დაუსრულებელ ურთიერთობათა გამორკვევა კი უფრო ადვილია,

როდესაც რამდენიმეთ მაინც შევისწავლით დასრულებულ ურთიერთობებს.

ვთქვათ, კაპიტალის პატრონს სურს გამართოს წარმოება,—სამრეწველო იქნება იგი, სავაჭრო თუ სამიწათმოქმედო—ეს სულ ერთია. არავითარი დაწესებულების მოწყობა არ შეიძლება სივრცის გარეშე; მაშასადამე, კაპიტალისტისათვის აუცილებლათ საჭიროა შესაფერი ნაჭერი მიწა დაიკავოს. მაგრამ კულტურულ, კაპიტალისტურ ქვეყნებში ისეთი მიწა არ მოიძებნება, რომ პატრონი არა ყავდეს, არავის ეკუთვნოდეს; ამიტომ მან მიწა ან უნდა იყიდოს, ან არა-და იჯარით აიღოს, იმიტომ, რომ მუქთათ მიწას არავინ დაუთმობს.

ამგვარათ, კაპიტალისტი ყიდულობს, ან იჯარით იღებს ნაჭერ მიწას, ვთქვათ, სრულიათ შეუმუშავებელს, რომელზედაც არ დახარჯულა ჯერ ადამიანის შრომის არც ერთი ატომი და რომელსაც, მაშასადამე, არა აქვს არავითარი ღირებულება. მაშ, რაღაში ხარჯავს, ამ შემთხვევაში, კაპიტალისტი ფულს? **იმაში, რომ შეძლება მიეცეს მიწის ამა თუ იმ სივრცეზე საზოგადოებრივი შრომა გამოიყენოს.** აქ ცვლა ემორჩილება არა საშრომო ღირებულების კანონს, არამედ კანონს მონოპოლიისას. მიწის საკუთრებაზე რომ მონოპოლია არ ყოფილიყო, კაპიტალისტს ნაჭერ მიწაში ფულის მიცემა არ დასჭირდებოდა და მასზე საზოგადოებრივი შრომის მომავალი მოხმარა-დახარჯვის შესაძლებლობაც საყიდელი არ დაურჩებოდა. უბრალო საწარმოვო მოქმედების შესაძლებლობაში ფულის გამოღება არაფერს არა-ჩვეულებრივს არ წარმოადგენს კაპიტალისტურ წყობილებაში: თვითონ კაპიტალისტიც ხომ ზედმეტ ღირებულებას იმ საფუძვლით ითვისებს, რომ ვითომ ის შეძლებას აძლევს მუშას საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს?

თუ რა საშუალებითაა მიწა შეძენილი,—ნაყიდია იგი თუ იჯარით აღებული,—ამ შემთხვევაში ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ვთქვათ, მიწის საიჯარო გადასახადი—1,000 მანა-

თია; როცა მიწის მფლობელი მიწის ერთ ნაჭერს ყიდის, იგი სრულიად „ურისკოთ“ და გაურჯელათ წლიურათ აძლევს მას 1,000 მანათს შემოსავალს. თუ ჩვეულებრივი საკრედიტო პროცენტი წელიწადში 4%-ია, მაშინ ამ ნაჭერ მიწის ფასი 25,000 მანათი იქნება, იმიტომ, რომ მხოლოდ ამ თანხით შეუძლია მიწათმფლობელს 1,000 მანათი წლიური შემოსავალი აიღოს ისე ადვილათ და გაურჯელათ, როგორც გაურჯელათ იღებს იგი მიწის გადასახადს რენტის სახით. საზოგადოთ, მიწის საყიდელი ფასი, როგორც ჩვეულებრივ ეძახიან, წარმოადგენს „გაკაპიტალებულ“ რენტას, ე. ი. კაპიტალათ ქცეულ რენტას,—ისეთ კაპიტალათ, რომელიც რენტისოდენ საკრედიტო მოგებას იძლევა. კაპიტალისტი რომ მიწის ყიდვაში კაპიტალს ხარჯავს, ამ ხარჯს იგი თავის წარმოების აუცილებელ ხარჯებათ თვლის და ამ ხარჯზე ჩვეულებრივ მოგებას თხოულობს; ანუ, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, როგორც მიწათმფლობელი, იგიც ვალდებულათ თვლის თავს ამიერიდან მიწის რენტაც აიღოს.

მაგრამ საიდან იღებს წარმოების პატრონი ამ რენტას, რომელსაც იგი ან მიწათმფლობელს აძლევს, ან და თავისთვის მიაქვს, თუ მიწა მასვე ეკუთვნის? ცხადია, თავის მყიდველებისაგან ნაწარმოების ფასში. ამნაირათ, გარდა წარმოების ჩვეულებრივ ხარჯებისა და მოგებისა, ნაწარმოების ფასმა რენტაც უნდა აინაზღაუროს,—უამისოთ წარმოება კაპიტალისტისათვის საზარალოა. ვთქვათ, სამთამადნო მრეწველმა დახარჯა იარაღებსა, მასალებსა და სამუშაო ძალაზე 750,000 მანათი, და აქედან დაამზადა ერთი მილიონი ფუთი თუჯი; მოგების ჩვეულებრივი ნორმაა—10% წელიწადში, ხოლო მიწის ის რენტა კი, რომელიც მადანსა და საქარხნო შენობებს უჭერია—25,000 მანათი; ამ შემთხვევაში ნაწარმოები უნდა გაიყიდოს: 750,000+75,000+25,000=850,000 მ., ე. ი. თითო ფუთი თუჯი 17 შაურათ უნდა გაიყიდოს, რომ წარმოება შემოსავლიანი დარჩეს.

ასეთია საქმის მდგომარეობა კერძო კაპიტალისტის, კერძო მიწათმფლობელის თვალსაზრისით. მაშ მთელი საზოგადოებრივ მეურნეობის თვალსაზრისით კი რა სახით გვეჩვენება იგი?

მიწათმფლობელს სურს, რომ რენტა, რაც შეიძლება, დიდი იყოს; კაპიტალისტი კი ცდილობს მიწაში, რაც შეიძლება, ნაკლები მისცეს, — ამაში მდგომარეობს მათი ინტერესების წინააღმდეგობა. აქედან გამომდინარეობს რენტისათვის ბრძოლა. ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ძალთა განწყობილებაზე. როცა მხარეში მრავალი თავისუფალი მიწაა, რომელიც მის მფლობელთ უნდათ გააქირაონ, მაშინ კაპიტალისტები ბრძოლის უფრო კარგ პირობებში არიან: მიწათმფლობელთათვის ისინი ძლიერ საჭირონი არიან; ამ დროს მემამულეები ერთმანეთს ეცილებიან და ამიტომ დიდი რენტის მოთხოვნა არ შეუძლიათ. პირიქით, თუ სამრეწველო მიზნისთვის გამოსადეგი და თავისუფალი მიწა, შედარებით, ცოტაა, მაშინ კაპიტალისტებს უფრო სჭირიათ მიწათმფლობელები, და ახლა კი ესენი ეცილებიან ერთმანეთს, რის გამოც იძულებული ხდებიან მიწათმფლობელს დიდი რენტა აძლიონ.

ასეთ პირობებში, ცხადია, რამდენათაც მცირდება კაპიტალისტურ დაწესებულებისათვის გამოსადეგი თავისუფალი მიწის მოედანი და რამდენათაც ფართოვდება წარმოება, იმდენათ მიწის მონოპოლისტები მეტ მბრძანებლობას იჩენენ მრეწველებზე და, ეჭვი არაა, ამის მიხედვით მიწის რენტამაც უნდა იმატოს, მაღლა აიწიოს.

ამ აწევის საზღვარი ამა თუ იმ მომენტში დამოკიდებულია ბრძოლაში ძალთა და ინტერესთა განწყობილებაზე. მართლაც-და, როცა რომელსამე მხარეში მიწათმფლობელნი თავიანთ მიწაში ძლიერ გადამეტებულ ფასს თხოულობენ, ე. ი. კაპიტალისტებს ზომაზე მეტათ უმცირებენ მოგებას, მაშინ კაპიტალისტებიც, თავის მხრივ, ცდილობენ თავიანთი კაპიტალები სხვა ქვეყნებში გადაიტანონ და ახლა იქ გააჩაღონ წარ-

მოება, რასაც დღეს ჩვენ ხშირათ ვხედავთ კიდეც. ხოლო თუ ამ უკანასკნელ ღონისძიების განხორციელება შეუძლებელია, მაშინ წარმოების განვითარებაც უნდა შესუსტდეს, ვინაიდან კაპიტალისტებისათვის დაგროვების, დაზოგვის შესაძლებლობა მცირდება; კონკურენციის პირობებიც განსაკუთრებით აუტანელი ხდება, ასე რომ, წვრილ წარმოებათა განადგურება ჩქარდება: მათი კაპიტალი თითო-ოროლა მსხვილ კაპიტალისტების ხელში იყრის თავს, და ამ უკანასკნელთა ხელში კი წინანდელზე გაცილებით მეტ ძალას წარმოადგენს, რადგან ეს ძალა ნაკლებ დაქსაქსულ-დანაწილებულია. ასე და ამრიგათ, მიწათმფლობელებიც, რომელნიც აქამდე ადვილათ უმკლავდებოდენ უფრო დაძაბუნებულ წვრილ მრეწველებს, ახლა იძულებული ხდებიან უფრო ძლიერთა წინაშე ქედი მოიხარონ და დათმობის გზას დაადგენ.

ამრიგათ, რენტის საერთო ჯამი, რომელსაც მიწათმფლობელები იღებენ, დამოკიდებულია შემდეგ ორ პირობაზე: 1) ზედმეტი ღირებულების საერთო ჯამზე, რომელსაც აქ აღებულ მხარეში ამუშავებენ და რომელიც უნდა განაწილდეს მიწათმფლობელთა და მწარმოებლებს შორის; 2) რენტისა და მოგებისათვის ბრძოლაში ამ ორივე კლასის ძალთა განწყობილებაზე. ცხადია, პირველი პირობა დამოკიდებულია წარმოების განვითარების საერთო დონეზე; იგივე საზღვრავს მეორე პირობასაც, რაიცა ნათლათა სჩანს იქიდან, რომ წარმოების ზრდისაგან გამოწვეული გაფართოვებული მოთხოვნა მიწისა ადიდებს მიწათმფლობელთა მბრძანებლობას მწარმოებლებზე. წვრილი წარმოების დარღვევასა და მსხვილის შექმნას სულ წინააღმდეგი გავლენა აქვს.

ვთქვათ, მთელი მხარის კაპიტალის საერთო ჯამი შეადგ. 1,200 მილიონ საათს, რაც 120 მილიონ მანათს უდრის; ზედმეტ ღირებულების ყოველ-წლიური ჯამი—120 მილიონი საათია, ანუ სრულათ 12 მილ. მანათი. აქედან: 3 მილიონი მიაქვთ მიწათმფლობელებს, კაპიტალისტებს კი რჩებათ 9 მი-

ლიონი. წლიური მოგების ნორმას მაშინ შეადგენს $7^1/_2$%
9 მილიონი 120 მილიონზე), და რენტის ნორმაც მთელი მხარისათვის — $2^1/_2$% (3 მილიონი 120 მილიონზე). წარმოების განვითარებასთან ერთათ, კაპიტალიც იზრდება; მაგალითათ ვთქვათ, იგი ავიდა 300 მილიონ მანათამდე, ზედმეტი ღირებულება კი, ვთქვათ, ახლა 25 მილიონია; აქედან მიწათმფლობელებს, რომლებიც ახლა უფრო ბატონობენ კაპიტალისტებზე, ვინაიდან უკანასკნელთათვის ახლა წინანდელზე უფრო ძნელია თავიანთ დაწესებულებისათვის საჭირო მიწის შოვნა, რენტის სახით მიაქვთ მთელი 10 მილიონი, მრეწველებს კი მხოლოდ 15 მილიონს უტოვებენ; მოგების ნორმა არის — 5%, ხოლო რენტის სიდიდე კი მთელის მხარისათვის — $3^1/_3$%. შემდეგ წარმოება კიდევ იზრდება: კაპიტალის ჯამია 800 მილიონი მანათი, ზედმეტი ღირებულება კი — 60 მილიონს შეადგენს. მაგრამ კაპიტალისტებმა ახლა თავიანთ კაპიტალს სხვა, ახალი სამოქმედო სარბიელი აღმოუჩინეს, მაგ., გაიჩინეს ახალშენები, სადაც ბევრი მოიპოვება თავისუფალი იაფი მიწა, რომელიც სამიწათმოქმედო და სამრეწველო დაწესებულებათა გასამართავათ გამოდგება. მაშინ მიწათმფლობელნი იძულებული ხდებიან დათმობის გზას დაადგენ: ისინი ახლა წინანდელზე გაცილებით ნაკლებ მიწის ქირას ჯერდებიან, ზედმეტი ღირებულების საერთო ჯამიდან ახლა ისინი, წინანდელ $^2/_5$ მაგივრათ, მხოლოდ მესამედით კმაყოფილდებიან, სახელდობრ — იღებენ 20 მილიონს; მოგების ჯამია — 40 მილიონი, რომელიც კაპიტალისტებს რჩებათ, მოგების ნორმა — 5%, ხოლო რენტის წილათ კი — $2^1/_2$%-ი მოდის.

ახლა გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ რანაირათ ნაწილდება რენტის საერთო ჯამი ცალკე მიწათმფლობელთა შორის. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სხვადასხვა ნაჭერი მიწები ერთგვარი არაა. ერთზე შრომა მეტ ნაყოფს იძლევა, მეორეზე — ნაკლებს. ასეთი განსხვავება განსაკუთრებით ცხადათ სჩანს მომპოვებელ მრეწველობაში: მიწის სხვადასხვა-

ნაირ ნაყოფიერების წყალობით, მიწათმოქმედებაში ერთი ნაკვეთი მიწა ხუთ წილ მოსავალს იძლევა, მის გვერდით მეორე კი, იმდენივე შრომისა და კაპიტალის დახარჯვით, ათ წილს; სამთამადნო საქმეში ერთ ნაკვეთ მიწაზე მადანი ლითონებით უფრო მდიდარია, მეორეზე—უფრო ღარიბია და, მაშასადამე, გაცილებით ნაკლებ ლითონებს იძლევა და სხვ.

მიწის ნაყოფიერებას დამმუშავებელ მრეწველობაშიაც დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგ., წარმოებისათვის საჭირო წყალის სიახლოვეს, ან მდინარის მამოძრავებელ ძალის წარმოებაში გამოყენებას და სხვ... შემდეგ, ყველა კაპიტალისტურ დაწესებულებაში შრომის ნაყოფიერობისათვის მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზრის მანძილს, სადაც საწარმოვო მასალებს ყიდულობენ და ან დამზადებულ საქონელს ასაღებენ: დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც, თუ რამდენათ კარგი და მოხერხებული გზები არსებობს ამ ბაზარზე მისასვლელათ, ვინაიდან გადაზიდვის ღირებულება ნაწარმოების ღირებულებაში შედის და, თუ გადაზიდვა ჩვეულებრივზე ნაკლები ჯდება, მაშინ შრომის ნაყოფიერებაც ამ საწარმოვო დაწესებულებაში საშუალოზე უფრო მეტი იქნება.

ვთქვათ, ჩვენ წინა გვაქვს მთელი რიგი ერთგვარ სამიწათმოქმედო დაწესებულებათა, რომელნიც ერთგვარ ბუნებრივ პირობებში არ იმყოფებიან: ერთ ნაჭერ მიწაზე წარმოების საშუალებებში და სამუშაო ძალაში დანახარჯი თანხა უდრის 10,000 მანათს, და იძლევა კი მხოლოდ—10,000 ფუთ პურს. ეს ყველაზე ცუდი ღირსების მიწაა; თუ ამდენსავე დავხარჯავთ მეორე ნაჭერ მიწაზე, მოგვივა 15,000 ფუთი პური; მესამე საუკეთესო ნაჭერი იმავე კაპიტალით—20,000 ფუთ პურს იძლევა. მოგების ჩვეულებრივი წლიური პროცენტი, ვთქვათ, 5%-ია; კაპიტალისტმა, რომელსაც ყველაზე ცუდ ნაჭერ მიწაზე ქონდა გამართული თავისი მეურნეობა, უნდა აიღოს 5%, ე. ი. წელიწადში 500 მანათი მოგება, წინააღმდეგ შემთხვევაში—წარმოება მაზარალებელი იქნება მისთვის და, ცხადია,

იგი კაპიტალს ამ წარმოებაში არ მოაცდენს. გარდა ამისა, რადგან მიწა მას არ ეკუთვნის და ვერც მუქთათ იშოვის სადმე, იგი იძულებულია აძლიოს მიწათმფლობელს განსაზღვრული, თუნდაც მცირე, რენტა, რადგან მისი ნაჭერი მიწა ყველაზე უარესია: წინააღმდეგ შემთხვევაში, კაპიტალისტი თავის კაპიტალს სხვა ქვეყანაში გადაიტანს, როცა დაინახავს, რომ საქონლის გადატანაზე ნაკლები ხარჯი მოუვა, ვინემ რენტაზე. ვთქვათ, რენტა—300 მანათია; მაშინ კაპიტალისტმა ნაწარმოების ფასათ უნდა მიიღოს მთლათ 10,800 მან. (10,000 თვით წარმოებაზე ნახარჯი, 500 მან. მოგება და 300 მან. რენტა). მაშასადამე, იმან უნდა გაყიდოს ფუთი პური 1 მან. 8 კაპ., თუ ამაზე ნაკლებათ გაყიდის, მაშინ ხომ საქმეზე სრულიათ ხელის აღებაც მოუხდება; მეტათ გაყიდვას კი, რა თქმა უნდა, მწარმოებელი ვერ მოახერხებს: მაშინ ხომ მისი მოგება ჩვეულებრივზე მეტი შეიქნებოდა. ცხადია, საზოგადოებაში პურის მაზანდა, დაახლოვებით, 1 მან. 8 კაპ. იქნება. როცა მაზანდა ამ ნორმაზე დაბლა სდგას, მიწათმოქმედებაც მცირდება და პურის ფასიც, მიწოდების შემცირების გამო, მატულობს; როცა მაზანდა ამ ნორმაზე მაღალია—მიწათმოქმედებაში მოგება ჩვეულებრივზე მეტია, და კაპიტალებიც სწორეთ ამ დარგისაკენ,—ჩვეულებრივზე მეტ მოგებისაკენ,—ეშურებიან, და მიწათმფლობელიც, სარგებლობს რა კაპიტალების კონკურენციით, ისე მაღლა უწევს რენტას, რომ მოგება ჩვეულებრივ ნორმას დაუახლოვდეს: მაგალითათ, იღებს თავისთვის 500— 1,000 მანათს.

ყველაზე უვარგის მიწის რენტას ჰქვიან **აბსოლიუტური რენტა**. მაშასადამე, ბაზარზე პურის ჩვეულებრივი მაზანდა უდრის წარმოების ხარჯებს ყველაზე უარეს ბუნებრივ პირობებში, რომლებშიაც კაპიტალისტებს შეუძლიანთ საქმე აწარმოვონ, ჩვეულებრივ მოგებისა და აბსოლიუტური რენტის ზედდამატებით. ასე ითქმის, რასაკვირველია, არა მარტო პურზე, არამედ ყველა დანარჩენ ნაწარმოების შესახებაც, თუმცა დამ-

მუშავებელ მრეწველობაში ბუნებრივი პირობების მნიშვნელობა ჩვენს დროში, შედარებით, მცირეა, ვინემ მიწათმოქმედებაში, სადაც ჩამორჩენილი ტეხნიკა არსებობს და წარმოება ნიადაგსა და ჰავაზეა დამოკიდებული და დიდი სივრცის მიწას თხოულობს.

ბაზარი არ არჩევს, რომელი ნაწარმოები ცუდ პირობებშია დამზადებული და რომელი—კარგში; ნაწარმოებთა ფასი ერთი და იგივეა,—ჩვენს მაგალითში 1 მან. 8 კაპეიკი ფუთზე; მაშასადამე, მეორე მიწის ნაჭერზე მოწეული 15,000 ფუთი პური გაიყიდება 16,200 მანათად, ე. ი., ჩვეულებრივ ხარჯებსა და მოგების გარდა, დარჩება 5,700 მანათი, რომელსაც წაიღებს მიწათმფლობელი რენტის სახით. კაპიტალისტს ამ 5,700 მანათიდან არაფერი მოუწევს—ის მიიღებს მხოლოდ თავის ჩვეულებრივ მოგებას, მოგების წლიური ნორმების კანონის თანახმად: რენტა რომ 5,700 მანათზე ნაკლები დარჩეს და მოგება კი 500 მანათზე მეტი, დაუყოვნებლივ გაჩნდებიან კონკურენტები—სხვა კაპიტალისტები, რომლებიც თანახმა იქნებიან მემამულეს მეტი რენტა მისცენ.

ამნაირად, მეორე ნაჭერ მიწის მფლობელი, თავის აბსოლიუტურ რენტის—300 მანათის—გარდა, იღებს კიდევ 5,400 მანათს, რომელიც შეადგენს, ეგრეთ წოდებულ, **დიფერენციალურ რენტას**. მესამე, ე. ი. საუკეთესო ნაჭერ მიწის მფლობელისათვის, დიფერენციალური რენტა კიდევ უფრო მეტი იქნება—10,800 მანათი, რაც სულ ადვილი გასაგებია, თუ წინანდელის ანგარიშით ვიხელმძღვანელებთ.

აქ შესაძლებელია კითხვა დაიბადოს, ხომ არ ეწინააღმდეგება საშრომო ღირებულების თეორიას ზემოაღნიშნული ფაქტი, რომ ზოგიერთი საქონლის ფასი ბაზარზე დაკავშირებულია იმ ყველაზე **უარეს** ბუნებრივ პირობებზე, რომელშიაც კი არსებობს წარმოება? საბოლოოდ ფასები ისაზღვრება ღირებულებით, ღირებულება კი არის საშრომო ენერგიის **საშუალო** რაოდენობა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ნაწარმოების დასამზადებლად; მაშასადამე, ღირებულების სი-

დიდე უდრის ბუნებრივ **საშუალო** და არა უარეს პირობებში დასახარჯ შრომას; ასევე უნდა იყოს, ერთის შეხედვით, საშუალო საბაზრო ფასებიც, ე. ი. ისიც უნდა უთანასწორდებოდეს წარმოების ხარჯებს **საშუალო** ბუნებრივ პირობებში, მოგების აბსოლიუტური რენტის ზედ დამატებით, მაგრამ აქ ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებულია და პირველისავე ანალიზით ადვილად ისპობა.

როგორც ცნობილია, საქონლის ღირებულება განიყოფება სამ ნაწილად: ცვალებადისა და მუდმივი კაპიტალის ღირებულებად და ზედმეტ ღირებულებად. ამის შესაფერად, ფასიც სამი ელემენტისაგან შესდგება: წარმოების **საშუალო ხარჯები, საშუალო მოგება და საშუალო რენტა** (რენტა და მოგება ერთად უდრის ზედმეტი ღირებულების საერთო ჯამს). ამ თავში მოყვანილ ფორმულის თანახმად, ფასი სხვაფრივ არის შემდგარი: წარმოების საშუალო ხარჯების ნაცვლად აღებულია წარმოების ხარჯები ყველაზე უვარგის და გამოუსადეგარ მიწაზე; საშუალო რენტის მაგივრად კი—აბსოლიუტური რენტაა. მაგრამ ძნელი დასანახავი არაა, რომ, რამდენადაც ყველაზე უვარგის მიწაზე ნაწარმოების ხარჯები მეტია, ვინემ საშუალო მიწაზე, იმდენად აბსოლიუტური რენტაც ნაკლებია საშუალო მიწის რენტაზე, რომელშიაც, გარდა აბსოლიუტურისა, შედის კიდევ საშუალო დიფერენციალური რენტაც. ამგვარად, ფასის ეს ორი ფორმულა სრულ ერთგვარობას წარმოადგენს. ახლა შევამოწმოთ ჩვენ ეს რიცხვითი მაგალითებზე, რისთვისაც მეორე ნაკვეთი მიწა საშუალო ღირსებისად უნდა ჩავთვალოთ: ყველაზე უარეს მიწაზე 10,000 ფუთი პურის მოწევა ითხოულობს მუდმივს და ცვალებად კაპიტალს ერთად 10,000 მან.

5°/₀ მოგებას 500 „

აბსოლიუტურ რენტას . . . 300 „

სულ 10,800 მან.,

ე. ი. 1 მან. 8 კაპ. ფუთი. (ხოლო მოდის 10,000 ფუთი პური)

საშუალო ღირსების ამდენივე სივრცის ნაჭერი მიწა, თუ მასზე ვაწარმოვოთ 10,000 მანათის მუდმივ და ცვალებად კაპიტალს დავხარჯავთ, იძლევა 15,000 ფუთს და, მაშასადამე, უვარგის მიწასთან

შედარებით, $1\frac{1}{2}$-ჯერ მასზედ ნაკლები სივრცის მიწა უნდა ავიღოთ, რომ მოსავალი იგივე 10,000 ფუთი მოგვივიდეს. მაშინ დავინახავთ, რომ მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი შეადგენს.

6,666⅔ მან. (10,000 მანათზე $1\frac{1}{2}$-ჯერ ნაკლების).
5% მოგებისა 333⅓
საშუალო რენტისა 3,800 „ (5,700 მანათზე $1\frac{1}{2}$-ჯერ ნაკლების).

ს უ ლ 10,800 მ., ე. ი. ფუთი ღირს 1 მ. 8 კ.

საქმე იმაშია, რომ ანგარიშის დროს საშუალო ნაკვეთისათვის ვიღებთ: ხარჯებს 3,333⅓ მანათით ნაკლებს, მოგებას 166⅔ მანათით ნაკლებს, აბსოლიუტურ რენტასაც კი ვაკლებთ 100 მანათს (300 მანათის ნაცვლად 200 მანათს ვიღებთ, იმიტომ, რომ მიწასაც $1\frac{1}{2}$-ჯერ ნაკლებ სივრცისას ვანგარიშობთ), მაგრამ, სამაგიეროთ, ფასში შედის ახალი, უვარგისი მიწის წარმოების დროს არ არსებული, საშუალო დიფერენციალური რენტა—3,600 მანათი,—და შედეგიც ერთი და იგივე გამოდის.

ეს ანგარიში გამოდგება აგრეთვე ყველა დანარჩენ საქონლებისათვისაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დამმუშავებელ მრეწველობაში დიფერენციალურ რენტას, და მით უმეტეს—აბსოლიუტურ რენტას, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინემ მიწათმოქმედებაში.

ამ ანგარიშიდან, სხვათა შორის, ისიც ჩანს, თუ რა აზრით და რანაირათ საზღვრავს ფასს კაპიტალიზმის ხანაში საშრომო ღირებულება. ნაწარმოების ფასს საზღვრავენ მუდმივ და ცვალებად კაპიტალზე საშუალო საკაპიტალისტო შემოსავლის (საშუალო მოგებისა და საშუალო რენტის ჯამი) დამატებით; საკაპიტალისტო შემოსავლის საშუალო ნორმას შეადგენს ზედმეტი ღირებულების მთელი ჯამის დამოკიდებულება საზოგადოების მთელი კაპიტალის საშრომო ღირებულებასთან, ე. ი. ზედმეტი ღირებულება გაყოფილია საერთო კაპიტალის ჯამზე. ამნაირათ, საშრომო ღირებულების კანონი საზღვრავს ფასებს არა-პირდაპირ,—იგი საზღვრავს საკაპიტალისტო შემოსავლის ნორმას, რომელიც, თავის მხრივ, საზღვრავს ფასს მუდმივ და ცვალებად კაპიტალის დახარჯვის მიხედვით.

განსაკუთრებით საოცარ სიდიდეს აღწევს დიფერენციალური რენტა სამრეწველო ადგილებსა და ქალაქებში, სადაც შეიძლება საზოგადოებრივი შრომით უფრო ინტენსივურათ სარგებლობა, სადაც, ბაზრის სიახლოვის გამო, საქონლის გადაზიდვასა და შენახვაზე ბევრი შრომა იზოგება. მართლაც-და, ვთქვათ, ერთი ქარხანა, რომელიც 1 მილიონ ფუთ საქონელს ამზადებს, ბაზრიდან ერთ ვერსზეა დაშორებული, მეორე ასეთივე ქარხანა კი — 11 ვერსზე. ერთ მილიონ ფუთ საქონლის 10 ვერსზე გადაზიდვა ძლიერ დიდ ხარჯსა თხოულობს, პირველი ქარხანა კი ამ ხარჯებიდან თავისუფალია, და რადგან მოგება, საზოგადოთ, **ჩვეულებრივზე** მეტი ვერ იქნება, გადაზიდვაში ნაყაირათევ თანხას მიწათმფლობელი წაიღებს დიფერენციალური რენტის სახით, ე. ი. იმის საფასეთ, რომ მექარხნეს შეძლება მიეცა საზოგადოებრივი შრომა საუკეთესო ხელის შემწყობ პირობებში დაეხარჯა. მარა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მსხვილი კაპიტალისტის ეკონომიური ძლიერება ისეთია, რომ იგი ხშირათ ამ დიფერენციალურ რენტის ნაწილსაც კი სცანცლავს მიწათმფლობელს და თავისთვის ინარჩუნებს, ხოლო ამ ზომით კი უფრო იოლათ ამარცხებს კონკურენტებს.

წარმოების საერთო პროგრესი, როგორც აღნიშნული იყო, იწვევს რენტის განუწყვეტელ ზრდას — რენტის მიმღებთა ყოველგვარ მონაწილეობის გარეშე, და ამასთან ერთათ იზრდება აგრეთვე მიწის მოთხოვნაც ყოველგვარ დაწესებულებებისათვის, რის გამოც ძლიერდება მიწის მონოპოლისტების გაბატონება მრეწველ-კაპიტალისტებზე.

აღსანიშნავია, რომ უმთავრესათ იზრდება დიფერენციალური რენტა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომელიმე ნაკვეთი მიწის ახლოს გაჰყავთ კარგი გზები, რომელიც ამ მიწას ბაზართან აახლოვებს, ან როდესაც ამ ადგილებში, რაიმე ბუნებრივი სიმდიდრე ანუ მადანი აღმოჩნდება.

რენტის მუდმივი ზრდის გამო, მიწა ჩვეულებრივ უფრო ძვი-

რათ იყიდება, ვინცე ღირს, რენტის კაპიტალიზაციის თანახმათ რომ ვიანგარიშოთ. ეს იმიტომ, რომ რენტის მომავალი წლებიც რამოდენიმეჯერ შედის მიწის ფასში. ამასთანავე, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მიწის გაყიდვა მეტს **სიმტკიცეს აძლევს** რენტას. მართლაც-და, კაპიტალისტი, რომელმაც მიწა იყიდა, ისე უყურებს ამ მიწაში გადებულ ფულს, როგორც მიწაში დაბანდებულ კაპიტალს, რომელმაც მას უეჭველათ შესაფერი მოგება უნდა აძლიოს. ამის შემდეგ რენტას იცავს არა მარტო ძალა მონოპოლიისა, არამედ, აგრეთვე, ძალა კაპიტალთა კონკურენციისა, რომელიც ყველა კაპიტალებისათვის მოგების ნორმის თანასწორობას თხოულობს.

არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ეგრეთ წოდებული საიჯარო გადასახადი და რენტა. იჯარით, უმეტეს ნაწილათ, იღება არა ტიტველი, დაუმუშავებელი მიწა, არამედ ზედ აგებულის შენობებით, წინანდელის შრომით გაუმჯობესებულ ნიადაგით, ხშირათ იარაღებითა და შინაურის პირუტყვებითურთ, და სხვ. ყოველივე ეს შეადგენს რამოდენიმეთ რეალურ კაპიტალს, რომელსაც თითქო სესხულობს მოიჯარადრე და რომელშიაც ჩვეულებრივი საკრედიტო პროცენტი უნდა აძლოს კრედიტორს, ე. ი. მიწათმფლობელს. საიჯარო გადასახადის ნაწილი, მაშასადამე, წარმოადგენს მიწის მფლობელის ჩვეულებრივ სარგებელს საკრედიტო კაპიტალზე. ამიტომ საიჯარო გადასახადიდან უნდა გამოვაკლოთ ეს ნაწილი, თუ გვინდა, რომ წმინდა რენტა მივიღოთ.

კაპიტალისტურ მიწათმფლობელობის განვითარებულ ფორმების გვერდით, მანუფაქტურულ ხანაში ყველგან, ხოლო შემდეგ კი—უმეტეს ადგილებში, გვხდება ნაკლებათ განვითარებული ფორმები, განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში. ასეთ ფორმებს შეიძლება მიეწეროს ისეთი მეურნეობაც, სადაც მიწის მფლობელი და კაპიტალისტი, ე. ი. წარმოების პატრონი, ერთი და იგივე პირია და ის იღებს რენტასაც და მოგებასაც. მაგრამ აქ ამაზე ნუ შევჩერდებით, რადგან ეს არაფერს არა სცვლის საქმის საერთო მსვლელობაში. ხშირათ მოიჯარადრის

როლს ასრულობს არა კაპიტალისტი, არამედ წვრილი მწარმოებელი, რომელსაც სრულიად არ ესაჭიროება, ან ნაკლებათ სარგებლობს საქირაო შრომით, ესაა—ჩვეულებრივ მიწათმომქმედი გლეხი. ამ შემთხვევაში „ფერმერის“ მოგება ხშირათ არარას წარმოადგენს: წვრილი მოიჯარადრე მოკლებულია კაპიტალისტის ძალას, მას არ შეუძლია საიჯარო ქირის დასაკლებათ მიწათმფლობელს მძლავრი ბრძოლა გამოუცხადოს და გამარჯვებაც მოიპოვოს; ამიტომ მისი გადასახდელი რენტაც იმდენათ იზრდება, რომ მოიჯარადრეს მხოლოდ ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალება-და რჩება. არსებითათ იგი მაშინ მიწმთმფლობელის დაქირავებულ მუშას წარმოადგენს, რომელსაც დამოუკიდებელი მოიჯარადრის ნიღაბი აქვს ჩამოფარებული. სავაჭრო კაპიტალის გავლენით, რომელიც თავის მხრივ ყვლეფს წვრილ მოიჯარადრეს, ამ უკანასკნელის ჯვედრი ხანდისხან კიდევ უფრო ქვეითდება, მცირდება; ხანდისხან მისი წილი იმდენათ პატარავდება, რომ წარმოების მთლათ გადაშენებასაც კი იწვევს (ამის მაგალითია ირლანდია).

როცა მიწათმფლობელი და მიწათმომქმედი ერთი და იგივე პირია, პირველის შეხედვით საქმე ისე გვეჩვენება, თითქო ერთი და იგივე პირი იღებდეს სამუშაო ხელფასსაც, მოგებასაც და რენტასაც, ნამდვილათ კი, აქაც ისე, როგორც წინანდელ შემთხვევაში, მოგება ჩვეულებრივათ მოვაჭრე კაპიტალისტის ხელში გადადის, რენტა კი, საზოგადოთ, შედარებით მეტათ მცირეა, იმიტომ, რომ წვრილ მესაკუთრე-მიწათმომქმედთა კლასს არ მოეპოვება ისეთი დიდი, ისტორიულათ განმტკიცებული საზოგადოებრივი ძალა, როგორც მსხვილ მიწათმფლობელთა კლასს.

მაშასადამე, რა არის მიწის რენტა? ეს ზედმეტი ღირებულების ის ნაწილია, რომელსაც კაპიტალისტი აძლევს მიწათმფლობელს იმისთვის, რომ შეძლება მიეცეს მის მიწაზე წარმოების საზოგადოებრივი შრომით სარგებლობისა.

ბუნების ძალთა ექსპლუატაცია საზოგადოებრივ შრომას განუსაზღვრელათ შეუძლია. ჯერჯერობით ყველაზე უფრო ნა-

ჯოფიერი ნიადაგიც კი, და ისიც მეტათ სქლათ დასახლებულ ქვეყნებში, კიდევ არაა სავსებით დამუშავებული. მაგრამ საზოგადოებას არ შეუძლია ყველა ამაებით დაუბრკოლებლივ სარგებლობა: მას ამ მხრივ წინააღმდეგობას უწევენ მიწათმფლობელნი, ხოლო ამ წინააღმდეგობის დაძლევა კი შეიძლება მხოლოდ რენტის მიცემით.

## გ) სამუშაო ხელფასი.

სამუშაო ძალის ღირებულებას მუშა იღებს სამუშაო ხელფასის სახით.

ნატურალურ მეურნეობათა ეპოქაში დაქირავებული შრომა იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ფეოდალური დროის მოსიარულე წვრილი ხელოსნის მუშაობას სამუშაოს დამკვეთელის სახლში და მისივე მასალებით რაიმე საგნის დამუშავებას მხოლოდ გარეგანი მსგავსება აქვს დაქირავებულ შრომასთან; ხელფასი, რომელსაც ასეთი ხელოსანი იღებს, მისი სამუშაო ძალის ღირებულებას კი არ წარმოადგენს, არამედ ღირებულებას, მისი შრომით ახლათ დამზადებულს,——აქ ჯერ კიდევ არავითარი ექსპლოატაცია არ არსებობს, იმიტომ, რომ ხელოსანს თვითონა აქვს საკუთარი საწარმოვო იარაღები და, უკიდურეს შემთხვევაში, ისევე ადვილათ შეუძლია დამკვეთელისაგან სრულიათ დამოუკიდებლათ იცხოვროს, როგორც დამკვეთელს უმისოთ.

დაქირავებული შრომა პირველათ მაშინ იჭერს თვალსაჩინო ალაგს ცხოვრებაში, როცესაც ქალაქებში ხელოსნობის წვრილ-ბურჟუაზიული ორგანიზაცია ვითარდებოდა. ქარგლები და შეგირდები უკვე ოსტატის („მასტერის") მიერ დაქირავებულ მუშებს წარმოადგენენ. მაგრამ სანამ ხელოსნურ მეურნეობაში არ გამქრალა პატრიარქალური დამოკიდებულება, სანამ ქარგლის როლი ჯერ კიდევ ოსტატის წოდებაში გადასავალ საფეხურს წარმოადგენს,—ქარგლის სამუშაო ხელფასი

მტკიცეთ არ ისაზღვრება მისი სამუშაო ძალის ღირებულებით, არამედ რამდენიმეთ ამაზე მეტია; ასე რომ არ ყოფილიყო, ქარგალი ვერ შესძლებდა თავის სამსახურის დროს იმდენ საშუალებათა მოგროვებას, რომ შემდეგ თავისი საკუთარი სახელოსნო გაეხსნა და საკუთარი მეურნეობა გაეჩაღებინა. მაგრამ როდესაც სავაჭრო კაპიტალი არღვევს და ანადგურებს ხელოსნურ ურთიერთობათა მამაშვილურ ჰარმონიას, როდესაც სავაჭრო კაპიტალი თვითონ ოსტატსა ყვლეფავს, ხოლო უკანასკნელნი კი თავის მხრივ, ამ კაპიტალის დახმარებით, ქარგლებს ყვლეფენ,— მაშინ სამუშაო ხელფასიც ეცემა და აუცილებელ საცხოვრებელ საშუალებათა ღირებულებას, ე. ი. სამუშაო ძალის ნამდვილ ღირებულებას, უთანასწორდება.

როგორც გარკვეული გვქონდა, სავაჭრო კაპიტალი მხოლოდ **ფორმალურათ** არა ხდის ხელოსანსა და გლეხს დაქირავებულ მუშებათ, ნამდვილათ კი ამ უკანასკნელთ შრომის საფასეთ იგი უტოვებს მხოლოდ სამუშაო ძალის ღირებულებას, ასე რომ, **არსებითათ** მათი მატერიალური მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდება დაქირავებულ მუშების მდგომარეობისაგან.

სამრეწველო კაპიტალის განვითარება ნიშნავს დაქირავებულ შრომის განვითარებას, რომელსაც მხოლოდ ამ დროიდან უჭირავს დიდი ალაგი საზოგადოების საწარმოვო ცხოვრებაში. დამოუკიდებელ წვრილ მწარმოებლის „ნამუშავარი“ სულ უფრო და უფრო მეტ ალაგს უთმობს მწარმოებელ-პროლეტარის სამუშაო ხელფასს და ასე იდევნება წარმოების სფერიდან.

სამუშაო ხელფასის პირვანდელ ფორმას შეადგენდა **ნატურალური** ფორმა, ე. ი. ხელფასის გადახდა ნაწარმოებით, თვით მოსახმარი საგნებით. სამუშაო ხელფასის ეს ფორმა, სხვათა შორის, საინტერესოა იმ მხრითაც, რომ აქ სამუშაო ძალის ღირებულება მეტის-მეტათ აშკარაა. აქ ყველა ხედავს, რომ ისაა ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებათა ღირებულება და მეტი არაფერი.

ნატურალური ხელფასი განსაკუთრებით დიდხანს დარჩა მიწათმოქმედებაში, რაიცა იმით აიხსნება, რომ მუშისოვის აუცილებელ საცხოვრებელ საშუალებათა უდიდეს ნაწილს სწორეთ მიწათმოქმედების ნაწარმოები შეადგენს. წარმოების დარგში ის ბევრგან რჩება საკმაოთ განვითარებულ კაპიტალიზმის დროსაც კი, მაგრამ აქ იგი ფულის ფორმასთანაა შეერთებული. ასეთივე არეულის, მაგრამ, უმთავრესათ, ნატურალურის ფორმით ილებდა თავის ხელფასს ქარგალი საშუალო საუკუნეებში. ეხლაც კი წვრილ წარმოებაში ხაზეინები სასარგებლოთ სთვლიან თავიანთთვის, რომ მუშამ „ხაზეინის ხარჯზე“ იცხოვროს და მხოლოდ ხელფასის ნაწილი მიიღოს ფულათ.

ცვლისა და ფულის ტრიალის ფართე განვითარების შემდეგ, ნატურალური ხელფასი თითქმის ყველგან ჰქრება; ფულის ფორმა უფრო სასარგებლოა მუშისთვისაც, რომელსაც ამით საშუალება ეძლევა სახმარი საშუალებანი თავის პირადის ამორჩევით შეიძინოს, და კაპიტალისთვისაც, რომელსაც ფულის ფორმა ანთავისუფლებს მუშებისთვის სახმარ საშუალებათა ყიდვისაგან.

მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაში გვხვდება რაღაც არეული ხელფასის მაგვარი რამ, მაგრამ სრულიათ განსხვავებულის ფორმისა, ესაა—ეგრეთ წოდებული „გაქირავების სისტემა“. წარმოების პატრონი, (კაპიტალისტი) ჰმართავს თავის სამრეწველოსთან სანოვაგისა და საზოგადოთ უპირველეს საქიროების დუქანს და იძულებულს ხდის თავის სამრეწველოს მუშებს მათთვის საქირო ნაწარმოები ამ დუქანში იყიდონ; რასაკვირველია, ფასები ყველაფერზე ისეთია დანიშნული, რომ ამ დუქნის ვაჭრობა კარგ მოგებას აძლევს პატრონს. „გაქირავების სისტემა“ საშუალებას აძლევს კაპიტალისტს კიდევ უფრო უკიდურესათ შეამციროს ნამდვილი სამუშაო ხელფასი, მხოლოდ ისე ხელოვნურათ, რომ მისი აშკარათ დაკლება საქირო აღარ დარჩეს. (ბევრს ქვეყნებში, და მათ შორის რუ-

სეთშიაც, კანონმდებლობა ცდილობს მოსპოს ასეთი სისტემა, ან და განსაზღვროს მაინც მისი მოქმედება; მაგრამ სამრეწველო დაწესებულების პატრონები ხშირათ ძლიერ ადვილათ პოულობენ საშუალებას გვერდი აუქციონ ასეთს ამკრძალავ აქტებს).

სამუშაო ხელფასის ანგარიში ორის სხვადასხვა წესით ხდება: ან ყოველდღიურათ, კვირეულათ, თვიურათ, საზოგადოთ—**დროის მიხედვით**, ან-და ნარდათ—**თითო ცალობით**, ან ნაჭრობით, მორიგებით. პირველი ტიპის თანახმათ, ქარგლებს ჩვეულებრივ უსწორდებოდენ თავიანთი ოსტატები; მეორე ტიპი კი ისტორიულათ შეკავშირებულია საშინაო მრეწველობის კაპიტალისტურ ფორმასთან, სადაც მწარმოებელს (მუშას) თუ არ ნაჭრობით, სხვანაირათ არც კი შეეძლო თავისი ხელფასი ეანგარიშნა.

სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში ორთავე ეს წესები ერთათ გვხვდება და კაპიტალისტი თვითოეულ შემთხვევაში არჩევს ამ ორში იმას, რომლისგანაც უფრო მეტ სარგებლობას გამოელის, საერთოთ კი კაპიტალისტისათვის ორივე წესსა აქვს თავისი ნაკლიცა და ღირსებაც.

როცა მუშა დროის მიხედვით იღებს ხელფასს, მაშინ იგი ნაკლებ ჯაფას აყენებს თავის თავს, ზოგავს და უფრთხილდება თავის ძალ-ღონეს, მისი შრომა ნაკლებ ინტენსივურია. მართლაც-და, რაც უნდა დახარჯოს მუშამ თავისი ენერგია, რაც უნდა ერთგულათ და თავგამოდებით იმუშაოს, დღეში მაინც მხოლოდ იმდენს ხელფასს მიიღებს, რამდენიც პირობით აღთქმული ჰქონდა.

ნაჭრობითი ხელფასი გაცილებით უფრო ინტენსივურათ ამუშავებს მუშას. აქ მუშა ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი გააკეთოს, იმიტომ, რომ ეს ზრდის მის „ნამუშავარს“, მის „ხელფასს“. მაგრამ, ჩქარ და თავდადებულ მუშაობის მეოხებით, ხშირათ ნაწარმოები უფრო მდარე ღირსებისა გამოდის; ამიტომ დროებითი ხელფასი უფრო ხელსაყრელია კაპიტალის—

ტისათვის იქ, სადაც საქონლის თვისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუმცა კი ნაჭრობითი ხელფასის დროსაც შეუძლია კაპიტალისტს, მოურიდებელ და ულმობელ დაწუნებისა (დაბრაკვის) და დაჯარიმების საშუალებით, მუშებს თან-და-დან მეტი გულსმოდგინება და მომჭირნეობა გამოაჩენიოს მუშაობაში და ნაწარმოებიც უფრო მაღალის ღირსებისა დაამზადებინოს. შემდეგ, ნაჭრობით მუშაობის ხელფასს კიდევ ის უპირატესობა აქვს კაპიტალისტისათვის, რომ ამით საშუალებას ეძლევა ნელ-ნელა გაადიდოს ის მოგება, რომელსაც იგი თვითოეული მუშისაგან იღებს. ეს კი ამნაირათ ხდება: მეტი ხელფასი რომ დაიმუშაონ, მუშები უფრო ენერგიულათ შრომობენ და რამდენსამე ხანს იღებენ კიდეც ნამდვილათ ჩვეულებრივზე მეტ ხელფასს. მაგრამ როცა გაძლიერებული ენერგიული შრომა მუშებს უკვე ჩვეულებათ გადაექცევათ, კაპიტალისტიც ნელ-ნელა უკლებს ნაჭრობით ფასს, ასე რომ, სამუშაო ხელფასი, დაახლოვებით, ისევ წინანდელ დონეზე ჩამოდის, შრომა კი მეტი ეხარჯებათ. ხელახლათ რომ გაადიდონ თავისი „გასამრჯელო", მუშებმა ისევ უნდა მოუმატონ შრომის ინტენსივობას, რასაც შედეგათ განმეორებით ნაჭრობით ფასების დაკლება მოჰყვება, და სხვ...

ასეთ პირობებში გასაკვირველი არაა, რომ კაპიტალიზმის ზრდასთან ერთათ, ნარდათ, ნაჭრობით მუშაობაც უფრო და უფრო მეტათ დევნის წარმოებიდან დღიურ ხელფასს.

სამუშაო ხელფასის ფორმების მიმოხილვა რომ დავასრულოთ, საჭიროა მოვიხსენიოთ აგრეთვე ხელფასი მოგებაში მონაწილეობით. დღიურ თუ ნარდზე ანუ ნაჭრობით ხელფასის გარდა, მუშებს ეძლევათ მოგების ერთი ნაწილი, მაგ., 5 ან 10°/o. ხელფასის ამ ფორმას რაიმე სერიოზული, საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს. იგი კაპიტალისტისათვის ძლიერ იშვიათათ არის ხოლმე სასარგებლო და ხელსაყრელი. ამ საშუალებას,—მოგებიდან მუშებისათვის რაიმე წილის მიცემას,—მიმართავენ ხოლმე თითქმის მხოლოდ და განსაკუთრებით იქ,

სადაც აუცილებელი საჭიროება მოითხოვს მუშების დაინტერესებას ნაწარმოების ღირსებაში, მაგ., სამუსიკო ხელსაწყოების (ინსტრუმენტების) მანუფაქტურაში, ან კიდევ იქ, სადაც, რომელიმე სპეციალური ხელობის მცოდნე, გამოცდილ და დახელოვნებულ მუშების სიმცირის გამო, სასურველია მათი, რაც შეიძლება, მჭიდრო **მჭიდროთ დაკავშირება ამა თუ იმ წარმოებასთან.**

კაპიტალისტი იხდის სამუშაო ხელფასს სამუშაოს შესრულების შემდეგ. გამონაკლისი ძლიერ იშვიათია. მაშასადამე, მუშა, საზოგადოთ რომ ვთქვათ, ასესხებს კაპიტალისტზე თავის სამუშაო ძალას, აძლევს მას ნისიათ: ეს ძალა იხმარება უწინ, სანამ ანაზღაურდებოდეს. ამის გამო მუშისთვის მეტათ დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანგარიშის მიღების ვადას,—კვირეული იქნება ის, ორ-კვირეული თუ თვიური. ერთი ანგარიშის მიღებიდან მეორემდე მუშა, ჩვეულებრივ, იძულებულია ვალების შემწეობით იცხოვროს. მაგრამ მედუქნე, რომელსაც მუშა თავისთვის საჭირო საგნებს ნისიათ ართმევს, მუქთათ, უსასყიდლოთ როდი უცხადებს მას ნდობას. ამიტომ, რამდენათაც უფრო გვიან-გვიან ეძლევა მუშას თავისი ხელფასის ანგარიში, იმდენათ უფრო გაჭირვებულია, მისი მდგომარეობა მევალეების ხელში.

საკითხი სამუშაო ხელფასის სიმაღლის შესახებ ბევრ სპეციალურ სიძნელეს წარმოადგენს გამოკვლევისათვის. პირველ ყოვლისა, უნდა განვიხილოთ, თუ რანაირათ შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა დროისა და კუთხეების სამუშაო ხელფასის სიდიდე.

ხელფასის ნატურალური ფორმის დროს ასეთი შედარება საკმაოთ ადვილია: სადაც მუშას მეტ ნაწარმოებს აძლევენ, იქ ხელფასიც მეტია (რასაკვირველია, როდესაც ნაწარმოები ერთნაირია: წინააღმდეგ შემთხვევაში კი—მხოლოდ დაახლოვებითი მსჯელობა შეიძლება).

ხელფასის ფულებრივი ფორმა კიდევ უფრო აადვილებს

ამ დაბრკოლებას. თუ ერთ კუთხეში მუშა ორჯერ მეტ ფულს იღებს, ვინემ მეორეში, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მისი ნამდვილი ხელფასიც უფრო მეტია. ფულს მნიშვნელობა აქვს მუშისთვის არა თავის-თავათ, არამედ იმის მიხედვით, თუ რისი ყიდვა შეუძლია მუშას ამ ფულის შემწეობით. ერთს მხარეში რომ სამუშაო ხელფასი 2 მანათი იყოს და მეორეში კი—1 მანათი, ხოლო პირველ მხარეში ყველა მუშის სახმარი საგნები ორჯერ უფრო ძვირი იყოს მეორეზე, ცხადია, ორსავე შემთხვევაში ნამდვილი ხელფასი თანასწორათ უნდა ჩაითვალოს.

ამნაირათ, აუცილებლათ უნდა გაირჩეს ნომინალური, ზეზეურათ მოჩვენებული სიდიდე ხელფასისა: ამდენი და ამდენი მანათი, კაპეიკი და სხვ., — მისი ნამდვილი რეალური სიდიდისაგან; ნამდვილი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ რეალურ ხელფასზე, საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რამდენი სახმარი საგნების ყიდვა შეიძლება ხელფასათ აღებული ფულის შემწეობით: რამდენი გირვანქა პური და ხორცი, რამდენი არშინი ტილო მოვა ამ ფულით და სხვ.

ფულის ხელფასის პირდაპირი შედარება შეიძლება მხოლოდ ერთსა და იმავე ალაგას და ერთსა და იმავე დროში; სხვაფრივ შედარებით კი ადვილათ შეძალებელია დიდი შეცდომა მოგვივიდეს.

ამით კიდევ როდი თავდება ყველა სიძნელენი. სამუშაო ხელფასზე მსჯელობის დროს აუცილებლათ ყურადღებაში უნდა მივიღოთ აგრეთვე სამუშაო დღის სიგრძე და შრომის ინტენსივობა, საზოგადოთ—საშრომო ენერგიის ხარჯვის რაოდენობა. როდესაც ერთი ქვეყნის მუშები 10-საათიან სამუშაო დღეში იმდენსავე იღებენ, რამდენსაც მეორე ქვეყნის მუშები 12-საათიანში, მაშინ მეორეების ხელფასი, ცხადია, პირველებისაზე ნაკლებათ უნდა მივიჩნიოთ. თუ სამუშაო დღე ორსავე შემთხვევაში თანასწორის სიგრძისაა, მაგ., 10-საათიანია, მაგრამ მუშაობა კი მეორე შემთხვევაში უფრო ინტენსიურია,

მაშინ სამუშაო ხელფასი მეორე ქვეყანაში უფრო დაბლათ ჩაითვლება.

ეკონომიურ ლიტერატურაში, ყველა აღნიშნულ სიძნელეთა გამო, ხშირათ დაუსრულებელი კამათია ატეხილი იმის შესახებ, — მოიმატა თუ დაიკლო სამუშაო ხელფასმა ამა და ამ ადგილას ამა და ამ დროს განმავლობაშიო.

ყოველ შემთხვევაში, სამუშაო ხელფასი არის სამუშაო ძალის საბაზრო ფასი და მეტი არაფერი. ამიტომ, საშუალოთ იგი დაახლოვებით უთანასწორდება სამუშაო ძალის **ღირებულებას.**

როგორც ნათქვამი იყო, სამუშაო ძალის ღირებულება არის მუშისა და იმისი სახლობის ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ღირებულება. ამის მიზეზით, საჭიროა კიდევ რამდენისამე განმარტების მოყვანა:

1) მუშის ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა შორის, ხელოვნურათ გამოწვეულ მოთხოვნილებასაც თითქმის ისეთივე გავლენა აქვს სამუშაო ძალის ღირებულებასა და ხელფასის სიმაღლეზე, როგორც ბუნებრივს.

დაკვირვებამ დაგვანახვა, რომ თუ სადმე, განსაკუთრებულ ხელის შემწყობ პირობების გამო, სამუშაო ხელფასი დიდხანს შერჩენილა ერთ ამაღლებულ დონეზე, იქ იგი ძლიერ იშვიათათ რომ დაქვეითებულიყოს წინანდელ დაბალ ხელფასამდე და ან, მით უმეტეს, კიდევ უფრო დაბლა დაწეულიყოს: მუშები მედგრათ, თავგამოდებით იცავენ მაღალ სამუშაო ხელფასს, რომ ამით შეძლება ექნეთ ახლათ შეძენილ ჩვეულებათა შესაფერათ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება. თუ ხელფასი მაინც კიდევ ძირს ეცემა, მაშინ უკლებენ ისევ პურისა და ხორცის ხმარებას, მხოლოდ იმისთვის, რომ შეძლება ექნესთ ჩაისა, წიგნებისა და გაზეთების შესაძენათ, თეატრში წასასვლელათ და სხვ.

2) როდესაც ვამბობთ, — მუშის სამუშაო ძალის ღირებულებაში შედის მისი სახლობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-

ლების ღირებულებაცაო, ჩვენ სახეში გვაქვს მუშის **საშუალო** ზომის ოჯახი.

ამასთანავე, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მთელი ოჯახიდან თავის სამუშაო ძალას ყიდის, საშუალო რიცხვით, მხოლოდ ერთი კაცი, რომელმაც ოჯახის ყველა წევრები უნდა არჩინოს. როდესაც ოჯახიდან სამუშაოთ გადის არა ერთი კაცი, არამედ მეტი, მაშინ **საერთოთ ყველა** ამ მუშების ხელფასი საკმარისი უნდა იქნეს ოჯახის ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

განვითარებულ მანუფაქტურაშიაც კი ხელით შრომაა გაბატონებული, როგორც ხელოსნობაში იყო. ამიტომ მუშის პირადათ დახელოვნებას, წინანდებურათ, დიდი მნიშვნელობა აქვს.

შრომის ტეხნიკურათ განაწილების დროს, სხვა-და-სხვა სამუშაოებიდან ზოგი უფრო მარტივდება, ზოგიც რთულდება; ზოგი მეტს დახელოვნებას თხოულობს, ზოგიც —ნაკლებს. სამუშაოს სირთულისა, დახელოვნებისა და შესწავლის საჭიროების მიხედვით, მანუფაქტურის მუშები განიყოფებიან სხვა-დასხვა ხარისხებათ, რომელთაც განსხვავებული სამუშაო ხელფასი ეძლევათ.

ყველაზე დაბალის ხარისხისანი არიან, ეგრეთ წოდებული, „შავი მუშები", ანუ გამოუცდელი, დაუხელოვნებელი მუშები, რომელნიც მანუფაქტურულ ეპოქაში მარტივი შრომის წარმომადგენლებათ ითვლებიან. ამათგან არავითარ სპეციალურ ხელობის ცოდნას არ თხოულობდენ,—მათ ანდობდენ ისეთ ოპერაციების შესრულებას, რომელიც ყველა ადამიანს შეეძლო. ამიტომ ისინი იღებდენ უუმცირეს ხელფასს, რომელიც მათ განუვითარებელ მოთხოვნილებებს შეეფერებოდა. უმიწოწყლოთ დარჩენილი, გაბოგანოებული გლეხკაცობა, დიდი შარა-გზების მაწანწალები, მათხოვრები, — აი ვინ შეადგენდა მანუფაქტურის „შავი მუშების" უდიდეს ნაწილს.

გამოცდილი, ხელობა-ნასწავლი მუშები მაშინ თავისებურ არისტოკრატიას შეადგენდენ და შავ მუშებზე გაცილებით მეტ

ხელფასს იღებდენ. მათ შორისაც არსებობდა აგრეთვე უფრო პატარა „ხარისხებათ“ დაყოფა ხელფასის ზომისა და ხელოსნობაში ცოდნა-გამოცდილების მიხედვით. ამ ნასწავლ-გამოცდილ მუშების მთავარ წყაროს შეადგენდენ განადგურებულ ხელოსანთა კლასი და ყოფილი ქარგლები.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სამუშაო ხელფასი განისაზღვრება სამუშაო ძალის ღირებულებით, ე. ი. მუშის საცხოვრებელ მოთხოვნილებათა ღირებულებით, ადვილი მისახვედრია, რომ მანუფაქტურულ ეპოქაში სამუშაო ხელფასში დიდი და მუდმივი განსხვავება უნდა ყოფილიყო. მუშათა სხვადა-სხვა ჯგუფები წარმოებაში ერთნაირ როლს არ თამაშობდენ და მუშაობის პროცესში თანასწორ საზოგადოებრივ-სასარგებლო საშრომო ენერგიას არ ხარჯავდენ, და ამის მიხედვით მათ მეტ-ნაკლები მოთხოვნილებანიც უნდა ჰქონოდათ: ტყუილათ კი არ განირჩეოდენ ისინი ერთმანეთისაგან, როგორც უფრო შეძლებულ და ნაკლებ შეძლებულ საზოგადოებრივ წრეების ჩამომავალნი. მაგრამ რატომ უწევს ანგარიშს კაპიტალისტი თავის მუშების მოთხოვნილებათა მეტ-ნაკლებობას, რატომ არ დაჰყავს ნასწავლი მუშების ხელფასი შავი მუშების ხელფასის დონეზე? ის ხომ იმას არ დარდობს, რომ მუშა თავის ცოდნა-გამოცდილებას მუქთათ ვერ შეიძენდა?

ამის მიზეზი ბევრია. ჯერ ერთი, თავის-თავათ აშკარაა, რომ ნასწავლ-გამოცდილი მუშები უფრო თავგამოდებით იცავენ თავის მაღალ მოთხოვნილებებს; მეორეთ, ხელფასისათვის ბრძოლაში ისინი, შედარებით, უფრო მარჯვე, გაცილებით უფრო ხელის შემწყობ პირობებში იყვენ, ვინემ ხელობის უცოდინარ-უსწავლელი მუშები. პირველნი რიცხვითაც ნაკლებია, მათ შორის კონკურენციაც უფრო სუსტია, იმათი გამოცვლა და მათ ალაგას სხვების ჩაყენება უფრო ძნელია,—ერთის სიტყვით, მათი მოთხოვნა მიწოდებაზე მეტია, ე. ი. მუშებისათვის უფრო სასარგებლოა, და ამიტომ კაპიტალისტს მეტათ უძნელდება მათთვის ხელფასის დაკლება. საზოგადოთ, თუ რამ-

დენათ უკეთეს მდგომარეობაში იყვენ გაწვრთნილი მუშები მანუფაქტურებში, ეს შეგვიძლია შემდეგის მოსაზრებიდანაც დავინახოთ: როდესაც მუშაობაზე ხელს იღებს რამდენიმე მუშა, რომელნიც განსაკუთრებულ, მარა საერთო წარმოებისათვის, აუცილებელ და დიდი ხელოვნების მომთხოვ ოპერაციას ასრულებდენ, მაშინ, თუ მათ ალაგას ახლების დაქირავება დაუყოვნებლივ შეუძლებელია, ხაზეინი ხშირათ იძულებული ხდება ან შეაჩეროს დროებით მთელი წარმოება, ან-და მუშებს დაუთმოს. მცოდნე მუშების მოთხოვნა კი სამანუფაქტურო წარმოების მხრივ ისე დიდი იყო, რომ მუშებს ადვილათ შეეძლოთ ხაზეინისთვის თავიანთი პირობები ეკარნახებიათ; მაგრამ, რასაკვირველია, ასე არ იყო ყველგან და ყოველთვის.

საზოგადოთ, გამოცდილი მუშების ხელფასი რომ გაუთანასწორდეს, რაიმე განსაკუთრებულ პირობების გამო, შავი მუშების ხელფასს, მაშინ ხომ ველარც კი იარსებებდენ გამოცდილი მუშები, — ისინი თან-და-თან ხელს აიღებდენ თავის წინანდელ საქმეზე, რომელიც ნერვების დიდ დაქანცვასა და ენერგიის დიდ ხარჯს თხოულობს, და შავ მუშებში შეერევოდენ; რთული შრომის ახლათ შესწავლას კი ალარავინ მოისურვებდა, თუ კი ეს არავის არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა.

ყოველ შემთხვევაში, პროლეტარიატის უდიდეს ნაწილს შავი მუშები შეადგენენ. როგორც გამოსულნი იმ საზოგადოებრივი კლასებიდან, რომლებიც უკანასკნელ ზომამდე დაჩაგრულნი და ეკონომიურათ დაუძლურებულნი იყვენ, ისინი მეტის-მეტათ ნელა და ზანტათ ანვითარებდენ თავიანთ მოთხოვნილებებს. ამიტომ მე-XVI—XVII საუკუნეებში სამუშაო ხელფასი, საზოგადოთ, ძლიერ დაბლა იდგა. ეს უფრო მეტათ ითქმის დამმუშავებელ მრეწველობაზე, ვიდრე ახლათ განვითარებულ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაზე, სადაც „დახელოვნებული“ შრომა, საზოგადოთ, არც კი არსებობდა, და მშრომელთა მოთხოვნილებანიც განსაკუთრებით განუვითარებელი იყო.

უფრო ჩამორჩენილ ტიპის წარმოებაში, რომელიც კაპიტალისტურ საშინაო მრეწველობის სისტემის თანახმად იყო მოწყობილი, მწარმოებლების ხელფასი დაახლოვებით ისეთივე იყო, როგორც მანუფაქტურაში, თითქმის. უფრო დაბალიც. სავაჭრო კაპიტალი უფრო ნაკლებ ზრუნავს მწარმოებელზე (მუშაზე), ვინემ სამრეწველო, რომლისთვისაც სულის ღაფვამდე დაუძლურებული, გაძვალტყავებული მუშა პირდაპირ საზარალოა.

სამუშაო ხელფასის აწევას მანუფაქტურულ ხანაში ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ დედაკაცისა და ბავშვის შრომა ძალიან მცირეთაა გავრცელებული: მთელი ოჯახიდან სამუშაო ძალას ჰყიდის, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი კაცი; ამნაირათ, ერთი სამუშაო ძალის გაყიდვა მთელს ოჯახს აწვდის არსებობის საშუალებას. ამიტომ დედაკაცი ამ ეპოქაშიაც განაგრძობს იმავე „ნატურალურ-სამეურნეო“ როლის ასრულებას ოჯახში, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ ეპოქაში: ის შინაური, საოჯახო მეურნეობის მართვა-გამგეობით კმაყოფილდება.

დაბალ სამუშაო ხელფასს მანუფაქტურულ ეპოქაში თანა სდევს, ჩვეულებრივ, საშუალოთ გრძელი სამუშაო დღე და შრომის საშუალოთ ძლიერი ინტენსივობა.

მანუფაქტურულ ეპოქის დასაწყისში სამუშაო დღის სიგრძე ბევრით არ განირჩევა იმ სამუშაო დღისაგან, რომელიც არსებობდა ქარგლებისათვის ხელოსნობის აყვავების ხანაში, ე. ი. 9—10 საათს არ აღემატებოდა დღე და ღამეში, ხოლო ხანდისხან კი ამაზე ნაკლებიც იყო. მე-XVII საუკუნის ერთი მწერალი დიდის მწუხარებით აღნიშნავს ინგლისელ მუშების ეგოიზმსა და სიზარმაცეს: „ისინიო,—სჩივის ხსენებული მწერალი,—წაიმუშავებენ კვირაში რაღაც 4—5 დღეს რვა-რვა საათს და ამაში ხელფასათ იღებენ ცხოვრებისათვის საჭირო აუცილებელ საშუალებებს, ხოლო იმაზე კი სრულიათაც არ დარდობენ, რომ მეტი იშრომონო“...

რთული შრომის წარმომადგენელთათვის სამუშაო დროის

ასეთი შემოკლება, უმთავრესათ, იმითი აიხსნება, რომ შრომის ბაზრის პირობები მეტის-მეტათ სასარგებლო იყო მათთვის. მარტივი შრომის წარმომადგენელთა მდგომარეობა კი, უმთავრესათ, მათი მოთხოვნილებების განუვითარებლობაზე იყო დამოკიდებული: უფრო მეტისა და ხანგრძლივის შრომით მეტი ხელფასის აღების სურვილი ძლიერ სუსტი და სრულიათ უღონო საშუალება იყო მარტივი შრომის წარმომადგენელთათვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. სწორეთ ამავე მიზეზებით აიხსნება აგრეთვე შრომის, შედარებით, ნაკლები ინტენსივობაც.

საქმის ასეთი მდგომარეობა აიძულებდა მაშინდელს კანონმდებლობას, რაიმე ღონისძიებანი მიეღო მუშების გადაჭარბებულ „სიზარმაცისა“ და „ეგოიზმის“ წინააღმდეგ. ამით აიხსნება, პირველ ყოვლისა, სასტიკი კანონების გამოცემა მაწანწალათა, ე. ი. უმუშევარ მუშათა, წინააღმდეგ, რომელნიც ვალდებული იყვნენ რაიმე საქმე გაეჩინათ და სადმე მიქირავებოდნენ ვისმე, რომ ჯამაგირიანი გამხდარიყვნენ, თუ სურდათ თავი დაეღწიათ სასტიკი სასჯელისაგან—გამათრახებიდან დაწყებული—სახრჩობელამდე, ამ წესით უსახლკარო ხალხის მასსას დისციპლინას აჩვევდნენ, რომ სამრეწველო კაპიტალის მიზნებისათვის გამოსადეგი გამხდარიყვნენ, რომ ამნაირათ გაედიდებინათ შრომის მიწოდება და იძულებული გაეხადათ დანარჩენი მუშები ურჩობაზე ხელი აეღოთ და თავიანთ ჭირვეულობისათვის ფრთები შეეკვეცათ. მაგრამ ამ გზით მიზანს ძალიან ნაკლებათ აღწევდნენ.

შემდეგ, კანონით ისაზღვრებოდა სამუშაო დღე: შემოღებულ იქმნა და დაკანონდა სამუშაო დღის **უმცირესი** სიგრძე. მაგ.; მე-XVII საუკუნეში ინგლისის კანონები საზღვრავდა სამუშაო დღის სიგრძეს 11—12 საათით, და თუ ხელშეკრულობაში მუშა და კაპიტალისტი ამაზე ნაკლებ სამუშაო დღეზე მორიგდებოდნენ, ორთავეს—კაპიტალისტსაცა და მუშასაც—ჯარიმას ახდევინებდნენ. მარა პრაქტიკაში ასეთი კანონები სი-

სწორით ვერ განხორციელდებოდა: ხშირათ ამას ხერხიანათ უვლიდენ გვერდს, ან კიდევ პირდაპირ არღვევდენ.

მანუფაქტურულ ეპოქის უკანასკნელ საფეხურებზე საქმე, ცოტა არ იყოს, შეიცვალა, და ისიც არა მუშების სასარგებლოთ. გლეხებისათვის მიწა-წყალის ჩამორთმევა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდებოდა, და წვრილი წარმოების დაცემა— უფრო და უფრო ამრავლებდა პროლეტარიატის რიცხვს. ვერც სამანუფაქტურო წარმოება, ვერც ხელოსნობის დარჩენილი დარგები ვერ ახერხებდა ამ დამშეულ ხალხის მასსისათვის სამყოფ სამუშაოს მიცემას. სამუშაო ბაზარზე კონკურენცია დღითი-დღე მწვავდებოდა.

მიუხედავათ ამისა, სამუშაო დღის სიგრძე ძლიერ ნელა მატულობს. უტყუარ საბუთების მოყვანა ძნელია, მარა შემდეგი ფაქტი უეჭველათ ამტკიცებს, რომ თითქმის სამანუფაქტურო ხანის მიწურულშიაც კი არ იყო სამუშაო დღე დიდათ ხანგრძლივი. 1770 წელში ერთი ეკონომიური გამოკვლევის ავტორი ასეთ პროექტს გვაწვდის: ინგლისი რომ ყველა უმუშევართა და უქმათ მოწანწალეთაგან გავანთავისუფლოთ, ამათთვის უნდა აშენდეს ისეთი უშეელებელი სამუშაო სახლი, რომელიც, როგორც თვით პროექტის ავტორი ამბობს, უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ „სახლს საშინელებისას“. იმაში დამწყვდეულებს უნდა ეძლეოდეთ ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებანი, მაგრამ, სამაგიეროთ, უნდა ამუშაონ „სრული 12 საათი დღე-და-ღამეში“. თუ რომ „საშინელების სახლისათვის“ სასურველათ მიაჩნიათ 12-საათიანი სამუშაო დღე, უნდა ვიფიქროთ, რომ სამუშაო დღის ჩვეულებრივი სიგრძე გაცილებით ნაკლები უნდა ყოფილიყო.

### 5. მანუფაქტურულ ხანის საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის ძირითადი თვისებანი.

სამრეწველო კაპიტალიზმის პირველ—მანუფაქტურულ — ხანაში გრძელდება პიროვნების განთავისუფლება სხვადასხვა

ავტორიტეტების ოპეკისაგან, რომელიც ფეოდალიზმის დროიდან იყო დარჩენილი. ისპობა ბატონ-ყმობა ყველგან, სადაც კი მას აქამდე მოუღწევია. დიდის სისწრაფით ეცემა კათოლიკეთა ორგანიზაციების საზოგადოებრივი ძალა და გავლენა; საბოლოვოთ კარგავენ თავის მნიშვნელობას ცეხები; საქმეთა საზოგადო მსვლელობის შესაფერათ იცვლება პოლიტიკური ფორმებიც: აბსოლიუტური მონარქიის ფორმები ზოგან რბილდებიან და უფრო ლმობიერ კულტურულ ელფერს იღებენ („განათლებული დესპოტიზმი"), ხოლო ზოგან კი კონსტიტუციური და პარლამენტარული ფორმები მყარდება (ჩვეულებრივ, სახალხო რევოლიუციების საშუალებით). ყველა ამას ერთი შედეგი აქვს: ისპობა ყოველივე დაბრკოლება ინდივიდუალური მეურნეობისა და ცალკე პიროვნების განვითარებისათვის. და ეს კი წინანდელზე უფრო აადვილებს ცხოვრების ახალ საზოგადოებრივ ფორმების შემუშავებას.

მაგრამ თუ ადამიანის პიროვნებას თავის განვითარების გზაზე ნაკლები დაბრკოლებანი ელობება წინ გარეშე ავტორიტეტების მხრივ, თუმცა მისი მოქმედების გაფართოვებისათვის **ფორმალური** საზღვრები უკვე ინგრევა,—სამაგიეროთ, ძალაში რჩება **მატერიალური** საზღვრები: მრავალ შემთხვევაში განვითარების შესაძლებლობა იჩაგრება და სუსტდება იმით რომ საამისოთ საჭირო მატერიალური პირობები საკმაოთ განვითარებული არაა. ამ მხრივ საზოგადოების სხვა-და-სხვა ჯგუფებს ყველას ერთნაირი დაბრკოლებანი როდი უხვდებათ წინ.

სიმდიდრის ზრდა-მოგროვება იმ კლასების ხელში, რომელთაც საორგანიზატორო მოქმედება (საწარმოვო და განსაკუთრებით გამნაწილებელი) ეკუთვნით, თავის-თავათ ამ კლასების ბევრ წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს მთელი თავისი ძალღონე გონებრივ შრომას მოახმარონ. ამავე დროს საწარმოვო და სამიმოსვლო ტეხნიკის განვითარება და საორგანიზატორო მოქმედების გართულება წარმოებაში აძლიერებს გონებრივი შრომის მოთხოვნილებას: კაპიტალს ესაჭიროება

ინჟინერები, განსწავლული ტეხნიკოსები, მეცნიერულათ განათლებული მეზღვაურნი, ბუჰღალტერები, ეკონომისტები და სხვ.; სახელმწიფოს სჭირია განათლებული მოხელეები, აფიცრები და სხვ... ამ საჭიროებას აკმაყოფილებს მრავალ-რიცხოვანი ბურჟუაზიული ინტელიგენცია. იმისი შრომა კარგათ ჯილდოვდება მის მაღალ მოთხოვნილებათა და პრივილეგიურ მდგომარეობის შესაფერათ. ინტელიგენცია ეძლევა მხოლოდ ერთათ-ერთ გონებრივ შრომას, მას სრული შეძლება აქვს კიდევ უფრო განავითაროს შრომის ნაყოფიერება თავის დარგში. ამნაირათ, საზოგადოების ზედა წრეები, მიწათმფლობელთაგან დაწყებული და ბურჟუაზიულ ინტელიგენციით გათავებული, თითქმის არავითარ დაბრკოლებებს არა ხვდებიან თავის განვითარებაში.

სულ სხვაგვარ მდგომარეობაში არიან ის კლასები, რომლებიც წარმოების საერთო სისტემაში, მომეტებულ ნაწილათ, აღმასრულებელ როლს თამაშობენ. როგორც სამუშაო ხელფასზე მსჯელობის დროს გვქონდა განმარტებული, ამ ხანაში მუშის ცხოვრების მატერიალური პირობები სრულიათაც არ უწყობდა ხელს მის განვითარებას; დაბალი სამუშაო ხელფასი, რომელიც სავსებით შეეფერებოდა მის განუვითარებელ მოთხოვნილებებს, თითქმის ყოველსავე საშუალებას უსპობდა მას განვითარებისათვის. მუშებთან ერთსა და იმავე დონეზე, —და ხან კიდევ უფრო დაბლაც,—იდგენ ამ მხრივ სავაჭრო კაპიტალის ხელში ჩაცვივნული წვრილი შინაურ-მრეწველები.

მხოლოდ რთული შრომის წარმომადგენლებს ჰქონდათ რამდენიმეთ იმის შეძლება, რომ გონებრივი ცხოვრებით ეცხოვრათ, რადგან ისინი, შედარებით, დიდ ხელფასს იღებდენ. მაგრამ ესენი ხომ მუშათა კლასის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ, და ისიც განცალკევებულ ნაწილს; იმათს შედარებით კარგ მდგომარეობას თითქმის არავითარი გავლენა არა ჰქონდა დანარჩენ მუშების სულიერ ცხოვრებაზე. (საზოგადოთ, ცხოვრების მატერიალურ პირობების უკიდურეს სხვა-და-სხვაო-

ბის გამო, მანუფაქტურულ ეპოქის მუშები ფაქტიურათ კიდევ არ წარმოადგენდენ ერთ კლასს: ერთობა-სოლიდარობის შეგ-ნება მათში ძლიერ სუსტათ იყო განვითარებული).

მეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ მანუფაქტურული შრომის გა-ნაწილება, რომლის მიზანია ყოველივე მუშაობა უუმარტივეს ოპერა-ციებათ დააცალკევოს და თვითოეული მათგანი ცალკე მუშას მიანდოს, თავის-თავათ არ წარმოადგენს განვითარებისათვის ხელის შემწყობ პი-რობას. მუშას იგი საშინლათ ვიწრო სამოქმედო ფარგლებში ათავ-სებს. ერთფეროვანი, წმინდა მექანიკური მუშაობა, ერთისა და იმავე მასალისა და ერთისა და იმავე იარაღით მზადება აჩლუნგებს ადა-მიანს გონებრივათ და მანქანათ აქცევს მას. მარა ამ მოვლენის გავლენაც არ უნდა გავაზვიადოთ: როცა შრომა გონებრივათ უშინა-არსოა, მაგრამ იმავე დროს მუშას ენერგია რჩება განვითარებისა-თვის, მაშინ სულიერი ცხოვრება მაინც შესძლებს ფართეთ გადაშა-ლოს და განვითარდეს თავის სპეციალურ ხელობის გარეშე. მაგრამ მანუფაქტურის მუშებში ასეთი ზედმეტი ენერგია ძლიერ იშვიათი გა-მონაკლი იყო.

საერთოთ უნდა ვთქვათ, რომ მანუფაქტურულ ეპოქის დამახასიათებელია გონებრივი შრომის გამოყოფა ფიზიკურისა-გან, რაიცა თუმცა ზრდის ორივე შრომის ნაყოფიერებას, მა-გრამ, სამაგიეროთ, უთანასწორო პირობებში აყენებს საზოგა-დოების სხვა-და-სხვა ჯგუფების ფსიხიურ განვითარებას.

შემეცნების მასალის რაოდენობა, რომელსაც იძლევა სა-ზოგადოების საწარმოვო ცხოვრება, საკმაოთ იზრდება; ფარ-თოვდება კულტურულ ხალხთა საწარმოვო მოქმედების ფარ-გლები და დედა-მიწის სულ ახალ-ახალ ადგილებში იკიდებს ფეხს; მეტის ენერგიით ამუშავებენ თვითოეული ქვეყნის ბუ-ნებრივ სიმდიდრეს, და ყოველივე ეს იწვევს პირდაპირ სატე-ხნიკო მეცნიერებათა პროგრესს; მას უკან მისდევს თავის გან-ვითარებაში მასთან მჭიდროთ დაკავშირებული საბუნებისმე-ტყველო მეცნიერებათა განვითარება. მე-XVI, XVII და XVIII საუკუნეები სწორეთ მათემატიკის, თეორეტიული მექანიკის,

ფიზიკისა და ქიმიის, შემდეგ კი უფრო რთულ—ბიოლოგიურ მეცნიერებათა სწრაფი განვითარების ეპოქათ უნდა ჩაითვალოს. მეზღვაურობის სწრაფი განვითარება დიდ გავლენას ახდენს, საზოგადოთ, ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროგრესზე, უადვილებს ევროპიელებს სხვა-და-სხვა კუთხეთა ბუნების შესწავლას; მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი წინსვლა დაეტყო ასტრონომიას,—იმ მეცნიერებას, რომელსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ზღვაოსნობისათვის. ასტრონომიის პროგრესი მჭიდროთ შეკავშირებული იყო საოპტიკო იარაღების გამოგონებასა და გაუმჯობესებასთან, რამაც, თავის მხრივ ძლიერ დააჩქარა ყველა იმ მეცნიერებათა განვითარება, რომელთა საგანს ცოცხალი ბუნება წარმოადგენს.

ტეხნიკური პროგრესი სხვა-და-სხვა გზითა და საშუალებით აუცილებლათ და თან შესაძლებლათ ხდის შემეცნების განვითარებას, რომელიც რეალურათ პირველისაგან განუყოფელია და მის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს.

შემეცნების პროგრესს სამანუფაქტურო კაპიტალიზმის ეპოქაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვით კაპიტალიზმის შემდეგი განვითარებისათვის. მეცნიერების განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ საფეხურზეა შესაძლებელი სამანუფაქტურო კაპიტალიზმის სამანქანო კაპიტალიზმათ გადაქცევა.

ცოდნათა განვითარება უფრო ღრმათ და ფართეთ ხდებოდა. ის საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი, რომელიც სავაჭრო კაპიტალის ხანაში ხელს უწყობდა ცოდნათა გავრცელების ზრდას ხალხის ფართე მასსაში, უფრო მეტის ძლიერებით განაგრძობს მოქმედებას მანუფაქტურულ ეპოქაში.

მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქაში სწავლა-განათლება ძლიერ ფართეთ იყო გავრცელებული: როგორც მანუფაქტურა, ისე კაპიტალისტური მიწათმოქმედებაც ძლიერ ნაკლებათ საჭიროებს და ნაკლებათ თხოულობს წერა-კითხვის მცოდნეს, ან რამდენიმეთ განვითარებულ მუშას.

წარმოებისა და შემეცნების განვითარება, ადამიანის გაბა-

ტონება ბუნების ძალებზე თან-და-თან ძირს, უთხრის ნატურალურ ფეტიშიზმის ნაშთებს და აჩქარებს იმათ დამხობას, მაგრამ საბოლოვოთ იმათი გაქრობა ჯერ კიდევ შორსაა: ბუნებაზე კაცობრიობა საბოლოვოთ იმარჯვებს არა ამ ხანაში, არამედ უფრო გვიან.

საზოგადოებრივი ურთიერთობის მბრძანებლობა ადამიანზე ამ ხანაში სრულიად შეურყეველი რჩება,—მატულობს კიდეც ცვლისა და კონკურენციის საზოგადო განვითარების წყალობით. შეურყეველი რჩება აგრეთვე ამ მბრძანებლობისაგან გამომდინარე ცვლის ფეტიშიზმი, საზოგადოებრივი პროცესების უკუღმართათ გაგება.

ამ ეპოქის ეკონომიურ შეხედულებათა განხილვით ჩვენ შეგვიძლია უფრო ადვილათ გავარკვიოთ, ერთის მხრით, საზოგადოებრივ სინამდვილის ფეტიშისტურათ გაგება ადამიანის-მიერ; მეორეს მხრით— ამ სინამდვილის სწორი შემეცნების წარმოშობა, რაც მხოლოდ იმდენათ ვითარდება, **რამდენათაც ნებას იძლევოდა ფაქტიური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და მასთან მიუცილებლათ დაკავშირებული ფეტიშიზმი.**

სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალი, რა სახითაც იგი არსებობდა შინაურ მრეწველობის კაპიტალისტურ სისტემაში, და აგრეთვე მხოლოდ ეხლა-ხან დაბადებულ წმინდა-სამრეწველო კაპიტალის ინტერესები და შეხედულებანი სისწორით გამოხატულია მერკანტილური მოძღვრებისა ანუ „სავაჭრო ბალანსის“ სკოლის ეკონომისტების ნაწერებში.

ამ ეპოქაში საცვლელმა ურთიერთობამ შექმნა უკვე საკმაოთ მტკიცე და მჭიდრო კავშირი იმ ვეებერთელა კუთხეების ცალკე ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელი ქვეყნებითაც იყოფა ევროპა. ეს კავშირი, როგორც ზემოთ იყო ახსნილი, თავის სრულ გამოხატულებას პოულობს ნაციონალურ სახელმწიფოში. მაგრამ განცალკევებულ ქვეყნებს შორისაც იწყება სულ უფრო და უფრო ფართე ცვლა და მიმოსვლა; სხვა-და-სხვა ქვეყნის კაპიტალები საერთაშორისო ბაზარზე გამოდიან და იქ ერთმანეთს შორის ცხარე კონკურენციას აჩაღებენ, რომლის დროსაც მათი ინტერესები ხშირათ ერთმა-

ნეთს ეჯახება. მაგ., მე-XVII საუკუნის დასაწყისში ინგლისის კაპიტალისტები ყველაზე უფრო იმას უნდა ცდილიყვნენ, რომ უზრუნველეყოთ თავიანთთვის თავის ქვეყნის შინაგანი ბაზრის ექსპლუატაცია, და ამ მიზნით დაეცვათ იგი უფრო განვითარებულ ჰოლანდიურ კაპიტალის შემოჭრისაგან; ხოლო ამის შემდეგ კი იმაზე უნდა უზრუნათ, რომ თავისუფალი მსვლელობა ჰქონოდათ საფრანგეთის შინაგან ბაზარზე. სწორედ ასეთსავე ლტოლვილებებს იჩენს თავის მხრით საფრანგეთის კაპიტალიც. საზოგადოთ, თვითოეულ ქვეყნის კაპიტალს სურს საკუთარი ქვეყნის წარმოებაზე სრულიად გულ-დამშვიდებით იბატონოს, და თან იმაზედაც ოცნებობს, რომ სხვა ქვეყნების წარმოება როგორმე დაიმორჩილოს.

ასეთია ის პრაქტიკული ინტერესები, რომლებზედაც ემყარებოდა „სავაჭრო ბალანსის“ მოძღვრება, ანუ სკოლა. რაც შეეხება თეორეტიულ საფუძველს, ამ მხრივ ის იმეორებს წინანდელ სკოლის შეხედულებას,—ამასაც ფული ერთად-ერთ სიმდიდრედ მიაჩნია. მერკანტილისტისათვის ფულს და მხოლოდ ფულს აქვს **თავის-თავათ** ღირებულება; სხვა საქონლებს კი აქვს ღირებულება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია იმათი ფულზე გაცვლა. ქვეყნის ნამდვილი ეკონომიური ძალა იზომება ფულის რაოდენობით, და ამ რაოდენობის მომატება კი ნიშნავს ეკონომიურ ძალის მომატებასაც. თუ გვინდა გავიგოთ, რანაირად იქმნა დაცული ამ ხანაში ასეთი ტლანქი და მოუხეშავი ფეტიშისტური შეხედულება, უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინ რაოდენობით ჯერ ისევ სავაჭრო კაპიტალი სჭარბობდა, და იმას ხომ, უმთავრესად, ფულის სახე და ფორმა აქვს; სამრეწველო კაპიტალი კი, რომელიც, უმთავრესად, წარმოების საშუალებათა ფორმით არსებობს, მხოლოდ ის-ის იყო ისახებოდა, ჩნდებოდა.

მაგრამ თუ იმ შეხედულებიდან, რომ ფული ერთად-ერთი წყაროა სიმდიდრისა, წვრილ-ბურჟუას, და მასთან ერთად — „ფულებრივი ბალანსის“ სკოლას, ასეთი დასკვნა გამოჰყავდა, რომ ფული, რაც შეიძლება, ნაკლები უნდა იხარჯებოდესო,—კაპიტალისტი და „სავაჭრო ბალანსის“ სკოლა კი სულ სხვა დასკვნას დაადგენ: ისინი ამბობდნენ,— მაშასადამე, ფული ისეთნაირად უნდა დავხარჯოთ, რომ, რაც

შეიძლება, მეტი მოგება მივიღოთო. მსხვილი ბურჟუა წვრილმან მზოგველობას, ყაირათს არას დაგიდევს, იგი ყველა ამაებზე მაღლა სდგას, — მას თვითონ ცხოვრება ასწავლის ამას. იგი ილაშქრებს ძველი კანონების წინააღმდეგ, რომელიც უშლის მას ფუფუნება-განცხრომას: მისი აზრით, ფუფუნება დიაღაც სასარგებლოა, ვინაიდან ქმნის ბაზარს მრავალ ნაწარმოებთათვის. მაგრამ ეს ცოტაა, — მსხვილი ბურჟუა წინააღმდეგია ყველა წინანდელ შემავიწროებელ კანონებისა, რომლებიც ხელს უშლიდენ საზღვარ-გარეთ ფულის გატანას: მან იცის, რომ ხანდისხან ბევრათ სჯობია საზღვარ-გარეთ ერთბაშათ ბევრი ფულის გატანა, რომ შემდეგ კიდევ უფრო მეტი შემოიტანოს, როგორც ეს, მაგ., ხდება სხვა-და-სხვა საქონლების ყიდვა-გაყიდვის დროს.

კერძო პირებისა და კომპანიების მონოპოლიებს ახალი სკოლის წარმომადგენლები, უმეტეს შემთხვევაში, მტრულის თვალით უყურებენ, რაც ადვილი მისახვედრია: მონოპოლია სარგებლობას აძლევს მხოლოდ თითო-ოროლა, რამდენსამე პირს და ამით მაზარალებელია ყველა დანარჩენ კაპიტალისტისათვის, რადგან აიძულებს მათ ძვირათ იყიდონ მონოპოლიურათ დამზადებული ნაწარმოები; ამას გარდა, მონოპოლია შურსა და მტრობასაც იწვევს თავის დიდის მოგებით.

ნაციონალურ კაპიტალის დაცვის სურვილი უცხო კაპიტალთა კონკურენციისაგან აიძულებს მერკანტილისტებს მოითხოვონ სახელმწიფოსაგან, რომ მან შემოსატან სახმარ საგნებს დიდი ბაჟები დაადვას. მაგრამ, „ფულის ბალანსის“ სკოლის წინააღმდეგ, ახალი სკოლა თხოულობს შემოსაზიდ ნედლ მასალებსა და იარაღებზე ბაჟების დაკლებას, რადგან სამრეწველო კაპიტალისთვის სასურველია აუცილებელი საწარმოო საშუალებანი, რაც შეიძლება, იაფათ შეიძინოს. შემდეგ, ახალი სკოლა ცდილობს არა მარტო შინაგანი ბაზრის შენარჩუნებას, არამედ გარეშე ბაზრის დაპყრობასაც, და ამიტომ გასაზიდი ბაჟების დაკლებისა და გაზიდვის გაადვილების მომხრეა.

საზოგადოთ, მერკანტილური სკოლა თხოულობს ფართე, მრავალ-მხრივ სახელმწიფოებრივ ჩარევას ეკონომიურ ცხოვრებაში, მაგრამ ისეთ ჩარევას, რომელიც კაპიტალის განვითარებას გამოადგება.

ამა თუ იმ ქვეყნის კაპიტალიზმი, თავისი სინორჩის გამო, ხშირათ საჭიროებს სახელმწიფოს დახმარებასა და მფარველობას, რადგან უამისოთ მისთვის მეტათ ძნელია არა თუ უცხოელ კაპიტალისტებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, არამედ დამოუკიდებელ წვრილ მწარმოებლებთან კონკურენციაში გამარჯვებაც კი. ამიტომ ის მუდამ სახელმწიფოს შეჰღაღადებს და სთხოვს, რომ მან უზრუნველ ჰყოს მისთვის ნაციონალური მონოპოლია და დაიხსნას იგი უცხოეთის კონკურენციისაგან.

სახელმწიფოსაც მკვდრათ გაჰქონდა ცხოვრებაში მერკანტილიზმის მოთხოვნილებანი: ის არა თუ ქმნიდა შესაფერი ბაჟების სისტემას უცხოეთიდან შემოსატან ნაწარმოებისათვის, არამედ სხვა მრავალ საშუალებებითაც მფარველობას უწევდა და ეხმარებოდა შინაურ კაპიტალს.

მაგალითათ, საფრანგეთის მთავრობა კოლბერის დროს (ლუი მე-XIV მეფობაში) არა კმარობდა უცხოეთის სამანუფაქტურო ნაწარმოებზე „აკრძალვითი ბაჟდადების სისტემას“ და ყოველ ღონესა ხმარობდა ნაციონალური წარმოების ტექნიკურათ აღორძინებისათვის; იგი იზიდავდა საფრანგეთში საზღვარ-გარეთიდან დახელოვნებულ, გამოცდილ მუშებს, მოსყიდვის შემწეობით იგებდა და ტყობილობდა საფრანგეთის კაპიტალისტებისათვის უცხოეთის მანუფაქტურების სამრეწველო სეკრეტებს (საიდუმლოებს); ის სავალდებულოთ ხდიდა მანუფაქტურებისათვის წარმოების განსაზღვრულ წესების შემოღებას, რომელიც მაშინ საუკეთესოთ ითვლებოდა; იგი ითხზავდა დაწვრილებითი რეგლამენტებს, რომლებშიაც, როგორც საამქრო სტატუტებში, დაწვრილებით იყო აღნიშნული საქონლის ღირსება და წარმოების ყველა სხვა წვრილმანები. ასეთი წვრილმანი ჩარევა სამრეწველო დაწესებულებათა ტეხნიკაში მაშინ, უმეტეს შემთხვევებში, სასარგებლო იყო წარმოების განვითარებისათვის, იმიტომ, რომ მთავრობა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა მრეწველობის განვითარებას. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო თავის კაპიტალითაც კი ეხმარებოდა მანუფაქტურისტებს, ხოლო ბაზრების მოსაპოვებლათ კი იგი ომებსაც არ ერიდებოდა.

ის ზომები, რომელსაც ხმარობდა სახელმწიფო თავის პროტექციონურ პოლიტიკაში, საზოგადოთ, მეტათ სხვა-და-სხვა გვარი, ხანდისხან კიდევ მეტათ ორიგინალურიც იყო. 1563 წელს ინგლისის დედოფალი ელისაბედი, თევზაობის განსავითარებლათ, აწესებს სავალდებულო მარხვას—კვირაში ორ დღეს. 1666 წელს ინგლისში გამოიცა კანონი, რომელიც დიდის ჯარიმით ემუქრებოდა ყველას, ვინც მიცვალებულებს შალის სამოსელში არ დამარხავდა.

დამრეწველობის მფარველობას სახელმწიფოს-მიერ სხვა-და-სხვა ფორმა ქონდა, რომელთა შორის დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს „საკოლონიო (სახალშენო) პოლიტიკას". ამ პოლიტიკის დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კოლონიებს (ახალშენებს) არა ქონდათ უფლება თავის მანუფაქტურები გაემართათ, ნედლი მასალების გაზიდვა კი შეეძლოთ მხოლოდ მეტროპოლიაში. ახალშენების ბაზრების ასეთმა ექსპლუატაციამ ძლიერ დააჩქარა, მაგ., ინგლისის კაპიტალიზმის განვითარება.

კრომველის „სანაოსნო აქტის" ძალით, ინგლისის ახალშენებში საქონლების შეტანა და გამოტანა მხოლოდ ინგლისის გემებით უნდა მომხდარიყო, თვითონ ინგლისში კი უცხოელებს უფლება ჰქონდათ შეეტანათ თავის გემებით მხოლოდ საკუთარ ქვეყნების ნაწარმოები. ამნაირათ, თვითონ ინგლისიცა და იმისი ახალშენებიც ინგლისის კაპიტალისტებისათვის უზრუნველყოფილ ბაზრებს წარმოადგენდენ.

ახალშენთა პოლიტიკაში დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე მონოპოლიის სისტემას: ერთის მხრით, ამას თხოულობდა ხაზინის ინტერესები, მეორეს მხრით კი—კერძო ინიციატივა, შესაძლოა, ჯერ ისე დიდათ განვითარებული არ იყო, რომ დაუხმარებლათ და წაუხალისებლათ შეძლებოდა ასეთ რთულსა და საალაღბედო სახალშენო წარმოების გაძღოლა. კაპიტალისტების მსხვილ კომპანიებს, სხვა მრავალგვარ ეკონომიურ შეღავათებთან ერთათ, საერთო იჯარით ან ერთიანათ ყიდვით (ОТКУПЪ) ეძლევოდათ ხოლმე ზოგიერთ ახალშენებში ყოველგვარ სავაჭრო საქმეების წარმოება. ასეთ კომპანიებში ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო ინგლისელების „ოსტ-ინდიის კომ-

პანია“: იმან თავისი გაიძვერულის და მუხანათურ პოლიტიკის წყალობით და ომების დახმარებით, ხელში ჩაიგდო აუარებელი ადგილ-მამულები, რომელზედაც რამდენიმე ათი მილიონი ხალხი ცხოვრობს.

მონარქიათა „პროტექციონური პოლიტიკა“ ასე პრაქტიკულათ ახორციელებდა კაპიტალისტურ წარმოების განვითარების მოთხოვნილებებს, რომლებიც თეორეტიულათ „სავაჭრო ბალანსის“ სკოლის შეხედულებებში იხატებოდენ.

„სავაჭრო ბალანსის“ სკოლაში აღმოცენდა პირველათ ეკონომიურ მოვლენების „კანონ-წესიერების“ იდეა. ეს ფრიად ღირსშესანიშნავი იდეაა, ურომლისოთაც შეუძლებელი იყო ეკონომიურ მეცნიერების აღორძინება, რადგან მეცნიერება შეუძლებელია იქ, სადაც მოვლენათა კანონების ძიება არ არსებობს. ყველაზე პირველათ თომას მიონმა (XVII საუკუნის დამდეგს) გამოსთქვა ის აზრი, რომ ეკონომიური ცხოვრება თავის საკუთარ კანონებს ემორჩილებაო. მისი აზრით, სახელმწიფოს მხრივ მიღებულ ძალმომრეობითი ზომებს შეუძლიან მხოლოდ დროებით შესცვალოს მოვლენათა მსვლელობა, შემდეგ კი მაინც ეკონომიკის საკუთარი კანონები იმარჯვებს და ყველაფერი ისევ ისე თავის კალაპოტში დგება. ასეთი შეხედულების შესამუშავებლათ, ცხადია, მასალები მისცა მას სახელმწიფოს ზოგიერთ ღონისძიებათა დამარცხებამ,—იმ ღონისძიებათა, რომელიც არ შეეფერებოდა თავის დროის მოთხოვნილებებს, როგორიც იყო მაგ., „ფულის ბალანსის“ სისტემა.

თუ ახლათ ჩასახულ, ჯერ კიდევ ფესვ-მოუმაგრებელ კაპიტალიზმისათვის მფარველობითი სისტემა ძლიერ სასარგებლოა და ბევრ შემთხვევაში აუცილებელიც, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ასეთივე მნიშვნელობა ექნება მას კაპიტალისტურ განვითარების შემდეგ საფეხურებზედაც. ადრე თუ გვიან, დადგება ისეთი წუთი, როდესაც სამრეწველო კაპიტალს თავის-თავათაც იმდენათ საკმაო ძალა დაურჩება, რომ სხვის დაუხმარებლათ გაუძღვეს თავის საქმეს,—მაშინ სახელმწიფოს მზრუნველობითი „ოპეკა“ მისთვის შემავიწროებელი და შემაფერხებელი ხდება.

პირველ ყოვლისა, რამდენათაც ქვეყნის შიგნით მატულობს სა-

მანუფაქტურო საქონლების ხმარება, იმდენათ უფრო მეტათ ილაშქრებს პროტექციონიზმის წინააღმდეგ საშუალო და წვრილი ბურჟუა, რომელიც იყვლიფება ამ პროტექციონიზმით, როგორც მხმარებელი. მართალია-და, რას წარმოადგენს, მხმარებლის თვალსაზრისით, პროტექციონიზმი?

ვთქვათ, ინგლისში მატყლის ქსოვილების წარმოება ძლიერ განვითარებულია, ამ დარგში შრომის ნაყოფიერება ძლიერ დიდია, და ინგლისელ კაპიტალისტებსაც შეძლება აქვთ საკმაოთ დიდის მოგებით დაფარონ ქსოვილების დამზადებაზე და საფრანგეთში მიტანაზე გაღებული ხარჯები, თუ იქ თითო მეტრ ქსოვილს 2 ფრანკათ *) გაყიდიან; საფრანგეთში კი, ვთქვათ, მატყლეულობის წარმოება მხოლოდ ახლა იწყება, იმისი ტეხნიკა ცუდია და თითო მეტრის 3 ფრანკზე იაფათ გაყიდვა ფრანგ კაპიტალისტებს ხელს არ აძლევს. აშკარაა, ინგლისელი კაპიტალისტები დაამარცხებენ ფრანგ კაპიტალისტებს საფრანგეთის ბაზარზე,—მაშასადამე, მატყლეულობის წარმოება საფრანგეთში უეჭველათ უნდა დაეცეს. ამ განსაცდელის თავიდან ასაშორებლათ, სახელმწიფო აწესებს ერთ მეტრ მატყლის ქსოვილზე შემოსატან ბაჟათ—1½ ფრანკს. ინგლისის საქონელი ამის შემდეგ შეუძლებელია 3½ ფრანკზე ნაკლებ გაიყიდოს, და ამით ფრანგ-კაპიტალისტებს შეძლება ეძლევათ მათ დამღუპველ კონკურენციას თავი დააღწიონ. მაგრამ ფრანგი-მხმარებლები კი, იმის მაგიერ, რომ კარგი ინგლისური ქსოვილები შეიძინონ თითო მეტრი თითო ფრანკათ, იძულებული არიან ცუდ ფრანგულ ქსოვილებს დასჯერდნენ და თითო მეტრში 3 ფრანკი აძლიონ. ამიტომ ისინი მალე პროტესტს აცხადებენ და უარყოფენ თავის თანამემამულე-კაპიტალისტების სასარგებლოთ ასეთი გადასახადების გაღებას. ეს პროტესტი დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს, მით უმეტეს, რომ ადვილათ შესაძლებელია ფრანგული ტეხნიკის ინგლისურ ტეხნიკის სიმაღლემდე აყვანა; და როდესაც ეს ასე ხდება, მაშინ მფარველობითი ბაჟი კარგავს ყოველსავე აზრსა და მნიშვნელობას,—პირიქით, მაშინ ამ ბაჟს წარმოების განვითარებისათვის მხოლოდ ზარალი მოაქვს იმით, რომ

*) ფრანკი უდრის 37½ კაპ.

შეძლებას აძლევს კაპიტალისტებს დიდი სარგებელი აიღონ, ბევრი მოგება ნახონ, და ტეხნიკის გაუმჯობესებაზე კი ოდნავათაც არ იზრუნონ. მეორეთ, კაპიტალის ზოგი შტოების მფარველობა საზარალოა დანარჩენისათვის. მაღალი შემოსატანი ბაჟები სამიწათმოქმედო იარაღებზე ზარალს აძლევს ფერმერს, რომელსაც იარაღები ესაჭიროება, რკინაზე შემოსატანი ბაჟი სასურველი არაა იარაღის მკეთებელთათვის; მუშების სახმარ საგნებზე ბაჟები, საზოგადოთ, სასიამოვნო არაა ყველა წარმოების პატრონთათვის, რადგან ამით ძვირდება სამუშაო ძალა და სხვ. საზოგადოთ, მონოპოლია ეჯავრება და სძულს ყველას, გარდა თვითონ მონოპოლისტისა.

მრეწველი კმაყოფილი არაა იმით, რომ კანონი ერევა ტეხნიკის საქმეებში, ადგენს, მაგ., ნიმუშებს, რომლის ძალითაც სავალდებულოა ნიმუშებში ნაჩვენებ ნაწარმოებთა მსგავსის დამზადება, და ამავე დროს კი მუდამ უკან რჩებიან სწრაფ ტეხნიკურ პროგრესს, ასე რომ, მისი ნიმუშები ყოველთვის უკვე მოძველებულ ტეხნიკის ნაშთებს წარმოადგენს.

განვითარებული სამრეწველო კაპიტალი ეძებს თავისთვის გარეშე ბაზრებს, მაგრამ ეს ბაზრები მიუკარებელი და შეუვალი არიან იმავე პროტექციონიზმის წყალობით; ერთ სახელმწიფოს შემოსატან მაღალ ტარიფზე სხვებიც ასეთისავე მაღალის ტარიფებით აძლევენ პასუხს. იწყება ერთგვარი სატარიფო ომი, რომელიც ხშირათ ნამდვილ ომსაც იწვევს.

ამნაირათ, მფარველობითი სისტემა უკვე აღარაა კაპიტალის ინტერესების გამომხატველი და დამცველი. ამის მიხედვით შეიცვალა ეკონომიური შეხედულებანიც; ეს ახალი შეხედულებანი კი, ყოვლის უწინარეს, გამოსთქვეს მეცნიერებაში ინგლისის ეკონომისტებმა.

ინგლისის სამრეწველო კაპიტალისათვის ყველაზე უფრო სამძიმო და შემავიწროებელი იყო მიწათმოქმედების მფარველობა სახელმწიფოს-მიერ, ანუ ეგრეთ წოდებული „პურის კანონები“. ინგლისში პურის შეტანა საზღვარ-გარეთიდან შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პურის ფასი უწყებულ, ძლიერ მაღალ ნორმას გაუსწორდებოდა. პატარა სიძვირე იწვევს მაღალ სამუშაო ხელფასს, ე.

შედარებით ნაკლებ მოგებას კაპიტალისტებისათვის. და აი, სწორედ ამ „პურის კანონების" გამოისობით გაისმა პირველად ძლიერი და ენერგიული პროტესტი კაპიტალისტების მხრივ, რომელნიც გულისწყრომას უცხადებდნენ სახელმწიფოს—მიწათმოქმედების თავის მფარველობის ქვეშ დაყენების გამო (მომეტებულ შემთხვევაში კი—უფრო **მიწათმფლობელების** მფარველობის გამო). ასეთი პროტესტი განაცხადა მე-XVIII საუკუნის ნახევარში რალეიმ.

სამრეწველო კაპიტალის შესამჩნევათ განვითარება სავაჭრო კაპიტალთან შედარებით, მწარმოებელ კაპიტალის უპირატესობა ფულის კაპიტალზე—დიდ ცვლილებებს ბადებს ფულზე შეხედულებაში.

ჩაილდი ამბობს, რომ ფული მხოლოდ ერთათ-ერთი საქონელთაგანია, თუმცა კი საუკეთესოა. ამით ირყევა, თუმცა ჯერ სრულიად კი არა, ძველი სკოლის თეორეტიული საფუძველი.

რადგან სავაჭრო კაპიტალი მთელ თავის მოქმედებას მარტო ცვლას ანდომებს, წარმოებისაგან კი, შედარებით, ძლიერ შორს დგას, და რადგან მოვაჭრის ანგარიშები, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ფასების ცვალებადობაზე და ნორმისაგან დაშორებაზეა დამყარებული, ამიტომ ადვილი მისახვედრია, რომ სავაჭრო კაპიტალის იდეოლოგებს არ შეეძლოთ გაეგოთ ცვლის ძირითადი კანონიერება—ცვლის დამოკიდებულება საქონლის საშრომო ღირებულებისაგან. სამრეწველო კაპიტალისტი კი სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფება: იგი აწესრიგებს და აწყობს შრომას, თვალყურს ადევნებს წარმოებას, ასე რომ, თავის ანგარიშებს უფრო ფასების უცვლელობასა და ურყევლობაზე ამყარებს, და არა ფასების რყევა-ცვალებადობაზე. ამის გამო სამრეწველო კაპიტალის იდეოლოგი, შედარებით, უფრო ხელის შემწყობ პირობებში იმყოფება, რომ გამოიკვლიოს ის კავშირი, რომელიც არსებობს საქონლის საშრომო ღირებულებასა და მის ფასებს შორის. და მართლაც, მე-XVII საუკუნის დამლევს ვილიამ პეტტი უკვე ადგენს და აწესებს **საშრომო ღირებულების თეორიას**, რომელიც თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერების საფუძველს შეადგენს. ამასთან, საბოლოოთ მარცხდება ის მოძღვრება, რომელსაც განსაკუთრებით ფული მიაჩნდა ერთათ-ერთ ჭეშმარიტ სიმდიდრეთ; ირკვევა

და მტკიცდება, რომ ფულს ფასი აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე შრომაა დახარჯული.

შემდეგ, განსაკუთრებულის სიმტკიცით, სისრულითა და ნათლათ კონკურენციის თავისუფლების იდეას ქადაგებს, წინააღმდეგ ძველი სკოლის იდეებისა, დედლეი ნორტი, რომელსაც პირველ საფუძვლიან ფრიტრედერათ (თავისუფალი ვაჭრობის მომხრეთ) სთვლიან.

ნორტის მოძღვრება, საერთოთ, შემდეგში მდგომარეობს. ერი (ნაცია) მდიდრდება მხოლოდ მრეწველობისა და ვაჭრობის შემწეობით. ვაჭრობა-მრეწველობის საფუძველს კი შეადგენს შრომა, რომელიც, ამიტომ, სიმდიდრის წყაროთ უნდა ჩაითვალოს. ფული კი ერთათ-ერთი საქონელთაგანია და მეტი არაფერი. „მხარეში ფული არც ცოტაა და არც ბევრი, არამედ სწორეთ იმდენია, რამდენიც არის ტრიალისათვის საჭირო“, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია ასე, როცა, ნორტის აზრით, ფულით ვაჭრობა შეზღუდულ-შევიწროვებული არაა.

ვაჭრობა და მრეწველობა თავისუფალი უნდა იყოს; თუ სიმდიდრის წყარო შრომაა, მაშინ არავითარ რეგლამენტაციას არ შეუძლია ხელი შეუწყოს ნაციის (ერის) გამდიდრებას, მისი ხელის შეშლა და დაბრკოლება კი შესაძლოა შრომის განვითარების შეფერხებით. „არც ერთი ქალაქი არ გამდიდრებულა სახელმწიფოს-მიერ მიღებულ ღონისძიებით; მხოლოდ მშვიდობიანობამ, შრომის მოყვარეობამ და თავისუფლებამ შექმნეს მრეწველობა და სიმდიდრე“. ნორტი სასტიკი წინააღმდეგია ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისა. ფუფუნების განმსაზღვრელ კანონების მავნებლობას ის ამტკიცებს იმ მოსაზრებით, რომ მოთხოვნილებათა განვითარება ყოველად ძლიერი მამოძრავებელი ძალაა პროგრესისა. ამით იგი აქეზებს ადამიანებს უფრო ენერგიულის შრომისათვის.

საშინაოცა და საგარეო ვაჭრობაც, ნორტის აზრით, ერთნაირათ აუცილებლათ საჭიროა და ერთი-მეორეზეა დამოკიდებული. ერთიცა და მეორეც თანასწორათ თავისუფალი უნდა იყოს. მთელის დედამიწის ნაციები (ერები) ისე არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, იმდენათვე საჭიროა ისინი ერთი-მეორისათვის, როგორც ერთი კუთ-

ხის ცალკე ქალაქები. ამიტომ ნაციებს შორის ზღუდე-კედლების ამართვა სადამოყნო ბაჟებისა, აკრძალვებისა და სხვათა სახით, ისეთივე უგუნურებაა, როგორც მეზობელ ქალაქებისა და ან ცალკე მეურნეობათა შორის სავაჭრო დამოკიდებულება-ურთიერთობის შეზღუდვა. ყველა ერები ერთის მიზნისაკენ მიილტვიან თავიანთ განვითარებაში. ყოველგვარი ვიწრო ნაციონალიზმი მხოლოდ მავნებელია, რადგან ამცირებს ერთა საურთიერთო დახმარებას და მით აბრკოლებს მათს ეკონომიურ განვითარებას.

სახელმწიფოს სასარგებლო მოღვაწეობა ეკონომიურ სფერაში გამოიხატება მხოლოდ საკუთრების დაცვაში; ყოველივე სხვა-გვარი ჩარევა, ნორტის აზრით, მხოლოდ ზარალს აძლევს მრეწველობის ინტერესებს. ნორტის შეხედულებანი ძალიან ნაკლებათ ვრცელდებოდენ მის თანამედროვე საზოგადოებაში (XVII საუკუნის მიწურულში). თითქმის ინგლისშიაც კი კაპიტალისტურ წარმოების მხოლოდ ზოგიერთა დარგი თუ იქნებოდა იმდენათ განვითარებული, რომ დამოუკიდებლათ ეცხოვრა და სახელმწიფოს მფარველობა არ დასჭირებოდა.

ჩახევარ საუკუნის შემდეგ კი „კონკურენციის თავისუფლების სკოლამ“ ფეხი მოიკიდა საფრანგეთის ნიადაგზედაც: თავისებურმა პირობებმა იქ ახალ მოძღვრებას თავისი განსხვავებული ბეჭედი დაასვა, მაგრამ დედა-აზრი კი იგივე დარჩა.

როდესაც პროტექციონიზმმა საფრანგეთის მოზარდ მრეწველობას თითქმის ყველაფერი მისცა, რის მიცემაც კი შეეძლო, მაშინ როგორც სხვა მხარეებში, ისე აქაც ის თან-და-თან განვითარების დამაბრკოლებელი შეიქნა. ამან დაბადა რეაქცია მის წინააღმდეგ მრეწველ-მოვაჭრე ბურჟუაზიაში; რეაქციას შედეგათ ფიზიოკრატების თეორიები მოყვა.

მაგრამ მარტო პროტექციონიზმი როდი აბრკოლებდა კაპიტალის განვითარებას. უფრო მეტი ზარალი მოჰქონდა მისთვის ფეოდალურ და სამქრო წყობილების ნაშთებს, რომლებიც ვერ ურიგდებოდენ ვერც კაპიტალის თავისუფლებასა და ვერც შრომის თავისუფლებას.

ამიტომ, ფიზიოკრატებს ერისა და იმავე დროს სასტიკი

ბრძოლა უხდებოდათ როგორც ამ ნაშთების, ისე პროტექციონიზმის წინააღმდეგ. ბრძოლისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგ საშუალებათ შეიქნა ამ ახალი სკოლისთვის—მიწათმოქმედების ინტერესები; ამის მიზეზი ორი იყო: პირველი ის, რომ მაშინ საფრანგეთი, უმთავრესათ, სამიწათმოქმედო ქვეყანას წარმოადგენდა, და მეორეც ის, რომ მიწათმოქმედებას მეტის-მეტათ აფერხებდა იგივე პირობები, რომელიც ხელს უშლიდა კაპიტალის პროგრესს.

აქ საჭიროთ არაა ცალკე იმაზე ლაპარაკი, თუ რა საშინელ ვნებას აყენებდა სამიწათმოქმედო წარმოებას საშუალო საუკუნეების ნაშთები,—ეს ზევით უკვე იყო ახსნილი.

რაც შეეხება პროტექციონიზმს, მან ხელი შეუწყო სამიწათმოქმედო მეურნეობის განადგურებას, უმთავრესათ, არა-პირდაპირის გზით. პირველ ყოვლისა, პროტექციონიზმი ძლიერ მაღლა უწევდა ფასებს გლეხისათვის მრავალ აუცილებელ ნაწარმოებზე; შემდეგ, მან თავზე მოახვია საფრანგეთს აუარებელი ომები, რომლებმაც მეტად გაანადგურა ქვეყანა და რომლებიც მთელის თავისი სიმძიმით, უმთავრესათ, მიწათმოქმედ კლასს დააწვა კისერზე. სამხედრო ხარჯების დასაფარავათ შემოღებული გადასახადების უდიდესი ნაწილიც გლეხებს უნდა შეეტანათ ხაზინაში და თან თავის სამუშაო ძალთა საუკეთესო ნაწილი უნდა მოეცდინა ისეთ უნაყოფო და პირდაპირ მაზარალებელ საქმისათვის, როგორიც ომია, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ომები ხშირათ დამარცხებით თავდებოდა, რაც საფრანგეთისათვის იშვიათი მოვლენა არ იყო.

სამიწათმოქმედო კლასის ინტერესები მით უფრო ხვდებოდენ კაპიტალის იდეოლოგების გულს, რომ გლეხთა განადგურება მეტათ ავიწროვებდა შინაურ ბაზარს კაპიტალისტურ მრეწველობისათვის. ეკონომიური პოლიტიკის ძველი მიმართულება ვერ ატყობდა, რომ დამმუშავებელ მრეწველობის განვითარება ძლიერ იყო დამოკიდებული მიწათმოქმედების ეკონომიკაზე. და აი, ახალმა სკოლამ შექმნა თეორია, რომელიც მიწათმოქმედებას თვლის მთელის ეკონომიურ ცხოვრების ქვა-კუთხედათ.

ფიზიოკრატების მოძღვრებით, ყოველივე სიმდიდრის წყაროს

**ბუნება** შეადგენს. მხოლოდ ისეთი შრომა ქმნის სიმდიდრეს, მხოლოდ ისეთი შრომაა ნაყოფიერი, რომელსაც საქმე აქვს პირდაპირ ბუნებასთან. ესაა—შრომა სამიწათმოქმედო და, საზოგადოთ, **მომპოვებელი** შრომა. მხოლოდ მიწათმოქმედება იძლევა წმინდა **შემოსავალს**, ის აძლევს ადამიანს იმაზე მეტს ნაწარმოებს, ვინემ თვით წარმოებაზეა დახარჯული.

ხელოსნურ, მანუფაქტურულ და, საზოგადოდ, დამმუშავებელ შრომას, ფიზიოკრატების აზრით, მხოლოდ ცვლილება შეაქვს მიწიდან ამოღებულ სიმდიდრის ფორმაში, ახალ სიმდიდრეს კი არავითარს არა ჰქმნის, და, მით უმეტეს არა ჰქმნის ახალ ღირებულებას ვაჭრობა; ის მხოლოდ ამოძრავებს, გადააქვს და გადმოაქვს საქონელი ხელიდან ხელში. მთელი ერი, მთელი ნაცია ცხოვრობს და საზრდოობს იმ წმინდა შემოსავლით, რომელსაც ჰქმნის სამიწათმოქმედო კლასის შრომა. დანარჩენი, მრეწველი თუ არა-მრეწველი კლასები, ასე ვთქვათ, მიწათმომქმედთა ჯამაგირით ცხოვრობენ.

აქედან ასეთი დასკვნა გამოდის: სრულიად ბუნებრივი და გონივრული იქნება, რომ ყველა გადასახადები მიწას დააწვეს, როგორც ერთათ-ერთ სიმდიდრის წყაროს: ყოველგვარ სხვა-და-სხვა გადასახადების მაგივრათ, უნდა შემოღებულ იქმნას ერთათ-ერთი გადასახადი მიწაზე. დამმუშავებელი და სავაჭრო მრეწველობა, რომელიც არავითარ სიმდიდრეს არა ჰქმნის, უნდა განთავისუფლებულ იქმნეს ყოველგვარ გადასახადებისაგან. ეს დასკვნა წარმოადგენს პროტესტს თავად-აზნაურობის და სამღვდელოების გადასახადებისაგან განთავისუფლების წინააღმდეგ; მაგრამ იმავე დროს ეს გვიჩვენებს, რაც შეიძლება ნათლათ, რომ ფიზიოკრატები, მიუხედავათ იმისა, რომ უსაზღვრო სიყვარულს უცხადებდენ მიწათმოქმედებას და მუდამ იმის ქება-დიდებაში იყვნენ, სწორეთ სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებათ უნდა ჩაითვალონ (შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ეს სულ სხვა საკითხია).

ფიზიოკრატების შეხედულობით, ბუნება არა თუ ერთათ-ერთი ჭეშმარიტი წყარო სიმდიდრისა, იგი იმავე დროს ერთათ-ერთი ჭეშმარიტი ხელმძღვანელიც არის ხალხთა ცხოვრებაში. საზოგადოე-

ბრივი წეს-რიგი უნდა დაარსებულ იქმნეს ბუნების მუდმივ და უცვლელ კანონებზე, ისე, როგორც იმაზეა დამყარებული ყველა სხვა მოვლენები. საზოგადოებრივი წყობილება გონივრული და ნორმალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეეფერება ბუნების კანონებს: მხოლოდ მაშინ შეუძლია მას ბედნიერება მიანიჭოს საზოგადოების ყველა წევრებს. და რამდენადაც საზოგადოებრივი წყობილება შორდება ბუნებას, იმდენათ ის არა-გონივრულია და მავნებელი.

უფრო ბუნებრივი და, მაშასადამე, უფრო გონივრული წყობილება — ეს, ფიზიოკრატების აზრით, ისეთი წყობილებაა, რომელიც, რაც შეიძლება, ნაკლებ ზღუდავს ადამიანის ბუნებას. თავის ნებაზე მიშვებულ ადამიანს უფრო ადვილათ შეუძლია თავის მოქმედებაში ჭეშმარიტ გზას დაადგეს. იხელმძღვანელებს რა თავისი ბუნების ჩაგონებით, თვითოეული შეგნებულათ და გონივრულათ გასწევს თავის პირადი ბედნიერებისაკენ, — და აი, ამ გზით იქმნება მიღწეული ყველას საერთო ბედნიერება. ადამიანის ცხოვრება უნდა განთავისუფლდეს მის თავზე მოზღვავებულ შევიწროვებათაგან (ცხადია, იგულისხმება შევიწროებანი — ფეოდალური, ამქრული, პროტექციონური და სხვ.). თავისუფლება აუცილებელია ყველგან, განსაკუთრებით კი ეკონომიურ ცხოვრებაში. აქ შეიძლება თამამათ მივენდოთ პირადი ინტერესების მოქმედებას, იმიტომ, რომ თვითოეული, ზრუნავს რა თავისი საკუთარი სიმდიდრის გამრავლებაზე, ამით ხელს უწყობს ნაციონალურ სიმდიდრის გადიდებასაც. ამნაირათ, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკონომიურ ცხოვრებაში. იმისი საქმეა დაიცვას პიროვნება, დაიცვას საკუთრება, — მეტი მას არაფერი არ მოეთხოვება.

ახალი სკოლის მისწრაფებანი ბრწყინვალე და ენერგიულის ფორმითაა გამოხატული ფიზიოკრატის გურნეს სახელმწიფოსადმი მიმართულს ცნობილ ფრაზაში: „Laissez faire, laissea aller!“(„ნუ ეჩრებით, დაანებეთ ცხოვრებას თავისის გზით სიარული“). ეს ფრაზა გახდა მთელ ლიბერალურ ეკონომიურ მოძღვრების უმთავრეს მცნებათ.

ფიზიოკრატები წარმოადგენენ მტკიცე შეკავშირებულ წრეს, რომლის სათავეშიაც ლუი მე-XV-ის ექიმი კენე იდგა. მათს სკოლას ეკუთვნოდა სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწე ტიურგოც. მან პირველმა

გამოხატა ნათლათ სამუშაო ხელფასის ძირითადი კანონი: ხელფასის სიდიდე განისაზღვრება მუშის ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებათა ღირებულებითაო. ასე შესანიშნავათ, ასე ნათლათ შეგნება სამრეწველო კაპიტალის ფაქტიურ ურთიერთობათა, იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ ფიზიოკრატები სამრეწველო კაპიტალის ნამდვილი იდეოლოგები იყვენ.

ფიზიოკრატების პრაქტიკული პროგრამა უმეტეს ნაწილათ გატარებულ იქმნა ცხოვრებაში საფრანგეთის რევოლუციის-მიერ. ეს პროგრამა, მაშასადამე, იმ დროის მოთხოვნილებათა სრული და სწორი გამომხატველი ყოფილა.

კონკურენციის თავისუფლების სკოლის შემდეგს განვითარებას ჩვენ გადავყვევართ ხელ-ახლათ ინგლისში, ადამ სმიტის მოღვაწეობის ეპოქაში.

მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისი საკმაოთ განვითარებულ მანუფაქტურულ კაპიტალისტურ ქვეყანას წარმოადგენდა. მსხვილ-ბურჟუაზიულ წყობილების საზოგადოებრივი ურთიერთობანი საკმაოთ გარკვევით და ნათლათ ჩანდენ და ცხოვრებაში მთავარ როლს თამაშობდენ.

ამგვარათ, შესაძლებელი შეიქნა საკმაოთ სრული და სწორი, საერთოთ—მეცნიერული გამოკვლევა კაპიტალისტური სისტემის ძირითად დებულებათა. და ეს შეასრულა კიდეც ადამ სმიტმა, რომელსაც, ჩვეულებრივ, ეკონომიურ მეცნიერების მამათმთავარს ეძახიან. ეს, სიმართლე თუ გნებავთ, ნამდვილი არაა,—უფრო კანონიერი იქნებოდა, რომ ეკონომიური მეცნიერების დამფუძნებელათ ჩავთვლიდეთ თუნდა ვილიამ პეტტის, რომელმაც მტკიცე თეორეტიული საძირკველი ჩაუყარა მას იმით, რომ მეტათ ნათლათ გამოხატა მოძღვრება საშრომო ღირებულების შესახებ. ეს ჩვეულებრივი აზრი ადვილათ და სავსებით აიხსნება იმით, რომ ადამ სმიტის ნაწერებს დიდი უსაზღვრო გავლენა ქონდათ ეკონომიურ მეცნიერების განვითარებაზე.

ადამ სმიტი მომეტებულ ნაწილათ ფიზიოკრატების მოწაფე იყო: იგი იცნობდა მათს წრეს, შეთვისებული ჰქონდა მათი იდეები და მიმართულება. მაგრამ ხელის შემწყობ საზოგადოებრივ პირობე-

ბის დახმარებით, სმიტმა თავი დააღწია ფიზიოკრატების მოძღვრების მრავალ ცალმხრივობას. ფიზიოკრატულ მოძღვრების თეორეტიული შეცდომები ჩაგონებული იყო საფრანგეთის ეკონომიურ ცხოვრებისაგან. სმიტი კი იკვლევდა ინგლისის საზოგადოებრივ მეურნეობას, რომელმაც თავის განვითარებაში ბევრათ გაასწრო საფრანგეთისას და, საზოგადოთ, შესამჩნევათ განსხვავდება მისგან.

ადამ სმიტის ეკონომიურ გამოკვლევის წესები, უმთავრესათ, **დედუქტიურია**. მას იცის, რომ ადამიანი თავის სამეურნეო მოღვაწეობაში ემორჩილება მხოლოდ პირადი ინტერესების გრძნობას, ხოლო ეს ინტერესები კი ამა თუ იმ ცხოვრების სფერაში გამოიხატება უფრო მეტის სიმდიდრის შეძენის სურვილში. ამ მოსაზრებით, ადამ სმიტი ცდილობს ახსნას ადამიანისა და საზოგადოების მთელი ეკონომიური მოქმედება.

მაგრამ დედუქციისათვის საკმარისი როდია მარტო ეს ერთი დებულება შესახებ იმისა, რომ ადამიანი სამეურნეო სფერაში ეგოისტურ გრძნობებს ემორჩილება. საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ ის პირობები, რომელშიაც უნდება ადამიანს თავის ეგოისტურ მისწრაფებათა განხორციელება.

ადამ სმიტი იღებს **საერთოთ** იმ სოციალ-ეკონომიურ პირობებს, რომელიც არსებობდა მის დროს ინგლისში, და არკვევს, თუ სახელდობრ რა გზას ადგია ამ პირობებში ადამიანის ეკონომიური მოღვაწეობა.

მაგრამ ადამ სმიტი კაპიტალისტურ საზოგადოების ცხოვრების **კერძო კანონებს** კი არ იკვლევს განვითარების იმ საფეხურზე, რომელიც ინგლისმა გაიარა; არა, მას თავისი დასკვნები ეკონომიკის **საზოგადო** კანონებათ მიაჩნია, იგი სწერს **საზოგადო** პოლიტიკურ ეკონომიას („ხალხთა სიმდიდრე“ 1776 წ.). საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტური ურთიერთობანი მას ერთად-ერთ ნორმალურ ურთიერთობათ მიაჩნია, სხვა ურთიერთობაზე იგი ან სრულიად არა მსჯელობს, ან-და ხედავს მასში ნორმისაგან გადახრას, მის დარღვევას, ან-და დაუთავებელ, ნაკლებ განვითარების შედეგს.

სმიტის მოძღვრებით, ქვეყნის **სიმდიდრეს**—ქვეყნის **საქო-**

**ნელთა** მთელი მასსა შეადგენს. სიმდიდრეზე ასეთი წარმოდგენა, აშკარაა, მხოლოდ საქონლის მცვლელ მეურნეობას შეეფერება: ნატურალურ-სამეურნეო საზოგადოებისათვის, სადაც ნაწარმოები ჯერ კიდევ არ შეადგენს საქონელს, ხსენებული წარმოდგენა სიმდიდრეზე სრულიად შეუფერებელია. ღირებულებისა და სიმდიდრის ერთად-ერთი წყარო, სმიტის მოძღვრებით, შრომაა, საზოგადოთ—ყოველი მაწარმოებელი, ნაყოფიერი შრომა, მაგრა ისიც უნდა ვთქვათ, რომ სმიტი ნაყოფიერათ თვლის მხოლოდ ისეთ შრომას, რომელიც **მატერიალურ** კეთილ-მდგომარეობას (ნივთს) ჰქმნის. ყოველ შემთხვევაში, „სმიტი ისე ვიწროთ არ უყურებს საკითხს, როგორც ფიზიოკრატები, რომელთაც მაწარმოებელ შრომათ მარტო სამიწათმოქმედო შრომა მიაჩნდათ: სმიტის დროს ინგლისში დამმუშავებელი მრეწველობა ნაციონალურ სიმდიდრის შექმნაში მიწათმოქმედებაზე ნაკლებ როლს როდი თამაშობდა.

**კაპიტალი**, სმიტის განმარტებით, წარმოადგენს მოგროვილ შრომის იმ ნაწილს, რომელიც გადადებულია იმისთვის, რომ შემოსავალი მოიტანოს. ადამიანები, აშკარაა, მომავალშიაც იძულებული იქნებიან, შემოსავლის მიღებისათვის, დაზოგვილი შრომა დააბანდონ წარმოებაში; მაშასადამე, კაპიტალმა, სმიტის თვალსაზრისით, **მუდამ** უნდა იარსებოს. ვისაც კაპიტალი ასე **მუდმივათ** მიაჩნია, მის გონებაში თავის-თავათ იბადება იდეა **კაპიტალისტურ ურთიერთობათა** უცვლელობის შესახებ.

კაპიტალების თავდაპირველ დაგროვებას სმიტი მომჭირნეობითა და დამზოგველობით ხსნის: წვრილი მრეწველები ყველაფერს როდი ხარჯავდენ, რასაც ამზადებდენ,—მათი კაპიტალი შესდგა გადანარჩენის, დანაზოგავის მოგროვებით. ფაქტების ასეთნაირათ წარმოდგენა, როგორც ვიცით, იმდენათვე დამოკიდებულია სიმართლეზე, რამდენათაც იგი ზედ-გამოჭრილია კაპიტალისტთა ინტერესებზე.

ღირებულების შესახებ სმიტის მოძღვრება, საზოგადოთ, ასეთია: მის (ღირებულების) თავდაპირველ წყაროთ სმიტს შრომა მიაჩნია. აქედან პირდაპირი დასკვნა უნდა გამოსულიყო საშრომო ღირებულების თეორიაზე, რომელიც ამბობს, რომ საქონლის საცვლელი ღირებუ-

ღება ისაზღვრება მასში განხორციელებულ საზოგადოებრივ-საშრომო ენერგიის რაოდენობით. სმიტი კი გვერდს უვლის ამ დასკვნას. მისი აზრით, საქონლის ფასი თანამედროვე საზოგადოებაში **შესდგება** შრომის ღირებულებისა, კაპიტალის მოგებისა და მიწის რენტისაგან. საშუალო ფასის საშრომო ღირებულებასთან გათანასწორება მას შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ იმ ხანაში, როდესაც საშრომო იარაღები მწარმოებელს ეკუთვნოდა. როდესაც კი, კულტურის განვითარებასთან ერთად, შრომა და კაპიტალი ერთმანეთისაგან განშორებულგათიშული აღმოჩნდენ, მაშინ ფასის შედგენილობაში უნდა შესულიყო კიდევ კაპიტალის მოგებაც, როგორც საჩუქარი ანუ ჯილდო წარმოებაში კაპიტალით სარგებლობის ნების დართვისათვის. მიწის კერძო საკუთრებათ გადაქცევის შემდეგ, ფასის შედგენილობაში შევიდა რენტაც.

ნამდვილათ კი საქონლის ფასები, როგორც ვიცით, განისაზღვრება მისი ღირებულებით; საქონლის ღირებულება კი **განიყოფება** მუდმივი კაპიტალის ღირებულებათ (რასაც სმიტი სრულიად არც კი იხსენიებს), ცვალებადი კაპიტალის ღირებულებათ და ზედმეტ ღირებულებათ. სმიტი სრულიად ვერ ამჩნევს იმ განსაკუთრებით საყურადღებო გარემოებას, რომ სამუშაო ხელფასის გადიდებას თანასდევს მოგების შემცირება, რადგან ის ორივე ახლათ დამზადებულ ღირებულების ნაწილებს შეადგენს. სმიტის თვალსაზრისით, როცა სამუშაო ხელფასი მატულობს, ამით მხოლოდ საქონელის ფასები იზრდება, საშრომო ღირებულების თეორიით კი — მუშათა კლასის ნაწილის გაზრდა ნიშნავს არა ფასების გადიდებას,; არამედ სხვა კლასების ნაწილების დაპატარავებას.

სმიტის სამეცნიერო ღვაწლს შეადგენს, სხვათა შორის, მისი შეხედულება კონკურენციაზე, რომელიც ათანასწორებს მოგებასა და სამუშაო ხელფასს სხვა-და-სხვა დაწესებულებებში და წარმოების სხვა-და-სხვა დარგებში.

სამუშაო ხელფასის შესახებ სმიტი ამბობს, რომ მისი ცვლილებანი მუშების სახმარ საგნებზე ფასების ცვლილებაზეა დამოკიდებული.

მოგების შესახებ სმიტი იმ აზრისაა, რომ მოგების პროცენ-

ტი ნაციონალური სიმდიდრის ზრდასთან ერთად კლებულობსო. ამის მიზეზი, მისი აზრით, ისაა, რომ ამით ძლიერდება კონკურენცია კაპიტალისტებს შორის: კაპიტალები ისე ბევრი ჩნდებიან, რომ ძლივს-ძლივობით პოულობენ სამოქმედო ასპარეზს. ეს მოვლენა სისწორითაა აღნიშნული, მაგრამ მისი ახსნა-განმარტება კი, როგორც შემდეგში დავინახავთ, სავსებით მოკლებულია სიმართლეს.

კიდევ უფრო სუსტდება სმიტის გამოკვლევა მიწის რენტის შესახებ. რენტა, მისი აზრით ეს მიწით სარგებლობის ქირაა, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა მიწის მოთხოვნა აღემატება მიწოდებას.

ფული სმიტისათვის ისეთივე საქონელია, როგორც მრავალი სხვები. იგი „მხოლოდ სახალხო კაპიტალის მცირე, უმნიშვნელო და ისიც სრულიად გამოუსადეგარი ნაწილია...—უნაყოფო და მკვდარი კაპიტალია“. ეს თუ ასეა, მაშინ, აშკარაა, „სავაჭრო ბალანსს“ არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონია. უკანასკნელის ალაგას სმიტი აყენებს ყოველ-წლიურ წარმოებისა და მოხმარების ბალანსს. ქვეყანა მდიდრდება, თუ მეტ ღირებულებას ჰქმნის, ვინემ ხარჯავს, ხმარობს...

ამნაირათ **წარმოების გაზრდა-გაფართოვება** შეადგენს სახელმწიფოს გონივრულ ეკონომიურ პოლიტიკის მიზანს. მაგრამ სახელდობრ რანაირ პოლიტიკას შეუძლია გააადვილოს წარმოების განვითარება?

მფარველობის სისტემა არ ეხმარება წარმოების საერთო ზრდას, ის მხოლოდ აიძულებს კაპიტალისტებს თავისი კაპიტალები მრეწველობის ერთი დარგიდან მეორეში გადაიტანონ,—იმ დარგებიდან, რომლებიც მფარველობას მოკლებული არიან, იმ დარგებში, რომელნიც სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. აქ იცვლება მხოლოდ ნაციონალურ კაპიტალის წარმოების სხვა-და-სხვა დარგთა შორის განაწილება; კაპიტალის სიდიდეს კი ამით არაფერი ემატება. პირიქით, კაპიტალი ქვეყნისათვის ნაკლები სარგებლობის მომტანი ხდება, და აი, რატომ: როდესაც სახელმწიფო კაპიტალის მოქმედებაში არ ერევა, მაშინ ისინი იმ დარგებში ცდილობენ მოკალათებას, სადაც შრომა უფრო მეტად ნაყოფიერია, პროტექციონიზმი კი კა-

პიტალების ისეთი დარგებისაკენ მიერეკება, რომლებიც თავის-თავათ ნაკლებ შეეფერებიან ამ მხარეს და რომლებშიაც შრომა ნაკლებ ნაყოფიერია. ცვლისთვის ყველაზე უფრო გონივრული წესია: „იყიდე უიაფეს ბაზარზე და გაჰყიდე უძვირეს ბაზარზე“. პროტექციონიზმი საზღვრავს ამ მოქმედებას: ესა თუ ის მხარე იძულებულია იყიდოს მფარველობის ქვეშ მყოფი საქონელი არა იაფ, საზღვარგარეთულ ბაზარზე, არამედ უფრო ძვირათ, სამშობლოს მწარმოებლებისაგან.

გარდა ამისა, პროტექციონიზმი აჩენს ნაციათა შორის მხოლოდ მტრობასა და ბრძოლას, ვაჭრობა კი უნდა ჰქმნიდეს მეგობრობისა და ერთობის კავშირებს. (ინგლისის მანუფაქტურები მე-XVIII საუკუნის დამლევს საკმაოთ განვითარებული იყვნენ, თავისუფალი კონკურენციისა არ ეშინოდათ; სხვა სახელმწიფოების მფარველობითი პოლიტიკა კი ძლიერ ვნებდა ინგლისის მრეწველობას, რადგან ამით გარეშე ბაზრებსართმევდა მას).

მფარველობისა და შევიწროებისაგან სრული თავისუფალი მრეწველობა,—აი გონივრული, ბუნებრივი წეს-რიგი. სახელმწიფო უნდა საზღვრავდეს თავის მოქმედებას მტრის მოგერებით, მართლ-მსაჯულების შესრულებითა და, ამას გარდა, კიდევ ისეთი დაწესებულებათა შენახვით, რომელიც კერძო პირთა სამოქმედო ასპარეზის გარეშე იმყოფება (საავადმყოფოები, სკოლები, ღარიბთა თავშესაფრები და სხვ.). ასეთ პირობებში ცალკე პირთა პირადი ინტერესები მათს თავისუფალ მოღვაწეობის დროს გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანენ საზოგადოებას. სმიტის აზრით, როცა ადამიანები თავიანთ პირად ინტერესებს და ეგოიზმს აკმაყოფილებენ, შემდეგ უფრო უკეთ ემსახურებიან საზოგადო კეთილდღეობას, ვინემ მაშინ, როდესაც ისინი იმსჭვალებიან ალტრუისტული, უანგარო მისწრაფებებით.

პროტექციონიზმისადმი მტრობას სმიტი ცალმხრივობაში არ ჩაუგდია. როდესაც იგი დედუქციის ზოგად განყენებულ დებულებებიდან კონკრეტულ სინამდვილეს ეხება, სმიტი რამდენიმეთ საზღვრავს თავის დებულებებს. ასე, მაგალ., შეიარაღების საგნებზე და საზოგადოთ ყველაფერზე, რაც კი ჯარს აუცილებლად ესაჭიროება, სმიტი ბაჟების არ უარყოფს: ეს საგნები მხარემ უეჭველად თვითონ

უნდა დაამზადოს და არა უცხოელთაგან გამოიწეროს, თუგინდ იაფ ფასათაც დაუჯდესო; წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მხარე ომის დროს უმწეოთ დარჩესო. სმიტის აზრით, თავისუფალი ვაჭრობა თან-და-თანობით უნდა იქმნას შემოღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ბევრ კაპიტალისტს გააკოტრებსო.

სმიტის იდეალია — წარმოების უსაზღვრო ზრდა, და რადგან მას კაპიტალისტურ ურთიერთობათა გარეშე ეს ვერ წარმოუდგენია, ამიტომ მას კანონიერ და ბუნებრივ პირობებათ მიაჩნია ყველა ის, რაც ხელს უწყობს ამ ურთიერთობათა განვითარებას. მის დროს მის სამშობლოში ყველაზე უფრო საყურადღებო პირობათაგანი იყო ამ მხრივ ეკონომიური თავისუფლება, თავისუფლება კაპიტალისა, და ამიტომაც იგი მას „ბუნებრივ წესრიგათ“, საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმალურ წყობილებათ მიაჩნია.

სმიტის წარმოდგენით, თავისუფალი კონკურენციის „ბუნებრივი წესრიგი“, წარმოების განვითარებასთან ერთად, მოგვცემს „სამართლიან განაწილებასაც“. ეს თვისება შეადგენს, როგორც სმიტის, ისე მის წინაპართა საერთო კუთვნილებას: მათ ყველას ნაციონალური სიმდიდრის დაგროვება და ხალხის კეთილდღეობა ერთი და იგივე ჰგონიათ. ამ ორ ცნებათა შორის წინააღმდეგობის შესაძლებლობა იმ დროებაში ისე აშკარათ არ გამოსჭვიოდა, როგორც სამანქანო კაპიტალიზმის ხანაში გამოჩნდა. მაგრამ ძველმა ეკონომისტებმაც იცოდენ ასეთ წინააღმდეგობათა შემთხვევები: და რაღა გასაკვირველია, რომ ასეთ შემთხვევებში ეკონომისტები — როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგები — მზათ იყვნენ სამართლიანი განაწილება, ე. ი. მასსის ინტერესები, მსხვერპლათ შეეწირათ წარმოების გაფართოვების ინტერესებისათვის, ე. ი. კაპიტალისტთა ინტერესებისათვის. მაგ., ახალი დროის დასაწყისში ინგლისში ბევრგან მოხდა სათესავ ადგილების საბალახოებათ გადაქცევა და მათზე დასახლებულ ადამიანების გადარეკა ცხვრების გასაშენებლათ. ყველა ესენი ადამ სმიტს **ქვეყნისათვის** სასარგებლოთ მიაჩნია, ვინაიდან **წარმოებისათვის** ასეთი ღონისძიებანი სასარგებლო იყო.

როგორც კაპიტალიზმის სამანუფაქტურო საფეხურის ეკონომის-

ტი, სმიტი დიდ მნიშვნელობას აძლევს შრომის მანუფაქტურულ განაწილებას. შრომის ასეთი განაწილება მას ტეხნიკური პროგრესის უმთავრეს საშუალებათ მიაჩნია; მის თვალში მანქანები მხოლოდ მეორე-ხარისხოვან როლს თამაშობენ. მაგრამ იმავე დროს სმიტი აღნიშნავს შრომის ასეთი განაწილების მავნებელ მხარეებსაც: მუშის ორგანიზმის ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ დაცემასა და დაქვეითებას. სმიტი ფიქრობს,—თუ შრომის მანუფაქტურული განაწილება უკიდურესათ განვითარდა, მას შეუძლია მთელი ხალხის მასსა გონებრივათ დასჩლუნგოს, გამოაყრუოს, ამიტომ ეს არა-სასურველ მოვლენათ მიაჩნია. ამ მავნებლობის შესასუსტებ-შესამცირებლათ სმიტი თხოულობს, რომ ხალხის სწავლება სახელმწიფო ხარჯზე უნდა სწარმოებდესო, მაგრამ სწავლებაში იგი ურჩევს დიდი სიფრთხილე იხმარონ,—ზომაზე მეტი არ ასწავლონ, რადგან ხალხის ზომაზე მაღალი გონებრივი განვითარება ფრიათ საშიშარიაო.

ადამ სმიტის მოძღვრებით თავდება მანუფაქტურულ-ბურჟუაზიულ ხანის ეკონომიური მეცნიერების განვითარება.

## 6. განვითარების ძალები და მათი მიმართულება სამრეწველო კაპიტალიზმის პირველ ხანებში.

სამანუფაქტურო ხანაში ეკონომიურათ უფრო პროგრესიულ კლასს შეადგენდა მრეწველი ბურჟუაზია. განვითარების ძირითად, მამოძრავებელ ძალას წინანდებურათ წარმოადგენს კონკურენცია და იმისი ფსიხოლოგიური შედეგი—მისწრაფება უზომოთ დაგროვებისა და თავის სამრეწველოს უსაზღვრო გაფართოვებისადმი.

ახლა განვიხილოთ, როგორ მოქმედებენ განვითარების ეს ძალები თვითოეულ სამრეწველო ფარგლებში და რა სახეს იღებენ სამრეწველოთა საურთიერთო დამოკიდებულებაში? რადგანაც საზოგადოებრივ განაწილებაში კაპიტალისტის წილს ზედმეტი ღირებულება შეადგენს, ამიტომ წარმოების მოწყობის დროს კაპიტალისტი ცდილობს თავის დაწესებულებიდან, რაც შეიძლება, დიდი ზედმეტი ღირებულება მიიღოს.

ზედმეტი ღირებულების სიდიდე ცალკე სამრეწველო დაწესებულებაში დამოკიდებულია ორი პირობისაგან: თვითოეულ მუშის-მიერ შექმნილ ღირებულების სიდიდისაგან და მუშების რიცხვისაგან. როდესაც კაპიტალისტი ერთსა ან მეორეს უმატებს, ამით იგი ზრდის ამ დაწესებულებაში ზედმეტი ღირებულების საერთო ჯამს.

ვთქვათ, აუცილებელი სამუშაო დრო--5 საათს უდრის, და ზედმეტიც აგრეთვე 5 საათია. ყველაზე მარტივი ღონისძიება იმ ზედმეტი ღირებულების გასადიდებლათ, რომელსაც თვითოეული მუშა ქმნის, იმაში მდგომარეობს, რომ გადიდდეს ზედმეტი სამუშაო დრო, ე. ი. სამუშაო დღე გრძელდება. თუ სამუშაო დღე ათი საათის ნაცვლათ 12 საათი გახდება, მაშინ ზედმეტი ღირებულება იქნება არა 5 საათისა, არამედ 7 საათის ყოველდღიური შრომა; მისი სიდიდე გაიზრდება 1,4-ჯერ (ზედმეტი ღირებულების ნორმა, წინანდელ 100% მაგიერ, 140% გახდება). მაგრამ სამუშაო დღის ასეთ გადიდებასაც თავისი საზღვარი აქვს. დღე-და-ღამეში 24 საათზე მეტი სამუშაო დღის შემოღება ფიზიკურათ შეუძლებელია. ამას გარდა, მუშის ორგანიზმი ვერ უძლებს მეტათ ხანგრძლივ შრომას: მუშაობა ცუდათ მიდის, მისი ინტენსივობა კლებულობს. მეტათ ხანგრძლივი სამუშაო დღე შეიძლება ნაკლებ სასარგებლო დარჩეს კაპიტალისტისათვის, ვინემ უფრო მოკლე; მაგ., 15-საათიან დღეს ნაკლები სარგებლობა მოაქვს, ვინემ 12-საათიანს, თუ მუშაობა პირველ შემთხვევაში, ე. ი. 15 საათის მუშაობის დროს, $1^1/_2$-ჯერ ნაკლებ ინტენსიურია. დაბოლოს, თვითონ მუშებიც ეწინაალმდეგებიან სამუშაო დღის უზომოთ გაგრძელებას და კაპიტალისტებს ენერგიულ ბრძოლას უცხადებენ.

სამუშაო დღის პირდაპირ გაგრძელების გარდა, წარმოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ჩნდება ფარულათ სამუშაო დღის გაგრძელება. ეს ხერხი ყველაზე უმალ გამოყენებული იქმნა მიწათმოქმედებაში. როდესაც ფეოდალმა მოინდომა თა-

ვის საკუთარ მეურნეობის გაფართოვება და ამ მიზნით მიისაკუთრა მისგან დამოუკიდებელ გლეხების მიწა-წყალი, მაშინ აღმოჩნდა, რომ გლეხების სრულიად უმიწა-წყლოთ დატოვება თვითონ ფეოდალისთვისაც სახიფათო იყო. უმიწა-წყლოთ დარჩენილი გლეხები ქალაქებში გაეშურენ, რადგან მათ სოფელთან უკვე აღარაფერი აკავშირებდათ; შესაძლებელი იყო, მემამულე სულ უმუშახელოთ დარჩენილიყო. ამ ხიფათისაგან თავის დასაღწევათ მიწის პატრონები გლეხების განკარგულებაში სტოვებენ მცირე ნაჭერ მიწებს მათზე აგებული შენობებიანათ, მაგრამ ამ მიწების ზომა ისეთი მცირე იყო, რომ მათ მფლობელებს (ინგლისელ „კოტტეჯერებს" ანუ გერმანელ „კოსსეტებს") მათზე დაწყებულ მეურნეობიდან შეეძლოთ მხოლოდ საცხოვრებელ საშუალებათა ძლიერ მცირე ნაწილი მიეღოთ და, მაშასადამე, იძულებული იყვენ თავის სამუშაო ძალა მეზობელ მემამულეთათვის მიექირავებიათ. ასეთ პირობებში დამქირავებელი აძლევს გლეხს, სამუშაო ხელფასის სახით, სამუშაო ძალის არა მთელს ღირებულებას, არამედ ნაკლებს, საერთოთ—იმდენს, რომ სამუშაო ხელფასმა და მის საკუთარ მეურნეობიდან შემოსავალმა ერთათ გლეხს მისცეს ცხოვრებისათვის აუცილებელი საჭირო საშუალებანი.

მსხვილ წარმოების განვითარების პირვანდელ საფეხურზე სწორეთ ასეთსავე ღონისძიებას ხმარობდენ დამმუშავებელ მრეწველობაში: მუშებს ეძლეოდათ დასამუშავებლათ თითო-ოროლა მცირე ნაკვეთი მიწები, რომლებზედაც მხოლოდ პატარ-პატარა ბოსტნები თუ გაშენდებოდა. აქაც მონაკვეთი მიწის შემოსავალი სამუშაო ხელფასს აკლდებოდა: ამისთვის რამდენიმეს ნამუშევარის ფასებს აკლებენ, რამდენიმეს კი პირდაპირ უქვითავენ ხელფასიდან ბაღჩით სარგებლობის ღირებულებას.

ორივე შემთხვევის შედეგი ერთი და იგივეა: სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობას ემატება ყველა ის საათები, რომელსაც მუშა-მიწათმოქმედი თავის ნაჭერ მიწის დამუშავებას ანდომებს. იმავე დროს, მშრომელთა სასიცოცხლო ძა-

ლების უკიდურესათ გამოფიტვა და დაძაბუნება აუცილებელი ხდება; მაგრამ მუშა მაინც მიკრულია ერთ ალაგას იმ მაგნიტურ მიმზიდველობის ძალით, რომელიც აქვს მისთვის ამ მოჩვენებულს საკუთარ მეურნეობას.

არსებითათ ასეთი ეკონომიური შედეგები მოჰყვა ბატონყმობის მოსპობის შემდეგ გლეხისთვის „ნადელების" მიცემას. ეს „ნადელები" იმდენათ მცირეა, რომ პატრონებს ვერც გამოკვებავენ და არც მფლობელის მთელი სამუშაო ძალის დახარჯვაა საჭირო მათდა დასამუშავებლათ. ამიტომ გლეხები იძულებული არიან ან პირდაპირ მიყიდონ თავისი სამუშაო ძალა მეზობელ მემამულეებს, ან-და იჯარით აიღონ მისგან ახალი ნაჭერი მიწა. ამასთან, იჯარის პირობები ისეთია, რომ სულ მცირე დაკვირვებითაც კი შეატყობთ, რომ ეს არის მხოლოდ ნიღაბ-აფარებული გაყიდვა სამუშაო ძალისა: იჯარით აღებული მიწა აძლევს გლეხს მხოლოდ იმდენს, რომ საკუთარ მიწის შემოსავალთან ერთათ ცხოვრებისთვის აუცილებელ საშუალებათა ღირებულება შეადგინოს. მსხვილი მემამულეები თავიანთ მიწას აძლევენ იჯარით წვრილ-წვრილ ნაჭრებათ და ზედ არ მართავენ საკუთარ მსხვილ მოსახლეობას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იჯარიდან გაცილებით მეტს იღებენ, ვინემ საკუთარ წარმოების ხარჯების გაღება მისცემდა. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რამდენათ საძნელოა და შემაწუხებელი გლეხისთვის ასეთი მდგომარეობა, რომელიც მის საქირაო მუშებში გადასვლის საშუალო საფეხურს წარმოადგენს.

ეს სისტემა სასარგებლოა მიწათმფლობელისათვის მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შრომის ინტენსივობის მომატება აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს და სანამ შრომის თვისება-ღირსებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ იგი დროთა მიმდინარეობაში თან-და-თან ჰქრება ჯერ დამმუშავებელ მრეწველობაში, რომელიც უფრო ჩქარა ვითარდება, და შემდეგ კი - მიწათმოქმედებაშიაც (სადაც მას ჩვენს დრომდეც კი შერჩენია საკმაო სიცხოველე).

კაპიტალისტისათვის შრომის ინტენსივობის ამატებას თითქმის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სამუშაო დღის გაგრძელებას; მხოლოდ ამით ხდება შესაძლებელი მეტი საშრომო ენერგიის დახარჯვა და ნაკლები ხელფასისა სამუშაო საათების განმავლობაში. ათ-საათიან დღის თერთმეტ-საათიანათ გადაქცევას, ან შრომის ინტენსივობის $^1/_{10}$-ით მომატებას, კაპიტალისტისათვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ წვრილმან ანგარიშებს, როგორიც არის, მაგ., ის, რომ უფრო მოკლე დღის განმავლობაში ნაკლები წავა სახელოსნოს გათბობაზე, განათებაზე და სხვ... შრომის ინტენსივობის მომატებისათვის ჩვეულებრივ საშუალებას შეადგენს, როგორც ნათქვამი იყო, ნაჭრობით მუშაობა. კაპიტალიზმის პირველ საფეხურებზე ზედ-მეტი ღირებულების გასადიდებლათ ასეთი საშუალება, შედარებით, მცირე როლს თამაშობდა, იმიტომ, რომ შრომის ინტენსივობა შეუძლებელია მაშინ, როცა სამუშაო დღის გაგრძელებას დიდი გასავალი აქვს, და კიდევ იმიტომაც, რომ იმ დროს მუშათა კლასის განვითარება ძლიერ დაბლა იდგა: მუშები ცუდათ იკვებებოდენ და, საზოგადოთ, ნაკლები მოთხოვნილებანი ქონდათ, ამიტომ შრომის მაღალი ინტენსივობაც შეუძლებელი იყო.

როდესაც სამუშაო დღე უცვლელი რჩება, ხოლო აუცილებელი სამუშაო დრო კი კლებულობს, ამით, ცხადია, იზრდება ზედმეტი დრო და ზედმეტი ღირებულებაც. მაგ., თუ თორმეტ-საათიან დღეში აუცილებელი დრო 6-დან 5 საათზე ჩამოდის, მაშინ ზედმეტი დრო 6-ს მაგიერ 7 საათი გახდება.

მაგრამ რა საშუალებით შეიძლება აუცილებელი სამუშაო დროს შემცირება? ცხადია, სამუშაო ძალის ღირებულების შემცირებით: რამდენათაც ეს ღირებულება ნაკლებია, იმდენათ ნაკლები დრო უნდა მისს ანაზღაურებას.

სამუშაო ძალის ღირებულება არის მუშისთვის აუცილებელ საცხოვრებელ საშუალებათა ღირებულება, საზოგადო-საშრომო ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა საცხოვ-

რებელ საშუალებათა დასამზადებლათ. როდესაც ეს საშუალებანი—პური, ხორცი, ბამბის ქსოვილები და სხვ.—წინანდელზე ნაკლებ საშრომო ენერგიის დახარჯვით შეიძლება შევიძინოთ, როდესაც, მაშასადამე, მატულობს შრომის ნაყოფიერება მიწათმოქმედებაში, ბამბეულობის წარმოებაში და სხვაგან, მაშინ სამუშაო ძალის ღირებულებაც ძირს იწევს, მცირდება.

მაგალითათ, თუ მუშისთვის მოსახმარ საჭირო საგნების ღირებულება ერთის დღის განმავლობაში წინათ 5 საათი ღირდა, შემდეგ კი, წარმოების წესების განვითარების გამო, 4 საათზე ჩამოვა, მაშინ ათ-საათიან დღეში ზედმეტ სამუშაო დროს ემატება ერთი საათი—5-ს მაგიერ 6 საათი ხდება, და ზედმეტი ღირებულების ნორმაც 100°/₀-დან 150°/₀-მდე ადის. ამასთან, მუშის ფულებრივ ხელფასსაც შესაფერათ აკლდება, მაგ., ათ შაურიდან ორ აბაზზე ჩამოდის, მაგრამ ამ ფულით მას შეუძლია თავის აუცილებელ-სახმარებლათ იმდენივე საგნები იყიდოს, რამდენიც წინეთ.

თუ ნაკლებ განვითარებულ თვალსაზრისს ავიღებთ, დავინახავთ, რომ ეს ფულებრივი ხელფასის დაკლება რამდენიმეთ საზარალოცაა მუშებისათვის. როდესაც ცალკე მუშას უჩნდება რაიმე უფრო მაღალი მოთხოვნილებანი, რომლებიც ჯერ მასსას არ გასჩენია, მაგ., რიგიანი და საკმაოთ ძვირფასი ტანისამოსი, ან გაზეთის კითხვის მოთხოვნილება და მრავ. სხვ., მაშინ ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მუშა იძულებულია აუცილებელი საგნები მოიკლოს, ხელმომჭირნეობა გასწიოს და დანაზოგით ახალი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ხოლო როდესაც აუცილებელი საგნები უფრო ძვირათ ფასობს, მაშინ უფრო ადვილია ცოტა საგნების დაკლებით მეტი დანაზოგი შეკრიბოს, ვინემ მაშინ, როდესაც ისინი ძლიერ იაფათ იყიდებიან.

როდესაც მუშების სახმარ საგნების წარმოებაში იზრდება შრომის ნაყოფიერება, მაშინ ზედმეტი ღირებულება ერთბაშათ იზრდება **ყველა კაპიტალისტებისათვის** ამა თუ იმ საზოგადოებაში. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში თვითოეულ ცალკე

კაპიტალისტსაც შეუძლია, დანარჩენების დამოუკიდებლათ, შეამოკლოს თავის დაწესებულებაში აუცილებელი დრო, და ამგვარათ გაადიდოს ზედმეტი დრო. ეს ხდება მაშინ, როდესაც კაპიტალისტი ახერხებს თავის დაწესებულებებში შრომის ისე მაღალ-განაყოფიერებას, რომელიც აღემატება შრომის ჩვეულებრივ ნაყოფიერებას წარმოების ამ დარგში. მაგ., კაპიტალისტი აწესებს შრომის გაცილებით უფრო მეტს განაწილებას, ვინემ სხვა ასეთ დაწესებულებებში არსებობს. ვთქვათ, ეს დანების ფაბრიკანტია და მისი ტეხნიკური გაუმჯობესება ორჯერ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას: ამ კაპიტალისტისათვის დანის ღირებულებას, 4 საათის მაგივრათ, 2 საათი შეადგენს. რადგან დანარჩენმა ფაბრიკანტებმა ზოგმა ვერ მოასწრო, ზოგმა კი, კაპიტალის უქონლობის გამო, ვერ მოახერხა ასეთივე გაუმჯობესების შემოღება, ამიტომ დანის **საზოგადოებრივი** ღირებულება უწინდებურათ 4 საათია. ვთქვათ, სამუშაო დღე გრძელდება 12 საათს, საშუალო ძალის ღირებულება 6 საათს უდრის, და თან თვითოეული საათი, ვთქვათ, ეთანასწორება ორ შაურს. ამნაირათ, წინათ თვითოეული მუშა დღეში აკეთებდა სამ დანას: დანის ფასი (ვიგულისხმოთ, რომ თითო დანა იყიდებოდა ღირებულების თანახმათ) ორი აბაზი იყო და ამით სამი აბაზის ცვალებად კაპიტალს მოჰქონდა კაპიტალისტის სასარგებლოთ სამი აბაზის ზედმეტი ღირებულება. ეხლა კი, შრომის განაყოფიერების შემდეგ, თვითოეული მუშა დღეში გააკეთებს 6 დანას, რომელიც წინანდებურათ თითო ორ აბაზათ გაიყიდება, რადგან დანების საზოგადოებრივი ღირებულება წინანდელს აქეთ არ შეცვლილა, ექვსი ცალი დანა ეღირება 12 აბაზათ, ამისი ცვალებადი კაპიტალიც სამი აბაზია. ამნაირათ, მრეწველის სასარგებლოთ რჩება 9 აბაზი. აუცილებელი დრო ამ დაწესებულებაში უდრის 3 საათს, 6 საათის ნაცვლათ; ზედმეტი ღირებულემის ნორმა $300\%$-ია $100\%$-ის ნაცვლათ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ნამდვილათ კაპიტალისტი გაყიდის თავის დანებს არა საბაზრო საშუალო ფასათ, არამედ რამდენიმეთ ამა-

ზე ნაკლებათ, იმიტომ, რომ უფრო მალე და უკეთესათ გაასაღოს თავისი საქონელი. ეს მათ უმეტეს აუცილებელია, რომ, რაკი მრეწველი წინანდელზე ნაკლებს ხარჯავს დანების გაკეთებაზე, ცხადია, გააფართოვებს კიდეც მის წარმოებას, და, მაშასადამე, ამით გაადიდებს დანების მიწოდებას ბაზარზე.

ამგვარათ, როდესაც ცალკე კაპიტალისტი ადიდებს თავის დაწესებულებაში შრომის ნაყოფიერებას, ამით ზედმეტი ღირებულების რაოდენობაც მატულობს ამ დაწესებულებაში. მაგრამ ამ მოვლენას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს. ნელნელა სხვა კაპიტალისტებსაც შემოაქვთ თავის დაწესებულებებში ისეთივე ტეხნიკური გაუმჯობესებანი,—ამ შემთხვევაში —შრომის ისეთივე განაწილება; ვისაც საამისოთ არ მოეპოვება საკმაო კაპიტალი, მისი წარმოება სრულიად ისპობა გაძლიერებულ, აუტანელ კონკურენციის გამო. დანების წარმოების ჩვეულებრივი წესი სრულიად შეცვლილი ხდება: ახლა დანის საწარმოებლათ **საზოგადოებრივ-აუცილებელი** დრო წინანდელზე ნაკლებია, სახელდობრ—2 საათი. დანების ფასი კლებულობს, თვითოეულ ცალკე კაპიტალისტის მოგება, და მათ რიცხვში იმისიც, რომელმაც ყველაზე ადრე შემოიღო გაუმჯობესებული ტეხნიკა, მცირდება და ჩვეულებრივ ნორმამდე ჩამოდის, ხან კი უფრო დაბლაც ეცემა. (ნამდვილათ კი, როგორც ქვევით იქნება ახსნილი, ხდება სწორეთ ეს უკანასკნელი).

მაშასადამე, თვითოეულ კაპიტალისტისათვის ცალკე დიდათ სასარგებლოა თავის დაწესებულებაში ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოღება, მაგრამ კაპიტალისტთა მთელი კლასისათვის კი ეს გაუმჯობესებანი აგრე რიგათ სასარგებლო როდია, იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს ამას ღირებულების დაკლება და საქონლის ფასების დაცემა მოყვება.

კაპიტალისტი თავის მუშების-მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას სხვა-და-სხვა გზით უმეტებს და ამით ზრდის თავის მოგებას, რაც მისთვის განსაკუთრებით ყურადღების ღირსია. მაგრამ ამას გარდაც არსებობს მრავალი საშუალება, რომელ-

თა დახმარებითაც კაპიტალისტს შეუძლია ჩვეულებრივზე მეტი მოგება ნახოს, ზედმეტი ღირებულების რაოდენობის დამოუკიდებლათ, მის გაუდიდებლათ. ერთი ასეთი საშუალებათაგანია — მუდმივ და ცვალებად კაპიტალების არა-ჩვეულებრივათ დაზოგვა.

როცა სახელოსნოს აგების დროს კაპიტალისტი არა-ჩვეულებრივ ეკონომიას იჩენს შენობის ზომა-სიდიდეში, ასე რომ, მუშები მუდამ შევიწროვებულათ ცხოვრობენ; როცა იგი, რაც შეიძლება, მეტათ ამცირებს სახელოსნოს გათბობისა, განათებისა, ვენტილიაციისა და საჰიგიენო მოწყობილობათა ხარჯებს; როცა ის იქამდე ამუშავებს ერთსა და იმავე იარაღებს, სანამ ისინი ძალაზე არ გაფუჭდებიან და მუშებისათვის ძლიერ საშიშო არ გახდებიან, — ყველა ეს არის ჩვეულებრივზე გადამეტებული დაზოგვა მუდმივი კაპიტალისა. მცირდება ხარჯების საერთო რაოდენობა, მცირდება ის კაპიტალიც, რომელსაც მოგება მოაქვს, და მატულობს, მაშასადამე, მოგების პროცენტი, თუმცა ზედმეტი შრომის ჯამი სამრეწველო დაწესებულებაში არ შეცვლილა.

ამას არ მიეთვლება ის შემთხვევები, როდესაც რომელსამე დაწესებულებაში უფრო მეტათ შესაძლებელი ხდება წარმოების სხვა-და-სხვა „ნარჩენ-ნაყარების" გამოყენება, ვინემ სხვებში. ეს მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდებაა, ვინაიდან წარმოებაში გამომდგარი „ნაყარები" მხოლოდ ზედმეტი ნაწარმოების წარმოებისათვის, რაც ყველაზე ცხადათაა სჩანს, როცა კაპიტალისტი ყიდის მათ.

როდესაც მწარმოებელი ყიდულობს სამუშაო ძალას მის საზოგადო ღირებულებაზე ნაკლებ, ეს არის ცვალებადი კაპიტალის ჩვეულებრივზე გადამეტებული დაზოგვა.

აქაც ინდივიდუალური მოგება იზრდება, თუმცა ზედმეტი ღირებულების ჯამი კი არ იცვლება. (რადგან ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს მუშათა საშრომო ენერგიის იმაზე მეტის დახარჯვას, ვინემ საჭიროა მის სამუშაო ძალთა **საზო-**

**გადოებრივ** ღირებულების აღსადგენათ; ღირებულება კი ისევ უწინდელი რჩება).

ასეთია, საზოგადოთ, ის ზომები, რომელთა შემოღებაც ზრდის მოგებას წარმოების **მუშა ძალთა რიცხვის შეუცვლელათ.** როცა მუშათა რიცხვს ემატება, მაშინ ცხადია, რომ შესაფერათ ემატება ზედმეტ ღირებულებას და ამასთან კი მოგებასაც: 200 მუშისაგან ზედმეტი ღირებულება ორჯერ მეტია, ვინემ 100-საგან და სხვ.

მუშების დიდ რიცხვს კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის ხელს უწყობს შრომის განაწილების განვითარებას, და, მაშასადამე, მისი ნაყოფიერების ზრდას; უკანასკნელი კი, როგორც ნაჩვენები იყო, იწვევს ზედმეტი ღირებულების დროებით ან მუდმივ ზრდას.

მუშაობის ინტენსივობის მომატებით, ან და სამუშაო დღის გაგრძელებით, ზედმეტი შრომის გადიდებას თავისი საზღვრები აქვს—ადამიანის ორგანიზმში (აგებულებაში), ხოლო ზოგიერთ პირობებში კი—მუშის წინააღმდეგობაში.

სამრეწველო დაწესებულებაში შრომის ნაყოფიერების გადიდება, საერთოთ, დამოკიდებულია იმ დროის ტეხნიკისა და ცოდნათა საერთო მდგომარეობაზე. შეუძლებელია ისეთი გაუმჯობესების შეტანა წარმოებაში, რომელიც ჯერ გამოგონებული არაა.

არა-ჩვეულებრივი, გადამეტებული დაზოგვა კაპიტალისა— „არა-ჩვეულებრივი ექსპლოატაცია"—შესაძლებელია მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც სუსტია მუშების წინააღმდეგობა.

მოგების გასადიდებლათ თითქმის უსაზღვროთ შეიძლება იმ საშუალებით სარგებლობა, რომელიც მდგომარეობს მუშათა რიცხვის გადიდებაში, თუ შესაფერათ იქნება გაფართოვებული თვით წარმოებაც: ამას აბრკოლებს მხოლოდ საქონლის მოთხოვნის ნაკლებობა, ან-და საქმის გაფართოვებისათვის საჭირო კაპიტალის უქონლობა.

სამრეწველო დაწესებულების ყოველგვარი გაფართოვება

**კაპიტალისტური დაგროვების** მეოხებით ხდება. ეს დაგროვება მდგომარეობს იმაში, რომ თავის მოგების ნაწილს კაპიტალისტი ხარჯავს არა თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, არამედ უმატებს წინანდელ კაპიტალს,—ყიდულობს ახალ იარაღებს, მასალებსა და სამუშაო ძალას. ასეთი დაგროვება აუცილებელია, საქმის **უბრალო** გაფართოვების გარდა, სხვა შემთხვევებშიაც, მაგ., როცა უნდათ გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, ან ტეხნიკური გაუმჯობესება; სამუშაო დღის გაგრძელებაც კი ადიდებს ხარჯებს მასალებსა და იარაღებზე და, მაშასადამე, იწვევს დაგროვებას.

ამ შემთხვევაში შეიძლება დაგროვება არც კი მოხდეს: კაპიტალი იზოგება სამუშაო ძალის ღირებულების დაზოგვით, ხოლო ასეთი დაზოგვა კი, ზოგიერთ შემთხვევაში, ასწორებს მუდმივ კაპიტალის ზედმეტ ხარჯებს. სწორედ ამნაირათვე შეიძლება „არაჩვეულებრივ დაზოგვის“ დროსაც მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის მოგების გადიდება კაპიტალისტური დაგროვების გარეშეც. მაგრამ ყველა ეს მხოლოდ გამონაკლი შემთხვევებია.

კაპიტალისტური დაგროვება უნდა სასტიკათ გარჩეულ იქმნას უბრალო პირველ-დაწყებითი დაგროვებისაგან, რომელიც მდგომარეობს არა დაწესებულებათა გაფართოებაში, არამედ ფულისთვის ფულის მიმატებაში.

კაპიტალიზმის ეპოქაში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კაპიტალისტურ დაგროვებას; პირველ-დაწყებითი დაგროვება კი არა თუ უმნიშვნელო ხდება თავის რაოდენობით, არამედ ფაქტიურათ კაპიტალისტურ დაგროვებათ იქცევა. მართლაც-და, ვთქვათ, რომ თავდაპირველათ დაგროვილი კაპიტალების ჯამი მთელ საზოგადოებაში შეადგენს ერთ მილიარდ მანათს; ამ ფულით გაიმართა კაპიტალისტური წარმოება, რომელიც წელიწადში 100 მილიონის ზედმეტ ღირებულებას იძლევა. ანგარიშების გასაადვილებლათ, ვთქვათ, რომ კაპიტალისტები სავსებით ხარჯავენ ზედმეტ ნაწარმოებს. ასეთ შემთხვევაში მეორე წელიწადს კაპიტალი ისევ მილიარდი დარჩება, მაგრამ თავდა-

პირველ დანაგროვებიდან დარჩება მხოლოდ 900 მილიონი, დანარჩენი ასი მილიონი კი კაპიტალისტებმა უკვე დახარჯეს საარსებო საშუალებებზე და საფუფუნო საგნებზე, ხოლო ეს ასი მილიონი კი ზედმეტი ღირებულებიდან შეავსეს. შემდეგ წელიწადს თავდაპირველ დანაგროვებიდან დარჩება 800 მილიონი, ხოლო 200 მილიონი კი შეადგენს კაპიტალისტურათ დაგროვებულ ზედმეტ ღირებულებას, და ასე ამგვარათ, ათის წლის შემდეგ თავდაპირველათ დანაგროვები უკანასკნელი გროშიც გაქრება, და მთელი კაპიტალი 10 წლის განმავლობაში მოგროვებულ ზედმეტი ღირებულებისგან იქნება შემდგარი.

მაშასადამე, თვითოეული კაპიტალი, რა გზითაც უნდა იყოს ის თავდაპირველათ დაგროვებული, თითქმის სრულიად შეუცდომლათ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოგროვებული ზედმეტი ღირებულება. როგორც ახსნილი იყო, თვით თავდაპირველი დაგროვებაც, უმთავრეს ნაწილათ, ზედმეტი შრომის მითვისებით ხდებოდა (ბატონ-ყმობა, მონობა და სხვ.); დაზოგვა, რომელსაც მშრომლები ეწევოდენ თავის სასარგებლოთ, აქ ძლიერ მცირე, სულ უმნიშვნელო როლს თამაშობდა. აი, აქედანა ჩანს, თუ რა ფასი ჰქონია ძველი ეკონომისტების აზრს, რომელიც ამბობს: კაპიტალი პირადის დაზოგვისაგან წარმოსდგებაო.

ამნაირათ, ელტვის-რა, საზოგადოთ, დაგროვებასა და თავის ფულებრივი ძალის გადიდებას, კაპიტალისტი ბუნებრივ აუცილებლობით ადგება კაპიტალისტურ დაგროვებისა და ასე თავის დაწესებულების გაფართოვების გზას, ამიტომ სრულიადაც არა შურს ახალ-ახალი ხარჯების გაღება მოგებული ფულიდან.

მაგრამ ფულის მოგროვების წყურვილს რომ ქონდეს კიდეც თავისი საზღვარი, რომლის იქითაც ის არ აიძულებდეს დაწესებულების გაფართოვებას და მის ტეხნიკურათ განვითარებას, ასეთ შემთხვევაშიაც კი პირდაპირი კონკურენცია აიძულებდა მას და საზღვარს იქით გადაიყვანდა.

კონკურენცია სამრეწველო დაწესებულებათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ თვითოეული მათგანი ცდილობს სხვებს ბაზარი წაართვას. ეს ბრძოლის საშუალებით საქონლის ფასების დაკლებაა და თვით საქონლების თვისება-ღირსების გაუმჯობესება. ამ ბრძოლაში მსხვილი დაწესებულებანი უფრო ძლიერია და დიდის უპირატესობით სარგებლობენ წვრილებთან შედარებით. მსხვილ დაწესებულებებში შრომის ნაყოფიერება, საზოგადოთ, უფრო დიდია, ვინაიდან იქ უფრო განვითარებულია თანამშრომლობა და შრომის განაწილება (თუნდაც რომ უფრო წვრილ ტეხნიკურ უპირატესობებზედაც არაფერი ვთქვათ, მაგ.,—შედარებით ნაკლები ხარჯები სახელოსნოზე, იარაღებზე, საქონლის გადატანაზე და სხვ.). აქ უფრო ჩქარა ხდება კაპიტალის დაგროვება, მაშასადამე, სხვა-და-სხვა ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოღება და გამოყენებაც უფრო ადვილია. მსხვილ მანუფაქტურებს უფრო ეადვილებათ წარმოების გაფართოვება კიდევ იმიტომაც, რომ შრომის მანუფაქტურულათ განაწილების გამო მრეწველი იძულებულია ერთბაშათ ახალი მუშების მთელი ჯგუფი დაიქირაოს (სამანუფაქტურო ჯგუფები) და, რასაკვირველია, 20—30 ასეთ ჯგუფთაგან შემდგარ დაწესებულებას უფრო ადვილათ შეუძლია ერთი ახალი შეიმატოს, ვინემ იმ დაწესებულებას, რომელიც 2—3 ასეთ ჯგუფისაგან არის შემდგარი.

ბაზრის დაპყრობაც მსხვილ დაწესებულებებს უფრო ადვილათ შეუძლიათ, რადგან ისინი ადვილათ იტანენ ფასების რამდენიმეთ დაკლებას. წვრილი კაპიტალისტი კი, რომელსაც, შესაძლებელია, თვითონაც ძლივს ყოფნის თავისი შემოსავალი, მოკლე ხნობით ფასების დაცემის გამოთაც კი ძლიერ ხშირათ ღატაკდება, ხოლო ხანგრძლივი ხომ უსათუოთ ღუპას მას. მსხვილი კაპიტალისტი კი ჩვეულებრივ თავის მოთხოვნილებებზე ხარჯავს მხოლოდ თავის მოგების მცირეოდენ ნაწილს, ხოლო დანარჩენი საქმის გაფართოვებაზე მიდის; ფასების დაცემის დროს ასეთი კაპიტალისტი მხოლოდ თავს ანებებს

დაწესებულების გაფართოებას და, ზარალიც რომ მოუვიდეს, შედარებით, წვრილსავით სწრაფათ მაინც არ გაკოტრდება.

წვრილი კაპიტალისტები ვერ უძლებენ კონკურენციას და იძულებული ხდებიან გაყიდონ თავიანთი სახელოსნოები და იარაღები, რის გამოც სრულიად კარგავენ ორგანიზატორულ როლს საზოგადოებრივ წარმოებაში. მსხვილი კაპიტალისტები კი იძენენ წინეთ წვრილების ხელში ნამყოფ საწარმოვო საშუალებებს, და ამნაირათ თან-და-თან აგროვებენ თავიანთ ხელში დიდ კაპიტალებს.

კაპიტალთა ცენტრალიზაციის ეს პროცესი აუცილებელი შედეგია კაპიტალისტური კონკურენციისა; თავის-თავათ ის ცდილობს შეამციროს დაწესებულებათა რიცხვი. მაგრამ სამრეწველო კაპიტალიზმის ადრინდელ ხანაში ეს მოვლენა ისე აშკარათ არა სჩანს, რადგან წინაალმდეგის პროცესით არის დაჩრდილული: განუწყვეტლივ არსდება (თავდაპირველ დაგროვების შემწეობით, რასაკვირველია) ახალ-ახალი დაწესებულებანი.

ის, რაც აქა ვთქვით მსხვილ და წვრილ კაპიტალისტების შესახებ, რამდენადმე ითქმის აგრეთვე, როგორც მოხერხებულ და საქმის წარმოებაში გამოცდილ კაპიტალისტებზე, ისე პრაქტიკულად ნაკლებ გამოცდილ მწარმოებლებზედაც. პირველნი თავის კაპიტალიდან იმდენ ხეირს პოულობენ, თითქო მათი კაპიტალები უფრო მსხვილი იყოს; მაგრამ რამდენადაც საორგანიზატორო მოქმედება წარმოებაში დაქირავებულ სპეციალისტების ხელში გადადის, იმდენად საქმის ეს მხარე კარგავს თავის მნიშვნელობას.

კაპიტალისტის მისწრაფებაა--რაიმე საშუალებით გაადიდოს თვითოეულ ამა თუ იმ სამუშაო ძალისაგან მიღებული ზედმეტი ღირებულების რაოდენობა სამუშაო დღის გაგრძელებით, შრომის ინტენსივობის მომატებით, ცვალებად კაპიტალზე ჩვეულებრივზე მეტი ყაირათობითა და სხვ., რაიც სულ წინაალმდეგ მისწრაფებას იწვევს მუშების მხრივ: ამათ სურთ ცოტათი მაინც გაიუმჯობესონ თავისი მდგომარეობა, და ყოველ შემთხვევაში კი--არ დაანებონ მაინც თავისი ცხოვრების

მატერიალურ პირობების გაუარესება. ესაა—მამოძრავებელი ძალა განვითარებისა მრეწველ-კაპიტალისტურ საზოგადოებაში,—ძალა, რომელიც თავდაპირველათ წარმოიშვა კონკურენციის ფორმით სამუშაო ძალის თვითოეულ მყიდველთა და გამყიდველთა შორის. კაპიტალიზმის პირველ საფეხურებზე ამ განვითარების ფაქტორს პრაქტიკულათ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მუშები განვითარებით ჯერ კიდევ ძლიერ დაბლა დგანან და მათი მოქმედებაც უკიდურესათ დაქსაქსულია. ამ ფაქტორს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს სამანუფაქტურო ეპოქაში, ვინემ ცეხურ ორგანიზაციებში, სადაც ქარგლები ებრძოდენ ოსტატებს (მასტერებს) და ამ ბრძოლაში, თავის ორგანიზაციების შეოხებით, დიდის ერთსულოვნობით მოქმედებდენ.

ვასრულებთ-რა მანუფაქტურულ ეპოქის განვითარების მამოძრავებელ ძალთა შესწავლას, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: უმთავრესი მამოძრავებელი ძალა—კონკურენციაა სხვადა-სხვა სახით, და მისი ფსიხოლოგიური შედეგია—დაგროვების დაუშრეტელი წყურვილი, მიმართულება კი, რომელშიაც მოქმედებენ ეს მამოძრავებელი ძალები, ეკონომიურის მხრით ხასიათდება კაპიტალების ცენტრალიზაციით, შრომის განაწილების გაფართოებითა და თანამშრომლობით, ხოლო ტეხნიკურის მხრით კი—მომეტებულის ინტენსივობით, შრომის ხანგრძლივობითა და ნაყოფიერებით, აგრეთვე თვითოეული მუშ-ამსრულებელის მოქმედების, რაც შეიძლება, მეტათ **გამარტივებით** (შრომის მანუფაქტურულათ განაწილებით).

---

მანუფაქტურულ ხანის ისტორიულ დასაწყისათ ინგლისსა და ჰოლანდიაში ითვლება მე-XV—XVI საუკუნეები, სხვა ქვეყნებში კი ეს ხანა უფრო გვიან დაიწყო; ამ ხანის ისტორიულ დასასრულათ უნდა ჩაითვალოს დიდებულ გამოგონებათა ეპოქა—მე-XVIII საუკუნის დასასრული ინგლისში; სხვა ქვეყნებში სამანუფაქტურო კაპიტალიზმი უთმობს ალაგს სამანქა-

ნო კაპიტალიზმს გაცილებით უფრო გვიან: მე-XIX საუკუნის პირველ და მეორე მეოთხედებში.

## VII. სამრეწველო კაპიტალიზმი.

### ეპოქა მანქანურ წარმოებისა.

### 1. საზოგადოების დამოკიდებულება ბუნებასთან.

### ა) მანქანის წარმოშობა.

კაპიტალისტურ საზოგადოების შინაგან ურთიერთობათაგან გამომდინარეობს განუწყვეტელი მისწრაფება შრომის ნაყოფიერების ზრდა-განვითარებისადმი. მაგრამ მანუფაქტურულ ხანაში ეს მისწრაფება ბრკოლდება თვით მანუფაქტურულ ხანის საწარმოვო ძალთა თვისებებით. შრომა ამ ეპოქაში ხელით სრულდება, ადამიანის ფიზიკური ძალა უმთავრეს როლს თამაშობს წარმოებაში. და რადგან მას თავისი ვიწრო საზღვარი აქვს, ცხადია, შრომის ნაყოფიერებაც ძალიან დიდი ვერ გახდებოდა, სანამ იარაღების მამოძრავებელი პირდაპირ ადამიანის ხელი იქნებოდა.

მანუფაქტურა ანვითარებდა შრომის ნაყოფიერებას შრომის სულ უფრო და უფრო მეტის განაწილებით, რთულ სამუშაოთა სულ უბრალო, მარტივ ოპერაციებათ დაყოფით. ასეთ გამარტივებასთან ერთად, ცალკე მუშის მოქმედებაც თან-და-თან წმინდა მექანიკური, მანქანისებური ხდებოდა. აი, სწორეთ ამიტომ მანუფაქტურამ ხელით შრომის განვითარება უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა, ისე, რომ მეტი განაწილება შეუძლებელი იყო. ამასთანავე, სწორეთ ამ ცალკე სამუშაო ოპერაციების მექანიკური ხასიათისა და სიმარტივის გამო, შედარებით, ადვილი შეიქნა ამ ოპერაციების შესრულება მანქანებისათვის დაეკისრებიათ. ამნაირათ, გადააქცია-რა მუშა აღმასრულებელ მანქანათ, მანუფაქტურამ ამით მოამზადა ნიადაგი სამაგიერო მანქანის შემოსაღებათ. ხოლო როდესაც ბაზრის გაფართოვებამ წარმოების წესების შემდეგი განვითარება

მოითხოვა, მანუფაქტურამ კი მეტის მიცემა ვეღარ შესძლო, მაშინ ხელით შრომა მანქანურ შრომით შეიცვალა.

მანქანურ წარმოების უმთავრესი, განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მის დროს წარმოების აღმასრულებელ ოპერაციებს ასრულებს **არა ადამიანის ძალ-ღონე, არამედ ბუნების ძალები**; მუშის შრომა კი განისაზღვრება მხოლოდ გამგებლობით, მანქანის თვალ-ურის დევნებით, და **ამით ბევრში ძველ საორგანიზატორო შრომის ანალოგიას** (მსგავსებას) **წარმოადგენს.**

რადგან ბუნების ძალები უსაზღვროა, ამიტომ სამეცნიერო ცოდნათა პროგრესთან შრომის ნაყოფიერებაც შეუწყვეტლათ მატულობს და მის კიდევ უფრო ზრდას საზღვარი არ უჩანს.

მანქანის ისტორია სამანქანო კაპიტალიზმის ეპოქაზე გაცილებით უფრო ძველია. ჯერ კიდევ კლასიკური მონობის დროს იყო გამოგონებული წყალის წისქვილი და წყალის ამოსაქაჩავი მანქანები; საშუალო საუკუნეებში გაჩნდა ქარის წისქვილი, მანუფაქტურულ ხანაში კი ხშირათ ხმარობდენ მანქანებს ზოგიერთა ტლანქ და მოუხეშავ ოპერაციების შესასრულებლათ, რომელიც დიდ მექანიკურ ძალას თხოულობდა,— მაგ., მადნეულობის დამტვრევა, მაღაროებიდან წყალის ამოქაჩვა და სხვ... მაგრამ მანქანების საზოგადო მნიშვნელობა წარმოებაში, საერთოთ, ძლიერ მცირე იყო.

კაპიტალიზმის წინა-ეპოქაში მანქანების ხმარება მცირე იყო არა მარტო იმიტომ, რომ შესაფერი ტეხნიკური ცოდნა არ მოეპოვებოდათ და ცოტა მანქანებს იგონებდენ, ხოლო რასაც იგონებდენ, იმასაც მრავალ ნაკლულევანებით სავსეს. ხშირათ გამოგონებული მანქანებიც ვერ შედიოდენ წარმოებაში წმინდა საზოგადოებრივი ხელის-შემშლელ პირობების გამო. მარა ჯერ კიდევ მე XVII საუკუნეში გამოგონებულ იქმნა მექანიკური სართავი და საქსოვი დაზგები, რომლებიც, ხელით სამუშაო დაზგებთან შედარებით, დიდათ გაუმჯობესე-

ბული იყო, მაგრამ იმ დროებაში საშუალო საუკუნეების ხელოსანთა ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ძლიერი ეკონომიური ძალა ქონდათ და ამის შესაფერი პოლიტიკური მნიშვნელობაც. ეს ორგანიზაციები კი, ადვილ გასაგებ მიზეზთა გამო, უკიდურესი მტრები იყვენ იმისი, რომ ადამიანის ხელით მუშაობის ნაცვლათ მანქანით მუშაობა შემოეღოთ. საეკლესიო კორპორაციების გავლენით ბევრგან საქალაქო საბჭოებმაც გამოსცა დადგენილებანი, რომლებითაც კრძალავდენ მექანიკური დაზგების შემოღებას; ხალხი ამტვრევდა მანქანებს, გააფთრებული სდევნიდა გამომგონებლებს, — მაგათ ხელოსნებისა და მუშების ულუკმა-პუროთ დატოვება სურთო,

მაგრამ სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის გავლენით, ძველი ორგანიზაციები ინგრევიან, კარგავენ თავის ეკონომიურ ძალას და, მასთან ერთათ, პოლიტიკურ მნიშვნელობასა და ზნეობრივ ავტორიტეტსაც. ეკონომიურ ცხოვრებაში პირველ ადგილს იჭერენ ვაჭრები და მანუფაქტურისტები. ამათ კი მანქანებზე სულ სხვა შეხედულობა აქვთ. მანქანებისა ამათ სრულიად არ ეშინოდათ, როგორც ცეხურ ხელოსნებს; მათთვის ძვირფას საზოგადოებრივ წყობილების დანგრევას, იმათ არსებობის ეკონომიურ საფუძვლის გამოშლას ეს მანქანები ვერ შესძლებდა. პირიქით, მანქანები მათ მოგებას ჰპირდება, და ეს კი ყოვლათ ძლიერი და უძლეველი არგუმენტია მათდა სასარგებლოთ.

ამნაირათ, ეკონომიურმა განვითარებამ შეარყია, დაასუსტა და მოსპო მანქანის მოწინააღმდეგე ძალები, გაამაგრა და გაზარდა მისი მომხრე-ქომაგი ძალები და ამრიგათ ნიადაგი მოამზადა მანქანების შემოღებისა და გავრცელებისათვის.

მთელის ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებაში მანუფაქტურის ხანა აუცილებელი საფეხურია: წარმოდგენაც კი არ შეიძლება იმისა, თითქო მსხვილ სამანქანო წარმოებას შეეძლოს პირდაპირ ხელოსნური ტეხნიკიდან განვითარება. მაგრამ ზოგიერთ, — სხვებზე უფრო გვიან კაპიტალიზმის გზაზე

დამდგარ — საზოგადოებათა ისტორიაში, უფრო განვითარებულ საზოგადოებათა კულტურის ზეგავლენით, შესაძლებელია, კაპიტალიზმმა თითქმის სრულიად აუაროს გვერდი მანუფაქტურულ სტადიას (საფეხურს) და წვრილ-ხელოსნურ და მიწათმომქმედ წარმოებიდან, რომელიც ხელში ჩაუგდია სავაჭრო კაპიტალს, მსხვილ სამანქანო წარმოებაზე გადავიდეს და თავის საზოგადოებრივ-ეკონომიური შედეგები წარმოშვას.

## ბ) რა არის მანქანა?

მანქანა არის შრომის ისეთი იარაღი, რომელიც ადამიანის **აღმასრულებელ** მუშაობის ნაცვლათ გარეშე ბუნების ძალებს აამოქმედებს. ესაა უმაღლესი და ყველაზე სრული ტიპი იარაღებისა.

თუ საერთოთ განვიხილავთ სხვა-და-სხვა მანქანების მოწყობილებას, ადვილათ დავინახავთ, რომ მანქანებს საფუძვლათ ყველას ერთი სქემა უდევს. მანქანა შესდგება სამი უმთავრესი ნაწილისაგან: მამოძრავებელი ძალა, გადამცემი მექანიზმი და სამუშაო ნაწილი, ანუ მექანიკური ხელსაწყო (ინსტრუმენტები). მანქანის თვითოეულ ამ ნაწილთაგანს თავისი ისტორია აქვს.

როცა მანქანა სურთ ისეთ საქმეში მოიხმარონ, რომელიც არ მოითხოვს დიდის მექანიკურ ძალის დახარჯვას, მაშინ შეიძლება ადამიანის მექანიკურ ძალა შეიქნეს მის მამოძრავებელათ; მაგ., საკერავ მანქანას ამუშავებენ ფეხით, ან ხელით. ესაა — დაუსრულებელი, არა სრულად განვითარებული ტიპი მანქანისა.

ადამიანის მამოძრავებელი ძალის ნაცვლათ ცხოველების (უმეტესათ ცხენის) ძალის ხმარება პირველი ნაბიჯი იყო მანქანის სამოძრაო ნაწილის განვითარებაში. მაგრამ ეს კიდევ არაა დიდი პროგრესი: ცხოველთა ძალა, შედარებით, ძვირათ ჯდება; განუწყვეტლივ მუშაობა იმათაც არ შეუძლიათ (მაგ., გონიერი, გამოცდილი პატრონი ცხენს 8 საათზე მეტს არ

ამუშავებს დღე-და-ღამეში); დაბოლოს, ცხოველების ძალა არც ისე ბევრათ აღემატება ადამიანის ძალას.

ცხოველების ძალის მაგივრათ ქარისა და მდინარე წყალის ძალის ხმარება კიდევ უფრო მეტი განვითარების ნიშნია. ამ მამოძრავებელ საგნებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი უსულონი არიან; მაგრამ მათ ზოგიერთა ნაკლიც აქვთ.

ქარის ძალას, — რომლითაც ადამიანი ძლიერ ფართეთ სარგებლობდა უხსოვარ დროიდან წყალითა და ზღვით მოგზაურობისა და საქონლის გადაზიდვის დროს (იალქნიანი გემებით), მაგრამ ძლიერ ნაკლებათ ხმარობდენ მრეწველობის სხვა დარგებში, — ის დიდი ნაკლი აქვს, რომ მეტათ დაუდგრომელი რამ არის და ყოველთვის თანასწორათ და ზომიერათ არ მოქმედებს. წყალის ძალა კი მოკლებულია ამ ცუდ მხარეებს, და ამიტომაც მანუფაქტურულ ხანაში იმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული, თუმცა არც ისაა სავსებით თავისუფალი სერიოზული ნაკლულევანებათაგან. ჯერ-ერთი, წყალის მამოძრავებელის შემოღება და გამართვა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ახლოს მოიპოვება ჩანჩქერი ან მდინარე წყალი, სადაც მისი ჯებირებით გადაკეთება არ ეწინააღმდეგება ადგილობრივ მცხოვრებელთა ან მიწათმფლობელთა ინტერესებს. მეორეთ, ცივ ქვეყნებში წყალის ძალა მუდამ ვერ მოქმედობს, რადგან ზამთრობით იყინება; დაბოლოს, მისი გადიდება სურვილისა და მოთხოვნილებისამებრ შეუძლებელია. ეს ერთი მთავარი მიზეზია, რომ მანუფაქტურულ ხანაში, სანამ უკეთესი მამოძრავებელი არ იქმნა აღმოჩენილი, მანქანები ძლიერ ნაკლებათ იყო გავრცელებული.

თუმცა აქა-იქ სამანუფაქტურო ხანაშივე შემოღებული იყო ორთქლის მამოძრავებელიც, მაგრამ იგი მეტათ უვარგისი და მდარე იყო. როდესაც 1774 წელს უატმა შესამჩნევათ გაუმჯობესა ორთქლის მამოძრავებელთა მექანიზმი და შექმნა ცნობილი ორმაგ-მომქმედი მანქანა, აღმოჩნდა, რომ სწორეთ

ორთქლი ყოფილა საუკეთესო მამოძრავებელი, რაც ასე ძლიერ ესაჭიროებოდა კაპიტალისტურ მრეწველობას.

ორთქლის მამოძრავებელში ნახშირისა და წყალის შემწეობით ვითარდება მექანიკური ძალა; ამ ძალის მოქმედება შეგვიძლია სურვილისამებრ გავადიდოთ და შევამციროთ; თვითონ მამოძრავებელი ისეა მოწყობილი, რომ ძნელი არაა იმის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე და მისი იმ სამუშაო მანქანაზე მორგება, რომელიც ამ დროს ესაჭიროება აცამიანს.

მაგრამ მანქანის სამოძრაო ნაწილის განვითარება ამაზე არ შეჩერებულა. უკანასკნელ დროს თან-და-თან მეტი მნიშვნელობა ეძლევა ახალ გამოგონებულ ელექტრონის მამოძრავებელს. თუმცა უკანასკნელის მნიშვნელობა და გავლენა მრეწველობაში **ჯერ-ჯერობით** ძლიერ შეზღუდულია, მაგრამ ახლავე ეტყობა, რომ ელექტრონის სამოძრაო ძალას ბევრი უპირატესობა აქვს, ორთქლის ძალასთან შედარებით. უმთავრესი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ელექტრონის ენერგია შეგიძლიანთ დაანაწილოთ ისეთ წვრილ ნაწილებათ, როგორც გინდათ, და გადასცეთ, რა სიშორეზედაც გნებავთ; ამ გადაცემის დროს (უწყებულ პირობებში, რასაკვირველია) ძლიერ ცოტა ძალა იკარგება.

მოსალოდნელია, რომ შემდეგში ელექტრონი უმთავრესი მამოძრავებელი შეიქნეს წარმოებაში. უკვე თანამედროვე ტეხნიკასაც მოეპოვება ისეთი საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც მას შეუძლიან ბუნების ყოველიკე ძალა ელექტრონათ აქციოს და შემდეგ, სადაც სურს, იქ გადასცეს. ადვილი მოსალოდნელია, რომ ელექტრონი შეგვაძლებინებს ფრიად სასარგებლოთ გამოვიყენოთ ენერგიის ისეთი დაუშრეტელი წყაროები ბუნებაში, როგორიცაა დიდი ჩანჩქერები, ზღვის ტალღათა სრბოლა ანუ ზღვის მოქცევა და უკუ-ქცევა და სხვა მრავალი ასეთი ბუნებრივი წყაროები, რითაც აქამდე არ ესარგებლნიათ, უმთავრესათ, იმიტომ, რომ ვერ ახერხებდენ მათი ენერგიის შორს მანძილზე გადაცემას.

მანქანის მეორე ნაწილია—გადამცემი მექანიზმი, რომელსაც მამოძრავებელის ენერგია სამუშაო ინსტრუმენტზე გადააქვს. ამან უნდა შესცვალოს ხასიათი და მიმართულება იმ მოძრაობისა რომელსაც იწვევს პირველი ნაწილი, იმ მიზნის შესაფერათ, რომელსაც მანქანა ემსახურება, და ამ სახით გადასცეს ძალა-მოძრაობა სამუშაო ხელსაწყოებს (ინსტრუმენტებს). რამდენათაც უფრო რთულ პროცესებს ასრულებს მანქანა, იმდენათ უფრო რთულდება გადამცემი მექანიზმი. მისი სირთულე კიდევ უფრო იზრდება, როდესაც ერთსა და იმავე მამოძრავებელს იმისთვის ხმარობენ, რომ ერთათ, ერთსა და იმავე დროს აამოძრავონ რამდენიმე სამუშაო მანქანა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს სამუშაო მანქანები სხვა-და-სხვა გვარია.

როდესაც ერთ სამუშაო მანქანისათვის წრის გამოვლა-ბრუნვაა საჭირო, მეორისათვის სწორ ხაზზე გავლა, მესამესთვის—სწორ-გატეხილ ხაზზე მუშაობა და სხვ., მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა აუარებელი მისაგუებელი მოწყობილებანი უნდა ექნეს გადამცემ მექანიზმს, რომ თავის მიზანს მიაღწიოს. იგი წარმოადგენს ვეებერთელა სისტემას კბილებიან თვლებისას, საგორავებისას, ექსცენტრიკებისას, ბარბაცა კოჭების (ШАТУНЪ) და სხ. ამგვარებისას, მით უმეტეს რთულს, რამდენათაც უფრო რთული, მრავალგვარი და მრავალრიცხოვანია ერთი მამოძრავებელის-მიერ ასამოძრავებელი სამუშაო მანქანები.

მესამე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია— სამუშაო მანქანა, ანუ მექანიკური ხელსაწყო (ინსტრუმენტი). ის პირდაპირ იმ ხელსაწყოებისაგან წარმოსდგება, რომელსაც ხელოსნობისა ან მანუფაქტურის დროს ხმარობდენ. მარა ხშირათ ეს იარაღი სამუშაო მანქანაში იმდენათ განსხვავებულია, რომ ძნელია იმისი გამოცნობა.

მაგრამ სამუშაო მანქანის უმთავრესი განსხვავება ხელით სამუშაო იარაღებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ის პირდაპირ **მანქანის** ხელსაწყოთ (ინსტრუმენტათ) გამოდის და არა

**ადამიანის** ხელსაწყოთ; ეხლა მანქანა ისეთსავე მოძრაობას ასრულებს, რომელსაც წინათ ადამიანის ხელი ასრულებდა. იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მანქანის მამოძრავებელად ადამიანის ძალას ხმარობენ, სამუშაო იარაღი მაინც ადამიანის ხელით კი არ დაიწყებს მუშაობას, არამედ გადამცემი მექანიზმის საშუალებით ამოძრავდება.

ამგვარათ, მანქანა მუშის მაგიერობას სწევს წარმოებაში იმდენათ, რამდენათაც იგი საორგანიზატორო ნების უბრალო ამსრულებელი, უბრალო იარაღია წარმოებაში. ამის გამო, მანუფაქტურაში მომუშავე-ამსრულებელთა შორის არსებული ურთიერთობის ერთი ნაწილი ამ მანქანაზე გადადის.

ამნაირათ, მანუფაქტურაში მომუშავეთა შორის თანამშრომლობისა და შრომის განაწილების მაგიერ ჩნდება მანქანათა შორის „შრომის განაწილება“ და „თანამშრომლობა“. (ეს სახელწოდება აქ პირობითია, რადგან შრომა შეუძლია მხოლოდ ადამიანს და არა მანქანას).

მარტივი თანამშრომლობის მაგალითს საქსოვი ქარხანა წარმოადგენს, სადაც ერთ შენობაში თავმოყრილია მრავალი მექანიკური დაზგები და ასრულებს ერთნაირ სამუშაოს. ერთი და იგივე მამოძრავებელი ამ შემთხვევაში ამოქმედებს მრავალ ერთგვარ მანქანას.

„შრომის დანაწილება“ მანქანათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიმე სხვა-და-სხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროთ დაკავშირებული, მანქანები ერთი-მეორის შემდეგ ამუშავებენ ერთსა და იმავე მასალას, სანამ ეს უკანასკნელი თავის უკანასკნელ ფორმას მიიღებდეს. იქ, სადაც პირველათ შემოაქვთ მანქანათა შორის სამუშაოს განაწილება, დაახლოვებით ისეთივეა ეს დანაწილება, როგორც მანუფაქტურებში, რომლებიც იმავე წარმოებას ეწევიან. მაგ., შალეულობის მანუფაქტურაში შრომა დაყოფილია „მპენტელთა“, „მჩეჩელთა“, „მრთველთა“ და სხვ. შორის. ახლა ამ მუშების მაგივრათ დგამენ მანქანებს, რომელთა შორის ზოგი „პენტავს“, ზოგი

„ჩეჩავს“ და სხვ. გარდამავალ ხანაში ზოგი ოპერაციათაგანი უკვე მანქანებზეა გადაცემული, მაშინ, როდესაც დანარჩენები ხელით სრულდება.

შემდეგში, რასაკვირველია, მანქანათა შორის სამუშაოს განაწილების წესი შეიძლება შეიცვალოს.

მანქანათა შორის შრომის განაწილების ხანაში ერთი მანქანა აწვდის მეორეს დასამუშავებელ მასალას ისე, როგორც მანუფაქტურაში აწვდიდა ერთი მუშა მეორეს. მასალა აქაც ერთსა და იმავე დროს განიცდის ყველა ცვლილებებს, კეთდება სხვა-და-სხვა მანქანები ისე, როგორც იქ სხვა-და-სხვა მუშების ხელში კეთდებოდა. სამანუფაქტურო ჯგუფის,—ე. ი. სხვა-და-სხვა სპეციალობაში დახელოვნებულ მუშების,—რიცხვთა შორის ერთგვარი დამოკიდებულების ალაგი უჭერია „მანქანათა სისტემას“, ანუ იმ განსაზღვრულ კავშირს, რომელიც არსებობს სხვა-და-სხვა მანქანების რიცხვსა, ტრიალსა და მოძრაობის სიჩქარეს შორის. როგორც რამდენსამე მრთველს უნდა ყოლოდა ფეიქართა განსაზღვრული რიცხვი, რომ დართული მასალის დროზე დამუშავება მოესწროთ, სწორეთ ისევე სართველი მანქანების განსაზღვრულ რიცხვსაც იმდენი მექანიკურათ მქსოველი დაზგა-ქსელები უნდა მოუდგან გვერდით, რომ დართული ძაფი მოქსოვოს.

ყველა აქედანა სჩანს, რომ მანუფაქტურაში მომუშავის როლი უფრო **თვითონ მანქანასა** აქვს დაკისრებული, ვინემ მანქანაზე მომუშავე მუშას. უკანასკნელი თავის საწარმოო მოქმედებით ძლიერ განსხვავდება პირველისაგან: ის უმთავრესათ მართავს, ანუ გამგებლობს და კონტროლს უწევს მანქანის მუშაობას, მაშინ, როცა პირველი ასრულებდა ამ მუშაობას. ეს კი ფრიად საყურადღებო განსხვავებაა.

გარდამავალ ხანაში, ისეთ სამანქანო წარმოებებში, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ სრულ განვითარებამდე, მუშები მარტო მანქანების სათვალყუროთ და საკონტროლოთ კი არ არიან საჭირონი, არამედ, რამდენიმეთ, იმისთვისაც,

რომ მექანიკურ ინსტრუმენტებით თვითონაც შეასრულონ მოძრაობანი, რომლებისთვისაც მანქანა ჯერ გამოგონებული არაა. მაგრამ სამანქანო წარმოების განვითარება ცდილობს ყველა ასეთი დაუმთავრებელ-დაუსრულებელი მანქანები ავტომატიურ თვითმომქმედ მექანიზმით შესცვალოს, რომ მუშა-მანქანებმა ადამიანის დაუხმარებლათ შესძლონ ყველა ამ მოძრაობათა შესრულება, რომლებიც აუცილებლათ საჭიროა მასალის დასამუშავებლათ. და რამდენათაც მეტია წარმოებაში ასეთი შეცვლა, იმდენათ მეტათ ემსგავსება მანქანაზე შრომა წინანდელ საორგანიზატორო შრომას.

ხელოსნურ წარმოებაში ორგანიზატორული შრომა არაა დაშორებული აღმასრულებელ შრომაზე; მუშა, ოსტატი ან ქარგალი უმეტესათ თვითონ უწევს კონტროლს თავის თავს, თვითონ მართავს თავის საქმეს. მანუფაქტურა აგვირგვინებს მუშაობის ორივე მხარის განცალკევებას, და ეს განცალკევება ისეთ უკიდურესობამდე, ისეთ უაზრობა-შეუსაბამობამდე მიყავს, როგორიცაა ადამიანის მანქანათ გადაქცევა. მანქანა არიგებს ამ ორ წინააღმდეგობას ერთმანეთში მით, რომ აღმასრულებელ შრომას საორგანიზატორო შრომის ხასიათს აძლევს და მუშისაგან თხოულობს არა მარტო ტლანქ, მოუხეშავ ძალას და მექანიკურ მიჩვევას, არამედ, აგრეთვე, შეგნება-გონებას და საკუთარ მტკიცე ნებასაც.

მანქანურ მუშაობას შემდეგი უპირატესობა აქვს, ხელით მუშაობასთან შედარებით, შრომის ნაყოფიერებაში: რაც უნდა დახელოვნებული იყოს მუშა, მას არ შეუძლია ერთბაშათ რამდენიმე იარაღით ერთათ მუშაობა, ვინაიდან მას ორი ხელი და ორი ფეხი აქვს და არა მეტი. ოდესღაც გერმანიაში კიდეც სინჯეს: დააყენეს ერთი მუშა და ორივე ხელებითა და ფეხებით ამუშავებს ორ ჩიხრიხზე და ორ ჯარაზე ერთსა და იმავე დროს; მაგრამ ამან ისეთი ენერგია მოითხოვა, რამდენიც თითო მუშას, საზოგადოთ, არ მოეპოვება. მანქანა კი ერთბაშათ ამუშავებს მრავლისაგან მრავალ ინსტრუმენტებს. მაგ., თანამედროვე სართავ ქარხნებში ერთი მუშა „მიულ-

მანქანის შემწეობით რამდენსამე ჯარას ამუშავებს (ინგლისში ჯერ კიდევ 1887 წელს ერთ მუშაზე მოდიოდა სამუშაოთ 333 ჯარა, საუკეთესო სართველებში კი 400-ზე მეტიც). თუ ამას დავუმატებთ, რომ მანქანის მოძრაობის სიჩქარე ბევრათ აღემატება ადამიანის მოძრაობის სიჩქარეს, მაშინ აშკარა შეიქნება, თუ რა საშინლათ იზრდება შრომის ნაყოფიერება მანქანის შემწეობით. მაგ., მანქანაზე ქსოვით ერთ საშუალო მუშას შეუძლია იმდენივე დაამზადოს, რამდენსაც წინათ 40 კარგი დახელოვნებული ფეიქარი აკეთებდა. აქ უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ საქინძისთავე წარმოებაში შრომის ნაყოფიერების შედარება ხელოსნურ, მანუფაქტურულ და მანქანურ წარმოების ხანებში.

ცალკე მუშას, რომელსაც ქინძისთავის ყველა ოპერაციები თვითონ უნდა შეესრულებინა, საეჭვოა, რომ დღეში ათი ქინძისთავის გაკეთება მოესწრო. მანუფაქტურაში, სადაც შრომა მხოლოდ ათ მუშას შორის არის განაწილებული, ყოველდღიურათ 48,000 ქინძისთავი დამზადდება, ანუ თვითოეულ მუშას 4,800 ქინძისთავი მოუწევს გასაკეთებლათ. საქინძისთავე მანქანა კი დღეში 180,000 ქინძისთავს ამზადებს და, ამასთანავე, ერთ მუშას შეუძლია ერთ-დროულათ რამდენიმე ასეთი მანქანა ამუშავოს. ერთს ამერიკულ ფაბრიკაში, სადაც 70 საქინძისთავე მანქანა მუშაობდა და დღეში $7^1/_2$ მილიონ ქინძისთავს ამზადებდა, საჭირო იყო მხოლოდ 5 მუშა,- მაშასადამე, თვითოეული მუშა, საშუალო რიცხვით, დღეში $1^1$ მილიონ ქინძისთავის გაკეთებას ასწრებდა.

ახლა კაცობრიობის განკარგულებაში იმდენი ორთქლის ენერგიაა, რომ ადვილათ შეუძლია $1^1/_2$ მილიარდი მუშის მაგივრობა გასწიოს, მაშინ, როცა მოწიფულ მუშათა რიცხვი მთელ დედამიწის ზურგზე 500—600 მილიონს არ აღემატება. ამასთანავე, სამანქანო წარმოების პროგრესი წინ მიდის სულ უფრო და უფრო მეტის სისწრაფით. მანქანების შემოღება წარმოებაში, რომლითაც მუშა-ადამიანის ძალები ბუნების ძალე-

ბით იცვლება, განუსაზღვრელ თავისუფალ ასპარეზს აძლევს მწარმოებელ ძალთა განვითარებას და აბატონებს საზოგადოებრივ ადამიანის ძალა-უფლობას ბუნებაზე.

## გ) მანქანურ წარმოების გავრცელება.

ყოველთვის სასარგებლოა მანქანა წარმოებაში, ყოველთვის ადიდებს ის შრომის ნაყოფიერებას?. თავის-თავათ ცხადია—მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის ნამდვილათ ზოგავს ადამიანის შრომას.

ვთქვათ, გამოიგონეს ახალი მანქანა, რომლის შემწეობითაც ერთი მუშა ასრულებს იმას, რასაც წინათ ასრულებდა 11 მუშის შრომა; მაშასადამე, ეს მანქანა 10 მუშა-ალმასრულებელის მაგივრობას ეწევა. ცვდება ის, ვთქვათ, 300 დღის განმავლობაში; ამნაირათ, მთელი თავის სამსახურის დროს იგი დაზოგავს 3,000 დღის შრომას.

თვითონ მანქანა (მისი აშენება მთლათ) თუ 3,500 დღის შრომათ ღირს, მაშინ, რასაკვირველია, მისი შემოღება სრული უაზრობა იქნებოდა, რადგან აქ, შრომის დაზოგვა-შემცირების მაგივრათ, წმინდა ზარალი რჩება 500 სამუშაო დღე. თვითონ მანქანის გამზადება რომ სწორეთ 3,000 დღე დაჯდეს, იგი მაშინაც უსარგებლო იქნებოდა, ვინაიდან მისი შემოღებით შრომა სრულიად არ დაიზოგებოდა.

მაგრამ თუ მანქანის ღირებულებას 2,500 სამუშაო დღე შეადგენს, მაშინ ის, ცხადია, ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და სასარგებლოა წარმოებისათვის, იმიტომ, რომ ზოგავს მთელ 500 სამუშაო დღეს.

მარა კაპიტალისტი. რომელზედაც დამოკიდებულია მანქანის შემოღება თუ არ შემოღება, ასეთის თვალსაზრისით როდი ხელმძღვანელობს. იმისთვის, საზოგადოთ, სულ ერთია, ზოგავს მანქანა ადამიანის შრომას, თუ არა,—მისთვის უფრო საყურადღებოა შემდეგი საკითხი: გაადიდებს თუ არა ის მის მოგებას? კაპიტალისტი ითვალისწინებს, რამდენი მანათი უნდა

გამოიღოს იმან მანქანაში და რამდენი მანათი უნდა გადაურჩინოს, ე. ი. დაუზოვოს მას ამ მანქანამ სამუშაო ხელფასიდან.

ვთქვათ, მანქანა ზოგავს 3,000 სამუშაო დღეს, თვითონ კი 2,500 ღირს; ამასთანავე, სამუშაო ძალა ერთის დღით ღირს 5 საათის მარტივი შრომა, რაც ათ შაურს შეადგნს; ზედმეტი ღირებულების ნორმაა—100%, ე. ი. ახალი ღირებულება, რომელსაც მუშა ერთ დღეს ქმნის, უდრის 10 საათს, ანუ ერთ მანათს.

როდესაც ერთი კაპიტალისტი მანქანას ყიდულობს, მეორე კაპიტალისტს აძლევს მასში ფულის იმ რაოდენობას, რომლის დამზადებასაც 2,500 დღე უნდება, ვინაიდან ასეთია მანქანის ღირებულებაც. ეს კი შეადგენს 2,500 მანათს. თუ კაპიტალისტს არა სურს მანქანის შემოღება, მან მის მაგივრათ უნდა იყიდოს ზედმეტი 3,000 სამუშაო დღის შრომა, რომელსაც მას მანქანა ადვილათ დაუზოგავდა. რადგანაც ერთის დღით სამუშაო ძალა ღირს ათი შაური, 3,000 დღეს კაპიტალისტი ზედმეტ მუშებს მისცემს 1,500 მანათს სამუშაო ხელფასათ, ე. ი. მანქანის ღირებულებაზე 1000 მანათით ნაკლებს. ცხადია, მანქანის შემოღება მისთვის საზარალოა, თუმცა კი ეს მანქანა ზრდის შრომის ნაყოფიერებას. საქმე იმაშია, რომ მანქანის ყიდვის დროს კაპიტალისტი აძლევს მასში მის დამზადებაზე დახარჯულ შრომის **საერთო ჯამის** შესაფერ ფასს, მაშინ, როდესაც სამუშაო ძალის ყიდვის დროს კაპიტალისტი იხდის მხოლოდ **ნაწილს** იმ შრომისას, რომელსაც მას მოუტანს სამუშაო ძალა.

მანქანა რომ 1,500 დღის შრომათ ღირდეს, რაც 1,500 მანათს უდრის, მაშინაც კი უსარგებლო იქნებოდა კაპიტალისტისათვის მანქანის შემოღება: მისგან მას არა აქვს არც მოგება, არც ზარალი, ვინაიდან სამუშაო ძალა 3,000 დღითაც 1,500 მანათი ღირს.

მაგრამ თუ მანქანა მხოლოდ 1,000 დღის შრომათ ჯდება და მისი ფასი 1,000 მანათია, მაშინ კაპიტალისტისათვის სა-

სარგებლოა მისი შემოღება. 1,000 მანათით მას უთავისუფლდება 1,500 მანათი, რომელიც სამუშაო ხელფასში უნდა გაეღო, და ამით 500 მანათს მოგებას აძლევს.

ამ ანალიზში მხოლოდ შემდეგი შესწორება უნდა შევიტანოთ, სახელდობრ ის, რომ საბაზრო ფასები, როგორც მანქანისა, ისე სამუშაო ძალისაც, რამდენიმეთ შორდება მათს ღირებულებას; კაპიტალისტისათვის კი მხოლოდ საბაზრო ფასებს აქვს მნიშვნელობა.

მაშასადამე, მანქანა ყოველთვის არაა სასარგებლო კაპიტალისტისათვის, მაშინაც კი, როცა ის ადიდებს შრომის ნაყოფიერებას. მანქანით კაპიტალისტურათ სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მანქანის ფასი ნაკლებია იმ სამუშაო ძალის ფასზე, რომლის მაგივრობასაც ისა სწევს.

აქედან ადვილი გასაგებია, თუ რატომაა, რომ ერთი და იგივე მანქანები ზოგ ქვეყნებში დიდ სარგებლობას აძლევენ კაპიტალისტებს, ზოგან კი — პირდაპირ მაზარებელი არიან და ხმარებაში არ შემოდიან. მაგ., ინგლისში გამოგონილი ზოგიერთა მანქანები კაპიტალისტურათ გამოსადეგია მხოლოდ ამერიკაში, სადაც სამუშაო ხელფასი, შედარებით მაღლა დგას, ვინემ თვით ინგლისში. რამდენათაც სამუშაო ხელფასი ნაკლებია, იმდენათ ნაკლები სარგებლობა მოაქვს მანქანებს კაპიტალისტებისათვის და იმდენათ ნაკლებათ შემოაქვთ თვით მანქანები ხმარებაში (ეს ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია, რომელიც აფერხებს რუსეთში სამანქანო წარმოების პროგრესს, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო წარმოებაში).

ასეთ შემზღუდველ პირობების მიუხედავათ, საზოგადოთ, მანქანების გავრცელება ძლიერ ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ასეთი გავრცელება მანქანებისა განსაზღვრულის თანდათანობით ხდებოდა, ასე რომ, თვითოეულ კერძო შემთხვევაშიაც ეს იყო შედეგი არა უცაბედ შემთხვევისა, ან გამომგონებელის ფანტაზიისა, არამედ გამოწვეული იყო წარმოების მომწიფე-

ბულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ეს რომ ცხადათ, კონკრეტულათ გამოვხატოთ, ამისთვის უნდა განვიხილოთ, თუ რანაირათ წარმოსდგება წარმოების ცალკე დარგში მანქანის მოთხოვნილება და რანაირათ იწვევს მრეწველობის ერთს რომელსამე დარგში მანქანების შემოღება მის სხვა, პირველთან დაკავშირებულ, დარგებშიაც გავრცელებას. მაგალითათ გამოგვადგება ინგლისის ბამბეულობის წარმოების ისტორია.

ჯერ კიდევ წარსული საუკუნის შუა რიცხვებში წარმოების ეს დარგი, უმთავრესათ, შინაურ კაპიტალისტურ ტიპს წარმოადგენდა: ფეიქარი— ჩვეულებრივ ოჯახის უფროსი—თავის საკუთარ სახლში ხელით სამუშაო საქსელზე მუშაობდა, ძაფს კი რთავდენ მისი ოჯახის წევრები—ცოლი და შვილები. ასეთ პირობებში ქსოვა, საზოგადოთ, უფრო ჩქარა ხდებოდა, ვინემ რთვა: მრთველები ვერ აკმაყოფილებდენ ფეიქარს, ყოველთვის ვერ უმზადებდენ მას საკმაო ძაფს. ამ შეუსაბამობამ კიდევ უფრო იმატა მაშინ, როდესაც გამოგონებულ იქმნა თვით-მფრინავი მაქვა, რომელმაც ორჯერ გაადიდა ფეიქრის მუშაობის ნაყოფიერება. მეორე მხრით, რთვის საქმე ბამბის წარმოებაზე უკან რჩებოდა, ხოლო უკანასკნელი კი— ნედლი მასალა იყო სართველი საქმისათვის. თუ რამდენათ ძლიერი იყო სართველი ტეხნიკის გაუმჯობესების მოთხოვნილება, ეს იმ ფაქტიდანაც სჩანს, რომ 1782 წელს ინგლისში, მუშა-ხელის ნაკლებობის გამო, დაურთველათ ეყარა სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ინგლისის ყველა ახალშენებიდან გამოზიდული ბამბა, რომელიც კიდევ დაურთველი დარჩებოდა რამდენსამე წელს, რომ მანქანას არ მოესწრო.

ამის შემდეგ ამ დარგში სხვა-და-სხვა გამოგონებანი ერთი-მეორეს მოსდევენ. ჯერ იგონებენ ისეთ დაზგას (станокъ), რომელიც ერთდროულათ რვა ძაფს ართავს, ე. ი. 8 მრთველის სამუშაოს ასრულებს. შემდეგ ახალი გამოგონება შესაძლებლათ ხდის ამ მანქანის ასამოძრავებლათ წყალის ძალის გამოყენებას. ამას მოსდევს მთელი რიგი გაუმჯობესებათა, რაი-

ცა იწვევს არა მარტო ძაფის რაოდენობის გადიდებას, არამედ მისი ღირსება-თვისების გაუმჯობესებასაც.

ბამბეულობის მრეწველობაში კვლავ ჩნდება უსწორ-მასწორობა, შეუსაბამობა წარმოების სხვა-და-სხვა საფეხურებს შორის, მაგრამ, წინანდელთან შედარებით, სულ წინააღმდეგი: ახლა ფეიქარი ველარ უთავდება მრთველებს. დასასრულ, ეს შეუფერებლობაც ისპობა 1787 წელში მექანიკურ საფეიქრო საქსელების გამოგონებით.

თუ რამდენათ გააადვილა შრომის მანუფაქტურულმა განაწილებამ მანქანის შემოღება, სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ პირველი გამომგონებელნი იყვნენ ჩვეულებრივი უბრალო მუშები, რომელთაც არავითარი—არც საზოგადო და არც სპეციალური ტეხნიკური— განათლება არ მიუღიათ და რომლებიც მხოლოდ პრაქტიკულათ იყვნენ გაცნობილნი წარმოების ამ დარგთან. კიდევ უფრო საკვირველია, რომ მექანიკური საფეიქრო-საქსელე ერთმა კენტელმა მღვდელმა გამოიგონა.

როდესაც ქსოვა-რთვაში შემოღებულ იქმნა მრავალგვარი გაუმჯობესებანი, აღმოჩნდა, რომ ბამბეულობის გბობის (бѣленіе) წინანდელი წესები წარმოებას ველარ აკმაყოფილებდა. ეს პროცესი რამდენსამე დღეს გრძელდებოდა,—მარა ეს გარემოება საგრძნობლათ ხელს არავის უშლიდა, სანამ რთვაქსოვა ხელით სრულდებოდა, და დამზადებულ ქსოვილთა რაოდენობაც, შედარებით, ნაკლები იყო. ეხლა კი, როდესაც საშინლათ გაიზარდა მრთველებისა და ფეიქრების შრომის ნაყოფიერება, საჭირო შეიქნა გბობის პროცესის დაჩქარება. აქ მოეშველა ქიმია: სხვა-და-სხვა სიმჟავის (кислота) შემწეობით გბობის პროცესი რამდენსამე დღეში, რამდენსამე საათში სრულდება.

ამავე მიზეზების გამო, მე-XVIII საუკუნის მიწურულში გაუმჯობესდა საზოგადოთ ღებვისა და ჩითის ბეჭდვის საქმე. შემდეგში, სამანქანო სართავ წარმოებისათვის რომ საკმარისი მასალა დაემზადებინათ. აუცილებელი შეიქნა ბამბის წარმო-

ბის გაფართოვება; ამისთვის კი საჭირო იყო ახალი მანქანის გამოგონება, რომლითაც გადაშლილ ბამბის კუშტებიდან თესლის მოშორება შესძლებოდათ.

მრეწველებს მარტო ბამბეულობის მრეწველობაში როდი შეჰქონდათ ასეთი ცვლილებანი: ისინი სხვა ცვლილებებსაც აუცილებლათ ხდიდენ. ბევრი ახლათ გამოგონილი მანქანები, უმეტეს შემთხვევაში, გამოუსადეგარი დარჩებოდა, რომ არ აღმოჩენილიყო ახალი მამოძრავებელი ძალა, რომელსაც ადვილათ შეეძლო დიდი სამუშაოს არულება. აი, ასეთი ძალის წყაროთ შეიქნა ორმაგ მოქმედი ორთქლის მანქანა და სხვა ამგვარები.

ასეთ ცვლილებას შედეგათ მოყვა წარმოების მომეტებული გაფართოვება; ამან კი დაბადა საჭიროება მიმოსვლის გაუმჯობესებისა. თვითოეულ ეკონომიურ ხანისათვის მიმოსვლის გაუმჯობესება-გაფართოვება წარმოების საერთო განვითარებაზე იყო დამოკიდებული. საშუალო საუკუნეების წვრილ წარმოებისათვის სრულიად საკმარისი გზები, მაგალითათ, გამოუსადეგარი შეიქნენ სამანუფაქტურო ხანაში,—მაშინ გაუმჯობესდა ზღვით მოგზაურობა და გაყვანილ იქმნა გზა-ტკეცილები. მაგრამ ამანაც არ იკმარა მანქანურ კაპიტალიზმის დროს, როდესაც შრომის ნაყოფიერება დიდათ გაიზარდა,—მაშინ დადგა დრო ხომალდებისა, რკინის გზებისა, ტელეგრაფებისა და სხვათა შექმნა-გამოგონებისა.

ამრიგათ, მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგთა შორის არსებულ მჭიდრო კავშირის გამო, გახშირდა მანქანების გამოგონება და ხმარებაში შემოღება. აუარებელი მანქანები გამოიგონეს სულ მოკლე ხანში მე-XVIII საუკუნის მიწურულსა და მე-XIX საუკუნის დასაწყისში.

ყველაზე უფრო მანქანების გავრცელება გვიანდება მიწათმოქმედებაში; ამას ბევრი სხვა-და-სხვა მიზეზები აქვს: პირველათ, მიწათმოქმედებაში არ მოხერხდა შრომის მანუფაქტურულათ განაწილების განვითარება, რამაც ასე მშვენივრათ მო-

უშზადა ნიადაგი მანქანის შემოღებას მრეწველობის ყველა სხვა დარგებში. მეორეთ, მიწათმოქმედებაში მანქანების შემოღება ისეთ სწრაფ ცვლილებას ვერა ჰქმნის შრომის ნაყოფიერებაში, როგორც დამმუშავებელ მრეწველობაში, ასე რომ, მიწათმომქმედ კაპიტალისტისათვის მანქანის შემოსაღებათ წამქეზებელი არავინაა. დასასრულ, ფეოდალიზმის ნაშთების საშინელი უღელი, რომელიც ჯერ კიდევ დიდხანს ინახავდა თავს სამიწათმოქმედო სფერაში, ძლიერ აბრკოლებდა წარმოების ამ დარგის ტეხნიკურ პროგრესს. სოფლის მცხოვრებთა საშინელი დამონება, სიბეჩავე და სილატაკე—შეძლებას აძლევდა მემამულეებს ისე იაფ ფასათ დაექირავებინათ მუშები, რომ მათ სრულებით ხელს არ აძლევდა მუშების ალაგას მანქანები ემუშავებინათ.

მანქანურ ეპოქის დასაწყისში მანქანებს სახელსაწყო (საინსტრუმენტო) მანუფაქტურებში ამზადებდენ. სანამ თვით მანქანათა დამზადება **ხელით მუშაობაზე** იყო დამყარებული, მანქანების წარმოების განვითარებაც, ძალა-უნებურათ, ძლიერ ნელა მიდიოდა: მანქანები ძვირათ ჯდებოდა და საკმაოთ მაგარი და კარგებიც არ იყო. მანქანამ რომ კარგათ იმუშაოს, აუცილებლათ საჭიროა სრულს სისწორეში გამოყვანა სათითაოთ მის ცალკე ნაწილებისა, მათი სრული მორგება ერთიერთმანეთზე ზომა-სისხოით და სხვ.,—ერთის სიტყვით, ყოვლათ სრული უნაკლულობა მანქანის წარმოების ბევრს ოპერაციებში. ასეთ უნაკლულობას კი ხელით შრომა ვერასოდეს ვერ მიაღწევს, რაც უნდა უმწვერვალესათ დახელოვნებული მუშა ამუშაოთ; ეს უნაკლულობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მას მანქანის შემწეობით შევასრულებთ. ამას გარდა, საინსტრუმენტო მანუფაქტურაში შრომის ნაყოფიერებაც არ იყო საკმაოთ დიდი, რომ მას შესძლებოდა, მაგ., იმ აუარებელ მანქანების დამზადება, რომელიც დღეს წარმოებაშია შემოღებული.

როდესაც მანქანების დამზადება თვითონ მანქანის საქმე

შეიქნა, ამით თავიდან იქმნა აცილებული უკანასკნელი დაბრკოლება მსხვილ მრეწველობის განვითარებისა, რომელმაც ამიერიდან საოცარის სისწრაფით იწყო განვითარება.

ამასთანავე, მეცნიერება მუდამ კაპიტალისტურ წარმოების ერთგული მოსამსახურე იყო და დიდის კეთილ-სინდისიერობითაც ასრულებდა ახალ მოთხოვნებს. გამოგონებათა მოთხოვნა კაპიტალის მხრივ იწვევდა ახალ-გამოგონებულ მანქანების გაძლიერებულ მიწოდებას გონებრივი შრომის მხრივ.

## 2. წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობანი მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში.

### ა) მარტივ თანამშრომლობისა და შრომის განაწილების განვითარება ცალკე სამრეწველო დაწესებულებათა შიგნით.

მოსალოდნელი იყო, რომ მანქანების შემოღება აღმასრულებელი ხელით შრომის მოთხოვნილებას შეამცირებდა, შეამცირებდა აგრეთვე მუშათა რიცხვს თვითოეულ სამრეწველო დაწესებულებაში, ასე რომ, თანამშრომლობის განვითარება, საზოგადოთ, დაკლების გზას უნდა დასდგომოდა. მაგრამ მანქანების ასეთ გავლენას სხვა პირობების გავლენა ეწინააღმდეგებოდა და აბათილებდა.

პირველ ყოვლისა, სამანქანო წარმოების განვითარება ისეთის წარმოუდგენელ სისწრაფით მიდის წინ, დამზადებულ საქონელთა მასსა ისე ძლიერ იზრდება, რომ, შრომის გაზრდილ ნაყოფიერების მიუხედავათ, მრეწველობა, უმეტეს შემთხვევაში, არა თუ წინანდელზე ნაკლებს, არამედ გაცილებით მეტ მუშა-ხელს თხოულობს. (თავის-თავათ იგულესხმება, რომ წარმოების ასეთი ზრდა თხოულობს ბაზრის გაფართოვებასაც, — შრომის ნაყოფიერების მატებას თანა სდევს, ღირებულების კანონების თანახმათ, საქონლების გაიაფება, და ამიტომ ბაზარზე მათი მოთხოვნაც საშინლათ იზრდება).

მეორეთ, მანქანების ხანაში კონკურენციის მოქმედება ცალკე კაპიტალისტებისათვის მეტათ საგრძნობელი ხდება. სულ

ახალ-ახალ მანქანების შეძენის აუცილებლობა, თავის დაწესებულებაში სულ უფრო მეტი და მეტი კაპიტალის ჩაყრა წინანდელზე გაცილებით უფრო მალე უსწრაფავს სიცოცხლეს სუსტ კაპიტალისტებს. ხელოსნობისა და მანუფაქტურის ნაშთები საოცარის სისწრაფით ჰქრებიან; მათ უკან მისდევენ წვრილი მანქანური დაწესებულებანი. **სამრეწველო დაწესებულებათა საერთო რიცხვი მცირდება.** დამარცხებულთა კაპიტალი გამარჯვებულების ხელში გადადის და, ამნაირათ, ამათი სამრეწველო დაწესებულებანი უფრო და უფრო მსხვილდებიან.

ამ ორი პირობის—წარმოების გაერთოვებისა და კონკურენცის გაძლიერების—გამო თანამშრომლობა, საზოგადოთ, არა თუ არ კლებულობს, პირიქით, საოცარის სისწრაფით იზრდება. თუ წინანდელი მანუფაქტურა რამდენსამე ას მუშას ერთათ თავს უყრიდა, მერმინდელი მანქანური ფაბრიკა, ჩვეულებრივ—ათასობით, და ხანდისხან კი ათი-ათასობით მუშებს უყრის თავს ერთ ჭერს ქვეშ.

თანამშრომლობის ასეთი განვითარება აუარებელ ხალხს უყრის თავს ერთ სამრეწველო დაწესებულებაში, რასაც შედეგათ ის მოსდევს, რომ წარმოება უფრო და უფრო **საზოგადოებრივი ხდება.**

ეს შეიძლება ითქვას **საზოგადოთ თანამშრომლობაზე,** მარტივ კოოპერაციასა და დაწესებულების შიგნით შრომის ტეხნიკურ განაწილებაზე; მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შრომის ტეხნიკურ განაწილების საერთო ხასიათის შეცვლა.

მანუფაქტურაში შრომის ტეხნიკური განაწილება იმაში მდგომარეობს, რომ თვითოეული მუშა **მეორისაგან განსხვავებულ სამუშაოს** ასრულებს: მუშა სპეციალისტდება და თვითოეული სპეციალობა სხვებისაგან მკაფიოთ გამოყოფილია.

მანქანა თან-და-თან სპობს ასეთ სპეციალიზაციას, ასეთ განცელკევებას. ჯერ-ერთი, საწარმოვო მოღვაწეობა სხვა-და-

სხვა მუშებისა უფრო ერთმანეთის მსგავსი, უფრო ერთგვარი ხდება: რომელი მანქანაც უნდა ებაროს მუშას თვალ-ყურის სადევნებლათ, მისი მუშაობა, რომელიც, უმთავრესათ, მხოლოდ უსულო საგნის მოქმედების გულსმოდგინე მხედველობასა და კონტროლში გამოიხატება, თავის საზოგადო თვისებათა და ხასიათით ნაკლებათ განირჩევა მეორე მუშის მუშაობისაგან; ეს მუშაობა კი მით უფრო მსგავსია, რამდენათაც მანქანა უფრო გაუმჯობესებულია, უფრო სრულია, რამდენათაც მუშას ნაკლებ უხდება პირდაპირ მანქანის მოძრაობის პროცესში ჩარევა. მეორეთ, რამდენათაც მეტათ ვითარდება მანქანათა სპეციალიზაცია, იმდენათ კლებულობს და საქმისთვის ზედმეტი ხდება ადამიანთა სპეციალიზაცია. მუშა ადვილათ ეჩვევა და სწავლობს სხვა-და-სხვა მანქანის მოვლასა და მართვას, მისთვის აუცილებელი აღარ არის მთელი სიცოცხლე ერთ დეტალურ (წვრილმან) მუშაობას შეალიოს.

ამნაირათ, სხვა-და-სხვა მუშის როლი შრომის განაწილებაში **ერთნაირობისაკენ მიისწრაფება**; თვით შრომის ტეხნიკური განაწილება სულ უფრო და უფრო **მარტივი თანამშრომლობის** ხასიათს იღებს. ეს ყურადღებაში უნდა მივიღოთ, თუ გვინდა, რომ ამ ეპოქის ფსიხოლოგია შევიგნოთ: განსხვავებული როლი წარმოებაში ბადებს განსხვავებულ მისწრაფებას, განსხვავებულ ტიპებს, მსგავსი როლი კი — მსგავს ტიპებს, მსგავს მისწრაფებებს. ამნაირათ, ჩნდება პირობებისაარსებო ბრძოლაში მუშების **გაერთიანებისათვის**.

ასეთია საერთო მიმართულება საწარმოვო ურთიერთობათა განვითარებისა. მაგრამ ძველი ფორმები მხოლოდ ნელნელა უთმობს ადგილს ახალ ფორმებს, ხოლო ზოგიერთი თვისებანი შრომის წმინდა მანუფაქტურულათ დაყოფისა კიდევ დიდხანსა სძლებს და ინახება ბევრ სამრეწველო დაწესებულებათა ორგანიზაციაში. ერთის მხრით, რამდენიმეთ ეს იმაზედაც არის დამოკიდებული, რომ თვითონ სამანქანო ტეხნიკაც თან-და-თან ვითარდება, ასე რომ, არსებობს მთელი რი-

გი სამანუფაქტურო ტეხნიკიდან სამანქანო ტეხნიკაზე გარდამავალ ფორმათა, და ამასთანავე, მუშათა ურთიერთ შორის დამოკიდებულებაც სულ სხვა-და-სხვა ხასიათს იღებს. მეორეს მხრით, თანამედროვე სამანქანო წარმოება კაპიტალისტურია: სამრეწველო დაწესებულებათა ორგანიზატორათ კაპიტალი გამოდის, რომელიც ისე მართავს წარმოებას. როგორც მის ინტერესებს მოუხდება. ამ თვალსაზრისით კი საქარხნო საქმეში დისციპლინა და წესრიგი მოითხოვს, რომ მუშა, რაც შეიძლება, მიკრული იყოს რომელსამე სპეციალობაზე და არ შეეძლოს მისი თავის ნებით გამოცვლა. მუშა მიჩენილია ერთს რომელსამე მანქანაზე, ხშირათ მანქანის რომელსამე ნაწილზე, და უფლება არა აქვს სამუშაო გამოიცვალოს; არავითარი არჩევანი მისი მხრით არ შეიძლება. გამონაკლისი, რასაკვირველია, ის შემთხვევაა, როდესაც მუშა ერთ დამქირავებელს სტოვებს და მეორესთან დგება. მაგრამ ამას მუშა ადვილათ ვერა ბედავს, რადგან მისი მდგომარეობა უზრუნველ-ყოფილი არაა, და ამიტომ არ შეუძლია ხშირათ გამოიცვალოს ალაგი, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ თავი დააღწიოს სამუშაოს ერთგვარობას. ამას შედეგათ ის მოსდევს, რომ წარმოებაში მანქანაზე მუშაობაც სასტიკათ განაწილებულია. თვითოეული მუშა მიჯაჭვულია ერთხელ და სამუდამოთ ერთ უსულო მექანიზმზე, როგორც მისი ცოცხალი დამატება.

მაგრამ შემდეგში თანდათანობით ასეთი ტენდენცია ადამიანის ერთი მანქანის სამუდამო მონათ გადაქცევისა სუსტდება და მცირდება სხვა მიზეზთა გავლენით: ჯერ-ერთი, საწარმოვო ტეხნიკის ცვალებადობა ძლიერ ხშირათ ბადებს სამრეწველო დაწესებულების შიგნით სამუშაო ძალის გამოცვლასა და მის ხელახალს განაწილებას; მეორეთ, თვითონ დაწესებულებაში წარმოების გაფართოვება და შევიწროება ბაზრის მოთხოვნილებათა თანახმათ იწვევს აგრეთვე მუშების ერთი მანქანიდან მეორეზე გადაყვანას, მუშების ერთმანეთში არევას; მესამეთ, საზოგადოთ მატულობს მუშების მიერ ალაგის გამოცვლა,

ერთის მხრით — მუშა-ხელის ბაზრის უკიდურეს ცვალებადობის გამო, მეორე მხრით კი — გაუმჯობესებულ მიმოსვლის გამო ამ ბაზრის საშინლათ გაფართოების მიზეზით: მუშა, როცა ის ერთ ალაგას კარგავს სამუშაოს, ხშირათ ათასობითა და კიდევ მეტ ვერსის სიშორეზე მიდის, მეორე ან მესამე მხარეში სამუშაოს საშოვნელათ; ერთი ქვეყნის კაპიტალისტი ათასობით იწერს მუშებს მეორე ქვეყნიდან და სხვ.

შედარებით, განსხვავებულ მდგომარეობაში არიან მაღალი ჯგუფები საქირაო მუშებისა, ეგრეთ წოდებული „ინტელიგენტური პერსონალი“ — ქარხნების დირექტორები, სახელოსნოების უფროსები, ბუღალტერები, ნასწავლი მექანიკოსები, ტექნოლოგები და სხვანი. ესენი არიან რთული შრომის წარმომადგენლები წარმოების მანქანურ ორგანიზაციაში. მათი მუშაობა, უმთავრესათ, საორგანიზატოროა — ესაა საერთო მართვა-გამგეობა, საერთო კონტროლი მუშების საქმიანობისა და მანქანების მოქმედებისა. ინტელიგენტური პერსონალი წარმოებაში, შედარებით, მცირე-რიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს.

და აი, სამანქანო წარმოება თავის განვითარებაში ცდილობს ეს ჯგუფიც სხვა საქირაო მუშებს დაუახლოვოს და გაუთანასწოროს. ერთის მხრით, — რამდენადაც მანქანები უფრო უმჯობესდება, იმდენათ მატულობს მათი სირთულე, ასე რომ, უბრალო მუშისთვისაც აუცილებელი საჭირო ხდება სულ უფრო მეტი და მეტი ინტელიგენტობა, სულ უფრო მეტი და მეტი საზოგადო და ტეხნიკური განათლება, რომ რიგიანათ შესძლოს მანქანის ამუშავება მიზნის შესაფერათ; მეორეს მხრით, ეკონომიურ ურთიერთობათა ცვალებადობა და დაუდგრომლობა, რაც სამანქანო კაპიტალიზმის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს, ძლიერ ხშირათ, — რაც უფრო მეტი დრო გადის, იმდენათ უფრო ხშირათ, — ხელს უწყობს ინტელიგენტურ პერსონალის ელემენტების უბრალო მუშებათ გადაქცევას, ხან კი, პირიქით, უბრალო მუშის ინტელიგენტურ წრეში გადასვლას, ასე რომ, მტკიცე საზღვარი ამ ორ კლასთა შორის თითქმის სრულიად ჰქრება.

## ბ) შრომის საზოგადოებრივ განაწილების განვითარება.

სამრეწველო დაწესებულებათა შიგნით, თანამშრომლობის პროცესთან ერთათ, მანქანათა ეპოქაში აჩქარებულის ნაბიჯით ვითარდება აგრეთვე შრომის საზოგადოებრივი განაწილებაც. ძლიერდება და ვითარდება კავშირი და დამოკიდებულება როგორც ცალკე დაწესებულებათა შორის, ისე მრეწველობის მთელ დარგთა შორისაც, და საერთოთ საზოგადოებრივი წარმოების პროგრესი თან-და-თან უფრო მთლიანი და განუყოფელი ხდება.

კონკურენცია ერთგვარ დაწესებულებათა შორის ჰქმნის საურთიერთო დამოკიდებულებებს, რაც, უმთავრესათ, იმაში გამოიხატება, რომ ერთ დაწესებულებაში ტეხნიკის გაუმჯობესება იწვევს მეორეშიაც ასეთისავე გაუმჯობესების აუცილებლობას. მანქანურ წარმოების დროს საურთიერთო კავშირის ეს ფორმა ყველაზე უფრო იმიტომ ვითარდება, რომ კონკურენცია მაშინ ძლიერ საგრძნობლათ მწვავდება.

შემდეგ, ძლიერდება საურთიერთო კავშირი მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგებს შორის. ეს ხდება ორის გზით.

პირველათ, წარმოების საშინელი გაფართოვება განსაკუთრებით ჩქარა განვითარებას იწვევს მრეწველობის იმ დარგებში, სადაც მასალებსა და იარაღებს ამზადებენ სხვა დარგებისათვის; ჩნდება მრავალი ამის მაგვარი ახალი წარმოება; აქამდე არსებულები კი უფრო სპეციალურ წარმოებათ იქცევიან. ჩნდება, მაგ., მანქანების კეთების საქმე, რომელიც იყოფა უთვალავ სხვა-და-სხვა შტოებათ: თუჯის დამმზადებელი წარმოება შორდება რკინისას, ფოლადისას და სხვ. წარმოებას. აქ განსაკუთრებით აშკარავდება წარმოებათა შორის არსებული საურთიერთო კავშირი: ერთის არსებობა დამოკიდებულია მეორის არსებობასთან, და პირიქით.

გარდა ამისა, საშინელი სისწრაფით ვითარდება ის დაწესებუ-

ის დაწესებულებანი და ძლიერ იზრდება ის კლასები, რომელთა საზოგადოებრივ როლსაც საზოგადოებაში ნაწარმოების ცვლა შეადგენს. ინგლისში, მაგ., ვაჭრობას მისდევს მთელი ხალხის 1/6 ნაწილი (4 მილიონზე მეტი), საფრანგეთში — 1/8 (5 მილიონამდე), შედარებით ძლიერ ჩამორჩენილ რუსეთში — დაახლოვებით 1/30 (3 მილიონზე მეტი), თუ მოვაჭრეებთან მივათვლით აგრეთვე მათს ნოქრებსა და სხვა მოსამსახურეებსაც თავიანთ ოჯახებიანად.

მეორეთ, მრეწველობის ცალკე შტოები უფრო მკაცრათ ისაზღვრება ერთი-მეორისაგან. ქრებიან ძველი ტიპის არეული მეურნეობანი, რომლებიც ერთათ ათავსებდენ სხვა-და-სხვაგვარ წარმოებებს. მიწათმოქმედება საბოლოვოთ შორდება დამმუშავებელ მრეწველობას; ქრება წვრილ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ხელოსნობა და შინათ-მრეწველობა; იდევნება მიწათმომქმედ გლეხობის დამხმარე სამუშაოები. როგორც ნათქვამი იყო, ასეთ ორმაგ მეურნეობათ უკვე მანუფაქტურები უთხრიდენ ძირს თავის მწვავე კონკურენციით, ხოლო მანქანას კი მათი სრულიად მოსპობაც ხომ ადვილათ შეუძლია. თუ რა საშინელის ენერგიითა და ულმობელობით ანადგურებს მანქანების კონკურენცია ამ ძველ ეკონომიურ ფორმაციების ნაშთებს, შეგვიძლიან გავითვალისწინოთ შემდეგის ფაქტით: რუსეთში, საფაბრიკო ქსოვა-რთვის განვითარების წყალობით, შინაური წარმოება ისე ცუდათ აჯილდოვებს შრომას, რომ, ყველა ხარჯების გამოკლების შემდეგ, გლეხის დედაკაცი თითო საათის შრომაში 1 კაპეიკზე ნაკლებს იღებს (ზოგჯერ კი ასეთი ქირა 2/3 კაპეიკს უდრის).

ამასობაში, როგორც მანქანური, აგრეთვე მანუფაქტურული წარმოების განვითარება პირველ ხანებში ძლიერ ხშირათ აჩენს კიდეც ახალ დამხმარე სახელოსნოებს (подсобные промыслы), რადგან ფართე მოთხოვნილებებს ბადებს ისეთი მასალები, რომელთა დამზადებაც ჯერ სავსებით კიდევ ვერ ჩაუგდია ხელში მსხვილ წარმოებას, ან და შეძლებას აძლევს წვრილ, შინ მომუშავე მწარმოებლებს შეასრულონ წარმოების ზოგიერთი მარტივი ოპერაციები, რომლებიც

თვითონ ფაბრიკას ჯერ კიდევ ვერ შეესრულებია მანქანის შემწეობით.

მიწათმოქმედებისაგან დამმუშავებელ მრეწველობის გამოყოფასთან ერთათ, მატულობს ქალაქის დამოკიდებულება სოფლისაგან, და პირიქით.

წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი იქამდე ვითარდება, რომ მთელი ქვეყნები მჭიდრო საწარმოვო კავშირში ებმევიან. ცვლა იმდენათ აერთიანებს სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა წარმოებას, რომ იმათი დამოუკიდებელი ეკონომიური არსებობა წარმოუდგენელია. რომელსამე მხარეშიერთი წარმოების განსაკუთრებით ძლიერს განვითარებას თანასდევს განსაკუთრებით სუსტი განვითარება, ან სრულიად არ ყოფნა,—მეორე პირველზე არა ნაკლებ მნიშვნელოვან—საწარმოვო დარგისა, ასე რომ, ცვლის დაუხმარებლათ მთელი ერი (ნაცია) ვერ შესძლებს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამის მაგალითს წარმოადგენს ინგლისი, სადაც ხალხის საკვები პურის უმეტესი ნაწილი უცხო ქვეყნებიდან შემოაქვთ.

ამნაირათ, მანქანების ხანაში თანდათან ერთიანდება მთელის ქვეყნიერობის წარმოება.

### 3. განაწილების წესების განვითარება კაპიტალიზმის სამანქანო ხანაში.

#### ა) ფულის ტრიალი.

ფული კაპიტალისტურ წარმოების აუცილებელი მამოძრავებელი საშუალებაა. ამიტომ კაპიტალიზმის მანქანურ ხანაში წარმოების საოცარმა განვითარებამ ფულის ბრუნვა-ტრიალიც წარმოუდგენელ ზომამდე გაზარდა.

ოქროსა და ვერცხლის ფულის რაოდენობა რამდენიმე ათჯერ გაიზარდა. 1851 წლიდან 1895 წლამდე,—45 წლის განმავლობაში,—ოქრო ორჯერზე კიდევ მეტი იქმნა მოპოვებული, ვინემ წინანდელ 358 წლის განმავლობაში (ამერიკის აღმოჩენიდან), სახელდობრ—655,000 ფუთი, წინანდელ

295,000 ფუთის მაგიერ, და თითქმის იმდენივე ვერცხლი, რამდენიც იმ 358 წლის განმავლობაში, სახელდობრ— 8.900,000 ფუთი, წინანდელ 9.300,000-ის მაგიერ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ 30—40 წლის განმავლობაში ვერცხლი საფულე ლითონის როლს სწრაფათ კარგავს, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზარზე, ოქრო კი თან-და-თან ერთათ-ერთ ჭეშმარიტ ფულათ ხდება, დევნის რა ნელ-ნელა ვერცხლის ფულს ისე, როგორც ოდესღაც ვერცხლმა განდევნა იტალიიდან სპილენძის ფული და საბერძნეთიდან— რკინის ფული. ასეთი მოვლენა დამოკიდებულია, უმთავრესათ, იმ გარემოებაზე, რომ ვერცხლის საცვლელი ღირებულება, შედარებით, უფრო ცვალებადია,—მაგ., ამ უკანასკნელ დროს იგი სწრაფათ ეცემა, რადგან მისი მოპოვება, შედარებით, გაადვილებულია (უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში ვერცხლის ღირებულებამ დაიწია 50%). საფულე ლითონისათვის კი ღირებულების ცვალებადობა დიდი ნაკლია, ვინაიდან იგი ბადებს ყველა ფასების ცვალებადობას და ანგარიშებს უბნევს კაპიტალისტებს. მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში შერჩა აქამდე ვერცხლის ფულს პირველი ადგილი. (განსაკუთრებით—აღმოსავლეთ აზიაში).

ქაღალდის ფულის ტრიალი მანქანების ხანაში უსაზღვროთ ვითარდება. ამასთან, ყველა ქვეყნებს,—სადაც სახელმწიფოებრივმა მოთხოვნილებებმა წარმოშვა სახურდავო ქაღალდის ფულის მაგიერ უხურდავო ფული,—ახლა ისევ სახურდავო ფულისაკენ მისწრაფება ემჩნევათ, როგორც ეს მოხდა რუსეთში ოთხმოცდა-ათიან წლებში, და ეს კი ძლიერ ადვილი მისახვედრია: ცვლის უსაზღვრო განვითარებასთან, განსაკუთრებით აუცილებელია ღირებულების მხრივ მტკიცე საცვლელ საშუალებათა არსებობა. თუ ასეთი სიმტკიცის უქონლობისა გამო ვერცხლი განდევნილ იქმნა ოქროს-მიერ, ახლა უხურდავო ფულის მაგიერ, რომელსაც ეს ნაკლი კიდევ უფრო მეტი სჭირს, ისევ სახურდავო ქაღალდები უნდა იქმნას შემოღებული.

## ბ) კ რ ე დ ი ტ ი.

კრედიტი, რომელიც წინათ მეორე ხარისხოვან როლს თამაშობდა, რომელიც მხოლოდ ფულის ბრუნვის დამატებას შეადგენდა, სამანქანო კაპიტალიზმის ხანაში ძლიერ ვითარდება და საოცრათ ფართე, რთულ და მწყობრ სისტემას ქმნის და მძლავრათ მიაქანებს წინ საერთო ეკონომიურ განვითარებას.

კაპიტალისტური სისტემა ხშირათ მოითხოვს თვითოეული კაპიტალისტისაგან ბლომა ფულის ერთბაშათ გადახდას ანგარიშების გასასწორებლათ. მარა, რაც უნდა ბევრი ფული ბრუნავდეს ბაზარზე, მაინც შეუძლებელია ყოველთვის ხელთა ჰქონდეს კაპიტალისტს საჭირო თანხა. თითქმის უუმდიდრეს კაპიტალისტსაც კი გამოერევა ისეთი დრო და ჟამი, როცა მის ხელში არსებული ნაღდი ფული არ ყოფნის ანგარიშების გასასწორებლათ, ხანდისხან კი მის ხელში ფულის დიდი ჯამი გროვდება, რომელიც მას არ ესაჭიროება. კაპიტალისტური წარმოება დიდათ შეფერხდებოდა თავის განვითარებაში, ყველა ვადიანს ანგარიშების გასწორება რომ მხოლოდ ნაღდი ფულით სწარმოებდეს: ერთხელ ფულის უქონლობა სამუდამოთ ჩაუფუშავდა კაპიტალისტს ყველა მის გამოწყებულ საქმეებს. აქედან ცხადია, რომ, კაპიტალიზმის განვითარებასთან და კაპიტალებისა და მათი ტრიალის სწრაფ ზრდა-მატებასთან ერთათ, საკრედიტო საქმეც განუწყვეტლივ ფართოვდება და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივ მეურნეობაში.

უმჯობესდება თვითონ ფორმა საკრედიტო კაპიტალისტურ დაწესებულებათა, რომლებიც ამხანაში უმთავრესათ, ეგრეთ-წოდებულ, **ბანკებს** წარმოადგენენ. ბანკი არის მოსაშუალე კრედიტის მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის, იგი იღებს კრედიტს იმათგან, ვისაც ფულის გასესხება შეუძლია, და აძლევს, ანუ უხსნის კრედიტს იმათ, ვისაც ის ესაჭიროება.

ბანკი მანქანურ წარმოებაზე უფრო ადრე წარმოსდგა, მაგრამ სრულ განვითარებას და ფართეთ გავრცელებას მიაღ-

წია მხოლოდ მანქანების განვითარების დროს. ისტორიულათ თანამედროვე ბანკირი საშუალო საუკუნეების ორი მოღვაწის ჩამომავლობაა: მევახშისა და ზარაფისა (ფულის დამხურდავებელი). პირველი საკმაოთ დავახასიათეთ ზემოთ, მეორეზე კი ახლა უნდა შევჩერდეთ.

ფეოდალური ქვეყნის უკიდურეს პოლიტიკურ დაქუცმაცების დროს, როდესაც თვითოეულ დამოუკიდებელ ხელმწიფე-მბრძანებელს სრული უფლება ჰქონდა ფულის მოჭრისა და გამოცემისა, ბაზარზე იმდენი სხვა-და-სხვა გვარი ფული ტრიალებდა, რომ აუცილებელი შეიქმნა ფულის საცვლელ დაწესებულებათა ანუ ზარაფხანების დაარსება.

ფეოდალური ქვეყნის ნიშნობლივი, დამახასიათებელი ნაკლულევანება—საზოგადოებრივ მშვიდობიანობის ნაკლებობა—ჰბადებდა იმას, რომ ზარაფები, რომელთაც ხელში მუდამ დიდძალი ფული უგროვდებოდათ, იძულებული იყვენ განსაკუთრებული საშუალებანი გამოეძებნათ ამ ფულის დასაფარავათ მოპარვისა და გაძარცვისაგან. ამის გამო, ზარაფებთან მიბარებული ფული, შედარებით, უფრო საიმედოთ და კარგათ ინახებოდა, და ამიტომ ბევრი ვაჭარი თავისთვის ხელსაყრელათ თვლიდა მისი ფული შესანახათ მიებარებია ზარაფისათვის, რისთვისაც აძლევდა მას შესაფერ სასყიდელს, გასამრჯელოს. შეტანილი ფული ინახებოდა პირველ მოთხოვნამდე, ასე რომ, ზარაფებს ამ ფულის ბაზარში სატრიალოთ გაშვების უფლება არა ჰქონდათ.

რადგან ერთ საზარაფო დაწესებულებაში სხვა-და-სხვა პირთა ფული ინახებოდა, ამიტომ ამ პირთა საურთიერთო ანგარიშების გასწორებისათვის საკმაო შეიქნა ზარაფის დავთრებში იმათი ანგარიშების შეთანასწორება და გადატან-გადმოტანა.

კაპიტალიზმის განვითარებამ და აქედან გამოწვეულმა კრედიტის ძლიერმა საჭიროებამ არსებითი ცვლილებანი შეიტანა საზარაფო დაწესებულებათა (რომელთაც დროთა განმავლობაში ბანკი უწოდეს) ორგანიზაციაში. ხანგრძლივმა გამოცდი-

ლებამ დაანახვა ბანკირებს, რომ შესანახათ მიბარებული ფულის ნაწილი სულ ადვილათ შეიძლება სამთავნოთ (სასარგებლოთ, საპროცენტოთ) გაიცეს, ვინაიდან არასოდეს მოსალოდნელი არაა, რომ ყველა მიმბარებლებმა მთელი თავიანთი ფული ერთბაშათ მოითხოვონ, და რომ ეს მოხდეს კიდეც, ასეთი მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნეს ახლათ მობარებულ ფულის შემწეობით. დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ფულის მიბარება და უკანვე წაღება ერთგვარის წესებით არსებობს, რომ ის ერთგვარ ეკონომიურ მიზეზების ზეგავლენით ხდება, ასე რომ, შესაძლებელია, წინდაწინ ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ ფულის ხანდაზმობით, დრო-გამოშვებითი შემოტანისა და გატანის ვადა.

სხვა-და-სხვა ქვეყნებში სხვა-და-სხვა დროა დანიშნული სავალო ხელშეკრულობათა უდიდეს ნაწილთა გასასწორებლათ. თვითოეულ ქვეყნისთვის ასეთს დროს შეეფარდება მისი წარმოების ბუნებრივი პირობებიც, ხან კი — ისაზღვრება ჩვეულებით, რომლის ეკონომიური საფუძველიც ძნელი მისაგნებია, — თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ ამ ჩვეულების ფესვები საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობებშია დამარხული. მაგ., სამიწათმოქმედო ქვეყნებში ანგარიშების გასწორების ვადა უფრო ხშირათ პურის გაყიდვის დროსაა დანიშნული. ჩვეულებებშია დამყარებული, როგორც ჩანს, უქმის წინა დღეებში ანგარიშების გასწორების ვადის დანიშვნაც: საშობაოთ — ინგლისში, სააღდგომოთ — რუსეთში. ასეთ დროს საფულე ბაზარი ერთბაშათ აუარებელ ფულს თხოულობს ანგარიშების გასასწორებლათ. ფულის აუარებელი მასსა „სალაროს კლიტულებიდან“ დროებით ბაზარზე გამოდის; საკრედიტო დაწესებულებათა კასები სწრაფათ ცარიელდება. საფულე ბაზარში საქმეების მსვლელობა ცოტათი კიდეც ირყევა, მაგრამ ეს რყევ-დარყევა ხანგრძლივი არაა და სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს: იგი მალე თავის კალაპოტში ჩადგება, ფული ისევ ბრუნდება „სალაროს კლიტულებში“ და დაცარიელებულ საკრედიტო დაწესებულებათა კასები ისევ მალე, ხან იმავე დღესაც, შეივსება.

ფულის ტრიალის ასეთ კანონიერებაზე დაყრდნობილმა

ბანკირებმა იწყეს მიბარებული ფულის ნაწილის სხვა-და-სხვა პირებზე მისესხება—თავდაპირველათ მხოლოდ მოკლე ვადით და ვალის უეჭველათ უზრუნველმყოფელის პირობებით. მაშინ მიმბარებლები ბანკის ნამდვილ კრედიტორებათ გახდენ, და ბანკსაც მათთვის განსაზღვრული პროცენტი უნდა ეძლია მიბარებულ ფულით სარგებლობისათვის; აქამდე კი პირიქით ხდებოდა: მიმბარებლები იხდიდენ ზარაფებთან ფულის შენახვისათვის ქირას, ანუ უწყებულ პროცენტებს.

აი, ასე წარმოსდგა ბანკის ორი უპირველესი ოპერაცია: მიბარებულ ფულის მიღება, ანუ სადეპოზიტო ოპერაცია—ძირითადი პასსიური ოპერაცია, ე. ი. ისეთი, რომელშიაც ბანკი მოვალეთ გამოდის, ვალს იღებს,—და სასესხებელი ოპერაცია—ძირითადი აქტიური ოპერაცია, ე. ი. ისეთი, რომელშიაც ბანკი კრედიტორია, თვითონ ასესხებს.

სადეპოზიტო ოპერაცია რაოდენობის მხრივაც უმთავრესი პასსიური ოპერაციაა ყველა ქვეყნებში, სადაც კრედიტი განვითარებულია. ამ ოპერაციას ორი უმთავრესი ფორმა აქვს: ვადიანი მიბარება და უვადო მიბარება. ვადიანი, განსაკუთრებით გრძელ-ვადიანი (არის აგრეთვე „სამუდამო მიბარებაც“) მიბარება ბანკისთვის იმითაა სასარგებლო, რომ ამ ფულის მოულოდნელათ უკან მოთხოვნა არ შეიძლება. უვადო, ანუ „მიმდინარე ანგარიშში“ შეტანილი და მიბარებული თანხა კი ყოველთვის შეიძლება უკან მოითხოვონ; მაშასადამე ბანკი იძულებულია ამნაირათ მიბარებულ ფულს დიდის სიფრთხილით მოეპყრას, ერიდოს მის ბაზარში გაშვებას; ამიტომ ასეთ ფულზე პროცენტებსაც ნაკლებს აძლევს, ვინემ ვადით მიბარებულ ფულზე.

თუმცა ბანკი აუარებელ ფულს იღებს შესანახათ, მაგრამ მაინც არასოდეს არაა სრულიად უზრუნველყოფილი დაღუპვისა და გაკოტრებისაგან. ადვილათ შესაძლებელია მისი განადგურება, თუ მიმბარებლები, რაიმე მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ ეკონომიურ ცვლილებათა გამო, არაჩვეულებრივათ

ბევრ შეტანილ ფულს ერთბაშათ უკან მოითხოვენ. ეს მით უფრო ხშირია და მით უფრო საშიში, რომ ჩვეულებრივ ბანკის საშუალებათა უდიდეს ნაწილს მიმდინარე ანგარიშები კი არა, უვადოთ მიბარებული ფული შეადგენს, და რომ ეს ფული უმთავრესათ, მრეწველ და მოვაჭრე კაპიტალისტებს ეკუთვნით. ყოველივე შერყევა წარმოებისა, უბედურება, არეულობა ეკონომიური და პოლიტიკური—აიძულებს ასეთ მიმბარებლებს დაუყოვნებლივ მოითხოვონ უკან თავიანთი ფული, რომ უზრუნველყოფილი გახდენ ყოველისავე მოულოდნელ შემთხვევისაგან.

მიბარებულ ფულზე პროცენტების მიმატება და მოკლება ბანკისთვის ერთი მთავარი საშუალებათაგანია, რომლის წყალობითაც იგი საჭიროების დაგვარათ იზიდავს ფულს ბანკის კასაში, ან აბრუნებს მას უკან. მაგ., ვთქვათ, ბანკში ბევრი თავისუფალი ფულია მოგროვილი, ხოლო მათი მოთხოვნა კი კაპიტალისტების მხრით სუსტია; ამნაირათ ბანკიც იძულებული ხდება პროცენტები აძლიოს ისეთ მინაბარებ თანხაზე, რომელიც მას ბაზარში სასარგებლოთ არ გაუშვია და რომლითაც მას არ უსარგებლნია; მაშინ ბანკი ამცირებს პროცენტებს და ამით არამც თუ ახალ-ახალი თანხების შეტანა ბანკში ძლიერ იკლებს, არამედ ძველი მიმბარებლების ნაწილსაც კი გამოაქვს ბანკიდან, თავის ფული რომ უფრო მეტ სარგებლიანათ მოათავსოს იგი სხვაგან სადმე.

სადეპოზიტო, ოპერაციის ერთ ცოტათი შეცვლილ სახეთ შეიძლება ჩაითვალოს „გირავნობის ფურცლების“ გამოშვება, რომლებიც ბანკის სავალდებულო თამასუქებს შეადგენენ. ამ თამასუქებში როგორც პროცენტებისა, ისე ვალის ძირითადი თანხის გასწორება თან-და-თანობით ხდება. ამ მხრივ გირავნობის ფურცლები უახლოვდება გრძელ ვადით მიბარებულ ფულს, რომელსაც ბანკი ერთბაშათ კი არ უბრუნებს ვადის გათავებისას, არამედ ნაწილ-ნაწილათ აძლევს.

მიმბარებელთა შორის ზარაფ-ბანკირთან გადაწერ-გადმო-

წერის საშუალებით ანგარიშების გასწორებამ წარმოშვა „ჩეკური სისტემა“ ანგარიშის გასწორებისა. თანამედროვე კაპიტალისტს იშვიათათ დააქვს თან ფულის დიდი ჯამი, იგი მას ბანკში ინახავს, და როდესაც ანგარიშების გასასწორებლათ ფული სჭირდება, კაპიტალისტი „ჩეკს“ მიმართავს ხოლმე, ე. ი. სწერს ბარათს იმ ბანკს, სადაც იმისი ფული ინახება, და ამ ბარათში აღნუსხავს, თუ ვის რამდენი ფული უნდა მისცეს ბანკმა მისი თანხიდან. ხშირათ ხდება, რომ ჩეკის მიმტანელი პირდაპირ როდი იღებს ფულს ბანკიდან, არამედ გადააქვს იგი თავის სახელზე და ბანკშივე სტოვებს, ან-და ფული იგზავნება იმ ბანკში, სადაც ჩეკის წარმდგენელი ფულს ინახავს. ასეთნაირათ აღწევენ თავს პირდაპირ ფულის მიღება-გადაცემას, და ამიტომაც ნაღდი ფულის მოთხოვნილება ბაზარში ძლიერ კლებულობს.

ჩეკური სისტემა ყველაზე ძლიერ გავრცელებულია ეკონომიურათ დაწინაურებულ ქვეყნებში, მაგ., ინგლისში, სადაც საერთო ჯამი ღირებულებათა, რომელიც ყოველ წლობით იცვლის ამ გზით თავის მფლობელს, მრავალ მილიონ მანათს შეადგენს.

ძლიერი ეკონომიური ძალა დიდი ბანკებისა, რომლებიც ყოველის მხრიდან იზიდავენ თავისკენ კაპიტალებს და ხელში იგდებენ მრავალ ათას კაპიტალისტებისა და არა-კაპიტალისტების ქონება-საშუალებათ, ისეთ საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და ნდობას უპოვებს ამ ბანკებს, რომ მათს ფორმალურ განცხადებას,—ვალდებულათ ვთვლი ჩემს თავს ესა და ეს ჯამი გადავიხადოო, საზოგადოებაში ისე უყურებენ, როგორც ხსენებულ ვალის ნამდვილ გადახდას. აქედან წარმოსდგება **ემისსიონური ოპერაცია**, ანუ **ბანკის ბილეთების** გამოცემა. მაშასადამე, ბანკის ბილეთები იგივე ყოფილა, რაც ქაღალდის ფული; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ქაღალდის ფულს იღებენ იმიტომ, რომ ნდობით უყურებენ სახელმწიფოს, ბანკის ბილეთებს კი იმიტომ, რომ ნდობით უყურებენ ბანკის

კონებრივ შეძლებას. თავის-თავათ ცხადია, რომ ასეთი ოპერაციის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ საბანკო საქმის განვითარების მაღალ საფეხურზე.

თავის მსესხებლებსა და მიმბარებლებს ფულის მაგიერ ბანკი აძლევს ერთნაირ ბილეთებს, რომელთა მაგივრათაც პირველსავე მოთხოვნაზე ბანკი ვალდებულათ ხდის თავის თავს ნამდვილი ფული დაუთვალოს. თუ ბანკი ნამდვილათ საიმედოა, მაშინ იმისი ბილეთებიც ფულის თანაბრათ ტრიალებს. იქ, სადაც სახელმწიფოებრივი ქაღალდის ფული ბევრია, ბანკის ბილეთები, შედარებით, ნაკლებია ბაზარზე, ვინაიდან ორთავეს საზოგადოებრივი როლი ერთნაირია. დასავლეთის ქვეყნებში, სადაც მრეწველობა ფრიად განვითარებულია, ბაზარზე მრავალ ას მილიონ მანათის ბანკის ბილეთები ტრიალებს.

ემისიონურ ოპერაციის მნიშვნელობა ბანკებისათვის, თავის-თავათ ცხადია,—უპროცენტო სესხის აღებაა. გამოსაცემ ბილეთების რაოდენობა, შეიძლება, ბევრათაც აღემატებოდეს ბანკის ნაღდ საშუალებებს,—ეს ბანკს სულაც არ აკოტრებს, რადგანაც ჩვეულებრივ პირობებში შეუძლებელია ყველამ ერთსა და იმავე დროს მოითხოვოს ამ ბილეთების ნაღდ ფულზე დახურდავება. თუმცა კი ძლიერ ეკონომიურ აწრიალების ხანაში შესაძლებელია ბანკის გაკოტრებაც, თუ მისი ბილეთების დახურდავება ერთბაშათ ძლიერ მრავლათ იქნება მოთხოვნილი.

ჩეკური სისტემა და ემისსიონური ოპერაციები ძლიერ ამცირებენ ფულის, როგორც ცვლისა და ანგარიშის გასასწორებელ საშუალების, საჭიროებას.

აქტიურ ოპერაციებიდან უპირველესი და ძირითადი არის, როგორც ახსნილი იყო, **სესხი გირაოთი**. მის სხვა-და-სხვა ფორმათა შორის ყველაზე წინ განვითარდა ლომბარდული ოპერაცია,—მოძრავი საგნების დაგირავებით სესხის აღება. თავდაპირველათ, როცა ეს ოპერაცია წვრილი მევახშეობის ფორმას წარმოადგენდა, გირაოთ იღებდენ მხოლოდ დიდ ფა-

სიან და მცირე სივრცის საგნებს: ოქროს ზოდებს, ძვირფას ქვებსა და სხვ.; ხოლო საქონლის ტრიალისა და კრედიტის განვითარების შემდეგ კი—უფრო მეტათ საქონლებსა და ფასიან ქაღალდებს.

დაგირავებულ საქონელს თვითონ ბანკები არ ინახავენ. ეს საქმე ბანკებზე ჩამოშორებულია და ცალკე დაწესებულების სპეციალობათ ხდება—საქონლის საწყობებისა, რომლებიც განსაზღვრულ ფასათ მიიბარებენ ხოლმე საქონლებს შესანახავათ, ხოლო საქონლის პატრონებს კი აძლევენ ვარრანტებს,— მოწმობებს საქონლის მიღებისას, რომლებზედაც აღნიშნულია სათითაოთ საქონლების ფასები. ასეთ მოწმობებს ბანკი იღებს გირაოთ და მათში აძლევს სესხს; როდესაც მოვალე ვერ იხდის ვალს, მაშინ ამ ვარრანტით ბანკს გამოაქვს საწყობიდან იქ აღნიშნული მოვალის საქონელი, ყიდის მას და მითი ინაზღაურებს თავის სესხს (სესხი, რასაკვირველია, საქონლის ფასზე მუდამ ნაკლებია,—ჩვეულებრივ ნამდვილ ღირებულების 60%) ამ სახითვე ღებულობენ გირაოთ რკინის გზისა და საზღვაო-სატრანსპორტო საზოგადოებათა იმ მოწმობებსაც, რომ ესა თუ ის საქონელი მათ-მიერ მიღებულია სხვაგან გადასაზიდათ.

კრედიტის განვითარებასთან ერთათ, საქონლის ტრიალში შედის მთელი მასსა სხვა-და-სხვაგვარ „ფასიან ქაღალდებისა“: სახელმწიფოს თამასუქები, სხვა-და-სხვა საზოგადოების აქციები და მრავ. სხვ.; შემდეგში ამ ქაღალდებზე ცალკე მოგვიხდება ლაპარაკი; არსებითათ იგი ერთსა და იმავეს წარმოადგენს—ეს ფასიანი ქაღალდები არის კანონიერი მოწმობანი, რომელთა შემწეობითაც შეიძლება საზოგადოებაში დამუშავებულ ზედმეტი ღირებულების განსაღვრულ ნაწილის მიღება. ასეთ „ფასიან ქაღალდებს“ ბანკები ადვილათ ღებულობენ გირაოთ. აქედან წარმოსდგება კიდევ ერთი იმ მრავალ ხიფათთაგანი, რომელიც მუდამ ემუქრება თვითოეულ ბანკის არსებობას: „ფასიან ქაღალდების“ საბაზრო ფასებში შეიძლება

ძლიერ დაიწიოს, დიდს რყევაში ჩავარდეს, რაიცა სავსებით მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული, ამიტომ ბანკი, როცა ამნაირ ფასიან ქაღალდებში სესხს იძლევა, მუდამ უნდა ელოდეს, რომ შეიძლება იზარალოს, თუ ბაზარზე ამ ქაღალდების ფასი დაეცა.

ბანკის **იპოტეკურ** ოპერაციას ეძახიან ისეთ ოპერაციას, როცა ბანკი სესხს აძლევს და ამის გირაოთ უძრავ ქონებას (მიწას, სახლსა და სხვ. ამისთ.) იღებს. ასეთი სესხი, უმეტეს შემთხვევაში, გრძელ-ვადიანია. მემამულეებს ჩვეულებრივ ფული ესაჭიროებათ მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, ან ახალი მიწების შესაძენათ, ან-და პირადათ დასახარჯავათ; ყოველ შემთხვევაში, მემამულეთ შეუძლიათ მხოლოდ ნაწილ-ნაწილათ გაასწორონ თავის შემოსავლიდან ნასესხები ფული, მით უმეტეს, რომ მიწათმოქმედებაში კაპიტალი, საზოგადოთ, ძლიერ ნელა ბრუნავს. ამიტომ ის ბანკები, რომლებიც იპოტეკურ ოპერაციებს აწარმოებენ, თვითონაც მხოლოდ გრძელ-ვადიან სესხს ღებულობენ, ვინაიდან შეუძლებელია სესხის გრძელი ვადით გაცემა მაშინ, როდესაც თვითონ შენ მოკლე-ვადიანი კრედიტი გაქვს. უმთავრეს და დამახასიათებელ პასსიურ ოპერაციას ასეთი ბანკებისათვის შეადგენს გირავნობის ფურცლების გამოცემა.

სესხის ოპერაციების განსაკუთრებული ფორმაა „პირადი კრედიტი“, ე. ი. იმნაირი კრედიტი, როცა ბანკი სესხს აძლევს ისეთ პირს, რომელსაც კარგათ იცნობს და ენდობა, და ამიტომაც არავითარ გირაოს არ ართმევს. ეს, როგორც ხედავთ, შედარებით სახიფათო ოპერაციაა (რუსეთში, მაგ., ამნაირმა ნდობამ ბევრი ბანკი გააკოტრა).

სესხის ოპერაციის დიდათ გადასხვაფერებულ ფორმას წარმოადგენს „**თამასუქების (ვექსილების) განაღდება**“, ანუ **ვექსილის დისკონტი**. აქ ბანკი იმის მაგიერ, რომ სესხი გასცეს და გირაოთ ფასიანი ქაღალდი—ვექსილი (თამასუქი) მი-

ილოს, პირდაპირ ყიდულობს ამ ქაღალდს, ე. ი. ამ ქაღალდთან დაკავშირებულ ფულის მიღების უფლებას.

მსხვილი წარმოება მეტათ ანვითარებს და ავრცელებს ნისიათ ვაჭრობას. მაგრამ კრედიტორს, შესაძლებელია, ფული გაცილებით უფრო ადრე დასჭირდეს, ვინემ მისი თამასუქის ვადა მოვიდოდეს. ამ შემთხვევაში კრედიტორი თამასუქს ბანკს წარუდგენს. თუ ბანკმა თამასუქს ნდობის თვალით შეხედა, მაშინ იგი აძლევს ამ თამასუქში ფულს, ე. ი. ყიდულობს მას; ამასთან, თამასუქის მფლობელს, რა თქმა უნდა, თამასუქის მთელი ფასი არ ეძლევა; მისგან რამდენსამე პროცენტს ბანკი თავის სასარგებლოთ იტოვებს. ბანკის ასეთ ოპერაციას ეძახიან „სავექსილო დისკონტს", ხოლო ამ შემთხვევაში ბანკისმიერ აღებულ სარგებელს კი—სადისკონტო, ანუ გასანაღდებელ მოჭრილ პროცენტს.

თამასუქის გასანაღდებელ პროცენტის სიდიდე-რაოდენობას საზღვრავს ორი პირობა: პირველი, ამა თუ იმ საზოგადოებაში ჩვეულებრივის პრაქტიკით განმტკიცებული საკრედიტო პროცენტი; მეორე, ამ ოპერაციის გაბედულება, რისკი. ვთქვათ, მაგ., თამასუქი უნდათ გაანაღდონ (დისკონტი მოახდინონ) ვადაზე ორის თვით ადრე; ჩვეულებრივი %-ია 6% წელიწადში, ანუ 1% ორ თვეში. ბანკისთვის საზარალო იქნებოდა, რომ თავის სასარგებლოთ ერთ %-ზე ნაკლები აეღო, რადგან ის ფული, რომელსაც ბანკი თამასუქებში აძლევს, ბანკს შეეძლო ვაჭრობაში დაეტრიალებია, ან 2 თვის ვადით გაესესხებია და 1% სარგებელი აეღო. როდესაც ამას ზედ ერთვის ნაყიდი თამასუქით ფულის მიუღებლობის შიში, ან-და როდესაც ბანკი სხიფათოთ სთვლის, საზოგადოთ, იმ მომენტში თავის კასიდან ფულის გაცემას, მაშინ თამასუქის გასანაღდებელი პროცენტიც მატულობს მაგ., 2 თვისა 2—3%-ზე ადის ხოლმე.

საკრედიტო და ჩვეულებრივი სესხის პროცენტების აწევდაწევა, ისე, როგორც მიბარებულ ფულზე პროცენტების აწევ-

დაწევა, ბანკისთვის ერთი მთავარი საშუალებათაგანია თავის ანგარიშების შესაფერათ კასის „ნაღდ თანხას“ მიუმატოს და გაზარდოს, ან შეამციროს.

როდესაც თამასუქის გასანაღდებელ და ჩვეულებრივ სესხზე პროცენტები მატულობს, ფული ბანკის კასაში ჩერდება, რადგან თამასუქების (ვექსილების) დისკონტი და ბანკიდან სესხის აღება ნაკლებ სახეირო ხდება; °/₀°/₀-ის დაკლების დროს კი, პირიქით, ბანკის კასები ცარიელდება.

ფრიად თავისებური ხასიათი აქვს ფასიან ქაღალდების— აქციებისა, პროცენტიანი ქაღალდებისა და სხვა ამგვარების— ბანკებში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციას, თუმცა კი ეს ოპერაცია ბევრში ჰგავს თამასუქების დისკონტს (განაღდებას). თუ ნაყიდ ქაღალდების ფასებმა აიწია, ბანკი იგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში——ზარალობს. ეს, ეგრეთ წოდებული, ბირჟაზე თამაშის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც შეუძლია როგორც უცებ გამდიდრება, ისე უცებ გალატაკება, დაღუპვა-განადგურებაც. ასეთ თამაშს ხშირათ შეუძლია ბანკის გაკოტრება, ხოლო თუ ბანკი ბირჟაზე თამაშობდა არა თავის საკუთარის ფულით, არამედ მისი კლიენტების, ანუ მიმბარებლების ფულით, მაშინ კი ეს უკანასკნელნი—მიმბარებლები გაკოტრდებიან ბანკის საბირჟო თამაშობის წყალობით.

ასეთია ბანკების მოღვაწეობის მთავარი თვისებანი. ნამდვილათ კი ეს მოღვაწეობა გაცილებით ფრიად რთულია და დახლართული; ბანკის საქმეთა დაწვრილებით გამოკვლევა მეტათ და დიდათ ძნელია, რის გამოც დიდი უთანხმოება არსებობს თვით ბანკის საქმეების საუკეთესო მცოდნეთა შორისაც კი.

ბანკები წარმოადგენენ კაპიტალისტურ დაწესებულებათა ერთ დიდ-მნიშვნელოვან ჯგუფს, სადაც აუარებელი დაქირავებული მუშები და უანგარიშო კაპიტალებია თავმოყრილი. საკრედიტო დაწესებულებებში მუშები, უმთავრესათ, ინტელიგენტურ პერსონალს ეკუთვნიან; ესენი არიან კანტორის მო-

სამსახურეები, ბუჰღალტერები, ხაზინადრები, დირექტორები და სხვ. თავისი ოპერაციები რომ უკეთ აწარმოვონ და თავიდან აიცდინონ საკრედიტო საქმეებთან შეკავშირებული ყველა საფრთხეები, ბანკებისათვის აუცილებლათ საჭიროა კარგათ იცოდენ როგორც საქონლის და ფულის ბაზარზე საქმეთა მდგომარეობა, ისე იმ პირთა და დაწესებულებათა საქმეების მდგომარეობაც, რომლებთანაც ბანკებს ყოველთვის საქმე აქვთ. აქედან წარმოსდგება ის გარემოება,—რომ ბანკს მუდამ უნდა ჰყავდეს დაქირავებული აგენტები, რომლებმაც უნდა მიაწოდონ მას ყოველივე საჭირო ცნობები და,—„მცოდნე პირები", რომლებსაც შეუძლიანთ ბანკისთვის საჭირო ცნობათა მიზნის შესაფერათ შემუშავება. ხშირათ ბანკებს მუდამ თავისთანა ჰყავთ დაქირავებული ასეთ სპეციალისტთა მთელი კომიტეტები. აი, საკრედიტო საქმეში რანაირათ ხდება და ვითარდება შრომის დაყოფის რთული სისტემა. საორგანიზატორო მოღვაწეობა იმ ადამიანთა, რომელნიც მთელ საკრედიტო დაწესებულებას მიმართულებას აძლევენ, ამ სისტემაში ძლიერ შორსა სცილდება თვით საკრედიტო დაწესებულების საზღვრებს. იგი გავლენას ახდენს უთვალავ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა ცხოვრებაზე, და იმავე დროს თვით ამ საკრედიტო დაწესებულებებშიაც იხატება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საერთო მდგომარეობა.

საკრედიტო დაწესებულებათა ძირითადი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავის მოქმედებით აადვილებენ და აჩქარებენ კაპიტალისტურ წარმოების განვითარებას შესაფერის ეკონომიურის ურთიერთობებითა და ყველა მათი საზოგადოებრივი შედეგებით. კრედიტი სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისტებს ისეთ ღონისძიებებს აძლევს მათი საქმეების გასამართავათ და გასაფართოვებლათ, რომლის მიღებაც კაპიტალისტებს არ შეეძლოთ პირდაპირ თავის დაწესებულებიდან.

არავითარ დაწესებულებაში არ იხარჯება ერთბაშათ მისთვის საწარმოვოთ გადადებული კაპიტალი: მისი დიდი ნაწილი უნდა შემონახულ იქმნეს გრძელ თუ მოკლე დროს განმავლობაში მოულოდნელი შემთხვევისა და მიმდინარე ანგარიშების გასასწორებლათ. თავის დაწესებულების გაფართოებასთან ერთათ, კაპიტალისტი იძულებულია წლითი-წლობით ზარდოს ამ შემონახულ ფულის რაოდენობაც. ძველ დროში ყველა ამგვარი ფული კაპიტალისტის ხელში მკვდარ საუნჯეს წარმოადგენდა. ახლა კი კაპიტალისტს ეს ფული ბანკში მიაქვს მისაბარებლათ და ამნაირათ გუშინდელი „მკვდარი საუნჯე“ დღეს ნამდვილ კაპიტალს შეადგენს საზოგადოებრივის თვალ-საზრისით, ვინაიდან ბანკის საშუალებით ეს ფული ახლა მეორე კაპიტალისტს უვარდება ხელში, რომელიც მას პირდაპირ ხარჯავს ზედმეტ ღირებულების მისაღებათ და პირველი კაპიტალისტის თვალსაზრისითაც, ვინაიდან მის-მიერ ბანკში მიბარებულ ფულს დღეს მცირეოდენი სარგებელი მაინც მოაქვს მისთვის.

მეორე მხრით, იმავე ბანკების შემწეობით კაპიტალისტი ადვილათ აფართოვებს თავის წარმოებას, მაშინ კი, როცა თავისი საკუთარი ფული არ მოეპოვებოდა, მხოლოდ მომავალ მოგების იმედებით-ღა სცხოვრობდა. ეს მით უფრო ადვილათ ხერხდება, რომ მიბარებულზე ბანკის-მიერ დანიშნული პროცენტი სწორეთ ის საკენკია, რომელიც თვით ჯურღმულიდანაც კი იზიდავს თავისკენ ისეთ ფულს, რომელიც სხვა პირობებში არასოდეს კაპიტალი არ შეიქნებოდა, — პირიქით, ზანდუკში იქნებოდა ჩაკეტილი, ან მიწაში ჩაფლული, ან სანთელში და ფისში გაფისული, საზოგადოთ, ეყრებოდა სადმე კუნჭულში, როგორც მკვდარი საუნჯე. კრედიტი კი კაპიტალისტებს უყრის ხელში ამ არა-კაპიტალისტების ავლა-დიდებასაც; რომელისამე მოახლის, შინა-მოსამსახურის, გლეხის, ხელოსნისა და მუშის წვა-დაგვით შექუჩებული დანაზოგი ჯერ გაივლის შემნახველ-გამსესხებელ კასებში და შემდეგ ხელში უვარ-

დება მსხვილ კაპიტალისტებს, რომლებიც მას თავის წარმოების გასაფართოვებლად ხმარობენ.

ასეთია საკრედიტო სისტემის მნიშვნელობა მთელის საზოგადოებისათვის; იგი აერთიანებს არა მარტო კაპიტალებს, არამედ ხელს უწყობს საერთოთ საზოგადოების მწარმოებელ ძალთა გაერთიანებასაც, და, მაშასადამე, აჩქარებს საზოგადოების ბუნებაზე გამარჯვებას.

სხვა-და-სხვა ეკონომიურ კლასებისათვის საკრედიტო საქმის მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს: კაპიტალისტთა კლასში კრედიტი მეტის-მეტათ აჩქარებს, განვითარებას ორის სხვა-და-სხვა პროცესისას. პირველ ყოვლისა უფრო სწრაფათ სრულდება მსხვილ კაპიტალისტების წვრილებისაგან გათიშვა: ზოგს შეუძლიან ფართეთ ისარგებლოს კრედიტით, და ისინიც სწრაფათ აფართოებენ კიდეც თავიანთ დაწესებულებებს და ზრდიან თავის კაპიტალებს; სხვებს კრედიტი მხოლოდ მცირეოდნათ სწყალობს და, საზოგადოთ, უფრო მათ წინააღმდეგაა მიმართული, ამიტომ კონკურენციაც მათთვის უფრო ძნელი და აუტანელია. მეორეთ,—კაპიტალისტების გამნაწილებელი დამხმარებელი როლი წარმოებაში მალე შორდება საორგანიზატორო როლს. კაპიტალისტების დიდ ნაწილს ბანკები შეძლებას აძლევს თავის კაპიტალის პროცენტებით იცხოვრონ და დაწესებულების მართვა-გამგეობით თავი არ შეიწუხონ; ამნაირათ, კაპიტალისტების უფრო და უფრო მეტი რიცხვი წმინდა „რენტიორებათ“ ხდებიან (აქ სიტყვა „რენტა“ ნიშნავს, საზოგადოთ, შემოსავალს, რომელსაც იღებენ ისინი ვინც წარმოებაში პირადათ არც საორგანიზატორო და არც აღმასრულებელ როლს არ ასრულებენ მხოლოდ იმიტომ, რომ უშრომოთაც შემოსავლიანი საკუთრება აქვთ, ესაა— წარმოების თვალსაზრისით, „პარაზიტული“ შემოსავალი. ასეთია მიწის რენტა, რომელსაც იღებს მემამულე მხოლოდ იმიტომ, რომ მიწა მისია; ასეთია იმ კაპიტალის რენტაც, რომელსაც ფული ბანკზე ან კერძო პირზე აქვს მისესხებული).

მუშებისათვის, რომლებიც მწარმოებელ შრომას ეწევიან, კრედიტის განვითარებას პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს: საზოგადოთ რომ ვსთქვათ, კრედიტი მათთვის მუშებისათვის არ არსებობს.

საკრედიტო საქმე დღეს დიდათაა განვითარებული და კიდევ საშინელის სისწრაფით მატულობს. მრეწველობის მხრივ ისეთ ჩამორჩენილ სახელმწიფოშიაც კი, როგორიც რუსეთია, ბანკების ფულის ტრიალის მოქმედებას თითქმის მილიარდ მანათობით ანგარიშობენ. იაპონიაში ათის წლის განმავლობაში 1894-დან 1904 წლამდე ბანკების საკუთარი კაპიტალი 5-ჯერ გადიდდა—112 მილიონ იენიდან 540 მილიონზე ავიდა; შესანახათ მიბარებულის ჯამმა ათჯერ იმატა: 292-დან 2,988 მილიონ იენამდე ავიდა (იენი თითქმის მანათს უდრის დაახლოვებით)...

შეერთებულ შტატებში 1892 წელს ბანკების ოპერაციების ჯამი 65.265 მილიონ დოლარს უდრიდა (დაახლოვებით 130 მილიარდ მანათს). შემდეგს წელში ბანკის ოპერაციებმა დაიკლო თითქმის 8 მილიარდ დოლარით, ე. ი. 1/8-ით, გაკოტრება კი ისე გახშირდა, რომ 347 მილიონამდე მიაღწია; ყველა ეს ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ კაპიტალისტური მეურნეობა **დაუდგრომელია** და დანგრევისაგან არასოდეს უზრუნველყოფილი არაა.

### გ) სამრეწველო დაწესებულებათა აქციონერული ფორმა.

განვითარებული კრედიტის ნიადაგზე აღმოცენდა კაპიტალისტური დაწესებულების განსაკუთრებული ტიპი—სააქციონერო კომპანიები (ამხანაგობანი). ამ ფორმის დაწესებულებათა თანდათანობითი განვითარება დაახლოვებით ასეთი იყო. ხშირათ კაპიტალისტი, რომელსაც თავისი საკუთარი კაპიტალი არა ჰყოფნის წარმოების დასაწყებათ და არც საკმაო კრედიტი მოეპოვება, იწვევს კაპიტალებიან კომპანიონებს, რომ მათ-

თან ერთათ, ამხანაგურათ, გაეჩარხოს საქმე. არსებითათ ეს არის განსაკუთრებულ პირობებით აღებული სესხი,—სესხი, რომლითაც კრედიტორს უფლება ეძლევა წარმოებაში პირადი მონაწილეობის მიღებისა და კონტროლისა, და სარგებლის მაგივრათ ამნაირ კაპიტალისტებს მოგების შესაფერი ნაწილი ერგებათ. კაპიტალისტების ასეთი კომპანიის სააქციონერო საზოგადოებათ გახდომა იმაში გამოიხატება, რომ თავდაპირველათ საქმის ორგანიზატორები იწვევენ არა განსაზღვრულ პირებს, არამედ ყველა მსურველთა, რომელთაც კი შეუძლიანთ თუნდა მცირე კაპიტალის შემოტანა. ამიტომ მიმართავენ იმ საშუალებას რომელიც შეიმუშავა კრედიტის განვითარებამ,— ყოველთვის ასეთს დროს გამოუშვებენ ფასიან ქაღალდებს, რომლებსაც ამ შემთხვევაში ეწოდება **აქციები.**

არსდება მსხვილი კაპიტალისტური წარმოება,—მაგ., სდგება რკინის გზის გამყვანთა ან საზღვაოსნო საზოგადოება; გამოსცემენ ხოლმე საყოველთაოთ, ვთქვათ 10,000 თითო ას მანათიან აქციას; თვითოეული აქცია წარმოადგენს ამ წარმოების მოგების $^1/_{10000}$ ნაწილის მისაღებ მოწმობას. კაპიტალისტები ამ აქციებს ყიდულობენ თითოს, ათ-ათს, ას-ასსა და სხვ. ამრიგათ დგება კაპიტალი ერთი მილიონი მანათი, რომლითაც ორგანიზატორები იწყებენ საქმეს. (თვითონ ორგანიზატორებს კი ხშირათ ამ კაპიტალის მხოლოდ მცირე ნაწილი შეაქვთ). ყველა ხარჯების დაფარვისა და მოსამსახურეებისა და საქმის მწარმოებელ პირთათვის ჯამაგირების დარიგების შემდეგ, რჩება, მაგ., წმინდა მოგება წელიწადში 60,000 მანათი. ეს ფული ნაწილდება აქციონერთა შორის, ეგრეთ წოდებულ, **დივიდენდის სახით,**—თითო აქციაზე მოუწევს ექვსი მანათი. აქციის პატრონს შეუძლიან სრულიად არ მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების საქმეების წარმოებაში; და თუ იღებს მონაწილეობას, ეს, ჩვეულებრივ, გამოიხატება იმაში, რომ ესწრება აქციონერთა საზოგადო კრებებს, რომელზედაც ირჩევენ

გამგეობას, ამტკიცებენ ანგარიშებს, იყოფენ ერთმანეთს შორის წლიურ მოგებას და სხვ.

ასეთია აქციონერული საზოგადოებანი,— ე. ი. ის კაპიტალისტური დაწესებულებანი, რომლებშიაც ერთი კაპიტალისტის ნაცვლათ მრავალ აქციონერს, ე. ი. აქციის პატრონს, მოუყრია თავი და რომლებშიაც წარმოების გაძღოლა საბოლოოთ გამოყოფილია კაპიტალის მქონებელთაგან და გადაცემულია დაქირავებულ ორგანიზატორებზე—დირექტორებსა და გამგეობაზე.

სააქციონერო საზოგადოებაში წევრათ შესული წვრილი კაპიტალისტები გაცილებით უფრო თავ-დაცულნი ხდებიან დამღუპველ კონკურენციისაგან, როგორც მონაწილენი მსხვილ, ძლიერ წარმოებისა. აქციონერული საზოგადოებანი იცავენ წვრილ კაპიტალისტებს და ამ უკანასკნელების ღარიბთა და უქონელთა რიგში გადასვლას აგვიანებენ; ამასთანავე, ახდენენ კაპიტალის კონცენტრაციას კაპიტალისტების დაულუპავათ, და ამით, უკანასკნელთა რიცხვის უკლებლათ, მათს ბატონობის ტენდენციას იცავენ,—რომ დაზოგონ ძალა საერთოთ მწარმოებელთა კლასისა. მაგრამ კიდევ უფრო ძლიერ მოქმედებენ ისინი ამის წინააღმდეგ, ვინაიდან კაპიტალისტებს უბრალო რენტიორებათ ხდიან: ართმევენ მათ ფაქტიურ მნიშვნელობას წარმოებაში, და, ამრიგათ, საზოგადოებრივ როლს უბრალო პარაზიტების როლამდე აქვეითებენ.

თვით კაპიტალისტთა კლასის რიცხვის უკლებლათ შენახვაშიაც დიდი მნიშვნელობა არა აქვთ აქციონერულ საზოგადოებათ: კონკურენცია, განსაკუთრებით მისი გამწვავების ხანებში—კრიზისების დროს—მაინც საკმაოთ მუსრს ავლებს სააქციონერო დაწესებულებებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ნაკლებ, ვინემ ცალკე კაპიტალისტების დაწესებულებათ. მაგრამ, სამაგიეროთ, თუ აქციონერული საზოგადოებ დაეცა, მაშინ მრავალი მესაკუთრე ერთბაშათ გადადის ღარიბ-უქონელთა რიცხვში.

აქციონერულ წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს მხო-

ლოდ კაპიტალების გაერთიანებისათვის; ერთი საქმისთვის ერთდება რამდენიმე ათი და ასი მილიონები. აქციონერული სისტემა შესაძლებლათ ხდის ისეთ ვეება დაწესებულების აღორძინებას, როგორიცაა ორ ოკეანეთა შორის მთელს ჩრდილოამერიკაზე გაყვანილი გზა, რომელიც რამდენიმე ასი მილიონი დაჯდა, ან-და როგორიცაა პანამის არხის გაჭრა, რომელსაც კიდევ უფრო მეტი ხარჯი დასჭირდა.

სააქციონერო საზოგადოებათა ზრდა ამ ბოლო დროს საოცარის სისწრაფით მიდის წინ. რუსეთში, მაგ., 1895 წლის დამდეგს 784 სააქციონერო საზოგადოება ითვლებოდა და 890 მილიონის საერთო კაპიტალი ქონდათ, ხოლო 1898 წლის 15 აპრილისათვის კი—უკვე 990 ასეთი საზოგადოება იყო 1,690 მილიონ მანათის ძირითად თანხით. საერთო კაპიტალის საშუალო რაოდენობა თვითოეულ დაწესებულებაზე პირველ შემთხვევაში მოდიოდა 1.133 ათასი მანათი, მეორეში კი 1,703 ათასი მან.,—აი, როგორ სწრაფათ იმატა სააქციონერო დაწესებულებათა საშუალო ზომამ. და ეს სწრაფი განვითარება კი თავის-თავათ ამტკიცებს სააქციონერო საზოგადოებათა უპირატესობას ცალკე, კერძო პირების დაწესებულებათა წინაშე.

სააქციონერო კაპიტალი ყველაზე უფრო ადვილათ იღებს საერთაშორისო კაპიტალის ხასიათს. ხშირათ ერთსა და იმავე დაწესებულების აქციონერებათ ხდებიან სულ სხვა-და-სხვა ქვეყნის მცხოვრებლები. ძლიერ ხშირათ კიდევ აქციონერულ საზოგადოებას აარსებენ იმ მიზნით, რომ ხელი მიჰყონ ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებას; ინგლისისა და ბელგიის კომპანიები აარსებენ თავის ქარხნებს რუსეთში და სხვ.

## დ) ბ ი რ ჟ ა.

საცვლელ და საკრედიტო ოპერაციების რიცხვის და სირთულის ზრდა-განვითარება ბადებს ისეთ ცენტრალურ საბაზრო დაწესებულების საჭიროებას, სადაც უნდა გროვდებოდეს ყოველგვარი ცნობები მოთხოვნა-მიწოდების შესახებ და სადაც

უნდა მუშავდებოდეს და წესდებოდეს საქონლებისა და სარ-
გებლიან ქაღალდების საზოგადო ფასები. ასეთ მოთხოვნილე-
ბას აკმაყოფილებენ **ბირჟები**, რომლებიც არსებობენ ყველა
მსხვილ სავაჭრო ცენტრებში. ეს არის, უმეტეს ნაწილათ, მთავ-
რობის-მიერ მოწყობილი მსხვილ კაპიტალისტების საკრებულო-
ები, სადაც ხდება ყველა მსხვილი სავაჭრო მორიგებანი (сдѣл-
ки) და იკვრება საყურადღებო სავაჭრო ხელშეკრულობანი;
ესაა ბაზრის ცხოვრების დედა-ძარღვი, სადაც გაუმჯობესებულ
სამიმოსვლო საშუალებათა შემწეობით არსდება კავშირი სხვა
ქალაქისა და უცხოეთის ბაზრებთან და შედის სავაჭრო ცნო-
ბები მთელ კაპიტალისტურ ქვეყნების სხვა-და-სხვა ადგილებიდან.

აერთიანებს რა როგორც მოთხოვნას, აგრეთვე მიწოდე-
ბასაც, ბირჟა ამით სპობს კერძო, ადგილობრივ შემთხვევით
გარემოებათაგან დამოკიდებულ კონკურენციას და საქონლე-
ბის ფასების აწევ-დაწევას, რყევას; მარა ის თვითონვე ვერ
იშორებს უფრო ზოგად, უფრო ფართე ხასიათის რყევას,—
პირიქით, იგი მხოლოდ ხელს უწყობს მის გავრცელებას ყველ-
გან, სადაც კი არსებობს კაპიტალისტური ცვლა და კრედიტი.

ცვლის ურთიერთობათა მოუწესრიგებლობის გამო, კერ-
ძო, ცოტათ თუ ბევრათ ძლიერი არევ-დარევა ცვლის მექა-
ნიზმში, ყოველთვისაა შესაძლებელი; ეს არევ-დარევა კი იმა-
ში გამოიხატება, რომ ქვეყნის რომელსამე ნაწილში მეტათ
ბევრი საქონელი იყრის თავს, ხანდისხან კი დროებით არ მო-
იპოვება საკმაო რიცხვი ბაზრისთვის აუცილებლათ საჭირო
საქონლისა. ვთქვათ, ამერიკაში დროებით ძლიერი იყო მო-
თხოვნა ფარჩებისა და აბრეშუმის ქსოვილებისა, და ამით
წაქეზებულმა ბევრმა ფრანგმა ვაჭრებმა, ერთი-მეორის შეუთ-
ყობინებლათ, მოზიდეს ამერიკაში აუარებელი ფარჩა,—ამნაი-
რათ, რაკი ბაზარი ივსება, საქონლის ფასები უკიდურესათ და-
ეცემა და ვაჭრებიც დიდ ზარალშივარდებიან.—აი, მაშინ
დგება სრული კრიზისი ცვლის ამ დარგში, და რომ ყველა ეს
საქონელი თანასწორათ ყოფილიყო დანაწილებული იმ მთელი

ქვეყნის ბაზარზე, ამისი მსგავსი არაფერი მოხდებოდა. ამგვარ კრიზისებს ბირჟა წინდაწინვე ტყობილობს, რადგან ის მუდამ აგროვებს ცნობებს მოთხოვნა-მიწოდების შესახებ; ამით იგი დაახლოვებით სწორ წარმოდგენას ადგენს სხვა-და-სხვა ბაზრის მდგომარეობაზე და აფრთხილებს კაპიტალისტებს ხიფათში არ გაებან. გარდა ამისა, ბირჟას ვადიან ყიდვის შემწეობით საბაზრო ურთიერთობაში კიდევ მეტი სისწორე და მიზნის შესაფერისობა შეაქვს: ერთი კაპიტალისტი პირობას აძლევს მეორეს, რომ ის დანიშნულ ვადაზე ნაჩვენებ ადგილას დაუმზადებს და მისცემს მას (2-რე კაპიტალისტს) თავის საქონელის განსაზღვრულ რაოდენობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებული ხდება პირობის დარღვევისათვის შესაფერი ჯარიმა გადაიხადოს მეორის სასარგებლოთ. ასეთ ხელშეკრულობათა საერთო ჯამის გამოანგარიშებით, თვითოეული კაპიტალისტი ადვილათ ითვალისწინებს, თუ რამდენათ დიდი იქნება ამა თუ იმ საქონლის მიწოდება განსაზღვრულ რაიონის ბაზარზე მახლობელ ხანებში. თუ გვინდა შევიტყოთ კერძო ბაზრის ჩვეულებრივი მოთხოვნა, უნდა გამოვიანგარიშოთ ამ ბაზრის წინანდელი ოპერაციების საერთო სიდიდე-რაოდენობა. ამნაირათ, შესაძლებელი ხდება დაახლოვებით სისწორით გავარკვიოთ, თუ სად იქნება ამა თუ იმ დროს საქონელზე საკმაოთ დიდი მოთხოვნა და სად, პირიქით, გაძნელდება საქონლის გასაღება. ამნაირათ, ვადიან ყიდვის შემწეობით ხდება ცვლის მოწესრიგება და ერთ კალაპოტში ჩაყენება, საქონლები, ბაზართან შედარებით, თანასწორათ ნაწილდებიან, ისპობა ზოგი ბაზრების შემთხვევითი გავსება საქონლებით მაშინ, როცა სხვაგან მის ნაკლებობას გრძნობენ.

რომ არ გავაზვიადოთ ბირჟის ეკონომიური მნიშვნელობა, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი მომწესრიგებელი გავლენა არა სცილდება ცვლის სფერას,—ძირითად ეკონომიურ სფერას,—**წარმოებას** კი მხოლოდ რამდენიმეთ ეხება. თვითონ ცვლის სფერაშიაც კი მისი გავლენა განსაზღვრულია: ბირჟა

სრულათ ვერ იმორჩილებს ბაზრის ცხოვრებას, ძლიერ ბევრ რამეს კაპიტალისტები ბირჟის გაუგებრათ აკეთებენ; და თითქმის ის ცნობებიც კი ეკონომიურ პროცესის მსვლელობისა, რომელიც ბირჟაზე გროვდება, უმეტეს ნაწილათ დაახლოვებითი ცნობები ვერაა. აქედან დასკვნა მხოლოდ ჰიპოტეტური გამოდის და მასზე საბოლოოთ დამყარება შეუძლებელია. დაბოლოს, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, კაპიტალისტებს შორის ბრძოლა და გამწვავებული კონკურენცია ბირჟაშიაც ისეთივე რჩება, როგორიც მის გარეთ იყო.

## ე) სპეკულიაცია.

განვითარებულ ცვლისა და კრედიტის ხანაში, უსაზღვროთ ვითარდება და დიდ მნიშვნელობას იძენს საზოგადოების ცხოვრებაში „განაწილების“ განსაკუთრებული წესი, სპეკულიაციათ წოდებული.

სპეკულიაციის საფუძველს შეადგენს ბაზარში საქონლის ფასების აწევ-დაწევა, რომელიც მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული. ვინც საქონელს მხოლოდ იმისთვის ყიდულობს, რომ ხელახლა გაჰყიდოს, როცა იგი გაძვირდება, ის სპეკულიანტია. ამგვარათ, ყოველ ვაჭრობას შეუძლია სპეკულიაციის ხასიათი მიიღოს, ხოლო სპეკულიაცია კი ისტორიაში თითქმის ისეთივე ძველის-ძველი მოვლენაა, როგორც ვაჭრობა.

მარა, რადგან ფასების აწევ-დაწევა ყოველთვის სპეკულიანტის ანგარიშების თანახმათ არა ხდება, ამიტომ ხშირათ მის ხელობას, მოგების ნაცვლათ, ზარალი მოაქვს; საზოგადოთ, ეს განსაკუთრებული საფათერაკო თამაშობაა, ისე, როგორც ყველა სხვა თამაშობა. განვითარებულ საზოგადოებაში სპეკულიაცია, განსაკუთრებით, ეგრეთ წოდებულ „ბირჟაზე თამაშობის„ ფორმას იღებს; იმისი ასპარეზი ბირჟებია; უმთავრესი იარაღია — ფასიანი ქაღალდები, მეორე-ხარისხოვანი კი — ყველა სხვა საქონელი.

კრედიტი და აქციონერული დაწესებულებანი აუარებელ ფასიან ქაღალდებს,—თამასუქებს, უხურდავო ქაღალდის ფულს, გირავნობის ფურცლებს, აქციებს, ყოველნაირ პროცენტიან ქაღალდებსა და სხვ. უშვებენ ბაზარში. მარტო სახელმწიფოს ვალები იძლევა მრავალ მილიარდ მანათის ფასიან ქაღალდებს; ხოლო საზოგადო ღირებულება საერთოთ ტრიალში გაბმულ ქაღალდებისა, ეჭვი არაა, რამდენსამე ათეულ მილიარდ მანათს აღემატება. თვითოეული ასეთი ფასიანი ქაღალდი, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, კანონიერი მოწმობებია საზოგადოებრივის შრომით შექმნილ ზედმეტი ღირებულების განსაზღვრულ ნაწილაკის მისაღებათ.

რადგან ფასიან ქაღალდებს თავის-თავათ საკუთარი ფასი არა აქვს, (მათი საკუთარი საშრომო ღირებულება მეტის-მეტათ მცირეა), ამიტომ მათი საბაზრო ღირებულება განსაკუთრებით მუდამ რყევაშია, მუდამ კლება-მატებას განიცდის, რაც პირდაპირ მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული; ამის გამო ფასიანი ქაღალდები ყველაზე უფრო მოხერხებული საშუალებაა სპეკულიაციისათვის.

ახლა განვიხილოთ მიზეზები, რომელიც იწვევს სხვა-და-სხვა ქაღალდების ფასების აწევ-დაწევას.

ვთქვათ, სააქციონერო დაწესებულება მშვენივრათ მუშაობს და ძირითადი კაპიტალის ყოველ 100 მანათზე 15 მანათს დივიდენდს (მოგებას) იძლევა; საზოგადოებაში კი ჩვეულებრივი პროცენტი საკრედიტო კაპიტალზე უდრის 5%-ს წელიწადში. ამნაირათ, ერთი ას-მანათიანი აქცია იმდენსავე შემოსავალს იძლევა, რამდენსაც გასესხებული 300 მანათი; რა თქმა უნდა, ასეთ აქციებში დიდის სიამოვნებით ვამოიღებენ სამას მანათამდე ფულს. პირ-იქით, თუ ერთი აქციიდან მოსალოდნელია მხოლოდ ერთი მანათის შემოსავალი წელიწადში, მაშინ იმისი საბაზრო ფასიც 20 მანათს არ აღემატება. ასეთია ძირითადი მიზეზები ფასიან ქაღალდების რყევა-ცვალებადობისა: გულდაჯერება და სრული იმედიანობა, რომ ამ ქა-

ღალდებიდან მეტს ან ნაკლებ წლიურ შემოსავალს მიიღებ, იმის მიხედვით, თუ რამდენათ შესაძლებელია ამა თუ იმ შემოსავლის უზრუნველ-ყოფა. მაგრამ სრული იმედიანობა და გულდაჯერება კიდევ ნიშნავს უტყუარ სინამდვილეს: ბევრი რამ ცოტათ თუ ბევრათ მტკიცეთ და ყოვლათ საიმედოთ ეჩვენება ადამიანს, იმის მიხედვით, თუ რანაირს გუნებაზე არიან ეს უკანასკნელნი, როგორია მათი სულიერი მდგომარეობა,— საიმედოა თუ შიშის აღმძვრელი,—საზოგადოთ, ამა თუ იმ დაწესებულებათა საქმეების საერთო მსვლელობის მიხედვით, როგორია ერთიანი შთაბეჭდილება და სხვ. ამ გარემოებას ჩვენ მივყევართ მეორე მიზეზთან, რომელიც ხშირათ იწვევს ბირჟაზე ფასების ძლიერ აწევ-დაწევასა და რყევას,—მე მოგახსენებთ „ბაზრის“ სულიერ მდგომარეობაზე.

ყოველი შეფერხება, ყოველი მცირე დაკლებაც კი ძლიერ ხშირათ საზოგადოებრივ მეურნეობაში დაუყოვნებლივ გავლენას ახდენს ქაღალდების ფასზე, ანუ კურსზე.

როდესაც რაიმე ეკონომიურ ან პოლიტიკურის მიზეზით სრულიათ იკარგება, ან ცოტათი მაინც სუსტდება, ხვალინდელი დღის იმედი, რენტიორი მაშინვე საშინელ შიშში ვარდება,—ვაი თუ ჩემმა ქაღალდებმა დაჰკარგოს თავისი ფასის ნაწილი, ან-და სულ მთლათ თავისი ნიჭი—თავის ღირებულების დაუკლებლათ შემოსავლის მიცემისა. ეს შიში მას დაუყოვნებლივ აგზავნინებს ყველა ფასიან ქაღალდებს ბაზარზე გასაყიდათ. ფასიან ქაღალდების ბაზარზე მიწოდება სწრაფათ მატულობს; მოთხოვნა კი, თავის-თავათ ცხადია, კლებულობს იმავე ხვალინდელის დღის გამოურკვევლობის მიზეზით. მოთხოვნისა და მიწოდების ასეთი შეუფერებლობა იწვევს ქაღალდების კურსის დაუყოვნებლივ დაცემას, ხანდისხან ისეთ ძლიერ და ჩქარ დაცემას, რომ ერთბაშათ სავსებით ხელდაბანილი რჩებიან მრავალი რენტიორები, რომლებიც ახლა ჩალის ფასათ ანაღდებენ თავიანთ ქაღალდებს.

ამასობაში გარემოებაც იცვლება, მოსალოდნელ განსაც-

დელის მოლოდინი უსაფუძვლო აღმოჩნდება, ფასიანი ქაღალდები კვლავ განაგრძობს მოგების ძლევას და ისევ ძვირდება. აი, ამ დროს ერთბაშათ მდიდრდებიან „მოსაქმენი", რომლებსაც ფასიანი ქაღალდები კურსის დაცემის დროს შეუძენიათ.

ხანდისხან მოხდება ხოლმე ქაღალდების ფასის სწრაფი, მაგრამ არა-ხანგრძლივი ზრდა რაიმე ამა თუ იმ შემთხვევითი გარემოების გავლენით, როდესაც, მაგ., ან ვაზეთების ჩაგონებით, ან ხალხში გავრცელებულ ხმების გამო იბადება იმედი, რომ ესა თუ ის დაწესებულება განსაკუთრებით კარგათ იმუშავებს, და ძლიერ მომგებიანი შეიქნება.—მაშინ მისი აქციებიც სწრაფათ იმატებს ფასში, და ისინი, ვინც ამ ფასის აწევის დროს გაყიდის ამ დაწესებულების აქციებს, მდიდრდებიან გულუბრყვილო მყიდველების ხარჯზე.

ეს მუდმივი რყევა საუკეთესო პირობებია სპეკულიაციის განსავითარებლათ. ფასიანი ქაღალდები მხოლოდ უკეთესი საქონელია სპეკულიაციისთვის. სხვა საქონლების (განსაკუთრებით ისეთების, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის საგანს შეადგენს) სპეკულიაციაც სწორეთ და სავსებით ამავე გზითა ხდება.

სპეკულიატიური თამაშობა იწვევს აუარებელ ხრიკებს, მოტყუებას, ქმნის ერთგვარ განსაკუთრებულ „შულერობას", რომელიც ძლიერ გავრცელებულია თანამედროვე ბირჟაზე.

რადგან ფასების აწევ-დაწევა ბაზრის მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ამიტომ ყოველსავე კანონიერ და უკანონო ღონისძიებასა ხმარობენ, რომ ამა თუ იმ მხრით გავლენა იქონიონ ბაზრის მდგომარეობაზე. მაგ., როცა სურთ ამა თუ იმ ცნობილი დაწესებულების ქაღალდების ფასის დაცემა გამოიწვიონ, რომ იაფათ იყიდონ იგი, მაშინვე იწყებენ სიტყვიერათ თუ მოსყიდულ ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ცუდი ხმების გავრცელებას იმ დაწესებულების შესახებ, რომელსაც ნიშანში ამოღებული ქაღალდები ეკუთვნის,—და თავზარდაცემული ქაღალდის მფლობელნიც მაშინვე იაფათ ჰყიდიან თა-

ვიანთ ქაღალდებს. როდესაც საჭიროა ფასების აწევა, მაშინ სულ წინააღმდეგ იქცევიან,—დაუწყებენ ქაღალდების მფლობელ დაწესებულებას ქებას, უკეთებენ რეკლამებს, ადგენენ მისი საქმეების შესახებ ბრწყინვალე, ტყუილებით სავსე, ანგარიშებს და სხვ,

პანამის ისტორია მთელის თავის დაუჯერებელ ტყუილებით, სიყალბით, მოსყიდვებით და ქურდობით, მისი მილიარდებიანი ზარალითა და აუარებელი ხალხის განადგურებით.— მშვენიერი ნიმუშია იმ ზნეობრივ გახრწნილებისა, რომელსაც ბადებს და ზრდის სპეკულიაცია ბირჟის მოღვაწეებში,

დღეს ბირჟაზე სპეკულიაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს უზარმაზარ სიმდიდრეების შედგენასა და მრავალ კაპიტალისტების გაკოტრებაში,—საზოგადოთ, კაპიტალების კონცენტრაციის საქმეში. დღევანდელი მილიონერების დიდ ნაწილს სწორეთ ამ გზით აქვს შეძენილი თავისი უანგარიშო სიმდიდრე (ასე მაგ., ამერიკელმა გუდმა, რომელმაც მთელს ქვეყანაზე სახელი გაითქვა თავის ყოვლად უსინდისო სპეკულიაციებით, თავისი სიმდიდრე ამ სპეკულიაციების შემწეობით 550 მილიონ მანათამდე აიყვანა; ამასთან, მისი წლიური შემოსავალი უდრის 27 მილიონს, დღე-და-ღამისა—74,000 მანათს, ერთი წუთის შემოსავალი კი—50 მანათია. ამაზედაც კიდევ **რამდენჯერმე მეტია** როკფელლერის კაპიტალები, რომელთა ნამდვილი რაოდენობაც ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ბირჟის ასეთი ას-მილიონერები და მილიარდერები განსაკუთრებით ბევრნი არიან ამერიკაში, მაგრამ დასავლეთ ევროპაშიაც საკმაოთ მოიძებნებიან).

სპეკულიაციის-მიერ წარმოშობილ მოტყუილებისა და სიყალბეების გაბატონება ღრმათ უთხრის ძირს ხალხის ფართე მასსის ნდობასა და პატივდებას მთელ ამ მოვლენების წარმომშობ კაპიტალისტურ სისტემისადმი.

ამრიგათ, სპეკულიაციის საზოგადოებრივი მიზეზები მდგომარეობს საცვლელ ურთიერთობის მოუწყობლობაში, რის გა-

მოც ღირებულების კანონი მხოლოდ სტიქიურათ მოქმედებს ბაზრის ცხოვრებაში, და გამოიხატება **ნორმებისაგან გამუდმებულ გადახრაში**; სპეკულიაციის საზოგადოებრივი შედეგები კი, უმთავრასათ, გამოიხატება მსხვილ-კაპიტალისტურ წარმოების დაჩქარებულ განვითარებაში და, რამდენიმეთ, ამ წყობილებისადმი ნდობის დაკარგვაში.

## 4. საზოგადოებრივ ნაწარმოების დანაწილება სხვა-და-სხვა კაპიტალისტურ კლასთა შორის.

### ა) მ ო გ ე ბ ა.

კაპიტალისტების მოგების შესახებ სამანქანო ხანა ორი განსაკუთრებულის თვისებით ხასიათდება. პირველათ, კაპიტალზე წლიური პროცენტის თან-და-თანის შემცირებითა და, მეორეთ, მისი საერთო ჯამის ჩქარი ზრდა-მატებით. განვიხილოთ ძირითადი მიზეზები ამ ორივე მოვლენისა:

მანქანა არის შრომის იარაღი და მისი ღირებულება ემატება **მუდმივ** კაპიტალს. ამავე დროს, მანქანას მუშა-ადმასრულებელის ადგილიც უჭირავს და, მაშასადამე, ანთავისუფლებს სამუშაო ძალის ნაწილს: სამუშაო ძალის საყიდელი ხარჯები კლებულობს, ე. ი. კლებულობს **ცვალებადი** კაპიტალი.

ამნაირათ, თვითოეულ ახალ მანქანის შემოღებასთან ერთათ, ცვალებადი კაპიტალის რამდენიმე ნაწილის ადაგს მუდმივი კაპიტალი იჭერს: მუდმივი რომ იზრდება, მაშინ ცვალებადი კლებულობს.

თუ მანქანის შემოღების დროს წარმოება ძლიერ ჩქარა ფართოვდება, მაშინ ცვალებადი კაპიტალიც თავის-თავათ შეიძლება არა თუ არ შემცირდეს, გაიზარდოს კიდეც: მანქანის შემოღების მიუხედავათ, მუშები შეიძლება წინანდელზე მეტი დარჩენ საჭირო. მაგრამ მუდმივი კაპიტალი—მანქანებისა და მასალის ხარჯები—ამ შემთხვევაშიაც, რა თქმა უნდა, ცვალებადზე გაცილებით უფრო ძლიერ მატულობს და, **მუდმივთან შედარებით**, ცვალებადი მაინც კლებულობს, ე. ი. მის წი-

ნანდელზე უფრო ნაკლებ ნაწილს შეადგენს. მაგალითათ. მანქანის შემოღებამდე მუდმივი კაპიტალი იყო 10,000, ცვალებადი კი 5,000, ე. ი. მუდმივის ნახევარი, ანუ მთელი კაპიტალის $^{1}/_{3}$; ახალ პირობებში კი ცვალებადი კაპიტალი ავიდა 8,000-ზე, მუდმივი კი 32,000 შეადგენს, ე. ი. ცვალებადი ახლა მუდმივის $^{1}/_{4}$ ანუ მთელი კაპიტალის $^{1}/_{5}$ შეადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **აბსოლიუტურათ**, თავის-თავათ, ცალკე აღებული ცვალებადი კაპიტალი გაიზარდა, ხოლო **შედარებით** კი, მთელ წინანდელ კაპიტალს თუ შევაფარდებთ, როგორც მთელი კაპიტალის ნაწილმა—დაიკლო და დაპატარავდა.

საზოგადოთ, იგივე ითქმის ტეხნიკის ყოველგვარ პროგრესის შესახებაც: როდესაც რომელსამე წარმოებაში შრომის ნაყოფიერება მატულობს, მაშინ მუდმივი კაპიტალის,—იარაღების და მასალების,—განსაზღვრულ რაოდენობას სჭირდება წინანდელზე ნაკლები ცოცხალი შრომა, ნაკლები სამუშაო ძალა, ნაკლები ცვალებადი კაპიტალი. მაგრამ სწორეთ მანქანურ წარმოებაში, სადაც შრომის ნაყოფიერების ზრდა განსაკუთრებულის სისწრაფით ხდება, ეს მოვლენა განსაკუთრებით ცხადათ მოსჩანს.

ინგლისის ბამბის სართავ წარმოებაში მე-XVIII საუკუნის დასაწყისში წარმოებისათვის მთელ გადადებულ კაპიტალის ნახევარს მუდმივი კაპიტალი შეადგენდა, ნახევარს კი—ცვალებადი. მე XIX საუკუნის 60-იან წლებში კაპიტალის მუდმივი ნაწილი უკვე $^{7}/_{8}$ იყო, ცვალებადი კი მხოლოდ $^{1}/_{8}$, ე. ი., წინანდელთან შედარებით, 4-ჯერ ნაკლები (აბსოლიუტურათ კი ეს მერვედი მთელი კაპიტალის გაზრდის გამო, წინანდელ ნახევარზე გაცილებით უფრო მეტია).

ზემოთ ახსნილი იყო, რომ ზედმეტ ღირებულებას ქმნის სამუშაო ძალის დახარჯვა და რომ ზედმეტი ღირებულების სიდიდე დამოკიდებულია არა მთელ კაპიტალისა, არამედ მისი

ცვალებადი ნაწილის სიდიდეზე, რომელიც სამუშაო ძალის ყიდვაზე იხარჯება:

ზედმეტი ღირებულების ნორმა გვაჩვენებს, თუ რამდენ პროცენტს შეადგენს ცვალებად კაპიტალზე ზედმეტი ღირებულება; მოგების ნორმა კი გვაჩვენებს ზედმეტი ღირებულების პროცენტების რიცხვს მთელს კაპიტალზე—როგორც მუდმივზე, ისე ცვალებადზედაც. ამიტომ მოგების ნორმა იმდენჯერ ნაკლებია ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, რამდენჯერაც ცვალებადი კაპიტალი ნაკლებია მთელ კაპიტალზე.

მანქანების შემოღებითა და, საზოგადოთ, წარმოების ტეხნიკის განვითარებით, ცვალებადი კაპიტალი, შედარებით, მცირდება; და თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა არ იცვლება, მაშინ მოგების ნორმამაც უნდა დაიწიოს.

ვთქვათ, ზედმეტი ღირებულების ნორმა—100%-ია, მუდმივი კაპიტალი—8,000 მანათი, ცვალებადი კი—2,000 მანათი, ე. ი. პირველი მთელი კაპიტალის $^4/_5$ შეადგენს, მეორე კი—$^1/_5$-ს. ზედმეტი ღირებულება ამ შემთხვევაში 2,000 მანათი იქნება, მოგების ნორმა კი—20%.

ახლა, ვთქვათ, ახალი მანქანების შემოღებას აჰყავს მუდმივი კაპიტალი 27,000 მან., ცვალებადი—3,000, ე. ი. ისინი $^9/_{10}$ და $^1/_{10}$-დია. მაშინ ზედმეტი ღირებულებაც 3,000 მან. იქნება, მოგების ნორმა კი—მხოლოდ 10%. თუმცა ცვალებადმა კაპიტალმა მოიმატა მთელი 1,000 მანათი, ე. ი. აბსოლიუტურათ გაიზარდა, მაგრამ, მუდმივთან შედარებით, იგი ორჯერ დაპატარავდა ($^1/_{10}$ ნაცვლათ $^1/_5$-დისა), და ამის გამო მოგების ნორმაც ორჯერ შემცირდა.

ანგარიშის გასაადვილებლათ აქ ჩვენ ისე ვთვლით, თითქო მთელი ზედმეტი ღირებულება კაპიტალის მოგებათ ხდებოდეს; ნამდვილათ კი ეს ასე არაა; მარა შესწორება იქ მეტათ მცირეა, ასე რომ, საქმეს არსებითათ არა ცვლის.

ვუბრუნდებით ჩვენს მაგალითს. კაპიტალისტები რომ მოახერხებდენ როგორმე ზედმეტი ღირებულების ნორმის ორჯერ

გადიდებას, ე. ი. იმისი 200%-ზე აყვანას, მოგების ნორმაც მაშინ ისევ 20% დარჩება, ე. ი, პროცენტის დაკლება მაშინ აღარ მოხდება. ამნაირათ მრეწველებს საშუალება აქვთ მოგების პროცენტის დაკლებას წინააღმდეგობა გაუწიონ, და ეს საშუალება ზედმეტი დირებულების ნორმის გადიდებაა, ე. ი. ექსპლუატაციის გაძლიერებაა; ისინიც ფართეთ სარგებლობენ ამ საშუალებით (გადიდება სამუშაო დღისა, გაძლიერება შრომის ინტენსივობისა და სხვ.).

მაგრამ როდესაც ასეთი ზომების მიღება სურს კაპიტალისტს, ის ვერ დაივიწყებს, რომ საქმე აქვს არა მკვდარ მანქანასთან, არამედ ცოცხალ ადამიანთან. მანქანა ინერტიულია: კაპიტალისტის ნება-სურვილის მიხედვით, მანქანას შეუძლიან დღე-და-ღამეში თუნდა შეუჩერებლივ 24 საათის მუშაობა ისეთის სიჩქარით, რამდენიც შეუძლიან აიტანოს მისმა სტრუქტურამ. ამ დროს იგი ორჯერ მეტი ცვდება, ვინემ მაშინ გაცვდებოდა, დღე-და-ღამეში რომ მხოლოდ 12 საათი ემუშავნა და ორჯერ უფრო ნელა ემოძრავნა. ასეთი როდია ადამიანის აგებულება: ექსპლუატაციის გაძლიერებაც, ადრე თუ გვიან, მუშების მხრივ მედგარ წინააღმდეგობას გამოიწვევს, და ეს წინააღმდეგობა შეუჩერებლივ იზრდება და სისტემატიურ ბრძოლათ იქცევა. მაშინ ცვალებადი კაპიტალის შედარებითი დაკლება, მისი თანდათანი გაძევება მუდმივი კაპიტალის-მიერ,— იწვევს მოგების პროცენტის დაცემას, რაც ნამდვილათ უკვე ხდება კიდეც. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი ნაკლებ განვითარებულია, მოგების პროცენტი, შედარებით, მაღალია: რუსეთში, მაგ., არა იშვიათია ისეთი დაწესებულება, რომელიც კაპიტალზე 25% იძლევა, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში 5%-საც დიდ სარგებლათ სთვლიან. რა თქმა უნდა, აქ სხვა მიზეზებიც მოქმედებს, მაგრამ მთავარი და ძირითადი მიზეზი ცვალებადი კაპიტალის შედარებითი დაკლებაა.

მოგების პროცენტის შემცირება კიდევ არ ნიშნავს მო-

გების აბსოლიუტურ სიდიდის, მისი ჯამის დაპატარავებას. თუ 20%-ს 10,000-დან ავიღებთ, ეს შეადგენს 2,000; მაგრამ 40,000-დან მხოლოდ 10% რომ ავიღოთ, მთელს 4,000 მივიღებთ. საზოგადოთ, მოგება მატულობს, როდესაც კაპიტალის ზრდა უფრო სწრაფათ ხდება, ვინემ პროცენტის შემცირება.

მანქანების ხანაში კაპიტალისტური დაგროვება საოცარის სისწრაფით სწარმოებს. მანქანურ წარმოების დასაწყებათ დიდი თანხის დაგროვებაა საჭირო; მაგრამ თვითონ სამანქანო წარმოება, თავის არაჩვეულებრივ სწრაფის განვითარებით, თავის მხრივ ხელს უწყობს დაჩქარებულ დაგროვებას.

მიუხედავათ იმისა, რომ არა-მწარმოებელ კლასების შესანახი ხარჯები წლითი-წლობით იზრდება, მაინც შეუჩერებლათ მატულობს ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც საქირათ შრომისაგან ახალი ზედმეტი ღირებულების გამოდენას ემსახურება. დაგროვება გაცილებით უფრო სწრაფათ ხდება, ვინემ მოგების პროცენტის შემცირება, ასე რომ, მოგების სიდიდე არა თუ მხოლოდ მატულობს, არამედ მატულობს გაცილებით უფრო ჩქარა, ვინემ როდისმე აქამდე მატულობდა.

გამოანგარიშებულია, რომ გერმანიაში ყოველ-წლობით „გროვდება“ ერთ მილიარდზე მეტი, ინგლისში—ორ მილიარდამდე. შეერთებულ შტატებში „დაგროვება“ კიდევ უფრო სწრაფათ ხდება: 1840 წელს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მთელი ნაციონალური სიმდიდრე შეადგენდა 3.700 მილიონ დოლლარს, 1894-ში კი 88 მილიარდამდე ავიდა. (დოლლარი თითქმის 2 მანათს უდრის).

ინგლისში და ირლანდიაში კაპიტალისტების და მიწათმფლობელების ყოველ-წლიური შემოსავალი 1843—1883 წლების განმავლობაში გაორკეცებულათ ზედმეტი გახდა—344-დან 720 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე მიაღწია (1 გირვანქა სტერლინგი—9 3/4 მან.). ამ ნამატების უდიდეს ნაწილს კაპიტალისტების დაგროვება შეადგენდა.

ეს ციფრები რამდენიმეთ მაინც გვაცნობს, თუ რამდენათ დიდია საკუთრივ მოგება და მთელი ის ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ყოველ-წლობით ამზადებს მანქანური წარმოება კაპიტალისტურ ქვეყნებში, და აგრეთვე, საზოგადოთ, რამდენათ სწრაფათ ვითარდება საზოგადოებრივი საწარმოვო ძალები.

მარა უნდა გვახსოვდეს, რომ განსხვავება სხვა-და-სხვა ეპოქის ნაციონალურ შემოსავლისა და ნაციონალურ სიმდიდრის ფულზე დაფასებაში მარტო დაგროვების ზრდით როდი აიხსნება; რამდენიმეთ ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ფულის ღირებულების დაკლება (რაც დამოკიდებულია მაწარმოებელ შრომის ნაყოფიერების მომატებაზე, რომლისგანაც იქმნის ფული-საქონელი). ასეთი დაცემა ფულის ღირებულებისა მართლა მოხდა ამ უკანასკნელ ხანებში, მაგრამ იგი ისე მცირეა, რომ თითქმის არც კი ხრის მოყვანილ ციფრების მნიშვნელობას.

გარდა ამისა, ამ ციფრების მნიშვნელობა რამდენიმეთ მცირდება ფაქტიურათ კაპიტალის ზრდით, რომელსაც წარმოადგენს მიწაზე კერძო საკუთრების უფლება (მიწის ფასი მატულობს იმის გამო, რომ მატულობს რენტა).

თუ რამდენათ ძლიერ იზრდება მსხვილი კაპიტალის ნაწილი ნაციონალურ სიმდიდრეში, წვრილების წილთან შედარებით, ამის ნიმუშს წარმოადგენს საფრანგეთი, სადაც წვრილი ბურჟუაზია განსაკუთრებით მრავალ-რიცხოვანია, სხვა ქვეყნებთან შედარებით. მთელ ნაციონალურ საკუთრებიდან, რომელიც 174 მილიარდ ფრანკს უდრის, 114 მილიარდი, ე. ი. თითქმის $^2/_3$, ეკუთვნის მცხოვრებთა ერთ მეოცდა-ათედ ნაწილს, და მხოლოდ 60 მილიარდი, ე. ი. $^1/_3$ ნაწილი, ეკუთვნის დანარჩენ $^{29}/_{30}$-ს.

## ბ) რ ე ნ ტ ა.

როგორც ახსნილი გვქონდა, ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მიწათმფლობელს მიაქვს და რომელსაც მი-

'წის რენტას უწოდებენ, შეუჩერებლივ მატულობს სამრეწვე-
ლო ცხოვრების განვითარებასთან ერთათ. ეს იმით აიხსნება, რომ საზოგადოებრივ მრეწველობის განვითარება აძლიერებს მიწის მოთხოვნას სხვა-და-სხვა გვარ სამრეწველო დაწესებულებათათვის და ამითი ზრდის მიწათმფლობელთა კლასის მონოპოლიურ ძალას, მის მბრძანებლობას დანარჩენ საზოგადოებაზე, და ნებას აძლევს მას სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი მიითვისოს საზოგადოების-მიერ დამუშავებულ ზედმეტ ღირებულებიდან.

ამნაირათ, თუმცა საკმაოთ ჩქარა იზრდებოდა კაპიტალისტების მოგება, მარა რენტა მაინც წინ უსწრებდა. მაგრამ მრეწველ-მოვაჭრე ბურჟუაზია უბრძოლველათ როდი დამორჩილებია საქმეთა ასეთ მდგომარეობას,—ის მთელის თავის ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა მიწის რენტის ზრდას, რომელიც მას მოგებას უმცირებდა. რენტასა და მოგებას შორის ათასნაირი ბრძოლა სწარმოებდა ყველგან, სადაც-კი პირის-პირ ხვდებოდა ერთმანეთს მიწათმფლობელისა და კაპიტალისტის ინტერესები. ამ ბრძოლის უმარტივესი ფორმაა კაპიტალისტურ ფერმერის ბრძოლა ლენდლორდთან საიჯარო გადასახადის დასაკლებათ. ამ ბრძოლის ერთათ-ერთი მიზანი, რომლის მიღწევაც ფერმერს შეუძლია, ჩვეულებრივი კაპიტალისტური მოგების შენარჩუნებაა; მაგრამ ყოველთვის ის ვერც ამას ახერხებს, იმიტომ, რომ მიწიდან უზარალოთ ძნელი ამოსაღებია შენობებისა და ნიადაგის გაუმჯობესების სახით მასში ჩაყრილი კაპიტალი; ფერმერი ხანდისხან იძულებული ხდება შეურიგდეს საიჯარო გადასახადის ისეთ გადიდებას, რომელიც ჩვეულებრივ ნორმაზე უფრო დაბალ მოგებას არგუნებს მას.

როდესაც სამიწათმოქმედო რენტა იმდენათ იზრდება, რომ პურის უზომოთ გაძვირებას იწვევს, რითაც მუშა-ძალის ხელფასს ადიდებს და მით კიდევ უფრო მეტათ ამცირებს მოგებას, მაშინ სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალი სასარგებლოთ და მიზნის შესაფერათ სთვლის წინააღმდეგობა გაუწიოს რენტის

ზრდას სხვა ქვეყნებიდან იაფი პურის შემოზიდვით; მცირეთ· განვითარებულ სამიწათმოქმედო ქვეყნებში, სადაც რენტა ჯერ ძლიერ დიდი არაა და სადაც პურის დამუშავება იაფი ჯდება მუშა-ხელის სიიაფის გამო, პურის ფასი, შედარებით, დაბალია, და ამ იაფი პურის შემოტანა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც რენტა დიდია, შესამჩნევათ ამცირებს ამ უკანასკნელის რაოდენობას.

ბრძოლის ამ საშუალების წინააღმდეგ მიწათმფლობელთა კლასი ხმარობს თავის პოლიტიკურძალას, — სახელმწიფოს მართველობაში მოპოვებულ გავლენას: მაღალ ბაჟებს აწესებინებს მთავრობას სამიწათმოქმედო შემოსატან ნაწარმოებზე, ხანდისხან კი სრულიადაც აკრძალვინებს შემოტანას. ასე, ინგლისში კარგა დიდხანს მოქმედებდა „პურის კანონები“, რომელიც პურის შემოტანის ნებას იძლეოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პურის ფასი შინაურ ბაზარზე ძლიერ მაღლა აიწევდა. ასეთ პოლიტიკურ ძალის წინააღმდეგ ბურჟუაზიასაც ასეთივე ძალა უნდა წამოეყენებინა; ამ ნიადაგზე გაჩაღდა ბრძოლა კაპიტალსა და მიწათმფლობელობას შორის. ინგლისის ბურჟუაზიამ აჯობა ამ ბრძოლაში მიწათმფლობელთ და 1844 წელს მოიპოვა კიდეც პურის შემოტანის თავისუფლება. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ სამიწათმოქმედო რენტის ზრდა შეჩერდა და დროებით უკან დაიწია კიდეც.

მარა ამით როდი დაკმაყოფილდა ძლევა-მოსილი კაპიტალი თავის გამარჯვებაში: იმან დაასახლა და მოაშენა თვალ-გადუწვდენელი, მეტათ ნაყოფიერი შავ-მიწიანი ვაკე-მინდვრები ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში და სამხრეთ აფრიკაში; დაუკავშირა ისინი გაუმჯობესებული სამიმოსვლო გზებით ევროპის ბაზრებს, მოაწყო მათი ექსპლუატაცია საუკეთესო ტეხნიკურ საშუალებათა დახმარებით, შემოიღო მათ დასამუშავებლათ მშვენივრათ მოწყობილი მანქანები, რომელთაგანაც უფრო საყურადღებო როლი სამიწათმოქმედო მანქანამ დაიჭირა, და სხვ. ამ ქვეყნებში სამიწათმოქმედო შრომის

ძლიერმა ნაყოფიერებამ იაფი პურით გაავსო მსოფლიო ბაზარი. ეს საშინელ ლახვარივით დაეცა ძველ კაპიტალისტურ ქვეყნების მიწათმოქმედებას; და რადგან მოგებას, წლიურ თანასწორ ნორმისადმი ლტოლვილების კანონით, უცბათ შეცვლა არ შეეძლო, ამიტომ ეს უბედურება მთელის თავის სიმწვავით ამ ქვეყნების რენტას დააწვა: მისი ზრდა ისე ძლიერ შეფერხდა, რომ მოგების ზრდასთან გათანასწორება დიდხანს ვერ შეიძლო. ჯიფფენის ანგარიშით, სამიწათმოქმედო რენტის ციფრმა ინგლისში თითქმის კიდეც დაიწია 1843-დან 1893 წლამდე (42.127,000 გირვ. სტერლინგიდან 41.682,000 გირვ. სტერლ. ჩამოვიდა).

მაგრამ თუ ევროპის მიწათმფლობელებმა რენტის დაცემა განიცადეს, სამაგიეროთ, შავ-მიწიან ქვეყნების ახალი მიწათმფლობელები იღებდენ ამ დროს აუარებელ რენტას, და ამიტომ საქმის ვითარება არსებითათ არ შეცვლილა: სამიწათმოქმედო რენტის საერთო ჯამი მაინც მუდამ მატულობდა. რენტის დაკლება იყო ერთი მთავარ მიზეზთაგანი ევროპის მიწათმფლობელობის იმ საშინელი დავალიანებისა, რომელიც განსაკუთრებით განვითარდა ამ უკანასკნელ წლებში. მეორე საყურადღებო მიზეზი იყო სამიწათმოქმედო ტეხნიკის გაუმჯობესების საჭიროება, რომელიც მიწათმოქმედების კონკურენციით იყო გამოწვეული. მიწისა და საწარმოვო წესების გაუმჯობესებისათვის საჭირო იყო კაპიტალი, და ეს კი მიწათმფლობელებს სესხათ უნდა აეღოთ. დავალიანება იქამდე მივიდა, რომ რენტის უდიდესი ნაწილი საკრედიტო დაწესებულებებს მიაქვთ ვალების პროცენტებში.

რაც შეეხება არა-სამიწათმოქმედო რენტას,—რენტას შენობების დასადგამ მიწაზე და სხვ.,—მისი ზრდა ევროპაში ოდნავათაც არ შეჩერებულა. ინგლისში, მაგ., 50 წლის განმავლობაში 1843-დან 1893 წლამდე, ის გაიზარდა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, 3-ჯერ მაინც. განსაკუთრებით ჩქარა იზრდება იგი დიდ სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებში; ქალაქის გა-

ფართოვებასთან ერთათ, ბინის ქირა მის ცენტრალურ ნაწილებში საშინლათ იზრდება, და ეს ზრდა-მატებაც რენტის წყალობითაა გამოწვეული, ვინაიდან შენობის აგებაზე დახარჯულ კაპიტალის სარგებელი ისევ ძველი რჩება. ცალკე შემთხვევებში ასეთი რენტის ზომა თითქმის გასაშტერებელი რაოდენობისაა: ისეთ დიდ ქალაქების ცენტრალურ უბნებში, როგორიც ლონდონი, ჩიკაგო და სხვებია, ერთ ოთხ-კუთხ საჟენ მიწის ფასი რამდენიმე ათი-ათას მანათამდე აღწევს!

### გ) სამუშაო ხელფასი.

მანუფაქტურულ შრომის განაწილება იწვევდა მუშათა კლასის ჯგუფებათ დაყოფას სხვა-და-სხვა სიდიდის სამუშაო ხელფასით. ეს მეტნაკლებობა სამუშაო ხელფასისა დამოკიდებულია შრომის სირთულესა და მუშის სწავლა-დახელოვნებაზე. ამის გამო არსებობდა არა ერთი მუშათა კლასი, არამედ მრავალი კლასები მუშებისა, რომლებიც საკმაოთ განსხვავებულ მატერიალურ პირობებში ცხოვრობდენ.

სამანქანო წარმოება სპობს შრომის მანუფაქტურულ განაწილებას სპეციალურ მანქანების შემოღებით, და ამასთან ერთათ ცდილობს მოსპოს სამუშაო ხელფასის წინანდელი სხვა-და-სხვაობაც, ცდილობს ყველა მუშისათვის თანასწორი გახადოს იგი. რაკი მანქანის წყალობით სხვა-და-სხვა მუშების საწარმოვო როლი სულ უფრო და უფრო მსგავსი ხდება, აშკარაა, მუშების მატერიალური მდგომარეობაც აუცილებლათ ერთმანეთს უნდა დაუახლოვდეს.

მანქანაზე მუშაობის ცოდნას ისეთი მცირე შესწავლა უნდა, რომ ყველას შეუძლიან მისი შეთვისება და ამაზე ბევრი დროც არ წაუვა. ამიტომ მუშების ხარისხებათ დაყოფა თანდათან უქმდება და დგება ერთი ჯგუფი, რომელიც ძლიერ უახლოვდება შავ მუშებს. უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ მანქანასთან მომუშავეს აუცილებლათ სჭირია, ცოტაოდნათ

მაინც, საერთო განვითარება, ინტელიგენტობა; უამისოთ სახიფათო და საზარალო იქნებოდა მისთვის მანქანის მინდობა, რომლის რთული მექანიზმიც მომვლელს რამდენიმეთ მაინც უნდა გაეგებოდეს, რომ შესაფერათ უწყოს ხელი და არ გააფუჭოს. რამდენათაც უფრო ავტომატიურია მანქანა, რამდენათაც ნაკლებს თხოულობს იგი მუშისაგან თავის მუშაობაში პირდაპირ ფიზიკურ ჩარევას, იმდენათ უფრო მეტს თხოულობს მისგან წმინდა ფსიხიურ შრომას—გაფაციცებულ ყურადღებას და მასთან საქმის შეგნებულათ მოპყრობას, მექანიზმის სხვადასხვა ნაწილების დანიშნულების გაგებას, მუშაობის დროს მათი ერთმანეთში კავშირის მიხვედრას და ამის შესაფერათ მოქცევას.

ამნაირათ, შავი მუშების ხელით შრომის მსგავსათ მანქანასთან მუშაობა **მარტივი** შრომაა, ე. ი. ისეთი შრომა, რომელიც ყველაზე ნაკლებ განვითარებასა და ცოდნას თხოულობს. მაგრამ ამ უმცირეს ცოდნაშიაც შედის მუშის საერთო ინტელიგენტობა, და რამდენათაც ცხოვრება წინ მიდის, იმდენათ იზრდება ეს მოთხოვნილება ინტელიგენტობისა.

მეტ ინტელიგენტობასთან აუცილებლათ დაკავშირებულია უფრო მეტ მოთხოვნილებათა განვითარება და, მაშასადამე, უფრო მაღალი სამუშაო ხელფასი. ამნაირათ, თუმცა თვითოეული კაპიტალისტი ცდილობს, რაც შეიძლება, მეტათ შეამციროს სამუშაო ხელფასი, მაგრამ **წარმოების მოთხოვნილებანი** აიძულებენ მას შეურიგდეს მის ფაქტიურ გადიდებას: კიდევაც რომ შესძლოს კაპიტალისტმა მუშების ამ ლტოლვილების დროებით შეჩერება, მათი მოთხოვნილების დათრგუნვა, ამით მხოლოდ იმას მიაღწევს, რომ თვითონ მუშებიც, მათ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გამო, ველარ შესძლებდენ მანქანასთან მუშაობას, და ეს კი თვითონ კაპიტალისტისთვისაც არ იქნებოდა ბაგრე რიგათ სასარგებლო.

წარმოებაში, „მარტივ სამანქანო შრომის" წარმომადგენელთა გარდა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მონაწილეო-

ზას იღებს აგრეთვე „რთული შრომის“ წარმომადგენელთა მთელი ჯგუფი — ინტელიგენტ-ტეხნიკური პერსონალი: სწავლული მექანიკოსები, ტეხნოლოგები, ქიმიკოსები, წარმოების საზოგადო ორგანიზაციის სპეციალისტები — დირექტორები, ბუჰ-ლალტერები და სხვანი. ეს, შედარებით, არა მრავალ-რიცხოვანი კლასი, თავის სამუშაო ხელფასით, ძლიერ განსხვავდება უბრალო მუშებისაგან. როგორც საშუალო ჯგუფი კაპიტალისტებსა და მუშებს შორის, აქ აღებული ჯგუფი დღეს არ შეიძლება, საზოგადოთ, მუშათა კლასს მიეთვალოს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მანქანური კაპიტალიზმი ცდილობს ეს ჯგუფი, თავის საწარმოო როლით, საზოგადოებრივ მდგომარეობით და ფსიხოლოგიით, მარტივი შრომის წარმომადგენლებს დაუახლოვოს. ამ ტენდენციას უფრო ძლიერი გავლენა აქვს დაბალ მოსამსახურეებზე, რომელნიც ნელ-ნელა კარგავენ კიდეც თავის საზღვარს ქვევიდან და მუშების უპრივილეგიო ნაწილში ითქვიფებიან. ასეთი რიგის ინტელიგენტ-ტეხნიკურ პერსონალის მეორე, უფრო მცირე-რიცხოვან ნაწილის განვითარების ტენდენცია, — იმ ნაწილისა, რომელსაც უფრო მაღალი ადგილი უჭირავს კაპიტალისტთა სამსახურში და რომელიც მათთან უფრო ახლო სდგას, როგორც ჩამომავლობით, ისე ზნე-ჩვეულებით. რამდენადაც უფრო ჩქარდება წარმოების ეკონომიურ ურთიერთობათა პროგრესი, რამდენადაც ურთიერთობანი გარკვეული სდებიან, იმდენად ეს უმაღლესი ნაწილი ინტელიგენციისა გადაჭრით ემხრობა და შემდეგ კი სულ მთლიანად გადადის კაპიტალისტთა კლასში.

დედაკაცისა და ბავშვის შრომას წარმოებაში, ჯერ კიდევ სამანუფაქტურო ხანაშიაც უკვე ვხვდებით, მაგრამ ძლიერ იშვიათათ; მანუფაქტურაში ხელით შრომისათვის, უმეტეს შემთხვევაში, საჭიროა ისეთი ფიზიკური ძალა, რომელიც არც დედაკაცსა და არც ბავშვს არ მოეპოვება, — ძალა მოწიფული ვაჟკაცისა. ამიტომ მანუფაქტურულ ხანაში დედაკაცები და ბავშვები ნაკლებათ ეცილებოდენ მამაკაცებს სამუშაო ძალის გაყიდვაში.

შედარებით მეტი გასავალი აქვს დედაკაცისა და ბავშვის შრომას კაპიტალისტურ საშინაო მრეწველობაში; ამის მიზეზი ისაა, რომ საჭირო კაპიტალი განსაკუთრებით ულმობელ ექსპლოატაციას უწევს წვრილ მწარმოებელს, და, აი, ეს გარემოება აიძულებს უკანასკნელს, თავის მხრივ, მოურიდებლად და უმოწყალოდ ყვლიფოს თავისი ოჯახის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ბევრად აღემატება მშრომელთა ძალ-ღონეს. სამანუფაქტურო კაპიტალისტს **ბევრად ურჩევნია** საქმე მოწიფულ, ფიზიკურ ძალ-ღონით სავსე მუშების შემწეობით აწარმოვოს; თუმცა მათ ქირა მეტი უნდა აძლიოს, მაგრამ ხელით შრომაში მოწიფულ ვაჟკაცთა სამუშაო ძალა იმდენათ აღემატება დედაკაცისა და ბავშვის სამუშაო ძალას, რომ ზედმეტი ღირებულება, შედარებით, მაინც პირველიდან რჩება უფრო მეტი.

მანქანურ წარმოებაში ხელით სამუშაო ძლიერ ცოტაა, სამუშაოს უმეტესი ნაწილი არ თხოულობს მოწიფულ ვაჟკაცის ფიზიკურ ძალას; და ამიტომ დედაკაცისა და ბავშვის შრომას სულ უფრო და უფრო მეტი გასავალი ეძლევა, ხოლო იქ კი, სადაც საჭირო არაა მოწიფული კაცის არც ფიზიკური და არც ფსიხიური ძალა, იქ უმთავრესათ მხოლოდ ბავშვების შრომა იხმარება. მრავლის-უმრავლეს შემთხვევაში კაპიტალისტისათვის გაცილებით სახეიროა უფრო იაფი და სუსტი მუშების დაქირავება, ვიდრე მოწიფული კაცისა.

ამას კი შედეგათ ის მოსდევს, რომ ბაზარზე ახალი მუშა-ძალა გამოდის, მუშათა რიცხვი მრავლდება და კონკურენცია მათ შორის ძლიერდება. სამუშაო ხელფასი იმდენათ უფრო ძლიერ ეცემა, რამდენათაც მეტათ ვრცელდება წარმოებაში დედაკაცისა და ბავშვების შრომა. ძნელი გამოსაცნობი არაა, თუ სანამდე დავა სამუშაო ხელფასი ამ დაკლების დროს. ღირებულების კანონის თანახმათ, სამუშაო ხელფასი უნდა უდრიდეს ნაწარმოების იმ საერთო ფასს, რომელსაც ჩვეულებრივ ხმარობს მუშის ოჯახობა. მაგრამ ახლა ეს სამუშაო ხელფასია არა მარტო კაცისა, როგორც აქამდე იყო, არამედ საერთოთ სამუშაო ძალის გამყიდველ ოჯახის ყველა წევრისა.

როგორც წინათ, ისე ახლაც ოჯახი საშუალოთ იღებს არსებობისათვის აუცილებელ სახსარს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ახლა კაპიტალისტურ წარმოებაში მონაწილეობას იღებს არა მარტო ოჯახის თავი, არამედ იმისი ცოლ-შვილიც.

დედაკაცისა და ბავშვის შრომა, კაპიტალის განვითარებასთან ერთათ, თან-და-თან ვრცელდება. რუსეთში, რომელმაც მხოლოდ ამ ბოლოს დროს შესდგა ფეხი კაპიტალისტურ წარმოებაში, ქარხნის მუშა-ქალები საერთოთ 1/4-ზე ცოტა მეტია, მოზრდილი ყმაწვილები 1/12, ბავშვები 1/40; სართავ-საქსოვ მრეწველობაში კი, სადაც ქალის შრომა ძლიერ ფართეთაა გავრცელებული, დედაკაცები მუშების საერთო რიცხვის 2/5 შეადგენენ. (ქსოვილების დამმუშავებელ მრეწველობის 5 დარგში 324,000 კაცზე და 16,000 12—15 წლის ბავშვებზე მოდის 256,000 დედაკაცი). ძველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მაგ., ინგლისში, უკვე სულ სხვა-გვარი დამოკიდებულება არსებობს. სართავ-საქსოვ მრეწველობაში იქ კაცები, მაგ., 1/4-ზე ცოტა მეტია (298,000), დედაკაცები ნახევარზე მეტი (610,000), მოზრდილი ყმაწვილები—1/12-მდე (89,000) და თითქმის ამდენივე ბავშვები 13 წლამდის (86,500). საფრანგეთში, 1896 წლის წყაროებით, მუშა-დედაკაცების საერთო რიცხვი ყველა მუშების რიცხვის 1/3-მდე აღწევს, მოზრდილ ყმაწვილებისა და ბავშვებისა კი —1/6-მდე.

მამაკაცისა, დედაკაცისა და ბავშვის ხელფასს შორის საკმაოთ დიდი განსხვავებაა. მაგ., მოსკოვის რაიონის ფაბრიკებსა და ქარხნებში მამაკაცის საშუალო თვიური ხელფასი—19 მანათია, დედაკაცისა დაახლოვებით—9 მანათი და ბავშვისა—6 მანათი. ეს განსხვავება მხოლოდ რამდენიმეთაა დამოკიდებული დედაკაცისა და ბავშვის სუსტ მუშაობაზე. მამაკაცისა და დედაკაცის-მიერ შესრულებული სრულიად თანასწორი შრომის ხელფასი რომ შევადაროთ ერთმანეთს, აქაც დავინახავთ, რომ მამაკაცი მაინც მეტს იღებს, დედაკაცი კი—ნაკლებს, და ბავშვი ხომ კიდევ ამაზე უფრო ნაკლებს. მიზეზი ისაა, რომ დე-

დაკაცსა და ბავშვს ნაკლებ შეუძლიანთ თავიანთი ინტერესების დაცვა, რომ ისინი ნაკლებ შეგნებულნი არიან და ნაკლებ ენერგიას იჩენენ თავის ინტერესების დასაცველათ ბრძოლაში.

დედაკაცისა და ბავშვების შრომის გავრცელებას წარმოებაში ძლიერ რთული სოციალური შედეგი მოყვა, რომელსაც რამდენიმეთ უარყოფითი და რამდენიმეთ კი დადებითი მნიშვნელობა აქვს.

ერთის მხრით გაძლიერდება კონკურენცია მუშათა შორის და ამით თვითოეული მათგანი წინანდელზე უფრო მეტათ დამოკიდებული ხდება კაპიტალისტისაგან; ამიტომ მუშის გამოცვლა ადვილი საქმეა, იგი ახლა უფრო ნაკლებ საჭიროა, ვინემ წინათ. უმუშევართა რიცხვიც მატულობს.

დედაკაცებისათვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის, ფაბრიკაში მუშაობა, უმეტეს შემთხვევაში, ნიშნავს ორგანიზმის უდროვოთ გამოფიტვასა და დაუძლურებას. ეს დაუძლურება ხანდისხან იქამდე მიდის, რომ პირდაპირ გადაშენებას უქადის მუშათა კლასს. ორსული დედაკაცების მუშაობა ცუდათ მოქმედობს მათ მომავალ შვილების ჯანმრთელობაზე: ბავშვები სუსტები იბადებიან, **„უდღეურობის“** სახე აქვთ და ხშირათაც იხოცებიან. ამასთანავე, მუშა-დედას სრულიად არა აქვს მოცალეობა, რომ თავის შვილს რიგიანათ მოუაროს და თავთავის დროზე საკმაოთ ძუძუ აწოვოს. ცოტას წამოიზრდება თუ არა, ხშირათ 6—8 წლის ბავშვი, მუშა დედ-მამის შვილი, თუ კანონები ხელს არ უშლის, საქარხნო მუშაობაში ებმის. ასეთი ბავშვების ფიზიკურ სისუსტესა და უღონობას ამტკიცებენ და მოწმობენ არა მარტო საფაბრიკო ინსპექტორები, არამედ თვითონ კაპიტალისტებიც (ინგლისში, საფაბრიკო კანონების გამოცემამდე, 8 წლის ბავშვები დღე-და-ღამეში 14 საათს მუშაობდენ ქარხნებში).

ხანგრძლივი საქარხნო შრომა არამც თუ მხოლოდ აუძლურებს ბავშვების სხეულს, ჰკლავს კიდეც მათს გონებრივ ძალებს, აჩლუნგებს, აველურებს ბავშვებს და უკარგავს გან-

ვითარების ნიჭსა და შეძლებას, ხანდისხან კი სრულიადაც აპეცებს, აიდიოტებს. ამნაირ ბავშვებისაგან, რა თქმა უნდა, გამოდიან ყოველ დამოუკიდებლობას, ყოველ ზნეობრივ ენერგიას მოკლებული ადამიანები, უხმო, უმწეო, უვარგისნი არსებანი, ყველაფერში გამოუსადეგარნი, გარდა პასსიური როლის შესრულებისა, და ისიც სხვისი ხელმძღვანელობით.

მამაკაცებისა, დედაკაცებისა და ბავშვების ღამ-ღამობით ერთად მუშაობა მუშათა კლასისათვის სქესობრივი არევისა და გარყვნილების უსაშინელესი და დაუშრეტელი წყაროა.

დედაკაცებისა და ბავშვების მუშაობა ქარხანაში ანგრევს მუშის ოჯახს, აშორებს და თიშავს ერთმანეთისაგან ცოლქმარსა და დედა-შვილს. აი, აქედან წარმოსდგება ბევრი ისეთი ტანჯვა-წვალებანი, რომელიც წინა ეპოქებში ჯერ კიდევ არ გამოეცადნა კაცობრიობას.

მაგრამ ამავე დროს დედაკაცი თავისუფლდება წინანდელ მონურ მდგომარეობიდან ოჯახში. როგორც დამოუკიდებელი მუშა, დედაკაცი ქმრისაგან ეკონომიურადაც დამოუკიდებელი ხდება, იგი თან-და-თან ფაქტიურად უთანასწორდება ქმარს ოჯახში და მამაკაცს—საზოგადოებაში. ოჯახში ბავშვების მდგომარეობაც უფლებრივად უფრო უმჯობესდება.

უმთავრესი მნიშვნელობა დედაკაცისა და ბავშვის შრომისა იმაში მდგომარეობს, რომ ამით მატულობს საზოგადოების საწარმოვო ძალები. აქედან გამომდინარეობს წარმოებაში დედაკაცისა და ბავშვის ჩაბმის **დადებითი** შედეგები; ხოლო მისი **უარყოფითი** შედეგები კი ამ შრომის კაპიტალისტურ ფორმებიდან წარმოსდგება და ყოველგვარ საზოგადოებრივ პირობებში აუცილებელი როდია: ამიტომ შესაძლებელია, მაგ., ამ უარყოფითი შედეგების შესუსტება შესაფერ საქარხნო კანონმდებლობით, ხოლო საზოგადოების ძირიანად გარდაქმნის შემდეგ ხომ სრულიადაც გაქრება ის შედეგები.

ყოველ შემთხვევაში, დედაკაცისა და ბავშვის შრომა ჯერ კიდევ არაა მთავარი მიზეზი უმუშევართა რიცხვის გადიდები-

სა. ამისი უფრო არსებითი მიზეზია —შრომის ნაყოფიერების სწრაფი გაზრდა, რომელიც შედეგია მანქანების შემოღებისა და რომელიც ერთბაშათ ბევრ მუშას ზედმეტათ ხდის კაპიტალისტური წარმოებისათვის და უკარგავს მათ წარმოებაში ადგილს. ამ გზით თავს იყრის უმუშევართა ისეთი მასსა, რომელიც შეუძლებელი იყო საზოგადოების განვითარების წინანდელ ეპოქებში.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში მუშათა კლასის ეს ნაწილიც (უმუშევრებიც) არაა მოკლებული საწარმოვო მნიშვნელობას: იგი შეადგენს სათადარიგო მუშახელს, რეზერვს წარმოებაში,—სამუშაო ძალის ახალ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. როდესაც ხელის შემწყობი პირობები აიძულებს კაპიტალისტებს წარმოების გაფართოვებას, მაშინ ეს მრეწველობის სათადარიგო ლაშქარი მათ მზათა ჰყავთ, ასე რომ, სამუშაო ძალა საძებრათ არ უხდებათ, მისი ნაკლებობა სულაც არ აწუხებთ.

გაფართოვებული წარმოება სამუშაოს უჩენს ამ სათადარიგო მუშა-ხელის ერთ ნაწილს, და უმუშევართა რიცხვიც დროებით მცირდება. მაგრამ ტეხნიკის განვითარება ან ბაზრის შემოკლება ხელახლა ზედმეტათ ხდის წარმოებაში მომუშავეთა ერთ ნაწილს და ქუჩაში მიერეკება (განსაკუთრებით ულმობელია ამ მხრივ წარმოების კრიზისები, რომელზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი). ახალი მანქანის გამოგონება და შემოღება დიდის სისწრაფით ადიდებს სათადარიგო მუშა-ძალას, ანუ უმუშევრებს, და ამავე დროს იმავე მანქანების გამოგონება ხდება მიზეზი უმუშევრობის თან-და-თანის შემცირებისა. მანქანა ამცირებს საქონლის ფასებს, ასე რომ, სხვა-და-სხვა საქონელი უფრო ხელმისაწვდომი ხდება მყიდველთა უფრო ფართე წრეებისათვის; მოთხოვნის გაფართოება შესაძლებლათ ხდის წარმოების გაფართოებას; ამიტომ მანქანის-მიერ წარმოებიდან განდევნილი მუშები ხელახლა შოულობენ ადგილს წარმოებაში. მაგრამ სარეზერვო (სათადარიგო) ლაშქარი ყოველთვის

როდი უბრუნდება უკან თავის სამუშაოს: ხშირათ საქმეში დაბანდებულ მუშების რიცხვის შემცირება ხდება არა დროებით, არამედ მუდმივ მოვლენათ. მაგ., ინგლისში 1830—45 წ.წ. განმავლობაში, მიუხედავათ ბამბეულობის წარმოების 142% გაფართოვებისა, იქ მომუშავე მუშების რიცხვმა 4% დაიკლო.

საზოგადოთ, სამანქანო წარმოების პროგრესთან ერთათ, იზრდება სათადარიგო მუშათა არმიაც. სამუშაოზე დამდგარ მუშებთან კონკურენციით ეს არმია მძიმე ლოდივით აწვება ზევიდან სამუშაო ხელფასს და ძლიერ ამცირებს. მიმოსვლისა და, საზოგადოთ, გზების განვითარებამ შესაძლო გახადა კაპიტალისტებისათვის თვითოეული ქვეყნისა და თითქმის ერთათ ყველა ქვეყნების უმუშევართა ლაშქარით ისარგებლოს, სადაც უნდა ქონდეს კაპიტალისტს თავისი წარმოება გამართული. ასე რომ, უმუშევრობას ერთ მხარეში გავლენა აქვს სხვა ადგილების სამუშაო ბაზრის მდგომარეობაზე.

საკუთრათ მუშებს გარდა, ტეხნიკის ჩქარი პროგრესი წარმოებიდან სდევნის აგრეთვე დამოუკიდებელ წვრილ მწარმოებელთაც, რომლებიც აქამდე ხელით შრომით ცხოვრობდენ, მაგრამ ახლა კი ველარ უძლებენ მანქანების კონკურენციას. ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომელთაც ერთბაშათ შემოაქვთ წარმოებაში მანქანები, ან ერთბაშათ ხდებიან განვითარებული ქვეყნების სამანქანო წარმოების ბაზრათ, ამ გზით სულ მოკლე დროში ჩნდება დიდი სათადარიგო მუშათა ლაშქარი მსხვილ მრეწველობისათვის, და ამ ლაშქარის უმეტესი ნაწილი იხოცება კიდეც, სანამ მას კაპიტალი მოითხოვდეს. ასეთი გავლენა ქონდა, მაგ., ოცდა-ათიან წლებში ოსტინდოეთისათვის ინგლისიდან მოტანილ ბამბის მანქანებს. თუ კი შესაძლებელი იქნა, ახლათ გაჩენილი უმუშევართა არმია სამუშაოს საძებნელათ უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიეშურება. მაგ., ევროპიულ- და ახლათ გაფურჩქვნილ ჩინურ კაპიტალის მიერ ძალათ განადგურებული ჩი-

ნელი წვრილი მწარმოებლები მრავლათ ესახლებიან ამერიკის დასავლეთ ნაპირებზე. მათი კონკურენცია დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივ მუშათა შრომის პირობებზე, მით უმეტეს, რომ ამ ჩინელ მუშებს მეტათ მცირეთ აქვთ განვითარებული მოთხოვნილებანი, რის გამოც საოცრათ იაფათ ყიდიან თავიანთ სამუშაო ძალას. ყოველივე ეს ეხება არა მხოლოდ ჩინეთივით ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყნებს, რომლებზედაც ვრცელდება ევროპის კაპიტალის მოქმედება, არამედ, აგრეთვე, კაპიტალისტურ საზოგადოების ეკონომიურათ ჩამორჩენილ ნაწილებსაც. როცა მრეწველობის განვითარება შედის ასეთ ჩამორჩენილ ადგილებში, იგი უმიწოთ სტოვებს გლეხებს, ანადგურებს შინათ-მრეწველებსა და ხელოსნებს,—ამით თავისუფლდება აუარებელი სამუშაო ძალა და აწვება სამრეწველო ცენტრებს,—ერთის სიტყვით, მსხვილი წარმოების სამუშაო ბაზარს ავსებს. აი, სწორეთ ასეა საქმეთა მდგომარეობა რუსეთში. ქარხნებსა და ფაბრიკებში ხშირათ ხდება შეტაკება ადგილობრივ მუშებსა და სამუშაოთ მოსულ გლეხებს შორის იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი ძირსა სცემენ სამუშაო ხელფასს.

სამრეწველო სათადარიგო ლაშქრის რაოდენობისა და მის მატება-დაკლების სურათს გვაძლევს შემდეგი ციფრები: 1856 წელს ინგლისში, ოფიციალურ სიის თანახმათ, ითვლებოდა 880,000 სული, რომელნიც შემწეობას იღებდენ ღარიბთა გადასახადიდან *). 1863—64 წლებში კი ბამბეულობის მრეწველობის კრიზისმა ეს რიცხვი 1.080,000-ზე აიყვანა. ეს ციფრები არ გვაძლევს კიდევ უმუშევრობის სრულ სურათს: ყველა გაჭირვებული ვერა ბედავს საზოგადოებრივ შემწეობას მიმართოს; ბევრსა სცხვენია მოწყალების მიღება და თავის დამცირებათ მიაჩნია იგი. განსაკუთრებით ეს ხშირია იმათ შორის, რომელნიც სათადარიგო არმიას მხოლოდ ნახევრათ

*) „ღარიბთა გადასახადი“ ეწოდება სპეციალურ გადასახადს, რომელსაც ახდევინებენ ინგლისში მდიდრებს და შემწეობათ აძლევენ ღარიბებს. რედ.

ეკუთვნიან, ე. ი. თუმცა სამუშაოს მთლათ მოკლებულნი არ არიან, მაგრამ საყოფათ კი არა აქვთ. ამჟამათ უმუშევრათ დარჩენილთა რიცხვი ინგლისში, მეტათ სანდო და ამ საქმეში ფრიად გამოცდილ-დაახლოვებულ მკვლევართა (კეირ-გარდისა და ვილ. ტორნის) ანგარიშით, განისაზღვრება 1 მილიონით ზაფხულობით და 1.750,000 ზამთრობით. ამათში არ შედიან ისინი, რომლებიც სავსებით საზოგადოებრივ მოწყალებით ცხოვრობენ. გერმანიაში 1895 წლის დამლევს, ე. ი. მრეწველობის სწრაფ განვითარების დროს, ოფიციალურის ცნობებით, 771,000 უმუშევარი ითვლებოდა.

ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც მსხვილი კაპიტალისტური წარმოება სწრაფათ იდგამს ფეხს, როგორც, მაგ., რუსეთში, მუშათა სათადარიგო ლაშქარი, საერთო რიცხვით, შედარებით მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ უნდა იყოს, ვინემ განვითარებულ ქვეყნებში. მაგრამ ჩამორჩენილ ქვეყნებში უმუშევართა რიცხვის გაგება მეტათ ძნელია, ვინაიდან იქ უმუშევრობის ფარული ფორმაა გაბატონებული. გლეხი, რომელიც იძულებულია მიატოვოს ყოველივე „დამხმარე ხელსაქმობა“ (подсобные промыслы) და მაწარმოებელ შრომას მოკიდოს ხელი მხოლოდ მიწათმოქმედების სეზონში; შინათ-მრეწველი, რომელიც ამცირებს თავის წარმოებას იმიტომ, რომ შემცირდა მოთხოვნა სავაჭრო კაპიტალის მხრივ,—ყველა ესენი რამდენიმეთ აღებულ პირობებში წარმოების გარეშე დარჩენილი მცხოვრებნი არიან, თუმცა გარეგნულათ კი დამოუკიდებელ მაწარმოებლებს მოგვაგონებენ.

მუშათა კლასის უმუშევარი ნაწილი წარმოადგენს მცხოვრებთა **შედარებითი სიჭარბის** მომეტებულ წმინდა ფორმას.

კაპიტალისტური სათადარიგო მუშათა (რეზერვის) საარსებო საშუალებანი სხვა-და-სხვანაირი და ცვალებადია: ესაა ძველი ნამუშევარისაგან დანაზოგი, საზოგადოებრივი შემწეობა, მოწყალება, ქურდობა, პროსტიტუცია (ბოზობა) და სხვა ამგვ.;—ცხადია, მათ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილე-

ბაზე, საზოგადოთ, ლაპარაკიც კი მეტია: სიმშილი, სიცივე, უილაჯობა, ძალ-ღონის სრულიად დაკარგვისაგან სიკვდილი,— აი, რაა მათი ხვედრი.

სამრეწველო რეზერვის არსებობის დროს საბაზრო კონკურენციის პირობები განსაკუთრებით საგრძნობელი ხდება მუშებისათვის, რომელნიც ყოველის ღონითა ცდილობენ რამდენიმეთ მაინც შეიმსუბუქონ ამ ცუდი პირობების შედეგები.

ერთათ-ერთი საშუალება ამ კონკურენციისაგან მოყენებულ ვნების შესამცირებლათ არის თვით კონკურენციის შემცირება. სწორეთ ამ გზას დაადგა მუშათა კლასი. წარმოიშვა და განვითარდა სხვა-და-სხვა ტიპის **მუშათა სამრეწველო ორგანიზაციები.**

ეს მოვლენა არ არსებობდა კაპიტალიზმის სამანუფაქტურო ეპოქაში, როდესაც, შრომის მანუფაქტურულათ განაწილების წყალობით, მუშათა კლასი უკიდურესათ დაქსაქსული იყო და ერთს მთელს არ წარმოადგენდა. რაკი ამ განაწილებას სპობს, და ათანასწორებს, აერთფეროვანებს მუშათა სხვა-და-სხვა საწარმოვო როლს, ამასთანავე ამყარებს რა ერთ დონეზე სამუშაო ხელფასს,—სამანქანო წარმოება ამით ამზადებს ნიადაგს ასოციაციებისათვის. უყრის რა თავს აუარებელ ხალხს ერთ ჰერ ქვეშ, ერთ საქმეზე, რომელიც მტკიცეთ გარკვეულ წესების თანახმათ სწარმოებს, სამრეწველო კაპიტალიზმი ასწავლის მუშებს შეერთებას, ანვითარებს მათში დისციპლინას, რაც აუცილებელი პირობაა ყოველ ორგანიზაციის სიმტკიცისა და პრაქტიკულ გამარჯვებისათვის.

ასეთია ძირითადი ეკონომიური პირობები, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი შეიქმნა მუშების სხვა-და-სხვა ტიპის ორგანიზაციების აღორძინება და განვითარება (მაგ., პროფესიული კავშირები, ანუ trade-union-ები, პოლიტიკური კავშირები, მწარმოებელი, მომხმარებელი და სხვა ამხანაგობანი).

ყველაზე უწინ პროფესიული კავშირები გაჩნდა ინგლისში,—იმ ქვეყანაში, სადაც მანქანურმა წარმოებამ ყველაზე ად-

რე მოიკიდა ფეხი. ბრენტანოს ცნობით, თანამედროვე ტიპის პირველი trade-union-ი წარმოიშვა 1794 წელს, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც მოხდა დიდი სატეხნიკო ცვლილება, ანუ ეგრეთ წოდებული „გადატრიალება“ (переворотъ)—მანუფაქტურიდან მანქანაზე გადასვლა. სხვა ქვეყნებში საერთოთ კავშირები ვრცელდებოდა იმდენათ, რამდენათაც ვრცელდებოდა მათში სამრეწველო კაპიტალიზმი. კავშირების განვითარება ყველგან დიდის სისწრაფით მიდიოდა წინ.

ამგვარ ორგანიზაციების ფორმებისა და განვითარების სიჩქარის საკითხის გასარკვევათ, ყურადღებაში უნდა მივიღოთ არა მარტო ძირითადი ეკონომიური ურთიერთობანი—მუშების საწარმოვო ურთიერთობანი და მათი მონაწილეობა განაწილებაში, არამედ, აგრეთვე, საწარმოვო ხასიათის პირობებიც: სახალხო განათლების მდგომარეობა, პოლიტიკური ვითარებანი,—განსაკუთრებით კანონები კავშირების შესახებ და სხვ.; თუ რამდენათ საყურადღებოა ამ მხრით სახალხო განათლების მდგომარეობა (პირობა, რომელიც რეალურათ განუყოფელია ძალთა განვითარებისაგან), იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ დასავლეთ ქვეყნების სახელმწიფოებში სხვაზე უფრო განვითარებული ქვეყნები—ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და გერმანია—განთქმული არიან მრავალ-რიცხოვან მუშათა ასოციაციებით. თუ რა მნიშვნელობა აქვს კავშირების თავისუფლებას (რომელიც დამოკიდებულია თვით პროლეტარიატისა და საზოგადოების სხვა ჯგუფების საურთიერთო ძალთა განწყობილებისაგან), ამის შესახებ რამდენსამე ცნობას გვაძლევს შემდეგი მაგალითი: 1868 წელს საფრანგეთის კანონმდებლობამ დააკანონა მუშათა კავშირები, მაგრამ ამასთან ძლიერ შეზღუდა მათი უფლებანი; 16 წლის შემდეგ, 1884 წელს, საფრანგეთში უკვე ითვლებოდა 283 კავშირი. 1884 წელს კანონმა მოსპო უკანასკნელი შევიწროებანი,—და 7 წელიწადში, ე. ი. 1891 წლამდე, ორგანიზაციების რიცხვი გაიზარდა თითქმის ოთხჯერ,—სულ შესდგა 1,127 კავშირი.

პირველი, ყველაზე უფრო მარტივი და თან უფრო სუსტი და დაუმთავრებელი ფორმა მუშათა ორგანიზაციისა არის

გაფიცვა (კოალიცია), შემთხვევითი, დროებითი შეთანხმება მუშებისა რომელისამე კერძო პრაქტიკულ მიზნის მისაღწევათ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჩვეულებრივ ყველა შეთანხმებული მუშები ერთბაშათ შესწყვეტენ მუშაობას. გაფიცვის პირდაპირი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ხელის შემწყობ პირობებში მას შეუძლიან მუშათა მატერიალური მდგომარეობა რამდენიმეთ გააუმჯობესოს; გარდა ამისა, ხშირათ გაფიცვები ხელს უწყობს უფრო გარკვეულ და უფრო მტკიცე ორგანიზაციების შექმნას, როგორიცაა, მაგ., trade-union-ები (პროფესიული კავშირები).

პროფესიული კავშირები წარმოადგენენ მუშათა ორგანიზაციების ყველაზე გავრცელებულ ფორმას. არსებითათ ეს კავშირები ერთისა და იმავე ტიპისანი არიან და დაახლოვებით ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებიან. ეს ტიპია—ცოტათ თუ ბევრათ ცენტრალისტური გაერთიანება, რომელიც აშენებულია საარჩევნო საფუძველზე; მიზანი კი—ცხოვრების მატერიალური მხარის გაუმჯობესებაა ურთიერთ შორის დახმარების საშუალებით ავათმყოფობისა, რაიმე მოულოდნელ უბედურებისა და სხვ. შემთხვევების დროს, კაპიტალისტებთან მოლაპარაკების გამართვა სამუშაო ხელფასის შესახებ, ხოლო უმთავრესათ კი—კაპიტალისტებთან ბრძოლა, გაფიცვების მოწყობა და სხვ. ამგვარ. ხშირათ პროფესიული კავშირები თავის წევრთა გონებრივ-ზნეობრივათ გაწვრთნა-გაფაქიზებასა და განათლებაზედაც ზრუნავენ, წიგნთ-საცავ-სამკითხველოებისა, საამხანაგო სამართლისა და სხვა ამგვარების დაარსებით და სხვ.

პროფესიული კავშირები თავდაპირველათ აერთებდენ უმთავრესათ ერთი დაწესებულების მუშებს, შემდეგ—ყველა ერთგვარ დაწესებულებათა მუშებს და თვით დაწესებულებათ, ხოლო ამის შემდეგ კი რამდენსამე ერთი-მეორესთან დაახლოვებულ საწარმოვო დარგებს; ამასთან ისინი (პროფ. კავშირები) თავის სამოქმედო ასპარეზს ფარგლავენ პირველათ ერთი ქალაქით, შემდეგ—ერთის მხარით ანუ კუთხით, ბოლოს კი—

სახელმწიფოთი. ამ უკანასკნელ წლებში ზოგიერთ შემთხვევებში პროფესიული კავშირები ყველა დასახელებულ ფარგლებსა სცილდებიან და, ან საერთაშორისო ხდებიან, ან არა-და — ერთს მხარეში მრეწველობის ერთმანეთისაგან დიდათ განსხვავებულ დარგთა მუშების კავშირებს აერთებენ ძლიერ ფართე ფედერაციების შეკვრით.

პროფესიულ კავშირებს ყველაზე მეტათ შეუძლიანთ შეასუსტონ მუშათა კონკურენცია საშრომო ბაზარზე. აქედან წარმოსდგება ის, რომ ხელფასის სიმაღლე პირდაპირ დამოკიდებულია კავშირების განვითარებაზე. იმ ქვეყნებში, სადაც პროფესიული კავშირები ძლიერი არიან, — როგორც, მაგ., ამერიკაში, სადაც ყველა მუშათა მესამედი უკვე trade-union-ებში არიან შეერთებულნი, და ინგლისში, სადაც კავშირებში საერთოთ მუშათა მეოთხედი შედის, სამუშაო ხელფასიც ძლიერ მაღლა სდგას; საზოგადოთ შენიშნულია, რომ კავშირებში მყოფ მუშების ხელფასი უფრო დიდია, ვინემ კავშირს გარეთ მყოფ მუშებისა, ინგლისში, ჯიფფენის ანგარიშით, 1843 წლიდან 1883 წლამდე ზედმეტი ღირებულების ნორმამ $1^1/_2$-ჯერ დაიკლო; მაგ., 1845 წელს ხელოსნებისა და მუშების შემოსავალი უდრიდა 171 მილიონს, სხვა კლასებისა — 342 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ზედმეტი ღირებულების ნორმა — $200^0/_0$-ს აღწევდა; 1883 წელს კი მუშებისა და ხელოსნების შემოსავალი უდრიდა — 550 მილიონს, სხვა კლასებისა — 720 მილიონს, — ზედმეტი ღირებულების ნორმა $130^0/_0$-ზე ჩამოვიდა (ერთის უფრო ახალ და, ალბათ, უფრო სწორის ანგარიშით, რომელიც გობსონსა აქვს მოყვანილი, მუშებს წილათ უწევთ მხოლოდ 500 მილიონი, სხვა კლასებს კი — 800 მილიონი, ზედმეტი ღირებულების ნორმა $160^0/_0$-ს შეადგენს, მარა, წინანდელ $200^0/_0$-თან შედარებით, მაინც დაკლებულია).

მუშათა ცხოვრების პირობების ძირიანათ შეცვლა პროფესიულ ორგანიზაციებს არ შეუძლიანთ იმ დრომდე მაინც, სანამ მუშათა კლასის უმეტესი ნაწილი მუშათა კავშირებში არ

შეერთდება. პროფესიულ კავშირებს გარეთ დარჩენილი მუშები დიდ კონკურენციას უწევენ კავშირის წევრებს; ამასთანავე, შრომის პირობების ის გაუმჯობესებანი, რომელიც მოპოვებულია პროფესიულ კავშირების ეკონომიურის ბრძოლით, მტკიცე და ხანგრძლივ ნაყოფ-ნაქირნახულევათ როდი ჩაითვლება: კაპიტალისტები, იხელთებენ თუ არა მოხერხებულ დროს, როდესაც ბაზარზე მუშა-ხელის მოთხოვნა ცოტაა და მიწოდება კი დიდი, მაშინვე დაუკლებენ ხელფასს, აგრძელებენ სამუშაო დღეს და სხვ.; მუშებიც იძულებული ხდებიან ან დამორჩილდენ სასტიკ პირობებს, ან-და ბრძოლა დაიწყონ, მაშინ, როცა გამარჯვების იმედი სულაც არაა.

ყოველივე ეს უღვივებს მუშებს იმ რწმენას, რომ აუცილებლათ საჭიროა **კანონმდებლობითი დადასტურება** ეკონომიურ ბრძოლაში მათ-მიერ მოპოებულ უფლებებისა და **კანონმდებლობითი** გაუმჯობესება შრომის პირობებისა. აუცილებლათ საჭიროა, რომ სახელმწიფო იცავდეს მუშების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ინტერესებს, რომ ამას ავალებდეს მას შესაფერი კანონები. მაგრამ ვინაიდან სახელმწიფო, საზოგადოთ, **კლასობრივი ბატონობის ორგანიზაციაა,** ხოლო თანამედროვე სახელმწიფო კი—ბურჟუაზიის ბატონობის ორგანიზაციაა, ამიტომ იგი მხოლოდ იძულებით, ძალდატანებით, მხოლოდ ბრძოლის შემდეგ აწესებს ისეთ კანონებს, რომელიც მუშათა კლასის ინტერესებს იცავს, და კისრულობს მათს ასე თუ ისე შესრულებას. აქედან გამომდინარეობს პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლა საფაბრიკო კანონების მოსაპოვებლათ, ე. ი. ისეთი კანონებისა, რომელიც ეხება სამუშაო დღის შემოკლებას, მანქანებისაგან დაშავებულ-დასახიჩრებულთა დაკმაყოფილებას, ავათმყოფობისა და მოხუცებულობისაგან მუშების დაზღვევასა და სხვ. ამგვ... ეს ბრძოლა წარმოებს გაფიცვებისა და დემონსტრაციების შემწეობით; მას შეუკავშირებელი მუშათა მასსაც აწარმოებს, პროფესიონალური კავშირებიცა და მუშების პოლიტიკური ორგანიზაციებიც. ამ გზით მოპოვებული უფ-

ლებანი უფრო მტკიცე და საიმედოა, ვინემ ის, რომელიც წმინდა ეკონომიურის ბრძოლითაა შეძენილ; გარდა ამისა, ეს უფლებანი გაცილებით უფრო ფართე მასსის ცხოვრებას ეხება, რადგან, ჩვეულებრივ, კანონებს აწესებენ არა ცალკე დაწესებულებისა ან იმათი ცალკე ჯგუფის შესახებ, არამედ მრეწველობის რამდენისამე—ან-და ყველა დარგებისათვის ერთათ.

მაგრამ ასეთი პოლიტიკური ბრძოლა მაინც ვერ აღწევს ეკონომიურ სისტემის საფუძვლამდე, მის, ძირ-ბუდემდე, და ამიტომ მას შეუძლიან მხოლოდ რამდენიმეთ გააუმჯობესოს და შეამსუბუქოს მუშათა კლასის ცხოვრების პირობები, მაგრამ მათი საფუძვლიანათ, არსებითათ შეცვლა კი არ შეუძლიან. მისი ცხოვრება **უზრუნველ-ყოფილი** არაა, და ეს გარემოება კი უმწარებს მუშას მთელ სიცოცხლეს. საუკეთესო საქარხნო კანონების დროსაც შეიძლება, რომ მუშა უმუშევრათ დარჩეს და ასე საცხოვრებელ საშუალებას მოკლებული იქმნეს, იმიტომ, რომ წარმოების ანარქია ისევ ისე ხელუხლებლათ რჩება, სტიქიური ძალა ბაზრისა ისევ ისე უცვლელათ განაგრძობს ბატონობას წარმოებაში. როდესაც ახალი მანქანა შემოდის, ან ბაზარში ამა თუ იმ საქონლის მოთხოვნა კლებულობს, კაპიტალისტები **იძულებული** ხდებიან ათობით, ასობითა და ათასობით ქუჩაში გამოისტუმრონ თავის მუშები; და ამ გამოყრილთ ვერავინ და ვერაფერი ვერ მისცემს კაპიტალისტურ წარმოების დროს იმის გარანტიას, რომ ისინი კვლავ იშოვნიან სამუშაოს. როდესაც ამ ცხოვრების უკულმართობისაგან განამწარი მუშათა კლასი ნათლათ იგნებს, რომ მისი მომავალი არც ერთის მხრით უზრუნველ-ყოფილი არაა და ამის მიზეზი კი თვითონ კაპიტალისტურ წყობილების სიღრმეშია ჩაქსოვილი, მაშინ მას წინ უდგება საკითხი ამ კაპიტალისტურ წყობილების გადაკეთებისა, მის საფუძვლების ძირიან-ფესვიანათ შეცვლისა, რომ ამით სავსებით და საბოლოვოთ მოისპოს ანარქია წარმოებაში. აქედან იწყება მუშათა კლასში მჭიდრო ორგანიზაციების შეკვრა და მზადება იმ ბრძოლისათვის, რომელ-

საც მიზნათ აქვს მოსპოს კერძო საკუთრება მიწასა და შრომის ყველა სხვა საშუალებებზე, და ყოველივე ეს გადასცეს თავის განკარგულებაში საზოგადოებას, რომელიც შესძლებს წარმოების მოწყობას განსაზღვრულის გეგმით. ესაა—**ბრძოლა სოციალიზმისათვის,** რომელიც ხდება პოლიტიკურ ბრძოლის სახით; აი, სწორეთ ეს ბრძოლაა, რომ მთელის ამა თუ იმ მხარის მუშათა კლასისათვის ქმნის ერთ საერთო პოლიტიკურ ორგანიზაციას და ასეთ ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირს—სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და საერთაშორისო სოციალისტურ სიეზდებს (კრებებს) მათი აღმასრულებელი ორგანოებით.

ამ სოციალური სისტემის ძირიან-ფესვიანათ გარდაქმნისათვის ბრძოლაში პროფესიურ-ეკონომიურ ბრძოლასა და საფაბრიკო კანონმდებლობისათვის ბრძოლას ახალი მნიშვნელობა ეძლევა; ესაა—საბოლოო მიზნის მისაღწევი **საშუალება,** რომელიც ხელს უწყობს მუშათა ენერგიის განვითარებას, აძლიერებს მუშათა კავშირს და პრაქტიკულ ნიადაგსა და ნიჰსპოულობს მუშათა კლასის ამ ძირითადი, ამ მთავარ ბრძოლისათვის.

თავისუფლებას მოკლებულ ქვეყნებში, სადაც გაბატონებული ბურჟუაზიული, და უფრო ჩამორჩენილ მხარეებში კი—ფეოდალური კლასები სულს უხუთავენ მუშათა კლასის ყოველგვარ პოლიტიკურ ცხოვრებას და ავიწროვებენ მათს თვითშეგნების განვითარებას,—იქ პროფესიულ-ეკონომიური ბრძოლაც, საფაბრიკო-საქარხნო კანონების გამოცემისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაც აუცილებლათ თხოულობს, როგორც თავის აუცილებელ საშუალებასა და პირობას—მოქალაქობრივ თავისუფლებისა და დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ წყობილების მოპოვებას. **ამ უფლებებისათვის ბრძოლაში** მუშათა კლასს შეუძლია თავისთვის მოკავშირე იშოვნოს შეგნებულ გლეხებში, ხელოსნებში, გონებრივი შრომის მცირე ჯამაგირიან წარმომადგენლებში და, საზოგადოთ, ბურჟუაზიულ

საზოგადოების დაბალ კლასებში, რომლებიც ეკონომიურათ და პოლიტიკურათ შევიწროვებულნი და დაჯაბნებულნი არიან უმაღლეს კლასებისაგან.

პროფესიულ და საფაბრიკო კანონებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით ფართეთ ვითარდება იმ ქვეყნებში, რომელთაც უფრო ფართე ბაზარი აქვთ და სადაც, მაშასადამე, მუშა-ხელის მოთხოვნილებაც მეტის-მეტათ დიდია: ასეთები იყვნენ 1900 წლის დამლევამდე ინგლისი და ამერიკა. მოძრაობა სოციალ-დემოკრატიული კი ყველაზე მეტათ ძლიერია არა ამ ქვეყნებში და, საზოგადოთ, არა იქ, სადაც სამრეწველო კაპიტალის განვითარება ყველაზე წინაა წასული, არამედ უფრო იქ, სადაც დღეს ხდება იმისი სწრაფათ განვითარება, როგორც, მაგ., გერმანიაში, მაგრამ შემდეგში ამ ბრძოლით მოპოებულ უფლებათა ნიადაგზე პროფესიული ბრძოლაცა და საქარხნო კანონებიც ისე სწრაფათ ვითარდება, რომ ამ მხრივაც ასეთ ქვეყნებს ადვილათ შეუძლიანთ მალე დაეწიონ და წინ გაუსწრონ ძველი კაპიტალიზმის ქვეყნებს.

მუშათა ორგანიზაციების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენენ მომხმარებელ და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, რომლებიც არა ნაკლებ გავრცელებულია გლეხობასა და ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიას შორის, ვინემ მუშებში. ასეთი ორგანიზაციების მიზანია — მუშების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება წვრილ კომერციულ ოპერაციების საშუალებით, საცხოვრებელ საშუალებათა იაფათ და ერთბაშათ, ნარდათ ყიდვით (მომხმარებელი ამხანაგობანი), წვრილი საურთიერთო კრედიტით (შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი) და სხვ. ამგვარებით. საყოველთაო გაუმჯობესების შეტანას მუშათა ცხოვრების მატერიალურ პირობებში, რა თქმა უნდა, ასეთი ორგანიზაციები თავის-თავათ, **პროფესიულ და პოლიტიკურ კავშირებისაგან დამოუკიდებლათ**, ვერ შესძლებენ, თუნდაც რომ მთელი მუშათა კლასიც შეაერთონ, რადგან, ღირებულების კანონის თანახმათ, მუშათა ძალის მყიდველებს შეძლება მიეცემათ ხელფასს დააკლონ იმდენი, რამდენიც დაეზოგა თვითოეულ მუშას ასეთ ასო-

ციაციებში მონაწილეობით. მხოლოდ პროფესიულ პოლიტიკურ და სხვა ამგვარ კავშირებს შეუძლიათ შეანარჩუნონ მუშათა კლასს ერთხელ მოპოვებული გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები. ეკონომიურ განვითარების საერთო პროცესში მომხმარებელ და გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ისინი თავის კონკურენციით აჩქარებენ წვრილ ვაჭრებისა და წვრილ მევახშეების განადგურებას. ამავე დროს კაპიტალის ინტერესებს ეს ასოციაციები ოდნავადაც არა ვნებენ, დ ამიტომ ისინი ხშირად კაპიტალისტების მფარველობის ქვეშაც კი იმყოფებიან.

მუშათა ორგანიზაციების რამდენიმეთ უფრო მაღალს ტიპს წარმოადგენენ მწარმოებელი ამხანაგობანი. ესაა — მუშათა ის ჯგუფი, რომელსაც თავისი საკუთარი საწარმოო საშუალებანი აქვს და საკუთარ წარმოებაში მუშაობენ. ამნაირად. ასეთი ასოციაციის წევრები, ერთსა და იმავე დროს, მრეწველნიც არიან და მუშებიც. ასეთ ორგანიზაციებს შეუძლიანთ საკმაოთ თვალსაჩინოთ გააუმჯობესონ თავის წევრთა მატერიალური მდგომარეობა, რადგან მთელი მოგება მუშებს რჩებათ ხელში.

მაგრამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება მწარმოებელი ასოციაციები დაფუძნდენ გარეშე ხელის დაუხმარებლათ, მაგ., სახელმწიფოს დაუხმარებლათ: თანამედროვე განვითარებულ ტეხნიკის დროს, წარმოების დასაწყებათ, ჩვეულებრივ, ძლიერ დიდი კაპიტალია საჭირო. შემდეგ, მწარმოებელ ასოციაციის საქმის გაძღოლას ბევრი სიძნელე უდევს წინ: საერთო ორგანიზატორულ მოქმედების შეუჩვევლობა მუშების მხრივ, ამათი კაპიტალის სიმცირე, მტრობა კაპიტალისტებისა, რომელნიც ყოველ საშუალებას ხმარობენ და, როგორც უფრო შეძლებულნი, ახერხებენ კიდეც, კონკურენციის შემწეობით, ამ ასოციაციის დაღუპვას.

მწარმოებელი ასოციაციები, რომლებიც არსდებიან კაპიტალისტურ ურთიერთობათა ბატონობის ხანაში, ხელის შემწყობ პირობებში შესამჩნევათ აუმჯობესებენ თავის წევრების, ე. ი. შედარებით მუშების მცირე რიცხვის, მდგომარეობას. მარა მაშინ შედარებით მცირერიცხოვან მუშათა ინტერესები თან-და-თან უფრო და უფრო შორდება დანარჩენების ინტერესებს. მართლაც, ახალი წევრის ძველებთან

თანასწორ უფლება-პირობებში მიღება ასოციაციისათვის პირდაპირ საზარალოა, რადგან მას უკვე შეგროვილი აქვს კარგა მოზრდილი კაპიტალი. მაგ., ასოციაციამ მოაგროვა იმდენი კაპიტალი, რომ თვითოეულ მის წევრს 1000 მანათი უწევს. მაშინ ახალი წევრის მიღება ამ ათასი მანათის შემოუტანელათ—ეს იქნება თავის მოგებაში არა წევრისათვის წილის მიცემა.

საზოგადოთ, არაფერი არა იმაზე უფრო ადვილი, როგორც მუშა-მრეწველის მუშათა არისტოკრატიათ გადაქცევა. ხშირათ ხდება, რომ მწარმოებელი ასოციაციები თვითონ ქირაობენ გარეშე მუშებს და აძლევენ მათ მხოლოდ ჩვეულებრივ ხელფასს (მაგ., განთქმული „ფამილისტერი“ გიზაში). მწარმოებელი ასოციაციები თავის განვითარების დროს პირდაპირ მიისწრაფვიან სააქციონერო კომპანიებათ გადაქცევისაკენ. ისინი არსებითათ მხოლოდ ამრავლებენ წვრილ ბურჟუაზიას. ხშირათ ისინი თვითონ შესდგებიან არა მხოლოდ წმინდა მუშებისაგან, არამედ მათს ასოციაციებში შედიან და ხშირათ მათი დამაარსებელნიც არიან წვრილ-ბურჟუაზიული ტიპის მწარმოებლებიც; მაგ., რუსეთში გლეხების არტელები. დიდი საწარმოვო ასოციაციები, შედარებით, ძლიერ იშვიათათ მიდიოდენ წარმატებისაკენ.

გაცილებით უფრო მტკიცე და ცხოველს მყოფელ დაწესებულებებს წარმოადგენენ მომხმარებელ-მწარმოებელი ასოციაციები. მოაგროვებენ თუ არა საყოფ კაპიტალს, მომხმარებელი საზოგადოებანი მაშინვე აარსებენ საკუთარ სახელოსნოებსა თუ ქარხნებს, საზოგადოების წევრთათვის ზოგიერთ უფრო აუცილებელ საქონლების დასამზადებლათ. ამასთანავე, მათ-მიერ დამზადებული საქონლების გასაღება, ცოტათ თუ ბევრათ, უზრუნველ-ყოფილია, ამიტომ წარმოებაც უფრო ხეირობს და ამ დაწესებულებათა მუშებიც ჩვეულებრივ, შედარებით, კარგ სამუშაო ხელფასს იღებენ და მასთან მომხმარებელ ასოციაციებში მონაწილეობითაც სარგებლობენ.

მუშების პოლიტიკური ბრძოლა მათი ცხოვრებისა და შრომის ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლათ თანამედროვე წყობილების ჩარჩოებში, ბადებს საქარხნო-საფაბრიკო კანონმდებლობას.

საქარხნო-საფაბრიკო კანონმდებლობა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ერევა ცალკე კაპიტალების ორგანიზატორულ მოქმედებაში და საზღვრავს შრომასა და კაპიტალს შორის ხელშეკრულობათა თავისუფლებას. **სახელმწიფოსათვის** ასეთი განსაზღვრის აუცილებლობას ბადებს ცალკე მრეწველთა ინტერესების შეჯახება მთელ კაპიტალისტურ საზოგადოების ინტერესებთან. რასაც უნდა შეეხოს საფაბრიკო კანონმდებლობა—სამუშაო დღის განსაზღვრა იქნება ის, თუ წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევებში კაპიტალისტების პასუხის მგებლობის შემოღება, სამუშაო პირობების ჰიგიენურათ მოწყობა თუ სხვა რამ,—არსებითათ ყველა ეს არის „სამუშაო ხელფასის" შეცვლა, ამ სიტყვის უუფართოვეს მნიშვნელობით, საზოგადოებრივ განაწილებაში მუშების წილის შეცვლა.

თვით მანქანური წარმოება, რომელიც ღრმა ცვლილებებს ახდენს მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ამასთანავე ბადებს საფაბრიკო-საქარხნო კანონების აუცილებლობასაც. ამ აზრის გასარკვევათ ცოტათი შევჩერდეთ ერთ კერძო მაგალითზე: ინგლისი, სადაც სამანქანო კაპიტალიზმი ყველაზე უწინ განვითარდა, ყველაზე უწინაც დადგა საფაბრიკო კანონმდებლობის გზაზე.

როდესაც კაპიტალის-მიერ სამუშაო დღის გაგრძელებამ და ხელფასის შემოკლებამ ისეთი უკიდურესი მდგომარეობა შექმნა, რომ მუშათა კლასი გადაშენების გზაზე დააყენა, მაშინ გამოაშკარავდა, რომ ამ პირობების შეცვლაში დაინტერესებული არიან როგორც მუშების, რომელთაც ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს საფაბრიკო კანონებისათვის, ისე საზოგადოების ბევრი სხვა ელემენტებიც. პირველ ყოვლისა, სამიწათმფლობელო კლასს ბევრი საბუთი ქონდა თანაგრძნობით მიგებებოდა მუშების ასეთ მისწრაფებას: მუშათა ცხოვრების პირობების ყოველგვარ გაუმჯობესებით მრავლდებოდა მათი მოთხოვნილებანიც და ამრიგათ იზრდებოდა მუშათა აუცილებელსაჭირო საგნების მოთხოვნა; ამ საგანთა დიდი ნაწილი კი მი-

წათმოქმედებაში მზარდება; მიწათმოქმედების ნაწარმოებთა მოთხოვნის გაძლიერება კი ნიშნავს პირდაპირ რენტის გადიდებას. გარდა ამისა, მიწათმოქმედებასა და სამრეწველო კაპიტალს შორის რენტისა და მოგების ნიადაგზე აღმოცენებული მტრობა მიწათმფლობელებს აიძულებდა საზოგადოთ სამრეწველო კაპიტალისტების წინააღმდეგ გაელაშქრებინათ საფაბრიკო კანონების საკითხშიაც. წვრილი ბურჟუაზია იძულებული იყო ცხოველი თანაგრძნობა გამოეცხადებინა ამ ბრძოლაში მუშებისათვის ორი მთავარი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, იგი (წვრილი ბურჟუაზია) მტერია მსხვილი კაპიტალისა, რომელიც მუდამ ამარცხებს წვრილ ბურჟუაზიას მძაფრი კონკურენციის საშუალებით; მეორეთ—-იგი შედის მუშების გაჭირვებულ მდგომარეობაში, რადგან ბევრი მათგანი ამ ცოტა ხნის წინათ მათსავე წრეს ეკუთვნოდა, და რადგან თვითონაც მოელის, აგრეთვე დღეს თუ ხვალ, მათს მდგომარეობაში ჩავარდნას. დასასრულ, უფრო განათლებულ კაპიტალისტებს, რომელებიც ახერხებდენ არსებულ დაწესებულებათა წუთიერ ინტერესებს ზევით ამაღლებულიყვენ და იქიდან მუშების მდგომარეობისათვის თვალი გადაევლოთ,—მშვენივრათ ესმოდათ, რომ მუშების მდგომარეობის რამდენიმეთ გაუმჯობესება უფრო სახეირო იქნება თვით კაპიტალისათვის, ვინაიდან ამით გაუმჯობესდება მუშაობის ინტენსივობა და ნამუშავარის ღირსება. ინგლისის განათლებულ ბიუროკრატიას ყველა ეს მოსაზრებანი კიდევ უფრო უკეთ ქონდა გათვალისწინებული.

ყველა ამ პირობებს კი შედეგათ ის მოყვა, რომ მუშებს საფაბრიკო კანონებისათვის ბრძოლაში ძლიერი მოკავშირეები აღმოუჩნდენ; ამიტომ მალე გამოიცა კანონი, რომელიც საზღვრავდა სამუშაო დღეს, პირველათ მხოლოდ დედაკაცისა, მოზარდებისა და ბავშვებისათვის, როგორც მუშათა კლასის ისეთი ელემენტებისათვის, რომელთაგანაც პირდაპირ დამოკიდებულია მომავალი თაობის ჯანმრთელობა და ენერგია. მაგრამ, ამასთან ერთათ, მოწიფული კაცების სამუშაო დღეც,

უმეტეს ნაწილათ, თავის-თავათ შემოკლდა, რადგან დედაკაცები და ბავშვები მუშების უმრავლესობას შეადგენდენ და უამათოთ წარმოების განგრძობა მოუხერხებელი და საზარალო იყო.

საქარხნო-საფაბრიკო კანონის გამოცემამდე, დღე-ღამეში 14—15 საათის სამუშაო დღე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 14-საათიანი დღე მუშას თავის ადამიანურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ უტოვებს მხოლოდ ორ საათ დროს, თუ ძილისთვის 8 საათს ვიანგარიშებთ. ამავე დროს კი ალაგ-ალაგ 18-საათიანი სამუშაო დღეც არსებობდა!

1833 წელს გამოიცა კანონი, რომლითაც მრეწველობის ყველა მნიშვნელოვან დარგებში სამუშაო დღე 12 საათით განისაზღვრებოდა. შემდეგ, წვრილ რეფორმათა მთელ რიგს მოყვა 1847 წლის კანონი, რომელმაც სამუშაო დღე 10 საათზე ჩამოიყვანა. ამავე დროს განმავლობაში დაარსდა საფაბრიკო ინსპექცია—ცალკე სახელმწიფოებრივი ორგანო, რომლის დანიშნულებაც იყო საფაბრიკო-საქარხნო კანონები ცხოვრებაში გაეტარებია და მისი დამრღვევნი პასუხის-გებაში მიეცა. ინგლისში ისნპექცია, შედარებით, დამოუკიდებლათ სარგებლობდა თავის მოქმედებაში და ამიტომ საფაბრიკო კანონები სრულათ იქმნა ცხოვრებაში გატარებული (ინგლისის ინსპექტორების ანგარიშებმა პირველათ გააცნო ევროპას მუშათა კლასის ჭეშმარიტი მდგომარეობა და მოგვცა აუარებელი მასალები კაპიტალისტურ წყობილების კანონების გამოსაკვლევათ).

თავის პოლიტიკურ წყობილებით ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიც, მაგ., რუსეთია, საქარხნო ინსპექციას არა აქვს არც საკმაო დამოუკიდებლობა, არც საკმაო განათლება და მოქალაქობრივობა, რომ ენერგიულათ მოითხოვოს მუშათა ინტერესების დამცველ კანონების შესრულება. ამიტომ უმეტეს ნაწილათ ეს კანონები მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ კანონებათ რჩება.

საქარხნო კანონმდებლობაში, როგორც ყოველ სხვა საქმეში, ძნელია პირველი ნაბიჯის გადადგმა, შემდეგი ნაბიჯების გადადგმა კი, შედარებით, უფრო ადვილია და მუშების მხრივაც ნაკლებ ენერგიას თხოულობს. სხვათა შორის, როდესაც რაიმე შემზღუდველი კანონმდებლობა შემოაქვთ მრეწველობის მხოლოდ ზოგიერთ დარგში, მაშინ აღნიშნულ დარგის ბატონ-პატრონი კაპიტალისტები ამ კანონების ყველა სხვა დარგებზე გავრცელების მომხრე ხდებიან, რადგან არა სურთ, რომ სხვა კაპიტალისტებს მათ წინაშე რაიმე უპირატესობა ჰქონდეთ წარმოებაში. აგრეთვე, როდესაც, ადგილობრივი პირობების გამო, კაპიტალისტების ერთი ნაწილი იძულებულია უფრო მოკლე სამუშაო დღე შემოიღოს, ვინემ სხვაგან არსებობს, მაშინ ეს კაპიტალისტები ხშირათ მხარს უჭერენ და მოითხოვენ კიდეც სამუშაო დღის კანონმდებლობით განსაზღვრას მთელის მხარისათვის, მაგრამ ისეთ განსაზღვრას, რომ ამით მათმა მეტოქეებმა დაკარგონ თავისი უპირატესობა მათ წინაშე, ხოლო თვითონ კი არაფერი დააკლდეთ. ასე, მაგ., 1896 წელს, პეტერბურგში და რუსეთის სხვა კუთხეებშიაც დიდი გაფიცვების დროს, რომელთა უმთავრესი მიზანიც სამუშაო დღის შემცირება იყო, ლოძის ბამბეულობის ფაბრიკანტები, რომელთაც, მუშების ენერგიულ ბრძოლის გამო, თავის ქარხნებში ადრევე ქონდათ შემოღებული მოკლე სამუშაო დღე, იმის მომხრე იყვენ, რომ კანონით დაწესებულიყო სამუშაო დღის შემოკლება; ამით მათ სურდათ ყოველივე უპირატესობა დაეკარგათ თავიანთ მეტოქე მოსკოვის მრეწველ-ვაჭრებისათვის, რომლებიც ხანგრძლივი სამუშაო დღით სარგებლობდენ.

წარმოებისათვის სამუშაო დღის ერთ დონეზე განსაზღვრის მნიშვნელობა ასეთია: იგი საშუალებას აძლევს მუშებს უფრო შეგნებული ცხოვრება მოაწყონ, და ამით კი შესაძლებელი ხდება მანქანების სიჩქარის მომატება, შესაძლებელი ხდება მანქანების წინანდელზე მეტი რიცხვის მიბარება ერთი მუშისათვის, და სხვ. ამგვ.; ამიტომ შემოკლებულ სამუშაო დღის

შემოღების შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ საშრომო ენერგიის ყოველ-დღიური ხარჯი მეტია, ვინემ წინეთ იყო; ახლა ვხედავთ, რომ 12-საათიანი დღე მეტ შრომას შეიცავს, ვინემ 15 საათიანი, 10-საათიანი მეტსა, ვინემ 12 საათიანი, და სხვ.

შრომის ინტენსივობის ზრდის გამო, კაპიტალისტები მალე ურიგდებიან სამუშაო დღის შემოკლებას, ვინაიდან მოგება ჩვეულებრივზე დაბლა არ იწევს და ხშირათ წინანდელზე მეტიც რჩება. მარა არის საზღვარი, რომლის იქითაც სამუშაო დღის შემოკლებამ აუცილებლათ უნდა შეამციროს ზედმეტი ღირებულება, ვინაიდან შრომის ინტენსივობის დაუსრულებელი ზრდა შეუძლებელია. ძნელი სათქმელია, ამ საზღვრის ახლოსაა თუ შორს 8 საათის სამუშაო დღე; ყოველ შემთხვევაში, ახლანდელ საზოგადოებრივ პირობებში იგი ამ საზღვართან ახლოს არის. რვა საათის სამუშაო დღის სასარგებლოთ მოძრაობა დაიწყო გასულ საუკუნის 50-იან წლებში და განსაკუთრებით გაძლიერდა 1889 წლის შემდეგ, როცა საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა დაადგინა 8 საათის სამუშაო დღისთვის ბრძოლა და შემოიღო ამისთვის 1-ლი მაისობა).

პირველათ სამუშაო დღის შემოკლება იწვევს უმუშევრობის შემცირებას; მაგრამ, რადგან შრომის ინტენსივობა მალე იზრდება, ამიტომ ეს შემცირება მხოლოდ დროებითი მოვლენაა. მალე წინანდელი რიცხვი მუშებისა, ხან კი ნაკლებიც, საკმარისი ხდება წარმოების დასაკმაყოფილებლათ.

ინგლისის შემდეგ სხვა კაპიტალისტურმა ქვეყნებმაც დაიწყეს საქარხნო კანონების გამოცემა. ამასთან, ისტორიული პირობებისა და მსოფლიო კაპიტალიზმის გავლენის გამო, მათში საქარხნო კანონმდებლობა, საზოგადოთ, უფრო ნაკლებ ბრძოლას თხოულობს (ისე, როგორც სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება მათში, შედარებით, უფრო სწრაფათ ხდება).

მუშათა კანონმდებლობა ყველა ქვეყნებში თან-და-თანობით ვრცელდებოდა წარმოების სხვა-და-სხვა დარგებზე. პირველ ყოვლისა, იგი ჩვეულებრივ საზღვრავდა დედაკაცისა და

ბავშვის შრომას. ბავშვების მუშაობა, უმეტეს ნაწილათ განსაზღვრულ წლოვანობამდე, სრულიად აკრძალულია (რუსეთში 12 წლამდე). შემდეგ, ხსენებულმა კანონმა ალაგ-ალაგ მოწიფულ ვაჟკაცის სამუშაო დროც განსაზღვრა (რუსეთში ამ მხრივ პირველი,— თუმცა კი ძლიერ სუსტი და უმნიშვნელო,— ნაბიჯი გადასდგა 1897 წლის 2 ივნისის კანონმა, რომელიც შედეგი იყო ზემოხსენებულ 1896 წლის გაფიცვებისა).

აქა-იქ კანონის-მიერ აკრძალულია დედაკაცებისა და ბავშვებისათვის ღამით მუშაობა (შვეიცარიაში აგრეთვე მამაკაცებისთვისაც, რასაკვირველია, იმათ გარდა, სადაც თვითონ ტეხნიკა თხოულობს შეუჩერებელ წარმოებას). ამ კანონის მნიშვნელობა აშკარაა: გარდა იმისა, რომ ღამის მუშაობას დიდი ვნება მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ის კიდევ ერთი უმთავრესი წყაროა მუშებში სქესობრივი წაბილწვისა და გაუკუღმართებისათვის.

ამას გარდა, ბევრ ქვეყნებში კანონი შეეხო სახელოსნოებში სისუფთავის დაცვასაც, ვენტილიაციის მოწყობას, მავნე წარმოებათა და საშიშო მანქანათა წინააღმდეგ გასაფრთხილებელ ღონისძიებას, და ყველა ამის შესრულება სამრეწველო დაწესებულებათათვის სავალდებულოთ აღიარა.

წარმოების უკუღმართ პირობების გამო, ყოველ-წლობით მრავალი ათასი მუშა იღუპება; მაგრამ იმის პირდაპირი აღნუსხვა, თუ რამდენია ეს მსხვერპლი, შეუძლებელია — ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დაახლოვებითი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ გავითვალისწინებთ, რამდენათ ხშირია ამა თუ იმ დარგში მუშათა სიკვდილი და დასნეულება. წარმოების დროს დაჰრილთა და დახოცილთა რაოდენობის შესახებ კი არსებობს სტატისტიკა, რომელიც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში საკმაო სისწორით ჰკრებს შესაფერ ცნობებს. ამ სტატისტიკიდანა სჩანს, რომ, მაგ., გერმანიაში 1894 წლის განმავლობაში უბედურ შემთხვევათა საერთო რიცხვი იყო 216,000, დახოცილთა რიცხვი — 6,000 კაცი, ხოლო მათი

რიცხვი, რომლებმაც, მძიმეთ დასახიჩრების გამო, საზოგადოთ დაკარგეს მუშაობის უნარი, 3,000-მდე უწევდა. თუ რამდენათ მნიშვნელოვანია პრაქტიკაში უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ გასაფრთხილებელ ღონისძიებათა მიღების შესახები კანონები, ეს აშკარათა სჩანს შემდეგის მაგალითიდან: ინგლისში 1874 წელს რკინის გზებზე მოკლულ იქმნა—ერთი მუშა ყოველ 320 მუშიდან, დაჭრილ იქმნა— ერთი მუშა 89-დან; 1894 წელს კი, როდესაც უკვე ბევრი მუშათა მფარველი კანონი მოქმედებდა, მოკლულთა რიცხვი $2^1/_2$-ჯერ ნაკლები იყო: მაგ., ერთი მოკლული მოდიოდა 796 ცოცხალზე, დაჭრილები კი თითქმის ორჯერ ნაკლები იყვნენ,—ერთი მოდიოდა 140 მუშაზე.

ზოგიერთ ქვეყნებში, საფაბრიკო კანონებით, კაპიტალისტები პასუხის მგებელნი არიან ყოველ უბედურ შემთხვევაში, რომელიც კი მუშებს მოუვათ წარმოების დროს. ბოლოს დროს, ევროპის კანონმდებლობის მიხედვითა და მუშათა შეუდგარ ბრძოლის მიზეზით, რუსეთშიაც ნელ-ნელა აწესებენ კანონს კაპიტალისტთა პასუხის-მგებლობის შესახებ მუშათა უბედურ შემთხვევებში, თუმცა კი სულ სხვანაირათ და ისიც წარმოების არა ყველა დარგებში.

ზოგ ქვეყნებში კანონით შემოღებულია მუშების დაზღვევა ავათმყოფობისა, უბედურ შემთხვევისაგან დასახიჩრებისა და მოხუცებულობის დროს,—და ხანდისხან კაპიტალისტები აუცილებლათ ვალდებულნი არიან დასაზღვევ კასებში მონაწილეობა მიიღონ.

ზოგან კი საფაბრიკო კანონმდებლობა ხაზეინებს მოზარდ ყმაწვილებისათვის და, საზოგადოთ, მუშათა შვილებისათვის თავიანთ ხარჯზე სკოლების დაარსება-შენახვასაც კი ავალებს.

სოფლის მეურნეობის საერთო ეკონომიური ჩამორჩენა, სხვათა შორის, იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ სოფლის მუშების დამცველი კანონმდებლობა ყველაზე გვიან ვითარდება და ცხოვრებაშიაც გაცილებით უფრო ნაკლებათ ტარდება, ვინემ სამრეწველო მუშების დამცველი კანონები, და ეს იმიტომ,

რომ სოფლის პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა უფრო ნელა და გვიან ვითარდება.

შრომის პირობების კანონმდებლობითი განსაზღვრას დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებისათვის: პირველათ, ის აჩქარებს ტეხნიკურ პროგრესს უკვე იმით, რომ აძვირებს სამუშაო ძალას, რის გამოც მუშის ალაგას მანქანის ჩაყენება კაპიტალისტისათვის სახეირო ხდება; მეორეთ, იგი აჩქარებს კაპიტალის კონცენტრაციას მით, რომ აადვილებს დანგრევას წვრილ დაწესებულებათა, რომელთაც გაცილებით უფრო უძნელდებათ ხელფასის მომატებითა და სამუშაო პირობებისა თუ სხვა-და-სხვა გაუმჯობესებით გამოწვეული ზედმეტი ხარჯების ატანა, ვინემ მსხვილ კაპიტალისტებს; მესამეთ, სახელმწიფოს ჩარევით ისპობა კერძო კაპიტალის უფლება, რომლითაც იგი თავის წარმოების ერთათ-ერთ სრულ-უფლებიან ორგანიზატორათ გამოდიოდა; მეოთხეთ, იგი აუმჯობესებს მუშათა კლასის მდგომარეობას და ამით ქმნის დიდათ ხელის-შემწყობ პირობებს მუშათა კლასის (პროლეტარიატის) შეგნებისა და საზოგადოების ძირიან-ფესვიანათ გარდაქმნისაკენ მიმართულ ბრძოლის გასავითარებლათ.

### 5. საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის უმთავრესი ცვლილებანი სამანქანო კაპიტალიზმის ხანაში.

საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის ცვლილებანი, რომელსაც ადგილი აქვს მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში, თავისის ხასიათით, რამდენიმეთ პირდაპირი გაგრძელებაა იმ ცვლილებათა, რომელიც წინა ეპოქაში ხდებოდა, რამდენიმეთ კი შესამჩნევათ განსხვავდება.

მანქანურ წარმოების ხანაში პიროვნება სავსებით თავისუფლდება იმ ფორმალურ შევიწროებისა და ავტორიტეტებისაგან, რომელიც მას ფეოდალიზმმა უანდერძა. ბურჟუაზიულ კლასების შესახებ ამას ახსნაც არა სჭირია. რაც შეეხება მუშებს, წინანდელი მექანიკურ-ამასრულებელი როლი, რომე-

ლიც მათ ქონდათ დაკისრებული მანუფაქტურულ წარმოების დროს, ახლა შეგნებულ-აღმასრულებელის როლით შეიცვალა, რის გამოც მუშები არსებითათ ძლიერ დაუახლოვდენ ორგანიზატორის როლს და ამით მათს აზრებსა და მისწრაფებათ ფართე ჰორიზონტი გადაეშალა წინ. მართალია, მიუხედავათ ფორმალურ თავისუფლებისა, მუშა ძლიერ მცირე ნამდვილის თავისუფლებითა და მატერიალურის შეძლებით სარგებლობს თავის განსავითარებლათ, მარა ამ მხრივაც მისი მდგომარეობა თან-და-თან უმჯობესდება (მუშათა კავშირები, საქარხნო კანონმდებლობა, სამუშაო ხელფასის გადიდება).

ამასთან, საზოგადოების ორ ძირითად ჯგუფის—კაპიტალისტებისა და პროლეტარების—ფსიხოლოგიის განვითარება თავის მიმართულებით ერთგვარი როდია. პირველები თან-და-თან ითავისუფლებენ თავს საორგანიზატორო როლისაგან. მას დაქირავებულ სპეციალისტებს აკისრებენ, და თვითონ კი კმაყოფილდებიან მხოლოდ **მომხმარებელის როლით**, ე. ი. მათი განვითარება პარაზიტულ მიმართულებას იღებს; მეორეების საწარმოვო როლი კი თან-და-თან რთულდება, და ამგვარათ, ისინიც ვითარდებიან, უმთავრესათ, როგორც **მწარმოებლები**. განვითარების ეს ორი ტიპი დროთა ვითარებაში სულ უფრო და უფრო მტკიცეთ ადგება თავის გზას, და სად უნდა მიგვიყვანოს ამან დაბოლოს,—ადვილი წარმოსადგენია...

იმ მასალის ზრდა, რომელზედაც ეყრდნობა შემდეგი განვითარება, სრულიად შეეფერება წარმოების საერთო განვითარებას. მოვლენათა მიზეზების გაგება და შეგნება თან-და-თან ვითარდება: ნატურალურ ფეტიშიზმს სრულიად ეცლება ფეხქვეშ ნიადაგი, და მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაფლეთები-ღა რჩება კიდევ ერთ ხანს.

საქონლის ფეტიშიზმი კი რჩება, რადგან რჩება ის შრომის მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი განაწილება, რომელმაც იგი პირველათ წარმოშვა. მაგრამ ეს ფეტიშიზმი თანასწორათ ბატონობს ორივე ძირითად საზოგადოებრივ ჯგუფის

ფსიხიკაში. ის სრულ თავის ძალაში რჩება მხოლოდ კაპიტალისტთა ჯგუფის ფსიხოლოგიაში, რომლისთვისაც შრომის მოუწყობელ განაწილებას ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომლის მოქმედების მატერიალური პირობებიც საცვლელ საკუთრებას შეადგენს, რომელიც არსებობისათვის ბრძოლას მხოლოდ გაძლიერებულ ცვლის პროცესში ხედავს. პირიქით, მუშათა კლასის ცხოვრებაში სულ უფრო მეტ როლს თამაშობს თანამშრომლობისა და შრომის განაწილების გაწესრიგებული ფორმები, რომელიც ისე მარტივი და აშკარაა, რომ ფეტიშიზმს არავითარ ადგილს აღარ უტოვებს. მათი კავშირი საშრომო პროცესში, მათი ერთობა სულ უფრო და უფრო ნაკლებ იჩრდილება ერთმანეთთან ბრძოლით — კონკურენციით; მთავარ როლს მათს ცხოვრებაში თამაშობს წარმოება, და არა ცვლა. აქედან წარმოსდგება საცვლელ ფეტიშიზმის **დაცემა** მუშათა კლასში.

ამ ეპოქის ეკონომიურ შეხედულებებში ყველაზე ნათლათ და აშკარათ სჩანს მანქანურ წარმოების გავლენა საზოგადოებრივ ფსიხოლოგიაზე.

ნორტისა, ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის — ამ სამანუფაქტურო ეპოქის უკანასკნელ ხანების ეკონომისტების — დამახასიათებელია ღრმა რწმენა, რომ თავისუფალ კონკურენციის დროს საზოგადოება სრულს კეთილ-დღეობაში უნდა სტკბებოდეს, რომ პირადი ინტერესების თავისუფალი ბრძოლა ქმნის „სამართლიან" განაწილებას. იმ დროებაში მეტათ მცირეთ იყო განვითარებული და საკმაოთ ნათლად არა სჩანდა ეს კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეები. უმიწაწყლოთ დარჩენილ გლეხობას, და მასთან ყველას, ვისაც ცხოვრების საშუალებანი დაკარგა, მანუფაქტურა თითქო კეთილის მყოფელის, გამბედნიერებელის, სიმშილით სიკვდილისაგან მხსნელის როლში გამოდიოდა; ეს საკმაო მასალას აძლევდა ეკონომისტებს — კაპიტალის იდეოლოგებს — ოპტიმისტური შეხედულება შეედგინათ წარმოებისა და განაწილების ახალ ფორმების შესახებ.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში მომხდარმა დიდმა სამრეწვე-

ლო რევოლიუციამ და მანქანურ წარმოების განვითარებამ ბევრი რამ შესცვალა. კაპიტალისტური რეჟიმის ჩქარი ზრდა, დედაკაცისა და ბავშვის შრომის უკიდურესობანი, სამუშაო ხელფასის დაწევა, სტიქიური აჯანყებანი მუშებისა, რომლებიც ულმობელათ ამტვრევდენ მანქანებს, დიდი ნაციონალური სიმდიდრისა და ხალხის უკიდურესი სიღატაკის ერთათ არსებობა,—ყოველივე ეს ყველას თვალში ხვდებოდა და განმარტებას თხოულობდა. ეკონომისტებს არ შეეძლოთ ამ ახალ ცხოვრების-მიერ წამოყენებულ კითხვების გადაწყვეტა, ან ზურგის შექცევა. გარდა ამისა, ინგლისის ეკონომისტების, როგორც კაპიტალის იდეოლოგების, წინაშე წამოყენებული იყო წმინდა პრაქტიკული პრობლემაც. მრავალ-რიცხოვან კაპიტალისტურ რეზერვის უმუშევართა ლაშქარის რჩენა ეგრეთ-წოდებულ „ღარიბების სასარგებლოთ დაწესებულ გადასახადებიდან“ ძლიერ ძვირათ უჯდებოდა ბურჟუაზიას, რადგან ბევრათ უფრო ამცირებდა ზედმეტ ღირებულებას, ვინემ ეს სასურველი იყო თვითონ ბურჟუაზიის შეხედულებით. საჭირო იყო ამ ხარჯების იმდენათ შემცირება, რომ იგი შესაფერი ყოფილიყო მხოლოდ კაპიტალისთვის ნამდვილათ საჭირო სათადარიგო ლაშქარის შესანახათ. ამისთვის კი საჭირო იყო იდეოლოგიური, რამდენათაც შეიძლებოდა—მეცნიერული საფუძვლის გამონახვა.

ასეთ საზოგადოებრივ პირობებში დაიწყო რობერტ მალტუსის სამეცნიერო მოღვაწეობა. ამ ეკონომისტმა (რომელიც, თავის საზოგადოებრივი მდგომარეობით, პროტესტანტების მღვდელი იყო) ახალი მიზეზების შესაფერათ გადააკეთა ძველი ასკეტური იდეები. ყველა სოციალურ უბედურებათა მიზეზათ მან გამოაცხადა ხალხის გამრავლების ალღო (ინსტინქტი),—ადამიანი ამ ინსტინქტს სრულ თავისუფლებას ანიჭებს და ამიტომ ხალხი მეტის-მეტათ ბევრი იბადებაო, იმაზე მეტი, რამდენის გამოკვებაც შეუძლია დედა-მიწასო; შიმშილი ასამართლებს ადამიანებს და შეუბრალებლათ სჯის იმათ, ვინც ამ ქვეყანათ არ უნდა გაჩენილიყოო; ასეთია ნება განგებისა, ასეთია ბუნების კანონიო.

რა თქმა უნდა, თვითონ სინამდვილე იძლეოდა ამ იდეისათვის მასალას. თუ ცალკე მეურნეობის ცხოვრებას დავაკვირდებით, ხშირათ

შეუნიშნავთ ნამდვილ „წრეს-გადასულ“, ე. ი. ოჯახის საშუალებებთან შეუფერებელ გამრავლებას. საკმაო იყო კერძო მეურნეობათა შესწავლისაგან გამოყვანილ დასკვნის მთელ საზოგადოებაზე გადატანა, რომ მალტუსის მოძღვრება გაჩენილიყო, —ასეთ გზას კი ძლიერ შეჩვეული იყვნენ ძველი ბურჟუაზიული ეკონომისტები.

მაგრამ განა ბუნება ისე ღარიბია, რომ არ შეუძლიან გამოკვებოს ყველა მასზე მცხოვრები ადამიანები და სხვა მრავალი მილიონები? არა, უპასუხებს ამაზე მალტუსი, —ბუნება უსაზღვროთ მდიდარია, მაგრამ ის არც ისე ადვილათ უთმობს ადამიანს თავის სიმდიდრეს. აქაც უნდა წინ მიდიოდეს ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან, ცხოვრების საშუალებანი, რომელსაც ადამიანი პოულობს ბუნებაში, ვერ მოიმატებს ისეთის სიჩქარით, როგორც ადამიანების რიცხვი მატულობს. თუმცა ადამიანი ბუნებას მუდამ ამარცხებს, მაგრამ, სამაგიეროთ, თვითოეული ახალი გამარჯვება სულ უფრო და უფრო ძვირი ჯდება. დღეს მიწის მუშამ განსაზღვრული შრომა დახარჯა, რომ თავის ოჯახისათვის ლუკმა-პური მოეპოვებია თავის ნაკვეთ მიწაზე; ხვალ მისი ოჯახი გადიდდა და იმავე მუშამ ახლა ორჯერ მეტი პური უნდა მოიწიოს; მაგრამ ამისთვის შრომა კი, შეიძლება, წინანდელზე სამჯერ მეტიც დასჭირდეს. ერთსა და იმავე ნაჭერ მიწაზე რომ, ჩვეულებრივ მოსავალს გარდა, კიდევ ერთი იმდენიც ზედმეტი პური მოვიდეს, ამისთვის ერთი იმდენი ახალი შრომის მიმატება არა კმარა, რაც წინეთ იხარჯებოდა, საჭიროა **უფრო მეტის მიმატება.** მიწის ამა თუ იმ სივრცეზე დახარჯული ყოველი ახალი შრომა წინანდელზე გაცილებით უფრო ნაკლებ ნაყოფიერია.

მართალია, ტეხნიკის განვითარება დიდათ ზრდის შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ ეს განვითარება საჭმლის მოთხოვნილების ზრდას მაინც ვერ აკმაყოფილებს.

ვთქვათ, რომელსამე მხარეში მცხოვრებთა რიცხვი ყოველ 25 წელიწადში ორკეცდება (მალტუსს, თავის ანგარიშების თანახმად, ეს ვადა ძლიერ მოკლე ვადათ არ მიაჩნია). რადგანაც, მალტუსისავე აზრით, ადამიანის ბუნება მუდამ უცვლელია, ამიტომ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ვადა დროს განმავლობაში შეიცვლება.

მაშასადამე, თუ რომელსამე ქვეყანაში დღეს 1 მილიონი მცხოვრები ითვლება, 25 წლის შემდეგ 2 მილიონი გახდება, 50 წლის შემდეგ—4 მილიონი, 75 წლის შემდეგ—8 მილიონი, და ასე ამგვარად. 250 წლის შემდეგ მცხოვრებთა რიცხვი უნდა ავიდეს 1.024 მილიონამდე. ამასთან, ვიქვათ, რომ ამ ქვეყანაში მოდიოდა 100 მილიონი ფუთი პური, ე. ი. კაცის თავზე 100 ფუთი, რაც შეადგენს, ვთქვათ, არსებობისათვის აუცილებლათ საჭირო საშუალებათა ნორმას.

ამავე დროს განმავლობაში რამდენათ შეიძლება გაზრდა-გამრავლებას ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებათა წარმოება? საზოგადოების განვითარების მსვლელობასთან ერთათ, მიწის ნაყოფიერებაც მატულობს, მაგრამ, მალტუსის აზრით, დიდი, ძალიან დიდი ზრდა იქნება, თუ ყოველწლიური ახალი თაობა შესძლებს, რომ მიწას 100 მილიონი ფუთი იმაზე მეტი გამოაღებინოს, ვინემ მისმა წინა თაობამ გამოაღებინა. ამასთან, მალტუსი შენიშნავს: ინგლისში რომ, მაგ., მიწათმოქმედების პროგრესი ასე სწრაფათ მიდიოდეს, მაშინ ქვეყანა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ერთ უშველებელ ბაღათ გადაიქცეოდა. მაშასადამე,

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25 წლის შემდეგ მოსავალი იქნება | 200 | მილ. ფ., | სულზე მოდის | 100 ფ. | წელ. |
| 50 | 300 | „ | შპპპ | 75 | „ |
| 75 „ „ | 400 | | „ | 50 ფ. | „ |

და ასე ამგვარათ. ხოლო რადგანაც თითო სულზე აუცილებლათ საჭიროა 100 ფუთი, აშკარაა, რომ მცხოვრებლების ერთი ნაწილი სულ ზედმეტი დარჩება, და მასთან, რამდენათაც პროგრესი წინ მიდის, იმდენათ მცხოვრებთა მეტი ნაწილი ულუკმა-პუროთ დარჩება. მაშასადამე, ადამიანთა ამ ნაწილს სიმშილისა, სენისა და სხვა ასეთ მიზეზისაგან აუცილებლათ დაღუპვა მოელის.

აი, თურმე საიდან წარმომდგარა უმუშევარი ადამიანი: მალტუსის აზრით, ეს—ზედმეტი ადამიანია, რომელიც დედ-მამას ქვეყანაზე არ უნდა წარმოეშვა. პასტორ-ეკონომისტის დასკვნა ასეთია:

„ბუნების კანონმა, რომელიც იმავე დროს ღვთაების კანონიცაა, გადაუწყვიტა ამ ზედმეტ კაცს და მის ოჯახობას სიმშილით სიკვ-

დიდი იმისთვის, რომ ისინი არ დაუმორჩილენ მის მრავალ-გზის გაფრთხილება-ჩაგონებას".

იმ ადამიანს, რომელიც გვიან დაიბადა,—მაშინ, როცა ქვეყანაზე ყველა ადგილები დაკავებული იყო, თუ მას მშობლებისაგან საცხოვრებელი წყარო არ დარჩენია და საზოგადოებასაც მისი მუშაობა არ ესაჭიროება, სრულიად არავითარი უფლება არა აქვს არც ერთი ბეწვა ლუკმაზე. ამისთანა ადამიანი არც კი უნდა იყოს იქ, სადაც ის იმყოფება: ბუნების უხვ მეჯლისზე იგი მიწვეული არაა, მისთვის იქ თავისუფალი სკამი არაა დადგმული, და ბუნებაც მას „გარეთ მიბრძანდით"! — ეუბნება.

აქედან ორი პრაქტიკული დასკვნა გამომდინარეობს:

1) ადამიანს მხოლოდ მაშინ აქვს ბავშვის ქვეყანათ მოვლენის უფლება, როდესაც დარწმუნებულია და შესაძლებლათ მიაჩნია, რომ **უეჭველათ შეიძლებს** მისს გამოკვებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი ზნეობრივათ ვალდებულია მოერიდოს დაქორწინებით ცხოვრებას და თავდაჭერილათ იცხოვროს.

2) ქველმოქმედებას, როგორიც უნდა იყოს იგი,—სახელმწიფოებრივი იქნება თუ კერძო,—არავითარი აზრი არა აქვს. იგი უსარგებლოა იმიტომ, რომ ვერ შეაჩერებს „ბუნებისა და ღვთის დიდებულ კანონის" მოქმედებას; ის მავნებელია იმიტომ, რომ აგვიანებს ამ კანონის მოქმედებას და შეძლებას აძლევს „მეტ ხალხს" უფრო დიდხანს ეწვალოს დედამიწაზე. „კიდევაც რომ გაწოდებულ იქმნას მისკენ (მშიერისკენ) კერძო ქველმოქმედების ხელი,—ამბობს მალტუსი,—მაინც კაცობრიობის ინტერესები მოითხოვს, რომ ეს ქველმოქმედება, რაც შეიძლება, ვიწრო და კრიჟანგული იყოსო". ამ თვალსაზრისით, ომები, სხვა-და-სხვა ეპიდემია, ყოველგვარი სენი—კაცობრიობისათვის დიდი კეთილის მყოფელნი ყოფილან, რადგან სპობენ „მეტ ხალხს".

ამგვარათ, მალტუსი ფიქრობდა, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ ზომაზე მეტი რიცხვი მცხოვრებლებისა შედეგია მცხოვრებთა აბსოლიუტურ სიჭარბისა, რომ ის წარმოშვა ფიზიო-

ლოგიურმა მიზეზებმა და, ადრე თუ გვიან, აუცილებლადაც იჩენს თავს საზოგადოებრივ განვითარების ყოველგვარ პირობებში.

ეს მოსაზრებანი, როგორც ნათქვამი იყო, მართალია ნატურალურ მეურნეობის საზოგადოებათათვის, რომელთაც უმდარესი ტექნიკა ქონდათ. მაგრამ სწორედ თანამედროვე ქვეყანა, რომელიც ასე სწრაფად და უსაზღვროდ ავითარებს საწარმოო ძალებს, რომელიც გასაშტერებელი სისწრაფით ზრდის საზოგადოებრივ სიმდიდრეს,- სწორედ ეს თანამედროვე ქვეყანა არ გვაძლევს იმის საბუთს, რომ მის მცხოვრებთა აბსოლუტურ სიჭარბეზე ვილაპარაკოთ. თანამედროვე მცხოვრებთა სიჭარბე შეფარდებითია, ე. ი. თავისი დასაბამი აქვს საზოგადოებრივ და არა საერთო ბიოლოგიურ პირობებში, და დამოკიდებულია არა ტექნიკის უძრაობაზე, არამედ, პირიქით, მის მსწრაფლ პროგრესზე ადამიანთა შორის არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობის ფარგლებში.

გადაჭარბებულ გამრავლებაზე, ყოველ შემთხვევაში, ლაპარაკიც მეტია დღეს, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების ნაციონალური სიმდიდრე მცხოვრებთა რიცხვზე გაცილებით უფრო მალე იზრდება, როდესაც ინგლისელ ქვა-ნახშირის მთხრელისაც კი, რომელიც დედამიწის ზურგზე ერთი ყველაზე მეტი ხელფასის მიმღებია მუშათაგანია, სამუშაო ხელფასის სახით ეძლევა მის-მიერ შექმნილ ღირებულების ნახევარზე ნაკლები (47%—1893 წლის ცნობებით). მალთუსის თეორიის სიცრუე განსაკუთრებით ნათლად სჩანს ისეთ ფაქტებზე, როგორიც არის „ზედმეტ მცხოვრებთა" რიცხვის ერთბაშათ ასი-ათასობით გამრავლება კრიზისების დროს, და ამ რიცხვის ისევ ძველ დონეზე ჩამოსვლა 2—3 წლის შემდეგ: ადამიანის გამრავლებას ასეთი ტალღისებური მოძრაობა არ შეუძლია. ჩვენს დროში ადამიანის გამრავლება თვითონ ემორჩილება წარმოების მოთხოვნილებებს. კაპიტალი იზიდავს და წარმოებაში აბამს მრავალ დედაკაცს და ბავშვს, რითაც იწვევს ნაადრევ დაქორწინება-შეუღლებას მუშებში და მით აძლიერებს ადამიანის გამრავლებას; ამას შედეგად ის მოსდევს, რომ თვითონ ბავშვები, წამოიზრდებიან თუ არა, წარმოებისათვის მეტ ბარგად ხდებიან და „მეტ მცხოვრებთა" რაც-

ხუმა შედიან. ყველაზე უფრო ჩქარა მრავლდება მუშათა ის ნაწილი, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხელფასს იღებს; ყველაზე ნელა კი ის, რომელიც ყველაზე მეტ ქირას იღებს. ეს დებულება მრავალის დაკვირვებით მართლდება და აშკარა კავშირი აქვს იმ ფაქტთან, რომ სწორედ დაბალ, ყველაზე უფრო მარტივ და ნაკლებ ხელფასიან სამუშაოებში უფრო მეტათ ვრცელდება დედაკაცისა და ბავშვის შრომა, რაც ძლიერ ხელს უწყობს ადამიანის გამრავლებას.

მალტუსის მოძღვრება დაქორწინების შემცირებისა და „ზნეობრივ თავდაჭერილობის“ აუცილებლობაზე, დროთა განმავლობაში, დიდათ შეიცვალა დაბალი კლასებისათვის, და მისგან წარმოიშვა „ახალ-მალტუსიანთა დოქტრინა“. რადგანაც „ზნეობრივი თავდაჭერილობის“ ატანა შეუძლია მხოლოდ ზოგიერთებს, რომელთაც განსაკუთრებული გრილი ბუნება აქვთ, „ახალმა მალტუსიანებმა“ მის მაგიერ წამოაყენეს ზოგიერთი სამედიცინო საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი ხდება სიყვარულის ბუნებრივი შედეგის თავიდან აცილება. ეს მოძღვრება საკმაოთ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში უკანასკნელ 30—40 წლის განმავლობაში, გავრცელდა მიუხედავათ იმისა, რომ იგი ცხადათ ეწინააღმდეგებოდა საზოგადოთ მიღებულ ზნეობრივ შეხედულებათ. ეს ახლათ გამომცხვარი მოძღვრება ნიადაგს პოულობს უმთავრესათ წვრილ და რამდენიმეთ საშუალო ბურჟუაზიაშიაც, რასაც შედეგათ მოსდევს ამ კლასების დაცემა. ხოლო საფრანგეთში კი, სადაც ეს კლასები ძლიერ მრავალ-რიცხოვანია, „ახალ-მალტუსიანურმა“ პრაქტიკამ გამოიწვია კიდეც ქვეყნის პროგრესისათვის სახიფა- შეჩერება ხალხის გამრავლებისა. როგორც თავის შინაარსით სრულიად უტოპიური აზრი, თითქოს შეიძლებოდეს თავიდან ავიშოროთ სოციალური უბედურებანი, თუ ადამიანთა გამრავლებას შევამცირებთ, „ახალ-მალტუსიანების“ მოძღვრება ძალიან მცირე მომხრეებს იძენს საზოგადოების პროლეტარულ ელემენტებში.

ბურჟუაზიულ ეკონომისტების კლასიკურმა სკოლამ დააგვირგვინა თავისი განვითარება დავით რიკარდოს ნაწერებში.

დავით რიკარდომ, რომელიც თვითონ ბანკირი და კაპიტალისტი იყო და ცხოვრობდა ინგლისში იმ დროს, როდესაც მანქანურ კა-

პიტალიზმის ურთიერთობანი უკვე საკმაოთ ძლიერ იყო განვითარებუ-
ლი, მეტის სისწორითა და სისრულით გამოიკვლია კაპიტალისტუ-
რი მეურნეობა, ვინემ მასმა წინაპარმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა.
მაგრამ, როგორც მისი წინაპრები, საზოგადოებრივ ურთიერთობებს
ისიც ანალიზს უკეთებს მხოლოდ წარმოების ინტერესების თვალსა-
ზრისით. აი, როგორ დაახასიათა ის წარსულ საუკუნის 40-იან წლე-
ბის ერთმა რუსმა მწერალმა: „რიკარდოს ეს ცალ-მხრივი მიმართუ-
ლება უკანასკნელ უკიდურესობამდე მიდის... სახელმწიფოებს ისე
უყურებს, როგორც დიდ სახელოსნოებს, სადაც სიმდიდრე მზადდება;
ადამიანს—როგორც მანქანას, რომელიც ამ საქონელს ამზადებს, ან
ხმარობს, ხოლო ადამიანის ცხოვრება კი ნამდვილი კაპიტალია, არც
მეტი და არც ნაკლები. ამ საშინელ ქვეყანაში ყველაფერი იწონება,
ყველაფერი ანგარიშით იზომება, და ეკონომიური კანონებიც, რო-
გორც უგულო, საბედისწერო და ულმობელი აუცილებლობა, გამგებ-
ლობენ მოვლენებს".

მეცნიერების წინაშე რიკარდოს ღირს-შესანიშნავი ღვაწლი იმა-
ში მდგომარეობს, რომ იგი თავის ეკონომიურ ანალიზში სრულის
თან-და-თანობით ატარებს საშრომო ღირებულების თეორიას; ამან,
სხვათა შორის, შესძლება მისცა მას ნათლად გამოეთქვა კლასობრივ
ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც რამდენიმეთ არ გაეგებოდათ
და რამდენიმეს კი მიფუჩეჩებული იყო წინანდელ ეკონომისტების-
მიერ. რიკარდოს მეთოდი განსაკუთრებით დედუქტიურია: ის იღებს
განვითარებულ კაპიტალისტურ ურთიერთობებს იმ სახით, რა სახი-
თაც ისინი არსებობენ. ადამიანის მოქმედებათა მიზეზად რიკარდო
სთვლის პირად ინტერესს, და აქედან არკვევს, თუ ამ პირობებში რო-
გორ უნდა მოეწყოს ადამიანთა ურთიერთობანი.

რიკარდოს აზრით, საქონლის ღირებულება განისაზღვრება მას-
ზე დახარჯულ შრომის შუათანა რაოდენობით. ამნაირად, საქონლის
ღირებულება იქმნება **წარმოებაში**, ხოლო ბაზარზე საქონელი გა-
დის უკვე მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ღირებულება სავსებით გა-
მორკვეულია. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ საქონლის ღირებუ-
ლებაში **წილი აქვს**: ა) სამუშაო ხელფასს, ბ) მოგებას; და გ)

რენტას. სამი კლასი,—კაპიტალისტი, მიწათმფლობელი და მუშა,—იყოფს ერთმანეთს შორის შექმნილ ღირებულებას; გაყოფის დროს თუ ერთმა მეტი წაიღო, სხვებს, რა თქმა უნდა, ნაკლები შეხვდება. აი, ამაში მდგომარეობს რიკარდოს-მიერ აღმოჩენილი კლასობრივ ინტერესების წინააღმდეგობა. (სმიტის შეხედულებით, საქონლის ფასი **შესდგება** სამუშაო ხელფასისა, მოგებისა და რენტისაგან, მაგრამ, ამასთან, მისი აზრით, შეიძლება ერთმა მათგანმა მოიმატოს და ამით სხვას არაფერი დააკლდეს).

რიკარდომ პირველმა შექმნა მეცნიერული თეორია რენტისა, მარა იგი არაა სრულად დამთავრებული და ზოგიერთ წვრილმანში შემცდარიცაა. ამ თეორიის დედა-აზრი ასეთია:

რენტა არის ბუნების მუქთა ძალებით სარგებლობისათვის დადებული გადასახადი: ადამიანები, რომელთაც ხელში ჩაიგდეს მიწა და მთელი მისი ბუნებრივი სიმდიდრე თავის მონოპოლიად აღიარეს, საზოგადოებას ხარკს ახდევინებენ რენტის სახით. დასამუშავებლად აღებულ მიწების ყველაზე უარესი ნაკვეთები რენტას კი არ იძლევა, არამედ იძლევა მხოლოდ სარგებელს იმ კაპიტალზე, რომელიც ამ უარეს მიწებშია დაბანდებული (რიკარდოსათვის არ არსებობს აბსოლუტური რენტა). უფრო ნაყოფიერი მიწები ჩვეულებრივ პროცენტზე მეტ მოგებას იძლევიან; მოგების ზედმეტი ნაწილი არის რენტა. თუ მიწის ნაკვეთი მასში ჩაყრილ კაპიტალის ჩვეულებრივ სარგებელსაც ველარ იძლევა, მაშინ ასეთ უვარგის ნაკვეთ მიწის შემუშავებას თავს ანებებენ. როდესაც ყველაზე უფრო მწირი მიწაც ჩვეულებრივზე მეტ მოგებას იძლევა, მაშინ კიდევ უფრო ნაკლებ ნაყოფიერ, ცარიელ მიწების შემუშავებასაც იწყებენ.

დროთა განმავლობაში, მცხოვრებთა გამრავლების გამო, მატულობს საცხოვრებელ საშუალებათა—მიწის ნაყოფის—მოთხოვნა, და მათი ფასი კიდევ უფრო ჩქარა იზრდება, ვინაიდან ამ სახმარ საგნების უქონლად ცხოვრება ძნელია. მაშინ სულ უფრო მწირ და გამოფიტულ მიწების შემუშავებასაც კიდებენ ხელს; იმ მიწებში კი, რომლებსაც წინეთაც ამუშავებდნენ, ახლა მეტ კაპიტალს აბანდებენ და

უფრო კარგაი და გულდასმითაც უვლიან; ყველა ამ მიზეზების გამო რენტაც იზრდება.

ამასთან ერთად, მატულობს სამუშაო ხელფასიც: იგი განისაზღვრება ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებათა ღირებულებით; ეს საშუალებანი კი—პირველ ყოვლისა, პური და ხორცი—რენტის გადიდების გამო, თან-და-თან ძვირდება; ამნაირად, სამუშაო ხელფასად შეიძლება მეტი ფულის მიცემა დარჩეს საჭირო იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მუშათა მოთხოვნილებანი არც კი ვითარდებიან.

რენტის და სამუშაო ხელფასის ზრდა-მატება, რასაკვირველია, ამცირებს მოგებას. როდესაც გაყოფის დროს ორი მონაწილე მეტ-მეტს იღებს, მაშინ მესამე მონაწილეს, რა თქმა უნდა, ნაკლები დარჩება. ამაში მდგომარეობს, რიკარდოს აზრით, მოგების პროცენტის თან-და-თანი დაცემის მიზეზი (მეორე, უფრო არსებითი მიზეზს მოგების პროცენტის დამცირებისას—ცალკეობად კაპიტალის შეკრებით შემცირებას—რიკარდო სრულიად ვერ ამჩნევს).

სამუშაო ხელფასის საკითხი რიკარდოს ნაკლებად აქვს გამორკვეული, ვინემ რენტისა. როგორც ადამ სმიტი, რიკარდოც სამუშაო ხელფასს შრომის ღირებულებათ სთვლის, მაშინ, როდესაც შრომა თვითონაა საზომი ყველა საქონლების ღირებულებისა და თვით მას ღირებულების ქონა არ შეუძლია: შრომას განსაზღვრულ რაოდენობის ღირებულება შეიძლება იყოს მხოლოდ შრომას იგივე რაოდენობა, და 10 საათის შრომაში 10 საათის შრომის ნაყოფის მიცემა დაგვჭირდებოდა; ამ შემთხვევაში ხომ შეუძლებელი იქნებოდა ზედმეტი ღირებულების არსებობა. ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა, საზოგადოთ, ვერ გამოარკვიეს, თუ **რა არის სამუშაო ძალა**, რას შეიცავს ეს ცნება; ისინი ვერ მიხვდნენ, რომ იყიდება არა შრომა, არამედ **შრომის უბრალო შესაძლებლობა**, მუშის ძალ-ღონე.

რაც შეეხება სამუშაო ხელფასის სიდიდე-რაოდენობას, რიკარდომ მის შესახებ დააწესა საზოგადო კანონი, რომელსაც შემდეგ **რკინის კანონი** უწოდეს და რომლის თანახმადაც სამუშაო ხელფასი, მცირეოდენის ცვლილებებით, ტრიალებს აუცილებელ საცხოვრებელ საშუალებათა ფასის გარშემო. ამ კანონს რიკარდო საფუძვლად უდებს

მალტუსის სწავლა-მოძღვრებას ადამიანის გამრავლებაზე. ყოველ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ხელფასი ამ აუცილებელ საშუალებათა ნორმის ზევით იწევს, მუშები უფრო სწრაფათ მრავლდებიან, ვინაიდან ქორწინება-შეუღლება უფრო ხშირათ ხდება, სიკვდილი კი — უფრო იშვიათათ. გაძლიერებული გამრავლება მალე ქმნის მოჭარბებულ მცხოვრებლებს — „მეტ ხალხს"; მუშა-ხელის მიწოდება უფრო ჭარბობს მის მოთხოვნას, და სამუშაო ხელფასიც ეცემა, აუცილებელ საშუალებათა ფასზე დაბლა იწევს. მაშინ სიმშილი და ავადმყოფობანი ჰლევს „მეტ ხალხს" და ისევ მალე ამყარებს თანასწორ ზომიერებას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

რიკარდოს-მიერ შემუშავებული სამუშაო ხელფასის კანონი არაა მართალი, როცა ის უარყოფს ხელფასის საერთო და მკაცრ გადიდებას, რაიცა შედეგია მუშების მოთხოვნილებათა გადიდებისა, და მისთვის ერთხელ და სამუდამოთ **უცვლელ** ნორმას ამყარებს. კიდევ უფრო არაა მართალი ამ კანონის დაფუძნება მალტუსის მოძღვრებაზე: კაპიტალისტურ სათადარიგო მუშათა არმიის მეტ-ნაკლებობა, ერთის მხრით, და შრომის ბაზარზე მუშების შეკავშირება-შეერთების სისუსტე თუ საძლიერე — მეორე მხრით, — აი ნამდვილი პირობები, რომლებიც სრულიად საზღვრავს სამუშაო ხელფასის სიმაღლეს.

რიკარდოს სამეცნიერო ღვაწლს მუშის ხელფასის საკითხში, სხვათა შორის, შეადგენს მისგან იმ ფაქტის აღნუსხვა, რომ მანქანები ხშირათ აუარესებს მშრომელთა მდგომარეობას.

რიკარდოს საერთო შეხედულება ეკონომიკაზე — სტატიკურია, ისე, როგორც ადამ სმიტისა; ურთიერთობათა კაპიტალისტური სისტემა მისთვის ყოველათ სრული, ერთად-ერთი შესაძლებელი ფორმაა კაცობრიობის მომავალ ცხოვრებისათვის, რაც სრულიად ბუნებრივია ბურჟუაზიულ ეკონომისტისათვის.

ამ **ინდივიდუალისტურ** ფსიხოლოგიას, რომელიც ნათლათ სჩანს ეკონომისტ-კლასსიკების სწავლა მოძღვრებებში, საფუძვლათ უდევს ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც „შრომის მოუწყობელი საზოგადოებრივი განაწილება" ქმნის და რომელიც ცვლაში, კონკურენციაში და წარმოების ანარქიაში იხატება. მაგრამ

კაპიტალისტური საზოგადოება სხვა-გვარ ურთიერთობასაც ავითა-რებს, — ესაა ის კავშირი მარტივ თანამშრომლობასა და შრომის მო-წესრიგებულ განაწილების შორის, რომელიც გამჟღავნებულია თვითეულ ცალკე მეურნეობის ფარგლებში და რომელიც აერთებს მას მწარმოე-ბელ წევრებს. ასეთი კავშირის ნიადაგზე იფურჩქნება სულ სხვა—**კო-ლექტივისტური** ფსიხოლოგია, რომელმაც ყველაზე უმალ თავის განუვითარებელ ფორმით გამოხატა **სოციალისტ-უტოპისტების** სწავლა-მოძღვრებებში.

უტოპისტებმა მკაცრ და ენერგიულ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს მათი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება. მათ გა-მოამზეურეს ყოველი მისი უარყოფითი მხარეები და შემდეგ მას ალაგას წამოაყენეს თავისი იდეალები და ვრცელი პროექტები, რო-მელთა ცხოვრებაში განხორციელებას უნდა გაებედნიერებია მთელი კაცობრიობა.

პირველ უტოპისტებს უნდა მივათვალოთ საფრანგეთის რევო-ლიუციის მოღვაწე გრაკხი ბაბეფი. მან მოაწყო კომუნისტური შე-თქმულობა, რომელიც სრულის დამარცხებით და, როგორც ბაბეფის ისე ბევრ მის მიმდევართა დაღუპვით გათავდა.

სისხლის ბრძოლაში დამარცხებული უტოპიურ-სოციალისტური მიმდინარეობა ახალ ფორმას იღებს და მშვიდობიანის ხასიათის ხდება.

**სენ-სიმონის** „ახალ ქრისტიანობაში“ სოციალისტური იდეა-ლი ჯერ კიდევ საკმაოთ ბუნდოვანსაა წარმოდგენილი. მას ჰგონია, რომ **რელიგია** (სარწმუნოება) იქნება ის ძალა, რომელიც გარდა-ქმნის ქვეყანას, განამტკიცებს კაცთა შორის ძმობას, მოსპობს საზო-გადოების დაყოფას, უთანასწორობას და ბრძოლას.

**შარლ ფურიემ** გაცილებით უფრო გარკვეულათ და ნათლათ გამოხატა თავისი იდეალები. მან მოგვცა სრული ფანტასტიური გა-მოხატულება მომავალ გონიერ საზოგადოების, დაწვრილებით აგვი-წერა წარმოების და განაწილების ნორმალური ორგანიზაცია (ფალან-სტერიები). არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, თუ რა საშინლათ მბრძანებ-ლობდა მაშინდელი დროის გაბატონებული ურთიერთობანი ისეთ გო-ნიერ ადამიანებზედაც კი, როგორიც ფურიე იყო. იდეალურ განაწი-

ლების ორგანიზაციაში ფურიე მთელს ნაწარმოებს 12 ნაწილათ ყოფს და აქედან უნაწილებს: შრომას — ხუთ ნაწილს, კაპიტალს — 4-ს, ნიჭს (ტალანტს) — 3-ს. გამოდის საკმაო დიდი ნორმა ზედმეტი ღირებულებისა — 140%. (ნიჭის, „ტალანტის" ქირა, ანუ ამ ქირის მომეტებული ნაწილი მაინც, ცხადია, უნდა მიეწეროს ზედმეტ ღირებულებას, რამდენადაც იგი არ გამომდინარეობს ცხოვრებაში მოსახმარ საჭირო ნორმალურ მოთხოვნილებათა სიდიდე-სიმაღლისაგან, რომელიც დაკავშირებულია ნიჭის („ტალანტის") საშრომო რეალიზაციასთან).

**რობერტ ოუენი,** რომელიც ინგლისის უფრო განვითარებულ ეკონომიურ ურთიერთობათა ხანაში ცხოვრობდა, ვინემ საფრანგეთის უტოპისტები, დიდი წინამძღვარი იყო კერძო მითვისებისა, და საზოგადოებრივ მოწყობილ წარმოებას ემხრობოდა. სხვა უტოპისტებივით, ისიც ნათლათ ხატავს თავის იდეალებს, ვინაიდან იმავე თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, — ე. ი. ფიქრობს, რომ იდეები თავის-თავათ შესძლებს ცხოვრების გარდაქმნას. მაგრამ ის სრულიად თავისუფალია სენ-სიმონის მსგავს რელიგიოზურ მისტიციზმისა და ფურიეს ფილოსოფიურ ფანტაზიებისაგან.

ყველაზე ნათლათ ამ ახალი სკოლის უტოპიზმი იმ საშუალებების ეტყობა, რომლებითაც ეს სკოლა ფიქრობდა თავის იდეალების განხორციელებას. სენ-სიმონს სარწმუნოების (რელიგიის) ძალის იმედი ქონდა, ფურიე და რობერტ ოუენი „ამა სოფლის ძლიერთა" თანაგრძნობას და დახმარებას ელოდენ, მეფიდან დაწყებული მსხვილ კაპიტალისტამდე...

ენერგიული ინგლისელი და გამოცდილი პრაქტიკი-მრეწველი, რობერტ ოუენი არა ერთხელ შეეცადა საქმით ჩაეყარა საფუძველი თავის იდეების განსახორციელებლათ. ის ფიქრობდა, რომ კომუნისტურ ასოციაციების მოწყობით შესაძლებელი იქნება კაცობრიობის მომზადება უკეთეს წყობილებისათვისა. ის კერძო, უმთავრესათ თავის საკუთარ, საშუალებებით აარსებდა ასეთ ასოციაციებს, მაგრამ საქმე ყოველთვის წაგებით თავდებოდა.

რობერტ ოუენის ერთი საუკეთესო საისტორიო ღვაწლია კი-დევ — მისი აზრი და შეხედულებანი სამუშაო დღის საკითხზე. მან თა-

ვის ფაბრიკაში შემოიღო შემოკლებული სამუშაო დღე და ამით დიდათ შეუწყო ხელი იმ იდეის გავრცელებას, რომ სამუშაო დროის შემცირება აუცილებელია. ის ერთი პირველთაგანი გამოვიდა ამ მხრივ სახელმწიფოებრივი ჩარევის მომხრე და ბეჭდვითი სიტყვითაც მასი მქადაგებელი და ქომაგი იყო. ამასთან მხურვალე მონაწილეობას იღებდა 30-იან წლების აგიტაციაში სამუშაო დღის კანონით განსაზღვრის სასარგებლოთ.

პირველათ უტოპისტებმა შეიტანეს ლიტერატურაში იდეა საზოგადოებრივი ფორმების ცვალებადობის შესახებ. ფურიე და იმაზე უწინ კიდევ სენ-სიმონის მოწაფე—ბაზარი—ნათლათ გვიხატავენ საზოგადოებრივ ფორმების თანდათანობით ცვლას. მაგრამ უტოპისტებს აზრათ არ მოსვლიათ, რომ თავისი იდეალები ისტორიულ განვითარების მსვლელობასთან დაეკავშირებიათ, არ ცდილან იმის დამტკიცებას, რომ საზოგადოებრივ ფორმების განვითარებამ იმათი იდეალები განხორციელებამდე უნდა მიიყვანოს. მათი იდეალები სინამდვილეზე დაშორებული და მოწყვეტილი იყო.

უტოპისტები მაშინდელ ეკონომიურ მეცნიერებასთან ისე შორს იდგნენ, რომ მათი გავლენა ამ მეცნიერებაზე პირველათ ძლიერ მცირე იყო.

მსხვილი მანქანური წარმოების განვითარება უკიდურესათ ამწვავებს კონკურენციის მოქმედებას და მით აჩქარებს წვრილ ბურჟუაზიის გაქრობას. ეს პროცესი თან-და-თან განსაკუთრებით მწვავე და ულმობელ ხასიათს იღებს, და ამნაირათ არღვევს წვრილ-ბურჟუაზიის წინანდელ მშვიდ-კონსერვატიულ ფსიხოლოგიას, რის გამოც იწვევს უკანასკნელის მხრივ ბრძოლას თავის ეკონომიურ არსებობის დასაცველათ. წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები ცდილობენ არ დაანებონ მსხვილ კაპიტალს წვრილი მწარმოებლების გაპროლეტარება. საზოგადოებრივ ცხოვრების ამ მიმდინარეობის გამომხატველი იყვნენ წვრილ-ბურჟუაზიული ეკონომისტები.

როგორც თვითონ წვრილ-ბურჟუაზიას საშუალო გარდამავალი ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ საზოგადოების უმთავრეს კლასთა შორის, აგრეთვე წვრილ-ბურჟუაზიულ სკოლის ეკონომიური შეხე-

დულებანი საშუალო ადგილს იჭერს ძველსა და ახალ პოლიტიკურ ეკონომიებს შორის.

**სისმონდი** მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის დაუძინებელი მტერი იყო. ის ყველა სხვა ეკონომისტებზე მეტათ იკვლევდა და ხაზს უსვამდა მანქანათა შემოღების ყველა ცუდ შედეგებს. სისმონდის იდეალი იყო—წარმოების წვრილი ფორმა. ვინაიდან თავისუფალი კონკურენცია იწვევდა მსხვილი მრეწველობისა და მანქანების გამარჯვებას და შეუბრალებლათ ანადგურებდა წვრილებს, სისმონდი თავგამოდებით ებრძოდა თავისუფალ კონკურენციას და დაჟინებით მოითხოვდა ამ საქმეში სახელმწიფოს ჩარევას. რაში უნდა გამოხატულიყო ეს ჩარევა, იგი ნათლათ არ ამბობდა. სისმონდის ეს შეხედულება—იდეა წვრილი წარმოების დახმარებისა მსხვილის წინააღმდეგ ბრძოლაში—არა თუ მხოლოდ უტოპიური იყო (რადგან მისი განხორციელება უკვე აღარ შეიძლებოდა), არამედ აგრეთვე რეაქციონურიც (მსხვილი წარმოების განვითარების შეჩერება და შეფერხება საზოგადოების განვითარების შეფერხებაც იქნებოდა).

ისტორიულათ საკმაოთ დიდათ საინტერესოა სისმონდის შეხედულება სამრეწველო კრიზისების შესახებ: მისი აზრით, კრიზისი წარმოებისა და ხმარების შორის შეუფერებლობის, უთანასწორობის შედეგია. ეს შეუფერებლობა კი წარმოსდგება მსხვილ მრეწველობისაგან, რომელიც, ერთის მხრით, უზომოთ აფართოებს წარმოებას, მეორეს მხრით კი—ამცირებს და ასუსტებს მცხოვრებთა მასსის სასყიდელ საშუალებებს იმით, რომ ამარცხებს და ანადგურებს თავის ძლიერ კონკურენციით წვრილ მწარმოებლებს და მუშების ადგილს მანქანებს ამუშავებს. კრიზისების უფრო ღრმა მიზეზს—საზოგადოებრივ წარმოების მოუწესრიგებლობას—სისმონდი სრულიად ვერ ამჩნევს.

**პრუდონიც**, ისე, როგორც სისმონდი, საზოგადოებრივ წვრილ-ბურჟუაზიულ თვალსაზრისით უყურებს მეურნეობას. იმავე დროს,—როგორც ავტორი ვრცელ და რთულ გეგმებისა, რომელთა მიზანიც იყო საზოგადოებრივ ურთიერთობის გარდაქმნა თანასწორობის პრინციპის თანახმათ,—იგი ძველ ფრანგ-უტოპისტების შეხედულება-მოძღვრებათა განმგრძობათ უნდა ჩაითვალოს (ამ უკანასკნელ-

თაგან პრუდონი მხოლოდ იმით განირჩევა, რომ იგი, „ძმობის“ მაგიერ, „ურთიერთ დახმარებას“, ცვლის პრინციპს აყენებდა). პრუდონის უტოპიური გეგმები გარეგნობით ძლიერ გარკვეული და თითქო პრაქტიკულიც არის. გარდა იმისა, რომ ავტორი ცდილობს წვრილი წარმოების ხსნას დაღუპვისაგან, იმავე დროს მიზნათ ისახავს მცხოვრებთა გაპროლეტარებულ ნაწილს დაუბრუნოს მისი ძველი ეკონომიური დამოუკიდებლობა.

პრუდონი ფიქრობდა, რომ მუშათა კლასის ეკონომიური დამოკიდებულების მთავარი მიზეზი ცვლისა და კრედიტის ახლანდელ ორგანიზაციაში იმალება. მწარმოებელი იძულებულია თავის საქონლისათვის მუდამ ბაზარი ეძიოს და ხშირათ დიდი ხნობითაც უცდის საქონლის გასაღებას; ამიტომ წვრილი მწარმოებლები ვერ უძლებენ კონკურენციას და ადვილათ კარგავენ წარმოების საშუალებებს; და კიდევ ეს, ერთხელაც არის, დაემართება, მისთვის დღევანდელ საზოგადოებაში აღარ არსებობს არავითარი გზა, რომ ისევ ფეხზე წამოდგეს და დამოუკიდებელი წარმოება განაგრძოს: კრედიტი არსებობს მხოლოდ შეძლებულთათვის. მაშასადამე, ცვლისა და კრედიტის საქმე ისეთნაირათ უნდა მოეწყოს, რომ, ერთის მხრით, წვრილმწარმოებელს ყოველთვის შეეძლოს დამზადებულ საქონლის დაგირავებით საკმაო სესხის მიღება, რომ ამით საქონლის გასაღების დაგვიანებამ მისი საქმეები იმდენათ ვეღარ დაბნიოს; მეორეს მხრით — რომ შესაფერათ მოწყობილ უპროცენტო სესხის შემწეობით თვითოეულ მუშას შეძლება მიეცეს დამოუკიდებელი წარმოება დაიწყოს, მაშინ ყველანი პატარა კაპიტალისტები შეიქნებიან და თან-და-თან ამ ქვეყნათ ინტერესთა ჰარმონია დამყარდება: ამ მიზნით უნდა დაარსდეს სახალხო ბანკი, რომელიც თვითოეულ მწარმოებელს მისცემს მის საქონელში შესაფერი ღირებულების მოწმობას. ასეთ მოწმობებს ბანკის მონაწილენი (წევრები) ისე მიიღებენ, როგორც ფულს. ამ პირობებში წვრილ სამრეწველო დაწესებულებათა გასამართავათ საკმაო კაპიტალის უქონლობა ხელის შემშლელი გარემოება აღარ იქნება. შემდეგ ბანკის გაძლიერებული, გადიდებული შეძლება გაუხსნის

მუქთა კრედიტს მუშებსაც, რომლებიც მოისურვებენ დამოუკიდებლათ საქმის დაწყებას.

ეს გეგმები პრუდონმა მოინდომა ცხოვრებაში განეხორციელებია, მაგრამ მისი ცდა სრულის დამარცხებით გათავდა.

პრუდონის უტოპიზმის დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს ეკონომიური წინააღმდეგობანი მხოლოდ ცვლისა და კრედიტის ორგანიზაციის შემწეობით მოსპოს, მაშინ, როდესაც ეს წინააღმდეგობანი გამომდინარეობს მთელი წარმოების მოუწყობლობისაგან. მაგალითათ, „ზედმეტის“ დამზადება და კრიზისები პრუდონის პროექტების განხორციელებით სრულიადაც არ მოისპობოდა. გარდა ამისა, თვითონ ისტორიამაც დაჰგმო და დამარცხება უ[illegible]ინას-[illegible]ეტყველა წილათ ყოველსავე ცდას, რომელსაც მიზნათ ქონდა წვრილი წარმოების დახმარება მსხვილ წარმოებასთან ბრძოლაში.

პრუდონის ამგვარ შეხედულებას კარგა დიდ ხანს ფართე გასავალი ქონდა საფრანგეთის მუშებში. ეს იმით აიხსნება, რომ საფრანგეთი, მომეტებულ ნაწილათ, წვრილ-ბურჟუაზიულ ფსიხოლოგიის ქვეყანაა. ყველაზე უფრო მრავალ-რიცხვოვანი კლასი ამ ქვეყანაში მიწის წვრილ მესაკუთრეთა კლასია (ამათი რიცხვი საფრანგეთში დღესაც რამდენიმე მილიონია), რომელსაც აზროვნებაც, რასაკვირველია, უთუოთ წვრილ-ბურჟუაზიული აქვს. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ მუშებმაც, რომლებიც წვრილ-ბურჟუაზიის წრიდან გამოვიდენ, დიდხანს შეინარჩუნეს მისი შეხედულებანი და მისწრაფებანი.

რამდენათაც უფრო აშკარათ შეეჯახება ცხოვრებაში ერთმანეთს სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ კლასთა და ჯგუფთა პრაქტიკული ინტერესები, იმდენათ უფრო გარკვეულათ ჩნდებიან საურთიერთო ბრძოლის დროს კლასობრივი და ჯგუფური იდეოლოგებიც. დროთა მიმდინარეობაში ეკონომისტთა კლასიკური სკოლა, რომელიც ინგლისის განვითარებულ სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ატმოსფერაში წარმოიშვა, საყვედურს იმსახურებს როგორც თვითონ ინგლისის, ისე სხვა ქვეყნების მსხვილ-ბურჟუაზიულ კლასების იდეოლოგებისაგან. მაგალითად, პურის კანონებისთვის ბრძოლის დროს, ლენდლორდების მხარეზე მდგომ ეკონომისტებმა სასტიკ კრიტიკაში გაატა-

რეს თავისუფალ კონკურენციის დოქტრინა და ბევრ შემთხვევაში მშვენიერათაც აღნუსხეს მისი სუსტი მხარეები. თითქმის ინგლისზე ნაკლებ განვითარებულ ქვეყნების სამრეწველო კაპიტალისთვისაც ბევრის მხრით არ იყო შესაფერი კლასიკური სკოლის მოძღვრება.

ახლანდელ საუკუნის დასაწყისში გერმანიის მოზარდ კაპიტალიზმისათვის ძლიერ ძნელი ასატანი იყო ინგლისის განვითარებული წარმოების კონკურენცია. თავისუფალი ვაჭრობა გერმანიის მრეწველობის პროგრესისათვის ნამდვილი დაბრკოლება გახდა. დაიბადა მოთხოვნილება გერმანელ კაპიტალისტების მოქმედებისათვის შესაფერ, ხელის შემწყობ პირობების შექმნისა.

**ლისტმა** ამ მიზნის განსახორციელებლად მოუთითა ძველ მერკანტილისტების ნაცად საშუალებებზე—პროტექციონიზმის დაწესებასა და დამოქის მაღალ ბაჟებზე. ამის გამო ლისტს ხშირათ ბრძოლაც კი უხდებოდა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ პოლიტიკურ ეკონომიასთან, რომელსაც საკმაოთ ბევრი მიმდევრები ჰყავდა გერმანიაში. უმეტეს ნაწილათ ესენი იყვნენ სავაჭრო კაპიტალის ინტერესების წარმომადგენლები, რომლებისთვისაც ვაჭრობის თავისუფლება, უმრავლეს შემთხვევაში, სასურველი იყო.

ლისტის ძირითადი დებულება შემდეგი იყო: „ეკონომიურ პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს სრული, ყოველმხრივი განვითარება ქვეყნის საწარმოვო ძალებისა“. ამ დებულებიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ როცა მხარეში იფურჩქნება დამუშავებელი მრეწველობა და მის განვითარებას კი უცხოეთის კონკურენცია ვნებს, ხელს უშლის, მაშინ აუცილებელია თავის კაპიტალისტების დაცვა ამ უთანასწორო ბრძოლისაგან,—დაცვა მაღალი ბაჟების დაწესებით. ერთის ან ორის თაობისათვის ეს მართლაც საზარალო იქნება—ისინი იძულებული იქნებიან ძვირათ იყიდონ შინაური ცუდი და უვარგისი ნაწარმოები, უცხოელების კარგ და იაფ საქონლის ნაცვლად. მაგრამ, სამაგიეროთ, შემდეგი თაობა ისარგებლებს განვითარებულის მრეწველობის შედეგებით. ბაჟები თან-და-თან უნდა კლებულობდეს, რომ შინაური კაპიტალისტები არ შეაჩერდენ არსებულ დაბალ ტეხნიკას, და იმის განვითარებაზედაც იზრუნონ; როდესაც კი შინაური კაპიტა-

ლისტები ფეხს მოიმაგრებენ იმდენათ, რომ შეეძლებათ კონკურენცია გაუწიონ უცხოელ კაპიტალისტებს, მაშინ მთავრობა სრულიათ უნდა მოისპოს და თავისი ადგილი დაუთმოს თავისუფალ ვაჭრობას.

ამნაირათ, ლისტი თავისუფალ კონკურენციის მიმდევარ სკოლასთან ბრძოლაში იძულებულია რამდენიმეთ მაინც **ისტორიული თვალსაზრისი** იხმაროს, **განვითარების თვალსაზრისით** იხელმძღვანელოს.

რამდენათაც მეტათ ფართოვდებოდა ბურჟუაზიულ ეკონომიურ მეცნიერების ფარგლები და ინგლისის კაპიტალიზმის საზღვრებს სცილდებოდა, რამდენათაც იცვლებოდა განვითარების პროცესში სხვა-და-სხვა მხარეების, და მათ შორის ინგლისის, ფაქტიური ურთიერთობანი, იმდენათ უფრო მეტათ უძნელდებოდათ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს ძველ, სტატიკურ თვალსაზრისზე შერჩენა: თვითონ ცხოვრება აიძულებდა მათ რამდენიმეთ მაინც მიეღოთ განვითარების იდეა.

ინგლისში მე-30 წლებში, ხოლო გერმანიაში კი მე-40 წლებში აღორძინდა „ისტორიული" სკოლა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიისა. ყველაზე უფრო ძლიერ განვითარდა ის გერმანიაში. მისი გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ იქ როშერი, კნისი და ჰილდებრანდტი.

ეს ეკონომისტები ძველ მოძღვრებათა კრიტიკის დროს მაშინდელ გერმანულ კაპიტალის ინტერესთა თვალსაზრისით ხელმძღვანელობდნენ და ამიტომ აღარ იცავდნენ იმ აზრს, რომ ვითომ შეძლებულია თავისუფალ კონკურენციის დროს ინტერესთა სრული ჰარმონიის დამყარება, მაგრამ ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა სრულ ლიბერალურ წყობილების შემოღება, რომ წარმოებაც განვითარდეს და განაწილებაც ნამდვილათ სამართლიანი იქნესო. განვითარების იდეის ეკონომიკაში გამოყენების შესახებ ამ სკოლაში მეტის-მეტი ზომიერება გამოიჩინა. აი, ის ძირითადი დებულებანი, რომლებსაც ეს სკოლა იცავდა მეცნიერებაში.

ეკონომიური წყობილება უცვლელი არაა; მას შეუძლიან განვითარება. ამიტომ ის უნდა შევისწავლოთ ისტორიულათ, და არა მარტო სტატიკურათ,— მის ცვლილების პროცესში და არა მარტო იმ

სახით, რა სახითაც ის დღეს არსებობს, ან როგორც განყენებულათ აჩვენებს ეკონომისტს. მეთოდი პოლიტიკურ ეკონომიისა უნდა იყოს ინდუქტიური, უმთავრესად — სტატისტიკური. ნაციონალური მეურნეობის შესწავლის დროს იგი ისე უნდა მივიჩნიოთ და განვიხილოთ, როგორც ერთი მთელი, და არა როგორც უბრალო ჯამი კერძო მეურნეობათა. ამიტომ შეუსაბამოა, კერძო მეურნეობათა შესწავლისაგან მიღებული დასკვნები ნაციონალურ მეურნეობის შესწავლაში გამოვიყენოთ, როგორც ამას სჩადიან ადამ სმიტი, რიკარდო და სხვები. შემდეგ ეკონომიური გამოკვლევის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ხალხის მეურნეობის დამოკიდებულება საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა მხარეებისაგან,—პოლიტიკისა, ჩვეულებისა, გაბატონებულ იდეებისაგან და სხვ.; აგრეთვე უნდა დავგმოთ ძველი ეკონომისტების შეხედულება, რომელიც ამბობს, რომ ადამიანი თავის ეკონომიურ მოქმედებაში მხოლოდ თავისი პირადი ინტერესით ხელმძღვანელობსო. აქ მხედველობაში მისაღებია ბევრი სხვა მამოძრავებელი მიზეზებიც, მაგ., ზნეობრივი გრძნობა და სხვ.

ეს შეხედულებანი სრულიადაც არ წარმოადგენს ყველაფერში წინმსვლელობას, რიკარდო-სმიტის კლასიკურ სკოლასთან შედარებით. მაგ., იმის აღიარება, რომ მცვლელ მეურნეობაში თვითოეულ მრეწველს, ეგოიზმის გარდა, ზნეობრივი გრძნობებიც ამოძრავებსო,— ეს მხოლოდ გაძნელებაა ანალიზისა და მეტი არაფერი: ნამდვილად კი წმინდა ალტრუისტულ გრძნობებს, საზოგადოთ, ადგილი არა აქვს მცვლელ წარმოებაში: იგი შებორკილია და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ იჩენს თავს. პირად-ეგოისტურ გრძნობებსა და მისწრაფებებს კი უნდა მიუმატოს მხოლოდ მისი ძლიერ ახლო მონათესავე **სოციალურ-ეგოისტური**, ანუ კლასობრივი, გრძნობანი და მისწრაფებანი, რომლებიც მართლა ნათლად და გარკვევით მოქმედებენ ეკონომიურ ცხოვრებაში და დიდი მნიშვნელობაც აქვთ მის განვითარებაში.

„ისტორიულ" სკოლაზე გაცილებით უფრო მეტის თანდათანობითა და სისრულით სარგებლობდა ისტორიულ თვალსაზრისით

**როდბერტუს-იაგეცოვი.**

მდიდარი პრუსიელი მემამულე, ერთ დროს მინისტრათ ნამყოფი, როდბერტუსი არსებითად თავის დროის ნემეც-აგრარიების იდეოლოგი იყო. ამას სრულიად არ ეწინააღმდეგება თავისებური ელფერი ეკონომიურ რადიკალიზმისა, რომელიც ძლიერ ეტყობა როდბერტუსის თხზულებებს. გერმანიის ცხოვრებაში ჯერ კიდევ ნახევრათ ფეოდალურ მიწათმფლობელების და კაპიტალისტების ინტერესთა შორის მკაფიოთ გამოჩენილ წინააღმდეგობას ადვილათ შეეძლო კაპიტალისტურ ურთიერთობათა სასტიკი კრიტიკის სურვილი აღეძრა პირველ ჯგუფის იდეიურ წარმომადგენელში; ასეთი კრიტიკისათვის დაცვა მუშათა ინტერესებისა, რომელსაც აგრარიების ინტერესებთან ჯერ კიდევ აშკარა წინააღმდეგობა არ ჰქონდა, ძლიერ გამოსადეგ მასალას იძლეოდა; ამასთან, ისიც უნდა ვთქვათ, რომ როდბერტუსის რადიკალიზმი მწერლობაში თითქმის სრულიად არ ეტყობა მის პრაქტიკულ სამოქმედო პროგრამას...

ეკონომიურ ურთიერთობათა ანალიზში როდბერტუსი ერთიანათ რიკარდოს „საშრომო ღირებულების“ თეორიაზეა დაყრდნობილი. განსაკუთრებით საყურადღებო ისტორიული მნიშვნელობა აქვს როდბერტუსის თეორიას ნაციონალურ შემოსავლის სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ კლასთა შორის განაწილების შესახებ.

როდბერტუსის აზრით, ნაციონალური შემოსავალი იყოფა სამუშაო ხელფასათ და „საერთოთ რენტათ“ (ე. ი. ზედმეტ ნაწარმოებათ). რობერტუსიც, რიკარდოს მსგავსათ, აღიარებს, რომ სამუშაო ხელფასი განისაზღვრება მუშისთვის აუცილებელ საცხოვრებელ საშუალებათა ღირებულებით, მაგრამ, როდესაც ფაქტებს იკვლევს, იგი სულ სხვა დასკვნამდე მიდის სამუშაო ხელფასის შესახებ, ვინემ რიკარდო.

რიკარდო ისე, როგორც მალტუსი, ფიქრობდა, რომ განვითარების მსვლელობასთან ერთათ, სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერება თან-და-თან კლებულობსო, და აქედან ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ აუცილებლათ საჭიროა ფულებრივი სამუშაო ხელფასის შესაფერი ზრდა-მატებაო. მუშის ღირებულება და აქედან იმ საცხოვრებელ საშუალებათა ფასებიც, რომლებსაც მეურნეობა აწარმოებს, უეჭველათ

უნდა გადიდდეს, უნდა გაიზარდოს. როდბერტუსი კი წინანდელ დაკვირვებებსა და მის თანამედროვე აგრონომიულ მეცნიერებას ეყრდნობა და ამტკიცებს რომ ასეთი შეხედულება შემცდარია: შრომის ნაყოფიერება არც მეურნეობაში ეცემა,—პირიქით, მატულობს ისე. როგორც დამმუშავებელ მრეწველობაში, თუმცა იმდენად სწრაფად კი არა, როგორც უკანასკნელში. აქედან სამუშაო ძალის ღირებულება მუდამ ეცემა, მცირდება. ამნაირად, მუშათა კლასის წილი მთელ ნაციონალურ შემოსავალში თან-და-თან მცირდება ტეხნიკურ პროგრესის ზრდის გამო, „რენტა" კი იზრდება; განაწილებაში უთანასწორობა ძლიერდება.

განაწილების უთანასწორობის გადიდებაში როდბერტუსი ხედავს კაპიტალისტური სისტემის ძირითად უკუღმართობას და ყველა დანარჩენ მისს უკუღმართობათა წყაროს. სწორედ ასეთი აზრი უძევს საფუძვლად მის კრიზისების თეორიას, რომელიც ძლიერ ახლო დგას სისმონდის თეორიასთან. წარმოების მუდმივი ზრდა და მასთან ერთად სამუშაო ხელფასის შედარებით დაკლება იქამდე მიგვიყვანს, რომ დაირღვევა ბაზარზე თანასწორობა საქონლის მიწოდებასა და ერის (ნაციის) მყიდველ ძალის შორის: ბაზარზე საქონელი გაცილებით იმაზე მეტი გამოაქვთ, ვინემ ყიდვა შეუძლია ერს (ნაციას), რომლის მთავარი მხმარებელიც—მუშათა კლასია. მაშინ იწყება კრიზისი. ამნაირად, როდბერტუსს, ისე, როგორც სისმონდს, ვერ მიუგნია ზედმეტის დამზადების ძირითად მიზეზისათვის—შრომის საზოგადოებრივ დაყოფის მოუწესრიგებლობისათვის, და მისგან დამოკიდებულ, კერძო მიზეზებზე ჩერდება, მაშინ, როდესაც ამ მიზეზების სრული მოსპობაც კი ვერ შეუშლიდა ხელს ზედმეტის დამზადებას, სანამ ცვლა და კონკურენცია ისევ ძველებურად უცვლელი დარჩება.

მიწის რენტის შესახებ როდბერტუსი შემდეგის აზრისა იყო. მიწათმოქმედებაში ცვალებადი კაპიტალი, შედარებით, მეტია, ვინემ მრეწველობის სხვა დარგებში, და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულებაც მეტია: აი, ეს ზედმეტი ღირებულება ხდება მიწის რენტათ. ეს შეხედულება საშრომო ღირებულების თეორიის გაუგებრობაზეა დამყარებული: კაპიტალიზმის ხანაში ცალკე საქონლების ფა-

სები, და ამ რიცხვში პურის ფასებიც, **პირდაპირ** მათი საშრომო ღირებულებით არ ისაზღვრება, და მიწის რენტაც რომ არ ყოფილიყო, პურის წარმოება, მიუხედავათ დიდი ზედმეტი ღირებულებისა, კონკურენციის კანონების თანახმათ მაინც მხოლოდ ჩვეულებრივ მოგებას მოგვცემდა.

როდბერტუსის შესანიშნავი მეცნიერული ღვაწლია — მისი შეხედულებანი საზოგადოებრივ ფორმათა ისტორიულათ განვითარების შესახებ. მის შრომებს რამდენიმეთ ბუნდოვანი ისტორიულ-ფილოსოფიური შეხედულება უდევს საფუძვლათ. ხანდისხან როდბერტუსი თითქმის მზათაა აღიაროს, რომ უფლებრივი ურთიერთობანი ქვემდებარება საწარმოვო ურთიერთობებს, მაგ., „უფლებრივი იდეა და ეკონომიური აუცილებლობა რომ ძველათგანვე ხელი-ხელს ჩაკიდებული ვითარდებოდესო", მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ის სულ წინააღმდეგ იქცევა და საზოგადოებრივ ეკონომიურ განვითარებას ხსნის უფლებრივ იდეის განვითარებით. თავის შრომაში, რომელშიაც გარკვეულია წმინდა მონობიდან — კოლონატზე გადასვლა, როდბერტუსი უფრო პირველის თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, როცა ამბობს, რომ ეს გადასვლა მიწათმოქმედებაში ტეხნიკის განვითარებას მოჰყვა შედეგათი. როდბერტუსი იმასაც ამბობდა, რომ თვითონ მონობის არსებო-
ითხოულობს ადამიანის შრომის რამდენიმეთ განვითარება-განაყოფიერებას, და რომ ეს განაყოფიერება შესაძლებელია მხოლოდ მიწათმოქმედ ხალხში.

კაცობრიობის განვითარების პროცესი როდბერტუსს შემდეგ-ნაირათ აქვს წარმოდგენილი. მონობის ხანაში, რომელიც განვითარების პირველ სტადიას (საფეხურს) წარმოადგენს, არა თუ იარაღები და მასალები, არამედ თვით მუშაც კერძო საკუთრებას შეადგენს. საქირაო შრომის ხანაში, რომელიც მეორე საფეხურია, მუშა უკვე აღარაა არც კერძო საკუთრება და არც კაპიტალი. მაგრამ მას არ მოეპოვება კაპიტალი, არ შეუძლიან დამოუკიდებელ მრეწველ-მწარმოებლათ გახდეს, და ამიტომ იგი ფაქტიურათ თავისუფალი არაა. ამნაირათ, საქირაო შრომა, როდბერტუსის აზრით, არის მხოლოდ ახალი, ცოტათი შემსუბუქებული ფორმა მონობის. მესამე საფეხური, როგორც

როდბერტუსი ხასიათების, შეიცავს იმ საზოგადოებრივ მდგომარეობას, როდესაც ყველა საწარმოვო საშუალებანი კოლექტიურ, საზოგადოებრივ საკუთრებათ შეიქნება და როდესაც მწარმოებლები ერთხელ და სამუდამოთ განთავისუფლდებიან ყოველგვარ მატერიალურ დამოკიდებულებისაგან. ამ საფეხურში გადასვლა, როდბერტუსის აზრით, ნელა და თან-და-თანობით ხდება, და დაგვირგვინდება ცოტათ თუ ბევრათ შორეულ მომავალში,—ასე ხუთასიოდე წლის შემდეგ; ის ძალა, რომელმაც ეს ნაბიჯი უნდა განახორციელოს, როდბერტუსის აზრით, არის სახელმწიფო,—ესაა ნიშნობლივი თვისება როდბერტუსის მსოფლმხედველობისა, რომლითაც ის მკაფიოთ განირჩევა მეცნიერულ სოციალისტებისაგან, რომლებიც ასეთ ძალას მხოლოდ და მარტო მუშათა მოძრაობაში ხედავენ.

გარდა საერთო თეორეტიულ მოსაზრებათა, როდბერტუსი რეფორმების პრაქტიკულ პროგრამასაც იძლევა მახლობელ მომავლისათვის. ერთის მხრით ზომიერების სულით, და, მეორეს მხრით—სახელმწიფოს ყოვლად შემძლებლობისადმი ღრმა რწმენით გამსჭვალული, მისი პროგრამა, იმავე დროს, უკიდურესათ უტოპისტურია. ამ პროგრამის დედა-აზრი მდგომარეობს შემდეგში. ვინაიდან ყველა სოციალურ უბედურებათა ძირითადი მიზეზი—ნაციონალურ შემოსავალში მუშათა კლასის წილის მუდმივი კლებაა, ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ დაკლებას. მან კანონით უნდა განსაზღვროს, თუ დამზადებულ საქონლის ღირებულების რამდენი ნაწილი უნდა მიეცეს მუშას, რამდენი კაპიტალის პატრონს და რამდენი მიწის-მფლობელს. (ამასთან ზარალში არც აგრარიები (მემამულენი) დარჩებოდენ, ვინაიდან თავიდან აიშორებდენ სამიწათმოქმედო რენტის შემცირებას ნაციონალურ შემოსავალთან შედარებით, რომელიც ხშირი იყო იმ ხანებში). ამ გეგმას განსახორციელებლათ სახელმწიფომ სისწორით უნდა განსაზღვროს თვითოეულ საწარმოების სამრომო ღირებულება და თვალყური ადევნოს ამ ღირებულების ცვლილებებს. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა საშინლად ძნელი და სახიფათოა სახელმწიფოსთვის ასეთი პროექტის ცხოვრებაში გატარება.

როდბერტუსის შეხედულობათა რამდენიმე წინააღმდეგი აზრე-

ბი გამოსთქვა ამერიკელმა ეკონომისტმა ჰენრი ჯორჯმა. შეერთებულ შტატების სწრაფათ განვითარებულ სამრეწველო კაპიტალის იდეოლოგი ჰენრი ჯორჯი ბევრში ხელ-ახლა ფიზიოკრატების მოძღვრებას უბრუნდება; როგორც ფიზიოკრატები ებრძოდენ უმაღლეს მიწათმფლობელთა კლასის პრივილეგიებს, ისე ჰენრი ჯორჯიც იბრძვის მიწის რენტის და, საზოგადოთ, კერძო მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. მაგრამ ჯორჯის პრაქტიკული პროგრამა გაცილებით უფრო რადიკალურია, ვიდრე ფიზიოკრატების პროგრამა: იგი მოითხოვს არა „ერთათ-ერთ მიწის ბაჟის“ დაწესებას, არამედ მთელი მიწის ნაციონალურ საკუთრებათ აღიარებას — მიწის „ნაციონალიზაციას“. თეორეტიული დებულებანი ჰენრი ჯორჯისა ძლიერ ჰგავს ფიზიოკრატების დებულებათ; ასე მაგ., ჯორჯი კაპიტალის პროცენტს მიწის ნაყოფიერებით ხსნის. ამერიკისა და განსაკუთრებით ინგლისის ბურჟუაზიულ კლასებში ჯორჯის სწავლა-მოძღვრებამ მრავალი მომხრეები მოიპოვა. ბურჟუაზიულ სახელმწიფოში მიწის ნაციონალიზაცია მეტის-მეტათ გაზრდიდა მსხვილ ბურჟუაზიის ძალას, როგორც ეკონომიურს — მიწათმფლობელთაგან კაპიტალისტების ყვლეფვის მოსპობით, — ისე პოლიტიკურსაც — ბურჟუაზიასთან აგრარიების პოლიტიკურ მეტოქეობის მოსპობით.

როდესაც ძველმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ხელი აიღო ბურჟუაზიის ინტერესების სამსახურზე, იმ ბურჟუაზიისა, რომლის იდეოლოგებმაც ამ მეცნიერებას საძირკველი ჩაუყარეს, მაშინ აღნიშნულ მეცნიერებას გამოეყო ცალკე შტო, რომლის ნიშნობლივი თვისებაც სწორეთ ამ ინტერესებისადმი სამსახური შეიქნა.

მეცნიერების გაყალბების მოთხოვნილება წარმოსდგა მხოლოდ მე-XIX საუკუნეში. იმ ეკონომისტებმა, რომლებიც შეჩვეული იყვნენ წინანდელ ეკონომისტებისაგან აღმოჩენილ უცილობელ, მუდმივ კანონებზე დაყრდნობას, იგრძნეს, რომ ეს კანონები იცვლიან თავის ხასიათსა და ადამიანის გონებაზე ძველებურათ გავლენას ველარ მოახდენენ. ძველ ეკონომიურ კანონების გარდაუვალობა და უცილობლობა გახუნდა, დამტკიცდა, რომ ეს კანონები — მხოლოდ განვითარების განსაზღვრულ საფეხურის კანონებია, და როგორც ამ საფეხურის კანო-

ნუსი—ერთი-მეორის წინააღმდეგიც. მაშინ დადგა ხანა ვულგარული ეკონომისტების. მათ ხელში მეცნიერება თავის-თავის სრულ წინააღმდეგობათ გადაიქცა. მოვიყვანოთ ამის რამდენიმე მაგალითი.

პეტტი — რიკარდოს თეორია შრომის ღირებულების გვასწავლის, რომ საქონლის ღირებულება ისაზღვრება მასზე დახარჯულ შრომის რაოდენობით. აქედან ინგლისელმა უტოპისტებმა ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ შრომის ხელფასი უნდა იყოს მთელი ნაწარმოების ღირებულება. (ეს შეცდომაა, რომელიც შრომისა და სამუშაო ძალის ერთმანეთში არევისაგან წარმოსდგება: მუშა ყიდის ნამდვილათ არა თავის შრომას, არამედ სამუშაო ძალას, და ამიტომაც, საქონლის ღირებულების კანონის თანახმათ, კაპიტალისტურ წყობილებაში იღებს სწორეთ ამ სამუშაო ძალის ღირებულებას, და არა თავის შრომის ნაწარმოების ღირებულებას). ამ დასკვნის გაბათილება ვერ შესძლეს ვულგარულმა აპოლოგეტებმა, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ შრომა და სამუშაო ძალა ერთი და იგივე არაა. მაშინ მათ დაიწყეს თვით შრომის ღირებულების თეორიის უარყოფა.

როდესაც ინგლისში, 12-საათიან სამუშაო დღის კანონმდებლობით დამტკიცების შემდეგ, საზოგადოებრივ-ეკონომიურმა განვითარებამ ხელ-ახლა მორიგ საკითხათ წამოაყენა სამუშაო დღის კიდევ უფრო შემოკლება, კაპიტალისტების უმრავლესობა ამბობდა, — თუ ეს კანონი გავიდა, ჩვენი ინტერესები დაინგრევაო. „მეცნიერებამ“, პოლიტიკურ ეკონომიის პროფესორ ბ-ნ სენიორის პირით, მაშინვე დაიწყო მტკიცება, რომ მთელ მოგებას სამუშაო დღის უკანასკნელი — მეთორმეტე საათი ქმნისო.

სენიორი სულ უბრალოთ, მარტივათ მსჯელობდა. ვთქვათ, რომ ის ტილო, რომელსაც მუშა 12 საათის განმავლობაში ქსოვს, ღირს 7 მ. 20 კ., მაშასადამე, საათში ის ამზადებს სამი აბაზის ტილოს. მაგრამ კაპიტალისტმა ძაფსა და იარაღებზე დახარჯა 6 მან. და მუშას ხელფასათ გაიღო სამი აბაზი; მოგებაა მთლათ სამი აბაზი. აშკარაა, რომ ეს მოგება შეუქმნია უკანასკნელ — მეთორმეტე — საათს, და თუ მას მოვსპობთ, მაშინ ფაბრიკანტს მოსაგები აღარ დარჩებაო.

ამ ბურჟუაზიის აპოლოგეტმა სრულიად უყურადღებოთ დასტო-

ვა ის ფაქტი, რომ მუშის-მიერ ახლათ შექმნილი ღირებულება უდრის არა 7 მან. 20 კაპ., არამედ მხოლოდ 1 მ. 20 კ., იმიტომ, რომ 6 მანათი იარაღებისა და მასალების ღირებულებაა, რომელიც, როგორც შემადგენელი ნაწილი, შედის საქონლის—ტილოს—ღირებულებაში. ამნაირათ, თითო საათის შრომა იძლევა ახალ ღირებულებას მხოლოდ ორ შაურს; და თუ სამუშაო დღეს ერთი საათით შევამოკლებთ და ხელფასს კი ისევ ძველს დავტოვებთ, მაშინ მოგებას მხოლოდ ეს ორი შაური დააკლდება, ე. ი.—60 კაპ. მაგიერ 50 კაპ. გახდება. მართლაც, თუ 12 საათში მექარხნე აძლევს მუშას 6 მანათის მასალასა და იარაღებს, მაშინ თითო საათში ყველაფერი ეს დასჭირდება მხოლოდ ათი შაურისა, ანუ 11 საათში—ხუთი მანათისა და ათი შაურისა. თუ ამას სამუშაო ხელფასსათ სამ აბაზს დავუმატებთ, მივიღებთ ექვს მან. და ორ შაურს. ესაა სულ მთელი ჯამი კაპიტალისტის გასავალისა. ამ პირობებში საქონელი წინანდელზე 1/12 ნაკლები დამზადდება, ე. ი. არა შვიდი მან. და ერთი აბაზისა, არამედ ექვსი მან. და სამი აბაზისა. მაშასადამე, მოგება იქნება: 6 მ. 60 კ.—6 მან. 10 კ.=50 კაპ.; სენიორი კი ფიქრობდა—ცხადია, რომ 11-საათიან დღეშიაც მასალები და იარაღები უწინდებურათ 6 მან. წავა, და მაშინ ხომ კაპიტალისტს მოგება სრულიად აღარაფერი დარჩებაო.

სხვათა შორის, ვულგარული ეკონომია ყოველთვის ცდილობდა კაპიტალის მოგებისათვის სხვა-და-სხვა ზნეობრივი გასამართლებელი საბუთები გამოენახა. ერთი ყველაზე უფრო ჩვეულებრივი საბუთი ამბობდა: „მოგება არის კაპიტალისტის ჯილდო მისი თავდაჭერილობისათვისო". კაპიტალისტს შეეძლო გაეფლანგა თავისი კაპიტალი, მაგრამ იგი თავს იჭერს, არ სჩადის ამას; ის თავის კაპიტალს წარმოებაში ხარჯავს და საზოგადოებას სარგებლობას აძლევს, მაშასადამე, მისი თავდაჭერილობა—საზოგადოებისადმი სამსახურია, რომელიც უნდა დაჯილდოვებულ იქმნესო.

მართლაც, ცალკე, თვითოეულ კაპიტალისტს შეეძლო თავისი კაპიტალი გაეფლანგა, მაგრამ შეუძლია ეს ჩაიდინოს კაპიტალისტების **მთელმა კლასმა?** მისთვის კაპიტალია **საწარმოვო საშუა-**

**ლებანი** და ყველა ამ საშუალებათა გაფლანგვა ე. ი. სახმარ საგ-ნებზე გადაცვლა, ყოვლად შეუძლებელია; ვის უნდა ეკიდნა მაშინ საწარმოო საშუალებანი, თუ კი კაპიტალისტების მთელი კლასი მფლანგველობის გზას დაადგებოდა? ესეც არ იყოს, საზოგადოთ საკვირველია, იმ ადამიანზე ვთქვათ,—„თავ-დაჭერილად ცხოვრობსო“, რომელიც თავის ქონებას ისეთ-ნაირათ ხმარობს, რომ მისგან მხოლოდ მოგება ნახოს.

ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიის მუშებთან დამოკიდებულება რომ ნათლად დავახასიათოთ, მოვიყვან ამონაწერს ფრანგ ეკონომისტის თხზულებიდან.

„პოლიტიკურ ეკონომიისათვის მუშა წარმოადგენს ქვეყნის-მიერ დაგროვილ ძირითად კაპიტალს, მას ქვეყანამ მისცა საშუალება სწავლისა და თავის ძალის განვითარებისა. სიმდიდრეთა შექმნაში მუშა არის მანქანა, რომლის გაკეთებაზედაც დახარჯულია განსაზღვრული კაპიტალი, რომელიც პროცენტების ძლევას იმდროიდან იწყებს, როდესაც მუშა მრეწველობისათვის სასარგებლო ფაქტორათ ხდება“.

ამაზე კიდე უფრო შორს მიდის ერთი რუსი-აპოლოგეტთაგანი იმ მეცნიერულ თეორიის გამო, რომელიც ამბობს,—ზედმეტი ღირებულება იქიდან წარმოსდგება, რომ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა იმაზე მეტია, რაც თვითონ მუშების საარსებო საშუალებათა დასამზადებლათ არის საჭირო, ეს აპოლოგეტი შენიშნავს: „მეწველი ან მუშა-პირუტყვი, უეჭველია, მეტ ნაწარმოებსა ქმნის, ვინემ თვითონ ის უჯდება მის პატრონს, და ამგვარათვე ეს პირუტყვი ქმნის ზედმეტ ღირებულებას ისე, როგორც ადამიანის სამუშაო ძალა.. მაგ., სამუშაო დღის ნახევარში ცხენი ფარავს თავის ფულებრივ ღირებულების განსაზღვრულ ნაწილს თავის სარჩენ ხარჯებთან ერთად, ყოველ-დღიური მუშაობის მეორე ნახევარი კი სულ მთლად პატრონის სასარგებლოთ მიდის და შეადგენს ამ უკანასკნელისათვის ზედმეტ ღირებულებას...“ გადააქცია-რა ამნაირათ მწარმოებელ საზოგადოებრივ კლასად შინაური პირუტყვი, რომელიც, მისი აზრით არსებითად არ განსხვავდება საქირაო მუშებისაგან, შემდეგ ის

სასტიკის თანდათანობით ავრცელებს ამ ლოღიკას მანქანებზედაც და თან აცხადებს, რომ მუშების ალაგს მანქანების ჩაყენების დროს არავითარი ცვლილება არა ხდება: აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმის შესახებ, თითქო ამით ქრებოდეს რაიმე უპირატესობა, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის სამუშაო ძალის ზემო ხსენებულ ბუნებრივ ნიჭისაგან" (ე. ი. **შრომის პროცესში** ღირებულებას შექმნის ნიჭისაგან; აპოლოგეტის აზრით, ეტყობა, მანქანებიც კი „შრომობენ"). აქ ცვლის ფეტიშიზმი ისეთ უკიდურესობამდე აღწევს, რომ თითქმის თავის სრულ წინააღმდეგობათ იქცევა—ნატურალურ ფეტიშიზმათ.

ეკონომიურ ცხოვრების საზოგადო განვითარებისა და ეკონომიურ მეცნიერების დაწინაურების გავლენით, ტლანქი, მოუხეშავი აპოლოგიის სკოლა იძულებული გახდა თავისი ადგილი **კომპრომისის** სკოლისათვის დაეთმო. ამ ახალი სკოლის წარმომადგენლები, უმეტეს ნაწილათ, პოლიტიკურ ეკონომიის პროფესორები იყვნენ, ე. ი. ის კაცები, რომლებიც, თავიანთ საზოგადოებრივ საშუალო მდგომარეობის გამო, ფსიხოლოგიურათ უფრო კომპრომისულ მისწრაფებათა გამომხატველნი უნდა ყოფილიყვნენ. უფრო შეურიგებელმა, კონსერვატიულმა ეკონომისტებმა ამ ახალ სკოლას უწოდეს სრულიათ შეუფერებელი სახელი—„კატედერ-სოციალისტებისა" (კათედრის სოციალისტები), თვითონ სკოლა კი თავის თავს „რეალისტურ", „სოციალ-რეფორმატორულ", „ისტორიკო-ეთიკურ" და სხვა ასეთ სახელებს არქმევდა. ნამდვილათ კი, „კატედერ-რეფორმისტების" სახელწოდება უფრო სისწორით გამოხატავდა ამ მიმართულების დედა-აზრს.

თავის ძირითად თეორეტიულ დებულებებში კატედერ-რეფორმისტების მოძღვრება ბევრით არ განსხვავდება მე-40-ცე წლების გერმანულ ისტორიულ მოძღვრებისაგან. ბევრი მათგანის აზრით, საზოგადოებრივ ფორმების ისტორიული ცვლილებანი უფრო ფართეთ უნდა ხდებოდეს, ვინემ ამას ისტორიული სკოლის მიმდევრები ამბობენ. ბევრნი განსაკუთრებით ხაზს უსმენ საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესების ორგანიზატორულ მნიშვნელობას ეკონომიურ სფერაში.

ქსა ძალა, რომელიც **ვალდებულია, შეუძლია** და **მოინდომებს კიდეც** განახორციელოს საზოგადოებრივ სამართლიანობის მოთხოვნები, და არა კლასობრივი მისწრაფებანი. უმრავლესობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ გარემოებას, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში ზნეობრივ, ალტრუისტულ გრძნობებს და მისწრაფებებს დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან როლს აწერენ (აქედან წარმოსდგა სახელწოდება სკოლისა „ისტორიულ-ეთიკური“).

თავის პრაქტიკულ პროგრამებით კატედერ-რეფორმისტები დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. „რეალისტები“, საზოგადოთ, მომხრე არიან სოციალურ რეფორმებისა; მაგრამ ვინაიდან ეს სკოლა სწორეთ ამ შემთხვევაში ყველაზე მეტათ ადგას კომპრომისების როლს, ამიტომ ადვილი მისახვედრია, რომ ამა თუ იმ რეფორმის შემოღება ყველას ერთნაირათ სასურველათ მიაჩნია. ზოგი თავისი იდეალებით პირდაპირ კონსერვატორების ბანაკს ეკუთვნის, მაგ., ბრენტანო, ჰელდი, შმოლლერი; სხვები (მაგ., ვაგნერი) ამ მხრივ რამდენიმეთ უტოპისტებს უახლოვდებიან, მაგრამ თავის „სახელმწიფოებრივ-სოციალისტურ“ იდეალების განხორციელებას ისინი ძლიერ შორეულ მომავალში ფიქრობენ, დღეს-დღეობით კი საკმარისათ სთვლიან რამდენისამე ზომიერ რეფორმის შემოღებას საქარხნო კანონმდებლობის სფეროში.

ყველა „რეალისტები“ ერთმანეთს ეთანხმებიან მხოლოდ იმაში, რომ ნორმალურ წყობილებათ უნდა ჩაითვალოს ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შესძლებს უდიდესი წარმოებას და სამართლიანი განაწილება ერთმანეთს შეუთანხმოს, ერთათ მოათავსოს; მაგრამ რაში მდგომარეობს „სამართლიანი განაწილება“, ამაზე ისინი ერთნაირ პასუხს არ იძლევიან. მაგ., შმოლლერი ფიქრობს, რომ „სამართლიანმა განაწილებამ“ თვითეულს იმდენი უნდა მიუზღოს, რამდენიც მას დამსახურებული აქვსო, მარა ასეთ „დამსახურებათ“ თვლის სხვა-და-სხვა გვარ მცნებებს: სათნოებას, ცოდნას, შრომას, თითქმის კაპიტალსაც (ე. ი. კაპიტალის დაგროვებისათვის დახარჯულ შრომას; ნახე პარაგრაფები თავდაპირველ კაპიტალისტურ დაგროვების შესახებ). სოციალურ წყობილების იდეალათ შმოლლერს ისე-

თი საზოგადოება მიაჩნია, რომელიც „წარმოადგენს სხვა-და-სხვა არსებობა-მდგომარეობათა კიბეს, მაგრამ ერთი საფეხურიდან მეორეზე ადვილათ გადასასვლელს". ეს სწორეთ რომ ძლიერ ურყეველი სისტემა იქნებოდა, იმიტომ, რომ თვითოეულ ქვემო საფეხურს ყველა ზემო საფეხურების დაწოლა ძლიერ მაგრათ დაამუხრუჭებდა და გაამაგრებდა თავის დაბალ მდგომარეობაში: ცხადია, ეს იდეალი ბიუროკრატიისაგან უნდა იყოს წარმოშობილი.

ბრენტანოს აზრით, თანამედროვე ურთიერთობაში არა-ნორმალურია არა ის, რომ შრომა საქონლათ გადაიქცა, არამედ ის, რომ შრომა ყველაფერში და ყველგან ისეთივე საქონელია, როგორც ყველა სხვა, და რომ სამუშაო ძალის გამყიდველი ბაზრის კონკურენციაში ასეთსავე პირობებში არ იმყოფება, როგორც იმავე ძალის მყიდველი. ბრენტანოს აზრით, ფრიად სასურველია პირობათა ისეთი ცვლილება, რომ ბაზარში ორისავე მხარის მდგომარეობა ერთნაირათ თანასწორი შეიქნეს. ამის მიღწევა კი შეიძლება სამუშაო ძალის გამყიდავთაგან პროფესიულ კავშირების მოწყობით, მსგავსათ ინგლისის tradeunion-ებისა. სახელმწიფოს ვალია—გააადვილოს ამგვარ კავშირების აღორძინების საქმე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხელი არ შეუშალოს მაინც მათს დაარსებას. როდესაც სამუშაო ძალის გამყიდველათ გამოვა არა ცალკე პირი, არამედ trade-union-ი, მაშინ ცვლის პირობებიც თანასწორი იქნება ორთავე მხარისათვის, და ამას კი შედეგათ სამართლიანი განაწილება მოსდევს. საერთოთ წარმოების მოუწყობლობა ბრენტანოსათვის, მაშასადამე, არა ყოფილა იმ წინააღმდეგობათა ძირითადი მიზეზი, რომელთა მოსასპობათაც ბრენტანო ასე ძლიერ ზრუნავს.

სხვა რეალისტები (მაგ., ადოლფ. ვაგნერი) ბრენტანოზე გაცილებით მეტ მნიშვნელობას აძლევენ სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას წარმოების ორგანიზაციაში.

საერთოთ, „რეალისტურ" სკოლას დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალ კერძო ეკონომიურ საკითხთა გამორკვევა-შემუშავებაში ისტორიულ-სტატისტიკურ მეთოდის საშუალებით.

აბსტრაქტულ (განყენებულ) ეკონომიურ თეორიებს შორის უნ-

და აღვნიშნოთ კიდევ კათედრის წარმომადგენელთა შორის ძლიერ გავრცელებული მოძღვრება შესახებ ღირებულებისა, რომელსაც „სარგებლობის საზღვარის თეორია“ უწოდეს. ეს სწავლა მეტის-მეტათ რთულია და ამიტომ მისი აქ მოთავსება შეუძლებელია. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ მის მთავარ დებულებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს. ყოველ ნაწარმოებს ადამიანისათვის აქვს ესა თუ ის „სუბიექტიური ღირებულება“, რომელიც ისაზღვრება **იმ სარგებლობით,** რაც ნაწარმოებს აქვს ამა თუ იმ პირისათვის. თვითოეული ადამიანი სუბიექტიურათ, თავისებურათ აფასებს ამა თუ იმ საქონელს მისი სარგებლობის შესაფერათ, და ანგარიშობს, თუ რამდენი შეუძლია მას გამოიღოს ამ საქონელში. ასე აფასებს და ადარებს საქონელს ცვლის დროს როგორც მყიდველი, ისე გამყიდველიც, და ამასთან, საქონლის „სუბიექტიური ღირებულება“ თვითოეულისათვის სხვა-და-სხვა გამოდის; ხოლო საქონლის „სუბიექტიურ ღირებულების“ შეჯახებ-შემოჯახება კი გვაძლევს საქონლის ობიექტიურ, ნამდვილ საცვლელ ღირებულებას. თუ რანაირათ ახერხებს ადამიანი თავის სუბიექტიურ შეფასებით სხვა-და-სხვა საქონლის ერთმანეთთან შედარებას, და ან რანაირათ შეუძლია მყიდველთა და გამყიდველთა „სუბიექტიურ შეფასებას“ ერთისა და იმავე საქონლის შესახებ ამ საქონლის ობიექტიურ საცვლელ ღირებულებათ გადაქცევა,—ეს აიხსნება თავისებური ცნების—„სარგებლობის საზღვარისა“ და მასზე აშენებულ რთულ ანგარიშების შემწეობით. მაგრამ ყველა ეს შეუძლებელია რამდენისამე სიტყვით გამოვხატოთ, და ამიტომ ჩვენ აქ პირდაპირ ამ ძირითად თვალსაზრისის ნაკლულევანებათა აღნუსხვას შევუდგებით, რომელზედაც ჯევონსმა, მენგერმა, ბიომ-ბავერკმა და სხვებმა ააგეს თავისი თეორია „სარგებლობის საზღვარისა“. საქმე იმაშია, რომ ადამიანი იბადება, ცხოვრობს და ვითარდება საზოგადოებაში და არა მის გარეთ, და პიროვნების ფსიხოლოგიაც აუცილებლათ იმ საზოგადოებრივ ვითარებათაგან ისაზღვრება, რომელშიაც იგი ხორცს იდგამს. გამყიდველსა თუ მყიდველს თავის სუბიექტიურ შეფასებაში არ შეუძლიანთ არ დაემორჩილონ იმ ფასებს, რომელიც ობიექტიურათ მისი ნებისაგან დამოუკიდებლათ

არსებობს ბაზარზე, ასე რომ, ამ ფასებს გაცვლებითი უფრო მეტი გავლენა აქვს „სუბიექტიურ შეფასებაზე“, ვინემ პირიქით. აუარებელ შემთხვევაში პიროვნება, საზოგადოთ, ვერ ახერხებს ამა თუ იმ საქონლის სარგებლობის მიხედვით შესაფერათ დაფასებას, და და ბევრი ოინი და ხრიკებია საჭირო, რომ ის „სუბიექტიური ღირებულება“ გამოიყვანოთ, რომელიც, მაგ., აქვს მილიონერ-კაპიტალისტისათვის მისგან გასასყიდათ დადებულ იაფ-ფასიან არშინ ჩითს, ან და ღარიბი „მოდისტკისათვის“—ძვირფას შლიაპას, რომლის ყიდვა-ტარებაც მას ხელს არ მისცემს, ან მეკუბოესთვის—კუბოს, რომელიც მან დაამზადა არა თავისთვის, პირადათ მოსახმარათ. სუბიექტიურ ღირებულების თეორეტიკოსები იძულებული შეიქნენ ნამდვილი სხოლასტიკა შექმნათ, რომ მათი მოძღვრება შეფასებათა ყველა შემთხვევებში გამომდგარიყო.

სუბიექტიური ღირებულების თეორია გვისტუმრებს ცვლის სფეროდან ცალკე პირთა შინაგან სულიერ ცხოვრების სიღრმეში, და ობიექტიურ გამოკვლევისათვის ხელმისაწვდომ ფაქტებს გვიხსნის მისთვის მიუწვდომელის ფაქტებით—გვიხსნის ხილულს უხილავით. ეს ძირითადი ნაკლია, რომელიც ეკონომისტის მეცნიერულ მუშაობისათვის სრულიად უსარგებლოთ ხდის ამ თეორიას.

„სარგებლობის საზღვარის“ თეორია წამოაყენეს ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა საშრომო ღირებულების თეორიის წინააღმდეგ, რომელზედაც ეყრდნობიან კაპიტალის მტრები კაპიტალიზმის წინააღმდეგ იდეიურ ბრძოლაში. როდესაც ინგლისის უტოპისტებმა საშრომო ღირებულების თეორიიდან ის შემცდარი დასკვნა გამოიყვანეს, რომ მთელი ნაწარმოების ღირებულება „შრომას უნდა ეკუთვნოდესო“, მაშინვე ამ იდეის წინააღმდეგ გაილაშქრეს, როგორც უკვე დავინახეთ, ძველმა ვულგარულმა ეკონომისტებმა. როდესაც მუშათა კლასის მომხრე ეკონომისტების ახალმა თაობამ უფრო სწორი დასკვნა გამოიყვანა შრომის ღირებულების თეორიიდან და მუშებს აუხსნა, რომ მათი ინტერესები ძირიანათ ეწინააღმდეგება კაპიტალისტების ინტერესებს, მაშინ საშრომო ღირებულების წინააღმდეგ ამხედრდა ავსტრიის სკოლა და მასი მრავალ-რიცხოვანი მიმდევრები ბურჟუა-მსწავლულთა

ბანკიდან. ბევრი მათგანი, მაგ., ბიომ-ბავერკი, სრულიად აშკარათ უთითებდა „სარგებლიობის საზღვრების“ თეორიის იმ ძვრიად საყურადღებო მნიშვნელობაზე, რომ ის ნიადაგს ართმევს მუშათა პარტიის „ცრუ-მარქსულ მოძღვრებას“, და სწორედ ამით ისინი აღიარებენ და ხაზსაც უსვამენ თავიანთი თეორიის აპოლოგეტურ ხასიათს.

ახალ ეკონომიურ მეცნიერების მთავარ წარმომადგენლებათ გამოვიდნენ ფერდინანდ ლასალი და კარლ მარქსი.

ლასალი უფრო მუშათა მოძრაობის პრაქტიკული ხელმძღვანელი იყო, ვინემ მისი თეორიის შემქმნელი. მან შექმნა ფართე და მძლავრი ორგანიზაციები გერმანიის მუშათა კლასში, რომელსაც ნათლად აუხსნა მუშათა პარტიის ორი ძირითადი იდეა — კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობა და პოლიტიკური უფლებისა და პოლიტიკური ძალის ეკონომიურ-კლასობრივი მნიშვნელობა. იმან მდაბიოთ, ადვილ-გასაგების ენით გადასცა მუშათა კლასს რიკარდოსა და მარქსის ეკონომიური თეორიები. რიკარდოსაგან მან ისესხა, უმთავრესათ, სამუშაო ხელფასის კანონი (ლასალის „რკინის კანონი“); მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მისი თეორიის სუსტი მხარე იყო: როგორც უკვე დავინახეთ, სამუშაო ძალის ღირებულება არაა უცვლელი (საცხოვრებელ საშუალებათა აუცილებელი მინიმუმი, თანახმათ რიკარდოსა და ლასალისა), არამედ ცვალებადია და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პირობებს მოიპოვებს მუშათა კლასი ცხოვრებაში კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს თეორეტიული ნაკლი დიდათ არ დასტყობია ლასალის იდეიურ საორგანიზაციო შრომის წარმატებას. შეიძლება უფრო საშიში გამხდარიყო ამ მხრით ლასალის შეხედულებათა მეორე მხარე: მისი გატაცება მწარმოებელ ამხანაგობებით. ამგვარ მუშათა ასოციაციების გასვითარებისა და გავრცელების საშუალებით მას შესაძლებლათ მიაჩნდა ნელ-ნელა და თანდათანობით კაპიტალიზმის მოსპობა; თვითეულ ასეთ ასოციაციაში ლასალი იხატავდა უმაღლესი წყობილების, — ე. ი. ზედმეტი ღირებულებისა და წარმოების საშუალებათა მუშების ხელში გადასვლის — ნაწილ-ნაწილათ განხორციელებას. ჩვენ ვიცით, რამდენათ უსაფუძვლოა ეს იდეა: კაპიტალისტურ ურთიერთობებში მწარმოებელი ასოციაციები

ან იღუპებიან, ან და აქციონერულ დაწესებულებათ იქცევიან. მათ არ შეუძლიათ მუშათა **კლასის** მდგომარეობის გაუმჯობესება, ისინი არ ახლოვებენ **ყველა** საწარმოვო საშუალებათა ამ კლასის ხელში გადასვლას. მაგრამ ასეთ გენიოს ბელადის ხელში ამ შემცდარმა იდეამაც კი შეიძლება გაცილებით მეტი სარგებლობა მოუტანა მუშათა კლასის განვითარებას, ვინემ ზარალი. ამ იდეიდან მას გამოჰყავდა დასკვნა, რომ მუშათა კლასისათვის აუცილებლათ საჭიროა სრული პოლიტიკური უფლებანი და ძალა, რომ სახელმწიფო-კერძოვი აპარატი გამოიყენოს მწარმოებელ ამხანაგობათა მოსაწყობათ, რადგან ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობის დროს შეუძლებელია ამ ამხანაგობათა ფართეთ განვითარება — (საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლა). იმავე დროს ლასსალს წარმოუდგენელის ძალით და სისწრაფით შეაქვს პროლეტარის შეგნებაში შემაერთებელი იდეები — ესაა იდეები კლასობრივი ბრძოლისა, კლასობრივი ორგანიზაციისა, კლასობრივი იდეალისა.

რაც შეეხება კარლ მარქსს, იმის შეხედულებათა შესახებ სპეციალური მსჯელობა ჩვენ აქ აღარ დაგვჭირდება: არსებითათ ამ შეხედულებათა დაწვრილებით განმარტებას შეიცავს ამ წიგნის მთელი შინაარსი. მარქსი იყო მე-XIX საუკუნის უდიდესი იდეური ორგანიზატორი. მან პირველმა მისცა მეცნიერული საფუძველი სწავლას საზოგადოებრივ განვითარებაზე და მეცნიერულათ აგვიხსნა ეს განვითარება. იმის ხელში საზოგადოებრივი მეცნიერება ნამდვილი და ძლიერი იარაღი შეიქნა სოციალური პროგრესისა.

### 6. საზოგადოებრივ განვითარებისა და დეგრადაციის პროცესები მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში.

კონკურენცია, რომელიც შედეგია წარმოების მოუწყობლობისა, ახლაც იმ მთავარ ძალათ რჩება, რომელიც სცვლის საზოგადოებრივ ურთიერთობებს; მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში ამ ძალის მოქმედება კიდევ უფრო ძლიერდება — ის უკვე აღარ კმაყოფილდება კაპიტალის კონცენტრაციით, არამედ ჰბადებს სხვა მრავალგვარ და რთულ პროცესებს, რომლებიც

რამდენიმეთ განვითარებისა და რამდენიმეთ კი—საზოგადოებრივ მწარმოებელ ძალთა დეგრადაციისაკენ არის მიმართული.

ამ ძალის გვერდით მეორე ძალაც ჩნდება. სამუშაო ძალის მყიდველის ცდა—რაც შეიძლება, ნაკლებ ფასათ იყიდოს ის, და მუშების მისწრაფება—რაც შეიძლება, მეტათ გაყიდოს იგი (სამუშაო ძალ-ღონე), ერთი-მეორეს ხვდება და საფუძვლათ ედება სხვა-და-სხვა-გვარ ცვლილებათა მთელს რიგს, რომელშიაც გამოიხატება ან განვითარება, ან დეგრადაცია მუშათა კლასისა, ან გაუმჯობესება, ან გაუარესება ხსენებულ კლასის მატერიალურ პირობებისა, და აქედან ცხოვრების ყველა სხვა მხარეებისა.

წინათ ჩვენ ეს ძალაც მყიდველისა და გამყიდველის კონკურენციის (ე. ი. ცვლის) დროს ერთმანეთს შორის ბრძოლის ერთ კერძო შემთხვევათ მივიღეთ. მაგრამ მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში კონკურენციის ეს კერძო ფორმა განსაკუთრებულ ხასიათს და მნიშვნელობას იჩენს საზოგადოების ცხოვრებაში; მისი განსაკუთრებული ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაო ძალის გამყიდველთა და მყიდველთა შორის ანტაგონიზმი (ბრძოლა) იჩენს თავს არა მარტო მათს საცვლელ დამოკიდებულებაში, არამედ მთელ იდეოლოგიაშიაც, და, მაშასადამე, საზოგადოებრივ პროცესის სხვა მრავალ დარგეში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიხატება ამ ანტაგონიზმიდან წარმომდგარ მრავალ ახალ საზოგადოებრივ ფორმებში (კლასობრივი ორგანიზაციები, საქარხნო კანონმდებლობა და სხვ.).

ორივე აღნიშნულ ძალთა--კონკურენციისა და მუშათა მოძრაობის—შეუჩერებლივ მოქმედების მეოხებით, ბუნებასთან საზოგადოებრივ ბრძოლის განვითარება, საერთოთ, ისე ძლიერის სისწრაფით ვითარდება, რომლის მსგავსიც არც ერთ წინანდელ საზოგადოებრივ ფორმაციებს არ უნახავს.

### ა) კ რ ი ზ ი ს ე ბ ი.

კონკურენციის სტიქიურმა ძალამ წარმოშვა კაპიტალისტურ წარმოების მისწრაფება უსაზღვრო განვითარებისადმი.

ცალკე კაპიტალისტს არ შეუძლია არ დაემორჩილოს ამ მისწრაფებას, არ შეუძლია დაწესებულების გაფართოვება და მისი ტეხნიკის განვითარება შეაჩეროს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სრული დამარცხება და განადგურება მოელის სხვა, უფრო მხნე და ენერგიულ კაპიტალისტების მოცილეობის გამო.

როდესაც საქონლის დამზადებას იწყებს, კაპიტალისტმა იცის, რომ წარმოების გაძლიერება სრულიად უსარგებლოა, თუ საქონლის გამსაღებელი ბაზარი არ იშოვება. მაგრამ, გარდა ამისა, მან ისიც იცის, რომ წარმოების შემცირება მას სარგებლობას არ მოუტანს: საქმის საზოგადო მდგომარეობას იგი ამით ვერ შესცვლის, ვინაიდან აქ თვითოეულ კაპიტალისტს ცალკე მეტათ მცირე მნიშვნელობა აქვს; კაპიტალისტის ასეთი ნაბიჯით მოიგებენ მხოლოდ მისი მეტოქე-მოცილეები, რომლებიც დიდის სიამოვნებით გააფართოვებენ თავიანთ დაწესებულებებს. გარდა ამისა, თუ ბაზარი საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ ყველაზე ადრე სწორეთ პირველი რიგის კაპიტალისტის დაწესებულება დაიღუპება საქონლის ფასების დაცემით, რადგან ის ყველაზე უფრო პატარა და სუსტია. ამავე დროს, კაპიტალისტი იმასაც არ ივიწყებს, რომ ფასების დაცემას საქონლების გასაღების გაფართოება მოჰყვება, და რომ, მაშასადამე, მის დაწესებულებაში შრომის მომატებული ნაყოფიერება თვითონ გაიჩენს თავისთვის ბაზარს.

ყველგან სამრეწველო დაწესებულებებში წარმოების სწრაფათ გაფართოება, ადრე თუ გვიან, საქონელთა კაპიტალისტურ ზედმეტ დამზადებას წარმოშობს. კაპიტალისტური წარმოება ამზადებს საქონელს, ე. ი. საბაზრო, გასაყიდ ნაწარმოებს. ამნაირათ, მომეტებული წარმოება ნიშნავს ბაზარზე საქონლების მომეტებულ მიწოდებას, და რომ ამას ნორმალური მსვლელობა დაურჩეს, ამისთვის საჭიროა შესაფერისათ მომეტებული იყოს საქონლების მოთხოვნაც. თუ ნაწარმოების მოთხოვნა ბაზარზე ვერ უთანასწორდება, ე. ი. უკან რჩება, იმავე ნაწარმოებთა დამზადებას, მაშინ აუცილებელია ფასების საერთო

დაცემა, და საზოგადოებრივი ნაწარმოებიც ზოგი ღირებულებაზე ნაკლებ ფასებში უნდა გასაღდეს, ზოგი კი სრულიად გაუსაღებელი რჩება. წარმოების ჩვეულებრივი მსვლელობა ძირიანათ ირყევა: საწარმოვო დაწესებულებათა დიდი უმრავლესობა ზარალში ვარდება.

მაგრამ რანაირათ მოხდება, რომ ბაზარში კაპიტალისტურ ნაწარმოების მოთხოვნა მის მიწოდებაზე დაბალი აღმოჩნდა?

საზოგადოებრივ წარმოების გაფართოება თან-და-თან მეტის სისწრაფით მიდის წინ, რადგან ამ გაფართოების მიზეზი — კონკურენცია — იმდენათ უფრო მეტ ძალას ატანს კაპიტალისტებს, რამდენათაც სულ სხვა კანონებს ემორჩილება.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოთხოვნა ისაზღვრება არა ამ საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებით, არამედ მათი მყიდველი ძალით. მცვლელი საზოგადოება, წინააღმდეგ ნატურალურ საზოგადოებისა, ანგარიშს უწევს მხოლოდ ისეთ მოთხოვნილებას, რომელსაც შესაფერი საშუალებაც მოეპოვება თავის დასაკმაყოფილებლათ. ამის გამო, კაპიტალისტურ საზოგადოებაში სულ ადვილი შესაძლებელია და ხშირათაც ხდება, რომ, მაგ., მცხოვრებლებს პური აკლიათ, შიმშილით იხოცებიან, და იმავე დროს კი ბაზარზე პურის მოთხოვნა ძლიერ სუსტია; პური საჭიროზე გაცილებით მეტია დამზადებული და უსარგებლოთ ლპება ბეღლებში, იმიტომ, რომ ვისაც ეს ნაწარმოები ესაჭიროება, ივი მოკლებულია მის შესაძენათ საჭირო საშუალებებს.

მოთხოვნის შესახებ კაპიტალისტური წარმოება ორ ერთი-მეორის წინააღმდეგ ტენდენციას იჩენს: ერთი მუდამ მოთხოვნის გადიდებისკენაა მიმართული, მეორე — მის შემცირებისაკენ. პირველი გამომდინარეობს ისეთი ფაქტებიდან, როგორიც არის ტეხნიკის განვითარების გამო ფასების დაკლება, რაც ნაწარმოებს მყიდველთა ფართე წრისათვის ხელმისაწვდომათ ხდის, ან როგორიც არის წარმოების საერთო გაფართოებისაგან გამოწვეული ზრდა ცვალებადი კაპიტალისა და. მას-

თან ერთათ, ზედმეტ ღირებულებისა, რაიცა ნიშნავს სხვა-და-სხვა კლასების მყიდველი ძალის გადიდებას, ან როგორიც არის ახალი ბაზრების აღმოჩენა და სხვ.; მეორე ტენდენციას კი საფუძვლათ უძევს, ერთი მხრით, წვრილ-ბურჟუაზიისა და კაპიტალისტთა კლასის თანდათანი შემცირება წარმოების კონცენტრაციის პროგრესის გამო, მსხვილ და ძლიერ კაპიტალისტის-მიერ უფრო სუსტებისა და წვრილების განდევნა; მეორე მხრით —მანქანების-მიერ მუშების გაძევება წარმოებიდან და ამით წარმოებაში მონაწილეთა და სამუშაო ხელფასის მიმღებთა რიცხვის შემცირება; ერთიცა და მეორეც ნიშნავს მხმარებლების მყიდველ ძალის შემცირებას.

ამ ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ტენდენციის შეჯახებით აიხსნება ბაზარზე მოთხოვნის მეტ-ნაკლებობა. სამრეწველო კაპიტალის განვითარების პირველ ხანებში უფრო ძლიერ მოქმედებს მეორე ტენდენცია—ბაზრის გაფართოვება ახალ, არა კაპიტალისტურ ქვეყნებისა და არა-კაპიტალისტურ კლასების ცვლის ფერხულში ჩაბმით; მრავალ ახალ-ახალ წარმოებათა აღორძინება შეუჩერებლათ ზრდის საქონლის მოთხოვნას, ასე რომ, იგი არამც თუ ყოველთვის უდრის მიწოდებას, არამედ ხშირათ მეტიცაა მასზე. მაგრამ რამდენათაც კაპიტალიზმი მეფდება წარმოების ყველა დარგებში, იმდენათ ის იძულებული ხდება წინანდელ ბაზრების გაფართოვებით დაკმაყოფილდეს, ვინაიდან ახალი ბაზრების მოპოვება შეუძლებელია. ახალ დაწესებულების აღორძინება ძლიერ ძნელ და იშვიათ საქმეთ ხდება, ვინაიდან საწარმოვო დაწესებულების გასამართავათ დიდი კაპიტალია საჭირო. ამნაირათ, მოთხოვნის გაფართოვების წინანდელი პირობები იცვლება და მის ალაგას ნაკლებ ხელის-შემწყობი პირობები დგება. იმავე დროს ძლიერდება მოთხოვნის დაკლების ტენდენცია. ტეხნიკური პროგრესი ძლიერ სწრაფათ ხდება და მით კიდევ უფრო მეტათ მცირდება მომუშავე მუშათა რიცხვს, რომლებიც ყველაზე უფრო საიმედო მყიდველებს წარმოადგენენ, რადგან ისინი მხოლოდ

აუცილებლათ საჭირო ნივთებს ყიდულობენ; კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი თავის მხრივ აკოტრებს სუსტ და მცირე კაპიტალისტებს და ამით ამცირებს მყიდველ კაპიტალისტების რიცხვს. რამდენათაც ძლიერდება ეს პროცესი, რომლის მოქმედებაც მოთხოვნის შემცირებისკენაა მიმართული, იმდენათ უნდა შეფერხდეს ამ მოთხოვნის ზრდა და ჩვეულებრივზე სუსტათ უნდა განვითარდეს.

ამნაირათ, ჩვენს წინ ორი პროცესია: ერთის მხრით, წარმოების შეუწყვეტელი ზრდა, მეორეს მხრით—ნაწარმოების მოთხოვნის გაძლიერება-გაფართოვება; პირველი პროცესი უფრო სწრაფათ მიდის წინ, მეორის განვითარება კი თავში თუმცა ძლიერ დიდია, მარა შემდეგში თან-და-თან კლებულობს და სუსტდება; ცხადია, ადრე თუ გვიან, წარმოებამ უნდა გაასწროს მოთხოვნას, უნდა წარმოსდგეს სხვა-და-სხვა საქონელთა „ზედმეტი დამზადება“. წარმოების დაუსრულებელ გაფართოვების ტენდენცია და მოთხოვნის მატების შემაფერხებელი გავლენა ერთი სათავიდან გამომდინარეობს, ერთი საერთო მიზეზი აქვს,—ესაა კონკურენცია, ე. ი., არსებითათ, დაწესებულებათა შორის საზოგადოებრივ კავშირის მოუწყობლობა. მაშასადამე, ზედმეტ ნაწარმოების დამზადებას თვითონ კაპიტალისტურ სისტემაში ჰქონია საფუძველი. ზედმეტ ნაწარმოების დამზადებამ საკმაოთ აშკარათ იჩინა თავი პირველათ მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც მანქანური კაპიტალიზმი უკვე შესამჩნევათ იყო განვითარებული; სამანუფაქტურო კაპიტალიზმმა არ იცოდა ეს მოვლენები, იმიტომ, რომ მას არ შეეძლო წარმოების ასეთი სწრაფი განვითარება, და აგრეთვე იმიტომაც, რომ ბაზრების გაფართოვებისათვის აუარებელი ქვეყნები მოიძებნებოდა.

საყოველთაო ზედმეტი დამზადება ნაწარმოებთა გამოიხატება ეგრეთწოდებულ სამრეწველო კრიზისებში. სამრეწველო კრიზისი არის ღრმათ და ვრცლათ შერყევა საზოგადოებრივ მეურნეობის მთელი სისტემისა, იგი რთული კომპლექსია მრა-

ვალ-გვარ მოვლენებისა, თავისი ხასიათით გასაშტერებელი და სახიფათო: ფასების ძლიერ დაცემა, აუარებელ სამრეწველო დაწესებულებათა განადგურება, მასსიური უმუშევრობა, და სხვა, და სხვა,—აი, რა არის სამრეწველო კრიზისი. ესაა—საშინელი საზოგადოებრივი სტიქიური უბედურება, რომელიც დრო-გამოშვებით მთელ კაპიტალისტურ ქვეყნიერობას ედება.

რომ გამოვარკვიოთ ის მიზეზები, თუ რატომაა, რომ ეს მოვლენა, ნაწარმოებთა ზედმეტი დამზადება და მისი შედეგები,—თავს იჩენს არა თან-და-თანობით, (მაგ., ბაზრების ავსებით ნელ-ნელა და დასანახათ აუარებელ საქონლითა და ფასების ნელ-ნელა დაკლებით)—არამედ სწრაფათ და მოულოდნელათ ნამდვილ „კრიზისების" სახით გვატყდება თავს,—უნდა გვახსოვდეს შემდეგი გარემოება. კაპიტალისტური წარმოების მოუწყობლობის გამო, არც ერთ კაპიტალისტს არ შეუძლიან მტკიცე და უტყუარი ცნობები მიიღოს, როგორც, საზოგადოთ, მთელი მრეწველობის მდგომარეობისა, ისე მის სხვა-და-სხვა დარგებში საქმის მსვლელობის შესახებ. მართალია, ბირჟის ორგანიზაცია იძლევა ზოგიერთ ამგვარ ცნობებს, მაგრამ რადგან მთელი წარმოება საშინელის სისწრაფით იზრდება და მოთხოვნაც შესამჩნევათ ირყევა, ბირჟას საშუალება არა აქვს გამოარკვიოს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს **საერთოთ** მთელს წარმოებასა და მოთხოვნის **საერთო** ჯამს შორის. ამნაირათ, წარმოების გაფართოვება ხდება არა მარტო მაშინ, როცა მოთხოვნა ჯერ კიდევ დიდია, არამედ რამდენსამე ხანს მის შემდეგაც; როცა მათ შორის ყოველივე თანასწორობა დარღვეულია. ფარულათ ზედმეტი ნაწარმოები უკვე არსებობს, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ გამოჩენილა: მექარხნე არა თუ ძველებურათ განაგრძობს თავის საქმეს, არამედ კიდევაც აფართოვებს წარმოებას და დარწმუნებულია, რომ მუშტარს იშოვის ისე, როგორც აქამდე შოულობდა; ნარდათ მოვაჭრე მისგან აუარებელ საქონელს ყიდულობს, დაიმედებული, რომ თან-და-თან გაასაღებს მას; ან-და დაუყოვნებლივ ხელს გაიც-

ლის სპეკულიაციის შემწეობით; რამდენათაც გარეგნობით, ერთის შეხედვით, საქმის მდგომარეობა საიმედოა, იმდენათ უფრო ძლიერ მატულობს ზედმეტის დამზადება.

დასასრულ, დგება ჟამი, როდესაც ზედმეტის დამზადება უკვე აშკარათ იჩენს თავს მით, რომ რომელსამე საქონელს მუშტარი გაუქრება: ამ საქონლის ფასი მაშინ უცებ ძირს იწევს, რის გამოც მრავალი მრეწველი და მოვაჭრე კაპიტალისტები, რომლებსაც ეს საქონელი ბაზარზე გაქონდათ, კოტრდებიან; სხვები კი იძულებული ხდებიან შეამცირონ და დროებით შეაჩერონ კიდეც თავისი წარმოება. ამნაირათ, საზოგადოებრივ მეურნეობის მთელს დარგში წარმოება უცებ მცირდება, რასაც შედეგათ მოსდევს სამუშაო ხელფასის დაკლება, უმუშევართა რიცხვის ზრდა და სხვ. შრომის საზოგადოებრივ განაწილებისა და წარმოების სხვა-და-სხვა დარგთა შორის მჭიდრო კავშირის გამო, კრიზისში ებმიან სხვა დარგებიც, მაგ., ისინი, რომელნიც პირველი დარგის წარმოებას მასალას უმზადებდენ, და ისინიც, რომლებიც იმასვე საჭირო იარაღებს აწვდიდენ, — ახლა ყველა ამაების მოთხოვნა ერთბაშათ ძირს ეცემა; ამის შემდეგ კრიზისში ვარდებიან ისინი, რომლებიც ამ მხრივ დაკავშირებულნი არიან ამ უკანასკნელებთან და სხვ... უმუშევრობის გამრავლება იწვევს მუშების სახმარ საგნებზე მოთხოვნის შემცირებას, ე. ი. დამზადებული მასალა ზედმეტი გამოდის და კრიზისს ავრცელებს ამ საგნების წარმოებაში, და მას შემდეგ კი კრიზისი სწვდება ყველა ამ უკანასკნელებთან პირდაპირ დაკავშირებულ დარგებსაც.

ამნაირათ, კრიზისში ერთი-მეორის გვერდით მოქმედებს ორი ტიპის ნაწარმოებთა ზედმეტი მზადება: პირველია **აბსოლიუტური**, რომელიც დამოკიდებულია წარმოების მეტის-მეტათ გაზრდაზე და რომელიც მოთხოვნას წინ უსწრებს; მეორეა — **შედარებითი**, რომელიც მოთხოვნის შემოკლებითაა გამოწვეული, რაც უნდა ჩაითვალოს საქმეების საერთო არევდარევისა, მრავალ საწარმოვო დაწესებულებათა დანგრევა-გა-

ნადგურებისა, უმუშევრობისა და სხვა ამგვარების შედეგათ. პირველი ასეთ კრიზისების ძირითად მოვლენას წარმოადგენს, მეორე კი — წარმოშობილს, რომელიც პირველს უერთდება და მეტათ აძლიერებს და ამწვავებს მის მოქმედებას.

თავის-თავათ იგულისხმება, რომ ამ საერთო ეკონომიურ ნგრევაში სავაჭრო და საკრედიტო საქმეებიც აუცილებლათ მონაწილეა, წარმოების სხვა დარგთან ერთათ. უნდა მივუმატოთ მხოლოდ, რომ ამ ორი დარგის დაწესებულებანი სხვაზე უფრო ძლიერ რყევას განიცდიან, — ასეთია მათი ბუნება. ყველაზე უფრო პირდაპირ მოთხოვნის შემცირებას გრძნობენ ვაჭრები, ბანკირები კი იმითაც ზარალობენ, რომ მრავალი მათი მოვალეები ერთბაშათ ლატაკდებიან და ვალებს ველარასწორებენ, აგრეთვე იმითაც, რომ კრიზისისაგან დამფრთხალი მიმბარებლები ესწრაფვიან ბანკებს და ცდილობენ, რაც შეიძლება, მალე გაიტანონ ბანკიდან თავიანთი ფული. ვაჭრებისა და ბანკირების გაკოტრება ხომ მთლათ უწეწავს საქმეებს აუარებელ სამრეწველო კაპიტალისტებს, რომლებიც მათის დახმარებითა და ნდობით სარგებლობენ, და ასე ამგვარათ.

ამნაირათ, კრიზისი წარმოების ერთი დარგიდან მეორეში გადადის და ასე ყველა დარგებზე ვრცელდება. ამაში ემჩნევა კაპიტალისტურ ორგანიზაციას დიდი სირთულე და ერთ მანეთზე გადაჯაჭვ-გადაბმულობა. ნატურალურ მეურნეობის ხანაში, როცა თვითოეული ჯგუფი თითქმის განმარტოვებულათ ცხოვრობდა, არაფერი ამისი მსგავსი არა ხდებოდა: ერთი ჯგუფის სრული დაღუპვაც კი თითქმის სრულიად არავითარ გავლენას არ ახდენდა დანარჩენების სვე-ბედზე. წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უფრო ძლიერაა განვითარებული მეურნეობათა დამოკიდებულება ერთმანეთთან, მაგრამ ყოველ კერძო შემთხვევაში ასეთი ცოტათ თუ ბევრათ მჭიდრო კავშირი არსებობს მხოლოდ მეურნეობათა მცირე ჯგუფში, ამიტომ მათში სამეურნეო ცხოვრების არევ-დარევა ფართეთ არა ვრცელდებოდა. კაპიტალისტური საზოგადოება კი, მისი მაღალ-გან-

ვითარებულ შრომის განაწილებით, ამ მხრივ უსრულესი ორგანიზმია, მაშინ, როცა წინანდელი საზოგადოებრივი ფორმაციები შეიძლება მხოლოდ დაბალ ორგანიზმებს შევადაროთ: ადამიანის სხეულის რომელისამე ნაწილის დაზიანება მთელს ორგანიზმს მძიმე კრიზისში აგდებს, ასე რომ, ეს გავლენა თავის დაღს ასვამს იმ ორგანოებსაც, რომლებიც დაზიანებულ ორგანოზე დაშორებულებია; პირიქით, რომელსამე მატლსა, ან ჰიაყელას რომ რომელიმე ნაწილი დაუზიანო, ეს სულ მცირე გავლენას იქონიებს დანარჩენებზე, რადგან ამ ცხოველების ორგანოებს შორის ძლიერ სუსტია ფუნქციათა განაწილება.

ტიპიური მწვავე კრიზისის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ წარმოების აყვავებაცა და დაცემაც ორივე ერთნაირათ ადვილი მოსალოდნელია. თვით კრიზისის დაწყებამდე მრეწველობა ძლიერ ვითარდება; საბედისწერო დღის წინა დღითაც კი ცხოვრების მაჯის ცემა უმაღლეს წერტილამდე აღწევს: ნაწარმოების რაოდენობა უსაზღვროა, მაგრამ გასაღების საქმეც კარგათ მიდის,—ერთის შეხედვით, ბაზრები თითქოს საკმარისია. ნარდათ მოვაჭრენი ხარბათ ყიდულობენ საქონელს როგორც მწარმოებელ-მექარხნეებისაგან, ისე ერთმანეთისაგანაც, წვრილი ვაჭრები კი—ნარდათ მოვაჭრეებისაგან, და სხვ.; სპეკულიანტები, რომლებიც საქონლებს ხელ-ახლა გასაყიდათ ყიდულობენ, ხელოვნურათ, თვალთმაქცობით ადიდებენ და ზრდიან მოთხოვნას. კაპიტალისტებიცა და მუშებიც ახლა უფრო უკეთ გრძნობენ თავს, ვინემ აქამდე გრძნობდენ; ზედმეტი საქონელი სულ უფრო და უფრო გროვდება; ფარული სენი მაგრათ იდგამს ფესვებს საზოგადოებრივ ორგანიზმის შიგნით და ღვივდება; ეს სენი კრიზისის სახით იფეთქებს მხოლოდ მაშინ, როცა ზედმეტი საქონელი ძლიერ ბევრია დამზადებული, და ამიტომ არის მისი მოვლენა უეცარი და გამანადგურებელი.

განადგურების მოახლოვების პირველი სიმპტომია დაცემა ყველაზე უფრო სპეკულიატივურ დაწესებულებათა, რომელთა

თვალთმაქცური აყვავებაც ხელოვნურის ზომებით იყო, გამოწვეული. ელვის სისწრაფით ვრცელდება ხმები, რომ ერთი მეორე, მესამე ფირმა კოტრდებაო. ეკონომიური ორგანიზმის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილი — კრედიტი — დაუყოვნებლივ აღნიშნავს ამ არევ-დარევას, — აღნიშნავს იმით, რომ თვითონაც კრიზისში ვარდება.

კრედიტი აშენებულია ნდობაზე, ადამიანის გრძნობა კი ცვალებადია. ყოველივე მუჯლუგუნი, რომელიც საზოგადოებრივ მეურნეობას ემუქრება და ზარალს უქადის, ყველა კაპიტალისტებში — როგორც წვრილებში, ისე მსხვილებშიაც — იწვევს ხვალინდელი დღის უნდობლობასა და თავის კაპიტალების დაკარგვის შიშს. ხოლო სადაც კი შიში მეფობს, იქ ნდობა ქრება და კრედიტიც ეცემა. კრედიტის მუშაობა ჩერდება; ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, ცდილობენ გაცემული ფული უკან გამოართვან, ეძებენ ფულს, ფულსა და მხოლოდ ფულს, იმიტომ, რომ ადამიანებს მეტათ აღარ ენდობიან, ენდობიან მარტო ფულს. შიშის ზარი იპყრობს „ბირჟევიკებს“, ბანკირებსა და რენტიორებს; ბანკებს ალყათ გარს ეტყმიან მიმბარებლები. მრავალი ბანკი იძულებული ხდება თავის კრედიტორებს გაუსწორდეს, ხოლო თვითონ კი თავის მოვალეებისაგან ფულს ვერ იღებს და ამნაირათ იღუპება. ამით ზარალობენ მათი მიმბარებელი-კაპიტალისტები.

მოვაჭრე და მრეწველი კაპიტალისტები, ფულის შეძენის სურვილით გატაცებულნი, აჩქარებენ საქონლების გაყიდვას; მარა ამით მოთხოვნა კიდევ უფრო მცირდება, ვინაიდან ყველა იმას ცდილობს, რომ ფული როგორმე ხელიდან არ გაუშვას. ბაზრები საქონლებით ივსება და ფასები ყველაფერზე საშინლათ ძირს იწევს. ეცემიან და ინგრევიან ერთი-მეორეზე მრავალი სამრეწველო დაწესებულებანი, გადარჩენილები კი — ამცირებენ წარმოებას, ან დროებით აჩერებენ მუშაობას. ამ დროს სათადარიგო არმიას მრავალ-ათასობით ემატება; ამ რიცხვში რამდენიმე ათასი დღეს უკვე გაკოტრებული და განად-

გურებული გუშინდელი კაპიტალისტებიც ურევია. იღუპება ყველა ის, ვინც კაპიტალისტურათ სუსტია; მაგრამ არც ძლიერებს უდგათ კარგი დარი.

კრიზისის დღეების შემდეგ მალე ცხოვრების საერთო მაჯის ცემის შეჩერების დღეებიც დგება: თუმცა ახლა ძლიერი ნგრევა-აოხრება აღარა ხდება, მაგრამ გაუმჯობესებაც არაფერს ეტყობა: წარმოება და ბაზარი ერთხანათ უმოძრაოთ გაჩერებულია.

მარა ნელ-ნელა, ცოტ-ცოტათი კლებულობს ბაზარზე მოგროვილი საქონელი, რომელსაც ასაღებენ ნაწილ-ნაწილათ. თან-და-თან, ერთი-მეორის შემდეგ, წელში იმართებიან მსხვილი დაწესებულებანი და საქმის გაფართოებას იწყებენ, შეჩერებული წარმოება თან-და-თან ზომიერ აყვავების ხანაში გადადის; წარმოება ახლა არა თუ ისევ აღწევს წინანდელ ზომას, მალე კიდეც აჭარბებს მას. ამასთან აშკარავდება, რომ წინანდელ წვრილ დაწესებულებათაგან ბევრი სრულიად უგზო-უკვლოდ გამქრალა, და საწარმოვო დაწესებულებათა საერთო რიცხვს დაუკლია. წარმოების გამოცოცხლება მატულობს. წარმოების განვითარება ისევ გამალებულათ მიისწრაფვის წინ; მიზეზთა განმეორება იწვევს შედეგთა განმეორებასაც და წარმოების უმწვეერვალეს განვითარებას თან მოსდევს კრიზისი.

მოვლენათა ასეთი ტრიალი უკვე რამდენჯერმე განმეორდა უკანასკნელ საუკუნეში. წარმოების პირველი საყოველთაო კრიზისი იყო 1825—26 წლებში; მეორე—1836—37 წელს, შემდეგ—1847-ში და 1857-ში; დრო-გამოშვებითი, პერიოდული ხასიათი კრიზისებს დღემდე საკმაოთ კარგათ შერჩათ; ერთიდან მეორე კრიზისს შუა, დაახლოვებით, ათი წლის მანძილი იყო. შემდეგ, 1873 წელს, დადგა მსოფლიო კრიზისი, რომელმაც თავისი ძალითა და ხანგრძლივობით ყველა წინანდელ კრიზისებს გადააჭარბა: ის ერთი ქვეყნიდან მეორეში ვრცელდებოდა და ამნაირათ გაგრძელდა რამდენსამე წელს, დაახლოვებით 1878 წლამდე. მას შემდეგ ვაჭრობა-მრეწველობას ფართე საზოგადო აყვავება 90-იან წლების დადგომამდე აღარ

დასჩენია, პირიქით, ცხოვრების მაჯის ცემას უფრო ეტყობოდა შეჩერება და დადუნება. მაგრამ შეჩერებას ისევ თან მოჰყვა საუცხოვო აყვავება მსოფლიოს მრეწველობისა, მაგრამ რამდენისამე წლის ძლიერის გამოცოცხლების შემდეგ დადგა ხელ-ახლათ კრიზისი 1890 წელს. ამან განსაკუთრებით დააზარალა რუსეთი, თუმცა კი ის ყველგან იყო. ეს კრიზისი რამდენსამე წელს გაგრძელდა, მაგრამ წარმოუდგენელი გამანადგურებელი ძალა გამოიჩინა. მაგ., საფრანგეთში, სადაც იგი ყველაზე უფრო ნაკლები იყო, ვინემ, მაგ., გერმანიაში, უმუშევართა რიცხვმა ნახევარი მილიონი მოიმატა,—400,000-დან 1896 წელს 900,000-ზე ავიდა 1902 წ.

მომავალში კრიზისების განვითარების შესახებ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ორი სხვა-და-სხვა მიმდინარეობა.

ერთის შეხედულებით, კრიზისები მომავლშიაც ისეთისავე მწვავე ხასიათისა იქნება, როგორც ამდენ ხანს იყო, მხოლოდ კრიზისიდან კრიზისამდე უფრო მეტი ხანი გაივლის. მრავალჯერ გაფართოვებული და გართულებული კაპიტალისტური მექანიზმი უფრო მეტს ხანს მალავს შინაგან წინააღმდეგობას და ამიტომ მეტი ხანია საჭირო, რომ კრიზისმა თავი იჩინოს. ამას ხელს უწყობს აგრეთვე წარმოების სხვა-და-სხვა დარგთა, წინანდელთან შედარებით, უფრო შეთანხმებული მუშაობა, რასაც ქმნის, მაგ., ბირჟის ორგანიზაციის განვითარება. მსოფლიოს კაპიტალიზმის მთელ სამფლობელოში ზედმეტის დამზადება, ცხადია, წინანდელზე უფრო უმწვერვალეს ხარისხამდე უნდა განვითარდეს, რომ ასე უეცრათ და მწვავე კრიზისის სახით მოევლინოს ქვეყნიერობას; სამაგიეროთ, ის უფრო ინტენსიური, უფრო მრისხანე და ულმობელი ხდება. ამ შეხედულებას მოწმობს, თეორეტიულ მოსაზრების გარდა, ისიც, რომ 1857 წ. და 73 წ. კრიზისებს შორის 16 წელიწადი გავიდა, 1873 წ. და 99 წ. შორის—20 წელიწადი; ამასვე მოწმობს განსაკუთრებული სიძლიერე უკანასკნელ კრიზისებისა.

მეორე შეხედულებით, კრიზისების თვით ხასიათიც შეცვ-

ლილია. აყვავება-დალხინების ხანა უფრო და უფრო მოკლდება; კრიზისისა და შეჩერების ხანა კი, პირიქით, უერთდება ერთი მეორეს და უფრო და უფრო მეტ ალაგს იჭერს წინანდელ ათ წლიან „ციკლში“. ზედმეტის დამზადება ქრონიკული ხდება და მაჯლაჯუნასავით თავს აწვება მრეწველობას; ეს მდგომარეობა თან-და-თან მუდმივ მოვლენათ იქცევა და შეუძლებლათ ხდის წარმოების ისეთ ძლიერ გამოცოცხლებას, ისეთ ინტენსივურ მსვლელობას, რომელიც აუცილებლათ კრიზისით თავდება, მაგრამ წარმოების ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა უფრო და უფრო მეტათ ღრმავდება; საწარმოვო ცხოვრების არევ-დარევის ტენდენცია სულ უფრო ძლიერდება.—ამ შეხედულებას გაცილებით ნაკლები ფაქტები ამართლებს, ვინემ წინანდელს; მაგრამ ამის მიუხედავათ, ეს შეხედულება წინანდელზე უფრო გავრცელებული იყო უკანასკნელ კრიზისის დაწყებამდე.

კაპიტალისტურ წარმოების ზოგადი კრიზისებისაგან განირჩევა კერძო კრიზისები პირველათ იმით, რომ უფრო კერძო ხასიათის მიზეზებისაგან წარმოსდგება, და მეორეთ, შედარებით, ნაკლები ზომისაა: ეს კერძო კრიზისები ხან მთელ მხარეებს ედება, ხან კი საზოგადოებრივ მეურნეობის ზოგიერთ დარგებს, და ამ განსაზღვრულ სფერის გარეთ მისი გავლენა ძლიერ ნაკლებათ ემჩნევა. მაგრამ ასეთი კერძო კრიზისებიც ხშირათ მეტის-მეტათ ძლიერია და თავისი მოქმედების ინტენსივობით ნამდვილ საყოველთაო მსოფლიო კრიზისებს არ ჩამოუვარდება.

კერძო კრიზისების მიზეზებია—ომები, რევოლიუცია, მოუსავლობა, წრეს-გადასული საბირჟო სპეკულიაცია.. მაგ., ინგლისში ბამბის კრიზისი 1863—64 წ.წ. გამოიწვია შეერთებულ შტატებში ომმა. საყოველთაო ეკონომიური დაქვეითება და შევიწროვება, რომელიც რუსეთმა 1891—92 წელს განიცადა, ძლიერის მოუსავლობით იყო გამოწვეული, და სხვ...

ახლა თვალი გადავავლოთ და განვიხილოთ ასეთი კრიზისების წარმოშობის მექანიზმი კონკრეტულ მაგალითებზე.

შეერთებულ შტატებში 1860—64 წ.წ. მომხდარი მოქა-

ლაქობრივი (შინაური) ომი, რომელსაც ზანგების (შავკანიანების) განმანთავისუფლებელ ომს უწოდებენ, ჩრდილოეთსა და სამხრეთში გაბატონებულ კლასების — მრეწველ-ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელ არისტოკრატიის — ინტერესთა წინააღმდეგობის შედეგი იყო. პირველი ცდილობდა პროტექციონიზმის — დამმუშავებელ მრეწველობის ნაწარმოებზე მაღალის ბაჟების, შემოღებას, რომ ეს ნაწარმოებნი მას ძვირათ გაეყიდა; მეორე კი ცდილობდა ვაჭრობის თავისუფლების დამყარებას, რომ იმავე ნაწარმოების იაფათ ყიდვა შესძლებოდა. სამხრეთში ნედლი მასალების წარმოებაში იაფი მონის შრომა ძლიერ კონკურენციას უწევდა ჩრდილოეთის კაპიტალისტებს, რომლებიც დაქირავებულ შრომით სარგებლობდენ. ეკონომიური ბრძოლის ომათ გადაქცევამ, ინგლისში სართავ-საქსოვ წარმოებაში ბამბის ნაკლებობა დაბადა და ამნაირათ კრიზისი გამოიწვია, რადგან ბამბის დიდი ნაწილი აქ ამერიკის სამხრეთ შტატებიდან შემოქონდათ. ბამბეულობის მრეწველობა ძლიერ შემცირდა, ამის გამო უმუშევართა არმიასაც, დაახლოვებით, 200,000-მდე უმუშევარი მიემატა. ამნაირათ, ერთს ქვეყანაში საზოგადოებრივმა ბრძოლამ მეორეში საწარმოვო კრიზისი დაბადა, და ეს კი შედეგია იმ მჭიდრო ეკონომიურ კავშირისა, რომელსაც ქმნის შრომის საზოგადოებრივი განაწილება სხვა-დასხვა ქვეყნებს შორის.

ყოველ შემთხვევაში, ისეთ კერძო კრიზისების შესახებ, რომელიც პოლიტიკურის არეულობით, სპეკულიაციით, ან, საზოგადოთ, აშკარა საზოგადოებრივ ხასიათის პირობებით არის გამოწვეული, ადვილათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარ კრიზისთა ძირითადი მიზეზი იგივეა, რაც საერთოთ ყველა მსოფლიო კრიზისებისა, — ე. ი. შრომის საზოგადოებრივ განაწილების მოუწესრიგებლობა. მაგრამ იქაც, სადაც, ერთის შეხედვით, კრიზისი თითქო სტიქიურ მიზეზებით, მაგ., მოუსავლობის წარმომშობ მეტეოროლოგიურ პირობებით, არის გამოწვეული, — იქაც კი უფრო ღრმა დაკვირვება და ანალიზი

იმავე ძირითად მიზეზთა მოქმედებას ხედავს. მაგ., ისეთი დიდი შიმშილობა, როგორიც რუსეთს თავს დაატყდა 1891 წელს, შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ნიადაგს ყოველსავე ნოყიერებას აცლიან მეურნეობაში გამეფებულ ველურ წესებით. ნატურალურ წარმოებიდან ცვლაზე გადასვლა და ამის გამო საგლეხო მეურნეობის დაცემა, აიძულებს გლეხებს გააფართოვონ ხვნა-თესვა და გააძლიერონ მიწის ექსპლუატაცია, ამასთანავე, დედა-მიწის მწარმოებელ ძალებს ფლანგვით უზომოთ ფლანგავენ, ხოლო მიწის გაპოხიერება-განაყოფიერებისათვის კი არასოდეს არა ზრუნავენ, და ამრიგათ, მიწა თან-დათან იფიტება. მხოლოდ გამოფიტული, სინოყივრეს მოკლებული ნიადაგი აყენებს მიწის მუშას ამინდისაგან იმდენათ დამოკიდებულ გარემოებაში, რომ ადვილი შესაძლებელი ხდება და დრო-გამოშვებით კიდევაც დგება ისეთი მოუსავლობა, რომელიც განსაცდელში აგდებს მთელს ქვეყანას. მაშასადამე, ძლიერი კრიზისი არც აქაა შემთხვევითი მოვლენა; შედარებით შემთხვევითია მხოლოდ ის ფაქტი, რომ კრიზისი დგება 1891 წელს, და არა 1890-ში.

საზოგადოებრივ მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგებში კრიზისის გამანადგურებელი გავლენა ყველაზე უფრო კრედიტს ეტყობა. რადგან კრედიტის საფუძველი ნდობაა, ამიტომ კრედიტის კრიზისისათვის საკმაო მიზეზს წარმოადგენს წარმოების პირობების არევ-დარევის მომავალი უბრალო შესაძლებლობაც კი. მაგ., ვთქვათ, ომია მოსალოდნელი; მაშინ იბადება შიში, რომ ეს ომიანობა ზოგიერთ ქვეყნებს სრულიათ გაანადგურებს, და რომ ამ ქვეყნების კაპიტალისტები, განსაკუთრებით კი იმათი მთავრობანი, თავის ვალების გადახდას ველარ შესძლებენ. უიმედო მდგომარეობა სრულიად ძირს უთხრის კრედიტს: ძლიერდება ფულის მოთხოვნა, კაპიტალისტები იძულებული ხდებიან დაუყოვნებლივ გადაიხადონ ისეთი ვალები, რომელთა ვადის გაგრძელებასაც გულ-დამშვიდებით მოელოდენ. ფულის მოთხოვნისა და მიწოდების შეუფერებლობის გამო, საკუ-

თრივ კრედიტის კრიზისს ფულის კრიზისიც ემატება: როდესაც კრედიტი ეცემა, აუცილებელ მიმდინარე ანგარიშების გასასწორებელი ფულიც ძნელი საშოვნელი ხდება; აქედან კრიზისი ფრთას შლის საკუთრივ სამრეწველო სფერებშიაც, იმიტომ, რომ იმ მრეწველ-კაპიტალისტებისათვის, რომელთა კაპიტალიც, უმთავრესათ, წარმოების საშუალებანი და დამზადებული საქონლებია, ფულზე გაძლიერებული მოთხოვნა მეტათ სამძიმოა.

კერძო კრიზისებს უნდა მიეთვალოს აგრეთვე ევროპის მიწათმოქმედებაში გამეფებული ქრონიკული კრიზისი, რომერამდენიმე წელიწადია სულს უხუთავს მრეწველობის ამ დარგს. იმის ძირითად მიზეზებს შეადგენდენ: პირველი, სამიწათმოქმედო წარმოების მეტის-მეტი გაფართოვება სხვა უფრო ნაყოფიერ მხარეებში, საიდანაც იაფი პური შემოდის არა მარტო იმიტომ, რომ იქ სამიწათმოქმედო შრომა უფრო ნაყოფიერია, არამედ იმიტომაც, რომ იქ, როგორც აღნიშნული გვქონდა, მიწის რენტაც უფრო დაბალია, ვინემ ევროპაში; მეორეთ, ევროპაში კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში, შემჩნეულია, მუშა-ხელის ნაკლებობა; ამის მიზეზი კი ისაა, რომ გაძვალტყავებული გლეხობა კარგავს თავის მიწის საკუთრებას და ქალაქებს აფარებს თავს, სადაც დამმუშავებელი მრეწველობაა განვითარებული, ხოლო მუშათათვის ცხოვრების პირობები კი უმჯობესია.

კრიზისები თავის ფორმით რამდენიმეთ საზოგადოებრივ მეურნეობის დეგრადაცია და საზოგადოების საწარმოვო ძალთა დროებითი დაქვეითებაა; მაგრამ იმავე კრიზისების წყალობით ხდება ტეხნიკური პროგრესი და მწარმოებელ ძალების შემდეგი განვითარება. პირველ ყოვლისა, კრიზისის წყალობით უკიდურესათ მწვავდება კონკურენცია; მეორეთ, ზარალის ანაზღაურების სურვილი აიძულებს კაპიტალისტებს ახალი გასამდიდრებელი საშუალებანი გამონახონ; დასასრულ, მესამეთ, — და ეს კი თავი და თავია, — კრიზისის დროს ნახულ

ზარალის მიზეზათ კაპიტალისტი საქონლის ფასების დაცემას თვლის და, რა თქმა უნდა, ცდილობს სამრეწველო დაწესებულების ტეხნიკა იმ სიმაღლეზე აიყვანოს, რომ ამ დაცემულმა ფასებმაც კი სარგებლობა დაუტოვოს.

კრიზისები აჩქარებს ტეხნიკურ პროგრესს და ამასთან ძლიერ უწყობს ხელს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას მთელის თავის შედეგებით, რომელთა რიცხვში ახალი, მომავალი კრიზისებიც შედის. აქ განვითარების ტენდენცია მეტის-მეტათ მჭიდროთ დაკავშირებულია დეგრადაციის ტენდენციასთან. კაპიტალისტურ საზოგადოებას რომ ვერ მოეხერხებია თავის წიაღში განვითარების ისეთი მტკიცე გარანტიების შექმნა, ისეთი ყოვლის შემძლე ძალის წარმოშობა, როგორიც არის მუშათა კლასი, რომელსაც შეუძლიან თავს იდვას მთელი წარმოების ორგანიზაცია,—მაშინ კაპიტალისტური საზოგადოება ერთ მახლობელ კრიზისის დროს უეჭველათ დაიშლებოდა და განადგურდებოდა.

კრიზისები, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოუწყობლობის აშკარა გამომხატველი მოვლენა, ამ ბოლო დროს კაპიტალისტთა კლასსაც აიძულებს, შეეცადონ მეტი წეს-რიგის შეტანას ეკონომიურ ცხოვრებაში.

### ბ) კაპიტალისტების სინდიკატები.

როდესაც საწარმოვო ძალთა განვითარებასა და საზოგადოებრივ ფორმებს შორის წინააღმდეგობა გაძლიერდა და თვითონ ბურჟუაზიისთვისაც შემავიწროებელ და მეტათ სახიფათო სახე მიიღო, როცა მეტის-მეტათ გამწვავდა გამანადგურებელი კრიზისები და კონკურენცია,—მაშინ კაპიტალისტთა კლასმაც ხელი მიჰყო ბრძოლას კაპიტალისტურ წყობილების იმ მხარეების წინააღმდეგ, რომელიც მათთვის საზარალოა.

ამ შემთხვევაში კაპიტალისტების ბრძოლის საშუალებაა— შეკავშირება, ორგანიზაცია. ორგანიზაციის შემწეობით კაპიტალისტები ცდილობენ დაასუსტონ ან სავსებით მოსპონ წარ-

მოების ანარქიის გავლენა, რომელიც საფუძვლათ უდევს კონკურენციას, კრიზი'ებსა და სხვ.; მრეწველობის ერთი დარგის კაპიტალისტები ადგენენ კავშირებს და ამით ცდილობენ თავიანთი წარმოება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენონ, თავის წესებს დაუმორჩილონ. კაპიტალისტების ასეთ კავშირებს ეწოდება—სინდიკატები, ანუ კარტელები (იმათი უმაღლესი, მეტის-მეტათ განვითარებული ფორმა კი—ტრესტებია).

სინდიკატის შედგენის პირველი ცდა ჯერ კიდევ წარსულ საუკუნის მე-60 წლებში მოხდა. მაგრამ ამ ორგანიზაციის ახალი ფორმის შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1873 და შემდეგი წლების კრიზისებს. აი, მას შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში სინდიკატებმა დაიწყეს განვითარება და მალე თვალსაჩინო, მსხვილი საზოგადოებრივი ძალა შემოიკრიბეს და ძლიერ საზოგადოებრივ ფაქტორათ გადაიქცენ.

სინდიკატების აღორძინებისათვის ნიადაგს ამზადებდა კაპიტალების გაძლიერებული კონცენტრაცია, სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვის შემცირება და მათი სიდიდის ზრდა. თუ რომელისამე დარგის წარმოება ჯერ კიდევ არ ჩავარდნია ხელში სავსებით რამდენსამე მსხვილ კაპიტალისტებს, თუ წვრილი დაწესებულებანი შედარებით ჯერ კიდევ მრავალია, მაშინ კაპიტალისტების კავშირებში შეერთება მეტათ ძნელია, და ამასთანავე, ნაკლებათ მტკიცეც არის. ამ დარგის ყველა კაპიტალისტების სრული შეთანხმება თითქმის შეუძლებელია: მათი დიდი ნაწილი ორგანიზაციის გარეთ რჩება; ამ შემთხვევაში კი კარტელს არ შეუძლიან თავის მიზანს მიაღწიოს—წარმოება მოაწესრიგოს. საზოგადოთ, კარტელი არის **მსხვილი** კაპიტალისტების კავშირი.

რაც შეეხება კარტელურ შეკავშირების ფორმას, ეს რამდენიმეთ მომზადებული იყო სააქციონერო ამხანაგობათაგან, რომლებიც კაპიტალისტების ერთგვარ კავშირს წარმოადგენენ.

ერთი უფრო საყურადღებო პირობათაგანი, რომლებიც უადვილებს კაპიტალისტებს სინდიკატებში შეერთებას, არის მფარველობა-

თა სისტემა სამრეწველო კანონმდებლობაში. პროტექციონიზმა ან-თავისუფლებს მეწარმეებს უცხოეთის კაპიტალის კონკურენციისაგან, განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს მათ და მო-ნოპოლიას უტოვებს შინაურ ბაზარს; აი, ყველა ამით პროტექციო-ნიზმი ქმნის ძლიერ ხელის შემწყობ პირობებს სინდიკატების მოსა-წყობათ. პროტექციონიზმის ბატონობის დროს სინდიკატს შეძლება აქვს თავიდან მოიშოროს უცხოეთი კონკურენცია და ამით ძლიერ დიდი სარგებლობა მოუტანოს იმ კაპიტალისტებს, რომლებიც ამ სინ-დიკატში შედიან. თავისუფალი ვაჭრობის დროს კი უცხოელ კაპი-ტალისტების კონკურენცია ამცირებს იმ სარგებლობას, რომელიც სინ-დიკატს მოაქვს თავის წევრებისათვის: სინდიკატს წარმოების მონო-პოლია არ ეკუთვნის: მაშასადამე, არც შეუძლია ძნელი წარმოების ერთ გეგმაზე მოაწყოს, თავის ნებაზე განსაზღვროს მისი სიდიდე და მი-სი ნაწარმოების ფასები. ამიტომ პროტექციონიზმის ქვეყნებში, რო-გორიც, მაგ., ამერიკის შეერთებული შტატებია, კარტელური სისტემა უფრო ვითარდება. მაგრამ პროტექციონიზმი აუცილებელ პირობას არ წარ-მოადგენს სინდიკატების ასაღორძინებლათ. ინგლისშიაც კი, სადაც ყველაზე უფრო სრული თავისუფლებაა ვაჭრობის, 1873 წლის შემ-დეგ ბევრი კარტელი დაარსდა, რომელთა შორისაც ბლომათ მოიპო-ვება ძლიერ მდიდარი და შეძლებული. თავისუფალი ვაჭრობის დროს უფრო ადვილია **საერთაშორისო** სინდიკატების აღორძინება.

კარტელების განვითარების პირველ ნაბიჯებს თანა სდევ-და მრავალი მარცხი, ზარალი და დაშლა-დარღვევა. ეკონო-მიურ ანარქიაში აღზრდილნი და „თავისუფალ“ კონკურენ-ციის სულით გაჟღენთილნი, კარტელის წევრები ძლიერ ხში-რათ სრულს უნიჭობას იჩენდენ წეს-რიგისა და დისციპლინის დაცვაში, დაწყობილ გეგმის თანახმათ საქმის წაყვანაში. საერ-თო დადგენილებათ ისინი ან აშკარათ არღვევდენ, ან-და გვერდს უვლიდენ სხვა-და-სხვა ოინების შემწეობით, რითაც ზარალობ-დენ სწორეთ ის წევრები, რომლებიც კეთილსინდისიერათ და ერთგულათ იცავდენ კარტელის ყველა დადგენილებებს. ახლაც მრავალი სინდიკატი იღუპება ამ მიზეზის გამო.

მეორე, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი კარტელების მრავლათ დაღუპვისა ისაა, რომ ისინი ვერ ახერხებდენ თავის დარგის წარმოებაში სრულიად გაბატონებას. როდესაც დამოუკიდებლათ დარჩენილი კონკურენტები თავის წარმოების გაფართოვებას ახერხებენ, მაშინ საკარტელო ორგანიზაციის არსებობას უკვე არავითარი აზრი არა აქვს; მისი წევრებისთვის სრულიად უსარგებლოა იმ დადგენილებათა მორჩილება, რომლებიც მხოლოდ იმათს მტრებს აძლევენ უპირატესობას; საბაზრო ფასების შემუშავება და დაწესება კარტელისათვის პირდაპირ შეუძლებელი ხდება. ამაზე უფრო დამღუპველია სინდიკატისათვის ის გარემოება, როცა ამა თუ იმ დარგის ყველაზე უძლიერესი კაპიტალისტები უარს ამბობენ სინდიკატში შესვლაზე, რადგან კარგათა გრძნობენ თავიანთს ძლევა-მოსილობას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სინდიკატს შეუძლია ბაზრებს თავისი ფასები დაუდგინოს და უკარნახოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მის ხელთაა $^{2}/_{3}$—$^{3}/_{4}$ მთელის ბაზრისა.

როდესაც სინდიკატი ხელთ იგდებს ხოლმე ბატონობას თავის დარგის წარმოებაში, მაშინ ყველა ის დაწესებულებანი, რომლებიც მას არ უერთდებიან, განწირულნი არიან და დაღუპვის გზაზე დგანან; სინდიკატი თავის მტრებთან ბრძოლაში დაუზოგავთ და მოურიდებლათ სარგებლობს თავის ძალებითა და კავშირის სიმტკიცით. მაგ., გერმანიაში სასალტე რკინის მწარმოებელთა სინდიკატმა დაადგინა,-- საბრძოლი ფასები გამოაცხადდეს იმათ წინააღმდეგ, „ვინც გაბედა და მას არ შეუერთდა“. კრუჟევა არშიების ფაბრიკების სინდიკატმა შვეიცარიაში, ურჩების დასათრგუნავათ, მოახერხა და მთავრობას კანონათ დააწესებინა, რომ ყოველგან ფაბრიკებში, სადაც წინათ ზედმეტი ანუ ნაჭრობით მუშაობა არსებობდა, 11-საათიანი სამუშაო დღე შემოეღოთ. შემდეგ ამ სინდიკატმა გამოაცხადა, რომ არც ერთი ის მოსამსახურე, რომელიც ხსენებულ სინდიკატში შეუერთებელ კაპიტალისტებთან მსახურებს,

სამი თვის შემდეგ დღიდან განცხადებისა, აღარ მიიღება სამუშაოთ სინდიკატის ფაბრიკა-ქარხნებში.

კარტელების განვითარება საოცარის სისწრაფითა და სრულის თან-და-თანობით ხდებოდა. იმათი ისტორია დღემდე შეიძლება რამდენსამე ნაწილათ, ან საფეხურათ დავყოთ.

პირველი საფეხურია—მოსამზადებელი. ადგენენ შედარებით მოკლე-ვადიან სუსტ შეთანხმებებს ფასების ერთ დონეზე გასამაგრებლათ, ან და წარმოების შესამცირებლათ; ჯერ კიდევ ბუნდოვან მისწრაფებათა გავლენით ახდენენ მრავალ-გვარ ცდას. მაგრამ ასეთი ცდა ძლიერ ხშირათ მარცხდება.

ამის შემდეგ იწყება ნამდვილი კარტელების ორგანიზაცია; კაპიტალისტები მქიდრო და მტკიცე, უფრო გრძელ-ვადიან კავშირებით ეკვრებიან ერთმანეთს იმ მიზნით, რომ ერთსა და იმავე დროს გავლენა იქონიონ ბაზრის ფასების აწევ-დაწევაზე და საჭიროებისამებრ შეზღუდონ თვით წარმოება.

ასეთი შეერთება თან-და-თან უფრო და უფრო მტკიცე ხდება; კარტელის პროგრამა ფართოვდება. ამნაირათ, კარტელი ხელთ იგდებს მთელ წარმოებას, ანაწილებს ბაზრებს თავის წევრთა შორის, ნიშნავს ცენტრალურ (მოხერხებული, მთავარი, დასამხარი) ადგილებს საქონლის გასასაღებლათ, ავალებს თავის წევრებს შემოიღონ თავიანთ ქარხნებში ახალი ტეხნიკური გაუმჯობესებანი და მრავ. სხვანი.

დაბოლოს, თვითონ კავშირის შიგნით ისპობა უკანასკნელი ნაშთები კონკურენციისა, უკანასკნელი ნაშთები ცალკე კაპიტალისტების დამოუკიდებლობისა. კავშირი აწესრიგებს და ათადარიგებს წარმოების ყოველსავე წვრილმანს და საზღვრავს თვითოეული წევრის ხვედრ მოგების რაოდენობას. ამნაირათ სდგება ერთი უშველებელი დაწესებულება—ტრესტი. წინანდელი დამოუკიდებელი კაპიტალისტები მასში მხოლოდ აქციონერებათ ხდებიან. ეხლანდელის დროისათვის ეს არის—კარტელის უმაღლესი ფორმა.

კარტელების ყველა ეს ფორმები ჯერ კიდევ ახლაც

გვხდება ხოლმე ერთათ, მაგრამ ყველა ამათგანს ეტყობა უმაღლეს ფორმებში გადასვლის ტენდენცია.

დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სინდიკატების გაჩენას (1889 წელში 11 ასეთი სინდიკატი ითვლებოდა, 1896 წელს კი—40-ზე მეტი), რაც აშკარა გამომხატველია იმ ფაქტისა, რომ განვითარებული კაპიტალიზმი საერთაშორისო მოვლენაა, რომელიც ეროვნებას არ არჩევს. ასეთ სინდიკატებში შესანიშნავია ტყვია-ვერცხლეულობის სინდიკატი, რომლის ხელშიაც გროვდება მთელ დედა-მიწის ზურგზე ყოველ-წლიურათ ნაშოვარი ვერცხლის $^2/_3$ და ტყვიის $^1/_2$; შემდეგ ამისა აღსანიშნავია აგრეთვე სინდიკატები თამბაქოსი, დინამიტისა და სხვ.; ჩრდილო-ამერიკის ნავთის ტრესტი უკანასკნელ წლებში ცდილობდა რუსეთის ნავთის საქმეებიც თავის გავლენის ქვეშ დაეყენებია: მას რომ მოეხერხებინა და რუსეთის ნავთის წარმოების საქმეც ხელში ჩაეგდო, მაშინ ხსენებულ ტრესტს მთელ ქვეყნიერობაზე ამ წარმოებაში კონკურენტი აღარავინ ეყოლებოდა.

სინდიკატების რიცხვი დღეს-დღეობით რამდენიმე ასობით ითვლება.

სინდიკატების ხელში მოგროვილია აუარებელი სიმდიდრე, რითაც მათ საშუალება ეძლევათ დროზე შემოიღონ და გამოიყენონ ყოველგვარი გაუმჯობესებანი, რაც ცალკე კაპიტალისტისათვის მეტის-მეტათ ძნელი შესასრულებელია. სინდიკატების სამსახურში და განკარგულებაშია მრავალი სწავლული სპეციალისტები, რომელთა მოსამზადებლათ სინდიკატები ხშირათ აარსებენ სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებებს. საზოგადოთ კი, ორგანიზაციის ეს ახალი ფორმა ძლიერ აჩქარებს ტეხნიკურ პროგრესს.

თავის-თავათ აშკარა ხდება, თუ რამდენათ აჩქარებს სინდიკატი კაპიტალის კონცენტრაციას. უკანასკნელ წლების ცნობებით, თამბაქოების ტრესტმა შთანთქა 150 სამრეწველო დაწესებულება, ნავთისამ—400-მდე, ფოლადისამ—785. ჩრდი-

ლო-ამერიკის 447 ტრესტის კაპიტალი 20 მილიარდ დოლლარს უდრის (ე. ი. 38,000 მილიონ მანათს).

მრეწველობის საზოგადო მსვლელობაზე სინდიკატების გავლენა იმაში გამოიხატება, რომ იგი (მრეწველობის მსვლელობა) უფრო სწორეთ და მშვიდობიანათ ხდება, რასაკვირველია, მხოლოდ რამდენიმეთ. სინდიკატები თავიდან აშორებენ მრეწველობას შედარებით შერყევას, კერძო ხასიათის კრიზისებს.

მაგრამ მსოფლიო კრიზისების თავიდან აცდენა კი საკარტელო ორგანიზაციას არ ძალუძს; ეს ნათლათა სჩანს შემდეგის მოსაზრებიდან. სანამ სინდიკატს ყველა დაწესებულებანი არ შეუერთდებიან, მანამ საყოველთაო კრიზისების თავიდან აშორებაზე, აშკარაა, ლაპარაკიც კი მეტია. მაგრამ, როდესაც წარმოების ყველა დარგები ცალკ-ცალკე სინდიკატებათ დაირაზმებიან, ეკონომიური ანარქია მაშინაც არ მოისპობა: კონკურენცია მხოლოდ ახალ ფორმას იღებს და, შესაძლებელია, იგი წინანდელზე უფრო მძიმე, მძლავრი და უფრო მაზარალებელი ფორმა დარჩეს. წარმოების ცალკე დარგების ორგანიზაციათა შორის ჩაღდება სასტიკი, ულმობელი ბრძოლა. თვითოეული სინდიკატი მთელი თავისი დარგის მონოპოლისტი ხდება და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავის საქონელზე ფასები მოუმატოს; სხვები კი მას აქ ხელს უშლიან, რადგან თავის მხრივაც ასეთი მიზნის მიღწევას ცდილობენ, ე. ი. თავის საქონლის გაძვირებასა და სხვისის გაიაფებას. ამ ბრძოლის შედეგები სინდიკატების ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული. ამ ბრძოლის ნამდვილი სიმწვავე და ძლიერება რომ გავითვალისწინოთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ მრეწველობის ერთი დარგი საწარმოვო საშუალებებს უმზადებს და აწვდის მეორეს, რომ ყველა დარგებს შორის ძლიერ მჭიდრო კავშირია დამყარებული. ვთქვათ, ბამბის პლანტატორების სინდიკატმა თვალსაჩინო ფასები მოუმატა ბამბას, ამასობაში კი სართავ საქსოვ წარმოების სინდიკატმა ქსოვილების ფასები უკვე

იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია, ასე რომ, ამ ფასების კიდევ უფრო მომატება მხოლოდ ზარალის მომტანი იქნება მისთვის, რადგან მოთხოვნას შეამცირებს. მაშინ სართავ-საქსოვი სინდიკატი იძულებული ხდება ან შეურიგდეს მისთვის საზარალო ბამბის ფასებს, ან-და წარმოება შესწყვიტოს. პირველ შემთხვევაში ეს სინდიკატი ზარალში ჩავარდება და, უფრო ძლიერ სინდიკატებთან ბრძოლაში, ადრე თუ გვიან, საბოლოოვოთ დაღუპვას ვერ ასცდება. მეორე შემთხვევაში თითქო გამოდის ორი სინდიკატის გაფიცვა ერთი-მეორის წინააღმდეგ; რომელიც დამარცხდება, თავის დამოუკიდებლობა უნდა დაჰკარგოს; ამ ბრძოლის დროს დგება საშინელი ეკონომიური კრიზისი, რომელიც ანადგურებს მთელ საზოგადოებრივ მეურნეობას.

ამჟამათ კი, წარმოების საერთო კრიზისების დროს, კარტელები ისეთ უზარმაზარ ზარალში ვარდებიან, რომ მათი კაპიტალების სიდიდე-რაოდენობას სავსებით უთანასწორდება კიდეც. ეს ზარალი მაგ., 1903 წელს ჩრდილო ამერიკის 100 უმთავრესმა კარტელმა თავის აქციების კურსზე დაჰკარგა 1,754 მილიონი დოლარი, ანუ 3,000 მილიონი მანათი, ე. ი. მათი ყველა აქციების საერთო ღირებულების 44%.

თუმცა საკარტელო ორგანიზაცია ვერა სპობს საყოველთაო კრიზისებს, მაგრამ, სამაგიეროთ, **კაპიტალისტებს** იგი მაინც უადვილებს ამ კრიზისების გადატანას. ესევე კი არ ითქმის მუშების შესახებაც. მართლაც-და, ზედმეტი დამზადების წინააღმდეგ კარტელები წარმოების შემცირებით იბრძვიან, და უკვე ეს მიზეზი კმარა იმისთვის, რომ მუშა-ხელის მოთხოვნა შემცირდეს. ტეხნიკური პროგრესი კი, რომელიც ერთი-ორათ ჩქარდება ორგანიზაციის ახალი ფორმის შემწეობით, კიდევ უფრო ამრავლებს კაპიტალისტურ სათადარიგო ლაშქარს. ამას გარდა, სინდიკატების ვეებერთელა ეკონომიური ძალა ხშირათ პირდაპირ მუშების კავშირების წინაარმდეგაა მიმართული, თუმცა იგი თვით იწვევს მუშათა კავშირების განვითარებას. მუ-

შების ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში ტრესტებს ადვილათ შეუძლიანთ და კიდევაც ხარჯვენ ამ საგანზე აუარებელ თანხას, ასე რომ, სინდიკატ-ტრესტების წინააღმდეგ გამკლავება და მათთან ბრძოლაში გამარჯვება შეუძლიანთ მხოლოდ ყველაზე მსხვილ პროფესიულ ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ მუშათა პარტიებს სახელმწიფოზე თავის გავლენის საშუალებით.

სინდიკატები მეტის-მეტათ ამცირებენ სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვს, რითაც ხელს უწყობენ საქარხნო კანონმდებლობის შემოღებას, რაიცა ეკონომიურ პროგრესისათვის უსათუოთ ხელის შემწყობ პირობათ უნდა ჩაითვალოს.

თუ რა გავლენა აქვს საკარტელო ორგანიზაციებს მოგროვების ზრდაზე, ამის შესახებ ნამდვილ ცნობებს შემდეგი მაგალითი მოგვცემს. მაშინ, როდესაც საზოგადოთ ევროპაში 5— 7⁰/₀ მოგება ძლიერ მაღალ სარგებლათ ითვლება, სადინამიტო წარმოების საერთაშორისო ტრესტში, რომელშიაც შედიან მთელ დედამიწის ზურგზე მომქმედი ყველა მსხვილი სადინამიტე ქარხნები, მოგება ანუ დივიდენდი 80-იან წლებში 8— 15⁰/₀-ს შეადგენდა.

ჩრდილო ამერიკის ნავთის წარმოების უზარმაზარ ტრესტის დივიდენდი რვა წლის განმავლობაში (1896—1903), ე. ი. მაშინ, როცა სააქციონერო კაპიტალი აქციებზე აღნიშნულ ფასებით 100 მილიონ დოლარს (190 მილ. მანათს) შეადგენდა,—ყოველ-წლიურათ 31⁰/₀-დან 48⁰/₀-მდე ადიოდა. საშუალოთ კი 39⁰/₀-ს უდრიდა.

მაგრამ ორგანიზაციის ამ ახალი ფორმის გავლენა საქონლების ფასებზე, უმეტეს ნაწილათ, მაზარალებელია თავის მხმარებლისათვის: სინდიკატები მაღლა სწევენ ფასებს; ისინი არ კმაყოფილდებიან იმით, რომ თავიანთ საქონელში მათ ნამდვილ ღირებულების შესაფერ საქონელს აძლევენ. ისინი თავის საქონელს სცვლიან სხვის საქონელთა მეტ რაოდენობაზე, მაგ., ფულზე. მაგრამ როდესაც ეს სხვა საქონლებიც სინდიკა-

ტების ხელში ვარდება, როდესაც სინდიკატების განკარგულებაშია წარმოების მეტი ნაწილი, მაშინ ფასებიც ხელ-ახლა ერთს დონეზე უნდა დადგეს; ყოველ შემთხვევაში, სინდიკატების საქონლის საშუალო ფასები მაინც შაუთანასწორდება ნორმას, იმიტომ, რომ მონოპოლიის წინააღმდეგ აქ იგივე მონოპოლიაა წამოყენებული. მაგრამ კარტელები ვერც ახლა ახერხებენ ყოველთვის ფასების აწევას. უმაღლესი ფორმის კარტელებს ფასების აუწევლათაც—შეუძლიანთ აყვავებულ მდგომარეობაში იფურჩქნებოდენ,—ხანდისხან ისინი კიდეც უკლებენ ფასებს, რომ მოთხოვნა გააძლიერონ. მაგ., ჩრდილო ამერიკის ნავთის ტრესტმა, რაკი მთელი ბაზარი ხელში ჩაიგდო, მაშინვე ნავთს ფასები დაუკლო. რამდენათ უფრო უკეთესათ და ფართეთ, ტეხნიკურათ უმჯობესათ არის დაყენებული სინდიკატის წარმოება, იმდენათ უფრო შეუძლია მას და მოსალოდნელია მისგან ფასების დაკლება.

კაპიტალისტთა კლასში სინდიკატები ინტერესთა წინააღმდეგობას ბადებენ ამ კლასის სინდიკატებში შეერთებულ და მის გარეშე დარჩენილ ნაწილთა შორის. სინდიკატებს გარეთ დარჩენილი კაპიტალისტები ულმობელს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ მათ გამანადგურებელ და დამლუპველ სინდიკატებს, ცდილობენ გამოაცემინონ მთავრობას ამ ორგანიზაციების საწინააღმდეგო კანონები, ამხედრებენ მის წინააღმდეგ საზოგადოებრივ აზრს და სხვ., მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს ამაოთ რჩება: სინდიკატების ძალა განუწყვეტლივ იზრდება.

## გ) სამრეწველო დაწესებულებათა ინტეგრაცია.

შრომის საზოგადოებრივ განაწილების გამო ერთი დაწესებულება აწვდის მეორეს წარმოებისათვის აუცილებელ საჭირო საშუალებებს—იარაღებსა და მასალებს. ამ ფორმის დაწესებულებათა საურთიერთო კავშირისაც თავისი უხერხულობაც მოსდევს კაპიტალისტებისათვის: ამგვარი კავშირი ხშირათ

მეტათ დაუნდობელსა და სასტიკ ბრძოლას იწვევს ასეთ საურთიერთო დამოკიდებულებაში მყოფ დაწესებულებათა შორის. მაგ., თუ საქსოვ-სართავმა ქარხნებმა ძაფეულობის ფასებს მოუმატეს და ბაზარზე ძაფები გაძვირდა, ხოლო საფეიქრო ქარხნებს კი შეძლება არა აქვთ, რომ ქსოვილების ფასებს მოუმატონ, მაშინ უკანასკნელნი დიდ ზარალში ვარდებიან და წინანდელ ფასების აღდგენა შეუძლიანთ მხოლოდ სართავ წარმოებასთან ბრძოლით—წარმოების შემცირება-შემოკლებით.

აქედან ჩნდება ახალი ტენდენცია მრეწველობაში. თუ წინათ ტეხნიკის განვითარებისადმი გაძლიერებული ლტოლვილება ბადებდა სამრეწველო დაწესებულებათა უკიდურეს სპეციალიზაციას და მათ სამოქმედო ასპარეზს ავიწროვებდა, ახლა სპეციალიზაციის ნაცვლათ ნელ-ნელა იწყება ცალკე დაწესებულებათა წარმოების სფერის გაფართოვება. დღეს კაპიტალისტი ყოველ ღონესა ხმარობს, რომ თავის საკუთარ დაწესებულებაში გამართოს ყველა იმ იარაღებისა და მასალების წარმოება, რომელიც მისთვის ასე ძლიერ საჭიროა; ამ გზით იგი ძლიერ ამცირებს და ასუსტებს თავის დამოკიდებულებას სხვა კაპიტალისტებისაგან. თავის-თავათ ცხადია, რომ სამრეწველო დაწესებულებათა ასეთი ინტეგრაცია, ე. ი. საზოგადოებრივ-განაწილებულ—მაგრამ ერთმანეთისათვის აუცილებლათ საჭირო—წარმოებათა შეერთება შეუძლია მხოლოდ უფრო მსხვილ კაპიტალისტებს; მომეტებულ ნაწილათ ამ მიზნის განხორციელების ძალ-ღონე განსაკუთრებით შესწევთ დიდ სააქციონერო საზოგადოებათა და ტრესტებს.

სამრეწველო დაწესებულებათა ინტეგრაცია არის ისეთი პროცესი, რომელიც ძლიერ ბევრითა ჰგავს კარტელების წარმოშობის პროცესს, მაგრამ შეიცავს აღნიშნულ დაწესებულებათა მეორე მხარეს. ეს ორი ტენდენცია ერთი-მეორის დამახასიათებელია, მაგრამ მათ მაინც არ ძალ-უძთ არსებითათ შესცვალონ კაპიტალისტურ საზოგადოების წყობილება, მით

უმეტეს, რომ ამ საზოგადოების წყობილების ფარგლებში არ შეუძლიათ ბოლომდე განვითარება.

ასეთი ცვლილების მოხდენა შეუძლია მხოლოდ **მუშათა მოძრაობის განვითარებას.**

## VIII. სოციალისტური საზოგადოება.

სამრეწველო კაპიტალიზმის ხანა სრულათ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა; მაგრამ მის ურთიერთობათა დაუდგრომლობა და რყევა უკვე სავსებით გამოირკვა. გამოირკვა აგრეთვე ამ წყობილების ძირითადი წინააღმდეგობანი, რითაც სულ უფრო და უფრო ღრმათ ეთხრება მას ძირი,—და განვითარების ძალები, რომელიც ამზადებს და საძირკველს უყრის სულ სხვა, ახალ წყობილებას. საერთოთ, ნათლათ მოსჩანს აგრეთვე ის **მიმართულება,** რომლითაც მიდის ეს ძველის დანგრევა და ახალის განვითარება. ამნაირათ, დღესვე შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იქნება ახალი წყობილება და რაში იქნება მისი ძირითადი განსხვავება ახალანდელ წყობილებისაგან.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ მეცნიერებას არა აქვს უფლება ილაპარაკოს იმაზე, რაც ჯერ არა ყოფილა და რის მტკიცე, უტყუარი მაგალითიც წარსულში არ მოიძებნებაო. მაგრამ ასეთი აზრი დიდათ შემცდარია. მეცნიერება სწორეთ იმისთვის არსებობს, რომ **წინდაწინვე დაინახოს** მომავალი, **შორს-მჭვრეტელობა** გამოიჩინოს. მართალია, მეცნიერებას არ შეუძლია სრულის სისწორით გათვალისწინება იმისი, რის უტყუარი მაგალითიც ჯერ არ ყოფილა. მაგრამ როცა, საზოგადოთ, ცნობილია **ის, რაც არის**, აგრეთვე ცნობილია, ისიც, თუ **რა მხრით იცვლება იგი,** რაც არის, მაშინ მეცნიერება ვალდებულია გაარკვიოს, თუ მომავალში რა გამოვა აქედან. მეცნიერება ვალდებულია ასეთი დასკვნა გამოიყვანოს, რათა ამით შეაძლებინოს ადამიანებს, რომ მათ თავიანთ მოქმედებაში ანგარიში გაუწიონ ხსენებულ დასკვნებს, რომ უნაყოფოთ არ გაფლანგონ თავისი ძალები მომავალის წინა-

აღმდეგ ბრძოლაში, მომავალ ახალ ფორმების განვითარების შესაფერხებლათ,—არამედ შეგნებულათ იშრომონ განვითარების დასაჩქარებლათ და გასაძლიერებლათ.

მომავალი წყობილების შესახებ საზოგადოებრივ მეცნიერებას არ შეუძლიან სავსებით სწორი დასკვნები მოგვცეს, ვინაიდან საზოგადოებრივი მოვლენები ჩვენს დროში მეტათ რთულია და მათი ყოველ-მხრივათ, სავსებით და დაწვრილებით გათვალისწინება ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია; მას შეუძლიან მხოლოდ საზოგადო წარმოდგენა იქონიოს მომავალ წყობილებაზე; ამიტომ ამ ახალ წყობილების სურათიც შეიძლება მხოლოდ საზოგადო დახასიათებით იქნეს წარმოდგენილი. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ სწორეთ ეს ზოგადი თვისებებია **უფრო საყურადღებო** მხარე განსაკუთრებით ჩვენი დროის ადამიანისათვის.

მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობაში არა თუ შეუძლებელია, თუნდა დაახლოვებით მაინც, ალვნიშნოთ ის დრო, როდესაც დღევანდელი საზოგადოებრივი ფორმები ძირიანათ შეიცვლება და მის ნაცვლათ ახალი ფორმები გაჩნდება, არამედ თვით ამ ახალ ფორმებში გადასვლასაც იძულებული ვართ შემდეგი პირობითი ხასიათი მივცეთ: ახალი, უმჯობესი წყობილება დამყარდება იმ შემთხვევაში, თუ **საზოგადოება განაგრძობს თავის განვითარებაში წინსვლას ისე**, როგორც აქამდე მიისწრაფოდა. ძველი ქვეყნის ისტორია გვიჩვენებს, რომ ადამიანთა საზოგადოებანი ხანდისხან უკან-უკან მიდიან, ეცემიან, იშლებიან და იქსაქსებიან; პირველყოფილ კაცობრიობისა და აგრეთვე აღმოსავლეთის ზოგიერთ კარდახშულ საზოგადოებათა ისტორია გვეუბნება, რომ შესაძლებელია განვითარების ერთ საფეხურზე დიდხანს შეჩერებაო, მაგრამ ამ შეჩერებისა ანუ დეგრადაციისათვის საჭიროა არსებობდეს საკმაო და შესაფერი მიზეზები; თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში კი ამ მიზეზებზე მითითება არ შეიძლება. საზოგადოებას არ შეუძლიან ერთ წერტილზე შეჩერდეს ასეთ აუარე-

ბელ შინაგან წინააღმდეგობათა არსებობის დროს, როცა ცხოვრება ელვის სისწრაფით წინ მიქროლავს. ძირითად დეგრადაციის გამოწვევას ეს წინააღმდეგობანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებდენ, რომ დღევანდელ საზოგადოებაში განვითარებისათვის საკმაო ძალები და ელემენტები არ არსებობდენ; მაგრამ ეს უკანასკნელნიც არსებობენ და დღემდე იგივე საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი მხოლოდ ზრდიდენ და ამრავლებდენ აღნიშნულ ძალებსა და ელემენტებს. საზოგადოების მწარმოებელი ძალები შეუჩერებლათ იზრდებიან, ირაზმება და იზრდება უშველებელი საზოგადოებრივი კლასი, რომელიც ცდილობს ცხოვრებაში ახალი ფორმების განხორციელებას. ამიტომ არ არსებობს არავითარი სერიოზული საბუთი, რომ საზოგადოებას დეგრადაცია, უკუ-ქცევა, მოსპობა მოელოდეს; პირიქით, მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საზოგადოება განაგრძობს თავის გზას და შექმნის ახალ ფორმებს.

## 1. საზოგადოების დამოკიდებულება ბუნებასთან.

სამანქანო ტეხნიკის განვითარება ჯერ კიდევ კაპიტალიზმის ხანაში ისე თანდათანობითა და განუწყვეტლათ ხდება, რომ ადვილათ შესაძლებელია ამ განვითარების ტენდენციებისა და, მაშასადამე, მისი შედეგების გათვალისწინება და გარკვევა. ძირითადი ტენდენცია ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: ის მიმართულია სამანქანო მუშაობის **ავტომატიზმისაკენ**. ძველი ტიპის მანქანა, რომლის დროსაც ცოტათ თუ ბევრათ შესამჩნევი აუცილებელი ნაწილი სამექანიკო მოძრაობათა ისევ მუშის ხელით სრულდებოდა, ადგილს უთმობს ახალი ტიპის მანქანას—ავტომატიურ მექანიზმს, რომელთანაც მუშას თითქმის მხოლოდ ამ მანქანის მოქმედებისათვის თვალყურის გდება და კონტროლი ევალება. ამასთან მრავალ სხვა-და-სხვა დამხმარე სარეგულიაციო მოწყობილობათა შემოღებით, თვით ეს კონტროლიც სულ უფრო და უფრო მარტივდება და ადვილდება, ასე რომ, ყოველ წვრილმანებში ჩარევის მაგიერ, იგი მხო

ლოდ სხვა-და-სხვა აპარატების სისწორით მუშაობისათვის თვალ-ყურის დევნებას თხოულობს; მაგ., მექანიკოსისათვის სრულიად საჭირო არაა ყოველ წუთში მანომეტრზე ან ტოკის (ელექტრონის ძალაა) მზომელზე იყოს დაჩერებული და მუდამ ჟამს ზომები მიიღოს, რომ ერთ სათანადო დონეზე დააყენოს ორთქლის დაწოლა, ან ელექტრონის ძალა (ტოკი), რადგან ყველა ახალ მანქანას თან ახლავს თავისი რეგულიატორები, რომლებიც ერთსაცა და მეორესაც თავისთავათ, ავტომატიურათ აჩერებენ განსაზღვრულ დონეზე. მექანიკოსი ვალდებულია მხოლოდ დრო-გამოშვებით შეამოწმოს, შესაფერათ მოქმედებენ თუ არა თვითონ ეს რეგულიატორები, და მომართოს ისინი საჭიროებისა და დროის შესაფერათ, აგრეთვე უნდა იზრუნოს, რომ დროზე გაასწოროს და შეაკეთოს რეგულიატორები, თუ ვინიცობაა რომელიმე მათგანი გაფუჭდა, და სხვ. ამგვ.; მაგრამ ყველა ამასთან ერთათ, უფრო და უფრო ზევით იწევს, მატულობს ცოდნისა, მიხვედრილობისა, მოსაზრებისა და, საზოგადოთ, ფსიხიურ განვითარების დონე, რომელიც მუშისათვის ფრიად საჭიროა. მანქანასთან შრომა სულ უფრო და უფრო საორგანიზატორო შრომის მსგავსი, უფრო მეტათ გონებრივი, ინტელექტუალური ხდება და ნაკლებათ თხოულობს ხელოსნურ ცოდნას, ვიწრო სპეციალისტობასა და ხელის სიმარჯვეს. მუსკულების მუშაობა აზრის მუშაობით იცვლება, მეორე სჭარბობს პირველს.

ამასთან, მანქანების რაოდენობა და მათ-მიერ გაღვივებულის მექანიკურ ენერგიის ჯამი ისე საოცარის სისწრაფით იზრდება, რომ ადამიანის ფიზიკური ენერგია, ამ საშინელ სიდიდესთან შედარებით, თითქმის სრულ არარაობათ გვეჩვენება. ბუნების ძალები, — ესა მორჩილი უსულო მონები, რომელთა სიძლიერეც დაუსრულებლათ იზრდება და რომელნიც ადამიანის მაგიერ აკეთებენ უკანასკნელისათვის აუცილებელ საჭირო გოლიათისებურ სამუშაოებს.

ახალ საზოგადოებრივ ფორმების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიმოსვლის ტეხნიკის განვი-

თარებას; მისი საოცარი პროგრესი, რომელმაც თავი იჩინა კაპიტალიზმის ბოლო ხანებში, ცხადია, იქითკენაა მიმართული, რომ გადასთელოს და მოსპოს ყოველგვარი დაბრკოლებანი, რომელსაც დედამიწის სივრცე და ბუნება უყენებს წინ ადამიანების გაერთიანებასა და შეკავშირებას. უმავთულო ტელეგრაფისა და ტელეფონის შემოღება, როგორცა სჩანს, ძლიერ ახლო მომავალში შეაძლებინებს ადამიანებს პირდაპირ მიაწვდინონ ერთმანეთს ხმა, მიუხედავათ სიშორისა და ბუნებრივ დაბრკოლებისა, და თავიანთი საჭიროებანი გააცნონ. წასვლა-მოსვლის ყოველ საშუალებათა მუდმივი ზრდა და მით მიმოსვლის გაიაფ-გაადვილება იმ ზომამდე დაუახლოვებს ერთმანეთს ადამიანებსა და მათს ნაშრომ-ნაწარმოებს, რომ სიზმრათაც კი არ მოლანდებოდეთ წარსულ თაობებს. დასასრულ, ეჭვი არაა, მოახლოვებულია ის დროც, როცა ადამიანის გონება შეჰქმნის კაცის სურვილისამებრ თავისუფლათ ჰაერში საფრენ აპარატებს. ამ უძნელეს ამოცანის განხორციელება კი ადამიანს მიანიჭებს სრულ რეალურ დამოუკიდებლობას მიწის ზედაპირის, მისი შენობისა, მოხაზულობისა და მოყვანილობის გეოგრაფიულ პირობებისაგან.

**ნამდვილი, მეცნიერულათ მოწყობილ ტეხნიკის ნიადაგზე აღმოცენებული, ადამიანის უსაზღვრო მბრძანებლობა ბუნებაზე,**—აი, ასეთია მომავალ საზოგადოების პირველი დახასიათება.

## 2. წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

როგორც უკვე დავინახეთ, კაპიტალიზმის ხანაში სამანქანო ტეხნიკა ორნაირათ ცვლის თანამშრომლობის ფორმებს. ერთის მხრით, შრომის ტეხნიკურათ განაწილება კარგავს სპეციალიზაციის ხასიათს, რომელიც მუშის ფსიხიკას ავიწროებს და საზღვრებს უდებს, და ამით უახლოვდება „მარტივ კოოპერაციას“, რომელშიაც მუშები სრულიად ერთგვარ სამუშაოს ეწევიან; ამასთან, ტეხნიკური სპეციალიზაცია ადამიანისაგან

მანქანაზე გადადის. მეორე მხრივ, ამ თანამშრომლობის ჩარჩოები წარმოუდგენელ ზომამდე ფართოვდება. არსდებიან ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც ათასობითა და ათი-ათასობით მუშებს უყრიან თავს ერთ მოწყობილ წარმოების ჭერ ქვეშ.

ახალ წყობილებაში ორივე ეს ტენდენცია თავის განვითარებაში გაცილებით უფრო შორს წავა, ვინემ მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში იყო შესაძლებელი. პროფესიულ სპეციალიზაციათა განსხვავება იმდენათ უმნიშვნელო და მცირე შეიქნება, რომ საბოლოვოთ გაქრება ის ფსიხიური კანცალკევება, რომელსაც ბადებს ადამიანის შრომის ყოველ-დღიური სხვა-და-სხვა-გვარობა; მათი ერთმანეთის გაგება და მთლიანობა დაუბრკოლებლივ ფართოვდება და ფესვებს იდგამს ცხოვრების შინაარსის ნამდვილ გაერთიანების ნიადაგზე.

იმავე დროს განუწყვეტლივ ვრცელდება ადამიანების მტკიცეთ შეერთება შრომის ნიადაგზე, რისთვისაც ისინი ასი-ათასობითა და მილიონობით ჯგუფდებიან ერთ რომელისამე საშრომო ამოცანის გარშემო.

ამ ორი ძველი ტენდენციის შემდეგი განვითარება აჩენს უკვე მომავალ, კაპიტალისტურ საზოგადოების მომდევნო წყობილების ნიშნობლივ თვისებებს. ერთის მხრით, მარცხდება და მნიშვნელობას კარგავს სპეციალიზაციის უკანასკნელი და დღემდე თითქმის უცვლელ-ურყეველი ფორმა—ადამიანების ორგანიზატორებათ და ალმასრულებლებათ დაყოფა. მეორე მხრით—ადამიანთა ყოველივე საშრომო დაჯგუფება უფრო მოძრავი, უფრო ადვილათ ცვალებადი ხდება.

თუმცა მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში ალმასრულებლის შრომა თავის ხასიათით ძლიერ უახლოვდება ორგანიზატორის შრომას, მაგრამ მათ შორის მაინც საკმაო განსხვავება რჩება; ამიტომ საორგანიზატორო და ალმასრულებელ როლების ცალკ-ცალკე არსებობა ისევ ისე მტკიცეთ ინახება: სამანქანო წარმოების საუკეთესოთ მცოდნე მუშას მისი დირექტორის მაგიერობის გაწევა მაინც არ შეუძლია. მაგრამ მექანიზმების სი-

როულის შემდეგი განვითარება და, ამასთან ერთათ, მუშის საერთო ინტელიგენტობის ზრდა ამ განსხვავებასაც უეჭველათ ძირს გამოუთხრის და მოსპობს. და მით შესაძლებლათ გახდის, რომ ორგანიზატორის მაგიერობა ყოველმა აღმასრულებელმა შესძლოს, და პირიქით. მაშინ საბოლოვოთ გაქრება ამ ორი ტიპის უთანასწორობა შრომის პროცესში და ორივე ერთი-მეორეში გაითქვიფება.

ფსიხიური სპეციალიზაციის უკანასკნელ ნაშთებთან ერთათ, განსაზღვრულ პირთათვის ერთხელვე მიცემულ სამუშაოზე მიჩენა და მხოლოდ მასში სამუდამოთ ჩაბმა სრულიად ქრება. შრომის ახალი ფორმები თხოულობს ისეთ გონებრივ განვითარებასა და მრავალ-მხრივ დაკვირვებას, რომლის შესაძენათაც მუშა პირდაპირ იძულებული ხდება დრო-გამოშვებით გამოიცვალოს სამუშაო, გადავიდეს ერთი მანქანიდან მეორეზე, „ორგანიზატორის“ როლის ნაცვლათ „აღმასრულებელის“ როლი იკისროს და სხვ.; ხოლო დღევანდელთან შედარებით ტეხნიკის გაცილებით უფრო გაჩქარებულმა პროგრესმა, რომელსაც ყოველთვის თან მოსდევს მანქანებისა და მათი კომბინაციების მუდმივი გაუმჯობესებანი, მეტის-მეტათ უნდა აამოძრავოს, უნდა ჩქარა შესცვალოს თვით დაჯგუფება ადამიანის ძალებისა განცალკევებულ საშრომო სისტემებათ (ანუ სამრეწველო დაწესებულებებათ, როგორც ახლა უწოდებენ).

ყველაფერი ეს შესაძლებელი და განსახორციელებელი ხდება იმის გამო, რომ მთელი წარმოება **საზოგადოების-მიერ შეგნებულათ და გეგმის შესაფერათ არის მოწყობილი.** სამეცნიერო ცდისა და საშრომო სოლიდარობის საფუძველზე მყარდება შრომის საყოველთაო გაერთიანებული ორგანიზაცია; ისპობა ის ანარქია, რომელიც კაპიტალიზმის ხანაში ერთს მეორისაგან თიშავს და აცალკევებს თვითოეულ წარმოებას შეუბრალებელ და გამანადგურებელ კონკურენციის მეოხებით, ხოლო მთელ საზოგადოებრივ კლასებს კი—სასტიკი ბრძოლის შემწეობით. მეცნიერება უჩვენებს გზას ასეთის ორგანიზაციი-

საკენ და იმუშავებს საშუალებებს მის შესასრულებლათ და მოსაწყობათ; შეგნებულ მუშათა შეეერთებული ძალა კი ახორციელებს ამ ორგანიზაციას.

წარმოების ამ ახალ სისტემაში თვითოეული მუშა ნამდვილათ უდრის მეორე მუშას, როგორც ერთის გონიერ მთელის შემადგენელი შეგნებული ელემენტი; ამ სისტემაში თვითოეულს სრული შეძლება აქვს, რაც შეიძლება, მეტათ ფართოთ და ყოველ მხრივ განავითაროს თავისი საშრომო ძალა და, რაც შეიძლება, მიზნის შესაფერათ მოიხმაროს იგი ყველას სასარგებლოთ.

მაშასადამე, **მწყობრი ორგანიზაცია მთელის საწარმოვო სისტემისა, მისი ელემენტების და ჯგუფების უძლიერეს ამოძრავება-განვითარებითა და მშრომელთა უმაღლეს ფსიხიურ ერთგვარობით, როგორც ყოველ-მხრივათ განვითარებულ და შეგნებულ მუშებისა,**—აი მეორე დამახასიათებელი თვისება მომავალ კაპიტალისტურის მომდევნო საზოგადოებისა.

## 3. განაწილება.

განაწილება წარმოადგენს საზოგადოთ წარმოების სისტემის აუცილებელ ნაწილს, და მისი ორგანიზაციით ამ ელემენტებისგანაა დამოკიდებული. წარმოების ორგანიზაციულათ მოწყობა, ერთ გეგმაზე აგება იწვევს განაწილების ასეთსავე ორგანიზაციას. უზენაესი ორგანიზატორი აქაცა და იქაც მთელი საზოგადოებაა, როგორც ერთი მთელი. იგი ანაწილებს შრომას და ამის შესაფერათ ანაწილებს შრომის ნაწარმოებსაც. ეს სრული უარყოფაა იმ ანარქიულ მოუწყობელ განაწილებისა, რომელიც გამოიხატება ცვლასა და კერძო საკუთრებაში, და რომელიც კონკურენციისა და ინტერესთა ტლანქ, მოუხეშავ ბრძოლის ნიადაგზეა აშენებული.

განაწილების პრინციპი თანამშრომლობის ორგანიზაციის პირდაპირ საფუძველიდან გამომდინარეობს. თუ წარმოების

სისტემა ისეა მოწყობილი, რომ შეძლებას მისცემს საზოგადოების თვითოეულ წევრს სრულათ და ყოველ-მხრივ განავითაროს თავისი ძალები და მიზნის შესაფერათ ყველას სასარგებლოთ მოიხმაროს იგი, მაშინ განაწილების სისტემაც უნდა აძლევდეს საზოგადოების თვითოეულ წევრს ყველა მოსახმარ საშუალებებს, რომლებიც მას აუცილებლათ ესაჭიროება, როგორც თავის ძალთა განვითარებისათვის, აგრეთვე ამ ძალთა გამოყენებისთვისაც. დაახლოვებით ეს აზრი, ---თუმცა სრულათ და სისწორით კი არა, --გამოიხატება შრომისა და ნაწარმობის განაწილების, ეგრეთ წოდებულ, ჩვეულებრივ კომუნისტურ ფორმულაში: თვითოეულისაგან მისი შეძლების გვარათ (ე. ი. მოეთხოვოს) და თვითოეულს მის მოთხოვნილებათა შესაფერათ (მიეცეს).

წარმოებისა—და განაწილების საზოგადოებრივი ორგანიზაცია გულისხმობს საზოგადოებრივ საკუთრებას საწარმოვო საშუალებებზე და საზოგადოებრივ შრომით შექმნილ სახმარ საგნებზე იმ წუთამდე, ვიდრე საზოგადოება ამ საგნებს ცალკე პირებს დაურიგებდეს პირად მოსახმარათ. სწორეთ ამ წუთის შემდეგ, ამ მოხმარის დარგში, რომელიც არსებითათ ინდივიდუალურია, იწყება „ინდივიდუალური საკუთრება“. მაგრამ ამგვარ საკუთრებას, რასაკვირველია, არაფერი საერთო არა აქვს კაპიტალისტურ კერძო საკუთრებასთან, რომელიც, პირველ ყოვლისა, არის კერძო პირების საკუთრება საწარმოვო საშუალებებზე და არ შეიცავს მუშების უფლებას აუცილებლათ საჭირო საშუალებათა მოხმარისას.

განაწილების ახალი ორგანიზაციის სირთულე, ცხადია, საშინლათ დიდი უნდა იყოს და მოითხოვს სტატისტიკურ და ცნობების შემკრებელ აპარატების ისეთ განვითარებას, რომლის მიღწევამდე ჩვენი ხანა ჯერ კიდევ ძლიერ შორსაა. მაგრამ უკვე ჩვენს დროშიაც ეკონომიურ ცხოვრების სხვა-და-სხვა დარგებში ისახება ისეთი ელემენტები, რომლებიც ამგვარ აპარატის მასალათ უნდა გამოდგეს: ასეთია საბანკო და სავაჭრო საქმეთა სფეროში—აგენტურები და

ექსპერტების კომიტეტში აზრის მდგომარეობის გამოსარკვევად, საბარეო ორგანიზაცია და სხვა ამგვარები; ასეთივეა აგრეთვე მუშა-თა მოძრაობის სფეროში—კავშირების ურთიერთ დამხმარე კასების მოწყობა, მომხმარებელი საზოგადოებანი და სხვ.; შემდეგ, აქვე უნ-და მივათვალოთ სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაცია და სხვ.; მაგ-რამ ყველა ეს ელემენტები არსებითად უნდა შეიცვალონ, რომ განა-წილების მომავალ სისტემაში შევიდნენ, იმიტომ, რომ ისინი ახლა შე-ხამებულნი არიან კაპიტალიზმის ანარქიულ სისტემასთან და მის ფორ-მებს ემორჩილებიან. ახლა ესენი უფრო მომავალ ერთად-ერთ მთლიან და მწყობრ განაწილების სისტემის—მომასწავებელი აქა-იქ გაბ-ნეული **ნასახებია.**

მაშასადამე, **საზოგადოებრივ-მოწესრიგებული განა-წილება—საზოგადოებრივ საკუთრების ნიადაგზე წარ-მოების ყველა საშუალებებისა,**—აი მესამე დახასიათება მო-მავალ, კაპიტალისტურის მომდევნო წყობილებისა.

### 4. საზოგადოებრივი ფსიხოლოგია.

ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ძირითად წყობილე-ბით ისაზღვრება პირველი თვისება საზოგადოებრივ ფსიხოლო-გიისა, რომელიც თავს იჩენს ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში: ესაა უმწვერვალესი საფეხური **საზოგადოებრივობისა.** კაცო-ბრიობის დიადი ოჯახის საშრომო ნიადაგზე შეკავშირებამ და ადამიანთა განვითარების სრულმა ერთგვარობამ ადამიანების ერთი-მეორისადმი თანაგრძნობა და ურთიერთის გაგება იმ ხა-რისხამდე უნდა აიყვანოს, რომელთან შედარებით თანამედ-როვე მუშათა კლასის—ამ აწმყოში მომავალ საზოგადოების წარმომადგენელის—შეგნებულ და მებრძოლ ელემენტთა თა-ნამედროვე სოლიდარობა სუსტ აჩრდილად უნდა ჩაითვალოს. ულმობელ კონკურენციის ეპოქაში, კერძო ადამიანთა, ჯგუფ-თა და კლასთა დაუნდობელ ეკონომიურ მტრობის ხანაში აღ-ზრდილი ადამიანი ვერც კი შესძლებს წარმოიდგინოს ისეთი ამხანაგური კავშირის განვითარება ადამიანთა შორის, რომე-

ლიც ორგანიულათ გამომდინარეობს ახალ საშრომო ურთიერთობათაგან.

გარეშე ბუნებაზე და თავის საკუთარ ბუნებაზე საზოგადოების რეალურ მბრძანებლობიდან გამომდინარეობს ახალი ქვეყნის ფსიხოლოგიის მეორე თვისება, ესაა—**ყოველგვარ ფეტიშიზმის გადაგდება, უარყოფა**, სიწმინდე და სიცხადე მისტიკურ კერპებისაგან და მეტაფიზიკურ ნაშთებისაგან განთავისუფლებულ ცოდნა-შეგნებისა. ქრება ნატურალურ ფეტიშიზმის ყოველივე ნაშთები, რაიცა ნიშანია ადამიანზე გარეშე ბუნების ბატონობის საბოლოვოთ დამხობისა; იშლება და ძირიან-ფესვიანათ ისპობა სოციალური ფეტიშიზმი, რომელიც გამოხატავს ადამიანზე საზოგადოების ბუნების სტიქიურ ძალთა ბატონობას და ბაზრისა და კონკურენციის მბრძანებლობას. საზოგადოებრივი ადამიანი შეგნებულათ და მოწესრიგებულათ ებრძვის ბუნების სტიქიას და ამ ბრძოლაში არკვევს თავის საკუთარ დამოკიდებულებებს; ამიტომ მას უკვე აღარ ესაჭიროება ის კერპები, რომლებიც გარეშე ბუნების გარდუვალ და დაუძლეველ ძალების წინაშე უძლურებისა და უმწეობის გრძნობის შედეგია. ის, რაც წინათ საზოგადოებრივ ადამიანის გონებისათვის გაუგებელი და მიუწვდომელი იყო, დღეს მისი შეგნებისათვის უკვე აღარაა მიუწვდომელი, იმიტომ, რომ ორგანიზაციულათ მოწყობილ შრომის ნიადაგზე შეგნების პროცესი გრძნობს თავის ძალას, თავის ძლევა-მოსილ მსვლელობას, რადგან არ არსებობს ცხოვრების არც ერთი კუნჭული, რომელიც საიდუმლოების დაუნგრეველის კედლით იყოს შემოზღუდული.

როგორც შედეგი საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის ორივე ნაჩვენებ თვისებათა შეერთებისა, ჩნდება მესამე თვისება—**პროგრესიული აღმოფხვრა ძალდატანებითი ნორმებისა** და, საზოგადოთ, იძულებითი ელემენტებისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ყოველგვარ ძალდატანებითი ნორმების—ზნე-ჩვეულებისა,

უფლებისა და ზნეობის—სასარგებლო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნორმები აწესრიგებს წინააღმდეგობას ადამიანებსა, ჯგუფებსა და კლასებს შორის. ეს წინააღმდეგობაა—ბრძოლა, კონკურენცია, მტრობა და ძალ-მომრეობა რომელთა სათავე იმყოფება საზოგადოებრივ მთელის მოუწყობლობასა და ანარქიულ მდგომარეობაში. ძალდატანებითი ნორმები, რომლებიც რამდენიმეთ სტიქიურათ და რამდენიმეთ კი შეგნებულათ შეუმუშავებია საზოგადოებას ყველა ამ მოუწყობლობასა და წინააღმდეგობასთან საბრძოლველათ, ადამიანთათვის გარეშე ძალათ ხდება, რომელსაც ეს ადამიანები ემორჩილებიან; და როგორც გარეშე,—**ადამიანს ზევით მდგომი**— ძალა, ეს ნორმები ფეტიშათ ხდება, ე. ი. გადამახინჯებულათ ეჩვენება ადამიანებს, როგორც რაღაც უზენაესი რამ, რომელიც თაყვანისცემასა და მუხლის მოდრეკას თხოულობს. ამ ფეტიშიზმის დაუხმარებლათ იძულებითი ნორმები ვერ მოიპოვებს ადამიანებზე ისეთ გავლენას, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ცხოვრების წინააღმდეგობა-უკუღმართობათა დასათრგუნავათ და შესასუსტებლათ. ნატურალურ ფეტიშისტსა ჰგონია, რომ ძალა-უფლობას, უფლებას, მბრძანებლობას, ზნეობასა და სხვ. თვით ნივთთა ბუნებაში აქვთ სათავე. ერთიცა და მეორეც ნიშნავს—უზენაეს შთამომავლობას, აბსოლიუტურ მნიშვნელობას. ფეტიშისტი, რომელსაც ღრმათა სწამს ასეთი უზენაესი და აბსოლიუტური ხასიათი ნორმებისა, მონურის ერთგულობითა და გულ დადებით ემორჩილება ამ ნორმებს და ამით აძლიერებს მათს გავლენას საზოგადოებაში.

როდესაც საზოგადოება თავს აღწევს ანარქიას და მის ნაცვლათ მწყობრი ორგანიზაციის ჰარმონიულ ფორმებს იღებს, მაშინ ცხოვრების უკუღმართობანი მასში წარმოადგენენ არა ძირითად და მუდმივ მოვლენას, არამედ მხოლოდ კერძოსა და შემთხვევითს. იძულებითი ნორმები კი ერთი თავისებური „კანონებია“, მხოლოდ იმ აზრით, რომ ამ „კანონებმა“ უნდა მოაწესრიგოს ისეთი მოვლენები, რომელიც ხშირათ მეორ-

დებიან და თვით საზოგადობრივ წყობილებიდან გამომდინარეობენ; ცხადია, რომ ახალ წყობილებაში აღნიშნული ნორმები კარგავენ თავის აზრს. შემთხვევითი და კერძო წინააღმდეგობანი კი **სოციალურ გრძნობისა და შემეცნების** უმაღლესათ განვითარების გამო, „ძალა-უფლობის"-მიერ იძულებით შემოღებულ სპეციალურ „კანონების" დაუხმარებლათაც ადვილათ იშლებიან და ქრებიან მაგ., თუ სულით ავათმყოფისაგან საზოგადოებას რაიმე ხიფათი მოელის, ან რაიმე ზარალი მიადგება რომელსამე კერძო ადამიანს, აქ განსაკუთრებული „კანონები" და „მთავრობის" ორგანოები სრულიადაც არაა საჭირო, რომ ასეთი უკუღმართი საზოგადოებრივი მოვლენა თავიდან იქმნას აცილებული,—აქ საკმაოა მეცნიერების დახმარება, რომ ავათმყოფ ადამიანს შესაფერათ მოვუაროთ და ვუწამლოთ, ამასთან ავათმყოფისათვის მოსავლელათ მიჩენილ ადამიანებს კიდევ სოციალური გრძნობა უნდა ქონდეთ, რომ სხეულის მხრით ძალ-მომრეობის ჩადენას ვეწინააღმდეგოთ და თან, რაც შეიძლება, ნაკლები ძალადობა ვიხმაროთ მის პიროვნების წინააღმდეგ.

უფრო მაღალი ტიპის საზოგადოებაში იძულებითი ნორმების მნიშვნელობა და აზრი იკარგება მით უმეტეს, რომ ამ ნორმებთან შეკავშირებულ სოციალურ ფეტიშიზმის გაქრობასთან ერთათ, თვით ისინიც კარგავენ თავის უზენაეს ძალას.

შემცდარი არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ახალ საზოგადოებაშიაც უნდა დაცულ იქმნას „სახელმწიფოებრივი წყობილება", ე. ი. უფლებრივი ორგანიზაცია, მხოლოდ იმიტომ, რომ საჭირო იქნება ზოგიერთი იძულებითი კანონები, მაგ., კანონი იმის შესახებ, რომ საზოგადოების თვითოეულმა წევრმა დღეში ამდენი და ამდენი საათი იმუშაოს საზოგადოებისათვის. **ყოველი სახელმწიფოებრივი წყობილება არის ორგანიზაცია კლასობრივ ბატონობისა**, და ამიტომ ამნაირი წყობილება შეუძლებელია იქ, სადაც არაა კლასები. რაც შეეხება საზოგადოებაში შრომის განაწილებას, ახალ წყობილების დროს ამის სამართლიანად მოწესრიგების გარანტიას იძლევიან,

ერთის მხრით, მეცნიერება და მისი გამომხატველი შრომის ტეხნიკური ორგანიზატორები, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ მეცნიერების და არა ძალა-უფლობის სახელით და, მეორეს მხრით—სოციალურ გრძნობის ძალა, რომელიც მჭიდროთ აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანებს და ამნაირათ ქმნის ერთ მჭიდრო საკაცობრიო მშრომელ ოჯახს, იმ წრფელის მისწრაფებებით გამსჭვალულს, რომ ყველაფერი ყველას სასარგებლოთ გააკეთონ.

მხოლოდ გარდამავალ ხანაში, როცა ჯერ კიდევ არაა სრულიად გამქრალი წარსულ კლასობრივ წინააღმდეგობათა ნაშთები, შეიძლება ახალ საზოგადოებისათვისაც გამოდგეს სახელმწიფოებრივი ფორმა და ასე შესდგეს „სახელმწიფო მომავალისა“, მაგრამ ეს სახელმწიფო იქნება კლასობრივ ბატონობის ორგანიზაცია, ანუ—ორგანიზაცია პროლეტარიატის ბატონობისა, ე. ი. იმ კლასისა, რომელიც სპობს საზოგადოების კლასებათ დაყოფას, და ამ დაყოფასთან ერთად სპობს საზოგადოების სახელმწიფოებრივ ფორმასაც.

## 5) განვითარების ძალები.

ახალი საზოგადოება დამყარებულია არა მცვლელ, არამედ **ნატურალურ** მეურნეობაზე. ნაწარმოებთა წარმოებასა და ხმარებას შუა სდგას არა ბაზარი, ყიდვა-გაყიდვა, არამედ მხოლოდ შეგნებულათ და წინდაწინ შემუშავებულ გეგმის თანახმათ მოწყობილი განაწილება.

ახალი ნატურალური მეურნეობა ძველის, მაგ., პირველყოფილ კომუნისტურ—მეურნეობისაგან მით განსხვავდება, რომ იტევს თავის ფარგლებში არა დიდს ან პატარა თემს (ОБЩИНА), არამედ მრავალ ას მილიონ ხალხისაგან შემდგარ მთელ საზოგადოებას და მის შემდეგ—მთელს კაცობრიობას.

მცვლელ მეურნეობაზე დამყარებულ საზოგადოებაში განვითარების ძალებია „მცხოვრებთა შედარებითი სიჭარბე“, კონკურენცია, კლასობრივი ბრძოლა, ე. ი. არსებითად საზოგადოებრივი ცხოვრების **შინაგანი წინააღმდეგობანი**. ნატურალურ მეურნეობიან საზოგადოებაში კი, რომელიც ჩვენ ზე-

ვით განვიხილეთ — საგვარეულოში, ფეოდალურში და სხვ. ამგვარებში, — ეს ძალაა — „მცხოვრებთა აბსოლიუტური სიჭარბე", ე. ი. **გარეგანი წინააღმდეგობა**, წინააღმდეგობა საზოგადოებასა და ბუნებას შორის, შეუთანხმებლობა გამრავლებისაგან გამოწვეულ საცხოვრებელ სახსართა მოთხოვნილების ზრდასა და ამ საშუალებათა საერთო ჯამს შორის, რომელსაც იძლევა ბუნება შრომის არსებულ წესების შემწეობით.

ახალ, ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებულ, საზოგადოებაში განვითარების ძალები ისევ **გარეგან წინააღმდეგობაში** მდგომარეობს — საზოგადოების ბუნებასთან დამოკიდებულებაში, საზოგადოების **ბუნებასთან ბრძოლის თვით პროცესში.** აქ საჭირო არაა ზედმეტი გამრავლების ნელა მომქმედი ძალა, რომ ადამიანმა კიდევ უფრო განავითაროს თავისი შრომა და შეგნება: კაცობრიობის მოთხოვნილებანი იზრდებიან თვითონ ცდისა და შრომის პროცესში, ყოველი ახალი გამარჯვება ბუნებასა და მის საიდუმლოებაზე ახალ საკითხებს უყენებს მაღალ განვითარებულ, ჰარმონიულ, ყოველივე ნაკლულოვანებისა დî წინააღმდეგობისადმი მგრძნობიარე ფხიზელ ფსიხიკას ახალის ადამიანისას. ბუნებაზე გაბატონება ნიშნავს საზოგადოებრივ ენერგიის მუდმივ დაგროვებას, რომელსაც ადამიანი გარეშე ბუნებისაგან ითვისებს. ნოგროვებული ენერგია ეძებს გამოსასვლელ გზას და ჰპოვებს მას შემოქმედებაში, შრომისა და შეგნების ახალი ფორმების შექმნაში.

მარა ისიც მართალია, რომ ენერგიის დაგროვებას მუდამ როდი მიჰყავს ადამიანი შემოქმედებისაკენ, — მას გადაშენებისაკენ წაყვანაც შეუძლია. ახლანდელისა და უწინდელ საზოგადოებათა პარაზიტული კლასები დიდ ენერგიას იძენდენ და თავს უყრიდენ სხვა ადამიანების შრომით, მარა მას ხარჯავდენ არა შემოქმედებაზე, არამედ გარყვნილებაში, ფუფუნება-ფუქსავატობაში, სათუთ მოთხოვნილებათა განვითარება-დაკმაყოფილებაში; ეს კი იწვევს ფსიხიკის დასუსტებას, კლასის დაცემას, მაგრამ ასეთია მხოლოდ **პარაზიტები** — მუქთა-ხორები; ისინი ცხოვრობენ არა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასა, არამედ

სხვათა ოფლით შექმნილისა და დამზადებულის **მოხმარების სფეროში**; რაც თქმა უნდა, რომ სწორედ ამ სფეროში ეძიებენ ისინი ცხოვრების ახალ ფორმებს — და ჰპოვებენ კიდეც ექსპლოატაცია-ფუფუნებაში და დამახინჯება-გათახსირებაში. ასეთ პარაზიტების ახალ საზოგადოებაში ადგილი აღარ ექნებათ: აქ ყველანი — მშრომელნი არიან და მხოლოდ **შრომის** სფეროში იკმაყოფილებენ თავიანთ შემოქმედების წყურვილს, რომელიც ზედმეტის ენერგიისაგან გამომდინარეობს. ისინი უმაღლეს წერტილამდე აუმჯობესებენ ტექნიკას და მეცნიერებას, და, მაშასადამე — თავის საკუთარ ბუნებასაც.

საშრომო გამოცდილებისაგან წარმოშობილი განვითარების ახალი ძალები იმდენათ უფრო ძლიერათ და ჩქარა მოქმედებენ, რამდენათაც უფრო ფართე, რთული და მრავალმხრივია ეს გამოცდილება. ამიტომ ახალ საზოგადოებაში, მისი საშრომო სისტემის გასაოცარის გაფართოებითა და სირთულით, მისი მეტის-მეტათ მჭიდრო შეკავშირებით, რომელიც აერთიანებს და ერთი-მეორეს უახლოვებს სრულიად სხვა-დასხვა ადამიანთა გამოცდილებას (თუ ისინი განვითარების ერთნაირ დონეზე დგანან), — ამ განვითარების ძალებმა უნდა **შექმნან** ისეთი სწრაფი პროგრესი, რომლის შესახებაც ჩვენ და ახლოვებით სწორი წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია. მომავალის ჰარმონიული პროგრესი გაცილებით უფრო მეტი ძლევამოსილი და ინტენსიური იქნება, ვინემ ჩვენი დროის ნახევრათ სტიქიური, წინაალმდეგობათა ქსელით შებორკილი პროგრესი.

განვითარების ყოველი **ეკონომიური დაბრკოლებანი** ახალ საზოგადოებრივ სისტემაში მოსპობილია. მაგ., მანქანების გავრცელება, რაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში მანქანათა **სარგებლიანობით** განისაზღვრება, მომავალ საზოგადოებაში სავსებით დამოკიდებულია მხოლოდ მანქანების წარმოების ნაყოფიერებაზე. ხოლო ჩვენ კი უკვე ვიცით, რომ მანქანა, რომელიც შრომის დასაზოგველად მეტად სასარგებლო და დიდ-მნიშვნელოვანია, ხშირად სრულიად გამოუ-

სადეკარის კაპიტალისტურ მოგების თვალსაზრისით (იხ. თავი მან-ქანების გავრცელების შესახებ).

ამნაირათ, უმაღლესი **საფეხური ბუნებაზე გაბატონე-ბისა, ორგანიზაციულათ შეკავშირებისა, საზოგადოებრი-ვობის, თავისუფლებისა და პროგრესის განვითარებისა,** როგორიც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანის გონებამ,— **აი, საერთო დახასიათება ახალის, სოციალისტურის წყო-ბილებისა.**

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

# უცხო სიტყვების ახსნა.

## ა.

**აბსოლიუტური** — განუსაზღვრელი, უპირობოითი, სრული, განუყოფელითი, უცვლელობითი. ფილოსოფიურ სისტემაში აბსოლიუტური ნიშნავს სამყაროს უკანასკნელ მიზეზს, ძირითად დედა-აზრს; სამყაროს შემომძრავებელ ძალას, მსოფლიო სულს, განუსაზღვრელ აზრს. **აბსოლიუტისტი** — მომხრე შეუზღუდავ მართვა-გამგეობისა, თვითმპყრობელობისა.

**აბსტრაქცია**, აბსტრაქტული — განყენებული, ზოგადი, ხელ-მოუჭიდებელი, განყენებული ცნება, როგორიც არის, მაგ., ჭეშმარიტება, სათნოება, სიბრძნე და სხვანი.

**აბსურდი** — სისულელე, შეუსაბამობა, თავისთავე წინააღმდეგი.

**აგრარიები** — მიწათმფლობელები, დიდი მამულების მესაკუთრე თავად-აზნაურობა. — **აგრარიები** — 1870 წლიდან პოლიტიკური პარტია გერმანიაში, რომელიც იცავს სასოფლო-სამეურნეო ინტერესებს კაპიტალის წინააღმდეგ.

**ადმინისტრაცია** — მართვა-გამგეობა სახელმწიფოსი თუ კერძო საზოგადოებისა. **ადმინისტრატიული** — საგამგეო. **ადმინისტრატორი** — გამგე. მმართველი.

**ავანტიურისტი** — გაიძვერა, გაქნილი, თავზე ხელ-აღებული, ძლიერი შთაბეჭდილების მოტრფიალე; ბედის მაძიებელი, სიმდიდრისა და დიდების მოსიყვარულე.

**ავსტრია** — სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. **ავსტრო-უნგრეთი** — ასე იწოდება 1868 წლიდან წინანდელი ავსტრიის იმპერია, ამ წლიდან იგი იწოდება ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოთ. 1860 წლიდან აქ არსებობს მონარქიული კონსტიტუცია.

**ავტომატი, -ური** — თვით-მოძრავი, საკუთარ ნების გარეშე მომქმედი.

**ავტორიტეტი** — ეს თუ ის პიროვნებანი, ეს თუ ის დაწესებულებანი, რომელთაც თავიანთ უპირატესობით გავლენა მოუპოვებიათ ადამიანთა აზრ-შეხედულებაზე ან მოქმედებაზე.

**ავტორი** — დამწერი თხზულებისა, შემთხზველი წიგნისა, ლექსისა, წერილისა.

**აზია** — უდიდესი ხმელეთი დედამიწისა.

**ათინა** — საბერძნეთის სატახტო ქალაქი; ძველის ზეპირ თქმულობით, გაშენებულა პირველად 1500 წ. ქრ. წინათ.

**ალპები** — უდიდესი მთები დასავლეთ ევროპაში.

**ალქიმია** — საშუალო საუკუნეებში არსებობდა მეცნიერება, რომელიც მისდევდა უბრალო ლითონის ძვირფას ლითონად გადაქცევას. აქედან წარმოიშვა თანამედროვე **ქიმია** (იხ. ქიმია). **ალქიმიკოსები** — მეცნიერები, რომლებიც ეძებდენ აღმოეჩინათ ისეთი ნივთიერება, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდენ — **ფილოსოფიური ქვა**, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ყოფილიყო უბრალო ლითონი ოქროვერცხლად გადაექციათ და განეკურნათ ადამიანები ყოველგვარის სენისაგან.

**ალტრუისტი** — კაცი, რომელიც მუდამ მოყვასის სიკეთისათვის იღვწის.

**ამერიკა** — დიდი ხმელეთი ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებს შუა, რომელიც ესპანელმა ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა 1492 წელს.

**ანალიზი** — გარჩევა, დანაწილება. ქიმიაში ასე ეძახიან რთული სხეულის სხვა-და-სხვა ელემენტებად (იხ. ელემენტი) დანაწილებას. ფილოსოფიაში — რომელისამე ცნების განმარტება.

**ანალოგია** — მსგავსება, ერთგვარობა, ერთსახობა.

**ანარქია** — საზოგადოთ უარყოფა მთავრობისა და მმართველობისა; საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, სადაც უარყოფილია ყოველგვარი ავტორიტეტი, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უფლებრივი ნორმები (იხ. ნორმა). ეკონომიურ ცხოვრებაში მოუწესრიგებელი, უგეგმო წარმოება, როცა ნაწარმოები აღემატება მოთხოვნილებას და ბაზარზე გაუყიდველი რჩება.

**ანიმიზმი** — მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში გავრცელებული ფიზიოლოგიური (იხ. ფიზიოლოგია) სწავლა, რომლის შეხედულებითაც სული ხელმძღვანელობს და განაგებს სხეულის ყოველგვარ მოქმედებას.

**ანტაგონიზმი** — წინააღმდეგობა, წინააღმდეგი მოქმედება, მტრობა, ბრძოლა, კლასობრივი წინააღმდეგობა. **ანტაგონისტი** — მოწინააღმდეგე, მებრძოლი.

**ანტი** (თანდებული) — წინააღმდეგი მოქმედება, მოპირდაპირობა;

**ანტიმონარქიული** — მონარქიულ წეს-წყობილების წინააღმდეგი.

**ანტირევოლიუციონური** — რევოლიუციის საწინააღმდეგო.

**ანტიკური** — ძველი.

**აპარატი** — იარაღი, მოწყობილობა რომელიმე ფიზიკურ-მექანიკურ და ქიმიურ წარმოებისა, მაგ., ფოტოგრაფიული აპარატი, სპირტის გამოსახდელი აპარატი და სხვ.

**აპატია** — გულგრილობა, უგემურობა; **აპატიური** — უგემური, გულმიუსვლელი.

**აპოლოგეტები** — ამა თუ იმ მოძღვრების ან სწავლის დამცველი მეცნიერ-ორატორები.

**არგუმენტი** — საბუთი, დამამტკიცებელი ფაქტი (იხ. ფაქტი).

**არისტოკრატია** — ქვეყნის გამგეობა უმაღლეს — თავად-აზნაურთა — წოდებათაგან, წინააღმდეგ დემოკრატიისა (იხ. დემოკრატია); მართვა-გამგეობის ფორმა ძველ საბერძნეთში, სადაც სახელმწიფოებრივი მართველობის ძალა უმაღლეს წოდებას ეკუთვნოდა.

**არისტოტელი** — უდიდესი ფილოსოფოსი და სწავლული ძველ საბერძნეთში; დაიბადა 384 წ. ქრ. წინათ ათინის მახლობლად; მოწაფე იყო ცნობილ ფილოსოფოს პლატონისა და აღმზრდელი ალექსანდრე მაკედონელისა, დამაარსებელი რეალისტურ ფილოსოფიისა, ლოღიკისა, მამათ-მთავარი შედარებითი ანატომიისა, ემბრიოლოგიისა, გეოლოგიისა და ავტორი მრავალ პოლიტიკურ და ეთიკურ შინაარსის ტრაქტატებისა.

**ასიგნაცია** — ქაღალდის ფული; რუსეთში შემოიღეს 1768 წ.

**ასკეტი** — მეუდაბნოვე, სასტიკი მემარხულე, ხასიათის სიმტკიცის გამომჩენი. კაცი, რომელსაც თავის თავისათვის აუკრძალავს ყველაფერი, გარდა არსებითი ნივთიერ მოთხოვნილებისა, და ამ გზით დაუსუსტებია თავისი ორგანიზმი.

**ასოციაცია** — ადამიანთა საზოგადოებისა ან კერძო ძალთა შეერთება საერთო მიზნის მისაღწევათ.

**ასტროლოგია** — საეჭვო მეცნიერება (საშუალო საუკ.), რომლის საშუალებითაც ვარსკვლავების ცაზე მდებარეობით იწინასწარმეტყველებდენ რაიმე ამა თუ იმ საყურადღებო მოვლენას, ან ადამიანის ბედ-იღბალს მომავალში.

**ასტრონომია** — მეცნიერება ციურ პლანეტათა (მნათობთა) შესახებ.

**ასურეთი** — ძველი აზიის სამეფო, რომელიც გაშენებული იყო მდ. ტიგროსის ნაპირას; დაარსდა 2200 წ. ქრ. წინათ ასურის-მიერ.

**ატმოსფერა** — ჰაერის მასსა (იხ. მასსა), რომელიც გარს არტყია დედამიწის ბურთს.

**ატომი** — პაწაწკინა ნაწილი ნივთიერებისა, რომელიც აღარ იყოფება.

**აქტიური** — მოქმედი. საქმიანი **აქტივი** — საკრედიტო (იხ. კრედიტი) დაწესებულებაში ქონების შემადგენლობითი ნაწილი, როგორიც არის, მაგ., ფული, ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონება და სხვა.

**აქციონერული საზოგადოება** (სააქც. საზ.-ბა) — შეერთება რამდენიმე პირისა რომელიმე სავაჭრო თუ სამრეწველო საქმის საერთოთ საწარმოებლათ. **ა. საზოგადოების** წევრი ვალდებულია აიღოს ერთი ან რამდენიმე წილი და ამნაირათ გახდეს ერთის ან რამდენისამე აქციის პატრონი.

**აქცია** — ბარათი, რომელსაც აძლევს რომელიმე საზოგადოება თავის წევრებს მისგან შემოტანილ წილის ფულში.

## ბ.

**ბაბილონი** — ბაბილონის ძველი დედა-ქალაქი; როგორც ზეპირ-გადმოცემა გვეუბნება, დაარსებია სემირამიდს მდ. ევფრატის (იხ. ევფრატი) ნაპირებზე,

**ბავარია** — გერმანიის სახელმწიფოს ერთი ავტონომიური სამეფოთაგანია, მდებარეობს სამხრეთით.

**ბალანსი** — თანასწორობა ანგარიშისა, ზომისა, წონისა და ძალისა; საბოლოოთ ანგარიშის გამოყვანა რომელიმე ოპერაციიდან (იხ. ოპერაცია).

**ბანკი** — საზოგადოებრივი საკრედიტო (იხ. კრედიტი) დაწესებულება, რომლის მოქმედებაც ექვემდებარება სახელმწიფოს კონტროლს, ბანკის მოქმედების მიზანია მოაწყოს ფულის სესხათ გაცემა და აგრეთვე შექმნას ერთი ალაგი, საცა თავს მოიყრის თავისუფალი კაპიტალი და აქედან განაწილდება, გავრცელდება სახალხო წარმოების სხვა-და-სხვა დარგებში.

**ბანკირი** — საბანკო დაწესებულების გამგე, ან პატრონი.

**ბარბაროსი.** — სასტიკი, უზრდელი, უსწავლელი და შეუბრალებელი ადამიანი; ძველი ბერძნები ყველა უცხოელებს, ვინც კი ბერძნული ენა არ იცოდა, ბარბაროსებს ეძახდენ.

**ბიზანტია** ბერძნების ან აღმოსავლეთ რომის საიმპერატორო, რომელიც 395 წ. ფეოდოს დიდის-მიერ დაარსდა.

**ბიოლოგია** — მეცნიერება, რომელიც ეძიებს ცხოველთა და მცე-

ნარევის ცხოვრებისა და არსებობის საერთო კანონების, მათ განვითა-რებას და ურთიერთ შორის დამოკიდებულებას.

**ბირჟა** —საკრებულო ადგილი ან შენობა ზოგიერთს სავაჭრო ქალაქებში, სადაც იკრიბებიან მოვაჭრეები სავაჭრო საქმეებზე მოსალაპარაკებლად; **შრომის ბირჟა**—ადგილი, სადაც შრომის მთხოვნა-მიწოდება ხდება; მექტლეთა და მეურნეთა დასადგომი ადგილი.—**ბირ-ჟევიკი**—ბირჟაზე მოთამაშე ფასიან ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის დროს.

**ბიუროკრატია** - ნიშნავს წმინდა ფორმალურ, კანცელარიულ საქმის წარმოებას, მოხელეთა ძლიერებას რომელსამე დაწესებულე-ბაში ან გამგეობაში.

**ბიუროკრატი** — მოხელეთა ბატონობის მომხრე.

**ბოჰემია** ანუ **ჩეხია** —ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოს ჩრდი-ლოეთი ნაწილი.

**ბოიკოტი**---ხალხის რომელისამე ნაწილის ან რომელისამე კლა-სის-მიერ პირის შეკვრა და რომელსამე კერძო პირთან თუ დაწესე-ბულებასთან ყოველგვარ კავშირის შეწყვეტა. ამ საშუალებას დღეს უმთავრესად მუშათა კლასი მიმართავს ეკონომიურ ცხოვრებაში,—ბოი-კოტს გამოუცხადებენ ამა თუ იმ საწარმოო ქარხანა-ფაბრიკას და არ მუშაობენ იქ, ან და ამა თუ იმ ფაბრიკის ნაწარმოებს—მისგან საქონელს არ ყიდულობენ. წარმოსდგა 1880 წ. ირლანდიაში მიწის ლიგის აგი-ტაციის დროს, როცა ჯემს ბოიკოტმა უარი განაცხადა ლიგის მო-წერილობათა შესრულებაზე, რის გამოც გამუდმებულის დევნითა და მასთან ყოველგვარ ურთიერთობა-მისვლა-მოსვლის აღკვეთით აიძუ-ლებს ჯემს ბოიკოტი ირლანდიიდან გაქცეულიყო.

**ბრუტი** (ბრუტუსი)—**ლუციოს იუნი**—რომაელთა შეთქმუ-ლობის მეთაური, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო მეფე ტარკვინია ამაყი და დააარსა 509 წ. ქრ. წინათ რომის რესპუბლიკა (იხ. რეს-პუბლიკა).

**ბურჟუაზია**—მოქალაქენი, პოლიტიკური პარტია ანუ საზო-გადოებრივი კლასი, რომლის ხელშიაც მოგროვილია უმთავრესი სა-წარმოო იარაღები.

**ბუჰღალტერი**—რომელსამე სავაჭრო დაწესებულებაში საანგა-რიშო დავთრების წამყვანი, მწარმოებელი.

## გ.

**გენუია**—იტალიის ქალაქი გენუეს ყურესთან.

**გეოლოგია**—მეცნიერება, რომელიც იკვლევს დედამიწის ბურ-

თის ისტორიულ განვითარების კანონებს და მასზე ოდესმე ყოფილ და აწინდელ ყოველგვარ ცხოველებისა და არსებათ.

**გერმანია**—სახელმწიფო ევროპაში.

**გლადიატორები**—ძველ რომის მოჭიდავენი, მოკრივენი, მოასპარეზენი, რომლებიც ცირკსა და სხვა-და-სხვა გასართობებში ერთი-მეორეს ებრძოდნენ და ეჭიდავებოდნენ. ხშირათ ეს ბრძოლა ერთის რომელიმე მოწინააღმდეგის სიკვდილით გათავდებოდა. ესენი ჩვეულებრივ მონებიდან და ტყვეთ მოყვანილ ხალხიდან იყვნენ და თავიანთ ხელობას განსაკუთრებულ დაწესებულებაში—გლადიატორთა სკოლაში სწავლობდნენ.

**გრაკხები**—ტ ი ბ ე რ ი და კ ა ი ო ს, ორი სახელ-განთქმული ძმა, რომის წარჩინებულ სემპრონიების გვარიდან, იყვნენ შვილები კორნელიასი, სციპიონ აფრიკანელის ასულისა. ცხოვრობდნენ რომში 133 წ. ქრ. წინ. მოითხოვდნენ აგრარულ რეფორმას, რომლის ძალითაც შემსუბუქდებოდა ღარიბ-ღატაკ მხვნელ-მთესველთა აუტანელი მდგომარეობა.

**გრენლანდია**—ჩრდილოეთის დიდი კუნძული, რომელიც ატლანტის ოკეანესა და ბაფინის ყურეს შუა მდებარეობს.

## დ.

**დეგრადაცია**—გადაგვარება, გადაშენება, თან-და-თანობით ძირს დაშვება.

**დედუქცია**—საბუთის ანუ მტკიცების რომელიმე ფაქტიდან (ის. ფაქტი) ან სხვა რომელიმე დებულებიდან დასკვნა. **დედუქტიური**—დედუქციაზე დამყარებული.

**დემოსი**—ხალხი. **დემოკრატია,-ული**—ხალხის შესაფერი.

**დეპოზიტი**—ბანკში შესანახათ მიცემული ფული, ან ფასიანი ქაღალდები ამა თუ იმ დაწესებულებისა ან პირის სახელზე; საქონლისა და მასალის საწყობი.

**დესპოტი**—მტარვალი. **დესპოტიზმი**—თვით-სჯელმწიფობა, თვით-უფლობა.

**დეტალი**—დაწვრილებითი, წვრილმანი. **დეტალური**—დაწვრილებით განსილული.

**დისკონტი**—ვექსილების (თამასუქების) ფასიდან გამოკლება, რომელიც ანგარიშის დროს ხდება.

**დისციპლინა**—წესი, რიგი; სასტიკი და სიტყვა-შეუბრუნებელი დამორჩილება უმცროსებისა უფროსებისადმი.

**დიფერენცია** - განსხვავება, შეუთანხმებლობა, უთანასწორობა, შეურიგებლობა, დავა.

**დოკუმენტი** — საბუთი, უცილობელი საბუთი. სამართლის გზით შედგენილი ქაღალდი.

**დოლლარი** — ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ფული; ერთი დოლლარი თითქმის რუსის ორ მანეთს უდრის.

**დოქტრინა** — სწავლა, მეცნიერება. სწავლა რომელიმე პოლიტიკურ და ფილოსოფიურ საგანზე. **დოქტრინიორობა** — ახირებული მიმდევრობა რომელსამე განყენებულ თეორიისა.

**დოქტორი** — 1. უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი; 2. ექიმი, მკურნალი.

## ე.

**ეგვიპტე** — აფრიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ძველად აქ ყვაოდა სწავლა-განათლება. უწინ საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ახლა კი ოსმალეთის ხონთქრის სავასსალოა (იხ. ვასსალი).

**ეგოიზმი** — თავკერძობა; თავის-თავის მოყვარულობა, წინააღმდეგ ალტრუიზმისა (იხ. ალტრუიზმი).

**ევროპა** — დედამიწის შედარებით პატარა და განათლებული ნაწილი.

**ეთიკა** — ზნეობა. **ეთიკური** — ზნეობრივი.

**ეკონომია** — მომჭირნეობა, მოფრთხილება, ყაირათი, სასოფლო მეურნეობა, სახალხო წარმოება. ადამიანის გამიზნული მოქმედება, რომელიც მიმართულია მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო საგანთა მოპოვება-მოხმარებაზე.

**ელემენტი** — ძირითადი ნაწილები.

**ენერგია** — შემოქმედებითი ძალა, ფიზიკურ (იხ. ფიზიკა, -ური) სხეულის უნარი, რომლის საშუალებითაც ხდება მუშაობა.

**ერეტიკი** — მწვალებელი, ერესის მიმდევარი ადამიანი, რომელიც არ ეთანხმება განმტკიცებულ უმრავლესობას სარწმუნოების საკითხში, ან აშკარათ განირჩევა თავის მეცნიერულ-საზოგადოებრივ შეხედულებით უმრავლესობის შეხედულებისაგან.

**ეპოქა** — დრო, ისტორიაში ხანა, რომლის შემდეგაც ახალი და ღირს-შესანიშნავი ისტორიული განვითარება იწყება.

**ექსპლუატაცია** — გაყვლეფა (სამუშაო ძალისა, სამთო წარმოებისა, რკინის გზებისა, მამულ-დედულისა); მეტი მოგების გამოტანა რომელიმე წარმოებიდან.

## ვ.

**ვასსალი** — საშუალო საუკუნეებში სხვისი მამულით სამემკვიდრო სარგებლობის პატრონის ნებართვით. მამულით მოსარგებლე მოვალე იყო მამულის პატრონის სასარგებლოთ სხვა-და-სხვა გადასახადები გაეღო და გაჭირვების დროს დახმარებოდა მას ხარჯით და იარაღით. **ვასსალი** — ნახევრად დამოკიდებული მთავარი, ან მეფე.

**ვენეცია** — პროვინცია იტალიის სახელმწიფოსი, მდებარეობს ადრიატის ზღვის ჩრდილოეთით.

**ვულკანი** — ცეცხლის მფრქვეველი მთები, ხანდისხან ადის, კვამლს, ცხელ ნაცარს და გალხობილ სითხეს ისვრის ხოლმე.

**ვულგარული** — უმართებულო, ბრიყვული, მოუხეშავი, ტლანქი, უზრდელური; **ვულგარული მეცნიერება** — რომელისამე სწავლას ან მოძღვრების უმართებულოთ, აბნეულ-დაბნეულათ გაგება.

## თ.

**თეორია** — მხედველობითი მსჯელობა, გამოკვლევა, სწავლა, მეცნიერული შეხედულება, განყენებითი დებულებაზე დამყარებული შემეცნება და ლოღიკურათ გარკვეულ-დალაგებული

## ი

**იდეალი** — რაც აზრით წარმოიდგინება, აზრით წარმოდგენილი საუცხოვო სურათი, სრული, უნაკლულო წარმოდგენა, საწადელი საგანი. მაგ., იდეალი სათნოების, სიმშვენიერის და სხვ.

**იდეა, იდეია** — წარმოდგენა, გამოხატვა რისამე აზრში და აზრით.

**იდეოლოგია** — იდეათა, ცნებათა სწავლა.

**იეზუიტი** („საზოგადოება ქრისტესი") — კათოლიკეთა სარწმუნოებრივი ორდენი, დაარსებული 1539 წ. იგნატი ლოიოლას-მიერ, კათოლიკურ სარწმუნოების გასავრცელებლათ.

**იეზუტი** — ბერი კათოლიკე ეკლესიისა, ცბიერი, ფარისეველი ადამიანი.

**ინგლისი** — დიდ-ბრიტანიის სახელმწიფო ევროპაში.

**იმპერატორი** — ძველათ იყო რომაელ ჯარების ტიტული (სახელის ღირსების), შემდეგში კი — ხელმწიფე-მეფეების მუდმივ ტიტულათ გადაიქცა. **იმპერია** სახელმწიფო.

**ინდივიდუალური** — პიროვნული, განსაკუთრებული, კერძო. **ინდივიდუალიზმი** — ღირსება-თვისებათა გროვა, რომელიც ახასიათებს, ამა თუ იმ პიროვნებას; ზნეობრივი ფილოსოფიით ადამიანის, თავის სარგებლობისათვის ზრუნვა-მოქმედება.

**ინდოეთი** — ძველი მხარე ანუ ქვეყანა, მდებარეობს მდ. ინდის გაღმა ნაპირას; ახლანდელი აღმოსავლეთ-ინდოეთი.

**ინდუქცია** — კერძო მოვლენა-ფაქტებიდან საერთო დასკვნა-კანონების გამოყვანა, წინააღმდეგ დედუქციისა (იხ. დედუქცია).

**ინკვიზიტორი** — სისხლის მოსამართლე მწვალებელთა, წევრი ინკვიზიციისა. **ინკვიზიცია** — საეკლესიო სასამართლო, რომის პაპების-მიერ (იხ. პაპა) დაარსებული მეთორმეტე საუკუნეში მწვალებელთა (ერეტიკოსთა) სადევნელად.

**ინსპექტორი** — ზედამხედველი, თავს მდგომი, გამგე სამრეწველო დარგისა, გამგე სასკოლო ნაწილისა.

**ინსტრუმენტი** — სამუშაო იარაღი, ხელსაწყო, საკრავი.

**ინტეგრაცია** — საზოგადოთ შეერთება, გაერთიანება, ერთ მთლიანად გადაქცევა.

**ინტელიგენცია** ხალხის, საზოგადოების გონებრივად განვითარებული ნაწილი. **ინტელიგენტი** ცოტად თუ ბევრად განათლებული და გონება-გახსნილი კაცი. **ინტელექტი** გონებრივი ძალა.

**იტალია** — სამეფო აპენის ნახევარ კუნძულზე ევროპაში.

**ისპანია** (ესპანია) — სამეფო პირინეის ნახევარ-კუნძულზე.

**ინტენსივური** შინაგანი ძალის დაძაბვა, ენერგიული მოქმედება. **ინტენსივური მეურნეობა** სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეტი კაპიტალის (იხ. კაპიტალი) და შრომის ჩაყრა მეტი მოსავლის ამოსაღებად.

**ისტორია** — ამა თუ იმ ხალხისა ან კაცობრიობის განვითარების მსვლელობის გამოკვლევა, მოვლენათა სისტემატიური ახსნა-განმარტება წერილობითი ცნობების საფუძველით. **ისტორიკოსი** — ისტორიის დამწერი.

**იურიდიული** — უფლებრივი.

## კ.

**კათოლიკე** — პირი, რომელიც აღიარებს დასავლეთის რომის კათოლიკეთა ეკლესიის სარწმუნოებას.

**კაკაო** — მარცვლები კაკაოს ან შოკოლადის ხისა, საიდანაც მზადდება ერთგვარი სასიამოვნო და ნოყიერი სასმელი.

**კალვინი** ცხოვრობდა შვეიცარიაში და ცვინგლისთან ერთად (1509—64 წ.) დაარსა რეფორმატიული ეკლესია, როგორც პროტესტის გამოცხადება კათოლიკურ ეკლესიისადმი.

**კაპიტალი** ყველა ის საშუალებანი, რომელნიც დანიშნულია

საქონლის საწარმოებლათ; მოგროვილი ქონება ან შრომა, რომლის საშუალებითაც ერთი ადამიანი მეორეს ყვლეფავს.

**კარტელი** — 1, წერილობით დუელში გამოწვევა; 2, მრეწველთა კავშირი ცალკე სმრეწვ. დაწესებულებათა შორის კონკურენციის შესასუსტებლათ და ნაწარმოებ საქონელთა გასასაღებლათ მოწესრიგებულ ბაზრის მოსაპოვებლათ; 3, პოლიტიკური კავშირი კონსერვატიულ, საიმპერიო და ნაც.-ლიბერალთა პარტიების გერმანიის პარლამენტში, დაარსებული 1887 წელს.

**კარლოსი, კარლოს დიდი** — შვილი მოკლე (პატარა) პიპინსა (742—814); 868 წელს თავის ძმა კარლომანთან ერთად საფრანგეთის ტახტის მემკვიდრენი გახდნენ, ხოლო ძმის სიკვდილის შემდეგ კი იგი შეიქმნა თვითმპყრობელი.

**კასპიის ზღვა** — კავკასიასა, სპარსეთსა და თურქესტანს შუა მდებარე ზღვა (ბაქოსთან).

**კატასტროფა** — უეცარი, ერთბაშათ მომხდარი უბედურება, ამბავი, ცვლილება, მოულოდნელ მოვლენის დატრიალება.

**კეისარი (კესარი, ცეზარი)** — რომის იმპერატორთა ტიტული. გადავიდა მათზე იულიოს კეისრის გვარიდან; პირველი იმპერატორი იყო კეისრის მოადგილე ავგუსტი.

**კვადრატი** — სწორე კუთხებიანი, ოთხ კუთხედი, რომელსაც ყველა გვერდები თანასწორი აქვს.

**კვალიფიკაცია** — რისამე თვისების გამოჩენა, განმარტება.

**კენე** — საფრანგეთის ეკონომისტი ლიუდოვიკ მე-XV დროს; ცდილობდა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას; პირველი მქადაგებელი და დამაარსებელი ფიზიოკრატიულ სკოლისა.

**კლასი** — განყოფილება, წრე ან ჯგუფი საგანთა ან ადამიანთა, რომელნიც ერთმანეთის მსგავს დამახასიათებელ ნიშნებით არიან აღჭურვილნი. **კლასიკური**, ძველი, სანიმუშო, ჩინებული.

**კოლექტიური** საზოგადოებრივი. **კოლექტივიზმი** — სოციალური სწავლა, რომელიც ქადაგებს მიწისა და საწარმოვო იარაღების საერთო საკუთრებათ გადაქცევას.

**კოლონატი** ბატონ-ყმობის ფორმა (იხ. ფორმა) რომში, არსებობდა ფეოდალურ (იხ. ფეოდალური წეს-წყობილების აღორძინებამდის.

**კოლონიზაცია** სახელმწიფოს გარეთ, სხვა ქვეყნებში ხალხის დასახლება, ახალშენის გამოწყობა.

**კომბინაცია** — სხვა-და-სხვა გარემოებათა შესაფერისათ შეერთება და შესაბამება.

**კომპრომისი** აზრის თუ შეხედულობის ერთნაირათ დათმობა მოწინააღმდეგესთან მოსარიგებლათ.

**კომუნიზმი** — ქონების საერთო მფლობელობა. სოციალური სწავლა, რომელიც უარყოფს კერძო საკუთრებას და ელტვის საწარმოო იარაღების გასაზოგადოებრივობას.

**კონკრეტული** — ნივთიერი, ხილული, რასაც ადამიანი თავის ხუთის გრძნობით მისწვდება, წინააღმდეგ აბსტრაქტულისა.

**კონკურენცია** მეტოქეობა, მოცილეობა, ქიშპობა.

**კონსტიტუცია** — დაწესება, დაფუძნება; სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომლის ძალითაც ხალხის წარმომადგენლებს უფლება ეძლევათ სახელმწიფოს კანონმდებლობაში მონაწილეობა მიიღონ; სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმა, სადაც მონარქის (მეფის) უფლება შეზღუდულია.

**კონტინენტი** ასე იწოდება ხმელეთის დიდი სივრცეები.

**კონტროლი** შემოწმება, შესწორება ანგარიშებისა და, საზოგადოთ, ყოველგვარ მოქმედებისა.

**კონცენტრაცია** კაპიტალის, ქონების თითო-ოროლა პირის, უმცირესობის ხელში მოგროვება.

**კოოპერაცია** მრავალ პირთა შეერთებული მოქმედება, ან წარმოება საერთო მიზნისათვის. **კოოპერატიული საზოგადოება** — მომხმარებელი ან მწარმოებელი საზოგადოება.

**კორპორაცია** — რამდენიმე ადამიანთა საერთო მიზნით და საერთო მოვალეობით შეკავშირება.

**კონფისკაცია** სასამართლოს ან ადმინისტრაციის განკარგულებით რომელისამე პირისათვის რაიმე ქონების ჩამორთმევა.

**კრედიტი** — ნდობა ფულის საქმეში, ფულის გასესხება, რომელიც დიდ როლს თამაშობს თანამედროვე ვაჭრობა-მრეწველობაში. **საკრედიტო ბილეთები** — მთავრობის-მიერ გამოცემული უპროცენტო (უსარგებლო) ქაღალდის ფულის ნიშნები, ლითონის ფულის მაგივრად. **კრედიტორი** - ფულის ვალად მიმცემი, გამსესხებელი. **დებიტორი** — ფულის ვალად ამღები, მსესხებელი.

**კრიზისი** — 1, მძიმე ავადმყოფის უეცარი გამომჯობინება; 2, პოლიტიკაში — მძიმე მდგომარეობა, რომელსაც უსათუოდ რაიმე პოლიტიკური ცვლილება მოსდევს; 3, ვაჭრობა-მრეწველობაში — ჩვეულებრივ მსვლელობის შემცირება, ან სრულიად შეჩერება.

**კრიტიკა** — გამოკვლევა-გამოძიება საგნისა, განხილვა რომელიმე ლიტერატურულ ნაწერისა.

**კუბიკი** — გეომეტრიული სხეული, შემოფარგლული ექვსა-ოთხ-კუთხედით.

**კულტურა** — განათლება, წარმატება, წინსვლა, ხალხის სულიერ და ნივთიერ ცხოვრების გაუმჯობესება; მიწის და მცენარეულობის მეცნიერულად მოვლა აპატრონობა. **კულტურული** — განათლებული, დაწინაურებული.

## ლ.

**ლატიფუნდიები** — ძლიერ დიდი მამულები, ძლიერ დიდი მიწათმფლობელობა, რომლის მეოხებითაც დაინგრა ძველი რომაელთა სახელმწიფო.

**ლეგიონი** — ძველ რომაელთა ჯარების დიდრონ ჯგუფებათ დაყოფა.

**ლექტორი** — წამკითხველი, კაცი, რომელიც კითხულობს ლექციას.

**ლექცია** — რისამე საჯაროთ წაკითხვა მდაბიურ, გასაგებ ენაზე.

**ლისტი (ფრიდრიხი)** — ცნობილი გერმანელი ეკონომისტი (1789—1848 წ.)

**ლიტერატურა** — ამა თუ იმ ხალხის გონებრივი ნაწარმოები, გონების ნაყოფი. სულ ერთათ აღებული იწოდება ლიტერატურათ; საზოგადოთ, წერილობა რომელსამე ენაზე. **ლიტერატორი** — მწერალი, მთხზველი.

**ლიუტერი** (მარტინი) — სარწმუნოებრივი რეფორმატორი: საეკლესიო წესიდან მხოლოდ ნათლის-ღება და ზიარება სწამს, დანარჩენს უარყოფს. ამჟამათ გერმანელების დიდი უმრავლესობა ლიუტერის სარწმუნოებას აღიარებს.

**ლოღიკა** — მეცნიერება აზროვნების წესთა და კანონთა.

## მ.

**მათემატიკა** — სწავლა-მეცნიერება სიდიდე-რაოდენობის კანონთა

**მანომეტრი** — ორთქლის ძალა-სიმძიმის გასაზომი იარაღი.

**მანუფაქტურა** — კაპიტალისტურ წარმოების პირველი საფეხური, სადაც წარმოება უმანქანოთ, ხელოსნურის წესით ხდება.

**მასსიური** — ფიზიკაში — რაოდენობა ნივთიერებისა, რომელიც შეადგენს აღებულ სხეულს. **მასსიური წარმოება** — ბაზრისათვის საქონლის დამზადება.

**მატერიალური** — ნივთიერი, სორციელი, წინააღმდეგ იდეალურისა. **მატერიალიზმი** — ფილოსოფიური სისტემა, რომელიც

უარყოფს ბუნებაში ყოველგვარ სულიერს, სულის არსებობას, ნების თავისუფლებას, და სწამს მხოლოდ მატერია (ნივთიერება), რის-განაც წარმოიშვა ქვეყანა.

**მეთოდი** — რომელიმე წესი ან გეგმა, რომლითაც საწარმოა ამა თუ იმ მიზნის მისაღწევათ, ამა თუ იმ მეცნიერების შესასწავლათ.

**მერკანტილური სისტემა** — მე-XVII — მე-XVIII-ტე საუკუნეებში გაბატონებული პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მნიშვნელობას არ აძლევდა, ხალხის სიმდიდრის წყაროთ მრეწველობა-ვაჭრობას და ოქრო-ვერცხლის გამრავლებას თვლიდა. მერკანტილისტები ურჩევდნენ სახელმწიფოს მანუფაქტურულ წარმოების და ვაჭრობისათვის მფარველობა გაეწია, ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მეტი საქონელი გაეტანათ გარეთ გასასყიდათ და ნაკლები შემოეტანათ.

**მესოპოტამია** მხარე, ადგილი, მდებარე ტიგრის და ევფრატის მდინარეების შუა.

**მეტამორფოზა** — სახის გამოცვლა, გარდაქცევა, ახალი ფორმის (იხ. ფორმა) მიღება.

**მეტაფიზიკა** — მეცნიერება, რომელიც იკვლევს ზესთა-ბუნების საგნებს, ეძიებს პირველ მიზეზებს და არ ექვემდებარება ადამიანის ცდას.

**მეტეოროლოგია** — მეცნიერება ყველა ზეცაურ მოვლენას, მაგ., ქუხილს, ელვა-ჭექას, წვიმას, სეტყვას, თოვლს და სხვ.

**მეტრი**, სიგრძის ზომა, შეიცავს 1.4061 რუს. არშინს.

**მექანიკა** — მეცნიერება, რომელიც იკვლევს სხეულის მოძრაობისა და თანასწორობის კანონებს.

**მილიარდი** — ათასი მილიონი

**მინერალი** — მიწის სიმდიდრე, მაგარი, ქვის მსგავსი ლითონები და თხელი მასსა, რომლითაც, უმთავრესათ, დაფარულია დედამიწის ზურგი ანუ ზედა-პირი.

**მინიმუმი** — უმცირესი, უპატარავესი.

**მომენტი** - დრო, ჟამი, უუმცირესი ნაწილი დრო-ჟამისა.

**მონარქია** — ერთმეფობა, თვითმპყრობელობა. **მონარქი** — მეფე. ხელმწიფე, თვითმპყრობელი.

**მოდა, მოდისტკა** — ახლათ შემოღებული რამ; ტანისამოსის მოდურათ მკერავი დედაკაცი.

**მონოპოლია** — წარმოების რომელსამე დარგში განსაკუთრებუ-

ლი უფლება ვაჭრობისა, რომელიც ეძლევა ერთ პირს, ან მთელ ჯგუფს ხალხისას, ან თვითონ სახელმწიფო იტოვებს მისთვის.

**მუსკული** — ძარღვები, რომლის საშუალებითაც სისხლი მოძრაობს როგორც ადამიანის, ისე ცხოველის სხეულშიაც.

## ნ.

**ნატურალური** — ბუნებრივი. **ნატურა** — ბუნება, ხილული ბუნება.

**ნატურალური წარმოება** — ისეთი ფორმა ან წესი წარმოებისა, სადაც თვითოეული დამოუკიდებელი ოჯახი თუ თემური ერთეული მთელ თავის სულიერ-ხორციელ მოთხოვნილებას, უმთავრესად, საკუთარ ნაწარმოებით იკმაყოფილებს; სადაც გაცვლა-გამოცვლა, მორთმის განაწილება ან არ არსებობს, ან, თუ არსებობს — ძალიან მცირე და უმნიშვნელოა: ეს ფორმა წარმოებისა გაბატონებული იყო ძველს და საშუალო საუკუნოებში, სადაც ყიდვა-გაყიდვა და ფულის ხმარება ძალიან ნაკლებად იყო გავრცელებული. **ნატურით გადახდა** - ფულის მაგიერ ნაწარმოებით გადახდა.

**ნაცია** — ერი. **ნაციონალური** — ეროვნული, საერო, საეროვნო.

**ნერვი** — გრძელი თეთრი ძარღვის ძაფები, რომლებიც თავის და ხერხემლის ტვინიდან მოდიან და სხვა-და-სხვა გრძნობის ორგანოებს უერთდებიან; ნერვების დანიშნულებაა — გარეგანი შთაბეჭდილე- შემეცნებითი ორგანოს — ტვინს, გადასცეს.

**ნორმა** კანონი, წესი, რიგი, რაოდენობა-თვისება უფლებრივ ურთიერთობისა, დამოუკიდებლობა-განწყობილებისა. **ნორმალური** — წესიერი, ზომიერი.

## ო.

**ოდოაკრი** გერმანიის ლაშქართა ხელმძღვანელი, მსახურობდა რომის იმპერიაში; 476 წ. ტახტიდან ჩამოაგდო რომის სახელმწიფოს დასავლეთი ნაწილის იმპერატორი — რომულა ავგუსტი, და თავისი თავი იმპერატორად გამოაცხადა.

**ორგანიზაცია** — მოწყობა, დაწყობილება, მოწესრიგება. **ორგანიზატორი** — ის, ვინც აწყობს, აწესრიგებს. **ორგანიზმი** — სხეული, ყოველივე ცოცხალი არსება ადამიანისა, ცხოველისა და მცენარისა.

**ოპერაცია** — ქირურგიულ (იხ. ქირურგია) იარაღების საშუა-

ლების ორგანიზმიდან დაავადებულ სხეულის მოშორება, სამხედრო მოქმედება; მოქმედება სამრეწველო, სავაჭრო-საკრედიტო და დამზღვევ დაწესებულებათა.

**ორდენი** — საშუალო საუკუნეების ბერ-მონაზონთა და აზნაურთა სამხედრო კავშირები დასავლეთ ევროპაში; ორდენი განსაკუთრებით აღორძინდა ჯვაროსნულ ომების დროს და ტევტონეული წევრი მთავარი იყო არა-ქრისტიანეთა წინააღმდეგ გამუდმებითი ომა.

**ორიგინალური** — ნამდვილი, თავისებური, უცხო, არა-ჩვეულებრივი რამ. **ორიგინალი** — ნამდვილი წერილისა, დედანი.

**ოფიციალური** — მმართველობითი, მთავრობის ყველა განკარგულებანი.

**ოპტიკური ინსტრუმენტები** — საჭვრეტი იარაღები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანის თვალს ამა თუ იმ საგნის გადიდება-დაახლოვებაში. ასეთია იარაღები, მაგ., სათვალეები, გამადიდებელი შუშა, ბინოკლი (მორსათვალე), ფოტოგრაფიული აპარატი და სხვ.

პ.

**პაპა** — რომის პაპა, განსაკუთრებით ტიტული რომის კათოლიკეთა ეკლესიის თავის.

**პაპუასები** — ველური შავ-კანიანი ხალხი.

**პარაზიტი** — მცენარეულობის ან ცხოველების დაბალი ორგანიზმები, რომლებიც სხვა ორგანიზმის შიგნით ან ზედა-პირზე იმყოფება და განსაკუთრებით უკანასკნელის ხარჯზე იკვებება. ადამიანი, რომელიც არაფერს არა ქმნის და სხვისა შრომით ცხოვრობს.

**პასსიური** — უმოქმედო, წინააღმდეგ აქტიურის.

**პატრიარქალური** — მამათ-მთავრული, ოჯახის მამასახლისობაზე დამყარებული; ძველებურ-ოჯახური. **პატრიარქი** — მამათ-მთავარი, ძველებური ოჯახის უფროსი.

**პატრიციები** — ძველი რომის სახელმწიფოს ჩამომავლობითი არისტოკრატია, წოდება, რომელიც განსაკუთრებით პოლიტიკურის უფლებით სარგებლობდა და ძლიერ დიდ მიწა-წყალის მესაკუთრენი იყვნენ.

**პატრიოტიზმი** — სამშობლოს სიყვარული, მამულიშვილობა.

**პერსონალი** — ყველა ის პირები, რომელნიც ჩაყენებულნი არიან რომელსამე წარმოებაში ან სამრეწველო დაწესებულებაში.

**პერიოდი** — ისტორიაში ისეთი ხანა რომლის დასაწყისთან და დასასრულთან მ კავშირებულია ამა თუ იმ ხალხის, ან მთელის კა-

ცხოვრობის განვითარების მეტად მნიშვნელოვან მოვლენათა წარმოშობა, დაწყება.

**პირინეი** მთის ზურგი, რომელიც ჰყოფს საფრანგეთს ისპანიისაგან; იწყება ატლანტიის ოკეანედან და გრძელდება ხმელთაშუა ზღვამდე.

**პლატონი** — ძველი საბერძნეთის დიდები ფილოსოფოსი, ცხოვრობდა 427 წ. ქრ. წინ.

**პოლიტიკა** — მოძღვრება სახელმწიფოს ცხოვრებაზე, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე. **პოლიტიკოსი** — ადამიანი, რომელიც თეორიულად ან პრაქტიკულად პოლიტიკას აწარმოებს.

**პოლიტიკური ეკონომია** — მეცნიერება, რომელიც გვასწავლის ღირებულების წარმოშობისა და განაწილების კანონებს.

**პომპეოსი** ძველი რომის სახელმწიფოს ცნობილი სარდალი ჯარებისა.

**პორტუგალია** — სამეფო პირინეის ნახევარ-კუნძულზე.

**პრაქტიკა** — სამეცნიერო დასკვნათა ცხოვრებაში გატარება. **პრაქტიკული** დახელოვნებული, მიზანს შეფერებული.

**პრივილეგია** — უპირატესობა, განსაკუთრებული უფლება, რომლითაც სარგებლობს რომელიმე პირი ან საზოგადოებრივი კლასი. (მაგ., რუსეთში — თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ბურჟუაზია).

**პრობლემა** — ასახსნელი, გადასაწყვეტი საკითხი, ამოცანა.

**პროგრესი** — წინმსვლელობა, წარმატება, განათლება, დაწინაურება.

**პროექტი** — განზრახულობა.

**პროდუქცია** — წარმოება, ნაწარმოებთა წარმოშობა (სახელ. საქონლისა). **პროდუქტი** — საკოთვი, ნაწარმოები.

**პროლეტარი** — ბოგანო, უსახლ-კარო, ღარიბ-ღატაკი. ისეთი ადამიანი, რომელიც მოკლებულია ყოველსავე უძრავ-მოძრავ ქონებას და საკუთარ სამუშაო ძალის გაყიდვით, ქირაზე მუშაობით ირჩენს თავს.

**პროპორციონალური** — თან-შეზომილი, შეფარდებული, შეხამებული, შესაბამებული, ზომიერი.

**პროტესტი** — წინააღმდეგობა, რისამე უსამართლოდ გამოცხადება, საჯაროდ უარყოფა რომელისამე დადგენილებისა, განაჩენისა ან გადაწყვეტილებისა.

**პროფესია** — ხელობა, თანამდებობა, სამსახური.

**პროცენტი** — სარგებელი.

**პროცესი** — მიმდინარეობა.

**პრუდონი** — საფრანგეთის ცნობილი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი (1809—1865 წ.); მამათ-მთავარი ანარქისტულ მოძღვრებისა.

## რ.

**რასსა** — ჯიში, გვარი, ტომი, ჩამომავლობა.

**რაციონალური წარმოება** — გაუმჯობესებულ წესებით წარმოება.

**რეალური** — ხილული, ნამდვილი, უტყუარი, ცხადი: **რეალისტი** — კაცი, მიმხრე ხელოვანთა და მწერალთა თანადროულის მისწრაფებისა, რომ ბუნება წარმოდგენილ იქმნეს ნამდვილისა და წმინდა ნივთიერების მხრივ.

**რეგრესი** — უკან-სვლა, დაცემა, დაქვეითება, წინაამდეგ გრესისა.

**რეგლამენტაცია** — რომელიმე მოქმედების სავალდებულო დადგენილების დაქვემდებარება, დამორჩილება.

**რევოლიუცია** — მდაბიურათ ნიშნავს იარაღით ხელში აჯანყებას, რათა სახელმწიფოს არსებული წეს-წყობილება დაამხოს და, სამაგიეროთ, შემოღებულ იქმნეს ახალი წესი მართვა-გამგეობისა, ხალხისათვის უფრო შესაფერი. მეცნიერულათ **რევოლიუცია** ნიშნავს უფლებო ხალხის-მიერ უფლების მოპოვებას, ან მისი მოპოვებისათვის ბრძოლის დაწყებას, იარაღით იქნება უფლება მოპოვებული და ბრძოლა დაწყებული, თუ მშვიდობიანის გზით.

**რეინი** — დიდი მდინარე გერმანიაში.

**რეზერვი** — სათადარიგო, თადარიგისათვის შემონახული სამზადისი, გაჭირვებაში გამოსადეგი. **სარეზერვო არმია** (მუშებისა) — უმუშევარი დარჩენილი მუშები, რომლებიც სულ უფრო და უფრო დაბლა სწევენ არსებულ სამუშაო ხელფასს.

**რელიგია** — სარწმუნოება.

**რენტა** — შემოსავალი სხვისა შრომისაგან, ვისაც გადაეცა მოსახმარებლათ საწარმოვო იარაღები, მიწა და ფული; საზოგადოთ, ისეთი შემოსავალი, რომელზედაც რენტის მიმღებს არავითარი შრომა არ ეხარჯება.

**რესპუბლიკა** — სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, სადაც მთელი ძალა-უფლება ერთ პირს (როგორც, მაგ., ხელმწიფეებს) კი არ ეკუთვნის, არამედ მთელ ხალხს.

**რეფორმა**—არსებულ წეს-წყობილების გადასხვაფერება, გარდაქმნა; სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ახალ საკანონმდებლო წესის შემოღება.

**რისკი**—გაბედული ნაბიჯის გადადგმა, გაბედული ცდა, გაბედულება, ბრძოლა.

**როლი**—1, სათეატრო ტერმინი, ნაწილი პიესისა, რომელიც მიეცემა ხოლმე მსახიობს სცენაზე შესასრულებლად; 2, განსაკუთრებული მოქმედება ამა თუ იმ პირისა.

**რომი**—იტალიის დედა-ქალაქი,. უძველესი ქალაქი.

## ს.

**საბერძნეთი** სამეფო სამხრეთ ევროპაში.

**სარაცინიანები**—საშუალო საუკუნეებში ასე ეძახდნენ არაბებს, მაჰმადიანებს და, საზოგადოთ, ყველა არა-ქრისტიანებს.

**სატრაპი**—პროვინციის მთავარ-მართებელი ძველ სპარსეთში.

**სენ-სიმონი** (გრაფი)—ჩამომავლობით ფრანგი, რომელმაც შექმნა სოციალისტური სწავლა და სკოლა. თავის სწავლაში მან სასტიკ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა საზოგადოების იმ დროინდელი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა; მან წამოაყენა ფართო პროგრამა, რომელშიაც იგი შრომას ხალხთა კეთილ-მდგომარეობის ერთად-ერთ წყაროთ აღიარებდა. სენ-სიმონი ამბობდა,—მწარმოებელნი საზოგადოების უკეთესი ნაწილია და ამისათვის მათ ხელში უნდა იყოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაო.

**სექტა**—იგივე, რაც **პარტია,** მხოლოდ, საზოგადოთ, უფრო ვიწრო. ძველ დროში ასე უწოდებდნენ ფილოსოფიურ სკოლებს, რომლებიც განსხვავდებოდნენ თავიანთ პრინციპ-შეხედულებებით. ამჟამათ ასე იწოდება სარწმუნოებრივი ჯგუფი ანუ დასი, რომელიც ჩამოშორებულია სახელმწიფოში გაბატონებულ ეკლესია-სარწმუნოებასთან.

**სიმპატიური**—მოსაწონი, მიმზიდველი, გულის მომნადირებელი, თანაგრძნობი, სასიყვარულო. **სიმპატია,**—მიმზიდველობა, მოწონება, თანაგრძნობა, სიყვარულობა.

**სიმპტომი**—ნიშან-თვისება, რომლითაც იგებენ ამა თუ იმ მოვლენას; კერძოთ—უტყუარი ნიშნები ავადმყოფობისა ან სხვა რისამე.

**სინდიკატი**—პროფესიულ კავშირთა ორგანიზაცია, მომეტებულათ— კაპიტალისტებისა.

**სირ-დარია**—მდინარე შუა-აზიაში, ერთვის არალეთის ზღვას.

**სისმონდი**—პირველი და ცნობილი კრიტიკოსი ადამ სმიტის პოლიტიკურ ეკონომის მოძღვრებისა.

**სისტემა**—სწავლა-მოძღვრების შენობა, წყობილება. კრებულა ჭეშმარიტისა თუ ყალბის აზრებისა რომელისამე სწავლა-მოძღვრების შესადგენათ.

**სმიტი** (ადამ) ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი; მამათ-მთავარი კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიისა. ცხოვრობდა 1723—1790 წლებში.

**სორგო**—ბალახის ჯიშის მცენარე ინდოეთში, აქვს მაღალი და მსხვილი ღერო და ფქვილიანი მარცვლები.

**სოციალური**—საზოგადოებრივი.

**სპარსეთი**—სახელმწიფო აზიაში.

**სპარტა**—სამეფო ძველ საბერძნეთში.

**სპეკულიაცია, -ტიური**—ისეთი წარმოება, ანუ ბირჟაზე თამაშობა, რომლის მიზანია მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭა.

**სპეციალობა** განსაკუთრებით ცოდნა რისამე, რაიმე საგნის საგანგებოთ შესწავლა; ადამიანის ნიჭისა და შემოქმედების ერთ რომელსამე ხელობაზე მიპყრობა, მაგ., ექიმი, ვექილი, მასწავლებელი, ინჟინერი სხვ.

**სტადია**—საფეხური, განვითარების საფეხურები.

**სტატიკური, სტატიკა**—მეცნიერება დედამიწის გაპოხიერებისა და ნოყიერების შესახებ.

**სტატუტი**—უფლებრივი ნორმები, კანონები.

**სტიქია, სტიქიონი, -ური**—ბუნების ძალები, კერძოთ ჰაერის მოვლენანი: წვიმა, ქარი, ქუხილი, სეტყვა, ელვა; საზოგადოთ, ოთხი ნივთიერება ან კავშირი, ე. ი. მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი.

**სუბიექტი**—საგანი, რაზედაც ლაპარაკია აღძრული, პიროვნება; **-ური**—საპიროვნო, პირადული, პიროვნებისა.

**სულა**—მდინარე დნეპრის მარცხენა ტოტი (რუსეთში).

**სულლა**—რომის სახელმწიფოს სამხედრო უფროსი, ცხოვრობდა 138—178 წ. ქრ. წინათ.

**სფერა**—დედამიწის ბურთი, სივრცე, რისამე საზღვრები.

**სხოლასტიკა**—საშუალო საუკუნეებში ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ძველ საბერძნეთის ფილოსოფიას წმიდა მამების საეკლესიო სწავლა-მოძღვრებაზე ამყარებდა.

**ტ.**

**ტემპერატურა**—ჰავა, სხეულის თბილი მდგომარეობა.

**ტენდენცია** — მისწრაფება განსაზღვრულ მიმართულებისადმი.

**ტერიტორია** — მიწა-წყალი, ადგილ-მდებარეობა, რომელიც ეკუთვნის ამა თუ იმ სახელმწიფოს, ან ხალხს.

**ტერმინი** — განსაზღვრული, განსაკუთრებული სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც მიღებულია რომელსამე სამეცნიერო დარგში ან ხელობაში; განსაზღვრული სიტყვა.

**ტექსტი** ნაბეჭდი ადგილი (წიგნებსა და გაზეთებში), წერილის დედანი; ლიტერატურაში — საკუთარი სიტყვები ავტორისა.

**ტექნიკა** — მეცნიერება ხელოსნობის სწავლისა.

**ტექნოლოგია** — მეცნიერება საწარმოო-სახელოსნო საქმეთა.

**ტიგრი** — უდიდესი მდინარე წინა-აზიაში.

**ტიპი** — ყველა არსების პირველყოფილი სახე, ფორმა, აზროვნებითი ფორმა, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ პიროვნების ნიშანთვისებებს და რომელიც კუთვნილია მრავალ ერთგვარ საგნებისა.

**ტირანი** — მტარვალი, თვითნება, თავნება, დაუნდობელი მმართველი. ძველ საბერძნეთში ასე იწოდებოდნენ შეუზღუდველი მბრძანებლები, რომლებიც ძალ-მომრეობის საშუალებით ძალას იგდებდნენ ხელში და ხალხის სურვილის წინააღმდეგ ბატონობდნენ მასზე.

**ტიურგო** — საფრანგეთის მინისტრი, რომელმაც შემოიღო მთელი რიგი ეკონომიურ რეფორმებისა. ცხოვრობდა 1727—1781წ. და იმ დროის ცნობილი ეკონომისტი იყო.

**ტოკი** — ელექტრონის დენა, ძალა.

**ტოპოგრაფია** — საზოგადოთ მიწის, ადგილ-მდებარეობის დაწვრილებითი, სათითაოთ ყოველი პუნქტების აღწერა, გეგმის აღება.

**ტრაქტატი** — საერთაშორისო ხელშეკრულობა, სახელმწიფოთა შორის დადებული პირობა. სამეცნიერო თხზულება.

**ტრესტი** — კავშირი მსხვილ მწარმოებელთა, რომლებიც აერთებენ თავიანთ წარმოებას, რომ ამით თავიდან აიცილონ მეტოქეობა და ფასები აწიონ ნაწარმოებზე. ასეთი კავშირი მეტად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**ტროპიკული** — მეტად ცხელი, ნაყოფიერი. **ტროპიკული ქვეყანა** — მხარე, მდებარე ეკვატორს ახლო; **ეკვატორი** — დიდი წრე, რომელიც მთელ დედამიწას ორ თანასწორ ნახევარ წრეთ ჰყოფს.

## უ.

**უტოპია, -ური** — განუხორციელებელი მისწრაფება, მიუწვდომელი ოცნება.

## ფ.

**ფაბრიკა** — დიდი საწარმოო დაწესებულება, სადაც საქონლის დამუშავება, უმთავრესად, მანქანების საშუალებით ხდება.

**ფაზა** — განვითარების საფეხური.

**ფანტაზია** — ოცნება, გონებაში წარმოდგენა რისამე; **ფანტასტიური** — საოცნებო.

**ფატალიზმი** — ღრმა რწმენა ბედის-წერის, განგებისა,

**ფაქტი** მოვლენა, ამბავი, უკვე შესრულებული, მომხდარი რამ.

**ფაქტიური** — ყველაფერი, რის მოქმედებითაც რამე ძალა, მოვლენა ან ნაყოფი წარმოსდგება ხოლმე.

**ფედერაცია** — მოკავშირე სახელმწიფოები; კავშირი სახელმწიფოთა, სადაც თვითოეული მოკავშირე სახელმწიფო ემორჩილება ცენტრის ძალა-უფლებას იმ დრომდე, სანამ მასა სურვილია; ცენტრი არ ერევა ფედერატიულ სახელმწიფოს მცხოვრებთა შინაურ საქმეებში.

**ფეოდალი, -ური** — მებატონე, დიდი მემამულე საშუალო საუკუნეებში და ზოგან უფრო გვიანაც.

**ფერმერი** — საქონლის-სამეურნეო ნაწარმოებთა მესაკუთრენი ამერიკასა და ინგლისში; სახნავ-სათესის აგარაკის პატრონი.

**ფეტიშიზმი** - მიწის საგნებისადმი თაყვანის ცემა; საქონლის ფეტიშური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ. იგი საზოგადოებრივ შრომის ნაყოფია.

**ფიზიოკრატები** ფიზიოკრატიულ მოძღვრების მიმდევრნი. ამ მოძღვრების თანახმად, სიმდიდრის წყაროს მხოლოდ დედამიწა შეადგენს.

**ფიზიკა** — მეცნიერება ბუნების ძალთა და მოვლენათა შესახებ; **ფიზიკური შრომა** — მკლავ-ძარღვიანი შრომა.

**ფიზიოლოგია** — მეცნიერება, რომელიც გვიხსნის ცოცხალ სხეულებიან ორგანიზმების სხვა-და-სხვა შინაგან პროცესებს.

**ფილოსოფია** — მეცნიერება არსისა და შემეცნების ძირითად პრინციპებზე, მეცნიერება ბუნებრივ და გონებრივ მოვლენათა, თავიანთის მიზეზთა და ნაყოფთა.

**ფირმა** — საზოგადო სახელი სავაჭრო დაწესებულებისა.

**ფორმა** — სახე, გამოხატულება.

**ფორმაცია** — შედგენილობა, შენაერთებულება, შეხორცება, ნიადაგი მიწის.

**ფორმულა**—სახე, გამოხატულება, რომელიც საერთო მაგა-ლითია თვითეულ მოვლენისა; მოყვანილი მაგალითი.

**ფსიხოლოგია**—მეცნიერება სულის მოვლენათა, სწავლა ადა-მიანის სულიერ მდგომარეობაზე.

**ფუნქცია**—მოქმედება, განსწილებული საქმე.

**ფურიე**—საფრანგეთის ცნობილი სოციალისტი (1772—1837 წ.), რომელიც მოითხოვდა ახალ სოციალისტურ წეს-წყობილების დამყარებას.

## ქ.

**ქიმია**—მეცნიერება, რომელიც იკვლევს უბრალო, მარტივ სხე-ულთა თვისება-შედგენილობას.

**ქირურგია**—საექიმო მეცნიერების ის დარგი, რომელიც და-ზიანებულ სხეულის მოჭრა-გამოჭრით ცდილობს ავადმყოფობის გან-კურნებას, სხეულის მორჩენას. **ქირურგი**—ჭრილობის ექიმი.

**ქრონიკული**—განიადაგებული, ხანგრძლივათ არსებული, ნე-ლა გარდამავალი. **ქრონიკული კრიზისი**—წარმოებისა და ვაჭრო-ბის დრო-გამოშვებითი, ხშირათ შემცირება-შეფერხება; **ქრონოლო-გია**—ჟამთ-აღრიცხვა, ისტორიულ მოვლენათა. თანდათანობითი აღ-წერა, რიგზე დალაგება რისამე. სწავლა ჟამთ-აღრიცხვაზე.

**ქსენოფონტი**—სოკრატის უერთგულესი მოწაფე და გამოჩე-ნილი სარდალი; ცნობილ „ანაბაზისის" ავტორი, ცხოვრობდა 445—335 წ. ქრ. წინათ.

## შ.

**შეერთებული შტატები**—ფედერატიულათ შეკავშირებული სახელმწიფოები ჩრდილოეთ ამერიკაში.

**შვეიცარია**—ქვეყანა, სადაც ფედერატიული რესპუბლიკაა.

## ჩ.

**ჩაილდ-ჰაროლდი**—ბაირონის (ინგლისის შესანიშნავი მწე-რალი და პოეტი იყო) ცნობილი პოემა.

## ც.

**ცენტრი, ცენტრალური**—მთავარ და დიდი ძალების ერთ ალაგას მოკრება-მოგროვება (სახელმწიფოში, მრეწველობა-წარმოება-ში, ვაჭრობაში და სხვ.).

**ცივილიზაცია**—მოქალაქეობრივობა, განათლება, დაწინაურება.

**ციკლი**—წელთა აღრიცხვა, ქრონოლოგიური ხანა, რომლის დამთავრებისას ერთი და იგივე მოვლენა ფიზიკურს და ეკონომიურ ცხოვრებაში ერთ და იმავე წეს-რიგით განმეორდება.

**ციცერონი**—ძველ რომაელთა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, გამოჩენილი ორატორი (მჭევრმეტყველი) და მწერალი, ცხოვრობდა 106 ქრ. წინათ.

## წ.

**წარმოება, წარმოების საშუალებანი**—ყველა ის ნივთები, რომლებიც წარმოებაში ასე თუ ისე საჭიროა (დასამუშავებელი მასალები, სახელოსნოს ხელსაწყო იარაღები, მანქანები, ქარხანა-ფაბრიკის შენობები, მიმოსვლის მოწყობილობანი და სხვ.).

## ჰ.

**ჰანზის კავშირი**—გერმანიის, დანიის და შვეციის ქალაქების კავშირი (დაარსდა 1367 წელს), რომელიც თავგამოდებით ებრძოდა და საქმეს უჭირებდა ჩრდილოეთ სახელმწიფოებს.

**ჰარმონია**—ამით სასმენელი, გასაგონსათ საამური ხმათა შეწყობილება, ერთის რისამე მთლიანის ნაწილთა სრული თანხმობა.

**ჰერცოგი**—ასე იწოდებოდა ძველად გერმანიაში ომის დროს დროებით არჩეული სარდალი, ჯარების წინამძღოლი; ბრწყინვალე ოჯახების საგვარეულოს ტიტული გერმანიაში და ავსტრიაში.

**ჰოლანდია**—ევროპის სახელმწიფო, მდებარე გერმანიის, ბელგიის და ჩრდილოეთის ზღვის შუა.

**ჰომეროსი**—ძველი საბერძნეთის მგოსანი (ცხოვრობდა მეცხრე საუკუნეში ქრისტეს წინათ).

**ჰორიზონტი**—აზროვნების ან შემეცნების ფარგალი, შემეცნებითი ძალა, ცის ტატნობი, ცის სახედავი, რასაც თვალი გადასწვდება.

# უმთავრესს შეცდომათა გასწორება.

| გვერ. | ქვემ. სტრიქ. | ზემ. სტრიქ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 11 | 9 | — | მეცნაერების | მეცნიერების |
| 12 | 9 | — | გაოეშე გარეშე | გარეშე |
| 13 | 3 | — | მნიშვნელობი | მნიშვნელობა |
| 14 | 6 | — | ითელება | ითვლება |
| 22 | — | 14 | ნაყოფირების | ნაყოფიერების |
| 24 | 3 | — | ძვეღ | ძველ |
| 26 | — | 7 | აუფუკებს | აფუკებს |
| 38 | — | 5 | საზოგალოებრივი | საზოგადოებრივი |
| 61 | 13 | — | რა შეეხება | რაც შეეხება |
| 71 | — | 8 | კაცი | ცული |
| 90 | 12 | — | მიწათმფლობელთა | მონათმფლობელთა |
| 96 | 7 | — | ნალოსის, | ნილოსის, |
| 96 | 11 | — | იმის შემწეობით | ომის შემწეობით |
| 97 | 12 | — | ეგვპტისა | ეგვიპტისა |
| 97 | — | 13 | ერთი იგივე | ერთი და იგივე |
| 102 | — | 5 | მჩაგვრელოაბაში | მჩაგვრელობაში |
| 102 | — | 8 | როგორ მონები | როგორც მონები |
| 105 | — | 2-3 | შედრაებით | შედარებით |
| 106 | 10-11 | — | იმწყვდევდა | იმწყვდევა |
| 108 | — | 2-3 | პირობებისაგას | პირობებისაგან |
| 109 | 2 | — | გაცილებუთ | გაცილებით |
| 111 | 14 | — | ხაზოგადოებრივ | საზოგადოებრივ |
| 114 | — | 2 | უთავებდა | უწყობდა |
| 114 | — | 8 | ათობით | ათასობით |
| 133 | 8 | — | ბ) ჯგუფთაშორისი | ჯგუფთაშორისი |
| 141 | — | 3 | ფეადალთა | ფეოდალთა |

| გვერ. | ქვემ. სტრიქ. | ზემ. სტრიქ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 162 | — | 2 | შეაცავდა | შეიცავდა |
| 163 | 13 | — | აქვხ | აქვს |
| 183 | — | 1 | წარომდგარ | წარმომდგარ |
| 192 | 1 | — | დასარჯული | დახარჯული |
| 195 | 9 | — | აბსტრაქციებიხ | აბსტრაქციების |
| 200 | 5 | — | სახელიწიფოში | სახელმწიფოში |
| 217 | — | 17 | ნდგომარეობიდან | მდგომარეობიდან |
| 220 | — | 8-9 | აჯანებებსაც | აჯანყებებსაც |
| 222 | — | 5 | მოკმედებაში | მოქმედებაში |
| 228 | — | 3 | ყოვკლივე | ყოველივე |
| 229 | 15 | — | დარჩენილ იურიდიულ | იურიდიულ |
| 237 | 10 | — | (უუნარიო) | (უუნარო) |
| 238 | 8 | — | მეუნეობას | მეურნეობას |
| 256 | — | 9 | ირამედ | არამედ |
| 267 | 15 | — | ბირდაპირ | პირდაპირ |
| 268 | 16 | — | ჯ. წესები საზოგა-დოებრივი | 3. წესები საზოგადოებრივი |
| 270 | — | 8-9 | ანგარაშების | ანგარიშების |
| 280 | 11 | — | ცვლალებადი | ცვალებადი |
| 297 | 5 | — | შეად- | შეადგენს |
| 305 | 14 | — | გადასახალის | გადასახადის |
| 306 | — | 11 | მიწმთმფლობელის | მიწათმფლობელის |
| 312 | — | 6 | მჭიდრო | მჭიდროთ |
| 317 | — | 5 | ხელოვნბის | ხელოვნების |
| 318 | — | 5 | სავაჭროთ | სავაჭრო |
| 319 | — | 4-5 | დამოკიდებუდი | დამოკიდებული |
| 327 | — | 1 | მხვილი | მსხვილი |
| 334 | 7-8 | — | მამუძრავებელი | მამოძრავებელი |
| 334 | 11 | — | შექმნას | შექმნა |
| 338 | — | 18 | ყყელგან | ყველგან |
| 338 | 6 | — | laissea | laissez |
| 339 | 2 | — | შეთვისებუი | შეთვისებული |
| 345 | — | 7 | გარეშეს | გარეშე |
| 346 | 15 | — | განვითარების ძალები და მათი მიმართულება | განვითარების ძალები და მისი მიმართულება |

| გვერ. | ქვემ. სტრიქ. | ზემ. სტრიქ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 363 | — | 3 | ცხადი | ცხადია |
| 365 | 2 | — | გაუამჯობესა | გააუმჯობესა |
| 367 | — | 11 | ოროს | დროს |
| 367 | 2 | — | მდგომარეობპ | მდგომარეობას |
| 367 | 12 | — | шатуъ | шатунъ |
| 370 | 5 | — | ამუშავეჰას | ამუშავებს |
| 373 | — | 2 | დაუზოვოს | დაუზოგოს |
| 376 | 12 | — | საგრძნრბლათ | საგრძნობლათ |
| 377 | — | 9 | არულდება | ასრულდება |
| 379 | — | 12 | დიწესებულებათა | დაწესებულებათა |
| 380 | 5 | — | მეორისაგინ | მეორესაგან |
| 381 | 11-12 | — | მისწაფებას | მისწრაფებას |
| 384-385 | 1 | 1 | ის დაწესებუ ის და-წესებულებანი | ის დაწესებულებანი |
| 385 | — | 6 | შოვაჭრეებთან | მოვაჭრეებთან |
| 387 | — | 15 | დაილო | დაიკლო |
| 388 | 15-16 | — | ვადიანს | ვადიან |
| 404 | 8 | — | მნიშენველობა | მნიშვნელობა |
| 438 | — | 2 | შეძენილ; | შეძენილი; |
| 438 | 3 | — | დი | და |
| 442 | — | 11 | გიზაში | გიზში |
| 443 | — | 9 | პუსუხის | პასუხის |
| 468 | 17 | — | წყრილ-ბურჟუაზიულ | წვრილ-ბურჟუაზიულ |
| 478 | — | 3 | სასალების | მასალების |
| 483 | 15 | — | შყიდველთა | მყიდველთა |
| 490 | 2 | — | რიცხვს | რიცხვი |
| 496 | 15 | — | ეტყმიან | ერტყმიან |
| 502 | — | 10 | რომე- | რომელიც |
| 506 | 11 | — | დაუზოგავთ | დაუზოგავთ |
| 512 | 2 | — | კავშირისაც | კავშირსაც |
| 512 | 1-2 | — | უხერხულობაც | უხერხულობა |
| 513 | — | 2 | ლაწესებულებათა | დაწესებულებათა |
| 513 | — | 5-6 | მოუმატოს | მოუმატონ |
| 515 | — | 2 | იშრომონ განვითა-რების | იშრომონ ამ განვითარების |

| გვერ. | ქვემ. სტრიქ. | ზემ. სტრიქ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 516 | — | 12 | არავათარი | არავითარი |
| 516 | 14 | — | განუწყვნტლათ | განუწყვეტლათ |
| 519 | 11 | — | საზოგადოების აქეთურ | საზოგადოების მომდევნო |
| 521 | 18 | — | წარმთადგენს | წარმოადგენს |
| 523 | 15 | — | წყოიილება | წყობილება |
| 524 | — | 8 | ცოდნა-შედგენისა | ცოდნა-შეგნებისა |
| 526 | — | 7-8 | სულით ავათმყოფო-ბისაგან | სულით ავათმყოფისაგან |
| 526 | — | 16 | რომ სხეულის | რომ სნეულის |
| 528 | 15 | — | დბ | და |